ლევან სანიკიძე

რომის გვიანდელი რესპუბლიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე
სახელმძღვანელოდ პედაგოგიური ინსტიტუტების
სტუდენტებისათვის.

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1970

პროფ. ლევან სანიკიძის წინამდებარე გამოკვლევა „რომის ბოლოდროინდელი რესპუბლიკა“ ეხება რომის ისტორიის საინტერესო პერიოდს, რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას, იმას, თუ რა გავლენა იქონია აღმოსავლეთთან ურთიერთობამ რომის სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ძვ. წ. II—I საუკუნეების რომის სახელმწიფოში მოქალაქეთმფლობელური სისტემის აყვავებას ოლიგარქიულ-რესპუბლიკური სისტემის კრიზისი და დაცემა მოყვა. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა იმას, თუ რა როლი შეასრულა რესპუბლიკური სისტემის რღვევაში და იმპერიის წარმოშობაში აღმოსავლეთთან (განსაკუთრებით ელინისტურ და ამიერკავკასიის ქვეყნებთან) ურთიერთობამ.

ნაწილი პირველი

თავი პირველი

რომი და აღმოსავლეთის ძველი ნელთაღრიცხვის III ს-ის ბოლოს

„რომის ერთადერთი ტალანტი — ესაა მსოფლიოს დაპყრობა“

ჟან-ჟაკ რუსო.

I. რომი

ქალაქმა რომმა ძვ. წ. III საუკუნის პირველ მეოთხედში მთლიანად დაასრულა იტალიის დამორჩილება და უაღრესი აქტიურობით ღაიწყო ბრძოლა ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებისათვის. რისთვისაც მას ჰეტოქეობა მოუხდა მეორე, დიდი „იმპერიალისტური“ ტრადიციების მქონე მონათმფლობელურ სახელმწიფოსთან — კართაგენთან.

თითქმის ერთი საუკუნე შეეწირა რომსა და კართაგენს შორის ატეხილ „პუნიკურ ომებს“.

პირველმა პუნიკურმა ომმა (264—241) რომს წილად არგუნა პირველი დიდი გამარჯვებანი აპენინის გარეთ. მის ხელში გადავიდა კუნძული სიცილია, ხოლო მალე ამის შემდეგ, სარდინია და კორსიკა. რომმა მოწინააღმდეგეს დიდი კონტრიბუცია დაადო და მტკიცედ შეუდგა კართაგენელთა გამოდევნას ხმელთაშუა ზღვის ეკონომიური და სტრატეგიული პუნქტებიდან.

მაგრამ კართაგენი კვლავ დადგა ფეხზე. ბ ა რ კ ი დ ულ მ ა (ჰამილკარ ბარკა) სამხედრო პარტიამ დიდძალ რომაულ-იტალიურ საომარ რესურსებს, აფრიკულ-კართაგენულის გარდა, დაუპირისპირა ახალი დიდი საომარი რეზერვი — პირენეის ნახევარკუნძული.

კართაგენელებმა სარევანშო ბრძოლა განაახლეს, როგორც კი მათ სათავეში ჩაუდგა გენიალური ჰ ა ნ ი ბ ა ლ ი.

მეორე პუნიკური ომი (218—201) უმძიმესი და უსაშინელესი იყო

ბთელ ანტიკურ სამხედრო ისტორიაში. ამ ომში დაისვა საკითხი ყველაზე მკვეთრად და გადაჭრით: ვინ უნდა უკარნახოს კანონები მსოფლიოს — რომმა, თუ კართაგენმა. ჰანიბალს — ტიკინუსის, ტრებიას, ტრაზიმენის და, განსაკუთრებით, კანეს სახელოვან ბრძოლათა და უბრწყინვალეს გამარჯვებათა კავალერს — უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ მოახლოვდა დღე რომაული ძუ-მგლის დასამარებისა და ფინიკიური მელკარტის აღორძინებისა. ჰანიბალის თექვსმეტწლოვანმა იტალიურმა ლაშქრობებმა იტალია რომს ხელიდან ვერ გამოჰგლიჯა. ბოლოს, უძლეველი ფინიკიელი იძულებული შეიქნა იტალიიდან წასულიყო და მშობლიურ აფრიკის მიწაზე, ქ. ზამასთან (იქაც როგორც მთავარ გმირს), მიენაწილეობა მიეღო თავისი სამშობლოს უმძიმეს ტრაგედიაში.

რომმა საბოლოოდ ჩამოართვა თავის მეტოქეს მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტობის კვერთხი. კართაგენი, უძლიერესი მსოფლიო სახელმწიფო, უბრალო, კოლონიურ მოხარკე ქალაქად გადაიქცა. კართაგენთან ერთად, რომის ხელში აღმოჩნდა ყველა კართაგენული სამფლობელო.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ III—II საუკუნეების მიჯნაზე, რომის პოლიტიკური და ეკონომიური მბრძანებლობის ქვეშ მოექცა ძველი ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთი ნახევარი.

აქვე გადაჭრით ისმება მეორე განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი რომის საგარეო პოლიტიკაში და, საერთოდ, მაშინდელ საზოგადოებათა ისტორიაში. ეს არის რომის ექსპანსიის გაგრძელება აღმოსავლეთის მიმართულებით — რამეთუ „გაერთიანდნენ დასავლეთი და აღმოსავლეთი“ — ორი ორგანული ნაწილი ერთი მთლიანი „მსოფლიო ურთიერთობის დიდი წყლის გზისა“.

ამ „მსოფლიო გამთლიანების“ პრეტენზიით გამოდის რომი მეორე პუნიკური ომის მეორე დღესვე. რომაული მახვილი და დიპლომატია აღმოსავლეთისკენ შებრუნდა...

რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობათა პირველი ფურცლები ჯერ კიდევ „ჰანიბალის ომის“ წლებიდანვე გადაიშალა. როგორც მოსალოდნელი იყო, რომაელთა პირველი აღმოსავლური ლაშქრობა ბალკანეთის მიმართულებით დაიწყო. ეს იყო ე. წ. ილირიული ომები.

ილირიელი მეკობრეების ხშირი თავდასხმები იტალიის სანაპიროებზე და აღრიატიკაზე მცურავ რომის სავაჭრო ხომალდებზე, შეიქნა საბაბი რომაელთა პირველი „აღმოსავლური დაინტერესებისა“.

230 წელს რომის ხელისუფლებამ ელჩები გაუგზავნა ილირიის დე-

დოფალ ტ ე ვ ტ ა ს და მოითხოვა მეკობრეთა ალაგმვა. ზვიადმა დედოფალმა კადნიერი უარით გაისტუმრა ელჩები; ერთი მათგანი ილირიელებმა მოჰკლეს კიდეც. ტევტას იმედი ჰქონდა მაკედონიის მხარდაჭერისა, მაგრამ ეს იმედები არ გაუმართლდა. როცა (229 წ.) რომაელთა სამხედრო ძალებმა (200 გემი და 22.000 მეომარი) ადრიატიკის ზღვა გადალახეს და ბალკანეთს მიადგნენ, სწორედ მაშინ შოკვდა მაკედონიაში ილირიის მოკავშირე მეფე დ ე მ ე ტ რ ე მ ე ო რ ე და პელას სასახლის კარზე ჯერ არავინ იცოდა ვის ჩაუვარდებოდა ტახტ-გვირგვინი. ამ დროს ბერძნები რომაელთა მხარეზე დადგნენ. მომდევნო 228 წელს ტევტამ დაზავება ითხოვა. მან აღუთქვა რომს, შეწყვეტდა ყოველგვარ კონტროლს და თავდასხმას ადრიატიკის ზღვაზე და იტალიაზე. ამას გარდა, რომაელებმა ილირიის დედოფალს ჩამოართვეს ჩრდილო-დასავლეთ ბერძნული კუნძულები და ქალაქები (კორკირა, აპოლონია, ეპიდამნი და სხვ.) და ილირიის სამხრეთი ოლქები. ყველა ესენი სამმართველოდ გადასცეს რომის მხარეზე გადასულ დ ე მ ე ტ რ ე ფ ა რ ო ს ე ლ ს. ეს პირველი „socius et amicus populi Romani" („მოკავშირე და მეგობარი რომაელი ხალხისა") აღმოსავლეთში, ვალდებულებას კისრულობდა, საჭირო შემთხვევაში, სამხედრო ძალით მიშველებოდა რომს.

აქედანვე იწყება რომის ბ ე რ ძ ნ უ ლ-მ ა კ ე დ ო ნ უ რ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა ც. ილირიის განადგურებისათვის ბერძნები ხელგაშლით შეხვდნენ დასავლეთიდან მოვლენილ დამპყრობლებს. მთავარი მაინც ის იყო, რომ ბერძნები რომაელებში მაკედონიის წინააღმდეგ მებრძოლ-მოკავშირეებს ვარაუდობდნენ. ათენში და კორინთოში რომაელები ნამდვილ ელინებად მონათლეს და პანელინურ დღესასწაულთა უპირველეს საპატიო სტუმრებად გამოაცხადეს.

მაგრამ არც მაკედონიას ეძინა. მცირე დაბნეულობისა და სასახლის კარის აშლილობის ლიკვიდაციის შემდეგ, ა ნ ტ ი გ ო ნ ე დ ო ს ო ნ მ ა ქვეყანა ენერგიულად დარაზმა ბალკანეთში ახალი სახიფათო ძალის პარალიზებისათვის. მაკედონიის მეფეს კვლავ მორჩილებაში ჰყავს საბერძნეთის მთავარი ოლქები, განსაკუთრებით, პელოპონესი. რომთან მეგობრულ ურთიერთობას მტრული დამოკიდებულებით სცვლის, აგრეთვე, დემეტრე ფაროსელი. იგი უკავშირდება ანტიგონეს, სოლო, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, მაკედონიის ახალგაზრდა მეფეს — ფ ი ლ ი პ ე მ ე ხ უ თ ე ს.

219 წელს რომაული ფლოტი და კონსულთა ორივე არმია ხელახლა მიადგა ბალკანეთის დასავლეთ სანაპიროებს. ფილიპე მეხუთე მაკედონელმა, საბერძნეთის გართულებული საქმეებით ხელებშეკრულმა, ვერ მოახერხა დახმარებოდა მოკავშირეს. დემეტრე დამარცხდა და მაკედონიაში გაიქცა. ილირია რომის მორჩილებაში შევიდა.

მომდევნო 218 წელს „საგუნტის ცეცხლმა“ ჰანიბალმა ალპების გადალახვით და იტალიაში შეკრით რომს თავზარი დასცა.

ხოლო ბალკანეთის ქვეყნების მმართველთ აზრადაც არ მოსვლიათ, ესარგებლათ რომის მძიმე მდგომარეობით და შეერთებული ძალით შებმოდნენ ყველაზე სახიფათო მსოფლიო დამპყრობლებს. მათი მთავარი საზრუნავი იყო არა რომაული საფრთხის აცილება, არამედ ურთიერთმტრობა და ურთიერთსისხლისღვრა.

ერთადერთი პოლიტიკოსი. ვინც რომის წინააღმდეგ ერთადერთ რეალურ ძალად ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა ხალხთა გაერთიანებას სთვლიდა, იყო ჰანიბალი.

ამ საოცნებო (და ყოველთვის განუხორციელებელი) კოალიციის ერთ-ერთ ნიშანველოვან რგოლად დიდი ფინიკიელი მაკედონიას მიიჩნევდა და ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება მალე ჩაეთრია მაკედონიის მეფე რომის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფილიპე კი მერყეობდა, შიშობდა, ზომავდა და ვერ სკრიდა. არც რომის მტრობას იშლიდა და ვერც კართაგენთან შეკავშირებას ბედავდა. მხოლოდ კანესთან მოპოვებულმა დიდებულმა გამარჯვებამ (216) ჰანიბალს საშუალება მისცა დაეყოლიებინა ფილიპე რომის წინააღმდეგ გამოსვლაში. 215 წელს დაიდო კავშირი, რომელიც ითვალისწინებდა რომის წინააღმდეგ კართაგენისა და მაკედონიის ერთობლივ ბრძოლას.

ასე დაიწყო ე. წ. „პირველი მაკედონური ომი“ (215—205).

რომი ადვილად გაუსწორდა კართაგენისა და მაკედონიის უღიერ და უსახურ კავშირს, რომლის რატიფიცირებაც კი არ მოხერხებულა. ფილიპეს არც უფიქრია ჯარების გადასხმა იტალიაში. იგი ილირიას ეპოტინებოდა. 214 წელს რომაელებმა ფილიპე სასტიკად დააბარცხეს ალპოლონიასთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში. მეფე იძულებული შეიქნა საკუთარი ფლოტი დაეწვა და მაკედონიაში ხმელეთით დაბრუნებულიყო.

რომმა თავის უძლეველ მახვილს გვერდით დაუყენა მრავალგზის ნაცადი დიპლომატიური „divide et impera“ („გაჰყავი და იბატონე“). რომაელი დიპლომატები საუკეთესოდ იყენებენ მუდმივ მტრობას მაკედონელებსა, ბერძნებსა, ილირიელებსა, დარდანებსა, ათამანებსა და სხვ. შორის. რომაელებმა მთავარი კურსი აიღეს ბერძნულ პოლიტიკურ ერთეულებში ყველაზე ძლიერ ეტოლიის კავშირზე, რომელსაც გაუთავებელი ომები ჰქონდა მაკედონიასთან. 212 წელს დაიდო კავშირი რომსა და ეტოლიას შორის. ამ შეთანხმების საფუძველზე ცხადდებოდა ერთიანი შეტევები მაკედონიის წინააღმდეგ ზღვაზე (რომაელები) და ხმელეთზე (ეტოლიელები).

შემდეგ, რომმა მაკედონიასთან ბრძოლაში ჩაითრია დანარჩენი

ბერძნებიც (სპარტელები, მესენიელები, აქეელები და სხვ.), ბოლო აზიიდან — პერგამოსის მეფე ატალ პირველი.

მაკედონია სრული განადგურებისაგან იხსნა იტალიაში ჰასდრუბალის შეჭრამ (207), როცა რომი იძულებული გახდა მთელი ძალები დაეძაბა ახალი „ფინიკიური პანდორის" გასანადგურებლად. ეტოლიის კავშირშაც რომი მიატოვა და მაკედონიასთან შერიგების ცდას შეუდგა.

რომს აღმოსავლეთში გენერალური შეტევებისათვის არ ეცალა. მართალია, ჰასდრუბალი განადგურდა, მაგრამ ჰანიბალი ჯერ კვლავ ფეხზე იდგა. ამიტომ რომი თანხმობით შეხვდა მაკედონიის საზავო სურვილს. ამრიგად დამთავრდა (205) „პირველი მაკედონური ომი". რომმა მიაღწია იმჟამინდელი გეგმის განხორციელებას: მაკედონიისა და კართაგენის კავშირი სავსებით ფიქტიური გახდა.

ასეთი პროლოგით, სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური კენწლაობით დაიწყო რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობა ძვ. წ. III საუკუნის მიწურულში.

ხოლო, როცა კი III საუკუნე და კართაგენის სიძლიერე ისტორიას ერთად ჩაბარდა, ახალი საუკუნის დადგომისთანავე რომი ახალი დიდი ისტორიული ეპოქის ზღურბლზე: აღმოსავლეთთან **რადიკალური ურთიერთობის** ზღურბლზე შედგა.

რომის წინ აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა იდო...

---

2. აღმოსავლეთი

აღმოსავლურ სამყაროში აქ იგულისხმება ელინისტური ქვეყნები და ამიერკავკასია, რომელთაც მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით მოუხდათ რომთან ურთიერთობა 200—60 წლებში.

რომთან ურთიერთობის მოხსენებულ ქრონოლოგიურ რკალში განსაკუთრებული, უპირველესი როლი შეასრულეს ელინისტურმა ქვეყნებმა, ამათგან კი — ბალკანეთისა და დასავლეთ აზიის ხალხებმა. პარალელურად, შედარებით დამოკიდებული მდგომარეობა ექირა ეგვიპტეს, სოლო, ბოლოს, ელინისტური სამყაროს სრული განადგურების კვალდაკვალ, რომთან ურთიერთობაში ებმებიან ამიერკავკასიის ქვეყნები.

ამიტომ კომპენდური წესით მაინც უნდა მოიხაზოს ყველა ამ ქვეყნის სილუეტი რომთან რადიკალურ ურთიერთობათა დაწყების წინა პერიოდში.

ა) ელინისტური სახელმწიფოები

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა საფუძველი დაუდეს ძველი მსოფლიოს ახალ, სამასწლოვან ეპოქას, რომელმაც ისტორიაში ადგილი დაიკავა ელინიზმის სახელწოდებით. იგი წარმოიშვა ელინურ-ბერძნული და ძველ-აღმოსავლური სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ელემენტების შერწყმის საფუძველზე. ელინისტურმა სახელმწიფოებმა საფუძველი დაიდეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ აუზში და წინა აზიაში, ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქიის ნანგრევებზე.

ეს ქვეყნები, პირველ რიგში, იყვნენ ტიპური კოლონიალურ-მონათმფლობელური სახელმწიფოები. მონობაზე დამყარებული კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი ახასიათებდა როგორც კლასიკურ საბერძნეთს, ასევე კლასიკურ ძველ-აღმოსავლურ დესპოტიებს. ახლა ეს საერთო თვისებები თავს იყრიან ელინისტურ სახელმწიფოებში.

მონათმფლობელობა, როგორც სოციალურ-კლასობრივი სისტემა, ახალ საფეხურზე ადის. ე. წ. დიადოხოსთა და ეპიგონთა ხანგრძლივი, გაუთავებელი ომების მთავარი შინაარსი მოსახლეობის მასობრივი მონადქცევა იყო. მონა, როგორც სამუშაო ძალა გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში.

ხშირი ომები ხელს უწყობენ აგრეთვე ფართო ფულად და სავაჭრო-სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებას.

პოლიტიკური წყობის თვალსაზრისით, ელინისტურ სახელმწიფოებში თავს იყრიან ბერძნულ-პოლისური და აღმოსავლურ-დესპოტური ელემენტები. მასში ქალაქები ინარჩუნებენ ავტონომიას, ზოგიერთი სახის პოლიტიკურ და ეკონომიურ პრივილეგიას, მაგრამ ისინი სავსებით ემორჩილებიან ელინისტ-მონარქის უზენაეს ხელისუფლებას, რომელიც. ამავე დროს, გულისხმობს განუსაზღვრელ სუვერენულ მბრძანებლობას მთელი სახელმწიფოს მიწაზე. საგადასახადო სისტემაზე, არმიაზე და სხვ. ელინისტურ სახელმწიფოებში იქმნება ახალი უმაღლესი არისტოკრატია, რომელიც პირველ რიგში შედგება მაკედონელი და ბერძენი დამპყრობლებისაგან, მაგრამ მალე მას უერთდებიან ადგილობრივი „ელინიზებული“ მდიდარი ფენები.

ელინისტური არისტოკრატიის ძლიერება ეყრდნობოდა მსხვილ ნოსტურ შრომაზე დამყარებულ მონათმფლობელობას, ფულად მეურნეობას, ვაჭრობას, მევახშეობას და სხვ.

ასე, რომ, ელინისტურ სახელმწიფოთა მწარმოებლური ძალები, ბონები და თავისუფალი მოსახლეობის საშუალო და უღარიბესი ფე-

ნები, ორმაგი (მაკედონელ-ბერძენ დამპყრობთა და ადგილობრივ ბონათმფლობელთა) ექსპლოატაციის უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ელინისტური სისტემის ძირითადი ჩონჩხი იყო **მაკედონია.** მაგრამ იგი მართლაც და ჩონჩხი-ღა დარჩა. მაკედონიისა და, საერთოდ, ბალკანეთის მოსახლეობა დააკნინა და გააჩანაგა ხანგრძლივმა, უმძიმესმა ომებმა. მსოფლიოზე ბატონობამ სისხლისაგან დაცალა ელინიზმის პატარა ბუდე. შემდეგ, ქვეყანა განადგურებამდე მიიყვანა დიადოხოსთა გაუთავებელმა ომებმა და, ბოლოს, შეურიგებელმა მოსისხლეობამ თვით ბერძნებსა და მაკედონელებს შორის. III საუკუნის 70-იან წლებში მაკედონია ააოხრეს ჩრდილოეთიდან შემოჭრილმა კელტურმა ტომებმა (გალატებმა).

ძვ. წ. III საუკუნის ბოლოსათვის ბერძნულ-მაკედონური სამყარო ასე წარმოგვიდგებოდა: კონტინენტალური საბერძნეთის ჩრდილო ოლქები მტკიცედ ეპყრა ხელთ მ ა კ ე დ ო ნ ი ა ს. ამას გარდა, ორი დამოუკიდებელი, მაგრამ შინაგანად არამყარი გაერთიანება იყო — ე ტ ო ლ ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი შუა საბერძნეთში და ა ქ ე ი ს კ ა ვ შ ი რ ი სამხრეთში, პელოპონესში.

ეტოლიის კავშირი აერთიანებდა შუა საბერძნეთის ბერძნული ქალაქების უმრავლესობას. მასში სამხრეთ საბერძნეთიდანაც შედიოდა ზოგიერთი ქალაქი (მესენია, ელიდა). შემდეგ იყო აქეის კავშირი, რომელშიც თავდაპირველად შედიოდა პელოპონესის ზოგიერთი ქალაქი, მათ შორის კორინთო და ძველი.

III საუკუნის ბოლოსათვის სამეფო ხელისუფლება გაუქმდა ჩრდილო-დასავლეთ ბერძნულ ქვეყანაში — ეპირში. აქ შეიქმნა რამდენიმე ოლქის კავშირი, რომელსაც სათავეში სამი სტრატეგოსი ედგა.

ეს „სიმახიები" ერთი მეორის ქიშპსა და მტრობაში ხარჯავდნენ ისედაც დაწრეტილ და გაპარტახებულ ძალღონეს. ფილიპე მაკედონელი მოხერხებულად იყენებდა მათს ურთიერთმტრობას საბერძნეთში თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად. ფილიპე განსაკუთრებული თავგამოდებით ებრძოდა ანტიმაკედონური განწყობილების მქონე ეტოლიის კავშირს. 220 წელს აქეის ლიგის მხარდაჭერით მაკედონიის ძალამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა ეტოლიის ფედერაციას. ეს იყო, ე. წ. „მოკავშირეთა ომი", რომელმაც საშინელი სოცვა-ულეტით, ტყვევნა-გაყიდვითა და მძარცველობით სულ გააჩანაგა საბერძნეთი.

ცალკე, მუდამ „დამოკლეს მახვილის" ქვეშ არსებული დამო-

უკიდებლობით ცხოვრობდნენ ათენი და სპარტა. ათენი ეგვიპტესთან კავშირს ეძებდა მაკედონური საფრთხისაგან თავის დაზღვევას. სპარტა, ელიდა და მესენია ეტოლიას უერთდებოდნენ მაკედონიასთან და მეზობელ აქეასთან ბრძოლისათვის.

ბერძნულ სამყაროში განსაკუთრებული მდგომარეობა ეჭირა როდოსს. იგი ჯერ კიდევ უძველესი კრეტა-მიკენის ეპოქიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის ცენტრალურ სავაჭრო პუნქტად ითვლებოდა. ეს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა მას არც კლასიკური საბერძნეთის ჰეგემონობის პერიოდში დაუკარგავს, ხოლო ახლა, ელინისტურ ხანაში, როდოსის ეკონომიური სიმძლავრე უმაღლეს ფაზაში შედის

205 წელს ბალკანეთისა და მცირე აზიის შესაყარზე პოლიტიკური წონასწორობა თითქოს აღდგენილ იქნა. ფილიპე მაკედონელი დასავლეთიდან რომელიღაც მძლავრ, „ელვა-მეხთტეხით და სისხლის ნაღვრით" მომავალ საშიშროებას გრძნობდა, და ამიტომ რომთან დაზავება აუცილებლობად მიიჩნია. ფილიპემ ახლა, როცა ჰანიბალის სამშობლოს დღეები დათვლილი იყო, კარგად იცოდა, ის „დასავლური საფრთხე" რომი იქნებოდა, მაგრამ მას ისიც სწამდა, რომ ჯერ რომს, მეორე პუნიკური ომით მუხლმოკვეთილს, ნაადრევად უნდა მიეჩნია აღმოსავლეთის სისხლიანი ომების გზაზე შეღგომა. მაკედონია არ იყო კართაგენი და არც ფილიპე იყო ჰანიბალი. მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის მახვილით საფუძველდადებული დიდი დამპყრობლური ტრადიცია, რომელიც ახლა ხელთ ეპყრა ფილიპე მეხუთეს, უეჭველად დიდ საშიშ მორალურ ფაქტორად ჩანდა მაკედონიის მეტოქეთა თვალში.

ეგვიპტე — „ეს პირველი სკოლა მსოფლიოსი"...[1] — ელინისტური სამყაროს განსაკუთრებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ამ ქვეყანაში ელინისტური სული თითქმის მხოლოდ ალექსანდრიის სახელგანთქმული ბიბლიოთეკისა და მუზეიონის გარშემო ტრიალებდა. ხოლო, ნილოსის ველის მაგისტრალურ ხაზზე იგი უცხო მოვლენად რჩებოდა.

მაგრამ პტოლემეური დინასტიის პირველ წარმომადგენელთა (პტოლემე პირველი ლაგოსი, პტოლემე მეორე ფილადელფოსი და პტოლემე მესამე ევერგეტი) ენერგიული მოღვაწეობით მოხერხდა ძლიერი ახალი ტიპის (ელინისტური) სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალებიდან თითქმის ასი

[1] Жан-Жак Руссо, Избр. соч., т. 1, 1961, 47.

წლის მანძილზე ურყევად ინარჩუნებდა პირველობის კეერთხს ხმელეთაშეა ზღვის აღმოსავლეთ აუზში.

მეკრეე ეკონომიურ ბაზაზე დაყრდნობით პტოლემეები ახერხებენ ფართო საგარეო პოლიტიკის წარმოებას სამი კონტინენტის შესაყარ გზა-კვანძში. ეგვიპტური სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ერთდროულად ფლობდა ეგეოსის სამხრეთ ნახევრის სტრატეგიულ და ეკონომიურ კომუნიკაციებს. III საუკუნის 70-იან წლებში ეგვიპტე წარმატებით ებრძოდა სელევკიდურ სირიას. ამ ომების შედეგად პტოლემეებმა დაისაკუთრეს მცირე აზიის ნახევარკუნძულის სამხრეთი რაიონები, კარია-იონიის ქალაქებს (ჰალიკარნასი, კნიდოსი, მილეტი, სამოსი), კიკლადური კუნძულების უმრავლესობა, კვიპროსი, სამხრეთ სირია (კელესირია) და მთლიანად ფინიკია. პტოლემეები ცდილობდნენ თავიანთი გავლენა კონტინენტურ საბერძნეთზეც გადაეტანათ. ისინი ხელს უწყობდნენ ყოველგვარ ანტიმაკედონურ მოძრაობას ბალკანეთზე. განსაკუთრებული აქტივობით ეხმარებოდნენ სპარტისა და ათენის გამოსვლას მაკედონელთა წინააღმდეგ.

248 წელს ეგვიპტის ტახტზე ავიდა პ ტ ო ლ ე მ ე მ ე ს ა მ ე ე ვ ე რ გ ე ტ ი, რომელმაც გამეფებისთანავე განაახლა ომი სელევკიდებთან, სირიისათვის. პირველი შეტევების შედეგად ეგვიპტელებმა აზიელებს წაართვეს სირიაც და შუამდინარული სამფლობელოებიც, მაგრამ სელევკიდებისა და მაკედონელების ახალმა კავშირმა შეაფერხა ეგვიპტის წინსვლა. ანტიოქე მეორის ჯარები წარმატებით უტევდნენ ხმელეთიდან, ხოლო ანტიგონე მაკედონელმა საზღვაო ბრძოლაში, კუნძულ ა ნ დ რ ო ს თ ა ნ, კიდევ ერთხელ გაანადგურა ეგვიპტელთა ფლოტი.

219 წელს დაიწყო ახალი ომი ეგვიპტესა და სირიას შორის. ეგვიპტის გამარჯვებას არავინ მოელოდა, რადგან მაშინ სახელმწიფოს სათავეში იდგა უქნარა, ლოთი და გარყვნილი პტოლემე მეოთხე ფილოპატორი (221—203). მაგრამ ეგვიპტელმა დიპლომატებმა მოახერხეს ვენერალური ბრძოლის ერთი წლით გადადება და არმიის მომზადება. 218 წელს მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ რაფიუმთან, ნილოსის დელტის ნაპირას. ბრძოლა დამთავრდა ეგვიპტელთა გამარჯვებით, მაგრამ პტოლემე მეოთხეს ბრძოლის გაგრძელება აღარ უფიქრია. მან დამარცხებულ მოწინააღმდეგესთან ზავი შეკრა და კელესირიის შემოერთებით დაკმაყოფილდა.

აფრიკისა და აზიის გზა-კვანძზე დროებითი წონასწორობა დამყარდა. ეგვიპტე ტრადიციულ სიძლიერეს და პრესტიჟს თითქოს ინარჩუნებდა...

ელინისტურ სახელმწიფოთაგან ტერიტორიულად ყველაზე ვრცელი იყო სირია, სადაც ბატონობდნენ სელევკიდები — მათი დინასტიის დამაარსებლის, სელევკოს ნიკატორის (308—280) შთამომავალნი.

სელევკიდური სირია გაშლილი იყო ძველი აქემენიდური სპარსეთისა და შემდგომ ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო მონარქიის ემეტეს ტერიტორიაზე.

მეფობის რამდენიმე პრეტენდენტის სიკვდილის შემდეგ, სელევკიდური მონარქიის ტახტზე დაჯდა ანტიოქე მესამე (223—187), რომელმაც რამდენიმე ლაშქრობა წარმატებით მოაწყო აღმოსავლეთში. ამ გამარჯვებათათვის მან მიიღო ეპითეტი „დიდი". პირველი წარმატებებით გათამამებულმა მეფემ სცადა დიდი მაკედონელის დროინდელ საზღვრებში აღედგინა თავისი იმპერია. აღმოსავლური ლაშქრობების შემდეგ მან მახვილი მიმართა სამხრეთ-დასავლეთით ეგვიპტის წინააღმდეგ. პირველი წარმატებების შემდეგ ანტიოქე გენერალურ ბრძოლაში მოწინააღმდეგეს შეხვდა ქ. რაფიუმთან. მას 82.000 ქვეითი, 6.000 მხედარი და 102 სპილო ჰყავდა. პტოლემე მეოთხე ფილოპატორმა ბრძოლაში მოიყვანა 70.000 ქვეითი, 5.000 მხედარი და 73 სპილო.

რაფიუმის ხოცვა-ჟლეტა ეგვიპტელთა გამარჯვებით დამთავრდა. ანტიოქემ კელესირია და ფინიკია ისევ დაჰკარგა.

ეგვიპტესთან ბრძოლაში ხელმოცარულმა „დიდმა" მეფემ გადაწყვიტა მსოფლიოს დაპყრობის უახლოეს პუნქტებად გაეხადა: მცირე აზია, ეგეოსის სამყარო და ბალკანეთის მთელი ნახევარკუნძული.

ამ დიდი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში ალექსანდრე მაკედონელის ეპიგონი გაცილებით უფრო მძლავრ მეტოქეს შეხვდა. ეს იყო რომი.

მცირე აზიას თავისი დიდი ტრადიციული ცივილიზაციით, ეკონომიური ცხოვრებით, ეთნიკური მრავალსახეობით და პოლიტიკური თავგადასავლით განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ელინისტურ სამყაროში.

ჯერ, თვით ალექსანდრე მაკედონელს ერთნაირი სიმტკიცით ვერ ნოეკიდებინა ფეხი მცირე აზიის ყველა კუთხეში, ხოლო, როცა დიდი დამპყრობელი გარდაიცვალა და დიადოხოსები და ეპიგონები ერთიმეორის ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ, მცირე აზიის პოლიტიკური რუკა კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა და მოზაიკური უერ-ფურით იკინძებოდა.

მცირე აზია ჯერ ალექსანდრეს მემკვიდრეების პერიდიკას, ევმენისა და ლისიმახეს საომარ ასპარეზს წარმოადგენდა. შემდეგ, ამ ყოველმხრივ მდიდარი ქვეყნის დაპყრობას ცდილობდნენ ელინისტური სამყაროს დიდი „ტრიუმვირნი" — ეგვიპტე, სირია და მაკედონია, ხოლო სელევკიდებმა შოახერხეს კიდეც ხელთ ეგდოთ კარია, კილიკია და კაპადოკიის ნაწილი.

ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში მცირე აზიაში უკვე ნათლად გამოინაკვთა რამდენიმე პოლიტიკური შენაერთი: პერგამოსი, ბითინია, გალატია, კაპადოკია და პონტო.

პერგამოსის ქვეყანა მოიცავდა მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს. აღმოსავლეთით მისი საზღვრები ებჯინებოდა ტავრის მთებს, დასავლეთით კი, ეგეოსის ზღვა ესაზღვრებოდა. აქაური ბერძნულ-იონიური ქალაქები პერგამოსის ვაჭრობა-ზღვაოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. შიდა ქალაქი — პერგამონი კი, სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი იყო.

ქვეყნის ყველაზე ნაყოფიერი ველი, კაიკუსი, საშუალებას იძლეოდა მრავალმხრივი მეურნეობის გაშლისათვის. აქ მისდევდნენ სოფლის მეურნეობას, მეხილეობა-მებაღეობას და მესაქონლეობას. პერგამოსი ხორბლეულის ექსპორტით მეორე ადგილზე იდგა ეგვიპტის შემდეგ. იდას მთებიდან პერგამოსელები ღებულობდნენ ხე-ტყეს და ფისს, რომლებიც გაჰქონდათ მაკედონიასთან საკონკურენციოდ. აქვე მისდევდნენ მეცხვარეობას, ზრდიდნენ ცხენებს კავალერიისათვის, იმავე მთებში მოიპოვებდნენ ვერცხლს, სპილენძს, ცოტაოდენ ოქროსაც, ხოლო რკინას ღებულობდნენ პონტოდან.

მცირე აზია ყოველთვის ცნობილი იყო შალის ნაწარმით, ხალიჩებით. ყველგან იცნობდნენ პერგამონში მოქსოვილ, ოქრო-მკედით ნაქარგ ფარდებს. აქვე მისდევდნენ საღებავთა წარმოებას, ქსოვილთა შეღებვას. ამ დროს იქნა მოპოვებული მინერალური საღებავები — rubrica sinopensis და sandarake, რომლებმაც სულ მალე მსოფლიო გავრცელება ჰპოვეს.

პერგამოსი მსოფლიოში ცნობილი გახდა პერგამენტის ქაღალდით, რომელმაც საგრძნობლად დასცა პაპირუსის ფასი...

პერგამოსის სამეფოს სათავეში ედგა ატალიდების დინასტია. მათი პირველი წარმომადგენელი, ევმენ I ატალის ძე, ტახტზე ავიდა 263 წელს. გამეფების მომდევნო წელს მან სარდთან სასტიკად დაამარცხა მის წინააღმდეგ დაძრული ანტიოქე პირველი და თავის სამეფოს სამუდამოდ დაუმკვიდრა დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ, ევმენი ოცდაორი წლის მანძილზე ისე განაგებდა ქვეყანას, რომ იმ სისხლიან ჭარიშხალში, რასაც საფუძვლად ეგვიპტის, სირიისა და მაკედონიის უწყვეტი ჭიდილი ედო, არსად პერგამოსის მეფე მოხსენებული არ

იყო არც ვისმეს მტრად და არც ვისმეს მოყვრად. პერგამოსი აღმოჩნდა რაღაცნაირ წყნარ ოაზისად, უშიშარ თავშესაფარად, და სწორედ ევმენზე შეიძლება ითქვას: bene vixit, qui bene latuit (კარგად ის ძლიერდება, ვინც კარგად იმალება).

პერგამოსის სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა და აყვავდა მომდევნო მეფის, ატალ პირველის დროს (241—197). ატალმა თავის ძლიერე ქვეყანას ამცნო გალატების განადგურებით (228). ამ გამარჯვებისათვის მიიღო მან მეფის ტიტული. ერთ ხანს იგი წარმატებით ებრძოდა სელევკიდებს. შემდეგ, მათთანვე ბრძოლაში მარცხი განიცადა, მაგრამ პერგამოსელი ახალ საორიენტაციო გზაზე დადგა, რითაც, მისი ფიქრით, „იხსნა" კიდეც თავისი ქვეყანა.

პერგამოსის ეს ახალი პოლიტიკური კურსი რომისკენ მიემართებოდა.

მცირე აზიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, პროპონტიდის, ბოსფორისა და ევქსინის პონტოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროებზე, ჩამოყალიბდა ბითინიის ელინისტური სახელმწიფო.

ბითინიაც მდიდარი ქვეყანა იყო. მას იცნობდნენ მაღალნაყოფიერი სახნავ-სათესი ველ-მინდვრებით, ნოყიერი საძოვრებით, ხეტყით, მთა-მადნეულით და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და საშთამადნო წიაღისეულის სიუხვე ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ფულადი მეურნეობის განვითარებას. ბრწყინვალე გეოგრაფიული მდებარეობა — აზიისა და ევროპის შემაერთებელი გზა-კვანძის ფლობა — უაღრესად ზრდიდა ბითინიის მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ-სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ბითინიის ქალაქები — ჰერაკლეა (შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე), ქალკედონი (ბოსფორის სრუტეში), კიზიკი და ასტაკი (ორივენი პროპონტიდის სანაპიროზე) — მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებად ითვლებოდნენ. ისინი მთავარ რგოლებს წარმოადგენდნენ აღმოსავლეთიდან და შავი ზღვის აუზის ყველა კუთხიდან მომავალ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა ჯაჭვედში.

ბითინიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების თარიღად ითვლება 297 წელი, როცა აქაურმა სატრაპმა ზიპოიტმა თავი დამოუკიდებელი ბითინიის მეფედ გამოაცხადა.

ბითინიის შემდეგმა მეფემ, ნიკომედე პირველმა კავშირი შეჰკრა იონიის თავისუფალ ბერძნულ ქალაქებთან და ეგვიპტის მეფე პტოლემე ფილადელფოსთან. იმავე დროს ნიკომედემ შეტევაზე გადმოსული სელევკიდების წინააღმდეგ დასახმარებლად მოუხმო აზიის ყველა ხალხთა საერთო მტრებს — გალატებს. სელევკიდებმა ამჯერად ვერ გაბედეს ბითინიის ხელის ხლება.

ნიკომედემ და მისმა მემკვიდრეებმა ხელი მიჰყვეს ახალგაზრდა

სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საქმეს. ელინისტური ცივილიზაციის ცენტრი შეიქმნა ქალაქი ნიკომედია (რომელიც სატახტო ქალაქად დააარსა ნიკომედე პირველმა).

ძვ. წ. II-საუკუნის დამდეგს ბითინიას განაგებდა მეფე პრუსია მეორე, რომლის დროსაც აღმოსავლეთში ფეხი შემოდგეს რომაელებმა.

ერთადერთი ქვეყანა მცირე აზიაში, რომელიც ელინიზმისაგან შორს დარჩა, იყო **გალატია.**

ახალი პოლიტიკური გაერთიანება გალატია დასახლებული იყო სამი ძირითადი კელტური ტომით — ტროკმები, ტოლისტოსაგები და ტეეტოსაგები. მათ ჯერ კიდეე ვერ დაეღწიათ თავი თებურ-ვეაროვნული წყობილების ძლიერი გადმონაშთებისაგან.

ამ კელტურმა ტომებმა სამკვიდრო საცხოვრებლად აირჩიეს მცირე აზიის ცენტრალური მიწები, სადაც ძველად, მითოლოგიური დროიდან, არსებობდა ფრიგიის ქვეყანა.

გალატთა საცხოვრებლები მიუვალ ციტადელებს წარმოადგენდნენ. ქვეყანა ყოველი მხრივ მოკვეთილი იყო ზღვისაგან და ამდენად საკაპრო-საზღვაო ურთიერთობისაგანაც. სამაგიეროდ. გალატებმა პირველხარისხოვანი სამხედრო ორგანიზაცია შექმნეს. ისინი **მუდმივ** საფრთხეს უქმნიდნენ მეზობელ ქვეყნებს. ესხმოდნენ მათ. ძარცვავდნენ და ძარცვა-გლეჯვას მთავარ საქმიანობად იხდიდნენ. ხშირად გალატები მოქირაენე მეომრებად მიდიოდნენ ელინისტურ სახელმწიფოთა შორის წარმოებულ **უწყვეტ ომებში.**

მცირე აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა **კაპადოკია.**

კაპადოკია უძველესი სახელწოდება იყო მთელ აღმოსავლეთ მცირე აზიისა. შემდეგ საკუთრივ კაპადოკიად იქცა მცირე აზიის ნაწილი, რომელსაც აღმოსავლეთიდან ეკვროდა სომხეთი. ჩრდილოეთიდან — პონტო, დასავლეთიდან — გალატია (უძველესი ფრიგია) და სამხრეთიდან — სელევკიდთა სახელმწიფო.

კაპადოკიაც, გალატიის მსგავსად, მოწყვეტილი იყო ზღვებს, რომლებიც იმ დროს ეგრერიგად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მსოფლიოს ხალხთა ეკონომიური ცხოვრების ინტენსიურ აღმავლობაში.

კაპადოკიის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა III საუკუნის 60-იან წლებში, როცა ადგილობრივმა სპარსელმა სატრაპმა არიარათემ დამოუკიდებელი მეფის გვირგვინი დაიდგა თავზე.

არიარათიდების დინასტიის მმართველობის ხანა და მთლიანად კაპა-

დოკიის პოლიტიკური თავგადასავალი მჭიდროდ არის დაკავშირებული პონტოს სახელმწიფოს ისტორიასთან.

პონტოს სახელწოდებაში ძველი ბერძნები ჩვეულებრივ შავი ზღვის — ევქსინის **პონტოს** — სამხრეთით მდებარე ქვეყნებს გულისხმობდნენ, ხოლო მცირე აზიის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელსაც ჩვენ საკუთრივ პონტოს ვუწოდებთ, ეს სახელი პირველად გაჩნდა ელინისტურ ეპოქაში, როცა მცირე აზიის ამ ნაწილში სახელმწიფო ჩამოყალიბდა.

გეოგრაფიულად პონტო მოიცავდა ოლქებს მდინარე ჭოროხიდან (აპსარი) მდინარე პართენიონამდე, მცირე აზიის მაღლობების ჩრდილოეთ ნაწილს და მდინარე ევფრატის ზემო დინების მიდამოებს.

ამ ტერიტორიაზე ადრიდანვე ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, ბოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველური ტომები ცხოვრობდნენ.

პონტოს სახელმწიფოს ზღვის სანაპირო ზოლზე ცნობილი ბერძნული კოლონიები — ამასტრისი, სინოპი, ამისოსი, თემისკირა, პოლემონია, კოტიორა, ტრაპეზუნტი და სხვ. — ჰყვაოდნენ, მათ თავიანთი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობით არ ჩამორჩებოდნენ ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქები: გაზელიონი, ფასემოხი, ამასია (შემდგომში მითრიდატე ევპატორის სატახტო ქალაქი), ძელა, გაზიურა, კომანა, ქაბეირა და სხვ.

ხალხი უმთავრესად ციტადელებით გამაგრებულ სოფლებში ცხოვრობდნენ და ქვეყანაც მთლიანად მოფენილი იყო მიუვალ ციცაბოებზე აგებული ციხე-ქალაქებით, რომლებიც განძეულობის შესანახსა და შიშიანობის დროს საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ. სტრაბონი, თვითონ წარმოშობით პონტოელი, მრავლად მოიხსენიებს ასეთ ციხე-ქალაქებს.

პონტოს მთიანეთი დაბურული იყო გაუვალი ტყეებით, სადაც უხვად მოიპოვებოდა გემთსაშენი და სხვა საოჯახო ინვენტარისათვის გამოსადეგი ხე-ტყე. იქვე მრავლად იყო ბეწვიანი გარეული ცხოველები და, რაც მთავარია, მთები მდიდარი იყო მთა-მადნეულით (რკინა, სპილენძი, ვერცხლი და სხვ.), რომლის დამუშავებასაც ადრიდანვე ეწეოდნენ იქ მცხოვრები ქართველური ტომები.

ასეული წლების განმავლობაში პონტოს ქარაიანები ეზიდებოდნენ ლითონს ასირიაში, ბაბილონიაში, სირიაში, ფინიკიასა და პალესტინაში, პროპონტის-დარდანელისა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებისაკენ.

პონტოელებს სახნავ-სათესი ფართობები შედარებით მცირე ჰქონდათ, მეტწილად მდინარეთა (აკამპსი, აპსარი, რიზე, გისე, ტრიპოლისი, მელანთიუმი, თერმოდონი, ირისი, ლიკოსი, ლიკასტი, ჰალი-

სი) მიდამოებში და ზღვის სანაპირო ზოლზე. მაგრამ რაც ჰქონდათ, საკმაოდ ნაყოფიერი იყო.

პონტოს ტერიტორიები ცნობილი იყო მესაქონლეობით (განსაკუთრებით, ცხვარეობა და სხვ.), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (განსაკუთრებით, ყურძენი, ღვინო, ზეთი), ხილით (ნიგოზი, ბალი) და არომატულ-ეთეროვან მცენარეთა სიუხვით. პონტო, დიდ ქალაქთა და ციხე-სიმაგრეთა გარდა, მოფენილი იყო მჭიდროდ დასახლებული სოფლებით. ამასიასთან მდებარე მდიდარ დაბლობს ეწოდებოდა „სილიოკომონი", რაც „ათასსოფლოვან ველს" ნიშნავს. მითრიდატეს მეორე ომის დროს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომაელთა სარდალმა მურენამ ერთი შეტევისას ოთხასი პონტოური სოფელი აიოხრა.

IV—III საუკუნეების მიჯნაზე მომზადდა ნიადაგი შავი ზღვის სამხრეთით მცხოვრებ ქართველურ ტომთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებისათვის.

პონტოს სამეფოს მმართველი დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი — მითრიდატე (337—302), ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთი დიადოხოსის — ანტიგონეს ბრძანებით სიკვდილით დაისაჯა. ისეთივე ბედი ელოდა მის შვილსაც, აგრეთვე მითრიდატედ წოდებულს. მაგრამ ამ უკანასკნელმა ტახტის მემკვიდრის, დემეტრიოსის ხელშეწყობით, მოახერხა სიკვდილისაგან თავის დაღწევა[1]. იგი რამდენიმე მხედრის თანხლებით გაიქცა პაფლაგონიაში. გამაგრდა ოლგასიის მთაზე მდებარე მიუვალ ციხე-სიმაგრე კიმიატაში და აქედან მოუწოდა მდინარე ჰალისის ორივე მხარეზე მცხოვრებ მოსახლეობას და იქ მყოფ მაკედონურ გარნიზონებს, გადასდგომოდნენ ანტიგონეს და მიმხრობოდნენ მას. მითრიდატემ ამ მოწოდების პასუხად მართლაც მიიღო მხარდაჭერა, რის საფუძველზეც მან პონტოს დამოუკიდებლობაც გამოაცხადა და გამეფდა კიდეც მითრიდატე პირველის სახელწოდებით.

დიადოხოსებს შორის გაუთავებელი ომების პერიოდში პონტოს სამეფო გაფართოვდა და გაძლიერდა. ამ ომების დასასრულს მითრიდატეს ხელში უკვე ეხედავთ ანკირას და მის გარშემო მდებარე ფრიგიის ველებს. აგრეთვე, მას შემოუერთებია ამასტრისი და, ამრიგად, პონტოს სამეფოს დასავლეთი საზღვარი მდინარე პართენიონამდე მისულა.

მითრიდატე პირველის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასულა არიობარზანი (226—256), რომელსაც განხეთქილება მოსვლია გალატებთან. იგივე გალატები მტრულად ეკიდებოდნენ მომდევნო

[1] დაწვრილებით იხ. ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, 1956. გვ 13 და შემდეგ.

მეფის, მითრიდატე მეორის (256—210) დროინდელ პონტოსაც. ისინი შეესივნენ აგრეთვე ჰერაკლეას, რომელმაც შიმშილობის დროს პური გაუგზავნა პონტოურ ქალაქს ამისოსს. ჰერაკლეელებმა დიდი გამოსასყიდით იხსნეს თავი გალატიელთაგან.

იმავე დროს, სისხლისაგან დაცლილი სელევკიდები იძულებული არიან სცნონ ახალგაზრდა პონტოს სამეფოს დამოუკიდებლობა. ისინი პონტოელ მეფეებთან მეგობრობასა და მოყვრობასაც კი ეძებდნენ.

სელევკოს კალინიკემ, რომელიც დიდ გასაჭირში ჩავარდა, ერთის მხრივ, პტოლემე ევერგეტის შემოტევისაგან და, მეორე მხრივ, აჯანყებული ძმის ანტიოქე ჰიერაქსისაგან, კავშირი დასდო მითრიდატე მეორე პონტოელთან, ცოლად მისცა თავისი და, რომელსაც მზითვად გაატანა დიდი ფრიგია. ასევე, შემდგომში ცნობილმა ანტიოქე მესამემ მოყვრობა-მეგობრობა გაბა მითრიდატესთან. მან ცოლად შეირთო პონტოელი მეფის ასული.

მითრიდატე მეორის მეფობის უკანასკნელი წლებიდან ცნობილია მისი ცდა სინოპის ხელში ჩაგდებისა. ეს ცდა მარცხით დამთავრდა. სინოპმა ჯერჯერობით დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ამის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე პონტოს სამეფოს ისტორია წყაროთა უკმარისობის ბურუსში იძირება. ეს იმ დროს, როცა რომაელებმა პირველად შემოდგეს ფეხი აზიაში და პონტოც ერთბაშად ამოიმართა აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე, იმ დროისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხთან (რომთან ურთიერთობა) დაკავშირებით...

ბ) ამიერკავკასიის ქვეყნები

ამიერკავკასიამ ერთდროულად შეასრულა კ ა ტ ა ლ ი ზ ა ტ ო რ ი ს ა და შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ლ ი ს როლი რომის იმ დიდი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებების პროცესში, რომელშიც წამყვანი როლის შესრულება დ ა ი წ ყ ო ელინისტურმა სამყარომ.

ამ მხრივ, იბერია-კოლხეთთან და ალბანეთთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძ ვ ე ლ ს ო მ ხ ე თ ს.

სომხეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივი სიმდიდრით ძველთაგანვე იქცევდა მეზობელი ქვეყნების ყურადღებას. მის მკვიდრ მოსახლეობას განუწყვეტელი ბრძოლის წარმოება უხდებოდა შემოსეულ მტერთა წინააღმდეგ.

სომხეთი დიდხანს იმყოფებოდა სელევკიდთა ბატონობის ქვეშ, განსაკუთრებით მისი სამხრეთ-დასავლეთი (სოფენა) და სამხრეთი ნაწილები. 190 წელს მაგნესიასთან ანტიოქე მესამის მარცხით ისარ-

გებლეს მისმა სარდლებმა, სომხეთის გამგებლებმა, არტაქსიამ (არტაშეს) და ზარიადრემ (ზარეხ) და სელევკიდების შემდგომ მორჩილებაზე უარი განაცხადეს. არტაქსია გამეფდა სომხეთში, ზარიადრე — სოფენაში. ამავე დროს, სელევკიდების ვასალობისგან თავი გაითავისუფლა მცირე სომხეთმა, სადაც გამეფდა მითრიდატე.

არტაშეს პირველს ხელი მიუყვია თავისი სამეფოს სახელმწიფო ორგანიზაციისათვის, სამეფო ძლიერებისა და ეკონომიური აშაღლებისათვის. მას ახალი სატახტო ქალაქი აუგია არაქსის დაბლობზე, სატრანზიტო გზების ერთ-ერთ გზაჯვარედინზე. ქალაქს მეფემ თავისი სახელის მიხედვით უწოდა არტაშატა (არტაქსატა). არტაშესი ცდილობდა, თავისი სახელმწიფოსათვის სოფენაც შემოეერთებინა. მაგრამ კაპადოკია და პონტო, რომელთაც აფიქრებდათ სომხეთის გაძლიერება, ხელს უშლიდნენ არტაშესის ამ წამოწყებას. სოფენასაც უფრო კაპადოკიისკენ ეჭირა ორიენტაცია და სომხეთის მხრიდან შემოტევის შემთხვევაში მის კალთას აფარებდა თავს.

სომხეთის პოლიტიკური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პართიის სახელმწიფოს წარმოშობას. პართიელები იმთავითვე ცდილობდნენ სომხეთის ხელში ჩაგდებას. ამავე დროს სელევკიდები კვლავ ფიქრობდნენ სომხეთის დაბრუნებას. პართიის ძლიერმა მეფემ, მითრიდატე მეორემ (124—89) დაიწყო ომი სომხეთის დასამორჩილებლად. სომხეთის მაშინდელი მეფე, ტიგრან პირველმა (არტაშეს პირველის ძე) დამარცხდა და იძულებული გახდა მტრისათვის დაეთმო თავის სამფლობელოთა სამხრეთი ნაწილები და მასთან, პართიის სასახლის კაშზე მძევლად გაეგზავნა თავისი ძე და მემკვიდრე ტიგრანი.

ახალგაზრდა ტიგრანმა მძევლობიდან ახალ ტერიტორიათა დათმობით დაიხსნა თავი. პართიიდან დაბრუნებისა და გამეფებისთანავე მან ხელი მოჰკიდა სომხეთის აღზევებისა და ამაღლებისათვის თავგამოდებულ ბრძოლას. ტიგრანი შეიქნა სომხეთის ცალკე, დაქუცმაცებულად არსებულ სახელმწიფოთა გამაერთიანებელი. ჯერ მან სომხეთს შემოუერთა სოფენა, შემდეგ რამდენიმე წარმატებითი ლაშქრობა მოაწყო სამხრეთის მიმართულებით. ტიგრანის სამეფოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებად იქცნენ ოზროენა, კორდუენა, ადიაბენა და ატროპატენა, ხოლო, ჩრდილოეთიდან — ალბანეთი და იბერია. სომხეთის ახალი გაერთიანების გარეთ რჩებოდა მხოლოდ მცირე სომხეთი, რომელიც ამ დროს პონტოს სამეფოში შედიოდა. სომხეთის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა კავშირი ტიგრანსა და გაძლიერებულ პონტოს მეფე მითრიდატე ევპატორს შორის. ეს კავშირი განპირობებული იყო დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებით.

დამოყვრებული მოკავშირენი (ტიგრანმა ცოლად შეირთო მიითრიდატეს ასული კლეოპატრა) ცდილობენ ფეხი მოიკიდონ მცირე აზიის ცენტრალურ რაიონებში (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ტიგრანი არ ივიწყებდა სამხრეთელ მტერს — პართიას. ვან პართიის მეფეს — არტაბან მეორეს — წაართვა ის სამოცდაათი ციქი, რომლებიც ადრე ტიგრანმა გაიღო მძევლობიდან თავის დასახსნელად. პართიის დამარცხების შემდეგ ტიგრანმა დაიწყო შეტევები სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, სადაც სულს ლევდა ხელევკიდთა უაღრესად შევიწროებული მემკვიდრეობა.

ტიგრანმა სცადა დიდი დამპყრობლური პოლიტიკის წარმართვა დასავლეთის მიმართულებითაც, მაგრამ იგი სწორედ აქ წააწყდა ყველაზე დიდ გადაულახავ წინააღმდეგობას.

წყარო ამ წინააღმდეგობისა იყო რომი...

ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ცენტრალური მდგომარეობა ეჭირა ქართულ **იბერიას**, იგივე ქართლის სამეფოს.

წერილობითი წყაროების უსრულობის პირობებში, თითქმის სრულიად შეუძლებელი ხდება იბერიის სისტემატური ისტორიის აღდგენა რომაელთა შემოჭრამდე განვლილ ეპოქაში. მაგრამ მეცნიერების ხელთარსებული მდიდარი არქეოლოგიური მასალები მრავალისმეტყველნი არიან ამ ქვეყნის მძლავრ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებათა ზოგად ხაზებში წარმოსადგენად.

მტერიც და მოყვარეც ძველი დროიდანვე მოხიბლული იყო იბერიის ბუნებრივი სიმდიდრეებით, მისი სიუხვითა და მშვენიერებით. ამიტომაც იგი მუდამ წარმტაც საგანს წარმოადგენდა მრავალრიცხოვან და მრავალსახოვან მტერთა აგრესიისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ადგილობრივ მოსახლეთა მეომრული სულის ჩამოყალიბებას და გავრცელებას. თითქმის ყოველი წყარო, რომელიც კი კავკასიელ იბერიელებს შეეხებია, იბერიელის მსაზღვრელ სიტყვად ყოველთვის ხმარობს: „მრისხანე", „მეომარი", „ძლიერი", „ამტანი" და სხვ. ბრძოლის ხელოვანთაგან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ იბერიელი შუბოსნები. პლუტარქე გადმოგვცემს, რომ, როცა ტიგრან სომეხთა მეფეს ლუკულუსთან ბრძოლა ჰქონდა (არსანიასთან), ყველაზე წინ იბერიელი შუბოსნები დააყენა, რადგან მას ყველაზე მეტად მათი იმედი ჰქონდა, როგორც პირველხარისხოვანი მეომრებისა[1].

იბერიელთა ტრადიციული პოლიტიკური დამოუკიდებლობის საქ-

---

[1] Plut. Luc. 31.

ვეყნო პოპულარობაზე მეტყველებს იგივე პლუტარქეს თქმა იმის შესახებ, რომ იბერიელები „არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს და მაკედონელთა ბატონობაც მათ თავიდან აიცილეს“[1].

ძველთაგანვე იბერია-ქართლის „ომფალოსს“ (ჭიპი) წარმოადგენდა მცხეთა და მისი ახლო რაიონები. „იგი სხვადასხვა მხრიდან (დასავლეთ საქართველოდან, მესხეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მდ. არაგვის ჩაყოლებით) მომავალი გზების შესაყარზე მდებარეობდა. მცხეთაზე გადიოდა აგრეთვე მსოფლიო შნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ მიემართებოდა შავი ზღვის ნავსადგურების გავლით. ინდური საქონელი მდ. ამუ-დარიით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში (რომელსაც ეროვოდა იმჟამად ეს მდინარე) და იქიდან მტკვარით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი უკვე ხმელეთით — სურამის უღელტეხილით — ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებამდე კერძოდ, ფაზისამდე (ახლანდელი ფოთი) აღწევდა, რომელიც იმდროისათვის მნიშვნელოვან ნავსადგურად იქცა...

ამას გარდა, მცხეთას და მის მიდამოებს, თავდაცვის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელი მდებარეობა ეჭირა. ეს იყო ძალიან ხელსაყრელი ადგილი მრავალი ურთიერთდაკავშირებული ციხე-სიმაგრის ასაგებად“[2].

ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან იბერია-ქართლის სათავეში დგება ფარნავაზიანთა დინასტია. ქვეყანა განსაკუთრებით ძლიერია ძვ. წ. III საუკუნეში. ამ დროს იბერია „არა მარტო მთელ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, არამედ მის მოსაზღვრე ოლქებსაც ფლობდა. მას ეკუთვნოდა, კერძოდ, გვიანდელი მესხეთი, აჭარა. ამ რაიონში ქართლის სამეფო შავი ზღვის ნაპირზე გადოდა“[3].

იმავე პერიოდში იბერიელმა მეფეებმა წარმატებით ილაშქრეს აღმოსავლეთის მიმართულებით და დაიმორჩილეს ალბანეთის ის ოლქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან ეკუთვნოდნენ ქართლს.

დაახლოებით ასეთი პოლიტიკური ჰაბიტუსით დახვდა იბერია რომაელების გამოჩენას აღმოსავლეთში.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში, მეორე სახელმწიფოებრივი გაერთიანება კოლხეთი დასავლეთ საქართველოში არსებობდა.

[1] Plut. Pomp. 34.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 33—35.

[3] იქვე.

კოლხეთიც მოძმე იბერიის ანალოგიური სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებით ცხოვრობდა. იგი აწ მოხსენიებულ მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზა-კვანძის ერთ ცენტრალურ მონაკვეთს წარმოადგენდა. ქვეყნის უმეტესი ნაწილი უხვი და მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო რაიონებისაგან შედგებოდა. ბორბლეულს გარდა მოჰყავდათ სელი და კანაფი. მაღალ დონეზე იდგა მევენახეობა, მეღორეობა და მებაღეობა-მებოსტნეობა, ქვეყანა ცნობილი იყო მეფუტკრეობით, თაფლით და ცვილით. კოლხეთის მთასა და ბარში მრავალი სახის მესაქონლეობასაც მისდევდნენ (მსხვილფეხა პირუტყვთა ჯოგი, ცხენთა რემა, ცხვრის ფარა, ძროხათა მროწლე, თხის არვე და ღორების კოლტი). ძველმა კოლხებმა სახელი გაითქვეს ხელოსნობით, განსაკუთრებით ტილოს წარმოებით და ოქრომჭედლობით. ზღვის სანაპირო ზოლზე ვაჭრობასა და აღებმიცემობას ხელს უწყობდნენ ბერძნული ფაქტორიები. ვაჭრობა და ფულადი მეურნეობა გაცხოველებული იყო შიდა რაიონებშიც. ამაზე მეტყველებს კოლხეთის ერთიანი ფულადი ერთეულის — „კოლხური თეთრის" გავრცელება მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებზე.

რომაელთა მოსვლის ჟამს კოლხეთს დამოუკიდებლობა უკვე დაკარგული ჰქონდა. იგი პონტოს სამეფოს მორჩილებაში შედიოდა. ასე რომ, კოლხები პონტოელ ქართველებთან ერთად შეხვდნენ დასავლეთიდან მოსულ დიდ დამპყრობლებს[1].

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლები საისტორიო წყაროები მოგვეპოვება **ალბანეთის** შესახებ. ეს იყო კასპიის ზღვასა და იბერიას შორის მდებარე ქვეყანა, სტრაბონის თქმით, უაღრესად ნაყოფიერი და მოსავლიანი[2].

ალბანელები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას (ცხენების, აქლემების, ხარ-ძროხისა და თხების მოშენებას) და ზოგიერთი სახის ხელოსნობას (სამუშაო და საომარი იარაღის მკეთებლობა, დაბაღობა და სხვ.). ალბანეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდიდა მისი მდებარეობა აღმოსავლეთ-დასავლეთის დიდ შემაერთ მაგისტრალზე.

სტრაბონი ალბანეთში ოცდაექვს ენაზე მოლაპარაკე ტომს მოითვლის. ტომთა სათავეში დამოუკიდებელი ბელადები იდგნენ, მაგრამ

---

[1] ძველი კოლხეთის შესახებ დაწვრილებით იხ. Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, 1958.

[2] Str. XI, 2, 19.

ძვ. წ. პირველი საუკუნისათვის უკვე ხორციელდება მთელი ალბანეთის უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი მეფის ხელში. ასეთივე ფორმით დახვდნენ ისინი მათ ქვეყანაში რომაელების მოსვლას[1].

ამგვარად: ახლა დიდ მსოფლიო დამპყრობელს წინ ედო აღმოსავლეთის მრავალი ფერით აჭრელებული პოლიტიკური რუკა.

და ეს მაშინ, როცა რომაულ მახვილს ყოველთვის წინ მიუძღოდა და გზას უწალდავდა სახელგანთქმული, მრავალნაცადი დიპლომატიური დევიზი: divide et impera!

რომს ახლა აღარც კი სჭირდებოდა ამ დევიზის წინასწარი განხორციელებისათვის, ჩვეულებრივ, დაძაბული ფიქრი და ზრუნვა. აღმოსავლეთი თვითონ იყო დათიშულ-დაფლეთილი და საჭირო ერთიანობას მოკლებული; იგი, პოლიტიკურად დაქსაქსული, ელოდებოდა დასავლეთიდან „ელეა-ნთხევით“ და „მეხთა-ტეხით“ დაძრულ „მგლის ნაშიერთ“.

თავი მეორე

რომისა და ეღინისფური სამყაროს რადიკალური ურთიერთობის დასაწყისი

1. როგორ დაიწყო „მეორე მაკედონური ომი“

პოლიტიკური წინასწორობა, რომელიც რაფიუმის ბრძოლის შემდეგ არსებობდა მაკედონია-სირია-ეგვიპტეს შორის, უეცრად დაირღვა 203 წელს, როცა გარდაიცვალა პტოლემე IV-ფილოპატორი, უქნარა, მოსახსარი და გარყვნილი მეფე ეგვიპტისა. სასახლის კარზე მოპარპაშე ზნედაცემულმა მედროვეებმა თავიანთი პოლიტიკური პოზიციების გამაგრების მიზნით 202 წლამდე მოახერხეს მეფის სიკვდილის დაფარვა. როცა ყველაფერი გამქღავნდა და ეგვიპტის ტახტზე გარდაცვლილი მეფის მცირეწლოვანი ვაჟი პტოლემე მეხუთე ეპიფანე დაჯდა, ფილიპე მაკედონელმა და ანტიოქე სირიელმა ისარგებლეს ეგვიპტის სასახლის კარის სისუსტით და მუდამ ერთმა-

[1] ძველი ალბანეთის შესახებ დაწერილებით იხ. Тревер К В., Очерки по истории и культуры Албании IV в. до н. э. — VII в. н. э., 1959.

ნეთში სამტროდ შემართულმა გვირგვინოსნებმა საიდუმლო კავშირი შეკრეს პტოლემეების სამფლობელოთა გასანაწილებლად.

ანტიოქე მესამეს პირველ რიგში ეგვიპტესთან მუდამ სადავო კელესირია და კუნძული კვიპროსი აინტერესებდა, ფილიპე მეხუთეს კი — აფრიკის კირენადან დაწყებული, მთელი ეგეიდა კიკლადებით, მცირე აზიური იონიითა და პროპონტიდის უკიდურეს ჩრდილო სანაპიროებით დამთავრებული.

მეფეები სწრაფად შეუდგნენ თავიანთ სამხედრო გეგმათა განხორციელებას. ანტიოქემ ერთის დარტყმით გაანადგურა ეგვიპტელთა ჯარები და კელესირიას დაეუფლა. მხოლოდ ქალაქ ღაზას მედგარმა წინააღმდეგობამ შეაყოვნა ანტიოქე ეგვიპტის კარიბჭეებთან.

ამასობაში ფილიპე მეხუთემ, ბითინიის მეფე პრუსიასთან კავშირით მხარგამაგრებულმა, საზღვაო და სახმელეთო ძალები დასძრა ჰელესპონტისა და პროპონტიდის სანაპიროთა დასაპყრობად. ჯერ, თრაკიის პირზე მაკედონელებმა ხელთ იგდეს ქალაქი ლისიმახია, რომელიც ეტოლიის კავშირში შედიოდა. შემდეგ აიღეს ბიზანტიონის მფარველობის ქვეშ მყოფი პერინთი. პრუსიამ ფილიპეს ხელშეწყობით დაიმორჩილა ქალკედონი და კიოსი.

ეგეოსის ჩრდილო ნაწილისა და ჰელესპონტ-პროპონტიდის საკაპრო-ეკონომიურ არტერიათა გადაკვრამ შიმშილისა და გაკოტრების საფრთხის ქვეშ დააყენა ბერძნული ქალაქები, განსაკუთრებით, ათენი და როდოსი, რომლებიც ჩრდილო-აღმოსავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობით ირჩენდნენ თავს. ამას გარდა, საერთო აღშფოთებას იწვევდა დამპყრობელთა უსაზღვრო სისასტიკე და აღვირახსნილობა დაპყრობილ თავისუფალ ქალაქთა მიმართ. მაგალითად, ქალაქი კიოსი ფილიპემ, როდოსელთა შუამდგომლობის მიუხედავად, საძირკვლამდე დააქცია და მთელი მისი მოსახლეობა მონად გაპყიდა. ასეთივე ბედი ეწია თასოსს და ლამპსაკს. შემდეგ ფილიპე მიადგა კარიის ბერძნულ ქალაქებს, რომლებიც უახლოეს კავშირ-ურთიერთობაში იყვნენ როდოსის რესპუბლიკასთან.

როდოსი გადაჭრით დადგა მაკედონელთა აგრესიის აღკვეთის გზაზე. როდოსმა სტრატეგოს თეოფილისკეს მოწოდებით, ფილიპეს ომი გამოუცხადა. როდოსის გვერდით დადგა პერინთის დაკარგვით აღშფოთებული ბიზანტიონი. იმავე დღეებში მათ შეუერთდა პერგამოსის მეფე ატალი, რომელიც კარგად ხედავდა რა საფრთხესაც უქმნიდა მის მცირე აზიურ სამეფოს მეტოქე-მეზობლის, ბითინიის კავშირი მაკედონიასთან და მათი ერთობლივი იერიშები ქალაქების დასაპყრობად. ბოლოს, ხანგრძლივ ნეიტრალიტეტზე ხელი აიღო ათენ-

მა და ისიც მაკედონური აგრესიის წინააღმდეგ აღმართული საბრძოლო დროშის ქვეშ დადგა.

მოკავშირეებმა ფილიპეს წინააღმდეგ საომრად საკუთარი ძალები არასაკმარისად ჩასთვალეს და უფრო ძლიერი დამხმარე ძალის მიმხრობა გადწყვიტეს.

ასეთ ძალად მიჩნეული იქნა რომი, რომელმაც ეს ეს არის ძლევამოსილად დაამთავრა ომი კართაგენთან (201).

უკვე კარგა ხანი იყო, რაც მაკედონიის საწინააღმდეგოდ დარაზნულ ბერძნულ კოალიციას რომი თავის მოკავშირე ქვეყნად მი ჩნდა. ასევე, ეგვიპტის სასახლის კარსაც მაკედონიისა და განსაკუთრებით სელევკიდური სირიის მხრივ ხელყოფის თავიდან ასაცილებელად, ბოხოვნელის თვალი მუდამ რომისკენ ეჭირა.

და აი, 201 წელს, სასტიკი „ჰანიბალის ომის" დასასრულის მომდევნო დღეებში, რომის ფორუმზე გამოჩნდნენ ელჩები აღმოსავლეთიდან — ეგვიპტის, როდოსის, პერგამოსისა და ათენისაგან.

რომიდან მაკედონიაში გაეშურა ელჩობა, რომლის მთავარი ამოცანა იყო, რომის მხარეზე უზრუნველეყო „ჩაგრული საბერძნეთის" კავშირი და ფილიპესთვისაც ისეთი ულტიმატური ხასიათის მოთხოვნები წაეყენებია, რომლის მიღებას მეფე კატეგორიული უარით შეხვედებოდა და უკვე დაწყებული ომიც ძალაში საბოლოოდ დარჩებოდა. სანამ რომაელი ელჩები -- მარკუს ემილიუს ლეპიდე, გაიუს კლავდიუს ნერონი და პუბლიუს სემპრონიუს ტუდიტანი — ფილიპესთან გამოცხადდებოდნენ, მანამდე პროპრეტორმა მარკუს ვალერიუს ლევინმა 38 ხომალდი შეიყვანა ეგეოსის ზღვაში „მოკავშირე" ბერძნების დასახმარებლად და მაკედონიასთან საომრად. ეს იყო თავისებური პრელუდია ომისა, რომელიც ჯერ ფორმალურად არც კი გამოცხადებულა. რომაული ელჩობის მოსვლამდე ფილიპემ უკვე მოასწრო რამდენიმე ბრძოლის გადახდა ბერძნებთან და მათ მოკავშირე მცირე აზიელებთან. რომის ხელისუფლებას აღმოსავლეთში ელჩობისა და დიპლომატიურ მოლაპარაკებათა შედეგებისათვის არ დაუცდია. ელჩობას ფეხდაფეხ მოჰყვებოდა კონსული პუბლიუს სულპიციუს გალბა. მან ორი ლეგიონით, ათასი ნუმიდიელი ცხენოსნით, სპილოებითა და ფლოტით ბრუნდიზიუმიდან გადალახა ადრიატიკის ზღვა და ფეხი შედგა ბალკანეთის მიწაზე, აპოლონიის მახლობლად

ასე დაიწყო 200 წელს ე. წ. „მეორე მაკედონური ომი". ასე გადადგა რომმა გადამწყვეტი ნაბიჯი აღმოსავლეთის მუდმივად რთულ პოლიტიკურ და სოციალურ საქმეებში. დადგა ახალი საუკუნე და, მასთან ერთად, ანტიკური დროის საერთაშორისო ურთიერთობათა

ახალი საფეხურიც „დასავლეთისა და აღმოსავლეთის“ ურთიერთობაში. რომი მსოფლიო მოქმედების ახალ გზას დაადგა...

ომები ბალკანეთზე პირველი ორი წლის განმავლობაში დუნედ და უშედეგოდ მიდიოდა, ხოლო 198 წელს რომში გადაწყდა საგანგებო ზომების მიღება მაკედონიის განადგურების მიზნით.

ამ დროის რომში, სციპიონ აფრიკელის შემდეგ, ტ. კვინქციუს ფლამინინუსი ყველაზე ღირსეული პიროვნება იყო მათ შორის, ვისაც უნდა შესძლებოდა აღმოსავლეთის გართულებული პოლიტიკური სიტუაციისთვის თავის გართმევა. ფლამინინუსმა ადრე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა სარდალმა, შორსმხედველმა პოლიტიკოსმა და მოქნილმა დიპლომატმა. მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ ქვესტორობისთვის საჭირო ოცდაორი წელიც არ შესრულებოდა და, მაშასადამე, საკონსულო ასაკისათვის (43 წელი) ვერ მიეღწია, აღმოსავლეთის საკითხმა დღის წესრიგში დააყენა კონსტიტუციური შეზღუდვის გ ა უ ქ მ ე ბ ი ს აუცილებლობა და იგი 198 წელს წამოყენებული იქნა კონსულის კანდიდატად. ფლამინინუსის „ნაადრევი“ კონსულობა სხვა მხრივაც არღვევდა რომაულ-რესპუბლიკურ კონსტიტუციას: კონსულად შეიძლებოდა გასულიყო მხოლოდ ის, ვისაც გავლილი ჰქონდა ქვესტურა, ედილობა, ან პრეტურა, ფლამინინუსს კი ჯერ არც ერთი მათგანის რწმუნება არ ჰქონია. ამიტომაც მისი კონსულად არჩევის საკითხი რომში მიმდინარე სოციალური ბრძოლის ერთ-ერთ საბაბად იქცა. ახალგაზრდა ფლამინინუსი წარმოშობით და მრწამსით ნამდვილი არისტოკრატი-პატრიციუსი იყო და მაშასადამე, არისტოკრატიული ოლიგარქიული ბირთვის, სენატის რჩეული. ბუნებრივია, რომის ქვედა ფენები პოპულარები, ალმაცერად უცქეროდნენ „ნაადრევად აფრენილ“ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. უეჭველად ასეთი განწყობილების შედეგი უნდა ყოფილიყო სახალხო ტრიბუნების, მარკუს ფულვიუსისა და მანიუს კურიუსის გაშოსვლა. „ისინი საშინელებად მიიჩნევდნენ იმას, რომ ახალგაზრდა კაცი, ჯერ გამოუცდელი სახელმწიფო მმართველობის საიდუმლოებებში, კანონთა წინააღმდეგ, ძალით მიილტვის ხელისუფლების მოპოვებისაკენ“[1]. თუმცა ლივიუსი წერს, რომ ფლამინინუსი უკვე იყო ქვესტორი, მაგრამ ეს მაინც არ ართმევდა საბაბს სახალხო ტრიბუნებს გამოსულიყვნენ „რესპუბლიკური კონსტიტუციის“ დასაცავად, რადგან არც ედილობა და არც პრეტურა ფლამინინუსს გავლილი არ ჰქონდა. ტიტე ლივიუსიც წერს: „არჩევნები ბრკოლდებოდა ტრიბუნების მ. ფულვიუსისა და მ. კურიუსის წინააღმდეგობის გამო, რადგან ისინი ნებას არ იძლეოდნენ, ტ. კვინქციუს ფლამინინუსს კონსულობა მოეპოვებინა პირდაპირ ქვესტურიდან. ისინი ამბობ-

[1] Plut. Tit. 2.

დნენ: „ქვესტორობისა და ედილობის თანამდებობებს აღარაფრად აგდებენ და აღარც ერთი თანამდებობიდან მეორეზე თანდათანობით აღარ გადაღიან. — რომ ამით აჩვენონ თავისი უნარიანობა, — არამედ კეთილშობილი ადამიანები კონსულობისაკენ მიილტვიან საშუალედო თანამდებობებზე გადახტომით, და სურთ პირდაპირ დაბალიდან მაღალი (თანამდებობა) დაიჭირონ"[1], აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სახალხო ტრიბუნების პროტესტი იმის გამო, რომ „კეთილშობილი ადამიანები აღარად აგდებენ კონსტიტუციურ განაწესს და „ხტუნიობით" (transcendendo) უნდათ ხელისუფლების სათავეში მოქცევა. ამ პასაჟში მაშინდელი რომის სოციალური ბრძოლის სურათი ნათელია. ამასვე მიუთითებს ის, რომ ტიტე ლივიუსი ფლამინინუსის კონსულად არჩევა-არარჩევისათვის ბრძოლას ნათლავს როგორც „ჭიდილს საზოგადოებრივ მოედანზე (res ex campresti certamine)"[2].

შემდეგ „საზოგადოებრივი მოედნიდან" საქმე გადავიდა სენატში, სენატიდან სახალხო კრებაზე და, ბოლოს და ბოლოს, ამდენი გადასვლ-გადმოსვლის შემდეგ, მომავალი „აღმოსავლეთის გმირი" გავიდა კონსულად — როგორც consul armatus — კონსული მეომარი აღმოსავლელი გვირგვინოსანის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ ვისმეს შეეძლო საბერძნეთში ელინური სამყაროს „გამათავისუფლებლის დროშა" გადაეტანა, ამის ყველაზე მეტი პრეტენზია ტიტე კვინქციუს ფლამინინუსს ჰქონდა, რადგან მას უკვე კარგად იცნობდნენ როგორც თავგამოდებულ ელინოფილს, ელინური და ელინისტური კულტურის დიდ თაყვანისმცემელს...

ფლამინინუსს, იმ არმიებისა და საზღვაო ძალების გარდა, რაც ბალკანეთზე უნდა ჩაებარებინა, დამატებით ნება ეძლეოდა დაეკომპლექტებინა ახალი ლეგიონები რვაათასი ქვეითი მეომრისა და რვაასი მხედრის რაოდენობით. აქედან რომაელი იყო სამიათასი ქვეითი და სამასი ცხენოსანი, დანარჩენი — „მოკავშირე"-ლათინები.

ფლამინინუსი არმიის შეკრებისთანავე გაემართა აღმოსავლეთისაკენ. მან ჯერ ჯარები გადაიყვანა კორკირაზე, მერე გადავიდა ეპირში და სწრაფი მარშით გაჩნდა ფილიპეს პირისპირ. აქ ის ძველი და ახალი არმიების შეერთება-რეორგანიზაციის პარალელურად შეუდგა მტრის პოზიციების და ახლო-მახლო ადგილმდებარეობათა რეკოგნოსცირებას.

198 წელს ფლამინინუსსა და ფილიპეს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა, მაგრამ ამას გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია.

---

[1] Liv. XXXII, 7.

[2] იქვე.

2. მაკედონიის პირველი განადგურება

აღმოსავლეთის საკითხი შემდგომ წელს კიდევ უფრო მწვავედ დაისვა სენატსა და კომიციებზე. ჩვეულებრივი წესით, რომაული კონსტიტუციის მიხედვით, ახალი წლისათვის რომელიმე დიდ ქვეყანასთან დაკავშირებული საქმის წარმოება, განსაკუთრებით კი მასთან საომარი მოქმედების ხელმძღვანელობა, უნდა დაკისრებოდა ახლად არჩეულ კონსულს, ხოლო გასული წლის იგივე მაგისტრატს ჩვეულებრივად მის ვადაგასულ რწმუნებებთან ერთად უნდა მოეხსნა მთავარსარდლობის ინსიგნიებიც. მაგრამ ახლა აღმოსავლეთის საკითხმა ისევ მოითხოვა „ჩვეულებრივი კონსტიტუციის“ დარღვევა და ახალი „არაჩვეულებრივი“ ღონისძიების გატარება. მოვუსმინოთ ტიტე ლივიუსს.

„როცა კონსულები (იგულისხმებიან ახლად არჩეული კონსულები, გაიუს კორნელიუსი და გაიუს მინუციუსი, ლ. ს.) კენჭის საყრელად ემზადებოდნენ იტალიასა და მაკედონიასთან დაკავშირებით, სახალხო ტრიბუნები, ლ. ოპიმიუსი და გ. ფულვიუსი, წინ აღუდგნენ და აბობდნენ: „მაკედონია ძალიან შორეული პროვინციაა და აქამდე მასთან ომში მთავარი დაბრკოლება ის იყო, რომ კონსული დაიწყებდა თუ არა მოქმედებას, მაშინვე უკან ვიძახებდით, ომის მთელის ძალებით წარმოების პერიოდში. უკვე მეოთხე წელია, რაც მაკედონელებს ომი გამოვუცხადეთ. სულპიციუსმა წლის უდიდესი ნაწილი მეფისა და მისი ჯარის ძებნაში გაატარა. ვილიუსი სწორედ იმ დროს იქნა გამოწვეული, როცა ნაზად იყო მტერს შეპარული: ა'ე, რომ ვერც მან მოასწრო რაიმეს გაკეთება.

კვინქციუსმა კი წლის უდიდესი ნაწილი, საღვთო საქმეებთან დაკავშირებით, რომში გაატარა, თუმცა საქმეს მაინც ისე წარმართავდა, რომ პროვინციაში როგორმე ადრე მისულიყო. ახლა, როცა ის თითქმის გაეშურა დასაზამთრებლად, და, როგორც ამბობენ, ისე კარგად მომზადებულა სამოქმედოდ, თუ მას მემკვიდრე ხელს არ შეუშლის, ალბათ მომდევნო ზაფხულში ომსაც დაამთავრებს“[1].

მაშასადამე, სახალხო ტრიბუნთა სამართლიანი განსჯის მიხედვით, აღმოსავლეთის (ამჯერად მაკედონია-საბერძნეთის) საკითხის გადასაჭრელად არ კმარა ერთწლიანი კონსულატი; მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ერთი პიროვნებისადმი ისეთი მაგისტრატურის მინიჭება, რომლის რწმუნებებიც რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის ფარგლებს გასცილდება. რაც სახალხო ტრიბუნთაგან ითქვა, კიდევაც იქმნა. ახლად არჩეულ კონსულებს, გაიუს კორნელიუსს და გაიუს მინუციუსს, სამმართველოდ მისცეს მხოლოდ

[1] Liv. XXXII, 28.

იტალია, „კვინქციუსს კი ძალაუფლება გაუგრძელეს მანამ, სანამ მას სენატის დადგენილებით კონსულობის შემცვლელი არ დაენიშნება“[1].

ასე, რომ ფლამინინუსი, რომლის „ნაადრევი კონსულობაც“ დარღვევა იყო რომაულ-რესპუბლიკური პრინციპებისა, ახლა ხელმეორე მაგალითი შეიქმნა იმავე პრინციპების კიდევ უფრო საგრძნობი უგულებელყოფისა და უკუგდებისა. იგი, უკვე არჩეული ორი კონსულის გვერდით, თვითონ კონსულის უფლებებით განაგრძობს მთავარსარდლობას და საერთოდ პოლიტიკურ თავკაცობას აღმოსავლეთში.

ამ „მესამე კონსულს“ ნუმიდიელი მეფის, მასინისასგან გამოგზავნილი დახმარების გარდა, ბალკანეთზე ახალ დამხმარე ძალად გაუგზავნეს 5.000 ლეგიონერი, 300 მხედარი და 3.000 მეზღვაური. თან ფლამინინუსს დამატებით ორი ლეგატიც დაუნიშნეს. ესენი იყვნენ წინა წლის კონსულები, პ. სულპიციუს გალბა და პ. ვილიუსი.

ვნახოთ, როგორ გაამართლა ამ ერთი პერსონასადმი მინიჭებულმა საგანგებო რწმუნებებმა და მის საფასურად რა სარგებლობა ძოუტანა რომს „რესპუბლიკური კონსტიტუციის“ დარღვევამ, — „ცვლილებამ, რომელიც დაკავშირებული იყო მრავალ უხერხულობასთან“[2].

ორთვიანი ზავი იწურებოდა. მოწინააღმდეგენი გამალებით ემზადებოდნენ ხელახალი შეჯახებისთვის. ფილიპეს განსაკუთრებით აფიქრებდა მისგან გეოგრაფიულად და პოლიტიკურად დაშორებული სამხრეთ საბერძნეთი, სადაც აქეის ლიგა რომთან კავშირში ეძებდა დაკარგული „ელევთერიის“ აღდგენას. სამხრეთ საბერძნეთის ქალაქთა შორის კვლავ კორინთო და არგოსი რჩებოდნენ ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტებად მიმდინარე ომში. ამიტომ მაკედონიის მეფემ ჯერ არგოსის საკითხის გადაჭრით ორი კურდღლის ბოკვლა სცადა: ჩამოეშორებინა იგი რომის კავშირისაგან და მისი მეოხებით, პელოპონესში მისთვის დაკარგული აქეის ნაცვლად, ახალი მოკავშირე გაეჩინა. მან არგოსი ლაკედემონელ ტირანს, ნაბისს შესთავაზა იმ პირობით, თუ რომთან ბრძოლაში მაკედონელები გაიმარჯვებდნენ, ნაბისი ფილიპეს უკანვე დაუბრუნებდა არგოსს, ხოლო თუ დამარცხდებოდა, ლაკედემონელი დაინარჩუნებდა მას. ამავე დროს, ლაკედემონთან კავშირის გაძლიერების მიზნით, მაკედონიის მეფე დამოყვრებას (დამზახლებას) სთავაზობდა ნაბისს. თანაც, ფილიპეს იმედს ლაკედემონთან კავშირზე ისიც აძლიერებდა, რომ ნაბისი საომარ მდგომარეობაში იყო აქეასთან, რომის მოკავშირესთან. ნაბისმა არგოსი მართლაც ჩაიბარა, მაგრამ ეს მოხდა თვით არგოსელთა სურვილის წინააღმდეგ; იარაღის ძალით, მტრობით, ძარცვით

---

[1] Liv. XXXII, 28.

[2] Моммзен Т., История Рима, т. I, М., 1956, 672.

და რეპრესიებით აიღეს არგოსი ლაკედემონელებმა. ასე, რომ ძმა-თაშორისი ომით ბერძნები კვლავ ასუსტებდნენ ერთიმეორეს და ამით დამპყრობს — მაკედონია იქნებოდა ის თუ რომი — გამარჯვების მეტ შანსებს აძლევდნენ. თვითონ ფილიპესთვისაც, არგოსთან დაკავშირებული, თითქოს კარგად დაწყებული საქმე, იმთავითვე ცუდად დატრიალდა. არგოსი მეფის სურვილისამებრ თითქოს „საიმედო ხელს“ ჩაბარდა, მაგრამ იმავე ხელმა მაშინვე მაკედონელთა წინააღმდეგ საომარი მახვილის ლესვა დაიწყო. ნაბისმა „ელჩები გაუგზავნა კვინქციუსს ელატეაში და ეგინაზე გამოსაზამთრებლად მყოფ ატალს, და აცნობა მათ: რომ არგოსი მის ხელში იმყოფება, და თუ კვინქციუსი მოვა თათბირზე, მაშინ ნაბისსაც ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი მორიგდებიან“[1].

ამრიგად, ამ წელსაც (197), ბალკანეთზე ამ მეოთხე რომაული ექსპედიციის დროს, კვლავ სრული დაქუცმაცებულობა, ურთიერთქიშპი, სისხლის ღვრა ბალკანეთის ხალხებს შორის, და არა მარტო მაკედონელებსა და ბერძნებს შორის (რაც შეიძლება, ბუნებრივადაც ჩაითვალოს), არამედ თვით ბერძენთა შორისაც. ე. ი. არცერთი მხრიდან არ ჩანს ოდნავი, მკრთალი ტენდენციის მსგავსი რაიმე ერთიანი ფრონტის შეკვრისა დასავლეთიდან მოწოლილი ძლიერი დამპყრობელის წინააღმდეგ. პირიქით, რომაული ვეშაპის მსხვერპლნი იმ ცეცხლზედვე ასხამენ ნავთს, რომელშიც თვითონ უნდა ჩაინთქნენ. რასაც ახლა ტიტე კვინქციუს ფლამინინუსი ნატრობდა, მოწინააღმდეგეც იმას უსრულებდა. უკეთესს რას ისურვებდა: აქეის კავშირის მიმხრობის შემდეგ მას პელოპონესში ლაკედემონი აფიქრებდა და ახლა თვით ლაკედემონის მბრძანებელი ითხოვდა რომაელ სარდალთან კავშირს, თუნდაც ეს კავშირი მორჩილებასაც უდრიდეს. მერე, კავშირს სთავაზობს ის, ვისაც ახლა ხელში უჭირავს არა მარტო უჯიათი და გულღრძო სპარტა, არამედ პოლიტიკური ჭირვეულობით ცნობილი არგოსი. ამრიგად, ფილიპეს მოქნეული ხელით მართლაც მოიკლა ორი კურდღელი, მაგრამ არა მის სასარგებლოდ, არამედ მისი მოსისხლე მტრის სასარგებლოდ.

ფლამინინუსმა, ატალის რჩევით, თავი არ დაიმდაბლა და არგოსში არ ეახლა ნაბისს. მან სიკიონში დაუნიშნა პაემანი ლაკედემონელ ტირანს. მოლაპარაკებაში ფლამინინუსსა და ნაბისს გარდა მონაწილეობდნენ ატალი და აქეის არქონტი ნიკოსტრატე. მოლაპარაკება ოიდხანს არ გაგრძელებულა. მისი შინაარსი მოკლედ, სპარტელთათვის საყვარელი ლაკონიურობით გამოხატა რომაელმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა: „რომაელი მოითხოვს ორ რამეს: პირველი, — რომ

[1] Liv. XXXII, 39.

შეწყვიტოს ომი აქეელებთან და მეორე, — გაუგზავნოს მას დახმარება მეფე ფილიპეს წინააღმდეგ"[1].

კიდევ უფრო „ლაკონიური" იყო ნაბისის პასუხი: „იგი ასე მოიქცევა" და ასეც მოიქცა: აქეასთან ზავი დასდო, ხოლო რომაელებს დამხმარე ძალად კრეტელთა რაზმები მისცა.

სამხრეთ საბერძნეთში ერთადერთი ქალაქი, რომელიც ჯერ კიდევ იდგა რომის მოწინააღმდეგე ბანაკში, იყო კორინთო. სანამ ფლამინინუსი ელადის ამ ერთ-ერთ „ბორკილთაგანს" შეეხებოდა, კორინთომ მოახერხა კიდევ უფრო გაეფართოებინა თავისი პოლიტიკური გავლენა შუა საბერძნეთში. იგი რომაული კოჰორტების თანხლებით შევიდა ბეოტიაში, რომელსაც ნეიტრალური პოზიცია ეჭირა. მივიდა ბეოტიის ცენტრალურ ქალაქ თებეში, სადაც მისი მოთხოვნით მოწვეული იქნა კრება, რომელზედაც დაისვა საკითხი რომის ხალხთან ბეოტიის „მოკავშირეობა-მეგობრობისა" და ფილიპეს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. აქეთკენ მოუწოდებდნენ ბეოტიელებს მეფე ატალი, შემდეგ (მას შემდეგ, რაც მოხუც ატალს სიტყვის თქმისას გული წაუვიდა) აქეელი არისტენი და, ბოლოს, ფლამინინუსი. დასასრულ დიკეარქე პლატეელმა წარმოადგინა პროექტი კანონისა „რომაელებთან მტკიცე კავშირის დადების შესახებ. საწინააღმდეგო სიტყვის თქმა ვერავინ ვერ გაბედა (nullo contra dicere audente) და პროექტმაც კანონის ფორმა მიიღო"[2].

პირველ ღონისძიებათა ჩაშლის შემდეგ, იმედგაცრუებული ფილიპე მხნეობას მაინც არ ჰკარგავდა და კვლავ თავგამოდებით ემზადებოდა ომის განახლებისათვის. ძალიან უჭირდა მეფეს ხანგრძლივ ომებში გაჩანაგებული არმიის შევსება. „გამუდმებულმა, მრავალ თაობათა მანძილზე გაგრძელებულმა ომებმა გაანადგურა მაკედონიის მოსახლეობა. ფილიპეს ბრძანებით, „ჯარში იწვევდნენ მოსწავლეებს თექვსმეტი წლის ასაკიდან და ვადაგასულ ნამსახურთ, რომელთაც კიდევ ოდნავი ძალა შერჩენოდათ[3]. ასე ჩამოყალიბდა ოცდაექვსათასიანი მაკედონური არმია.

თითქმის ამდენივე მეომარს მოითვლიდა რომაელი სარდალიც, ეტოლიური მხედრობის რიცხობრივი უპირატესობით.

მცირე შეტაკების შემდეგ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ გადამწყვეტ ბრძოლაში.

197 წლის ივნისი. სახელოვანი ბატალია კ ი ნ ო ს კ ე ფ ა ლ ე ს თ ა ნ, თესალიაში. ძირითადი წყაროები, — პოლიბიოსი, ტიტე ლივიუსი და პლუტარქე, ასე წარმოგვიდგენენ ამ ბრძოლის სურათს:

---

[1] Liv. XXXII, 39.
[2] Liv. XXXIII, 2; Plut. Tit. 5.
[3] Liv. XXXIII, 3.

რომაელთა სარდალმა მტრის პოზიციებისა და ადგილმდებარეობათა დასაზვერავად, გაგზავნა ათი ტურმი მხედრობა და ათასამდე მსუბუქად შეიარაღებული მეომარი. ნილს-ღრუბლიან დილით კინოსკეფალეს („ძაღლის თავები") ბორცვებთან რომაელი მზვერავები მოულოდნელად წააწყდნენ მაკედონელთა საგუშაგო პოსტებს. ორივე მხარემ დაუყოვნებლივ აცნობა თავიანთ სარდლებს, თვითონ კი საათანადო განკარგულების მიღებამდე ჩაებნენ ბრძოლაში. მაკედონელებმა მალე უკუაქციეს მოწინააღმდეგენი. მაგრამ ფლამინინუსმა თავისიანებს დროზე შეაშველა ხუთასი ეტოლიელი მხედარი და ორი ათასი ლეგიონერი, ორი ეტოლიელი სტრატეგოსისა და ორი სამხედრო ტრიბუნის მეთაურობით. ახლა მაკედონელები დამარცხდნენ, თავი შეაფარეს ბორცვზე გამართულ პოსტებს და ფილიპეს სასწრაფოდ აცნობეს მდგომარეობა. მეფემაც არ დააყოვნა. მან უმალვე აფრინა თესალიურ-მაკედონური მხედრობა ჰერაკლიდესა და ლეონის მეთაურობით; მათვე აახლა დაქირავებული მეომრები ათენაგორის სარდლობით. ყველავ მაკედონელთა სასარგებლოდ შემოტრიალდა საქმე. რომაელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ კინოსკეფალეს ბორცვები. ისინი სრული განადგურებისაგან იხსნა ეტოლიურმა მხედრობამ, რომელმაც დიდის სიმამაცითა და სიმედგარით შესძლო შეეკავებინა მაკედონელთა ძლიერი მოწოლა. ამასობაში, ფლამინინუსმა საომრად გაამზადა მთელი არმია. ფილიპესაც მისიანებმა მოახსენეს, რომ მოწინააღმდეგე გარბის, „დღეს შენი დღეა, შენი ბედნიერება" და ხელსაყრელ მომენტს ხელიდან ნუ გაუშვებო. მეფემ ბრძანა, არმია სასწრაფოდ გამოეყვანათ და დაერაზმათ... მოწინააღმდეგენი მცირე საომარი პრელუდიის შემდეგ გადამწყვეტ საკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას შეუდგნენ... რომაელმა სარდალმა მარჯვენა ფლანგის წინ სპილოები ჩაამწკრივა, თვითონ კი მარცხენა ფლანგი დასძრა კინოსკეფალესკენ; მაგრამ მეფემ თავისი მარჯვენა ფლანგით ასწრო ბორცვზე. რომაელებმა ვერ გაუძლეს მჭიდროდ შეკრული მაკედონური ფალანგის ზემოდან დაწოლას და იძულებული შეიქნენ უკანდახევა დაეწყოთ. მაგრამ რომაელთა მარჯვენა ფლანგმა სპილოების მეშვეობით სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგი. აქედანვე ერთ-ერთმა სამხედრო ტრიბუნმა, როცა დარწმუნდა მარჯვენა ფლანგის სრულ გამარჯვებაში, მოხსნა მისი სარდლობის ქვეშ მყოფი ოცი მანიპული და ზურგიდან თავს დაესხა უკვე გამარჯვებაში დარწმუნებულ მაკედონელთა მარჯვენა ფლანგს. ასეთმა მანევრმა გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი. წინ გაჭრილმა მაკედონურმა ფალანგამ, მისი რიგების სიმჭიდროვისა და მასიურობის გამო, ვერ მოახერხა შემობრუნება და ზურგიდან დაცემული მტრის მოგერიება. იგი, — ერთადერთი ნაწილი, რომელსაც აქამდე

წარმატება ჰქონდა „ორმხრივი შეტევის შუაში აღმოჩნდა: წინიდან რომაელთა მარცხენა ფლანგი, ხოლო ზურგიდან სამხედრო ტრიბუნის მანიპულები. მაკედონელებმა გამარჯვების ყოველგვარი იმედი დაჰკარგეს, იარაღი დაყარეს და, ვინც სიკვდილს გადაურჩნენ, უგზოუკელად მიმოიფანტნენ. დამარცხებულმა მეფემ გაღარჩენილი არმიის ნაწილით გაქცევით უშველა თავს.

8.000 მაკედონელი დაეცა ბრძოლაში. 5.000 ტყვედ ჩავარდა. ფლამინინუსმა მხოლოდ 700 მეომარი დაკარგა.

რომაელებს დიდძალი ღავლა ჩაუვარდათ ხელთ. მტრის ღონეს დასრულებს თუ არა, შემობრუნდნენ და მათ საყვარელ ძარცვა-გლეჯას და მაროდიორობას მიჰყვეს ხელი. ამ საქმეში რომაელებს თანამებრძოლ ეტოლიელებთანაც კი მოუვიდათ უთანხმოება. რომაელთაგან „ზოგიერთებმა ხელი მიჰყვეს დახოცილთაგან საჯურვლის ახსნას, სხვები ტყვეებს აგროვებდნენ ერთ ადგილზე, ხოლო უმრავლესნი გაცვივდნენ მტრის ბანაკის ვასაძარცვავად. აქ რომაელებმა ნახეს უკვე ეტოლიელები, რომლებიც შეკრილან ბანაკში მათზე ადრე და, სათვალეს რა წართმეულად მათი კუთვნილი სამართლიანი ნადავლის წილი, დაუწყეს გაკიცხვა ეტოლიელებს... მეორე დღეს ერთ ადგილზე მეკრიბეს ტყვეები და ჯერ კიდევ დაუტაცებელი ნადავლი"[1].

ფლამინინუსმა „წესრიგი" შეიტანა ნადავლის განაწილებაში: მან ტყვეებისა და ნაალაფარის ნაწილი გაჰყიდა, ხოლო ნაწილი მეომრებს დაუთმო.

რაც შეეხება ეტოლიელებს. მათთან სარდალს ახლა, კინოსკეფალეს ბრძოლის მეორე დღეს, ახალი ანგარიში ჰქონდა...

---

3. მაკედონიის განადგურების შემდეგ. „ელევთერიის" რომაული ვარიანტი

sunt verba et voces, praetereaque nihil.

Horatius.

ეს „სიახლე" მარტო ნადავლის დატაცების დროს როდი გამოუჩენიათ რომაელებს ეტოლიელთა მიმართ. „მიღების დროს ტიტე მათ ხვდებოდა ქედმაღლურად და დუმილით იცილებდა თავიდან საერთო-სამოკავშირეო საქმეებს. ხოლო თავის გეგმებს ის ანხორციელებდა პიროვნულად ან საკუთარი მეგობრების მეოხებით"[2]. ასე, რომ „ეტოლიელები უკვე აღარ იყვნენ წინანდელ პატივში"[3].

[1] Polyb. XVIII, 27; Liv. XXXIII, 10.

[2] Polyb. XVIII, 14.

[3] Liv. XXXIII, 11.

ეტოლიელთადმი რომაელთა დამოკიდებულებაში ასეთი მეტამორფოზი კიდევ უფრო შესამჩნევი მაშინ გახდა, როცა მაკედონელმა გვირგვინოსანმა თავი მთლიანად დამარცხებულად სცნო და რომაელ სარდალს დაზავება სთხოვა. ფლამინინუსთან „გამოცხადდა მეფის შიკრიკი, როგორც ჩანს, დროებითი ზავის სათხოვნელად, ვითომ ბრძოლაში დაღუპულთა დასასაფლავებლად; სინამდვილეში კი ელჩობის გაგზავნის ნებართვის სათხოვრად. რომაელი დათანხმდა როგორც ერთზე, ისე მეორეზე და, თავის მხრივ, დაუმატა კიდევაც: „დაე, უთხრას მან (შიკრიკმა) მეფეს, რომ „ის სულით დამშვიდებული იყოს (bono animo esse)". ამ სიტყვებმა ძალიან გაანაწყენა ეტოლიელები. ისინი იბუტებოდნენ და ბუზღუნებდნენ: „გამარჯვებამ დიდი ცვლილება გამოიწვია მთავარსარდალში. სანამ ბრძოლა არ მომხდარიყო, ის ჩვეულებრივად ყველაფერს მნიშვნელოვანს მოკავშირეებს ატყობინებდა, ხოლო ახლა ისინი (მოკავშირე-ეტოლიელები) გაძევებული არიან ყოველგვარი თათბირისაგან. კონსული ყველაფერში მოქმედებს საკუთარი მოსაზრებებით. ის უკვე ცდილობს გააბას ფილიპესთან კეთილმეგობრული ურთიერთობა. ახლა, როცა ეტოლიელებმა თავის თავზე გადაიტანეს მთელი ომის სიმძიმე 'და უსიამოვნებანი, რომაელი სარდალი ითვისებს მშვიდობის სიკეთესა და ნაყოფს"[1].

რა იყო მიზეზი ბერძენ მოკავშირეთა მიმართ რომაელთა ასეთი უმადურობისა? ეტოლიელები ფლამინინუსის პოლიტიკის ახალი კურსის ახსნას მოსყიდვაში ეძებდნენ: ისინი ფიქრობდნენ, რომ ტიტეში ასეთი გარდატეხა ფილიპეს მიმართ მოხდა მოქრთამეით, რომ ფილიპეს, შექმნილი მდგომარეობის გავლენით, უნდა შეეძლია დიდი თანხა, ხოლო ტიტე ვერ გაუძლებდა ცდუნებას. რომაელის მიმართ მექრთამეობაში ბრალის დადება საფუძველმოკლებულად არ ჩაითვლება, რადგან ამ დროის რომი უკვე აღარ წარმოადგენს ძველი, ზნეობრივი სისპეტაკის მქონე ცინცინატების რომს; ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ, ხოლო აქ ფლამინინუსის მიმართ ასეთ უღირს საქციელში ბრალის დადება უსაფუძვლოა, რადგან ყველა წყარო ერთხმად აღიარებს რომაელი სარდლის მორალურ სიწმინდეს. ესეც რომ არ იყოს, ფლამინინუსი, როგორც დაკვირვებული დიპლომატი, მოხერხებული დემაგოგი, ელინური სამყაროს „გამათავისუფლებელი", არ დაუშვებდა ანგარებისთვის დაღუპა ყველაფერი, რისთვისაც იგი აღმოსავლეთში იყო ჩამოსული. რომაელი სარდალი, თავის მხრით, თვით ამხელდა ეტოლიელთა სიხარბესა და ანგარების მოყვარულობას: „საერთოდ, ტიტეს აბრაზებდა ეტოლიელთა სიხარბე"[2]. მაგრამ ეს მაინც არ იყო

[1] Liv. XXXIII, 11.

[2] Polyb. XVIII, 34.

მთავარი მიზეზი იმისა, რომ „ეტოლიელები ძველ პატივში აღარ იყვნენ“. უეჭველად, ეტოლიელებისადმი რომაელთა „გულ-გაგრილების“ საქმეში დიდ როლს ასრულებდა ისიც, რომ ეტოლიელები გაიძახოდნენ, კინოსკეფალეს ბრძოლა ჩვენ მოვიგეთ, ფილიპე ჩვენ დავამარცხეთ, მაკედონიასთან ომის მთელი სიმძიმე ჩვენს კისერზე გადავიტანეთ, ხოლო გამარჯვების ნაყოფს და დიდებას რომაელები ითვისებენო. მაგრამ მაინც მთავარი ის იყო, რომ ფლამინინუსი ფიქრობდა: „ფილიპეს დამარცხების გამო, როცა განადგურებულია მაკედონიის სამეფოს ძლიერება, ეტოლიელები იქნებიან მბრძანებელნი (dominos) საბერძნეთისა“[1].

მაშ, ყველაფერი ნათელია: სანამ საჭირო იყო, სანამ ფილიპე მაკედონელის სიძლიერე აშკარა იყო და მის წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველად ბალკანეთზე ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულთა მხარდაჭერა რომაელთათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, ეს უკანასკნელნი არაფერს ზოგავდნენ ასეთი მოკავშირეების (ამ შემთხვევაში, ეტოლიელების) მხარდაჭერის მისაღებად. მაგრამ ახლა, როცა მაკედონია დამარცხებულია და მისი ბატონობის პრეტენზიები ბალკანეთზე მთლიანად მოხსნილია, რომაელები არ დაუშვებენ, რომ იმავე ბალკანეთზე იგივე პრეტენზიათა კავალერები გამოჩნდნენ, თუნდაც ასეთ პრეტენდენტებად რომაელთა გუშინდელი „მოკავშირეებიც“ იყვნენ. ეტოლიელებს პირველი სილა იმიტომ მოხვდათ, რომ სწორედ ისინი პირველნი გაიძახოდნენ, მაკედონია ჩვენ დავამარცხეთ და მისი მბრძანებლობის შემცვლელნი ბალკანეთზე ჩვენ უნდა ვიქნეთო. უფრო მეტიც: „ეტოლიელები შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იმის გამო, რომ მაკედონია, მათი სურვილის წინააღმდეგ მეფეს არ ჩამოერთვა და ჯილდოდ მათ არ გადაეცა...“[2] მათი მიამიტური მსჯელობით გამოდის, რომ რომაელები, ჰანიბალის ომში დაღლილ-დაქანცულნი, აღმოსავლეთში მიტომ ჩამოსულან, ფილიპეს ბალკანეთზე მბრძანებლობის კვერთხი წაართვან და ეტოლიას მიართვან. ცუდად უფიქრიათ! რომი ბალკანეთზე ბალკანეთის დასამორჩილებლად ჩამოვიდა და იგი ყველას დაამსხვრევს, ვინც ამ საქმეში წინ აღუდგება — მაკედონიასაც, ეტოლიასაც და ყველას, ყველას. ეტოლიელების პრეტენზიები რომაელთათვის რა ბედენაა, როცა რომის დაპყრობათა უფართოეს ორბიტში თვით ეტოლიაც უნდა ჩაინთქას. ბერძნულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა (მათ შორის, ეტოლიამ) ვერ გაიგეს, რომ აქაც „ერთეულებად“ დარჩნენ და ერთიანი ფრონტის უქონლობისა და ურთიერთმტრობის წყალობით კვლავ ფრთებს ასხამდნენ რომაელთა ფართო საექპანსიო გეგმებს. რომი

---

[1] Liv. XXXIII, 11.

[2] Just. XXX, 4.

აქაც ჩვეულებრივი. ნაცადი დიპლომატიით მოქმედებს: მისგან და
საპყრობად ხელდადებულ ქვეყანაში არ დაუშვას რომელიმე პოლი
ტიკური ერთიულის აღზევება და გაძლიერება, „დაჩაგრულთა მფარ
ველის“ დროშით ებრძოლოს გაძლიერების პრეტენდეატს — სუ
ერთია, ვინც უნდა იყოს იგი, მაკედონია თუ ეტოლია. მაშ, ეტო
ლიამაც თავისი დამოუკიდებლობით პასუხი უნდა აგოს იმ პრეტენზი
ებისათვის, რაც მას წამოცდენია იმავე მისწრაფებებისათვის განად
გურებული მაკედონიის შემდეგ. ამიტომ რაკი ფლამინინუსს „აღ
სურდა ფილიპეს ჩამოგდების შემდეგ საბერძნეთის მბრძანებლებად
ეტოლიელები დაეტოვებინა“[1] კონსული მრავალ შემთხვევაში ვანგე
იქცეოდა ისე, რომ ეტოლიელები კიდევაც ყოფილიყვნენ და კიდე
ვაც მოსჩვენებოდნენ როგორც ყველაზე მეტად არარაობა და უძნშ
ვნელონი“[2].

მაგრამ ფლამინინუსს არც ის ავიწყდებოდა, რომ ეტოლიის კავ
შირისათვის ერთბაშად ხელის კვრაც არ გამოდგებოდა, რადგან ეს
რომაულ-„გამათავისუფლებლურ“ პოლიტიკას სახელს გაუტეხდა.
ამიტომაც ის ჯერჯერობით „სულგრძელობითი დიპლომატიით“, ვი
თომ უყურადღებოდ არ ტოვებს ეტოლიელთა პრეტენზიებს. ასეთი
ვე დიპლომატიური ტაქტით „ელინი ხალხების გამათავისუფლებელმ
და მეგობარმა“, მას შემდეგ რაც მოწინააღმდეგეს წინასწარ თხუთ
მეტდღიანი დაზავება უწყალობა, მაკედონიის მეფესთან საზავო მო
ლაპარაკების გამართვამდე, წინასწარი თათბირი გამართა „მოკავში
რეთა“ წარმომადგენლებთან. „როცა მოკავშირეები შეიკრიბნენ დ
საბჭო შედგა, წამოდგა რომაელი სარდალი და ყოველ მათგანს წი
ნადადება მისცა წამოეყენებინა პირობები, რომლის მიხედვითაც უნდ
დადებულიყო ზავი ფილიპესთან. მეფე ამინანდერმა რამდენიმე სი
ტყვით გამოთქვა ზომიერი მოთხოვნები და დააბოლოვა იმით, რომ
ყველას სთხოვდა, ეზრუნათ, რამეთუ საბერძნეთიდან რომაელებს
წასვლის შემდეგ, ფილიპეს რისხვა თავს არ დასტყდომოდა მას
რადგან ათამანები თავისი სისუსტისა და მაკედონიასთან მეზობლო
ბის გამო თავიდანვე იოლი დაპყრობის საგანს წარმოადგენდნენ მა
კედონელთათვის. ამინანდერის შემდეგ ადგა ეტოლიელი ალექსან
დრე, მადლობა გადაუხადა ტიტეს იმისათვის, რომ მოკავშირენ
ზავისათვის შეკრიბა და ყველას ცალ-ცალკე მისცა წინადადება თა
ვისი მოსაზრების გამოსათქმელად; მერე დაუმატა: ტიტე სრულები
თაც არ იცნობს საქმის ვითარებას და ძალიანაც სცდება, თუ ფიქრობს
რომ ფილიპესთან საომარი მოქმედების შეწყვეტით ის უზრუნველ
ჰყოფს მშვიდობას რომაელთათვის და თავისუფლებას ელინთათვის;

[1] Polyb. XVIII, 34.
[2] Liv. XXXIII, 11.

შეუძლებელია ერთიც და მეორეც. თუ ტიტეს სურს სავსებით განახორციელოს ძმობლიური სახელმწიფოს მიზნები და შეასრულოს აღთქმანი, მიცემულნი ყველა ელინისადმი, მაშინ მან უნდა აირჩიოს ერთადერთი საშუალება მაკედონელთა დამშვიდებისა — ფილიპეს გადმოგდება ტახტიდან. ხოლო ეს სულაც არ არის ძნელი საქმე, თუ კი ხელიდან არ იქნება გაშვებული ნამდვილად მოხერხებული მომენტი. დიდხანს ლაპარაკობდა ალექსანდრე ამ მიმართულებით...“[1]

მაშასადამე, ბალკანეთის ხალხთა მთავარი მიზანი არის მაკედონიის სრული განადგურება და ფილიპეს ძალაუფლების დამხობა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მარცხნაქამი მეფისაგან ელით საშინელი ანგარიშსწორება მაკედონელთა ღალატისა და რომაელებთან კავშირისათვის. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ, რაც ბერძენ მოკავშირეებს სურთ, სწორედ ეს რომაელებს არ სურთ. რომაელები ბალკანეთზე მართლა იმისთვის ხომ არ ჩამოსულან, რომ შეასრულონ „აღთქმანი“, მიცემულნი ყველა ელინთადმი“. მათ მაკედონიის დათრგუნვა იმდენად სურდებოდათ, რამდენადაც მისი პრეტენზიები ბალკანეთზე საკუთარი ინტერესებით უნდა შეეცვალათ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ მაკედონიის სრული განადგურებით მის ადგილზე სხვა რომელიმე ადგილობრივი სახელმწიფო არ აღზევდეს ბალკანეთზე მბრძანებლობის პრეტენზიებით. ამიტომ სწორედ ის არ უნდა მოხდეს, რასაც მაკედონური შურისძიების საფრთხით დამფრთხალი ათამანებისა და ეტოლიელების წარმომადგენლები მოითხოვენ; — მაკედონია მხოლოდ იმ დონეზე უნდა იქნეს დაყვანილი, რომლიდანაც იგი ბალკანეთზე რომის მეტოქეობას ვერ შესძლებს, მაგრამ დანარჩენი ბალკანელი ხალხების მიმართ ის მუდამ უნდა იქნას „დამოკლეს მახვილი“, რამეთუ არც ერთმა მათგანმა არ გაბედოს ის, რასაც აქამდე ბედავდა თვითონ მაკედონია. ამიტომ ეტოლიელი ალექსანდრე ცდებოდა, როცა ამბობდა, რომ „ტიტე სრულებითაც არ იცნობს საქმის მდგომარეობას“. პირიქით, ფლამინინუსი ყველაზე კარგად ერკვეოდა მდგომარეობაში. მან მხოლოდ ფორმალურად მიიწვია და მოუსმინა თავის „მოკავშირეებს“. ნამდვილად კი მან მაინც ის ჰქნა, რაც თავის დიპლომატიური ცბიერებით სავსე სიტყვაში თქვა: „რომაელებს ჩვენად არა აქვთ გაანადგურონ მტერი ომის დაწყებისთანავე, რის დასამტკიცებლადაც მოაგონათ ჰანიბალი და კართაგენელები. რომელთაგან რომაელებმა უსაშინელესი თავდასხმები განიცადეს. მაგრამ შემდგომ, ჰქონდათ რა სრული უფლება მოქცეოდნენ კართაგენელებს თავის შეხედულებათა შესაბამისად, რომაელებმა მაინც არ გასწირეს ისინი დასაღუპავად. თვითონ მას (ტიტეს) არასოდეს აზრად არ ჰქონია ფილიპესთან ომი ეწარმოებინა სამკვდრო-სასიცოცხ-

[1] Polyb. XVIII, 36; Liv. XXXIII, 12.

ხლოდ. პირიქით, ის მზად იყო შეეწყვიტა საომარი მოქმედება, თუ ფილიპე ბრძოლის წინ დაეთანხმებოდა მის მოთხოვნებს (!). ამიტომ, განაგრძობდა ტიტე, მას უკვირს, რომ ყველა აქ დამსწრე, მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობენ სამშვიდობო მოლაპარაკებაში, განწყობილი არიან ასე შეურიგებლად. ნუთუ ეს იმიტომ, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ? მაგრამ ასეთი მოქმედება სრულიად უაზროა. სანამ მტერი ომობს, მამაც მოწინააღმდეგეს შეშვენის იმოქმედოს მტაც�ed და გააფთრებით; დამარცხების შემთხვევაში მოიქცეს ღირსეულად და არ დაეცეს სულით, ხოლო გამარჯვებულს შვენის ზომიერება, სიმშვიდე და შეწყალება. თქვენი ასლანდელი მოთხოვნები კი ამის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ბოლოს, ელინთათვისაც სასარგებლოა მაკედონელთა სამეფოს მხოლოდ დამდაბლება და არა მისი სრული გაუქმება, რადგან უამისოდ მათ (ელინებს) მალე მოუხდებათ გამოცდა თრაკიელთა და გალატთა თავდასხმებისა, როგორც ეს სხვა დროსაც მომხდარა. საერთოდ, თვითონ მან და სხვა აქ დამსწრე რომაელებმა გადავწყვიტეთ, განაგრძო ტიტემ, სენატის დასტურით, ვაჩუქოთ ზავი ფილიპეს, თუ იგი შეასრულებს ადრე წაყენებულ მოთხოვნებს, ხოლო, ეტოლიელებს უფლება ეძლევათ, ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, როგორიც მათ მოეპრიანებათ"[1].

მაკედონიის არსებობის შენარჩუნება თრაკიელების, გალატების თუ ილირიელების შემოკრის საშიშროებაზე მითითებით საფუძვლიანი მოტივი იყო. მაგრამ უსაფუძვლოა, საერთოდ, ფლამინინუსის დიპლომატიური გადაწყვეტილებიდან გამოტანილი დასკვნა; ფლამინინუსს არ შეეძლო დათანხმებოდა იმას, რომ დიდი რომის სახელმწიფოს თავის თავზე აეღო ჯალათის როლი ეტოლიის კავშირის მრისხანების დასაშოშმინებლად. ამას გარდა, მისი „ელინური სიმპათიებიც" მოხდენილი და რაინდული მეფის სასარგებლოდ იყო მიმართული და, ბოლოს, მისი ნაციონალური სიამაყეც იბღალებოდა ეტოლიელთა ტრაბახით, რომლებიც თავის თავს თვლიდნენ „კინოსკეფალეს მძლეველებად". ჯერ ერთი, რომის სამხედრო-პოლიტიკური, სისხლით მორწყული, დამპყრობელური ისტორია უპირველეს ყოველისა ხალხთა დამონებისა და უმკაცრესი ჯალათობის ისტორიაა. შესაძლოა, რომელიმე სციპიონს, თუ ტიტე ფლამინინუსს, ან ტიტე ფლავიუსს ოდესმე სადმე, მოწინააღმდეგის დიდი კულტურული მონაპოვრების უღვთო ნგრევის დროს თვალი ნიანგის ცრემლით აევსოთ, მაგრამ მით უფრო ამ მხრივ ფერმკრთალია და უსახური ყოველი ეპითეტი რომაელთა „კეთილშობილებისა" და „სულგრძელობის" გამოსახატავად. მეორეც. — ამ შემთხვევაში ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია დამარცხებული მაკედონიის მიმართ რომაული პოლიტიკური კურსი

[1] Polyb. XVIII, 37; Liv. XXXIII, 12.

ავხსნათ ფლამინინუსის პირადი თვისებებით, მისი „ელინური სიმპათიებით". ეს უკანასკნელი რომაელ სარდალს რომაულ-დიპლომატიური მანევრირებისათვის სჭირდებოდა. საერთოდ კი, თუ მაინცა და მაინც მის პირად ხასიათზე ვილაპარაკებთ, ფლამინინუსის ხასიათის პოლიტიკური სიმწიფე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მთელის სისრულით გამოხატავდა და ანხორციელებდა რომის აგრესიული წრეების მიზანსწრაფვებს აღმოსავლეთში ამ პირველი გენერალური ლაშქრობის დროს. მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა და ამიტომ დაბეჯითებით ამბობდა: მე ყველაფერს ვაკეთებ სენატის გადაწყვეტილებებითო...

ფლამინინუსის სიტყვას დიპლომატიურ ცბიერებასთან ერთად არც პირდაპირობა აკლდა. პირდაპირობა, რომელიც მუქარას უდრიდა. იგი მიმართული იყო „თავხედი ეტოლიელებისადმი". ჩვენ, რომაელები ასე ვადგენთ, ხოლო ეტოლიელები დაე, ისე მოიქცნენ, როგორც მათ მოეპრიანებათო. ასეთი განცხადების ქვეტექსტი ის იყო, რომ ეტოლიელებს და ყველას, მათი მაგალითით, თვითნებობა ევირად დაუჯდებათ. რომისა და მაკედონიის საომარი ეიდილი ასეთი შინაარსის ზავით დამთავრდა: „ყველა ბერძნულმა ქალაქმა, როგორც ევროპაში ასევე აზიაში, ისარგებლონ თავისუფლებით და თავისი საკუთარი კანონებით; იმ ქალაქთაგან, რომლებიც იმყოფებოდნენ ფილიპეს ძალაუფლების ქვეშ, მან უნდა გამოიყვანოს თავისი გარნიზონები და ამგვარად გაწმენდილი ქალაქები გადაეცეს რომაელებს ისთმოს დღესასწაულამდე... ფილიპემ ტყვეები და გაქცეულები უნდა გადასცეს რომაელებს, ასევე მათ უნდა გადასცეს ყველა ბაქნიანი გემი, გარდა ხუთისა, და ერთი სამეფო ხომალდისა, რომელიც იმ სიდიდისა იყო, რომ მოძრაობა არც კი შეეძლო (მასში თექვსმეტრიგოვანი ხოფები იყო): ფილიპეს ამიერიდან აღარ უნდა ჰყავდეს 5.000 შეიარაღებულ ჯარისკაცზე მეტი და არც ერთი სპილო. აეკრძალოს მას ომის წარმოება მაკედონიის გარეთ სენატის ნებართვის გარეშე. ფილიპემ რომაელ ხალხს უნდა გადაუხადოს ათასი ტალანტი: ნახევარი ახლავე, ნახევარი ათი წლის მანძილზე, თანაბარ ნაწილებად... ამ პირობებით აყვანილიყვნენ მძეულები, მათ შორის დემეტრიოსი, ძე ფილიპესი"[1].

ამგვარად, ეს ზავი თითქმის ასლი იყო მეორე პუნიკური ომის ბოლოს კართაგენისადმი ბრძოლილი უმძიმესი საზავო მოთხოვნებისა: კართაგენისგან მხოლოდ ნომინალური დამოუკიდებლობა დაუტოვეს მაკედონიას; მან კართაგენისგან ლაჰკარგა ყველა ოდინდელი და ახლანდელი სამფლობელოები: კართაგენისგან განიარაღებულსა და და-

[1] Liv. XXXIII, 30; Polyb. XVIII, 44; Plut. Tit. 9; App. Hist. Rom IX, 9.

ხარკულს წაერთვა ხელახალი აღორძინების ყოველგვარი უფლება და შესაძლებლობა და, რაც მთავარია, ჰანიბალის სამშობლოსებრ, ალექსანდრე მაკედონელის სამშობლომ დაჰკარგა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება; ეს კი ნამდვილად ნიშნავდა ფაქტიური დამოუკიდებლობის დაკარგვას. რომაელები „საგარეო პოლიტიკის წარმოებად" თვლიდნენ იმასაც, თუ ვინმე დაბეჩავებული ქვეყანა მტრის თავდასხმის მოგერიებას შეეცდებოდა. მაშასადამე, მაკედონიას, ისე როგორც კართაგენს, თავდასხმელის მოგერიების უფლებაც არ ჰქონდა. კართაგენს რომაელებმა მუდმივ თავდასხმელად და მაოხარად ნუმიდიელი ტანტანა დაუყენეს. ხოლო მაკედონიის თავზე მათ რამდენიმე „დამცველს მბრძოლი" დაჰკიდეს. — სულერთია, ვინ იქნებოდა ეს, ღარდანები, თრაკელები, ილირიელები, თუ მათ შორის ყველაზე ძლიერი პერგამოსის სამეფო. ამ უკანასკნელის შესახებ საზავო ხელშეკრულებაში საგანგებო მუხლიც კი იყო შეტანილი: „ფილიპეს აეკრძალოს ომის წარმოება ევმენთან, ატალის ძესთან"[1]. ე. ი. პერგამოსის ახალ მბრძანებელს (ახლადგარდაცვლილი ატალის ტახტზე მისი შვილი ევმენი დაჯდა) შეეძლო რომაული ძუძგლის ჩრდილქვეშ თავი მშვიდად ევრძნო და საჭირო შემთხვევაში მაკედონიის (ან სხვათა) წინააღმდეგ „აზიური მასინისობაც" კი გაეწია.

ყურადღებას იპყრობს საზავო ხელშეკრულებაში ხაზგასმით ნათქვამი: „იმ ქალაქთაგან, რომლებიც იმყოფებოდნენ ფილიპეს ძალაუფლების ქვეშ, მან უნდა გამოიყვანოს თავისი გარნიზონები და ამავარად გაწმენდილი ქალაქები უნდა გადაეცეს რომაელებს ისთმოს ღღესასწაულამდე", ე. ი. ეს უნდა მოხდეს მაინცა და მაინც ისთმოსის საზეიმო ასპარეზობამდე. ისთმია ყოველ ორ წელიწადში ადრიან გაზაფხულზე იმართებოდა კორინთოს ყელზე, ისთმოსზე, და იგი ისევითვე პანელინურ ხასიათს ატარებდა, როგორც ელიდური ოლიმპიადები. სწორედ აქ, ისთმიის მრავალხალხოვან შეკრებისათვის გადაწყვიტეს რომაელებმა დიპლომატიურ-დემაგოგიური ფარსის გათამაშება: საქვეყნოდ გამოეცხადებინათ საბერძნეთის განთავისუფლება. ამიტომ აჩქარებდნენ ფილიპეს ბერძნული ქალაქების გაწმენდას და რომაელებისათვის გადაცემას, რომ, თავის მხრივ, რომაელებს გათავისუფლებული ქალაქები ელინთათვის სადღესასწაულოდ „მიერთმიათ". წყაროები ასე გადმოგვცემენ იმ „ღირსსახსოვარი დღის" ამბავს:

„...ბალე დადგა ისთმია, სადაც თავი მოიყარა თითქმის მთელი მსოფლიოს წარჩინებულმა ხალხმა. მთელს საკრებულოზე გაისმოდა ხანგრძლივი და ნაირნაირი მითქმა-მოთქმა: ზოგი ამბობდა, რომ რო-

[1] Liv. XXXIII, 30.

მაელები ყველა ადგილზე და ქალაქზე არ აიღებდნენ ხელს; სხვები დიდი სიმტკიცით ირწმუნებოდნენ, რომ რომაელები საეკლესიო ადგილებს დათმობენ, სოლო თავისთვის მოსაჩვენებლად დაიტოვებენ უვარგის ადგილებს... როცა ხალხი სადღესასწაულოდ მოედანზე შეიყარა, წინ წამოვიდა მაცნე, მესაყვირის თანხლებით, დააწყაარა ხალხი და გამოაცხადა: „რომ სენატი და სარდალი კონსულის უფლებით, ტიტე ქვინქციუსი, ფილიპეზე და მაკედონელებზე გამარჯვებული, უძღვნიან თავისუფლებას კორინთელებს, ფოკიდელებს, ევბეელებს, თესალიელებს, პერებებს, აქეელებს, მაგნეტებს; ნებას აძლევენ მათ, არ იყოლიონ (სხვისი) გარნიზონები. არ გადაიხადონ ხარკი და იცხოვრონ მამაპაპეული კანონებით". მაშინვე, პირველივე სიტყვებისთანავე, ატყდა საშინელი სმაური ამის გამო, ზოგმა ვერ გაიგონა მაცნეს მიერ გამოცხადებული, სხვებს კი სურდათ ხელმეორედ მოესმინათ ეს სიტყვები. დამსწრეთა უმრავლესობა ყურებს არ უჯერებდა და მაცნეს სიტყვები თითქოს სიზმარში ესმოდათ, — იმდენად მოულოდნელი იყო ეს ამბავი მათთვის. ამიტომ ყველანი ხმამაღლა მოითხოვდნენ, რომ მაცნე, მესაყვირესთან ერთად, ისევე ასულიყო მოედნის შუაზე და გაემეორებინა წინათ ნათქვამი, იმიტომ რომ ხალხი, არ უჯერებდა რა გაგონილს, სურვილობდა, არა მარტო გაეგონა, არამედ კიდევაც დაენახა გამომცხადებელი. როცა მაცნე ხელმეორედ ავიდა მოედნის ტრიბუნაზე და როცა მესაყვირემ სიწყნარე დაამყარა, გამოაცხადა იგივე, იმავე გამომსახველობით, როგორც ადრე, — ამას მოჰყვა ისეთი ქუხილი ტაშისცემისა, რის წარმოდგენაც ძნელია თანამედროვე მკითხველისათვის.

„როცა ტაშისცემა მიწყნარდა... ყველანი როგორც ექსტაზში მყოფნი გაუჩერებლად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ან თავის თავთან, ხოლო ასპარეზობის დამთავრების შემდეგ აღტაცებისა და მადლიერების გრძნობებით მოვარბებულმა ხალხმა კინაღამ გასრისა ტიტე. საქმე იმაშია, რომ ზოგ დამსწრეთაგანს სურდა შეეხედა სახეში და მისალმებოდა მას, როგორც თავის მხსნელს; სხვები ცდილობდნენ შეხებოდნენ მის ხელს, ხოლო ხალხი ესროდა მას გვირგვინებსა და ბაფთებს და კინაღამ ნაკუწებად აქციეს იგი. როგორ არაჩვეულებრივადაც არ უნდა მოგვეჩვენოს ეს მადლიერების მოზღვავება, იგი მაინც ვერ შეესაბამებოდა საქმის სიდიდეს. იყო რაღაც განსაცვიფრებელი იმაში, რომ რომაელებმა და მათმა სარდალმა ტიტემ გადაწყვიტეს თავის თავზე გადაეტანათ ხარჯები და ეოველგვარი საშიშროებანი ელინთა განთავისუფლების გულისათვის. რაღაც დიადი იყო იმაში, რომ მათ ბრძოლის ველზე სამხედრო ძალებთან ერთად გამოიტანეს შესაბამისი გადაწყვეტილებაც, მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ ამ დიდებული მიზნის მიღწევისას ბედისწერას არ დაუშვია არავითარი

დაბრკოლება. პირიქით, უკლებლივ ყველაფერი ხელს უწყობდა ამ ერთი მომენტის დადგომას. როცა მაცნეს ერთი სიტყვის წარმოთქმით თავისუფლება მიიღო ყველა ელინმა, როგორც აზიელებმა, ასევე ევროპელებმა, უფლებით: არ იყოლიონ გარნიზონები, არ გადაიხადონ ხარკი, იცხოვრონ საკუთარი კანონებით"[1].

„და არა მარტო დიდი იყო იმ წუთებში საყოველთაო აღტაცების გამოხატვა; მრავალი დღის განმავლობაში მსჯელობა, მითქმა-მოთქმა, გამომსახველნი მადლიერებისა: „განა, მოიძებნება ქვეყანაზე ხალხი, რომელიც საკუთარი ხარჯების, შრომა-ჯაფისა და ხიფათის გადატანით, ეწევა ომს სხვების გასათავისუფლებლად. და ამას იგი აკეთებს არა მეზობელი ხალხებისათვის: ან ახლობელთათვის, ან ადგილმდებარეობათა პირობებით შეერთებულთათვის, არამედ იგი გადალახავს ზღვებს იმისათვის, რათა მთელი დედამიწის სფეროზე არ იქნეს უსამართლო მბრძანებლობა, და იმისთვისაც, რათა ყველგან ძალა ჰქონდეს სამართალს, პატიოსნებას, კანონს"[2]. ბერძნებმა იქვე „გადაწყვიტეს ქალაქებში აღემართათ მისი (ფლამინინუსის) ქანდაკებანი. მათ გაგზავნეს ელჩები ოქროს გვირგვინებით კაპიტოლიუმში, რათა მათ გამოეთქვათ მადლობა და ჩაეწერათ თავისი თავი რომის მოკავშირეთა რიცხვში..."[3] მალე ცალ-ცალკე ყველა ბერძნულ ქალაქს ვამოუცხადეს თავისუფლება; ზოგი მათგანი რომელიღაც პოლიტიკურ შენაერთს მიაკუთვნეს. მოკავშირეობისათვის თავ-თავისი წილი მიიღეს პლეერატმა (დაუნარჩუნეს ილირიული ქალაქები — ლიხნიდი და პართოსი, რომლებიც მანამდე ფილიპეს ეკუთვნოდა), ამინანდერმა (შეინარჩუნა ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ფილიპეს წაართვა ამ ომში) და განსაკუთრებით ევმენმა, რომელსაც რომაელებმა მისცეს ორი დიდი ქალაქი, — ორეოსი და ერეტრია. თვითონ ფილიპეს რომაელებმა ურჩიეს ელჩები გაეგზავნა სენატში და „რომაელი ხალხის მოკავშირეობა და მეგობრობა" ეთხოვა, რამეთუ რომში „არ იფიქრონ, რომ იგი, ფილიპე, უცდის, — ხომ არ იწყებაო რაიმე მოძრაობა ანტიოქეს მხრიდან და ეძებს მოვლენათა ხელსაყრელ მდინარეებას საომარ მოქმედებათა გასაახლებლად"[4]. მეფისადმი ეს „თავაზიანი რჩევა" რასაკვირველია, მუქარა იყო. ისიც „სიამოვნებით" დათანხმდა და ამრიგად, ფილიპეს საბოლოო შებოჭვით, რომაულ დიპლომატიას შეეძლო მაკედონიის მხრივ ანტიოქეს იზოლირების საქმე ბასთან მომავალ ომში განხორციელებულად ჩაეთვალა...

მაგრამ ჯერ ისევ ელადის „გათავისუფლების" საკითხს დავუბრუნდეთ.

---

[1] Polyb XVIII, 46; Liv. XXXIII, 32—33; Plut. Tit. 10; App. His Rom. IX, 9.

[2] Liv. XXXIII, 33.

[3] App. Hist. Rom. IX, 9.

[4] Liv. XXXIII, 35; Polyb. XVIII, 46.

როგორადაც არ უნდა აქარბებდნენ წყაროები, მაინც დასაჯერებელია ბერძენთა გულწრფელი სიხარული და უკიდეგანო აღტაცება, თავისუფლების აღტყინებით გამოწვეული. 338 წლის ქერონეის ბრძოლის დღიდან, მას შემდეგ რაც ფილიპემ და ალექსანდრემ საბერძნეთს თავისუფლება წაართვეს, იდგა ასორმოცდამეორე წელი ელადის პერმანენტული მონობისა და სიბეჩავისა. ელადის კლასიკური სიდიადე ისტორიის მტვრიან თაროებზე ესვენა. მაკედონური უღლის სიმძიმე და მოურჩენელი შინაგანი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ტკივილები საუკუნენახევრის მანძილზე სულს ჰხდიდა საბერძნეთს. ელინთათვის სანუკველი „ელევთერიის“ დაკარგვა სწორედ თვით ელინურობის დაკარგვას ნიშნავდა. და აი, ახლა როცა აქამდე არავითარი ცდით არ მოხერხდა თავისუფლების აღდგენა, გამოდიან საბერძნეთისთვის სრულიად უცხო რომაელები და აცხადებენ, რომ საბერძნეთი ამიერიდან თავისუფალია და ბერძნებს დღეიდან შეუძლიათ „იცხოვრონ მამაპაპეული კანონებით... საკუთარი წესებით“. ამიტომ სრულიად ბუნებრივი, სარწმუნო და გასაგებია ბერძენთა აღტაცება. იგი გასაგებია არა მარტო იმდროინდელი ბერძნებისათვის, არამედ ყველა დროის ადამიანისთვის.

მაგრამ რომაელთაგან ნაბოძები „ელევთერია“ ფაქტიურად იყო „ფსევდოელევთერია“. ამიტომ რომაელთა უმადურობით აღშფოთებული და ბოღმამორეული ეტოლიელები საქვეყნოდ გაჰკიოდნენ: „ცარიელი სიტყვებია, მხოლოდ თავისუფლების მოჩვენებითობით დაფარული. რატომ უნდა გადაეცეს რომაელებს ქალაქები, და რატომ არ არიან დასახელებული, რომელია ეს ქალაქები, ხოლო სხვები დასახელებულია და ნაბრძანებია მათი გათავისუფლება (რომაელებზე) გადაცემის გარეშე: თავისუფლდებიან მხოლოდ ის ქალაქები, რომლებიც აზიაში არიან მაშინ, როცა ისინი უშიშარ მდგომარეობაში არიან... ხოლო ქალაქები, რომლებიც საბერძნეთშია, დასახელებულნი არ არიან, ისევ უპირავთ (რომაელებს): კორინთო, ქალკიდა, ორეიოსი, მათთან ერეტრეა და დემეტრიადა“[1]. მერე, „ეტოლიელებმა აშკარად დაიწყეს ქალაქების აღელვება და ტიტეს ხმამაღალი ბრალდება მოთხოვნით, — მოეხსნა საბერძნეთისათვის ბორკილები (კორინთო, ქალკიდა, დემეტრიადა)... და ეკითხებოდნენ ბერძნებს, — მოსწონთ მათ ახლანდელი ხუნდები, უფრო გაშალაშინებული, მაგრამ უფრო მძიმე, ვიდრე ისინი, რომელთაც ადრე ატარებდნენ; და ისევ წინანდებურად თვლიან ტიტეს თავის კეთილისმყოფელად იმისათვის, რომ საბერძნეთს ფეხები გაუხსნა და კისერში თოკი ჩააბა?“[2].

---

[1] Liv. XXXIII, 31.

[2] Plut. Tit. 1.

ეტოლიელები ცამდე მართალნი იყვნენ. ბევრმა ბერძნულმა პოლისმა თავისუფლება მართლაც მიიღო, მაგრამ ეს სწორედ რომ „ჯერ-ჯერობით“ იყო, რადგან რა თავისუფლების გარანტია უნდა ჰქონოდათ მათ, როცა საბერძნეთის უდიდეს სტრატეგიულ პუნქტებში ბერძნული გარნიზონების ნაცვლად რომაული ბანაკები განლაგდნენ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ქალაქი — კორინთო, ქალკიდა, დემეტრიადა — საბერძნეთისთვის, მაკედონური ბორკილების ნაცვლად, რომაულ ხუნდებად იქცნენ. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახალი ძველზე უფრო შალაშინგაკრული იყო: საბერძნეთს ფეხებიდან ძველი ბორკილები ახსნეს და კისერზე ახალთახალი უღელი დაადგეს. ფლამინინუსსა და მის თანამოაზრეებს შესაძლოა გულწრფელად სურდათ ყოფილიყვნენ დიდი ელინური კულტურის სამშობლოს ნამდვილი გამათავისუფლებელნი: ელინოფილობის გარდა ფლამინინუსს აქეთკენ უბიძგებდა მისი განუზომელი პატივმოყვარეობაც. მაგრამ ბერძნული ქალაქების ის ნაწილი, რომელმაც თავისუფლება მიიღო, მალე უნდა გამხდარიყო „მოკავშირე-მეგობრული“ საყრდენი, კარზე მომდგარი ახალი აღმოსავლური საშიშროების წინააღმდეგ. სირიის მეფე ანტიოქე უკვე ევროპაში იდგამდა ფეხს და თუ რომაელები არ დაასწრებდნენ, ელადის გამათავისუფლებლის დროშას მათ ხელიდან გამოსტაცებდათ ელინისტი გვირგვინოსანი.

მაშასადამე, რომაულ დიპლომატიას ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ერთი მხრივ, საბერძნეთის „მოკავშირეობა-მეგობრობაც“ შეენარჩუნებია და „გამათავისუფლებლის“ ეპითეტის ქვეშ კიდევ უფრო განემტკიცებინა იგი; ხოლო მეორე მხრივ, შეენარჩუნებინა საბერძნეთის „სამი ბორკილი“ ბალკანეთზე მბრძანებლობისთვის. ორივე ეს მიზანი ჯერჯერობით ერთ რამეს ემსახურებოდა: აზიიდან მოსული საფრთხის აღკვეთას, ესეც „ჯერჯერობით“ იყო, ხოლო შემდგომ იგივე მიზნებს გაცილებით ფართო მასშტაბის შედეგები უნდა მოეტანათ რომისათვის.

ასეთი თავისუფლება მიიღო საბერძნეთმაც, — „ელევთერია“ სისხლიანი და კოშმარიანი. „გამათავისუფლებელმა“ თავისთვის და თავის სამშობლოსთვის სასარგებლოდ და ბედნიერად დაასრულა პირველი ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ, ხოლო საბერძნეთისათვის „თავისუფლების თაფლის თვე“ დასაწყისშივე სისხლისა და სიმწრის თვედ იქცა. ელევთერიის ულაცარი გამოცხადებით ეგზალტირებულ ბერძნებს ხელთ შერჩათ მათ მიერვე ფლამინინუსის სახელზე მოჭრილი ოქროს მონეტა „გამათავისუფლებლის“ გამოხატულებით და მისი გვარის წარწერით, რომელსაც სამოქმედო ასპარეზად მხოლოდ საბერძნეთი ჰქონდა (რადგან რომაულ მონეტაზე სარდლის გამოხატვა ჯერჯერობით დაუშვებელი იყო) და დარჩა საბერძნეთს ეს მონეტა

„გამათავისუფლებლის“ დამცინავი გამომეტყველებით, როგორც სიმბოლო „ელევთერიის“ რომაული ვარიაციისა — დამონებისა, დაუღლელისა, დაბორკილებისა.

ამ, რომის აღმოსავლური პოლიტიკის პირველი ეტაპი წარმატებით დამთავრდა. მისი მთავარი შედეგი ბალკანეთზე და ეგვიპტეზე ფეხის დადგმა იყო. ახალი დიდი სავაჭრო-ეკონომიური და მონათა წარტყვევნის ასპარეზი ემატებოდა რომს. ფლამინინუსის ტრიუმფს ბრწყინვალებას და სიდიადეს აძლევდა აღმოსავლეთიდან წამოღებული უმდიდრესი ნადავლ-ნაძარცვი. ეს იყო პირველი დიდი სიმბტომი იმისა, რომ რომის სახელმწიფო ხაზინას აღმოსავლეთიდან ახალი დიდი „წყალწყვის“ ფინანსიურ-ეკონომიური რეზერვუარი შეუერთდა.

ფლამინინუსი თავისი ლეგიონებით ბალკანეთიდან იტალიაში ბრუნდებოდა ზეიმით, ძლევამოსილი, ნაძარცვ-ნატყვევნით და სისხლიანი ნაკვალევებით. ბრუნდიზიუმიდან „თვით რომამდე, თითქმის მთელი იტალიის სიგრძეზე, მათი სვლა იყო საზეიმო, და სიდიდე ნადავლისა, რომელიც წინ მიუძღოდათ, თითქმის მათსავე რიცხვს უტოლდებოდა. როგორც კი კვინქციუსი რომს მიეახლა, სენატი მისთვის ქალაქგარეთ შეიკრიბა, რათა მოესმინა ამბავი მისი გმირობისა და იქვე სიამოვნებით გადაწყდა მიენიჭებიათ მისთვის სავსებით დამსახურებული ტრიუმფი. სამი დღე გაგრძელდა იგი. პირველ დღეს მოჰქონდათ აღჭურვილობა, ისრები, ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებები.. მეორე დღეს ოქრო და ვერცხლი, როგორც დამუშავებული სახით ასევე ზოდებად და მონეტებად. დაუმუშავებელი ვერცხლი იყო 18.000 გირვანქა, ხოლო დამუშავებული — 270. მრავალი ჭურჭელი ყოველნაირი სახისა, დიდი ნაწილი ამოზნექილი გამოსახულებებით და ზოგიერთნი საოცარი ხელოვნებით ნაკეთები. მრავალი იყო აგრეთვე გამოსახულებანი ბრინჯაოსი. აქვე იყო ვერცხლის ფარები. ვერცხლი მონეტებად იყო — 84.000 ატიკური მონეტა; მათ უწოდებენ ტეტრადრაქმებს. ყოველ ვერცხლში იყო სამი დინარიუსი. ოქრო იყო 3.714 გირვანქა და ერთი ფარი მთლიანად ბაჯღლო ოქროსი. ფილიპეს ოქროს მონეტები — 14.514. მესამე დღეს მოჰქონდათ ოქროს გვირგვინები, ნაძღვნები ქალაქებისაგან, — ასეთი იყო 114. შემდეგ მოჰყავდათ სამსხვერპლო ცხოველები. ეტლის წინ მოდიოდა მრავალი წარჩინებული ტყვე და მძევალი; მათ რიცხვში დემეტრიოსი, ძე მეფე ფილიპესი და ლაკედემონელი არმენეს, ძე ტირანი ნაბისისა. მათ შემდეგ ქალაქში შემოვიდა კვინქციუსი. მის ეტლს ჰოჰყვებოდა მრავალი მეომარი, რომლებიც გაწვეული იყვნენ ყველა პროვინციიდან. ყოველ ქვეით მეომარს მიეცა 250 ასსი, ცენტურიონს ამის

ორმაგი, ხოლო მხედარს — სამმაგი. საზეიმო სვლაში განსაკუთრებით შესამჩნევი იყვნენ მონობიდან გათავისუფლებული, თავგადაპარსული რომაელები"[1].

თავი მესამე

რომაელთა პირველი „აზიური ნიაღსვლა"

1. როგორ დაიწყო „სირიის ომი"

„ელადის გამათავისუფლებლის" ტრიუმფს აღმოსავლეთიდან, ჯერ შეუმშრალ სისხლიან ნაკვალევთა გარდა, ფეხდაფეხ მოჰყვა ახალი საომარი ნაღარის ხმა. იგი ჯერ შორეული და ყრუ იყო, მაგრამ პერსპექტივით უფრო საშიში და ძნელად თავგასართმევი, ვიდრე „მაკედონური ომი". იგი მოასწავებდა კვლავ ახალი ეტაპის დასაწყისს საერთოდ რომის საგარეო პოლიტიკაში და, კერძოდ, რომ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში. ამ ფაქტს რომის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ მორალური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ამჯერად საქმე ეხებოდა აზიას. რომაელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველად დაისვა საკითხი აზიელებთან ურთიერთობისა, მეორე, — რომაელ-აზიელთა ეს პირველი შეხვედრა მახვილთა ჯვარედინით უნდა დაწყებულიყო.

რომაელთა პირველმა დიდმა ნაბიჯმა აღმოსავლეთისკენ, მათმა წარმატებულმა ლაშქრობებმა ბალკანეთზე, კიდევ უფრო გაამწვავა დასავლურ ხმელთაშუაზღვეთისა და აღმოსავლურ-აზიურ მხარეთა შორის ძველთაგანვე არსებული ალარმისტული განწყობილება, რომელიც საბოლოო ფორმით მაშინდელ მსოფლიოზე გაბატონებას ეულისხმობდა. ის, რაც ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელის რომელიღაც „დასავლური ლაშქრობების ნისლოვანებაში" ბუნდოვნად გამოკრთოდა, ნათლად გამოიკვეთა დიდი დამპყრობელის შორეული მიმბაძველ-ეპიგონის, ანტიოქე სირიელის საგარეო პოლიტიკაში. სწორედ სელევკიდური სირიის მბრძანებელი ანტიოქე მესამე იყო ის, ვინც აზიელთაგან პირველი იღებდა ხელთ უმძიმეს მახვილს დასავ-

[1] Liv. XXXIV, 52; Plut. Tit. 13—14.

ლეთიდან დაძრულ მძლავრ მეტოქე-დამპყრობელთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ალექსანდრესეულ შარავანდედზე მეოცნებე გვირგვინოსანს, რომელსაც სახელოვან წინაპართან საერთო ჯერჯერობით ეპითეტ „დიდის" გარდა არაფერი ჰქონდა, კარგად უნდა შეეგნო რა უდგა კედლად მის ხვალინდელ მოწინააღმდეგეს: მთელი ხმელთაშუაზღვის აუზი (უკიდურეს აღმოსავლეთის გარდა) უმდიდრესი ტერიტორიებითა და მრავალრიცხოვანი ხალხებით დასახლებული ქვეყნებით გარშემორტყმული, უმძიმეს ბრძოლებში მძლეთა-მძლეობით მორალურად აღზევებული, რომელთაგან განსაკუთრებული სხივცემით კიაფობდა განადგურება ჰანიბალური კართაგენისა და „გათავისუფლება ელადისა". ასევე რომსაც დიდი შეგნებითა და პასუხისმგებლობით უნდა სცოდნოდა, რა მოწინააღმდეგესთან ექნებოდა ჭიდილი პირველ აზიურ ლაშქრობაში: უზარმაზარი მსოფლიო სახელმწიფო სელევკიდებისა, გადაჭიმული ეგეოსიდან და ფინიკიიდან ფენჯაბამდე და სინდეთამდე, და ამ ქვეყანას, სავსეს ამოუწურავი რესურსებით. მორალურ გვირგვინად თავს ედგა მემკვიდრეობა ელინიზმისა, ბრწყინვალე ცივილიზაციისა, რომელსაც საფუძველი დაუდო დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა.

მთელი „მაკედონური ომის" მანძილზე იგრძნობოდა რომისა და სირიის შეჯახების აუცილებლობა; ამის თავდები იყო ორმხრივი დამპყრობლური ლტოლვა, — სირიისა ევროპისაკენ და რომისა აზიისაკენ. ამჯერად წინააღმდეგობათა კვანძი ბერძნულ სამყაროზე იყო შეკრული და ანტიოქეც უპირველეს ყოვლისა იპყრობდა მცირე აზიურ ბერძნულ ქალაქებს „იმ საბაბით, რომ ისინი მას ეკუთვნიან როგორც აზიის მმართველს; ადრევაც ხომ, — ამტკიცებდა იგი — ისინი აზიის მეფეებს ემორჩილებოდნენო"[1]. იგივე, როგორც ელინისტი-გვირგვინოსანი, თავის თავს ჰელინური სამყაროს ბატონ-პატრონად და მეურვედ თვლიდა, მაშინ როცა ელადაში მას რომაელებმა ჩამოასწრეს გამათავისუფლებლის დროშით.

რომსა და სირიას შორის ურთიერთობის გამწვავებასა და ომის დაჩქარებაში დიდი როლი შეასრულა ჰანიბალმა, რომელიც რომის საჭირბოროტოდ ჯერ კიდევ ცოცხლობდა და კვლავ დიდის ენერგიით იბრძოდა „ჰანიბალის ფიცის" განსახორციელებლად; ე. ი. ზამას ტრაგედიის შემდეგ ახალ იარაღს ეძებდა რომთან სარევანშო ბრძოლის გასაახლებლად. როცა ჰანიბალი სუფეტად აირჩიეს და ისიც კართაგენის აღორძინების საქმეს დიდი ნიჭიერებითა და ენთუზიაზმით ჩაუდგა სათავეში, მისი მოწინააღმდეგე კართაგენელი კონსერვატორები რომს ატყობინებდნენ. „ეითარცა მხეცნი, რომლებიც არა-

[1] App. Syr. 2.

ვითარი ძალით არ დაწყნარდებიან, ისე ამ კაცის სული რჩება მრისხანე და დაუოკებელი (inmitia et inplacabilem). მას აწუხებს სიმშვიდე: იგი ამბობს, რომ სახელმწიფოს [illegible] ქმედად სძინავს (inertia [illegible]) და იარაღის ჟღარუნის გარეშე შეუძლებელია მისი გამოღვიძება (nec sine armorum sonitu excitari [illegible])[1]. რომაელებმა უამრავჯერ კარგად იცოდნენ, რომ ჰანიბალი „[illegible] დამშვიდდება, სანამ ხელახლა არ აღანთებს ომს მთელი [illegible] ევროპაზე". როცა ჰანიბალის ტტრებმა მათი დიდი თანამეგობრული [illegible] ტყვეობის საღრეჩოს ქვეშ დააყენეს, რომაელთა მოსისხლე ჰანიბალი კართაგენიდან გაიხიზნარდა და ფინიკიაზე გავლით სირიის საძეფო სასახლის კარზე იპოვნდა. ბოლოს ქვეყანამ იცოდა, რა მიზანი ჰქონდა ჰანიბალის მისვლას ანტიოქესთან. რომელმაც რომთან ბრძოლების უბადლო გმირი ოა სწორუპოვარი სარდალი ბიიდო „[illegible] ომერთთაგან გამოგზავნილი ძღვენი"[2]. ყველამ იცოდა, რომ ადრიდანვე ჰანიბალი ანტიოქეს შიკრიკებსა და წერილებს უგზავნიდა და მეფისგანაც ძალ საიდუმლოდ მოსდიოდა ელჩები. ე. ი. ჰანიბალსა და ანტიოქეს შორის რომის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის მოლაპარაკება ადრევე დაწყებულა. ხილო ახლა, 195 წელს, როცა ჰანიბალი უკვე სირიის სასახლის კარზე იყო, რომის ხელისუფლებას ეეჭვიეტანლად უნდა ეგულისხმა, რომ ანტიოქე რომთან საომარ გეგმას უკვე გულდასმით ამზადებდა იმ კაცთან ერთად, რომელიც თავისი „სატანური ნიჭიერებით" მხოლოდ რომის საზიანოდ იყო ამ ქვეყნად მოვლენილი. მართლაც, ჰანიბალის ჩამოსვლამ კიდევ უფრო წაააქეზა „მეფე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა რომთან ომის დაწყება. ჰანიბალის მოსვლამ მცირე როლი როდი შეასრულა, მიეცა ბიძგი (moliendum adv[illegible]) მისი სულისათვის"[3].

ანტიოქე ჰანიბალს ეფესოში შეხვდა, სწორედ იმ დღეებში, როცა სირიის მეფე ეგვიპტესთან ურთიერთობის საქმეებს აწესრიგებდა. როგორც ითქვა, მან რომაელებს განუცხადა, რომ ეგვიპტის მეფესთან შეგობრობა და მოყვრობა მაკავშირებს და ჩვენს ურთიერთობაში რომის ჩარევა ზედმეტი იქნებაო. ეგვიპტის გარდა, სხვა მეზობელ მეფეთა შემოკავშირებაც მოუწადინებია რომის მეტოქეს: „ცდილობდა რა დაეფარა რომთან ომის დაწყების განზრახვა, იგი წინდახედულად ქორწინებით იკავშირებდა ახლო-მეზობელ მეფეებს: ეგვიპტეში პტოლემესთან გაგზავნა კლეოპატრა, სირად წოდებული, და თან მზითვად გაატანა კელესირია, რომელიც (ადრე) თვითონ წაართვა პტოლემეს: ეალერსებოდა ყმაწვილს (პტოლემეს), ეგებ

[1] Liv. XVIII, 45; App. Syr. 4.
[2] Just. XXXI, 3.
[3] Liv. XXXIII, 49.

იგი რომთან ომის დროს წყნარად ყოფილიყო. ანტიოქიდა გაუგზავნა არიარათეს, კაპადოკიის მეფეს, და კიდევ ერთი (ქალი) მასთან დარჩენილი, — ევმენს, პერგამოსის მეფეს"[1]. ანტიოქე „მოყვრადქცეული" ეგვიპტისაგან, რომაელებთან ომის დროს, ნეიტრალურ პოზიციას მაინც მოელოდა. ასევე, ალბათ, კაპადოკიისგანაც. განსაკუთრებით მას აინტერესებდა პერგამოსის მეფის, ევმენის პოზიცია, რადგან ახსოვდა თუ რა დიდი როლი შეასრულა პერგამოსის სამეფომ რომაელთა სასარგებლოდ მაკედონიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ანტიოქეს ცდას, — ჩაეთრია პერგამოსი რომის საწინააღმდეგო კოალიციაში — ნაყოფი არ მოუცია.

ჰანიბალი უეჭველი მოწამე იქნებოდა ანტიოქეს ცდებისა — შეკრულიყო მტკიცე აზიურ-ეგვიპტური კოალიცია რომის წინააღმდეგ საბრძოლველად. იგი ითვალისწინებდა აზიელ მეფეთა შორის მუდმივ ქიშპსა და შეურიგებლობას და ამიტომ ანტიოქეს რომთან საომარი გეგმის თავისეულ ვარიანტს სთავაზობდა. ანტიოქემაც მას შემდეგ, რაც რომმა კატეგორიული უარი სთქვა მის აზიურ და ევროპულ დაპყრობათა ცნობაზე, ჰანიბალი მოიხმო და მასთან ერთად შეუდგა საომარ გეგმათა გაჩენას. ჯერ თვითონ ფიქრობდა, თავს დასცემოდა საბერძნეთს და იქედან დაეწყო რომაელებთან ომი. მაგრამ ჰანიბალმა ეს გეგმა დაიწუნა იმ მოტივით, რომ საერთოდ ღარიბ და ახლახან ომებით სულ გაოხრებულ და ამოგდებულ საბერძნეთზე დაყრდნობით, იტალიის დაუშრეტელ საომარ რესურსებზე დაფუძნებული რომის განადგურების ცდას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქვეყნისა და თავის გაწირვა მოჰყვებოდა შედეგად. ამიტომ პირველ ყოვლისა, ჰანიბალის აზრით, აუცილებელი იყო შეკრა თვით იტალიაში, ე. ი. დარტყმა შიგ რომის გულში; „მისი მოსაზრება ყოველთვის ერთი და იგივე იყო: აუცილებელია ომის წარმოება თვით იტალიაში. იქ გარედან მისული მტრისთვის ყოველთვის მოიპოვება ომიც და საომარი რესურსებიც"[2]. მაგრამ ვაი, იმ მოწინააღმდეგეს, ვინც თვით არ დაასწრებს იტალიაში შეკრას და რომს საშუალებას მისცემს, იტალიიდან გამოიკრეს იტალიისვე უზღვავი საომარი საშუალებებით: „თუ საშუალება მივეცით, რომაელმა ხალხმა იტალიის მთელი ძალებით და ჯარებით ომი აწარმოოს იტალიის გარეთ, მაშინ ვერც ერთი მეფე და ვერც ერთი ხალხი ვერ მოერევა რომაელებს"[3]. კართაგენელ სარდალს იტალიაში მოულოდნელი შეკრისა და მისი, — როგორც რომის საომარი საფუძვლის, — აოხრება-აკლების თექვსმეტწლოვანი გამოცდილება ჰქონდა და იგი ახლა ფიქრობდა ამ დიდი გამოცდი-

---

[1] App. Syr. 5.
[2] Liv. XXXIV, 60.
[3] Liv. XXXIV, 60; Just. XXXI, 3.

ლების გამოყენებას იმ ახალი დამატებითი საომარი რესურსებით, რაც მას არ ეყო რომის გასანადგურებლად მეორე პუნიკურ ომში. ამრიგად, ჰანიბალი ამბობდა, „რომ საბერძნეთი, უკვე დიდი ხნიდან დაწიწკნილი, იოლი დასაძლევია ანტიოქესათვის; რომ ომები ყველასათვის, წარმოებული საკუთარ ქვეყანაში, უაღრესად მძიმეა, რადგან მათგან წარმოიშობა შიმშილი; ხოლო ომები (საკუთარი) ქვეყნის გარეთ, გაცილებით იოლი (თავგასართმევია). ანტიოქე ვერასოდეს ვერ შესძლებს რომაელთა ძალის გატეხვას საბერძნეთში, რადგან რომაელებს უხვად ექნებათ სურსათი და მომარაგება. ამიტომ მან ურჩია ანტიოქეს, დაეპყრო იტალიის რომელიმე ნაწილი და იქედან დაძრული შებმოდა რომაელებს"[1].

ბოლოს, ჰანიბალის განსჯის კონკრეტული დასკვნა იყო მისი საომარი გეგმის პრაქტიკული ნაწილი: იგი ანტიოქესგან ითხოვს 10 000 ქვეით მეომარს, ათას მხედარსა და ას გემს. ამ ძალებით იგი შეიჭრება იტალიაში: იმავე დროს ფეხზე დააყენებს კართაგენს, რომლის „ხალხი უკვე დიდი ხანია უკმაყოფილოა და არავითარი ერთგულება არა აქვს რომაელებისა". ჰანიბალი დარწმუნებული იყო, კართაგენელი ხალხი „მაშინვე აღივსება სიმამაცითა და იმედით, თუ გაიგონებს, რომ მე კვლავ ვანგრევ იტალიას". იმ შემთხვევაში, თუ კართაგენის საომრად გამოყენა რაიმე მიზეზით არ მოხერხდა, ჰანიბალი მეფისგან მიცემული საომარი ძალებით მაინც შეიჭრება იტალიაში, „ხოლო მეფე მთელი დანარჩენი ძალებით უნდა გადავიდეს ევროპაში... საბერძნეთში..."

ანტიოქემ ძალიან მოიწონა კართაგენელის საომარი გეგმა. ჰანიბალმაც თავის თანამემამულეთა ომში ჩაბმის ცდით დაიწყო. მან ტიროსში მონახა ვინმე არისტონი, კაცი სანდო, მოქნილი და მოხერხებული და გაგზავნა იგი კართაგენში ბარკიდული პარტიის წარმომადგენლებთან, რამეთუ ამ უკანასკნელთ ჰანიბალის საომარი მოწოდების მიხედვით მთელი კართაგენი დაეყენებიათ ფეხზე რომთან საომრად. მაგრამ კართაგენში არისტონის ჩასვლისა და მისი მიზნების შესახებ უმალვე შეიტყვეს ოლიგარქებმა, ჰანიბალისა და საერთოდ ბარკიდთა მეომრული პარტიის მოსისხლე მტრებმა. მათ სასწრაფოდ მოახდინეს ჰანიბალური წამოწყების პარალიზება: არისტონი სამართალში მისცეს და, თუმცა მან ცბიერი ხრიკით მოახერხა თავის დაძვრენა, საომარი განგაში კართაგენში დასაწყისშივე დაახშეს. ჰანიბალის მოწოდების ხორცშესხმას ხელს შეუშლიდა, აგრეთვე სწორედ იმ დღეებში ნუმიდიელი მასინისას მორიგი მაოხარი თავდასხმა კართაგენზე. წელში გადრეკილ ქალაქს კვლავ რომის „იმედი" ჰქონდა მასინისას ასალაგმავად, ხოლო, რომთან ახალი „პუნიკური ომის" და-

---

[1] App. Syr. 5.

საწყებად ძალა არ შესწევდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც.

ჰანიბალური განსჯის ამ ერთი რგოლის ჩავარდნამ შეაფერხა საერთო საომარი გეგმის განხორციელებისათვის მოქმედება. რომის ხელისუფლებასაც ყურადღებიდან არ გაუშვია საშიში დელგმის აბორგება აზიის ჰორიზონტზე, რომს იმჯერად არ შეეძლო მახვილის კეთებით გაეფანტა აღმოსავლეთით დაძრული ღრუბელი, რადგან მისი მახვილი ესპანელებთან და გალბოიებთან ომებს ჰქონდათ დაშერილი. ამიტომ ჯერჯერობით, დრომდე, რომაულ დიპლომატიას ისევ „ბაწრით უნდა ეთრია" აზიის საკითხი. სირიასთან საომარი მოქმედება უნდა შეყოვნებულიყო, თუნდაც იმის საფასურად, რომ ანტიოქეს სრული მოქმედების ასპარეზი მისცემოდა თვით აზიაში. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რომი აზიის შინაური საქმეებიდან უკან ისევდა, მაგრამ ეს მხოლოდ „ჯერჯერობით" იყო, — მხოლოდ დიპლომატიური მანევრი.

სწორედ ამ მიზნით იქნა გაგზავნილი აზიაში რომაული ელჩობა სახელოვანი სციპიონ ალრიკელის მეთაურობით. ელჩობას ანტიოქეს „შეკავების" გარდა სხვა მისიაც ჰქონდა შესასრულებელი. მას უნდა დაეზვერა აზიელთა საომარი სამზადისი, მათი საომარი გეგმები და საბრძოლო რესურსები. კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმე უნდა გაეკეთებინათ რომაელ დიპლომატებს აზიაში: როგორმე, რაიმე გზით განსეთქილება ჩამოეგდოთ ანტიოქესა და ჰანიბალს შორის.

ელჩობა ეფესოში ჩავიდა და დიდი დახვეწილი დიპლომატიით შეუდგა თავისი მისიის შესრულებას. ამ დროს ანტიოქე პისიდიის შემომტკიცებით იყო გართული და სანამ ის ეფესოში „სტუმრების" შესახვედრად მივიდოდა, რომაელები ყველაფერს ნაცადი თვალით ზომავდნენ და მიუმცდარი ალღოთი ყნოსავდნენ. შემდეგ ანტიოქეც მოვიდა და აუდიენცია მოუწყო რომაელებს, რომაელებმაც მას ასეთი დიპლომატიური განაცხადი წარუდგინეს რომის სენატისაგან: „დაე, ანტიოქე არ გადავიდეს ევროპაში, რამეთუ ამით რომაელები არ დააყენოს აუცილებლობის წინაშე, — თვით გადავიდნენ აზიაში"[1]. ამჯერად ანტიოქესათვის რომის მხრივ ხელის გახსნა დიდი მიღწევა იყო. მაგრამ იქვე მეფეს ერთი რაიმე არ მოეწონა: რომაელების სიახლოვე ჰანიბალთან (!). თვითონაც ამჩნევდა, ამბავიც დაახვედრეს და მომავალში, — სანამ რომაელები აზიაში იყვნენ, — ნათლად ჰხედავდა, რომ ჰანიბალი თავის ძველ ბოსისხლეებთან ატარებდა მთელ დღეებს. განსაკუთრებით სციპიონი არ იშორებდა თავის უპირატეს მეტო-

[1] Just. XXXI, 4.

ქეს და მასთან „ტკბილი, მეგობრული“ ურთიერთობით თვალებს უვსებდა გაოგნებულ მეფეს. რომაელები ხმამაღლა (ანტიოქეს გასაგონად!) „ჰკიცხავდნენ“ ჰანიბალს, რომ იგი ტყუილუბრალოდ გამოიქცა თავისი სამშობლოდან, სადაც მას არავისგან არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. „საყვედურებით ავსებდნენ“ რომაელთადმი უნდობლობისათვის; ებოდიშებოდნენ მათდამი წარსული მტრობისათვის და ქება-დიდებას ასხამდნენ მის ნიჭს და გმირობას. ბოლოს, როცა ჰანიბალმა სციპიონი თავისთან სტუმრად მიიწვია, რომაელმა კართაგენელს ასეთი მრავლისმეტყველი პასუხი გასცა: მე შენთან სიამოვნებით წამოვიდოდი, „რომ არ იყო ანტიოქესთან, რომლის ურთიერთობა რომაელებთან საკმაოდ საეჭვოა“[1].

ამ გზით რომაელებმა მიაღწიეს თავის საწადელს: ანტიოქემ ჯერ ალმაცერად და მალე მტრულადაც დაუწყო ცქერა ჰანიბალს.

რასაკვირველია, ჰანიბალისადმი ანტიოქეს უნდობლობაში დიდ როლს ასრულებდა შურიანობაც, რაც ყოველ „დემობორ“-დესპოტს მუდამ თან სდევს ხოლმე.

მაშასადამე, რომაელებმა შესძლეს, ანტიოქეს ხელში უენებელეყოთ ის საშიში იარაღი, რასაც დიდი კართაგენელი მსედართმთავრის ჩამსედრო ხელოვნება ერქვა. ეს, რასაკვირველია, თავისებურ კვალს დაამჩნევდა მომავალ საომარ მოქმედებებს.

მაგრამ რომაელებმა ვერ შეძლეს მოესპოთ ომის დაჩქარების ისეთი აქტიური ფაქტორი, როგორიც ეტოლიის კავშირი იყო, ეტოლიელები კინოსკეფალეს ბრძოლის მეორე დღიდანვე არც ერთი წუთით არ ღალატობდნენ რომის წინააღმდეგ თავგამოდებული ბრძოლის პოზიციას.

მაშასადამე, ომს კვლავ საბერძნეთის საკითხი აჩქარებდა. საბერძნეთი იყო განხეთქილების ვაშლი რომსა და მაკედონიას შორის. საქმე იმაშია, რომ საბერძნეთი საბოლოოდ გაერკვა იმ წილხვედრში, რაც მას „მაკედონურმა ომმა“ არგუნა. „თავისუფლების თაფლის თვეები“ მწარედ დაიწყო და უფრო მწარედ და შხამად დასრულდა. „ელეკთერიად“-თქმული რომაული უღელი მაკედონურ ბორკილზე მძიმე გამოდგა. ელადა კვლავ განმათავისუფლებლის, — ნამდვილი განმათავისუფლებლის — ძიების გზაზე იდგა. შესაძლო იყო ელადის განთავისუფლების გმირობა ყველაზე მეტად ელინისტ გვირგვინოსანს მოხდენოდა. შესაძლო იყო ისიც, ანტიოქე მარტო საბერძნეთს არ დაჯერებულიყო და ბალკანეთი იტალიაზე ლაშქრობის პლაცდარმადაც გაეხადა. რომში ხმა მოვიდა: „როგორც კი ანტიოქე ეტოლიაში გაჩნდება, მაშინვე გაგზავნის ფლოტს სიცილიაში“.

ომს მშვიდობისკენ ვერავითარი ძალა ვეღარ შემოაბრუნებდა, და

[1] App. Syr. 11.

192 წელს დაიწყო „სირიის ომი". ანტიოქემ ევროპული ლაშქრობა დაიწყო 10.000 ქვეითი მეომრით, 500 მხედრით, 6 სპილოთი და 40 ხომალდით. მას საბერძნეთში პირველ შეჭრისთანავე „ტრიუმფალური სვლის" იმედი გაუცრუვდა. 192 წელს მხოლოდ კუნძული ევბეა ჩაიგდო ხელში. ამიტომ იგი მომავალი წლისათვის ხელახლა შეუდგა სტრატეგიული გეგმის დამუშავებას. შეჰყარა სამხედრო თათბირი, რომელზეც, როგორც იქნა, ჰანიბალიც მიიწვია და მისი აზრის მოსმენაც ინება, ჰანიბალმა თქვა:

მეფის მთავარი შეცდომა ის არის, რომ ეტოლიელებს დაუჯერა და ადგილობრივი ბერძნული პოლისების მხარდაჭერის იმედით, საკუთარი ძალებით არ ჩავიდა ევროპაში. პირველი შეცდომა კი საომარ მსვლელობაში ყველაზე უმძიმესი შეცდომაა, რადგან „სხვა ხალხებთან ომებში ყველაზე მთავარია მოპოვებული იქნას პირველი მოგება სიერცესა და დროში"[1]. დიდი შეცდომაა ისიც, რომ საომარ მოქმედებათა ასპარეზად არჩეულია საბერძნეთი. რა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ ამ ღარიბი, ომებისაგან გაჩანაგებული და რომაელებისაგან დაშინებული ბერძნებისა. ვთქვათ, ჩვენ დაგვემორჩილენ ევბეელები, ბეოტიელები და თესალიელები; მაგრამ სად არის გარანტია, რომ ისინი რომაელთა შემოჭრისთანავე ისევ რომის მხარეზე არ გადავლენ? მაშასადამე, — არავითარი იმედი ბერძნებისაგან, მათ შორის არც ეტოლიელებისა და ათამანებისაგან. ბალკანეთზე მხოლოდ ერთი პოლიტიკური და სამხედრო ძალა, რომელსაც შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს საომარ მსვლელობაში, ეს არის მაკედონია; „ფილიპესთან შეკავშირებით, შემიძლია გაბედულად ვთქვა, — წარმატებაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება"; „ამ ომში მას (ფილიპეს) შეუძლია იმ მხრისკენ გადასწონოს, ვის მხარეზედაც იგი დადგება". მაშასადამე, აზიისა და მაკედონიის ერთიანი ფრონტი აუცილებელია რომის წინააღმდეგ საომრად. უკიდურეს შემთხვევაში, — თუ მაკედონიასთან ერთიანობა მიუღწეველი იქნება, ის მაინც უნდა იქნეს მიღწეული, რომ მაკედონია მოწინააღმდეგის ბანაკში არ აღმოჩნდეს; მაგალითად, თუ მეფის ძე სელევკოსი, რომელიც ახლა ლისიმახიაში იმყოფება, მაკედონიას შეუტევს, ფილიპე იძულებული გახდება თავისი სამფლობელოების დაცვაზე გადავიდეს და რომთან საომარ მხარდაჭერაზე ვეღარ იფიქროს. ბოლოს, რაც მთავარია, რომის უეჭველი განადგურება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საომარი ასპარეზი საბერძნეთის ნაცვლად გაიმართება იტალიაში. მხოლოდ და მხოლოდ იტალიაზე დარტყმით შეიძლება რომის განადგურება. მეფეს რომ ჩემთვის თავიდანვე დაეჯერებინა — განაგრძობს კართაგენელი — „რომაელები ახლა გა-

[1] Just. XXXI, 5.

იგონებდნენ არა ქალკიდის დაქერას ევბეაზე და ევროპის ციხე-სიმაგრეთა აღებას, არამედ (ისინი შეიტყობდნენ), რომ ომის ხანძარი მოედო ეტრურიას, ლიგურიას და ცისალპიურ გალიას და, — რაც განსაკუთრებულ თავზარს დასცემდა მათ — ჰანიბალი იტალიაშია!“ „...თუ ვინმე დაესხმის თავს რომაელებს თვით იტალიაში, იგი შესძლებს მათ დამარცხებას მათივე საკუთარი სიმდიდრეებით, მათივე ძალებით, მათივე იარაღით, რაც თავის დროზე შეძლო თვით ჰანიბალმა. ასევე, ვინც მათ განკარგულებაში დატოვებს იტალიას როგორც ძლიერების წყაროს, ისევე შეცდება, ვითარცა იგი, ვინც მოისურვოს აღმა შეაბრუნოს ან ჩაახშოს მდინარე არა სათავეში, არამედ იქ, სადაც დაგუბებულა წყალთა სიმრავლე... თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ისინი (რომაელები) უძლეველნი არიან, თავიანთ სამშობლოში — მოწყვლადნი. უფრო ადვილია წაართვა მათ ქალაქი (რომი), ვიდრე ბატონობა (დაპყრობილ სამფლობელოებზე), უფრო იოლია წაართვა მათ იტალია, ვიდრე პროვინციები“. ამიტომ საჭიროა: მეფემ აზიიდან გადმოიყვანოს მთელი თავისი სახმელეთო არმიები და საზღვაო ძალები, თავისი აღალითა და ყველა საჭირო საბრძოლო რესურსებით: მოაწყოს იტალიაში შეკრა სამი მხრიდან, — კორკირა-ბრუნდიზიუმის, აფრიკა-სიცილიისა და სარდინიის მხარეებიდან; თვით მეფემ დასცეს ბანაკი საბერძნეთის დასავლეთ სანაპიროთა ცენტრალურ ნაწილში, საიდანაც ერთის მხრივ მეთვალყურეობის ქვეშ ეყოლება საბერძნეთი, ხოლო მეორეს მხრივ არ დაუშვებს რომაელთა გამოსვლას იტალიიდან ბალკანეთზე. აქედანვე მეფე საჭიროების შემთხვევაში თვითონაც შეიკრება იტალიაში, ან ასეთი შეკრის შიშის ქვეშ ეყოლება მოწინააღმდეგე.

ანტიოქემ და მისმა სასახლის კამარილიამ მხოლოდ მოისმინა დიდი კართაგენელის ეს საფუძვლიანი საომარი ფონასაზრი. სუსტი ადამიანების შური და ქიშპი დიდი ტალანტისადმი, მით უფრო უცხოელისადმი, რასაკვირველია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ჰანიბალის გეგმის მიუღებლობაში, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ იმ პირობებში საერთოდ შეუძლებელი იყო ჰანიბალის ფართო მასშტაბის სტრატეგიის განხორციელება. ჯერ ერთი, ერთიანი აღმოსავლური ფრონტის შეკვრა არ მოხერხდებოდა თვით ელინისტურ მონარქიათა ბუნების მეოხებით; სირიისა და მაკედონიის მეფეთა შერიგება შეუძლებელი იყო. რაც შეეხება აზიიდან იტალიაში შეკრის ჰანიბალურ გეგმას, მას ვერც კი შეპბედავდა ისეთი პოლიტიკოსი, როგორიც ანტიოქე მესამე იყო.

ერთადერთი, რაც ჰანიბალის გეგმიდან მიიღეს, იყო ის, რომ ერთ-ერთი სტრატეგოსი, პოლიქსენიდი მეფემ გაგზავნა აზიაში, მთელი სახმელეთო და საზღვაო ფლოტის გადმოსაყვანად.

ანტიოქემ მთელი ყურადღება თესალიაზე გადაიტანა. მან აიღო ქალაქი ფერე და აქ დაბანაკებულმა შეიერთა ეტოლიელები და ათამანები. მერე, კინოსკეფალესთან დახოცილი მაკედონელების ძვლები დააკრძალვინა, თითქოს ამით მაკედონელთა გულს მოიგებდა და ფილიპეს ავტორიტეტს შეარყევდა. საპასუხოდ ფილიპემ, რომელიც კიდევ მერყეობდა და უყურებდა, ვის მხარეზე დამდგარიყო, მაშინვე გადაწყვიტა რომაელთა მხარე დაეჭირა და, მოიწვია რა მათი სამხედრო მეთაური ბებიუსი, ახლო მყოფი საჯარისო ნაწილის უფროსი, მიიღო იგი რომელიღაც ციხე-სიმაგრეში და ხელახლა მისცა რომაელებს საზეიმო აღთქმა, რომ მათი უტყუარი მოკავშირე იქნებოდა ანტიოქეს წინააღმდეგ. რაღა თქმა უნდა, რომაელები სიხარულით შეხვდებოდნენ მაკედონიის მეფის ასეთ გადაწყვეტილებას: ბებიუსმა მას დაუწყო შექება ასეთი გადაწყვეტილებისათვის და გაბედა მაკედონიის გავლით თესალიაში გაეგზავნა აპიუს კლავდიუსი ორი ათასი ქვეითი მეომრით.

ანტიოქემ აიღო ციხე-სიმაგრეები კრანონი, კიპერა, მეტროპოლისი და მიადგა თესალიის დიდ ქალაქს, ლარისას. მან აქაურ მცხოვრებთა დასაშინებლად წინ სპილოები გაირეკა და ყოველის მხრით შემოერტყა ქალაქს, მაგრამ როცა აპიუს კლავდიუსი რომაული ჯარით გამოჩნდა, მეფე შეშინდა, ლარისას ალყა მოხსნა და დემეტრიადაში დაბრუნდა. აქედან იგი ისევ ქალკიდაში ჩავიდა და დარჩენილი ზამთარი სიმარმაგეში ფეხშედგმულმა მეფემ ქალკიდელ გოგონასთან ქორწინება-დროსტარებასა და ნადიმ-ღრეობას შეალია. მისი ჯარებიც მთელი ზამთარი უსაქმურების, უდისციპლინოებისა და დეზერტირების ბანდებად იქცნენ.

რამდენადაც უზრუნველად და უფიქრელად შეხვდა ომის დაწყებას ანტიოქე, იმდენადვე დიდის ენერგიითა და შორსხედვით შეუდგა საომარ სამზადისს რომი. იგი, მოწინააღმდეგის დაუკვირვებლობისა და სიბეცის მიუხედავად, აზიის მბრძანებელს მაინც სერიოზულ მოწინააღმდეგ სთვლიდა და დიდი ომისათვის საჭირო ყველა დეტალს ითვალისწინებდა. ჯერ რომის ხელისუფლება აკვირდებოდა ყველა იმ პუნქტს, საიდანაც ასეთი მძიმე ომის მომენტში მოსალოდნელი იყო რაიმე აფეთქება მისი მბრძანებლობის წინააღმდეგ. ამიტომ ყველგან, ასეთ საეჭვო ადგილებში სამეთვალყუროდ გაგზავნილი იქნენ ჯარები პრეტორთა სარდლობით. რომაული სამხედრო ბანაკები განლაგდნენ იტალიაში, კართაგენში, ესპანეთსა და საბერძნეთში, სადაც ჯერ კიდევ ადრე რომაელთა საომარი ექსპედიციის ნიადაგის მზადებას ტიტე ფლამინინუსი შესდგომოდა, ხოლო მერე მარკუს ბებიუსი გადავიდა იქ ჯარებით. შიში მაკედონიის მხრიდან მალე მოიხსნა, რადგან, როგორც ვთქვით, ანტიოქეს პოლიტიკური

სიბეცის წყალობით, ფილიპემ საბოლოდ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა და მისსავე წინააღმდეგ საომრად რომს შეუერთდა. რომის ხელისუფლებას არც ის ავიწყდებოდა, რომ ანტიოქეს ბანაკში იმყოფებოდა ჰანიბალი, და სანამ ის ცოცხალი იყო, — მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქე ვერ იყენებდა ბედისგან მიჩეჩებულ ამ უბასრეს მახვილს — მაინც მოსალოდნელი რჩებოდა იტალიაში „ჰანიბალური პანდორის“ განმეორება. ამიტომ იტალიის სანაპიროები, განსაკუთრებით ბრუნდიზიუმის მხარე, სამხედრო ბანაკებითა და ფლოტით გაავსეს.

ანტიოქეს წინააღმდეგ სალაშქროდ რომს გამზადებული ჰყავდა 20 000 რომაელი ლეგიონერი და ორი ამდენი „მოკავშირე“-იტალიელი, ე. ი. სულ 60 000 მეომარი.

191 წლისათვის რომში ერთ-ერთ კონსულად აირჩიეს მანიუს აცილიუს გლაბრიონი, რომელსაც წილად ხვდა მთავარსარდლობა ანტიოქეს წინააღმდეგ ომში. კონსულის არმია ხანგრძლივი ომისათვის იქნა მომარაგებული ყოველნაირი სურსათითა და საომარი საჭურველით. მიუხედავად იმისა, რომ იტალიას პურის მარაგი აკლდა, რომის მოთხოვნით გლაბრიონის არმიისათვის კართაგენიდან და ნუმიდიიდან ვადაზიდეს პური საბერძნეთში. რომაელები დიდის ენერგიით ამზადებდნენ საზღვაო ფლოტსაც, რომელსაც სათავეში ედგა პრეტორი გაიუს ლივიუსი.

2. ომის პირველი წლები

191 წლის გაზაფხულზე კონსულმა მანიუს აცილიუს გლაბრიონმა 20 000 ქვეითი ლეგიონერით, 2 000 მხედრით და საბრძოლო სპილოებით, ბრუნდიზიუმიდან გადალახა ადრიატიკი და ბალკანეთზე, აპოლონიასთან დასცა ბანაკი. მან ქვეითი არმია ჩააბარა სამხედრო ტრიბუნებს, მარკუს პორციუს კატონს და ლუციუს ვალერიუს ფლაკუსს და სასწრაფოდ გაგზავნა ისინი ლარისაში; თვითონ კი კავალერიით მივიდა ლიმნეაში, სადაც მას ფილიპე მაკედონელი და პრეტორი მარკუს ბებიუსი ელოდებოდნენ. გლაბრიონმა შეიერთა ისინი და სწრაფი მარშით შეუდგა თესალიის ქალაქებიდან აზიელთა, ეტოლიელთა და ათამანთა გარნიზონების განდევნას. . სულ მოკლე ხანში მთელი თესალია ისევ რომაელთა ხელში აღმოჩნდა.

ანტიოქე თითქოს ახლა გამოფხიზლდა. იგი მიხვდა თავის შეცდომებს. განსაკუთრებული სინანულით გაიხსენა ჰანიბალის გეგმა, და ერთდროულად დაინახა როგორც ამ გეგმის საზრისიანობა, ისე მისი განხორციელების ყამგასულობა. პოლიქსენიდე, რომელიც აზიაში იყო გაგზავნილი ძირითად საომარ ძალთა გადმოსაყვანად, აგვიანებ-

ღა. ასე, რომ ჰანიბალის გეგმიდან ეს ერთადერთი მიღებული პუნ-ქტიც იშლებოდა. მაგრამ რაკი არას არგებდა „გვიანღა თითზე კბე-ნანი", ანტიოქე მაინც შეეცადა, რაიმე გზით მოეხდინა მოწინააღ-მდეგის წარმატებათა პარალიზება. მეფემ მის ხელთ არსებული ჯა-რებით, სულ 10.000 ქვეითი მეომრით, 500 მხედრითა და 4.000 ეტოლიელით, — გადაინაცვლა ჩრდილო და შუა საბერძნეთის შესა-ყარში და სახელგანთქმულ თერმოპილეს ხეობაში გამაგრდა. იგი არ დასჯერდა აქ არსებულ ბუნებრივ სიმაგრეებს და ბანაკი ორ-რიგოვანი მიწაყრილებითა და ქვის კედლებით შემორაგვა. მეფემ გა-ითვალისწინა ისიც, რომ დაახლოებით 290 წლის წინათ, აქ, თერ-მოპილეს კარებში ჩამდგარ ლეონიდესა და მის სამას სპარტანელს სპარსელებმა ზურგიდან, ე. წ. „ატრაპონის" ბილიკით შემოუარეს და ორმხრივი შეტევის ქვეშ მოაქციეს. ანტიოქემ „ატრაპონის" გა-სამაგრებლად გაგზავნა ეტოლიელთა ერთი ნაწილი. დანარჩენი ორი-ათასი ეტოლიელი მეფემ თერმოპილეს მახლობლად მდებარე ქ. ჰერაკლეაში ჩააყენა. ბრძოლა თერმოპილეს ხეობაში გაიმართა.

როგორც კი რომაელები ბანაკიდან გამოვიდნენ და საომარი წყობით მოწინააღმდეგისკენ დაიძრნენ, ანტიოქემაც გამოიყვანა არ-მია და თავის ბანაკის წინ დარაზმა მტრის დასახვედრად. წინა ხაზზე მსუბუქად შეიარაღებულნი დააყენა, შემდეგ მაკედონური ფალანგის წყობით შეკრული გრძელშუბოსანი მეომრები („სარისოფორები"). მარცხენა ფლანგზე — მოისარნი და მოშურდულენი, მარჯვენაზე — ფრინ სპილოები და უკან კავალერია. მეორე რიგში ჩადგნენ ქვეითი არმიის ძირითადი ნაწილები.

ბრძოლა დაიწყო აზიელთა წარმატებით, ჯერ მათ მოიგერიეს რო-მაელთა თავდასხმები, შემდეგ კი ხელჩართულ ბრძოლაში აშკარად დასჯაბნეს ისინი. რომაელები საბოლოო მარცხისაგან იხსნა მარკუს პორციუს კატონის საომარმა ოპერაციამ, რომელიც მან მოაწყო მტრის ზურგში, „ატრაპონიდან". იგი მოულოდნელად თავს დაესხა აქ გამაგრებულ ეტოლიელებს, გაანადგურა ისინი და ასევე მო-ულოდნელად მიიტანა იერიში აზიელთა არმიის ზურგზე. ამგვარად, მეფე ორმხრივი შეტევის მარწუხებში მოექცა და ბრძოლამაც რო-მაელთა სასარგებლოდ იბრუნა პირი. ანტიოქეს არმია თითქმის მთლიანად განადგურდა. ბრძოლაში თვითონ მეფეც დაშავდა: შურ-დულით გატყორცნილი ქვა პირში მოხვდა და კბილები ჩააყრევინა. მხოლოდ ხუთასი კაცის თანხლებით დატოვა მან ბრძოლის ველი. იგი გაიქცა ჯერ ელატეაში, შემდეგ ქალკიდაში, იქედან ეფესოში. რო-მაელებმა ხელი მიჰყვეს მტრის მდიდარი ბანაკის „ათვისებას".

იმავე დროს, რომაელთა ფლოტმა პრეტორ ატილიუსის მეთა-

ურობით, კუნძულ ანდროსთან ხელთ იგდო ანტიოქეს რამდენიმე ხომალდი.

გლაბრიონმა გამარჯვებისთანავე რომში აფრინა თერმოპილეს ბრძოლის უპირველესი გმირი მარკუს პორციუს კატონი, რომელმაც ამცნო „მსოფლიო მბრძანებელს“ ანტიოქეს ძლევის ამბავი. რომი საამდღიანი ზეიმ-ღრეობითა და მსხვერპლწირვით შეხვდა აზიელებზე პირველი გამარჯვების ამბავს. რომაელი „ხალხი სიამაყით აღივსო, რომ მისი ძალაუფლებისა და მბრძანებლობის წინ გართხმულია მთელი ხმელნი და ზღვანი („fronematos de tou demon hos pases ges kai thallases kratein dinamenon“)[1]. გლაბრიონი ჯერ ევბეაზე გადავიდა და ქალაქი ქალკიდა დაიპირა, შემდეგ ისევ შუა საბერძნეთში დაბრუნდა და მიადგა ჰერაკლეას, სადაც ეტოლიელები იყვნენ გამაგრებულნი. სასტიკი იერიშების შემდეგ რომაელებმა ჰერაკლეა აიღეს, გაძარცვეს და დაანგრიეს, მცხოვრებთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ეტოლიელები, გაყლიტეს, დანარჩენები მონებად აქციეს. ტყვედ ჩავარდა ეტოლიელთა სტრატეგოსი დემოკრიტეც, რომელმაც ომის დაწყებამდე ტიტე ფლამინინუსს უთხრა, დეკრეტს მაშინ მიიღებ, როცა ეტოლიელები ტიბრის პირზე დავცემთო ბანაკს...

შემდეგ, გლაბრიონმა და ფილიპე მაკედონელმა ბერძნული ოლქები საძარცვავად და საპარტახოდ გაიყვეს. რომაელები ეტოლიის მიწა-წყლისა და სოფელ-ქალაქების ძარცვა-ტყვევნას შეუდგნენ, ხოლო მაკედონელები — თესალიისას. გლაბრიონის მეომრები ისე იყვნენ ნაძარცვითა და ნაალაფევით დატვირთულნი, რომ მოძრაობაც ალარ შეეძლოთ; იყო შემთხვევები, როცა ეტოლიის მთებსა და ვიწრობებში მიმავალნი, ნაძარცვით დამძიმებულნი, საცალფეხო ბილიკებზე თავს ვეღარ იმაგრებდნენ, წონასწორობას ჰკარგავდნენ და უფსკრულებსა და ციცაბოებზე ცვიოდნენ. 191 წელიც მიიწურა და გლაბრიონის კონსულობისა და მთავარსარდლობის რწმუნებებსაც ყავლი გაუვიდა. ანტიოქეს დამარცხების შემდეგ, რომაელმა სარდალმა სახმელეთო ბრძოლები უღიმღამოდ ჩაატარა.

3. პირველი აზიური სახელმწიფოს განადგურება

რომის მთელი ყურადღება პირველი აზიური ლაშქრობისადმი იყო მიპყრობილი, ევროპიდან აზიაში გადასვლა უნდა წარმართულიყო არანაკლები პასუხისმგებლობით, ვიდრე ეს მოეწყო ალექსანდრე მაკედონელის აზიური ლაშქრობების დროს. ამიტომ, ბუნებრივია, ყველაზე სერიოზულ საკითხად იდგა, ვინ უნდა ყოფილიყო მთავარსარდალი ამ მეტად საპასუხისმგებლო ლაშქრობაში. ბუნებრივია

[1] Plut. Cato Maior, 14; Liv. XXXVI, 21; App. Syr. 20.

ისიც, რომ ყოველი საღი გონება ჰანიბალისა და ანტიოქეს წინააღმდეგ მეომარ სარდლად ისევ ჰანიბალის მძლე პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელს. გაითვალისწინებდა. მაგრამ ამჯერად არ მოხერხდა ზამას სახელოვანი გმირის არჩევა კონსულად. რომაული კონსტიტუცია კატეგორიულად კრძალავდა ზედიზედ ერთი კაცის არჩევას უმაღლეს თანამდებობაზე. ათი წლის შუალედი მაინც უნდა გაევლო კაცს მაგისტრატურიდან მაგისტრატურამდე. ხოლო სციპიონი უკანასკნელად 194 წელს იყო კონსულად. ოთხი წლის შუალედი კი საკმარისი არ იყო ხელახალი არჩევისათვის. რომის პოლიტიკური ისტორიის პრაქტიკაში ეს კონსტიტუციური შეზღუდვა რამდენჯერმე დაირღვა და განსაკუთრებით, ისევ სციპიონის სასარგებლოდ; მაგრამ სწორედ სციპიონის „განსაკუთრებულობა" აშფოთებდა რომაელ „რესპუბლიკელებს". იგი მეორე პუნიკური ომის დროს ათი წელი იყო შეუცვლელ უმაღლეს მაგისტრატად (კონსული, პროკონსული, მთავარსარდალი): ე. ი. მას ათი წელი ჰქონდა imperium consulare. ეს კი იგივე „რესპუბლიკელებისაგან" რესპუბლიკური კონსტიტუციის უხეშ დარღვევად და აშკარა „ტირანიად" ითვლებოდა. ათი წლის შუალედი კვლავ უგულვებელყოფილი იქნა, როცა სციპიონი 194 წელს ისევ აირჩიეს კონსულად: იგი ხომ უკანასკნელად 201 წელს — კართაგენის განადგურების წელს — იყო კონსულისა და მთავარსარდლის რწმუნებებით აღჭურვილი. სციპიონის ერთპიროვნულ მაგისტრატურას და საერთოდ მის „ტირანიას" ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით, ხოლო ახლა ყურადღებას ვაქცევთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებურ „პოლიტიკურ თაღლითობას", რაც მაშინდელ რომში მოხდა აზიურ ლაშქრობაში მთავარსარდლობის თაობაზე. 190 წლისათვის კონსულებად აირჩიეს ლუციუს სციპიონი და გაიუს ლელიუსი: პირველი იყო ძმა დიდი სციპიონ აფრიკელისა, ხოლო მეორე მისი უახლოესი მეგობარი და მარჯვენა ხელი ჰანიბალის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი არჩევისთანავე იგრძნობოდა, რომ, რომელიც არ უნდა ყოფილიყო consul armatus ანტიოქესა და ჰანიბალის წინააღმდეგ ომში, სულ ერთია, პირველი აზიური ლაშქრობა მაინც „სციპიონური შარავანდედით" უნდა ყოფილიყო გზავაკვლეული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ტიტე ლივიუსის ცნობა: რომში „სურდათ გამოეცადათ, შეეფე ანტიოქეს უფრო გამოადგებოდა დამარცხებული ჰანიბალი, თუ რომაელ კონსულებს და ლეგიონებს გამარჯვებული (სციპიონი) აფრიკელი"[1].

აფრიკულ წარმატებათა აზიაში გადატანა უფრო სრულყოფილად მაშინ მოხერხდებოდა, თუ აღმოსავლურ საქმეთა წარმართვის რწმუ-

[1] Liv. XXXVII, 1.

ნებებს მიიღებდა ლუციუს სციპიონი, რომელიც მისი დიდი ძმის ნებას უფრო იოლად დაემორჩილებოდა, და არა შედარებით თავისუფალი ნიჭისა და ენერგიის მქონე გაიუს ლელიუსი. ასეც მოხდა: აღმოსავლური ლაშქრობის მთავარსარდლობა მიიღო კონსულმა ლუციუს სციპიონმა, ხოლო მის ლეგატად დაინიშნა მისი ძმა პ. სციპიონ აფრიკელი. ამგვარად, მოხერხდა ისე, რომ არც რესპუბლიკური კონსტიტუცია „გააჯავრეს" და აზიური ლაშქრობის საქმეც საიმედო ხელს ჩააბარეს. „რესპუბლიკელებმა" თავი დაინუგეშეს, რომ რომის ტრადიციული პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმის ხელშეუხებლობა დაცული იქნა. მაგრამ მართლაც რომ მხოლოდ ფორმალური მსარე იქნა დაცული, თორემ ფაქტიურად კვლავ სციპიონურმა „ტირანიამ" გაშალა ფრთები. ყველამ იცოდა, როგორც კი ძმები საქმეს შეუდგებოდნენ, ფორმალურ და ფაქტიურ რწმუნებებს ერთმანეთს გაუცვლიდნენ. პუბლიუს სციპიონი გვეელინება როგორც ფაქტიური მთავარი გმირი აღმოსავლეთის საქმეებისა, ხოლო კონსული ლუციუსი, როგორც მისი ფორმალური მხლებელი. 190 წლის გაზაფხულისათვის სალაშქროდ ყველაფერი მზად იყო.

სციპიონების არმია 30.000 ქვეით მეომარსა და 500 მხედარს მოითვლიდა.

და აი, რომაელები უკვე აზიაში არიან. დასავლეთ ევროპამ პირველად შედგა ფეხი აზიის მიწაზე.

ანტიოქემ ზავის დადება ცადა. მოლაპარაკებისათვის რომაელთა ბანაკში გაგზავნა ბიზანტიელი ჰერაკლიდე, რომელმაც სციპიონებს მეფისაგან ასეთი საზავო პირობები შესთავაზა: ანტიოქე ხელს იღებს სმირნაზე, ტროადის ალექსანდრიაზე, ეოლიდისა და იონიის ყველა ქალაქზე; ამას გარდა, იგი რომს გადაუხდის ომით გამოწვეული ხარჯების ნახევარს. ანტიოქეს ელჩი არწმუნებდა რომაელებს ზომიერების დაცვის აუცილებლობაში, — დაკმაყოფილებულიყვნენ ისინი ევროპაში დაპყრობილი ქვეყნებით.

მაგრამ „ღვთისსწორმა" რომაელებმა არ ინებეს „მოკვდავ არსთა" ისგავსად დაკმაყოფილებულიყვნენ „მცირედი ევროპულით" და აზიაში მტკიცედ ფეხჩადგმის მიზნით ანტიოქეს ისეთი საზავო პირობები წაუყენეს, რის მიღებაც მეფეს არასგზით არ შეეძლო. სციპიონების მოთხოვნა ასეთი იყო: ანტიოქემ უნდა გადაიხადოს საომარი ხარჯები მთლიანად, ჩააბაროს რომს საზღვაო ფლოტი მთლიანად, დააბრუნოს ტყვეები და ემიგრანტები, ხელი აიღოს არა მარტო ელადასა და იონიაზე, არამედ მცირე აზიის ყველა სამფლობელოზე ტაურის მთის დასავლეთით და სამხრეთით, ე. ი. ანტიოქე დაკმაყოფილდეს მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ სირიის ტერიტორიით. შემდეგ ჰერაკლიდე შეეცადა ცალკე პუბლიუს სციპიონის გულის

მოგებას. ახლა ანტიოქე სციპიონ აფრიკელს ჰპირდებოდა მისი ვაჟის განთავისუფლებას, რომელიც ომის პირველ წელს საბერძნეთში ხელთ ჩაუვარდათ აზიელებს. ამას გარდა, მეფე ჰანიბალის მძლეველს აღუთქვამდა „იმდენ ფულს, რამდენსაც პუბლიუსი თვითონ გადახდიდა, და შემდგომში თავის ხაზინასაც აძლევდა მას პირად სარგებლობაში, ოღონდ კი დახმარებოდა იგი მეფისაგან წაყენებული პირობების მიღებაში"[1].

ბუნებრივია, პუბლიუს სციპიონი უარზე დადგებოდა. ანტიოქეს და მის ელჩს უნდა სცოდნოდათ ის საზავო პირობები, რაც რომაულმა საბჭოდრო საბჭომ ასე კატეგორიულად წამოაყენა, თვით სციპიონ აფრიკელის კარნახით იყო შედგენილი. ამიტომ ანტიოქეს შემოთავაზება სციპიონისგან უარყოფილი იქნა. ჯერ ერთი, სციპიონ აფრიკელს იმედი ჰქონდა „შვილს დაიბრუნებდა იარაღით, როგორც ეს მის ღირსებას შეეფერებოდა": და მეორეც, ანტიოქეს უნდა შეეგნო, რომ მას, თუკი მართლა საომარი მოქმედების შეწყვეტა სურდა, ძალიან დააგვიანდა საზავო მოლაპარაკების გამართვა. რომ მას, ვთქვათ, ზავი ეთხოვა მანამ, სანამ ხელთ ეპყრა ლისიმახია და თრაკიის ხერსონესი, მაშინ კიდევ შესაძლებელი იყო მისთვის რაიმე ხელსაყრელი შედეგი მოჰყოლოდა საზავო მოლაპარაკებას. მაგრამ ახლა, როცა რომაულმა არმიებმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჰელესპონტი გადმოლახეს და აზიაში ფეხი მოიკიდეს — ე. ი. როცა ანტიოქემ მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა მისთვის, როგორც ცხენისათვის, არა მარტო ლაგამი ამოედო, არამედ ზურგზედაც მოსჯდომოდა[2] — რომაული სარდლობა აღნიშნულ საზავო მოთხოვნაში ოდნავ შეღავათსაც კი არ დაუშვებდა. ამიტომ სციპიონი ურჩევს ანტიოქეს, „მიიღოს წაყენებული პირობები, სანამ მას უფრო მძიმე მოთხოვნების შესრულება მოუხდებოდეს"[3].

ანტიოქესაც, რასაკვირველია, არ შეეძლო უსისხლოდ დათანხმებულიყო რომაელთა მოთხოვნებს. ისე, როგორც ადრე ფილიპე მაკედონელი, ანტიოქეც სთვლიდა, რომ ომის წაგების შემთხვევაშიც კი რომაელები უფრო მძიმე საზავო პირობებს ვერ წაუყენებდნენ. ამიტომ მეფემ რომაელთა შტაბის მოთხოვნას უპასუხა, რომ იგი „ჯერ კიდევ ისე არ დამარცხებულა, შესაძლებელი იყოს მისი სამეფოს წართმევა, და, რომ ასეთი წინადადებანი ომისკენ მოწოდებაა და არა ზავისკენ (მისწრაფება)"[4].

დადგა პირველი დიდი ბრძოლის დღე აზიაში, აზიელებსა და რო-

---

[1] Polyb. XXI, 15; Liv. XXXVII, 36; App. Syr. 29; Just. XXXI, 7.

[2] Polyb. ibid.; Liv. ibid.; App. ibid.

[3] App. Syr. 29.

[4] Just. XXXI, 7; Polyb. XXI, 15; Liv. XXXVII, 36; App. Syr. 30.

ბაელებს შორის, — 190 წლის შემოდგომაზე, ქალაქ მაგნეზიასთან, სიპილას მთის მახლობლად.

ანტიოქეს ბრძოლის ველზე მოიყვანა არმია, რომელიც სულ შედგებოდა 75—80.000 მეომრისაგან. აქედან: 16.000 მძიმედ შეიარაღებული ფალანგიტი, 20.000 მსუბუქი მეომარი, 12.000 მხედარი, სხვადასხვა ტომის ათასეულები, ცელებით აღჭურვილი ეტლოსნები და სპილოები (ორმოცდათოთხმეტი).

სციპიონ აფრიკელი ველარ გამოუძღვა რომაულ არმიას ბრძოლის ველზე. იგი ავად გახდა და ელეაში დარჩა, მაგრამ ბრძოლის ხელმძღვანელობა ხელიდან მაინც არ გაუშვია. მან თავის ძმას, კონსულ ლუციუს სციპიონს, მისეული საომარი ინსტრუქციით, სამხედრო მრჩევლად და ბრძოლის ფაქტიურ ხელმძღვანელად თან აახლა კონსულიარი გნეუს დომიციუს აჰენობარბი.

ლუციუს სციპიონი და დომიციუსი სათავეში უდგნენ არმიას, რომელიც რიცხობრივად ორჯერ მაინც ჩამორჩებოდა მოწინააღმდეგის არმიებს, მაგრამ ბრძოლისუნარიანობით გაცილებით სჯობდა ანტიოქეს საბრძოლო ძალებს, ისინი „იყვნენ ნაირსახოვანნი, რომლებიც არ გავდნენ ერთმანეთს, არც გარეგნობით, არც შეიარაღებით“[1].

რაოდენიმე დღის ურთიერთზვერვისა და წაქეზების შემდეგ მოწინააღმდეგენი საომრად გამოეწყვნენ.

ანტიოქემ ცენტრში დააყენა მაკედონური ფალანგა, დაყოფილი ათ ნაწილად. თითოეულ ნაწილში ათასექვსასი კაცით, ისე, რომ ყოველ მათგანში ფრონტით იდგა ორმოცდაათი მეომარი, ხოლო სიღრმით — ოცდათორმეტი; ყოველ ნაწილს ერთმანეთისგან ჰყოფდა ბათსავე ფლანგებზე ჩარიგებული წყვილი სპილო, სულ ოცდაორი. სპილოები მიუვალ ფალანგიტურ კედლებზე იდგნენ, როგორც ციხე-კოშკურები, რომლებშიც ხუთ-ხუთი მეომარი იყო გამაგრებული. ფალანგიტთა ორივე მხარეს მეფეს დაყენებული ჰყავდა მძიმედ შეიარაღებული გალატიელი მხედრები, ე. წ. „კატაფრაკტები“. აქვე იდგა სამეფო გვარდია — კავალერია, რომელსაც სირიელები აგემას უწოდებდნენ. უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე განლაგებულნი იყვნენ მოისარი მხედრები და მეფის რჩეული კოჰორტა, ე. წ. „ვერცხლისფარიანები“ („არგირასპიდები“). მარცხენა ფლანგზე იდგნენ სხვადასხვა ტომის მეომრები, ტეკტოსაგები, ტროკმები, ტოლისტობოიები, არიარათესაგან გამოგზავნილი კაპადოკიელები, აქაც ფლანგს ჰკეტავდა მხედრობა, რომელსაც „ჰეტერთა კავალერიას“ უწოდებდნენ. კიდევ უფრო ჭრელი და მრავალ-ტომოვანი იყვნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები. აქ შედიოდნენ ფრიგიელები, ლიკიელები, პამფილიელები, პისიდიელები, კრეტელები, ტრალელე-

[1] Liv. XXXVII; 40.

ბი, კარიელები, კილიკიელები, ლიდიელები, არაბები, მიზიელები, ელიმეები და სხვ. არმიის წინ მეფემ ჩაამწკრივა ცელებით შეეურ-ვილი ეტლები. თვით ანტიოქე სათავეში ჩაუდგა თავისი განლაგების მარჯვენა მხარეს, მარცხენა ფლანგი ჩააბარა შვილს, სელევკოსს და დისწულ ანტიპატრეს; ცენტრალური ფალანგიტური ნაწილები და სპილოები მიანდო თაეის სარდალს ფილიპეს, ხოლო მსუბუქად შე-იარაღებულნი — მინდისსა და ზეევსისს.

სციპიონმა და დომიციუსმა, როგორც ყოველთვის, ცენტრში, ე. ი. მოწინააღმდეგის ფალანგის პირისპირ, — ჩააყენეს ლეგიონები, წმინდა ქვირიტულ-რომაული წარმოშობისა; მათ ორივე მხრიდან მო-ჰყვებოდნენ ლათინი და იტალიელი მეომრები. მარცხენა ფლანგზე დაღენენ პერგამოსელთა და აქეელთა ჯარები. მარჯვენა ფლანგს იჭერდნენ რომაელი, იტალიელი და პერგამოსელი მხედრები. სულ უკან, სარეზერვო ნაწილებში, ჩააყენეს თექვსმეტი სპილო. რაღგან ეს აფრიკული სპილოები რიცხვითაც და სიდიდითაც მოწინააღმდე-გის ინდურ სპილოებს ჩამორჩებოდნენ, ამიტომ რომაელ სარდლებს მათი ბრძოლაში გამოყენა აღარც კი სურდათ. სამხედრო ბანაკის დაცვა დაეკალათ მაკედონელებსა და თრაკიელებს. ცენტრს, ე. ი. რომაულ ლეგიონებს, სარდლობდა კონსული სციპიონი, მარცხენა ფლანგს — დომიციუსი, ხოლო მარჯვენას — მეფე ევმენი.

ბრძოლის ბედი დასაწყისიდანვე გადაწყვიტა მეფე ევმენის შე-ტევამ რომაელთა არმიის მარჯვენა ფლანგიდან. მან მსუბუქად შე-იარაღებული ჯარებით, შუბოსნებით, მოისრებით და მოშურდულე-ებით გააფთრებული თავდასხმა მოუწყო მოწინააღმდეგის წინ ჩა-რაზმულ ყველაზე საშიშ ძალას, ცელებით გაწყობილ ეტლოსნებს. ევმენის ბრძანებით, მისი მეომრები, პირველ ყოვლისა, უშენდნენ ცხენებს. დაჭრილ-დაკოდილი, გაშმაგებული ცხოველები აირ-და-ირივნენ, უგზო-უკვლოდ დაქსაქსულნი და დაფეთებულნი ისევ თა-ვისიანთა რიგებში შეიჭრნენ და მათი საომარი წყობაც არევ-დარეეს. ჯერ ეტლოსანთა გაფანტვა-განადგურებამ პანიკა და უწესრიგობა გამოიწვია აქლემებზე ამხედრებულ არაბთა რაზმებში და სპილოებში, მერე, გაცოფებული სპილოები, ცხენები, აქლემები, პანიკით ზარდა-ცემული მეომრები და მცელავი ეტლები, ერთიან მასად მიაწყდა უკან მდგარ გალატიელ „კატაფრაკტებს“, რომლებმაც აღეურვილობის სიმძიმისა და წყობის სიხშირის გამო ვერ მოახერხეს მანევრირება და ამიტომ ვერც მოულოდნელად მოვარდნილ საფრთხეს გაუმკლავდნენ. სანამ „კატაფრაკტები“ გონს მოეგებოდნენ, ევმენმა რომაული კა-ვალერიაც ჩააბა შეტევაში და სულ მალე ანტიოქეს არმიის მარცხენა ფლანგი განადგურებულ იქნა. ამავე მხრიდან ევმენმა ახალი ძალით შეუტია ანტიოქეს ძირითადი ძალების, ფალანგიტური არმიის გა-

შიშველებულ ფლანგს. მაგნეზიის ბრძოლა ნამდვილი „ფალანგების ბრძოლად“ იქცა: იმ დროს, როცა ანტიოქეს მარცხენა ფლანგი ევმენის შეტევისგან ნადგურდებოდა, თვითონ ანტიოქემ თავისი მარჯვენა ფლანგი პირველსარისხოვანი კავალერიით წარმატებით ღასძრა რომაელთა მარცხენა ფლანგისკენ. ამ უკანასკნელმა დაიწყო უკანდახევა და მალე გაქცევაც. უკუქცეულებმა თავშესაფარად მიაშურეს სამხედრო ბანაკს, სადაც სარეზერვო ნაწილებით იდგა სამხედრო ტრიბუნი მარკუს ემილიუს ლეპიდუსი. მან სასწრაფოდ გამოიყვანა რეზერვები და, პირველ რიგში, მახვილით ხელში, წინ აღუდგა ბრძოლიდან უკუქცეულ თანამემამულეებს. მალე სარეზერვო ორი ათასი მეომარი და გამოქცეულები შეერთდნენ და მხნედ მიუბრუნდნენ წინსვლით გულმოცემულ ანტიოქეს. იმავდროულად ევმენმა ანტიოქეს წინააღმდეგ კავალერიის ნაწილით გაგზავნა თავისი ძმა ატალი. სირიის მეფემ ეს ერთადერთი წარმატებაც დაჰკარგა და დამარცხებულმა ბრძოლის ველს ზურგი აქცია. ახლა, ორივე ფლანგზე გამარჯვების შემდეგ, რომაელები მთელი ფრონტით ესხმოდნენ და ანადგურებდნენ მოწინააღმდეგეს. ანტიოქეს მეომართაგან განსაკუთრებით ბევრი დაიღუპა გაქცევის დროს. „გაქცეულთათვის უაღრესად დამღუპველი იყო თვით მათი მრავალრიცხოვნება, რადგან ბრბოებში არეულნი იყვნენ ეტლები, სპილოები და აქლემები, წესიერ წყობაზე არამც თუ ხსენება აღარ იყო, არამედ მეომრები, როგორც ბრმები, ერთიმეორეს ასკდებოდნენ და მრავალნი ცხოველთა ფეხქვეშ იღუპებოდნენ“[1]. გაქცეულები მიილტვოდნენ ბანაკში თავშესაფარად. მაგრამ რომაელებმა ანტიოქეს ბანაკიც აიღეს და ხელი მიჰყვეს მის ძარცვა-გლეჯას და ხოცვა-ჟლეტას. „რომაელებმა ორივე ფრთაზე გაშარჯვებულებმა, სხეულთა ბორცვებზე (per acervos corporum)... სირბილით მიაშურეს ბანაკს საძარცვავად (perguint ad castra diripienda)... ბანაკში მოწინააღმდეგეთაგან განადგურდა კიღამ მეტი, ვიდრე ბრძოლაში“[2].

ბრძოლა დამთავრდა. სარდში გაქცეულმა ანტიოქემ თავისი არმიის ორი მესამედი მაგნეზიის მისადგომებთან მიაბარა მიწას. 50.000 ქვეითი და 3.000 მხედარი დაჰკარგა სირიელმა გვირგვინოსანმა, 11 000 კაცი ტყვედ იგდეს რომაელებმა, ასევე მათ ხელში ჩაუვარდათ თხუთმეტი სპილო. რომაელებმა მხოლოდ 300 ქვეითი ჯარისკაცი და 24 მხედარი დაჰკარგეს. ევმენმაც რაღაც 25 მეომარი დაჰკარგა თავის პერგამოსელთაგან. ბოლოს, „გამარჯვებულები, რომლებმაც გაძარცვეს მტრის ბანაკი (direptis hostium castris), დიდი ნადავლით (cum magna praeda) დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკში“[3].

[1] Liv. XXXVII, 43.

[2] ibid.

[3] ibid., 44.

ანტიოქეს ზავი ითხოვა. მისი ელჩები სციპიონების შტაბში გამოცხადნენ და მოკრძალებით იკითხეს: „რა უნდა გააკეთოს მეფე ანტიოქემ, რომ იგი გახდეს რომაელთა მეგობარი?“ „რით შეგვიძლია ჩვენ, წავშალოთ მეფის შეცდომა და ვიყიდოთ ზავი და პატიება გამარჯვებულისაგან?“

რომაელ სარდლებს საზავო პირობები წინასწარ ჰქონდათ მოფიქრებული. პუბლიუს სციპიონმა ასე ჩამოაყალიბა იგი: რომი მოითხოვს, აღსრულდეს ის, რასაც მაგნეზიის ბრძოლამდე მოითხოვდა სირიის მეფისგან. სახელდობრ, ანტიოქემ სამუდამოდ უნდა აიღოს ხელი ყველა ევროპულ და აზიურ სამფლობელოზე „ტავრის გამოღმა“, ე. ი. აღარასოდეს გაბედოს ბერძნული პოლისებისა და მცირე აზიური ტერიტორიების ხელყოფა; მაშასადამე, სირიის მეფე უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სირიაზე მბრძანებლობით. ამას გარდა, რომაელები „უმატებენ რა ძალიან მცირეს“, მოითხოვენ: ანტიოქემ რომს ჩააბარის ფლოტი და სპილოები და აეკრძალოს ამიერიდან მათი ყოლა, რომის მიერ დაწესებული რიცხვის ზევით; სირიის მეფე გადაიხდის სამხედრო კონტრიბუციას 15.000 ევბეური ტალანტის რაოდენობით; აქედან ხუთასს დაუყოვნებლივ, ორიათას ხუთასს სენატისაგან ზავის რატიფიკაციის შემდეგ, ხოლო დანარჩენ თორმეტი ათასს თორმეტი წლის განმავლობაში — ყოველ წელს ათას-ათასი ტალანტით; ანტიოქემ პერგამოსის მეფეს, ევმენს უნდა გადაუხადოს ატალის დროინდელი ვალი პურისა და ტალანტის სახით; ამავე დროს, რადგანაც „რომაელი ხალხისათვის მშვიდობა შეუძლებელია იქ, სადაც იმყოფება ჰანიბალი“, რომაელები მოითხოვენ ჰანიბალის ჩაბარებას; რომაელთა ხელს უნდა ჩაბარდნენ, აგრეთვე, სხვა „ომის გამჩაღებელნი“: ეტოლიელი თოასი, აკარნანიელი ბოასილოსი, ქალკიდელი ფილონი და ევბულიდე, ბოლოს ყველა ამ მოთხოვნათა სრულყოფითა და დროულად აღსრულების საგარანტიოდ რომაელი სარდლობა თავისი არჩევით სირიელთაგან აიყვანს ოც მძევალს.

ანტიოქეს, რასაკვირველია, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და მოწინააღმდეგისაგან წ�ეს უმძიმესი პირობები უნდა ეიღო. ორივე მხარემ რომში ელჩები გაგზავნა ზავის სარატიფიკაციოდ. ეანამ კი რომაული არმია სირიის სამეფო ხაზინის ხარჯზე რჩებოდა აზიაში. ანტიოქეს 3.000 ტალანტი დაუჯდა მტრის არმიების შენახვა. ამგვარად, სელევკიდური სირია, ეს უზარმაზარი სახელმწიფო, თავისი ტერიტორიალური სიდიდით სახელოვანი მაკედონელის მონარქიის უშუალო მემკვიდრე, ერთის დაკვრით დასცეს ძირს დასავლეთიდან შეძოლილმა მძლავრმა მახვილსნებმა. სირია სამუდამოდ ჩამოშორდა ფართო საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზს. ამიერიდან უფრო თვალსაჩინო როლს ის პოლიტიკური ერთეულები ასრულებდნენ, რომ-

ლებიც სელევკიდური მონარქიის დამსხვრევის შედეგად აღმოცენდნენ აზიაში. „სირიის ომს" ბოლო უკანასკნელი ეტაპიც აღმოაჩნდა. მაგნეზიასთან სირიელი სარდალის მარცხმა ბიძგი მისცა აღმოსავლეთში ანტიელინისტური მოძრაობის დაწყებას, რასაც სელევკიდურ-ელინისტური სამყაროს კატასტროფული დარღვევა მოჰყვა. იმავე მაგნეზიის ბრძოლის წელს იდროველ არტაშესმა და ზარიადრემ და სელევკიდურ მონარქიას სომხეთი ხელიდან გამოჰგლიჯეს. მალე ამის შემდეგ, იგივე მონარქიის აღმოსავლეთი ნაწილი ცალკე სახელმწიფოდ იქცა, პართიის სახელწოდებით. თვით ანტიოქე მესამე, ბოლოს და ბოლოს, ანტიელინისტური ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა მსხვერპლად.

განთავისუფლდნენ მცირე აზიის ბერძნული ქალაქები: მილეტი, სმირნა, კოლოფონი, ერითრა, კლაზომენი, ქიოსი, კიმა, ფოკეა, დარდანი და ილიონი. ბუნებრივია, ეს იყო განთავისუფლება ანტიოქეს ბატონობისაგან, ხოლო რომაული „მფარველობის" ქალთა ფაქტიურად, რომაული სუვერენიტეტის უფლებით, იშლებოდა აზიურ-ელინურ სამყაროზედაც. მთავარი ამჯერად ის იყო, რომ ეს ქალაქები არასოდეს არ უქმნიდნენ საფრთხეს აღმოსავლეთში რომის ჩამოსახლებას და ამჟამადაც ისინი „ელევთერიის" აქტით მხოლოდ მოკავშირედ ეგულებოდა რომს.

ბერძნულ ქალაქთა განთავისუფლება როდოსის თხოვნის დაკმაყოფილებაც იყო. ეს კიდევ უფრო განადიდებდა ამ სავაჭრო რესპუბლიკის ეკონომიურ წინსვლას. მაგრამ ამას გარდა, როდოსმა რომაულ-დეცემვირული კომისიისაგან მიიღო მის ახლო მდებარე მცირეაზიური ლიკიისა და კარიის სამხრეთი ნაწილები. ე. ი. როდოსელებმა, აზიურ-ბერძნულ ქალაქებთან ეკონომიური შემჭიდროების გარდა, აზიის კონტინენტზე პოლიტიკური პლაცდარმიც გაიჩინეს. ასეთი ჯილდო როდოსს იმდენად აძლიერებდა, რომ ოდნავ საფრთხესაც კერ უქმნიდა რომის პოლიტიკას აზიაში. პირიქით, ასეთი „სულგრძელობით" და „დიდსულოვნებით" როდოსი რომის პოლიტიკურ ზრახვათა თანამესანგრედ ჩაითვლებოდა აღმოსავლეთში.

რომმა განსაკუთრებული ერთგულებისათვის — საგანგებოდ დააჯილდოვა მეფე ევმენი. პერგამოსის სამეფოს შეუერთდა ხერსონესი და ლისიმახია ევროპაში, ხოლო აზიაში მთელი ფრიგია, ლიდია, ეფესო და ლიკია-კარიის ჩრდილოეთი ნაწილები. ამას გარდა, ანტიოქეს დაეკისრა ევმენისათვის გადაეხადა ძველი მამა-პაპეული ვალი 350 ტალანტის რაოდენობით და ახალი კონტრიბუცია 127 ტალანტის ოდენობით. აგრეთვე, დამარცხებულ სირიელს პერგამოსელისათვის უნდა გადაეცა სპილოები, სამეფო ტყეები და სხვ. ამგვარად, მაგნეზიის ბრძოლის შედეგებიდან ყველაზე მეტი პერგამო-

სის მეფეს ერგო. ევმენს შეეძლო ატალიდთაგან თავი ყველაზე სვებედნიერ და მორჭმულ მპყრობელად ჩაეთვალა. რომმა პერგამოსის გაძლიერებით აღმოსავლეთში, აზიაში, საკუთარი საყრდენი გააძლიერა. ამიერიდან რომისათვის პერგამოსი იგივე შეიქნა აზიაში, რაც მისთვის ნუმიდია იყო აფრიკაში[1]. მაშასადამე, **პერგამოსი აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად იქცა**, მაგრამ მისი გაძლიერება მაინც არ მისულა იმ საზღვრებამდე, რომლის იქით იგი საფრთხეს შეუქმნიდა რომის ექსპანსიას. პირიქით, პერგამოსის „ზომიერი გაძლიერება" თვით რომის ინტერესთა განხორციელებას ემსახურებოდა აღმოსავლეთში.

ასეთი იყო „აღმოსავლური ზავი", რომელიც საბოლოოდ გაფორმებული, 188 წელს საზეიმოდ გამოცხადდა ქალაქ აპამეაში.

პირველი დიდი აზიური ლაშქრობით მოპოვებული დიდი გაბრჯენება მსოფლიოს მბრძანებლებმა ლუციუს სციპიონ „აზიელის" დიდებული ტრიუმფით დაასრულეს; ფორუმ რომანიუმი ვეღარ იტევდა აზიიდან ჩამოტანილ პირველ დიდ ნაძარცვ-ნაალაფარს:

„საზეიმო სვლის დროს მოჰქონდათ სამხედრო ნიშნები 234: ქალაქთა გამოხატულებანი 134; სპილოს ეშვები 1.231; ოქროს გვირგვინები 234; ვერცხლი წონით 137.420 გირვანქა; ატიკური ტეტრადრაქმა 224.000; ცისტოფორები 331.700; ფილიპეს ოქროს მონეტა 140.000; ვერცხლის ვაზები (სულ ნაირსახოვანი სამკაულებით) წონით 1.424 გირვანქა; ოქროს ვაზები (წონით) 1.024 გირვანქა; (ტრიუმფატორის) ეტლის წინ მოჰყავდათ მეფის სარდლები, პრეფექტები და პორფირის ტარების უფლების მქონე სხვა პირები, სულ 32. მეომრებს დაურიგდათ, თითოეულს 25 დენარიუსი, ორმაგად ცენტურიონს; სამმაგად მხედარს; ტრიუმფის შემდეგ მათ მიიღეს ჯამაგირი მთლიანად და პური ორმაგად. აზიაში ომის შემდეგ გაცემული იქნა, აგრეთვე, ორმაგი ხელფასი"[2].

მალე აზიურ ნადავლს მიემატა საბერძნეთიდან ჩამოტანილი ნაალაფარი. კონსულ მარკუს ფულვიუს ნობილიორის ტრიუმფზე მოჰქონდათ:

„ოქროს გვირგვინები (წონით) 112 გირვანქა; ვერცხლი 83.000 გირვანქა; ოქრო (ზოდებად) 243 გირვანქა; ატიკური ტეტრადრაქმა 118.000; ფილიპეს მონეტები (ოქროს) 12.422; ბრინჯაოს ქანდაკებანი 285, ძარმარილოს (ქანდაკებანი) 230; აურაცხელი იარაღი, — როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი, — და ასევე აურაცხელი სხვა სახის ნადავლი; შემდეგ: კატაპულტები, ბალისტები, ყოველნაირი საალყო ძანქანები; მოჰყავდათ მტერთა ბელადები, ზოგი ეტოლი-

[1] Liv. XXXVIII, 59.

[2] ibid.

ელები, ზოგი კეფალენიელები, ზოგიც ვეფისა, ანტიოქესგან მიტოვებულნი, — სულ 27; ამ დღეს მ. ფულვიუსმა ჯერ კიდევ ქალაქში შესვლამდე, ფლამინინუსის ცირკში, დაურიგა: ტრიბუნებს, პრეფექტებს, მხედრებს და რომაელ და მოკავშირე ასმეთაურებს სამხედრო საჩუქრები. ნადავლიდან მეომრებს დაურიგა, თითოეულს 25 დენარიუსი, ორმაგად ცენტურიონს და სამმაგად მხედარს"[1].

ბალკანურ სიმდიდრეს კვლავ აზიური ფუფუნება მოჰყვა. ახლა კონსული გნეუს მანლიუსი მოდიოდა აზიაში ნაძარცვ-ნატყვევნით:

„თავისი საზეიმო სვლის დროს გნეუს მანლიუსმა შემოიტანა ოქრის გვირგვინები (წონით) 212 გირვანქა: ვერცხლი წონით 229.000; ოქრო (ზოდებად) 2.103 გირვანქა; ატიკური ტეტრადრაქმები 127.000; ფილიპეს ოქროს მონეტები 16.320; მრავალი კელტური შეიარაღება და ყოველნაირი ნადავლი შემოტანილი იქნა საზიდრებით. ცისტოფორები მოჰქონდათ 250.200. (ტრიუმფატორის) ეტლის წინ მოჰყავდათ მტრის ბელადები, სულ 52: თითოეულ მეომარს დაურიგდა 42 დენარიუსი. ასმეთაურს — ორმაგად; ამას გარდა, მრავალმა მეომარმა, სხვადასხვა განაყოფიდან, მიიღო სამხედრო ჯილდო..."[2]

მანლიუსის მიერ აზიიდან ჩამოტანილი ფინანსებით რომის ხელისუფლებამ ადვილად მოახერხა მოქალაქეთათვის დაებრუნებინა ტრიბუტუმი (tributum), ძალდატანებითი სესხი, რომელსაც სენატი ხალხისგან ღებულობდა რაიმე დიდი ღონისძიების განსახორციელებლად.

თუ მანამდე რომის სახელმწიფოს მუდმივი ბიუჯეტი არ ჰქონდა და იძულებული იყო მოსახლეობისაგან სესხი აეღო, ახლა, აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი აურაცხელი სიმდიდრის სახით, მას საშუალება ეძლეოდა, მუდმივი სახელმწიფო ბიუჯეტით, ნაკლებ დამოკიდებული ყოფილიყო მტრულად განწყობილი populus-ისაგან.

პირველი აზიური ლაშქრობის წარმატებით დასრულებას შედეგად ისიც მოჰყვა, რომ აღმოსავლეთში ფულადი მეურნეობისა და ფულწარმოების მთლიანი ბატონ-პატრონი რომაელები გახდნენ; მაგალითად, საბერძნეთში ამიერიდან ოქროს მონეტის გამოშვება მთლიანად შეწყდა და ეს საქმე მხოლოდ რომაელ სარდალთა პრივილეგიად იქცა.

აზიაში შოლაშქრე რომაელმა ჯარისკაცებმა ახალი სული, სიმდიდრე და ფუფუნებითი ცხოვრების წესები ჩამოიტანეს რომში. ლივიუსი წერს:

„აქამდე ჩვენთვის უცხო ფუფუნების შეპრა ქალაქში იწყება აზიური ჯარის ჩამოსვლით. ამ დროს პირველად მოიტანეს რომში ბრინჯაოთი მორთული საწოლები, ძვირფასი საფენები, ფარდები და სხვა

[1] Liv. XXXIX, 5.

[2] იქვე, 7.

ქსოვილ-საგები და იმ დროისათვის მხოლოდ უმდიდრეს ადამიანთა სახლ-კარის შესაფერისი მაგიდები (ერთ ფეხზე) და ბუფეტები. ამიერიდან სანადიმო ტკბილსიამობა კიდევ უფრო იზრდებოდა მომღერლების, არფისტებისა და მეფოკუსეების მეშვეობით. თვით ნადიმთა მოსაწყობად დაიწყეს გაცილებით მეტი ხარჯების გამოყოფა, ვიდრე ეს ადრე იყო". მაგრამ ეს ჯერ თითქმის არაფერი იყო იმ აურაცხელ სიმდიდრესთან და ფუფუნებით ცხოვრებასთან, რაც ამიერიდან უნდა დაძრულიყო აღმოსავლეთიდან, განსაკუთრებით, აზიიდან.

თავი მეოთხე

რომაული „ვირანიის" დასაწყისი და აღმოსავლეთის საკითხი

რომის ,,სოფლიო მბრძანებლობის გრანდიოზული შენობა ახლა სუთ დიდ ბოძს ეყრდნობოდა: იტალია, ესპანეთი, კართაგენული აფრიკა, ბერძნულ-მაკედონური ბალკანეთი და დასავლეთი აზია. ამათგან, პირველის (იტალიის) გამოკლებით, რომის მსოფლიოზე გაბატონების ყველა საძირკვლის ჩაყრა, ძირითადად კორნელიუსების სციპიონური შტოს სახელთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით, ძვ. წ. 260 წლიდან მოკიდებული, რომის სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებაში თითქმის ყოველთვის სციპიონები დომინანტობენ. თუნდაც, მარტო კონსულები ჩამოვთვალოთ:

გნეუს კორნელიუს სციპიონ აზინა — ებრძოდა კართაგენელებს პირველ პუნიკურ ომში; კონსული 260 წელს.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი — დაიმორჩილა სარდინია და კორსიკა, კონსული 259 წელს.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონი — პირველი რომაელი სარდალი, რომელიც შეხვდა ჰანიბალს; კონსული 218 წელს.

პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელი — ჰანიბალის მძლეველი.

ლუციუს კორნელიუს სციპიონ აზიელი — მთავარსარდალი „სირიის ომში", კონსული 190 წელს.

ამას გარდა, სციპიონთა საგვარეულოს წარმომადგენელნი მრავალგზისი მფლობელნი არიან პრეტორობისა, ქვესტორობისა, ედილობისა, ცენზორობისა და სხვა მაგისტრატურებისა. თითქმის ორასწლოვანმა ისტორიამ სციპიონების გვარს რომში დაუმკვიდრა „მამამთავრობისა" და „ჰეგემონობის" რეპუტაცია. სციპიონების საგვარეულოს ასეთი პოსტულატური სახელმწიფოებრივი მეთაურობა, დამყარებული დიდ ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ სიძლიერეზე

და მრავალრიცხოვან კლიენტელაზე, თითქმის ყველა ძირითად პრინციპში ეწინააღმდეგებოდა რომის ოლიგარქიულ-რესპუბლიკურ კონსტიტუციას. ამიტომ „რესპუბლიკელები“ რომელიმე ერთი რჩეული გვარისა თუ პიროვნების „გამორჩევას“, აღზევებას, — მით უფრო, „ზეაღზევებას, — მამამთავრობასა და ჰეგემონიას კი არა, — უბრალოდ, ძალდატანებით დიქტატორობას, ანუ „ტირანიას“ უწოდებდნენ და თავგამოდებით ებრძოდნენ მას.

სციპიონური გვარის „ტირანობის“ ფონზე განსაკუთრებული სიმკვეთრით მოსჩანდა პირველკაცობა პუბლიუს კორნელიუს სციპიონ აფრიკელისა, იმ ერთადერთი სციპიონისა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ესპანეთის, კართაგენისა და აზიის დაჩოქება მგლის ღერბის წინაშე.

რესპუბლიკური კონსტიტუციის მიხედვით ედილის თანამდებობაზე კაცი ვერ გავიდოდა, თუ მას 43 წლის ასაკისათვის არ მიეღწევია: ხოლო 25 წლის სციპიონი უკვე კონსულის რწმუნებებით აღჭურვილი გაეშურა ესპანეთის დასამორჩილებლად (211 წ.).

რესპუბლიკური კონსტიტუციის მიხედვით შეუძლებელი იყო ყოველწლიურად ერთი და იგივე კაცი ყოფილიყო უმაღლესი მაგისტრატურის პოსტზე — შუალედი უნდა ყოფილიყო არა ნაკლები ათი წლის ხანგრძლივობით; სციპიონი კი ჯერ ხუთი წელი განუწყვეტლივ, შეუცვლელი პროკონსულის უფლებებით მთავარსარდლობდა რომაულ არმიებს და განაგებდა მთელი პირენეის ბედ-იღბალს. უფრო მეტიც, 205 წელს მისი ხუთწლოვანი პროკონსულობა უფრო მაღალი პოსტით, კონსულობით შეიცვალა, ხოლო მომდევნო ოთხი წელი, მეორე პუნიკური ომის დასასრულამდე, ისევ პროკონსულობით გაგრძელდა. ე. ი. მანამდე არნახული და არგაგონილი ამბავი მოხდა რომის რესპუბლიკის ისტორიაში: ათწლოვანი შეუცვლელი და უწყვეტი „ტირანობა“ ერთი კაცისა, თუნდაც კაცი იგი იყოს სციპიონი, მძლეველი კართაგენისა და ჰანიბალისა.

მაგრამ სციპიონის ეს „პერმანენტული ტირანია“ კვლავ გრძელდებოდა. 199 წელს იგი არის ცენზორი, ხოლო 194 წელს სციპიონი ისევ კონსულად აირჩიეს. იმავე დროს, 199 წლიდან ის არის princeps senatus, მაშასადამე იმავდროულად princeps civitatis — პირველი კაცი მთელს სახელმწიფოში.

ბოლოს, ყველაფერ ამას მოჰყვა სციპიონის ნომინალური ლეგატობა და ფაქტიური მთავარსარდლობა აზიის წინააღმდეგ პირველ ლაშქრობაში.

თვით სციპიონი ახალგაზრდობის წლებიდანვე ცდილობდა, მისი ნიჭი და უნარი ხალხის თვალში „ღვთისაგან გადმოვლენილ“ ბუნებად აღიარებულიყო. იგი „განცვიფრებას იწვევდა არამარტო იმ და-

დი თვისებებით, რომელთაც მართლა ფლობდა, არამედ იმითაც, რომ ჭაბუკობის ადრიან წლებიდანვე შეეძლო საოცარი ხელოვნებით ეჩვენებინა ისინი (თავისი „დიდი თვისებები", ლ. ს.). ჰქონდა რა საქმე უბრალო ხალხთან, იგი ვითომ მოქმედებდა ხან ღამეული მოჩვენებებით, ხან ზეციდან შთაგონებით... ამას იმისთვის ამბობდა, რომ მისი ბრძანებები, როგორც ორაკულისგან შთაგონებულნი, დაუყოვნებლივ შესრულებულიყო. წინასწარ შეაჩვია მოქალაქენი ყველაფერ ამას, და როგორც კი სციპიონმა მომწიფებული კაცის ტოგა წამოისხა, ყოველ დღე, როგორც პირადი, ასევე საზოგადოებრივი საქმის დაწყების წინ, მიდიოდა კაპიტოლიუმზე, იუპიტერის ტაძარში და იქ ეძლეოდა ხანგრძლივ, მდუმარე მკვრეტელობას. ეს ბუნებრივი თუ განგებისი ჩვევა სციპიონს გაჰყვა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე, და იგი ბევრისთვის წარმოადგენდა დამტკიცებას ხალხში გავრცელებული ხმის შესახებ — თითქოს სციპიონი ღვთაებრივი წარმოშობისაა"[1]. სციპიონზე უკვე ვრცელდებოდა ლეგენდები და ზღაპრები მსგავსად „ღვთის ძე" ალექსანდრე მაკედონელისა. „ღვთაებრივი ჭაბუკი" მოხერხებული, მრავლისმეტყველი პოზიორობით ცდილობდა განემტკიცებინა მისი „გამაღმერთებელი" წარმოდგენანი. „თვით სციპიონი არ ცდილობდა უარეყო ეს ხმები — არც უარყოფდა და არც ადასტურებდა; მას შეეძლო ისე ორაზროვნად ეთქვა, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინა რწმენა ამ ხმების („ღვთაებრიობის") შესახებ"[2]. ანდა, ხშირად, არამცთუ „ორაზროვნად" სდუმდა, არამედ „თავის ჯარებს შთააგონებდა რწმენას, რომ თითქოს ყველა მისი გეგმა ყალიბდება ღვთაებრივი აღმაფრენის მონაწილეობით"[3].

პარალელურად სციპიონის „ღვთაებრივი ტირანობისა", უეჭველად მისი დიდი გავლენიანობისა და ისევ „ღვთაებრიობის" ხელშეწყობით, 202 წლიდან 192 წლამდე, ე. ი. ათი წლის განმავლობაში, კორნელიუსების საგვარეულოს წარმომადგენლებს შვიდჯერ ეჭირათ კონსულის პოსტი.

რასაკვირველია, ერთი გვარის ან ერთი პიროვნების „განსაკუთრებულობა" სახელმწიფოში უაღრესად მტრულ რეაგირებას გამოიწვევდა „რესპუბლიკის" დამცველთა შორის, რომელთა დასაყრდენს სენატი წარმოადგენდა.

თვითონ სციპიონი ანგარიშს არ უწევდა სენატორ-„რესპუბლიკელთა" უკმაყოფილებას. რაც ჯერ კიდევ აშკარა ბრძოლაში არ გადაზრდილიყო. ტიტე ლივიუსს მოყვანილი აქვს ერთი შემთხვევა,

---

[1] Liv. XXVI, 10.
[2] ibid.
[3] Polyb. X, 2.

როცა სციპიონი შეეცადა კიდეც, „პატივი ეცა“ სენატორთათვის. ეს იყო სციპიონის ბოლო კონსულობის დროს (194 წ.).

კონსულმა ცირკში ჩვეულებრივი სანახაობა (circenses) მოუწყო ხალხს. მაგრამ „არაჩვეულებრივი“ აქ ის იყო, რომ სენატორები განსაკუთრებულ ადგილებზე, „ლოჟებში“ მოთავსდნენ. „პირველად უცქერდნენ (სანახაობას) სენატორები ხალხისაგან გამოცალკევებული ადგილებიდან“[1]. მაშასადამე, სციპიონს სურდა თავისი „განსაკუთრებულობა“ სახელმწიფოში გამოესყიდა „განსაკუთრებული პატივისცემით“ სენატისადმი. რასაკვირველია, „ტირანის“ ასეთი უბრალო, არაფრისმთქმელ, თითქმის ცინიკურ რეჟერანსს არ შეეძლო ზავი ჩამოეგდო „ოლიგარქიასა“ და „მონარქიას“ შორის.

პირიქით, სენატს შეეძლო სციპიონის ეს „ღონისძიება“ დემაგოგიურ და პროვოკაციულ ნაბიჯადაც მოენათლა. ამის საბუთი ჰქონდათ სენატორებს, რადგან ხალხი უკმაყოფილებითა და აღშფოთებით შეხვდა ცირკში მათდამი „განსაკუთრებულ პატივისცემას“: „ეს, ისე როგორც ყოველგვარი სიახლე, დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი შეიქნა. ერთნი ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს წოდებას მიაგეს დიდი პატივი, რაც მას დიდი ხანია ეკუთვნის. ხოლო მეორენი ესჯელობდნენ: სენატორია მნიშვნელობის ყოველნაირი აშაღლება ზიანს აყენებს ხალხის ღირსებას, და ყოველგვარი წარჩინება, რაც იწვევს წოდებათა მკვეთრ გამიჯვნას, შედეგად მოიტანს თავისუფლების, თანასწორობისა და ურთიერთშორის თანხმობის შემცირებას. როგორ, განა, ხუთას ორმოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ყველა მოქალაქე ერთად არ უცქერდა სანახაობას; რა მოხდა ასე ერთბაშად, რომ სენატორებს აღარ მოუსურვებიათ ხალხთან ერთობა? რისთვის იგდებს აბუჩად მდიდარი ღარიბს? გაუგონარია ახირებულობა თავხედობისა. როგორიც აქამდე არ გამოუჩენია არცერთი ხალხის არცერთ სენატს!“[2].

ასე, რომ სციპიონმა ნებსით, თუ უნებლიეთ გააღვიძა თითქმის მიყუჩებული სოციალური ტკივილები, რაც საუკუნეების მანძილზე მოსდევდა რომს არისტოკრატიასა და პლებსს შორის ბრძოლის სახით. სენატს შეეძლო სციპიონისათვის, უკანონო და ერთპიროვნული დიქტატურისა და „ტირანიისკენ“ ლტოლვის გარდა, პროვოკატორობაც დაეწამებინა. ამით, ალბათ, მას სურს, ააჯანყოს ხალხი სენატის წინააღმდეგ, იმ სენატისა, რომელიც არვის ნებას არ აძლევს, „ტირანობის“ სურვილით ხელჰყოს რესპუბლიკური კონსტიტუციის სიწმინდე!

სციპიონმა ინანა. „მისი კონსულობის ჟამს მომხდარ ამ ღონისძი-

---

[1] Liv. XXXIV, 54.

[2] იქვე.

ების გამო ნანობდა"[1]. მას ერჩივნა ხალხი არ გადაეკიდებინა. პირიქით, თუ შეესძლებდა, ხალხი უნდა აემხედრებინა სენატის წინააღმდეგ. მაგრამ სამარ სიმამაცესა და სიჩაუქეში სწორუპოვარ მხედართმთავარს ხალხის ეშინოდა, — იმ ხალხისა, რომლის მეოხებითაც მან მოიპოვა corona triumphalis ჰანიბალის სამშობლოზე გამარჯვებისათვის. ხალხის ბელადი არ შეიძლება გამხდარიყო ის, ვინც „ტირანიისკენ" მიისწრაფოდა და ვის თვალშიც ხალხი იყო არა populus, არამედ vulgus. სციპიონს უნდა ეგრძნო, რომ ჯერ ნაადრევი იყო ერთპიროვნულ დიქტატურაზე ფიქრი და ბრძოლა. რესპუბლიკა ჯერ კიდევ მტკიცე ფეხზე იდგა. ამიტომ სციპიონს თავისი „სციპიონობით" მხოლოდ ის შეეძლო, რომ ერთპიროვნული დიქტატურის პრეცედენტული აჩრდილი აღემართა, — აჩრდილი, რომელსაც მომდევნო ხანაში. რესპუბლიკის რყევისა და რღვევის ხანაში, ხორცი უნდა შესხმოდა სულლების, მარიუსების, პომპეუსების, კეისრებისა და სხვა მსგავსთა სახით.

ამიტომ სციპიონს ბრძოლა ინერტულ, პასიურ ფორმაში უნდა მიეღო. მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა კი აქტიური შეტევით შეუტიეს „დიქტატურის აჩრდილს".

ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ოლიგარქიული „რესპუბლიკის" ბრძოლის დასაწყისი ერთპიროვნული ხელისუფლებისკენ ლტოლვის წინააღმდეგ „აღმოსავლურ საკითხებს" დაუკავშირდა. ბრძოლის იდეოლოგიური მამამთავარი იყო მარკუს პორციუს კატონი, სახელგანთქმული რიგორისტი-დამცველი ტრადიციულ-რესპუბლიკურ პრინციპთა სიწმინდისა და ხელეხლებლობისა.

კატონმა „სციპიონური ტენდენციების" წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ფართო მნიშვნელობის ამბებს დაუკავშირა. სახელდობრ, იგი სციპიონის „თავგასულობის" მიზეზებს უცხოეთიდან შემოკრილ იდეოლოგიურ და ზნე-ჩვეულებრივ მოვლენებში ეძებდა.

„უცხოურ ნაკადთა" შემოკრა პროდუქტი იყო რომის ფართო, აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისა, რის შედეგად რომის სულიერი ცხოვრება გასცდა ვიწრო ქალაქ-სახელმწიფოებრივ (პოლიტიკურ) საზღვრებს და პატრიარქალური კარჩაკეტილობიდან თავდახსნილი, ხარბად დაეწაფა მეზობელ ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას.

ეს უკანასკნელნი კი რომში სწორედ აღმოსავლეთიდან მოემართებოდნენ.

აღმოსავლეთიდან შემოსულ ბერძნულ კულტურაზე ზიარება ცოცხალებად იქცა რომში. ბერძნული ენის, ლიტერატურის, ფილოსოფიისა და ხელოვნების შესწავლა მოდად იქცა. რომაელი მწერლები,

[1] Liv. XXXIV, 54.

ისტორიკოსები (მაგალითად, ფაბიუს პიქტორი და ცინცინიუს ალიმენ-ტუსი) თავიანთ თხზულებებს ბერძნულ ენაზე წერენ. მაღალ კულ-ტურულ წრეებში ჩამორჩენილობად ითვლებოდა ლათინურ ენაზე საუბარი და მსჯელობა, ორატორობა. მოწინავე, მოღვაწე რომაელები თავიანთ მოწინავეობას პირველ რიგში ელინოფილობაში ხედავდნენ. მაგალითისათვის მოვიგონოთ თუნდაც ამ მხრივ ტიპური ტიტე კვინქციუს ფლამინინუსი, რომელიც საბერძნეთის „ელევთერიის" დროშით ჩავიდა ბალკანეთზე საომრად.

მეორე დიდი „აღმოსავლური ნაკადი". რომელმაც ძირფესვიანი ცვლილებები გამოიწვია რომის ეკონომიურ, სოციალურ და მორა-ლურ ცხოვრებაში, იყო სიმდიდრისა და ფუფუნების მოხვეჭისაკენ ლტოლვა. აღმოსავლეთის ქვეყნებთან სამხედრო-პოლიტიკურმა ურ-თიერთობამ, — რასაც მიზეზად და შედეგად ახალი სავაჭრო გზების, ბაზრების და მონათა კონტიგენტების მოპოვება ახლდა, — საესებით შესცვალა რომაელი მოქალაქის უბრალო, მარტივი, პატრიარქალური ცხოვრება. ცინცინატებისა და რეგულუსების ატრიუმები, სადაც „ობობა თავის აბლაბუდას ქსოვდა", ახლა აღმოსავლური ბრწყინვა-ლებით, ძვირფასი ნივთებით და ოქრო-ვერცხლით ივსებოდა. შორს აღარ იყო ის დრო, როცა რომშიც უნდა თქმულიყო თეოგნიდესეული ფორმულა: „ფული, ფული — კაცი".

ამ დროისათვის ძალიან სიმპტომატურია ერთი ფაქტი, რომელიც ტიტე ლივიუსთანაა დაცული.

195 წელს. მარკუს პორციუს კატონის კონსულობის დროს. სახალ-ხო ტრიბუნებმა, მ. ფუნდანიუსმა და ლ. ვალერიუსმა, კომიციას წა-რუდგინეს კანონპროექტი ოცი წლის წინათ მიღებული ე. წ. ოპიუსის კანონის გაუქმების შესახებ. ოპიუსის კანონი კი ითვალისწინებდა: „არც-ერთ ქალს არ უნდა ჰქონდეს ნახევარ უნციაზე მეტი ოქრო. მას არც ფერადი კაბა უნდა ეცვას, არც ეტლით უნდა დასეირნობდეს ქალაქსა და მის გარეუბნებში, ათასი ნაბიჯის გარშემო"...[1] ე. ი. ეს იყო კანონი ქალთა ფუფუნებითი ცხოვრების შეზღუდვის შესახებ. იგი თითქოს იცავდა რომაელი ქალის სადა, მარტივ, „უბიწო" ცხოვ-რებას. ტრიბუნები ახლა ამ კანონის გაუქმებას აპირებდნენ, — ე. ი. ლაგამს ხსნიდნენ რომში აღმოსაელური ფუფუნებით ცხოვრების ერთ მხარეს. ყველამ იცოდა, რომ ძვირფას ეტლში ჩამჯდარი, ძვირფასი სამკაულებითა და ოქრო-ვერცხლით ხელ-კისერ დატვირთული ქალი აზიელი პეწენიკი ქალბატონი უნდა ყოფილიყო და არა ლუკრეცი-ასებრი მატრონა.

უცნაური ამბები ხდებოდა რომის პოლიტიკურ და მორალურ ცხოვრებაში: სახალხო კრების დღეებში, როცა ოპიუსის კანონის

[1] Liv. XXXIV, 1.

გაუქმების საკითხი დადგა, რომის მოედნები და ქუჩები ქალებით ივსებოდა და იშვდებოდა. ისინი მოითხოვდნენ ხმა მიეცათ „ბათი შემზღუდველი“ კანონის გასაუქმებლად. ასეთმა უჩვეულო ამბავმა საშინლად აღაშფოთა კონსული კატონი, რომელიც მკაცრი სიტყვით გამოვიდა სახალხო კრებაზე ოპიუსის კანონის დასაცავად.

მარკუს პორციუს კატონი სწორედ იმ კონსერვატიულ-რიგორისტული სულისკვეთებით გამსჭვალულ „რესპუბლიკელთა“ სათავეში იდგა, რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ ყოველგვარ „უცხოურ ნაკადთა“ შემოჭრას რომში. კატონი და მისი მიმდევარნი მტკიცედ მოითხოვდნენ „უცხო-ბარბაროსული“ იდეალებისა და ზნეობის უარყოფას და ძველი პატრიარქალური ცხოვრების აღდგენას. ისინი „ბარბაროსულს“ უწოდებდნენ ბერძნულსაც, როცა თვით ეს ტერმინი, სხვა მრავალთა გვერდით, ბერძნული ლექსიკიდან ჰქონდათ ნასესხები... სწორედ კატონის იდეალი იყო ძველ-რომაული ატრიუმი, რომლის კუთხეებშიც „ობობა თავის ქსელს ქსოვდა“. მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია მარტივ რომაულ აგრიკოლობას დასტრიალებდა და მასზე აღმოსავლური ბრწყინვალების იერიშებს გააფთრებული კონტრიერიშებით იგერიებდა. მისი უბრალო, „ხელმოკლე“, პატრიარქალური ცხოვრების შესახებ ლეგენდები დადიოდა უკვე აღმოსავლური ფუფუნებით დატყვევებულ რომში. იგი ბოლოკის კერძით კმაყოფილდებოდა და კარს მომდგარ მაცდუნებელ „კვერთხსა ეშმაკის ძირისას“ ასეთი სენტენციით იგერიებდა: მე მირჩევნია, ვამარცხებდე ოქროს მფლობელებს, ვიდრე თვით ვფლობდე ოქროს. იგი „მისდევდა რა წინაპართა მაგალითს, საკუთარი ხელით შრომობდა; სიამოვნებით კმაყოფილდებოდა მარტივი სადილით, ციცი საუზმით, იაფფასიანი ტანსაცმლით, უბრალო საცხოვრებლით“. იგი აღშფოთებული იყო, რომ რომის „სახელმწიფოს, ასე გაზრდილსა და განმტკიცებულს, უკვე აღარ ჰქონდა წინანდელი სიწმინდე და, მოიპოვებდა რა ძალაუფლებას მრავალ სხვადასხვა ქვეყანაზე და ხალხზე, ამასთან ღებულობდა მრავალ ნაირსახოვანებას და ითვისებდა ყოველნაირ საყოფაცხოვრებო წეს-ჩვეულებებს“. კატონი თავგამოდებით ცდილობდა „ჭკუაზე მოეყვანა („sophronismo“) თავისი თანამემამულნი და, ფუფუნებისა და სინებივრისათვის თავი წარეკვეთა, ვითარცა ჰიდრასათვის“ („ten triphen kai malacian hosper temnon“)[1].

აი, ახლა კონსული კატონი ტრიბუნაზე იდგა და მრისხანე საყვედურებით ავსებდა „მსოფლიო მბრძანებლებს“, რომლებმაც სძლიეს ყველას, ვინც გაბედა წინ გადასდგომოდა „მგლის ნაშიერთა გამსოფლიოებას“. მათ დაამარცხეს და დაიმორჩილეს მთელი იტალია, გა-

[1] Plut. Cato. M., 2.

ლია, ესპანეთი და საშინელთა შორის უსაშინელესი ჰანიბალ ბარკ
და მისი წყეული სამშობლო კართაგენი. „კეთილშობილური რესპუბ
ლიკის“ დამცველი თავგამოდებით ცდილობდა „ქკუაზე მოეყვანა
ხალხი, რომელიც მსოფლიოზე ბატონობდა, მაგრამ რომელზეც დე
დაკაცები გაბატონებულიყვნენ. მისი გრძელი სიტყვიდან განსაკუთ
რებულ ყურადღებას იპყრობს ეს ადგილი:

„ჩვენი საზოგადოება ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო მანკი
ერების მსხვერპლი გახდა, — ანგარებისა და ფუფუნებისა, ხოლო
ეს საშინელი სნეულებანი ყოველთვის წარმოადგენდნენ ყველა დიდ
სახელმწიფოთა დაღუპვის მიზეზს. სწორედ იმის გამო, რომ ბედ
უფრო და უფრო ჩვენს სამშობლოს ეღიმის. მისი ძალაუფლება უფ
რო და უფრო იზრდება, ჩვენ უკვე გადავედით საბერძნეთსა და აზი
აში, — ქვეყნებში, რომლებიც სავსეა ყოველგვარ გარყვნილებათ
ცდუნებებით. უკვე ხელს ვუწვდით მეფეთა საგანძურებს, — (ყოვე
ლივე ამის გამო) მე მეშინია, ჩვენ არ დავეუფლოთ ამ (მაცდუნე
ბელ) საგნებს, ხოლო ისინი ჩვენ (არ დაგვეუფლონ). დამერწმუნეთ
მე, — ჩვენი ქალაქისათვის მტრული საგნებია პასში შემოტანილი, ხე
ლოვნების ძეგლები სირაკუზიდან. მე უკვე ძალიან ბევრისაგან მეს
მის, როგორი გაოცებითა და ქება-დიდებით აღამაღლებენ კორინ
თულ და ათენურ სამკაულებს. ასეთი ხალხისთვის უკვე დაცინვის სა
განს წარმოადგენენ თიხის ჭურჭლეულნი, რომლებიც რომის ღმერ
თთა წინაშე დგანან“[1].

მაშასადამე, სიმდიდრე, ფუფუნება, ანგარება, და მათი მსგავსი
ყველა სხვა „საშინელი ავადმყოფობა“ აღმოსავლეთიდან მოდის, სა
ბერძნეთისა და აზიის ქვეყნებიდან, რომლებიც სავსენი არიან „ყო
ველგვარ გარყვნილებათა ცდუნებებისაგან“ და არა მარტო „ადამიან
თა მჭამელი მეფეების (demoboros basileus)“ საჭურჭლეები და სა
განძურები, არამედ ამ ქვეყნების ხელოვნების ძვირფასი ძეგლებიც კ
რომაული ტრადიციული ზნეობისათვის „საშიშ სენად“ არის მიჩნე
ული, კატონი თანამემამულეებს ჩასჩიჩინებდა, რომ „რომაელები თა
ვის სიძლიერეს დაღუპავენ ბერძნული სწავლულობის სენით“[2].

მაგრამ კატონის ხმა გაისმა „სმად მღაღადებლისა უდაბნოსა ში
ნა“. ქალთა ფუფუნების აღმკვეთი კანონი გააუქმეს. კატონი უნდ
მიმხვდარიყო, რომ რომაულ ატრიუმში ობობამ სამუდამოდ დაუთმი
ჭერი აღმოსავლური ფუფუნების ჩახჩახს. ცინცინატური რომი მოკ
ვდა და საფლავში თან ჩაიყოლა დრო, როცა სახელმწიფოს მეთა
ურებს პირდაპირ „გუთნიდან (cum ab aratro)[3] ირჩევდნენ“. რომ

---

[1] Liv. XXXIV, 4.

[2] Plut. Cato. M. 23.

[3] Cic. Pro Rostio Amerino, XVIII, 50.

უკვე ძვალსა და რბილში, სისხლსა და ტვინში ჩადგმოდა „აღმოსავლური სნეულებანი". კატონი თვითონ ჩავარდნილიყო წინააღმდეგობათა ხლართებში. იგი მხარს უჭერდა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას ახალ მსოფლიო სავაჭრო გზათა, ბაზართა, ძარცვა-გლეჯის ასპარეზთა დაპყრობისათვის, და არ იცოდა, რომ ამ ფართო ავრესიას და ექსპანსიას შედეგად მოჰყვებოდა სწორედ ძველი, ვიწრო რომაული პომერიუმის შიგნით ჩამწყვდეული ცხოვრების დარღვევა და ახალი, მსოფლიოური მრავალფეროვნებით, ბრწყინვალებითა და ფუფუნებით აღსავსე ცხოვრების დაწყება. ის ვინც თვლის, რომ ომი და სხვათა ქვეყნების დაპყრობა შემოსავლისა და გამდიდრების წყაროა, მან სიმდიდრესაც უნდა გაუღოს კარი. ამიტომ პარადოქსალური იყო კატონის მსჯელობა, როცა იგი ძველი ტრადიციის სიწმინდეს ფრჩხილ-კბილით იცავდა და თან ამბობდა: „მე არ ვამტყუნებ იმათ, ვინც ცდილობს ომი გამდიდრების წყაროდ აქციოს". ეს ისეთივე პარადოქსალური იყო, როგორც შეძდგომში სენტენცია ციცერონისა: „ჩვენი წინაპრები მშვიდობიანობის დროს ყოველთვის ადათს მისდევდნენ, ხოლო ომში — სარგებლიანობას (maiores nostros semper in pace consuetudini, in bello utilitati parvisse)"[1].

რომის იდეოლოგიურ მესაჭეებს უნდა სცოდნოდათ, რომ მათი საშობლო-ქალაქის მსოფლიოზე გაბატონება პირველ რიგში მსოფლიოს სიმდიდრეზე (მატერიალურ სიმდიდრეზე) გაბატონებას გულისხმობდა. ხოლო აურაცხელ მატერიალურ სიმდიდრესთან ერთად, რომში, როგორც მსოფლიოს ახალ ცენტრში, თავს იყრიდა ახალი, რომაელი აგრიკოლასათვის მანამდე უცნობი, მაშინდელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებული იდეები სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, ეკონომიურ, კულტურულ და მორალურ ცხოვრებათა შესახებ.

ყველაფერი ეს — აღმოსავლეთიდან მოსული მდიდრული და ხელგაშლილი ცხოვრება, ქედმაღლობა და „ტირანობისკენ" ლტოლვა, მეტიჩარა „გრეკულუსებ"-საგან ნასესხები განათლებულობა და ზნეობრივი „უზნეობა" — ყველაზე მეტად პუბლიუს კორნელიუს სციპიონს ახასიათებდა. ამიტომაც „რესპუბლიკელებმა" კატონისა და ფაბიუს მაქსიმე კუნქტატორის მეთაურობით იერიში მიიტანეს „ღვთაებრივ კაცზე". კვინქტუს ფაბიუს მაქსიმეს კატონზე ადრე იცნობდნენ, როგორც რესპუბლიკური კონსტიტუციის თავგამოდებულ დამცველს. იგი ჰანიბალის წინააღმდეგ ომში დიქტატორად იყო არჩეული, ექვსი თვით, როგორც ამას რესპუბლიკური კონსტიტუცია ითვალისწინებდა. მას თავი მოჰქონდა განვლილი „რესპუბლიკური ღიქ-

[1] Cic. Pro lege Man. 60.

ტატორობით" და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა სციპიონის მოსალოდნელ „ტირანულ დიქტატურას". სწორედ ფაბიუს მაქსიმე იყო პირველი, ვინც ხმა აღიმაღლა „უსაკო" სციპიონის დაწინაურების წინააღმდეგ. მას მხარში ამოუდგა მარკუს პორციუს კატონი.

„რესპუბლიკელებმა" სციპიონზე პირველი გამარჯვება მაშინ მოიპოვეს, როცა მათ ესპანეთიდან ძლევამოსილად დაბრუნებულ სარდალს უარი უთხრეს ტრიუმფზე. რესპუბლიკური კონსტიტუციის მისედვით ტრიუმფის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ დიქტატორს, კონსულს და პრეტორს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში პროკონსულს. ხოლო სციპიონი ხომ პროკონსულის რწმუნებებით მთავარსარდლობდა ესპანეთში. „რესპუბლიკელებს" ისიც ვერ მოენელებინათ, რომ სციპიონი მანამდე არნახული ხუთწლიანი პროკონსულობით განაგებდა იმ დროს რომისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ესპანეთის საქმეებს. ასე, რომ „ღვთაებრივმა ვაჟკაცმა" იმ წელს ვერ წამოისხა ტრიუმფატორის წამოსასხამი. მაგრამ მოწინააღმდეგეთა სიხარული მაინც ხანმოკლე გამოდგა: სციპიონმა მომდევნო წლისათვის (205) კონსულის toga praetexta წამოისხა და დიდძალი არმიითა და ფლოტით სიცილიაიფრიკის გზას გაუდგა.

აქვე, ამასთან დაკავშირებით, ძალიან ნიშანდობლივი, მჭახე ხმა გაისმა რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში: როცა სენატმა სცადა სციპიონისათვის უარი ეთქვა აფრიკის ლაშქრობის ხელმძღვანელობაზე. სციპიონმა მუქარით გამოაცხადა, რომ სენატს გვერდს აუვლიდა და ყველა საჭირო უფლების მოსაპოვებლად მიმართავდა პირდაპირ სახალხო კრებას (sic!).

ეს იმას ნიშნავს, რომ სციპიონი აპირებს უმაღლესი ძალაუფლება წაართვას სენატს და მისცეს სახალხო კრებას. ე. ი. „ტირანი" ხალხით აშინებს ოლიგარქიას. სციპიონის მუქარაში პირველად დაირხა ოლიგარქიისათვის ავისმაუწყებელი ნოტი, რომელმაც ჰომერული სიმძლავრით იგრიალა გრახკუსების მოძრაობაში.

უეცარი ჩხვლეტით შემდრკალმა სენატმა დასტური მისცა სციპიონის ახალ, „აფრიკულ აღზევებას".

„რესპუბლიკელები" არ ცხრებიან. სციპიონს აფრიკულ ლაშქრობაში ქვესტორად კატონი დაუნიშნეს. სიცილიაში ყოფნისას კატონი ხედავდა, როგორ აღმოსავლელი მბრძანებელივით იქცეოდა რომაელი სარდალი. მას განსაკუთრებით აღშფოთებდა ის, რომ სციპიონი „არც ომის დროს იღებდა ხელს თავის ჩვეულებრივ მფლანგველობაზე... კატონი ყოველგვარი მორიდების გარეშე ამხილებდა მას... რომ იგი ღუპავს ოდინდელ რომაულ უბრალოებას". ხოლო, როცა სციპიონმა მისი ხელქვეითი ქვესტორის პროტესტს აგდებულად უპასუხა, „კატონმა მიატოვა სიცილია, გამოცხადდა სენატში და ფაბი-

უსთან ერთად სციპიონს ბრალი დასდო იმაში, რომ მან ქარს გაატანა აუარებელი ფული და იქცევა როგორც ბავშვი, — იკარგება პალესტრებსა და თეატრებში, თითქოს ომში კი არა, დღესასწაულზე ბრძანდებოდეს"[1].

მაგრამ „ულტრა-რესპუბლიკელებიც" ვერაფერს გახდნენ. რომიდან სიცილიაში გაგზავნილმა კომისიამ, რომელსაც ევალებოდა, არმიების მოუმზადებლობის შემთხვევაში, სციპიონის რომში გაწვევა, დაინახა, რომ ლეგიონები და საზღვაო ძალები სრულ სიომარ მზადყოფნაში იყვნენ. სარდალს აღმოსავლურ-ელინურ-ელინისტური წესით პალესტრებსა და თეატრებში სიარულით რომაული ლაშქრის ბრძოლისუნარიანობისათვის არაფერი დაუშავებია. პირიქით, სასწავლო შემოწმებაზე გამოყვანილმა არმიამ სციპიონური საბრძოლო წრთობით განაცვიფრა რომიდან ჩამოსული კომისია. „რესპუბლიკელები" იძულებული შეიქნენ ამჯერად დადუმებულიყვნენ.

სციპიონი აფრიკაში ჩავიდა და კვლავ მრავალწლოვანი უმაღლესი მაგისტრატურით რწმუნებამოსილი ერთდროულად ანგრევდა კართაგენის სიძლიერესაც და რომაულ-ქალაქური რესპუბლიკის კონსტიტუციურ პრინციპებსაც. ამაოდ ირჯებოდნენ კატონები დ ფაბიუსები. კატონი ამაოდ „კიცხავდა მოქალაქეებს, რომ ისინი უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე ბევრჯერ ირჩევენ ერთსა და იგივე პირებს..."[2]

ოლიგარქიულ-რესპუბლიკური კანონმდებლობის კრიზისი უკვე დაწყებული იყო. ვიწრო, ერთწლიანი, შეზღუდული მაგისტრატურებით შეუძლებელი ხდებოდა ფართო, მსოფლიო-დამპყრობელური პოლიტიკის განხორციელება. ხანგრძლივი საომარი გეგმების რეალიზაცია მხოლოდ მტკიცედ ცენტრალიზებული, ყველა უმაღლეს უფლებათა მომცველი imperium-ით ხერხდებოდა. ხოლო უმაღლესი იმპერიუმის მფლობელობის, — ე . ი. „იმპერატორობის" პირველი პრეტენდენტი სციპიონია. მაშასადამე, მას პირველს მოუხდება ბრძოლა რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის დამცველებთან „იმპერატორობისა" და „დიქტატორობის" კვერთხისათვის. კატონებმა და ფაბიუსებმა არ იციან, რომ რომის მსოფლიო მბრძანებლობის პირობებში ვიწრო, ქალაქურ-პოლისურ თარგზე მოჭრილი რესპუბლიკური წყობა უეჭველად დაიღუპება ერთპიროვნული, ცენტრალიზებული ხელისუფლების სასარგებლოდ. ამ დროისათვის კი არა, ეს არ იცოდნენ არც უფრო გვიან, როცა რესპუბლიკური წყობილება აშკარად ინგრეოდა და, მერე, ფაქტიურადაც რომ გაუქმდა, მაშინაც ვერ დაეჯერებინათ რესპუბლიკის აღსასრული.

ერთ ხანს შეწყდა კიდეც სციპიონზე იერიშები. „რესპუბლიკელ-

[1] Plut. Cato M., 3.

[2] იქვე, 8.

თა“ ბრძოლა, ჯერ ერთი, შეასუსტა მათი ერთ-ერთი აქტიური ბელადის, ქვინტუს ფაბიუს მაქსიმეს სიკვდილმა. მაგრამ, რაც მთავარია, სციპიონის პოლიტიკური პოზიციები მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქცია ჰანიბალის დამარცხებამ და კართაგენის დაჩოქებამ. საქვეყნოდ ნათელი გახდა, რომ ყველაფერი ეს მოხერხდა სციპიონის ათწლოვანი „დიქტატორობის“ წყალობით. თვითონ კატონიც ერთ ხანს იძულებული იყო ხელი აეღო უშუალოდ სციპიონის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მისი საბრძოლო ცეცხლის განელებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ვერც თვითონ ასცდა „აღმოსავლურ ცდუნებებს“. მან ძირფესვიანად შეისწავლა ელინური და ელინისტური მეცნიერება, ენა, ლიტერატურა, ხელოვნება; ლანძღავდა ჰომეროსის სამშობლოს და თანაც საჭიროების დროს გატაცებით მოყავდა ადგილები ჰომეროსის ეპოსიდან; აგინებდა აღმოსავლურ ხელგაშლილ და უზრუნველ ცხოვრებას და თვითონ კონსულობის, ცენზორობისა და ტრიუმფალურ გვირგვინთა მოხვეჭის შემდეგ. თავი მისცა „სიამოვნებასა და განცხრომას („eis hedonen kai scholen“)“[1].

მაგრამ აი, გავიდა სამი წელი პირველი აზიური ლაშქრობიდან. რომმა მიაღწია თავის უპირველეს საწადელს: იგი იქცა აღიარებულ მსოფლიო მბრძანებლად; მას ემორჩილება ხმელთაშუაზღვეთის ყველა მხარე და ყველა კუთხე; სისხლმოყირჭებულმა რომაულმა მახვილმა ასეული წლების წინ მიტოვებული ქარქაში მოიკითხა. სციპიონურ მეომრულ პრაქტიკას თითქოს ყავლი გასდიოდა. აფრიკაზე და აზიაზე ძლევის გვირგვინები ფერს ჰკარგავდნენ, — „უკვე გახუნდნენ მისი საქმენი“. აი, ასეთი სიტუაციით სარგებლობენ „რესპუბლიკელები“ და კვლავ აახლებენ იერიშებს დიქტატორობისა და იმპერატორობის წინამორბედზე. ამჯერად, კატონმა სციპიონთან საბრძოლველად წიაქეზა სახალხო ტრიბუნები, ორი გაიუს პეტელიუსი.

ყურადღების ცენტრში ისევ „აღმოსავლეთის საკითხი“ დადგა.

პეტელიუსებმა მოითხოვეს სციპიონის სამართალში მიცემა, რადგან მათი მტკიცებით, თითქოს, სციპიონმა აზიის ლაშქრობის შედეგად მოპოვებული სიმდიდრის ნაწილი თვითონ დაისაკუთრა.

საკითხის ასე დაყენებამ რომში დიდი აურზაური გამოიწვია. ხალხი ორ რიგად გაიყო. ერთნი რესპუბლიკის დამცველნი, „რესპუბლიკელები“ კატეგორიულად მოითხოვდნენ სციპიონის სასამართლოზე გაყვანას, მიუხედავად ჰანიბალის მძლეველის „პრინცეპსობისა“ და პირველკაცობისა. ისინი გაიძახოდნენ: „არც-ერთი ცალკეული მოქალაქე არ შეიძლება იდგეს იმ სიმაღლეზე, რომ პასუხისმგებელი არ იყოს კანონის წინაშე. არაფერი არ უწყობს ხელს თავისუფლების ზეიმს ისე, როგორც შესაძლებლობა ყოველი მოქალაქის სასამართლო-

[1] Plut. Cato M., 11.

ზე წარდგენისა როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ის (მოქალაქე). ხოლო, განა შეიძლება ვინმემ იგრძნოს თავი უშიშრად, რომ აღარაფერი ვთქვათ საზოგადოებრივ საქმეებზე, თუ იგი ანგარიშს არ წარმოადგენს თავის მოქმედებაზე? ვისაც საკმარისად არ მიაჩნია სხვისი თანასწორი უფლებები, მაშინ სამართლიანია, მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას ძალა"[1].

„რესპუბლიკელთა" ამ მტკიცებაშიც კარგად ჩანს, თუ რატომ ებრძოდნენ სციპიონს: იგი ისეთ სიმაღლეზე ასულა, საიდანაც თავს აღარ გრძნობს ვალდებულად კანონის წინაშე", — ე. ი. რესპუბლიკური კანონის წინაშე; ერთი კაცის განსაკუთრებული აღზევება საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა შორის რესპუბლიკური კონსტიტუციით დაწესებულ თანასწორობასა და თავისუფლებას: ამიტომ ის, ვინც არ ემორჩილება ყველასათვის ერთნაირად დაწესებულ კანონს, ძალით უნდა იქნეს მორჩილებაში მოყვანილი. რომაელ მოქალაქეთა მეორე ნაწილი (და უეჭველად, უმრავლესობა) სციპიონს უპერდა მხარს. განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ხალხის ეს ნაწილი ბრალს სდებდა არა ტრიბუნებს, რომლებმაც სციპიონი სამართალში მისცეს, არამედ რომის მთელ სახელმწიფო მმართველობის სისტემას, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი ხდებოდა „პირველი მოქალაქისათვის", ყველა მისი დამსახურებისათვის, ასეთი უმადურობით გადაეხადათ. „ისინი ბრალს სდებდნენ არა სახალხო ტრიბუნებს, არამედ მთელ სახელმწიფოს იმისთვის, რომ მას შეეძლო დაეშვა ასეთი რამ (სციპიონის გასამართლება, ლ. ს.)"[2]. აქ „მთელი სახელმწიფო", რასაკვირველია, არის სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა, რომელსაც „რესპუბლიკას" უწოდებენ. ე. ი. სციპიონის მომხრეები უკვე გვევლინებიან, როგორც „ანტირესპუბლიკელები". ისინი ამტკიცებენ, რომ რომის ხელისუფლება კართაგენისაზე უარესია, როცა თავისი რჩეული ადამიანისადმი უარეს სისასტიკეს იჩენს, ვიდრე კართაგენი ჰანიბალისადმი. „დედამიწის ზურგზე ერთსა და იმავე დროს ორი უდიდესი ქალაქი აღმოჩნდა უმადური თავისი მხედართმთავრებისადმი; მაგრამ რომი უფრო უმადურია (Roman ingratiorem): კართაგენმა, — დამარცხებულმა დამარცხებული (victa victum) ჰანიბალი გააგდო გადასახლებაში, ხოლო რომს, — ძლევამოსილს ძლევამოსილი (victrix victorem) აფრიკელის განდევნა სურს"[3]. აქ ლაპარაკია სციპიონის განდევნაზე. ე. ი. ყველას სცოდნია, რომ წინასწარ, სასამართლოს დაწყებამდეც კი, „რესპუბლიკელებს" გადაწყვეტილი ჰქონიათ „ტირანიის აჩრდილის" თავიდან მოშორება.

---

[1] Liv. XXXVIII, 50.

[2] ibid.

[3] ibid.

უეჭველად სციპიონს დიდი იმედი ჰქონდა რომაელი ხალხის უმრავლესობისა. ამიტომ მას ამჯერადაც თავი მეფურად, „ტირანულად“ ეჭირა. სასამართლომდე სციპიონმა სენატში წარადგინა აღმოსავლურ-აზიური ფინანსების ანგარიშები და მერე იქვე ყველას თვალწინ ნაკუწებად აქცია ისინი, და თან დასძინა: რისთვის ჩაჰფრენიან ისინი ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ დახარჯა მან 3.000 ტალანტი მაშინ, როცა არც კითხულობენ, როგორ და რა გზით მიიღეს მათ 15.000 ტალანტი, ანტიოქესგან ჩამორთმეული, ისე როგორც არც (იმას კითხულობენ), რა გზით გახდნენ ისინი მფლობელი აზიის, ლიბიისა და აგრეთვე იბერიისა“[1].

სენატის წინაშე ასეთი „თავხედური“ მოქცევა სწორედ რომ უპრეცედენტო იყო. ამიტომ „ყველა სენატორი გაშრა ასეთი სიტყვებისაგან“[2]. გამოდიოდა, რომ კონსულები და სარდლები აღმოსავლეთის დამარცხებისთვის დიდი გასამრჯელოს მოთხოვნას შესჩვეოდნენ. რადაც არ უნდა ღასჯდომოდათ, უნდა გაეტეხათ „ტირანი“.

სასამართლო დაინიშნა. „რესპუბლიკელები“ კიდევ უფრო გააშმაგა იმან, რომ სციპიონი მეფური მანევრით მიადგა ფორუმს: იგი მოვიდა დიდძალი ამალით, მომხრეებით, კლიენტელით. „არავის არასოდეს მანამდე, — თვით იმავე სციპიონსაც. მისი კონსულობისა და ცენზორობის დროს არ ჰყოლია თავის გარშემო იმდენი გამცილებელი, რამდენიც იმ დღეს, როცა იგი გამოცხადდა როგორც ბრალდებული“[3].

სციპიონი თავიდანვე აგდებულად ეპყრობოდა სასამართლოს. როცა ტრიბუნებმა ბრალდებაზე პასუხი მოსთხოვეს, იგი ადგა და ილაპარაკა თავის დამსახურებებზე სახელმწიფოს წინაშე. ხოლო არც ერთი სიტყვით არ შეეხებია მას, რისთვისაც იგი სასამართლომდე მიიყვანეს. თითქოს „მის სიმაღლეს“ ვერ აღწევდა ის სიმდაბლე, რაშიც მას ბრალს სდებდნენ. ტრიბუნებმა თითქოს ვეღარც გაბედეს სახელმწიფოს უპირველესი ავტორიტეტისთვის, ბინძურ ანგარებაში ბრალდებით. სილა გაერტყათ, და უშუალოდ შეუტიეს სწორედ იმ კუთხიდან, საიდანაც „რესპუბლიკელები“ სციპიონის არსებობას ვეღარ იტანდნენ სახელმწიფოში.

სციპიონის ბრალმდებელთა სიტყვიდან ლივიუსს სწორედ ის ადგილი მოჰყავს, რომელიც ჩვენ განსაკუთრებით გვეპირდება:

აი, როგორ იქცეოდა სციპიონი აღმოსავლეთში: „მისი ტყვედჩავარდნილი ვაჟი გამოსასყიდის გარეშე დაიბრუნა და ყველა სხვა შემთხვევაში ანტიოქესგან ისეთი პატივისცემა ჰქონდა, თითქოს მარტო მის ხელში ყოფილიყოს რომაელთა ზავიც და ომიც.

---

[1] Polyb. XXIII, 14.

[2] ibid.

[3] Liv. XXXVIII, 50.

კონსულზე მბრძანებელ დიქტატორად და არა მის მოადგილედ იყო ის პროვინციაში, სადაც წავიდა, რათა ჩაენერგა საბერძნეთისათვის, აზიისთვის და ყველა მეფეებისა და ხალხებისთვის, რომ მხოლოდ იგია თავი და საფუძველი რომაული მბრძანებლობისა; რომ სციპიონის ჩრდილის ქვეშ განისვენებს ქალაქი — მსოფლიოს მბრძანებელი; მისი თითის გაქნევა ცვლის სენატის დეკრეტებს და ხალხის ბრძანებებს"[1].

მაშასადამე, სციპიონის დანაშაული რესპუბლიკის წინაშე არის მისი მონარქიული, ერთპიროვნულ-მბრძანებლური დამოკიდებულება ყველაფრისა და ყველასადმი, არა მარტო რომში, არამედ მთელს მსოფლიოში. სციპიონი ბედავს თავი წარმოიდგინოს მსოფლიოზე მბრძანებელი რომის რესპუბლიკის მბრძანებლად. აღმოსავლეთში, მონარქიისა და დესპოტიის კლასიკურ სამყაროში, იპოვნა მან თავისი ორეული — მონარქი ანტიოქე. მასში აღმოსავლეთმა ყველაზე მეტად განამტკიცა ერთპიროვნული დიქტატორულ-მონარქიული მისწრაფებანი. ყველაზე მეტად სწორედ აღმოსავლეთში ლაშქრობისას იგრძნო მან თავი, როგორც „დედამიწის მბრძანებელმა" — მბრძანებელმა, რომლის ნეკის განძრევის ტოლადაც არ ღირს რომის რესპუბლიკის თავის — სენატის კანონმდებლობანი.

ამ ხასიათის საბრალდებულო პოზიციებიდან ეწეოდნენ სციპიონის განქიქებას „რესპუბლიკელები" მთელი დღის გახმავლობაში. მეორე ზღვის, 19 ოქტომბერს, სციპიონი კვლავ ისმენს სასამართლოზე. მან, ისევ მიმართა ობსტრუქციას: მან თავის სიტყვაში ხალხს მოაგონა, რომ ამ დღეს დადამარცხა ჰანიბალი და ახლა მიემართება კაპიტოლიუმზე, რათა იქ, კართაგენის ძღვევის აღსანიშნავად, მსხვერპლი შესწიროს იუპიტერს, იუნონას და სხვა ღმერთებს; ვისაც სურს, გაჰყვეს და მასთან ერთად შეეფიცოს ღმერთებს, რამეთუ მათ მოუვლინონ რომს სციპიონზე „უკეთესი სარდლები".

„დედამიწის მბრძანებლის" დემაგოგიას კვლავ გასჭრა. ხალხი მას გაჰყვა. სასამართლო ჩაიშალა.

მაგრამ ასეთი „დიდებული დღე (speciosus ultimus dies) უკანასკნელად გაბრწყინდა (inluxit) სციპიონისათვის". იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „რესპუბლიკელები" არავითარი ფორმით არ შეუერიგდებოდნენ მის „ტირანობას". რაკი თვითონაც არავითარ დათმობას არ აპირებდა, გადწყვიტა გასცლოდა რომს. იგი წავიდა ლიტერნაში, თავის ბინაში და იქედან უარი შეინთელა, გამოცხადებულიყო ხელახლა დანიშნულ სასამართლოზე.

როგორც ჩანს, „რესპუბლიკელებს" არც სციპიონის პროტესტანტული განცხადება აკმაყოფილებდათ, რადგან ეს არ იყო დამარცხე-

[1] Liv. XXXVIII, 51.

ბული და ბრალდებული ტირანის გაძევება. ამიტომ ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ მის გამოცხადებას. მაშინ პუბლიუს სციპიონ „აფრიკელს“ გამოესარჩლა ძმა, ლუციუს სციპიონ „აზიელი“. მან ლტოლვილი ძმის გამოუცხადებლობის მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა. „რესპუბლიკელებმა“ სარწმუნოდ არ მიიჩნიეს პუბლიუს სციპიონის ავადმყოფობა და კვლავ ბრალად დასდეს ის, რომ „იგი არ ცხადდება სასამართლოზე იგივე ქედმაღლობის გამო, რითაც დასტოვა სასამართლო, სახალხო ტრიბუნები და სახალხო კრება“. აქვე ტრიბუნებმა „რესპუბლიკის სახელით“ უსაყვედურეს ხალხს, რომელიც სასამართლოს წინაშე შეკრებაზე აჰყვა „თავგასული კაცის“ ცდუნებას. ისინი აღშფოთებით ამბობდნენ: სციპიონი კაპიტოლიუმში წავიდა „იმ.თი თანხლებით, ვისაც მან მისცა ნება და უფლება მასზე განჩინების გამოტანისა, წაათრია ისინი როგორც ტყვედჩავარდნილნი და იზეიმა ტრიუმფი თვით რომაელ ხალხზე... და აი, საფასური ამ კაცის თავხედობისა! მისი მითითებით და მისი ხელმძღვანელობით დაგვტოვეთ მაშინ ჩვენ, ხოლო ახლა მან მიგატოვათ თქვენ“[1].

„რესპუბლიკელები“ „ანტირესპუბლიკელების“ კრიტიკის შემდეგ კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ სციპიონის გამოცხადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მის დაუსწრებლადაც გამოუტანენ მსჯავრს.

მდგომარეობა შესცვალა სახალხო ტრიბუნ ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსის (შემდგომში სახელოვანი ძმები გრაკხუსების მამა) ჩარევამ. მან გამოიყენა ტრიბუნის დიდი უფლება — „veto“, რომლის მეოხებით შეაჩერა სციპიონზე მოიერიშე კოლეგების გადაწყვეტილება და წარმოთქვა სიტყვა დიდი რომაელი მოღვაწის სასარგებლოდ. იგი მოაგონებდა ყველას, „რესპუბლიკელსაც“ და „სციპიონელსაც“, სციპიონის ფასდაუდებელ ღვაწლს. ბოლოს, მისივე წინადადებით, სარწმუნოდ იქნა მიღებული სციპიონის „ავადმყოფობა“ და გადადებულ იქნა გასამართლება მანამ, სანამ იგი რომში არ დაბრუნდებოდა“.

მაგრამ სციპიონი რომში აღარ დაბრუნებულა. 183 წელს „რესპუბლიკა“ სიკვდილმა იხსნა „ტირანიის აჩრდილისაგან“. მას აღარც ცოცხალს და აღარც მკვდარს აღარ უსახავს ქალაქი, რომლის მსოფლიო მბრძანებლობის მედროშედ თვითონ იყო მეოთხედი საუკუნის მანძილზე. კვდებოდა რა სოფელში, ბრძანა იქვე დაესაფლავებინათ და ძეგლიც აღემართათ: არ სურდა, რომ უმადურ სამშობლოს (ingrata patria) ეცა მისთვის პატივი დაკრძალვის დროს.

თითქოს, სციპიონის სიკვდილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი, რისთვისაც იბრძოდნენ „რესპუბლიკელები“, მაგრამ კატონი და

[1] Liv. XXXVIII, 52.

მისი მიმდევრები კვლავ განაგრძობენ „სციპიონობასთან“ ბრძოლას. ეს მათი მხრივ უნდა ყოფილიყო თავისებური პრევენტულ-პროფილაქტიკური ღონისძიება „ტირანიის“ მომავალი ცდის წინააღმდეგ, რამეთუ საფლავში ჩასული სციპიონის აჩრდილი ხორცსხმულ მბრძანებლად არ აღმოცენებულიყო რომის ფორუმზე. „სციპიონის სიკვდილის შემდეგ მისი არაკეთილმოსურნენი უფრო გაბედულნი გახდნენ“. მათ ახლა ერთდროულად იერიში მიიტანეს მიცვალებულ სციპიონ აფრიკელზეც და ჯერ კიდევ ფეხზე მდგარ სციპიონ აზიელზეც. კატონმა და მისგან ამხედრებულმა ტრიბუნებმა ისევ კატეგორიულად მოითხოვეს აღმოსავლეთიდან წამოღებული ნადავლის ანგარიშის დაყენება. მათ კვლავ აღმოსავლეთის საკითხი მიაჩნდათ „სციპიონების“ საბოლოოდ დასასამარებლად. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ სციპიონებს ბრალი დასდო აზიაში დაგროვილი სიმდიდრიდან ერთი ნაწილის მითვისებაში. ისევ ტიბერიუს გრახკუსის შუამდგომლობით გადარჩა ლუციუს სციპიონი მარსის დილეგში ჩაგდებას. სასამართლომ მას დააკისრა წაღებული ქონების უკან დაბრუნება. და, აი, ჯარმას ახდევინებენ იმ კაცს, რომლის ტრიუმფზე გავლით სახელმწიფო ხაზინაში „შეეიდა იმდენი ოქრო და ვერცხლი, რამდენიც ერთად აღებულ ათას სხვა ტრიუმფებშიც არ გამოუტარებიათ“.

ჯარიმისათვის საჭირო თანხა, თუ ლივიუსს დავუჯერებთ, ლუციუს სციპიონმა ნათესავებში და ახლობლებში შეკრიბა. საკუთრივ უმცროსი სციპიონის საკითხს „რესპუბლიკელებისთვის“ პრინციპული მნიშვნელობა არც კი ჰქონია, რადგან პირადად მისგან, საშუალზე ნაკლებ შესაძლებლობათა მქონე მოღვაწისგან, არასოდეს არ იქნებოდა „ტირანიის“ საშიშროება. ამიტომ საყურადღებო უნდა იყოს აზრი იმის შესახებ, რომ კატონმა ლუციუს სციპიონზე გაილაშქრა „სურვილით — შეურაცხყოფა მიეყენებინა სციპიონ აფრიკელის სსოვნისათვის“.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, მოუმზადებელ ნიადაგზე აღმოცენებული პრეცედენტობა მარცხით დამთავრდა. რომის ერთპიროვნულ ხელისუფალთა უპირველესი წინაპარი განადგურდა. კრიზისს პირთან მდგარმა, მაგრამ ჯერ ისევ ძლიერმა „რესპუბლიკამ“ სასიკვდილო მახვილი ჩასცა მახვილის ხმარების დიდოსტატს. და ეს მახვილი, სციპიონის მომაკვდინებელი, მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს წ ი ა ღ შ ი მოძებნეს...

აქვე, აღმოსავლეთში, აზიაში, დაასრულა თავისი სიცოცხლე „სციპიონური ტირანიის“ აფრიკელმა ორეულმა, მისმა დიდმა მეტოქემ, ჰანიბალმა.

ჰანიბალი თავისი სიძლიერით და პირველკაცობით არანაკლებ შიშის ზარს სცემდა მშობლიური ქალაქის ოლიგარქიას, ვიდრე სციპი-

ფნი რომაელ „რესპუბლიკელებს“. კართაგენის „რესპუბლიკური“ ხელისუფლებაც ჰანიბალში ისეთსავე „ტირანს“ ხედავდა, როგორსაც რომის რესპუბლიკა სციპიონში. კართაგენის არისტოკრატიამ ჰანიბალს უფრო ადრე გამოუცხადა ბრძოლა, ვიდრე რომის ოლიგარქიამ სციპიონს. კანეს დიდებულ ბრძოლაში ჰანიბალის საარაკო ვაშარჯვებამ, მოსისხლე რომზე არანაკლებად, თვით მისი მშობლიური კართაგენის ხელისუფლება შეაშფოთა. ეს პარადოქსი როდია: კართაგენის ვულხვიად ოლიგარქიას მუდამ აშინებდა და აფიქრებდა მისი გენიალური თანამემამულის ელვისებური ზეაღსელანი. არავისთვის არ იყო საეჭვო, რომ, თუ „აფრიკელი ლომი“ „ძუ მგლის ნაშიერთ“ დედაბუდიანად ამოაგდებდა და მსოფლიოზე გაბატონების კვერთხს ხელთ მოიგდებდა. კართაგენის „გამსოფლიოების“ ამ საოცნებო ინსიგნიას იგი თავის მოშურნე და მოსისხლე ოლიგარქიას როდი მიართმევდა. პირიქით, იტალიის ძლევამოსილ ლაშქრობებში ფრთაშესხმული არწივი კართაგენის სვე-ბედის განმრიგე ოლიგარქ-ჭილყვავებს უსათუოდ დაიფრენდა და მსოფლიო მბრძანებლობის რანგში აყვანილ სახელმწიფოს მესაკედ თვითონ ჩაუდგებოდა. ამიტომ იყო, რომ ჰანიბალ ბარკას ძლევამოსილებამ ერთნაირად დასცა თავზარი რომის სენატსაც და კართაგენის ოლიგარქიასაც. კანეს მზის ბრწყინვალებამ რომზე მეტად კართაგენის ხელისუფლებას დაუხშო თვალის ჩინი. ამიტომ მან თავის „მტრად ქცეულ გმირს“ უარი უთხრა საომარი რეზერვების მიცემაზე. კანეს დღეებიდან ჰანიბალი საკუთარი ქალაქისთვისაც მიუსაფარ გმირად დარჩა. იგი თავისი ღვიძლი სამშობლოსგანაც „უსამშობლოო“ შეიქნა. განელო წლებმა, კანედან ზამამდე, ზამადან მაგნეზიამდე, და ჰანიბალი კვლავ იბრძოდა, რაკი კვლავ ცოცხლობდა. იგი კვლავ გრანდიოზულად ბრწყინავდა ტალანტებით ღარიბ ამ საუკუნეში.

მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს, ჰანიბალსაც ეწვია მასზე ძლიერი ძალა... სიკვდილი.

სირიის ომის შემდეგ დადებული ზავის ძალით, ანტიოქეს რომისთვის უნდა გადაეცა, აგრეთვე, ჰანიბალი. მაგრამ, როცა ზავის ეს ბუხლი იწერებოდა, ჰანიბალს სირია უკვე დატოვებული ჰქონდა. იგი ერთბანს კრეტას აფარებდა თავს; შემდეგ, როცა აქაც რომაელთა ჯაშუშები აფუსფუსდნენ, ისევ აზიაში გადავიდა და ბითინიის მეფის, პრუსიას საწსახურში შევიდა. პრუსიას მაშინ ომი ჰქონდა პერგამოსთან. ამიტომ მან სახელოვანი ფინიკიელი დიდი სიხარულით მიიღო და საომარ საქმიანობაშიც ჩაობა. აქ ჰანიბალმა უკანასკნელად იომა საძულველ რომაელთა წინააღმდეგ (ევმენი ხომ რომის ქვეშევრდომი იყო). ერთ-ერთ საზღვაო შეტაკებაში მან მწყობრიდან გამოიყვანა თვითონ მეფე ევმენის საომარი გემი, ხოლო დანარჩენი

ეკიპაჟნი საშინლად დააფრთხო და გაჰფანტა სრულიად ახალი, უჩვეულო საბრძოლო ხერხით: მისი ბრძანებით, ბითინიელებმა, მოწინააღმდეგის ხომალდებზე გველებით სავსე ქოთნები გადაისროლეს. ეს იყო მისი უკანასკნელი „ბრძოლა გველებით", და უკანასკნელი „ფინიკიური შხამის" გადმონთხევაც რომის დასაგესლავად. მოვიდა ფლამინინუსი და კატეგორიულად მოსთხოვა პრუსიას, დაუყოვნებლივ გადაეცა ჰანიბალი. პრუსიას, უმწეო ჯუჯა მეფეს, არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ესოდენ დიდი რომაული ავტორიტეტისთვის. მან მიასწავლა თავშესაფარი ჰანიბალისა. და როცა ჰანიბალს მსახურმა მოაბსენა და თვითონაც ნახა, მისი სამყოფელი ყოველის მხრივ გარშემორტყმული იყო და მისი ხსნაც ამჯერად აღარავითარ ძალას არ შეეძლო, სასწრაფოდ დასცალა საწამლავით სავსე ფიალა და სიკვდილთან ერთად შეხვდა რომაელებს.

ისტორია დამთხვევათა ოსტატია, და აი, მაგალითი:

ჰანიბალიც და სციპიონიც თითქმის ყველაფერში ორეულები იყვნენ: ორივენი თავისი სიძლიერით ერთნაირად შიშის ზარს სცემდნენ გარეშე მტერსაც და მშობლიურ ხელისუფლებასაც; ორივემ 25 წლის ასაკში დაიწყო დიდი სამხედრო კარიერა — მხედართმთავრობა; ორივემ ესპანეთში დაიწყო იგი; ორივე ერთ წელს დაიღუპა და ორივენი „აღმოსავლეთის საკითხთა" მსხვერპლნი გახდნენ.

ზევსო, ოლიმპოს კარიბჭენი მაგრად დარაზე,
ფსიზლად ღაიცავ ციურ ღმერთთა ციხე-სიმაგრე!
დაიმორჩილა რომის შუბმა ზღვაც და ხმელეთიც
და მარტო ცისკენ დარჩა გზები გაუკვალავი.

ალფეოსი

თავი მეხუთე

რომის აღმოსავლური პოლიტიკა ძვ. წ. მეორე საუკუნის 70-იან წლებში

1. როგორ დაიწყო „მესამე მაკედონური ომი“

რომის აღმოსავლური პოლიტიკის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ე. წ. „მესამე მაკედონური ომი“, როცა რომაელები და მაკედონელები ახალი ძალით ეკვეთნენ ერთურთს ბალკანეთზე საბოლოოდ გაბატონებისათვის.

ფილიპე მეხუთე დარწმუნდა მისი იმედის ამაოებაში, რომ „სირიის ომში“ დახმარებისათვის რომაელები მას ბალკანეთზე ბატონობას უბოძებდნენ. მხცოვანი მეფე უკანასკნელი ენერგიით შეუდგა ხელახალი ომის სამზადისს. მან საომარ ფინანსთა დაგროვებისათვის მოსახლეობას შეაწერა სასოფლო-სამეურნეო გადასახადები და საზღვაო ვაჭრობაზეც ბაჟები დააწესა. მისი ბრძანებით განახლდა მუშაობა წინა ომის დროს მიტოვებულ მაღაროებში; ამას გარდა, წიაღის სიმდიდრეთა უფრო დიდი მარაგის მოპოვებისა და საომარ რესურსებად გადაქცევისათვის ბევრი ახალი მაღარო გახსნა.

ფილიპემ განსაკუთრებული გულისყურით მოჰკიდა ხელი მოსახლეობის გამრავლების საკითხს. ომებმა ისედაც მცირერიცხოვანი მაკედონიის მოსახლეობა სულ გააჩანაგა. ბრძოლისა და შრომისუნარიანი მოსახლეობა მეზობელ ტომებთან კინკლაობასა და მრისხანე რომაულ ლეგიონებთან ბრძოლას შეაქლიტა. ამიტომ ფილიპე იმას

გარდა, რომ საომრად წვრთნიდა ახლადწამოჩიტულ ახალგაზრდობას, ყველა მაკედონელს აიძულებდა გაეჩინა და აღეზარდა შვილები.

შემდეგ, მაკედონიის ბრძოლისუნარიანობის გასაძლიერებლად, მეფემ შემოიმტკიცა მთელი თრაკია მდინარე ისტროსამდე. აქედან იგი თრაკიელი მეომრებით ავსებდა თავის არმიას.

როგორც კი ფილიპემ თავი ძლიერად იგრძნო, შეუდგა მეზობელ ოლქთა მთლიანად დაპატრონებას. მან ხელთ იგდო სამხრეთ-თრაკიული ქალაქები: ენოსი, მარონეა. შემდეგ თესალია, ათამანია, პერიბეელთა და მაგნეტთა ტერიტორიები. ამ ქვეყნებმა მაშინვე რომს მიმართეს, როგორც „ჩაგრულთა აღიარებულ მფარველს". მათ ვარდა, რომში ელჩები აფრინეს პერგამოსელებმა, რადგან ევმენ მეორე ძალიან შეაშფოთა მაკედონელი გვირგვინოსნის წინსვლამ სამხრეთის, განსაკუთრებით, სამხრეთ თრაკიისა და თრაკიის ხერსონესის მიმართულებით. ევმენს თვითონ სურდა ხელთ ეგდო თრაკიის ხერსონესი — ეს უშესანიშნავესი სტრატეგიული და ეკონომიური კვანძი ევროპასა და აზიას შორის.

თავის მხრივ ფილიპემაც გაგზავნა ელჩობა რომში. მას სათავეში ჩაუყენა თავისი უმცროსი ვაჟი დემეტრიოსი, ადრე რომში მძევლად ნამყოფი და რომაელთათვის „ახლობელი კაცი".

მაშინდელ მაკედონიაში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს ორი პოლიტიკური დაჯგუფება — პრორომაული და ანტირომაული. პირველს სათავეში ედგა დემეტრიოსი, მეორეს — პერსეოსი, ფილიპეს უფროსი ვაჟი.

მალე პერსეოსის მაქინაციებით დემეტრიოსი მოჰკლეს (მოწამლეს), ბალკანეთის საკითხი კვლავ იარაღს უნდა გადაეწყვიტა.

ფილიპესაც აღარ დასცალდა სათავეში ჩასდგომოდა მაკედონელთა უკანასკნელ დიდ ომს. იგი გარდაიცვალა და ტახტი დაიპირა მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ პერსეოსმა.

პერსეოსის გეგმები ფართო და მრავალმხრივი იყო. როგორც წყაროები გვატყობინებენ, მის ხელთ ყოფილა საომარი რესურსები ათი წლის მარაგით. იგი ინარჩუნებდა თრაკიელებთან ერთიანობას და კიდევ უფრო აძლიერებდა დუნაისგადაღმელ ბასტარნებთან და პეეკინებთან სამოკავშირეო ურთიერთობას. ისინი დაქირავებულ მეომრებად მსახურობდნენ პერსეოსის არმიაში. მაკედონელმა ურთიერთობა გაიჩაღა აზიელ გვირგინოსნებთან — სირიელ ანტიოქე მეოთხე-ეპიფანესთან და ბითინიელ პრუსია მეორესთან. ამათთან მას ახლო მოყვრობა და ნათესაობა ჰქონდა (თვითონ პერსეოსს ცოლად ჰყავდა ანტიოქე მეოთხის ასული, ხოლო პრუსიას და მიათხოვა).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ პერსეოსი პირველი იყო, რომელმაც ერთიანი

ბერძნულ-მაკედონური დროშით გამოსვლა სცადა მტრის წინააღმდეგ. იგი ყველას, ბერძენსაც და მაკედონელსაც, დეენილსაც და ემიგრანტსაც, კონფისცირებულსაც და ვალში ჩავარდნილსაც, აღუთქვამდა თავშესაფარს, უცხადებდა ამნისტიას, ჰპირდებოდა ვალების გაუქმებას და მოუწოდებდა გაერთიანებისაკენ. სენატს ჰქონდა ცნობა იმისა, რომ პერსეოსს კართაგენთანაც გაუბამს ურთიერთობა.

მაგრამ პერსეოსმა ვერ შეძლო ის, რის მიღწევაც შეუძლებელი შეიქნა თვით დიდი ჰანიბალისათვის. ჯერ ერთი, ახალგაზრდა მეფეს არ შეეძლო დაეყუჩებინა ის დიდი შინაგანი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ტკივილები, რაც საბერძნეთს განუწყვეტლად სტანჯავდა შორეული პელოპონესის ომებიდან. ჯერ საბერძნეთის გაერთიანება იყო საჭირო და მერე უნდა ეფიქრა პერსეოსს მაკედონია-საბერძნეთის ერთიანობის შეთანხმებაზე, ხოლო საბერძნეთის გაერთიანება ანტიკურ ხანაში ვერასოდეს ვერ მოხერხდა. მან თავისი აყვავების წწვერვალზე, კლასიკურ მეხუთე საუკუნეშიც ვერ შეძლო მტკიცე ერთიანობის შექმნა. ელინური სამყარო მუდამ დაქუცმაცებული იყო და მით უფრო ახლა, ძველი მაკედონური და ახალი რომაული უღლის ქვეშ ხერხემალდამსხვრეული, ეერავითარ ძალას ვერ შეუბამდა მხარს რომის მსოფლიო სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამას გარდა, როგორც კი რომის ხელისუფლებისათვის პერსეოსის გეგმები საცნაურ იქნა, იგი ჩვეული ენერგიით შეუდგა ახლადმოვლენილი აღმოსავლელი მეტოქის მიერ გაბმული სუსტი პოლიტიკური ძაფების დაწყვეტას. რომაულმა დიპლომატიურმა კომისიებმა ადგილებზე სასწრაფოდ მოსპეს ანტირომაული სულისკვეთების ყველა ნიშანწყალი.

171 წელს დაიწყო „მესამე მაკედონური ომი", რომელიც სამ წელს გაგრძელდა. რომი განსაკუთრებით სერიოზულობით მოეკიდა ამ ომს, რადგან ივი მიზნად ისახავდა ერთხელ და სამუდამოდ მოესპო ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო.

171 წლისთვის კონსულმა პუბლიუს ლიცინიუს კრასუსმა 30.000-ანი არმია ჯამზადა.

მზად იყო, აგრეთვე, ძლიერი ფლოტი, რომელშიც რომაული ხომალდების გარდა შედიოდნენ პერგამოსის, როდოსისა და პონტოს ჰერაკლეის საზღვაო ძალები.

2. ომის მსვლელობა. პიდნას ბრძოლა

171 წლის ადრიან გაზაფხულზე რომაელებმა გადალახეს ადრიატიკის ზღვა და საბერძნეთს შეესივნენ, უპირველეს ყოვლისა, ყველა ბერძნულ ქალაქში გარნიზონები ჩააყენეს.

ორი წლის (171—169) განმავლობაში წარმოებულ ცალკეულ ბრძოლებს გადამწყვეტი ცვლილებები არ შეუტანია საომარ მსვლელობაში. რომაელი სარდლები მოუქნელად და ზანტად მოქმედებდნენ. პერსეოსიც ერიდებოდა გენერალურ ბრძოლას.

168 წლისათვის რომში ერთ-ერთ კონსულად აირჩიეს ლუციუს ემილიუს პავლე, სახელოვან კანეს ბრძოლაში დაღუპული ემილიუს პავლეს ძე, ფრიად ნიჭიერი და ენერგიული სარდალი.

რომში მიჩნეული იყო, რომ აღმოსავლეთში გაჭიანურებული ომის წარმატებით დამთავრება მხოლოდ ლუციუს ემილიუს პავლეს შეეძლო. ამიტომ მისი მთავარსარდლად დანიშვნა ჩვეულებრივი წესით რიდი გაატარეს. ჩვეულებრივი, ორდინალური წესი გულისხმობდა კენჭისყრას კონსულთა შორის. შესაძლო იყო პავლეს არც შეხვედროდა „მაკედონური კენჭი". ამიტომ აღმოსავლეთის საკითხმა კვლავ ორდინალური კონსტიტუციის დარღვევა მოითხოვა და დაარღვია კიდეც: პავლეს აღმოსავლეთის ომის მთავარსარდლობა საგანგებო, მანამდე უჩვეულო წესით — კენჭისყრის გარეშე მიანიჭეს.

სამოც წელს მიღწეული სარდალი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა საომარ საქმეთა ხელმძღვანელობას. უპირველეს ყოვლისა, წინასწარ აფრინა შიკრიკები მაკედონიაში, რათა ყველაფერი დაწერილებით შეესწავლათ ადგილზე: მტრის საომარი ძალები და მათი განლაგებანი, ბალკანელ ტომთა განწყობილებანი რომაელთა და მაკედონელთა მიმართ, რა სახის საომარი რესურსები აქვს მოწინააღმდეგეს და რა გზებითა და წყაროებით ღებულობს მას და სხვ.

ამ ცნობათა მიღების შემდეგ, პავლე რჩეული ლეგიონებით სასწრაფოდ გადავიდა საბერძნეთში. ასევე სწრაფი მარშით მივიდა თესალიაში.

მისვლისთანავე კონსულმა ძირფესვიანად გარდაქმნა რომაული არმიისათვის უჩვეულო დეზორგანიზებულობისა და უმოქმედობის ატმოსფერო. აღდგენილი იქნა მკაცრი სამხედრო დისციპლინა და წესრიგი. რომაელმა სარდალმა შეტევაც დაუყოვნებლივ დაიწყო. მაკედონელებმა თესალიიდან გადაინაცვლეს და მაკედონიის ქალაქ პიდნასთან მოიყარეს თავი. რომაელებიც ფეხდაფეს მიჰყვნენ და იქვე, პიდნასთან, მტრის პირისპირ დასცეს ბანაკი. მოწინააღმდეგეებს ერთმანეთისაგან ჰყოფდათ მდინარე ლევკოსი.

აქ 168 წლის 22 ივნისს მოხდა სახელოვანი პიდნას ბრძოლა.

წყაროებში იგი წარმოდგენილია ნაწილობრივ მსატვრულ-რომანტიულ ფერებში:

გათენდა 22 ივნისი. იმ დღეს არც ერთი სარდალი არ ფიქრობდა გენერალური ბრძოლის დაწყებას, მაგრამ დღის ბოლოს მოწინააღმდეგენი სრულიად შემთხვევით ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-

ლაში. ეს შემდეგნაირად მოხდა: მზე უკვე დასავლისკენ იყო დახრილი, როცა რამდენიმე რომაელმა მდინარეზე წყლის სასმელად ცხენები გარეკეს. ერთმა ცხენმა მდინარე გასცურა და მეორე ნაპირზე გავიდა. ის ხელში ჩაიგდეს პერსეოსის არმიაში მომსახურე თრაკიელმა მეომრებმა, რომლებიც იქ გუშაგებად იდგნენ. რომაელმა ჯარისკაცებმაც გასცურეს მდინარე, ცხენიც დაიბრუნეს, შეტაკებისას ერთი თრაკიელიც მოჰკლეს და უკანვე გამობრუნდნენ. მაგრამ მათ დაედევნა თრაკიელთა ძლიერი რაზმი. მდინარის ნაპირზე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხრიდან ემატებოდნენ მეომრები. ბრძოლა თანდათან უფრო სასტიკი ხდებოდა. სწორედ მაშინ პერსეოსმა ბრძანება გასცა და მთელი მისი ქვეითი არმია შეტევაზე გადავიდა. ემილიუს პავლემაც სასწრაფოდ შეაგება ლეგიონები.

რომაელთა მოწინავე ხაზს პირველნი მიეკრნენ თრაკიელები. ლეგიონებმა სიპასუხო დარტყმის გამართვაც ვერ მოასწრეს, რომ გრიგალივით მოვარდნენ მაკედონური ფალანგები. შედრკნენ რომაელთა მოწინავენი. შედრკა მრავალ ბრძოლაში ნაცადი სარდალიც; არასოდეს ასეთი შიში არ მიგვრძნიაო, — თვითონ აცხადებდა ემილიუსი შემდგომში. მაგრამ მან მალე დასძლია მისთვის უჩვეულო გრძნობა და მხნედ შეუტია იერიშზე გადმოსულ მტერს.

რომაელთა მოწინავე კოჰორტა, რომელიც მთლიანად საბელური ტომის, პელიგნებისაგან შედგებოდა, თავგანწირვით ცდილობდა გაერღვია ფალანგების მტკიცედ შეკრული რიგები, მაგრამ ამაოდ. მაშინ მათმა მეთაურმა სალიუსმა მოწინააღმდეგის სქელად შეკრულ რიგებში ისროლა კოჰორტის საბრძოლო დროშა და ბრძანა მისი უკანვე გამოხსნა. ცხეცური თავდავიწყებით გადაეშვნენ პელიგნები დროშის დასაბრუნებლად მტრის შუბების ტყეში. ისინი მახვილებით სჩეხდნენ მაკედონელთა შუბებს; ფარებს თავში სცემდნენ მათ, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევდნენ: მაკედონელები მათ თავიანთ გრძელ შუბებზე აგებდნენ და უკან ისროდნენ. პელიგნთა კოჰორტა მთლიანად განადგურდა. რომაელებმა დაიწყეს უკან დახევა. გამხნევებული მტერი კვალდაკვალ მისდევდა და ავიწროებდა მათ. რამდენიმე ათეული მეტრიღა დარჩა რომაელთა ბანაკამდე. ლეგიონებმა მიაღწიეს ბანაკის მახლობლად მდებარე ბორცვს. აქ მაკედონელები ახალ იერიშზე გადავიდნენ. მაშინ ემილიუს პავლემ ჩამოუქროლა შემდრკალ არმიას და კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა. მართლაც დრო იყო: მაკედონელთა ფალანგებს უკვე დაეკარგათ თავიანთი უპირატესობა — ერთიანობა და მონოლითური მთლიანობა; დევნისას მათი რიგები დაშლილიყო და რაზმეულებად მიეშურებოდნენ „ღამარცხებული“ მტრის საბოლოოდ გასანადგურებლად: მაგრამ ჩანდა, ემილიუსი ახლა იწყებდა ბრძოლას.

რომაელები რაზმეულებად შეიკრნენ დაფანტულ მაკედონელთა დისტანციებში. გაჩაღდა მრავალი ჯგუფობრივი ბრძოლა. რომაელები, რომელთაც უკვე ნაპოვნი ჰქონდათ მანძილი მანევრირებისათვის, ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდნენ დაქსაქსულ ფალანგიტთა რაზმებს და უწყალოდ სჩეხდნენ მათ. პერსეოსის ქვეითი არმია მთლიანად ნადგურდებოდა. ვინც გაქცევა მოახერხა, ზღვის სანაპიროს მიაშურა, მაგრამ აქ წინ გადაეღობნენ რომაელი მეზღვაურები, რომლებიც სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ პრეტორ ოქტავიუსის ადმირალობით.

კატასტროფა დააჩქარა მაკედონელი მეფის უმოქმედობამ და სიმხდალემ. კავალერიას, რომელსაც თვით მეფე უდგა სათავეში, ბრძოლაში არც კი მიუღია მონაწილეობა. ის მდინარის მეორე ნაპირიდან უცქერდა ფალანგების განადგურებას და პირველი გაიქცა ბრძოლის ველიდან.

20.000 მაკედონელის დაჩეხილი გვამი ეყარა მიწაზე. 11.000 ტყვე ჩაიგდეს ხელში რომაელებმა.

ასე გადაწყდა მაკედონიის ბედი ბრძოლაში, რომელიც ერთი საათიც არ გაგრძელებულა. სულ ერთი კვირა იყო გასული ემილიუს პავლეს მთავარსარდლად დანიშვნიდან და ალექსანდრე მაკედონელის საბრძოლო უკვე რომაელთა ფეხქვეშ იყო გართხმული. წინააღმდეგობის გაწევაზე აღარავინ ფიქრობდა. პერსეოსი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლისა და ხაზინის გადარჩენაზე ზრუნავდა. ის პირდაპირ გაიქცა სატახტო ქალაქ პელაში. გზაზე მას თითქმის ყველა მსახური ჩამოშორდა. ბრაზმორეულ მეომრებს ძლივს გადაურჩა მხოლოდ იმის წყალობით, რომ სამეფო ტანსაცმელი და დიადემა მოიხსნა და უბრალო ტანსაცმელში შემოსილმა ძლივს მიაღწია პელას. აქ მან დახოცა ერთგული ხაზინადარები, გასწმინდა სახელმწიფო საგანძური, რომელიც 6.000 ტალანტისაგან შედგებოდა, და გაიქცა სამხრეთისაკენ თავისი ოჯახის, სამი ერთგული მსახურისა და ხუთასი მეომრის თანხლებით. ეს უკანასკნელნიც მას მისდევდნენ არა იმდენად ერთგულების გამო, რამდენადაც იმ ფულის მიღების სურვილით, რომელსაც მათ აღუთქვამდა გვირგვინმოხსნილი გვირგვინოსანი. სასყიდლის მიღების შემდეგ, ქალაქ ამფიპოლისში, პერსეოსი ამ უკანასკნელმა ამალამაც მიატოვა. ბოლოს, ლტოლვილმა, თავის ცოლ-შვილთან ერთად, ძლივს მიაღწია სამოთრაკიას. აქედან ფიქრობდა თრაკიაში გაქცევას, მის მოკავშირე კოტისთან. სწორედ ამ გეგმის განხორციელების დროს ის მისივე ანგარებისმოყვარეობის მსხვერპლი შეიქნა. პერსეოსი მოელაპარაკა ვიღაც კრეტელ ოროანდს, რომელსაც ხომალდით უნდა გაეპარებინა ის და მისი ოჯახი რომაელებით გავსებულ ზღვაში. ღამით ოროანდმა დატვირთა გემი ხაზინითა და სიმდიდრით. მეორე

ღამით, გაჭეზავრების დათქმულ ვადაზე, პერსეოსი ცოლ-შვილით მივიდა ზღვაზე, მაგრამ იქ არც ოროანდი, არც გემი და არც სამეფო საჭურჭლეები აღარ დახვედრია, პერსეოსი დანებდა საბედისწერო ხვედრს. ის თავისი ოჯახით ჩაბარდა პრეტორ ოქტავიუსს, რომელმაც ისინი გაგზავნა ემილიუს პაულესთან. პიდნას ბრძოლიდან რაღაც ერთი თვის განმავლობაში რომაელებმა გაანადგურეს მაკედონიის მოკავშირე ილირია და ეპირი...

რომაელები ცირკში დიდ სანახაობაზე იყვნენ შეკრებილნი, როცა იქ გამოცხადდნენ ემილიუს პაულეს შიკრიკები, რომლებმაც ჩამოიტანეს სასიხარულო ამბის მაუწყებელი დაფნის ფოთლებით შემკული ეპისტოლე. ხალხი დიდი ზეიმით შეხვდა ახალ დიდ გამარჯვებას. საყოველთაო დღესასწაული და მსხვერპლშეწირვა ჯერ არც კი დამთავრებულიყო, რომ კვლავ ახალი გამარჯვების ამბავი მოვიდა: რომაელებმა დაამარცხეს და შეიპყრეს ილირიელი მეფე გენციუსი.

სენატის დადგენილებით გაიგზავნა ბრძანებები, რომლის მიხედვით ემილიუს პაულეს უნდა მოეწესრიგებინა ახლადდაპყრობილი და საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნების საქმეები.

---

3. მაკედონიის ხელახალი განადგურების შედეგები

დაისვა საკითხი, როგორ უნდა მოქცეოდნენ დამარცხებულ მაკედონიას, — კვლავ წინანდებურად დამოუკიდებელ, მაგრამ შეზღუდულ მდგომარეობაში დაეტოვებინათ, თუ დამოუკიდებლობაც წაერთმიათ და სავსებით დამორჩილებულ პროვინციად გადაექცინათ; ე. ი. კვლავ რქმეოდა (თუნდაც მაოლოდ რქმეოდა) ალექსანდრე მაკედონელის საძშობლოს „მაკედონიის სამეფო", თუ დამოუკიდებლობის ნომინალური საბურველიც ჩამოსცლოდა და ისეთივე ამპარად მონადექცეულ ტერიტორიად შესულიყო რომის პროვინციალური მმართველობის სისტემაში, როგორც, ვთქვათ, სიცილია, ან სარდინია? ალბეთარად, ალბერად „აღმოსავლეთის საკითხი" საესებით ახლებურად ისმებოდა რომის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომაც პიდნას ბრძოლის თარიღი რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში შემობრუნების პუნქტად ითვლება. აქამდე რომის მმართველი სოციალური ფენები, ოლიგარქიული ნობილიტეტი და ფინანსისტ-ძხედართა წოდება, თანხმდებოდნენ ფლამინინუსისა და სციპიონების პოლიტიკურ კურსს დამარცხებული აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ისინი „გამათავისუფლებლის" დროშით ბიდიოდნენ აღმოსავლეთში საომრად; „ელევთერიის" დროშით იპყრობდ-

ნენ აღმოსავლეთს; რომაული დიპლომატიის ცნობილი ფორმულით — socius et amicus populi Romani — შეჰყავდათ დამარცხებული ქვეყანა რომის პოლიტიკური და ეკონომიური მბრძანებლობის სისტემაში. ხოლო პიდნას ბრძოლის შემდეგ, რომის ხელისუფლება აღმოსავლეთის მიმართ რადიკალური პოლიტიკით იწყებს გამოსვლას.

რომიდან ბალკანეთზე გაიგზავნა დეცემვირთა კომისია, რომელმაც პავლესთან ერთად შეიმუშავა მაკედონიის ახალი სტატუსი: მაკედონიას ფაქტიური დამოუკიდებლობა წაართვეს, მაგრამ პროვინციად არ გამოაცხადეს. მეფობა გააუქმეს და ქვეყანა ოთხ, საკუთრებით განცალკევებულ და კარდარაზულ ოლქად გაჰყვეს; მათ ოთხი რესპუბლიკა უწოდეს; პელაგონიის, ამფიპოლისის, თესალონიკის და პელას რესპუბლიკები. ეს ოლქები თავისი პოლიტიკური სტრუქტურით ჰგავდნენ აქეისა და ეტოლიის კავშირებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მაკედონიის ალად დანაწევრებულ ოლქთა შორის აკრძალული იყო ყოველგვარი კავშირი, არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური ან საკანონმდებლო კავშირი, არამედ ქორწინებითი უფლებაც (ius connubii) კი. მაკედონელებს აეკრძალათ ოქროსა და ვერცხლის მოპოვების დამუშავება, აეკრძალათ გაცვლა-გამოცვლითი ვაჭრობა, მარილის შეტანა და საგემთმშენებლო ხე-ტყის გატანა. მაკედონიის ყველა ციხე-სიმაგრე საძირკვლამდე დაანგრიეს და იავარქყვეს; მთელი შეიარაღება წაართვეს (აქედან სპილენძის და ოქროს ფარები რომში წაიღეს, ხოლო დანარჩენი საბურველი დაწვეს); ქვეყანა მიწათმფლობელობის გადასახადით დაბარეკეს. — ყოველწლიურად რომის ხაზინა მაკედონიიდან მიიღებდა 100 ტალანტს.

რომაელმა სარდალმა საძარცვავი ობიექტები ცალ-ცალკე მისცა ქვეით და ცხენოსან ჯარებს. პიდნაც კი, რომელიც თავის ნებით დანებდა, ეროვრებს გადაეცათ საძარცვავად. შემდეგ პავლეს ბრძანა აეოხრებინათ სინტიკა. იმავე დროს, გნ. ოქტავიუსისაგან აღებული და გაძარცვული იქნა მელიბე. რომაელები არც პერსეოსის მიერ გაძარცვულ პელადან წასულან ხელცარიელი — 500 ტალანტი წაიღეს იქედან. [illegible] პავლემ გაიტანა საუფო ბიბლიოთეკა და ბუთგირვანქიანი ვერცხლის თასი. შემდეგ, რომაელმა სარდალმა, მაკედონელებს საბურველით გაჩაღებულ კოცონის შუქზე, თავი მოუყარა აურაცხელ საალაფეს: „აქ იყო ქანდაკებანი, სურათები, ქანდაკებანი, ბურჯები, გაკეთებული დიდი გულმოდგინეობით საკუთარ [illegible] ახალისათვის. [illegible] ოქროთი, ვერცხლითა და სპილოს ძვლით [illegible] ალაფერი [illegible] დაეკვირთეს გემებზე [illegible] ასეთი რომში წაიღეს [illegible] ანა გნ. ოქტავიუსს"[1].

---

[1] Liv. XLV, 33.

მას შემდეგ, რაც „მაკედონიას ძარღვები და ნერვები გადაუჭრეს"[1], „გამათავისუფლებლები" მიადგნენ მათი „მფარველობის" ქვეშ მყოფ ბერძნულ ოლქებს, უპირველეს ყოვლისა, მთელს საბერძნეთში მათ ვაჩაღეს სასამართლო პროცესები. ყველას, ვინც კი ოდნავ ეჭვმიტანილი აღმოჩნდებოდა პერსეოსის დახმარებაში ან თანაგრძნობაში, სიკვდილით სჯიდნენ, ან უკეთეს შემთხვევაში, სამშობლოდან აძევებდნენ. რეპრესიის მსხვერპლი ხდებოდნენ არა მარტო ცალკე პირები, არამედ მთელი ქალაქები და ოლქები. აკარნანიას სულ წაართვეს ქალაქი ლევკადა; კუნძულ ლესბოსზე ქალაქი ანტისა საძირკვლამდე დააქციეს და მისი მოსახლეობა მიტილენაში გადაასახლეს. ეტოლიას ჩამოართვეს ტერიტორიები, სადაც დასახლებული იყვნენ ლოკრები, ამფილოხები და ელიანები. იგივე ეტოლიაში რომაელთა ხელით დაიღუპა 550 ეტოლარქი. რომაელები უნდო თვალით უყურებდნენ აქეის კავშირსაც. მათი ბრძანებით, სხვა მრავალ საეპვო ბერძენთან ერთად, 1 000 რჩეული აქეელი იქნა გადასახლებული იტალიაში (მათ შორის იყო პოლიბიოსი). იტალიაში მიმოფანტული ბერძნები უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ და გაქცევის ცდის შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდნენ. ბოლოს, რომაელებმა საოცარი სიმკაცრით გაანადგურეს ეპირი. ამ ერთ მაგალითში მთელი სისრულით ჩანს ტიპური რომაელი დამპყრობელის ყოველი კონტური: ცბიერება, მძარცველობა, შეუბრალებლობა, მიზანთროპულობა, ციინიზმი. ჯერ, სარდლის ბრძანებით „ცალკეულ ქალაქებში გაგზავნილ იქნენ ცენტურიონები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მოვიდნენ, ვითომ გარნიზონების გასაყვანად, რამეთუ ეპირელები იქნან ისეთივე თავისუფალნი, როგორც მაკედონელები (!): შემდეგ გამოიძახა ყველა ქალაქიდან ათი მამასახლისი და გამოუცხადა მათ, რომ მოეგროვებინათ ყოველგვარი ოქრო და ვერცხლი, როგორც (რომაელი ხალხის) საზოგადოებრივი მონაპოვარი; გაგზავნა ყველა ქალაქში კოჰორტები. ისინი შორეული ქალაქებისკენ უფრო ადრე გაეშურნენ, ვიდრე ახლომდებარე ქალაქებში, რადგან ყველგან ერთ დღეს უნდა შეეკრილიყვნენ. ტრიბუნებსა და ცენტურიონებს გამოეცხადათ, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ. ადრე შეგროვდა მთლიანად ოქრო და ვერცხლი; ნაშუადღევს მეომრებს მიეცათ ნიშანი ქალაქების გაძარცვისათვის, ნადავლი იყო იმდენი, რომ ყოველ ქვეით მეომარს ერგო 200 დენარიუსი, ხოლო მხედარს — 400 დენარიუსი; მონებად წაიყვანეს 150.000 კაცი. შემდეგ დანგრეულ იქნა კედლები გაძარცვული ქალაქებისა, რომელთა რიცხვი აღწევდა სამოცდაათამდე[2].

---

[1] Моммзен Т. История Рима, т. I. М., 1936, 729.

[2] Liv. XLV, 34; Plut. Aem. Paul. 29, სტრაბონი იმასაც კი ამბობს, რომ რომაელებმა გაძარცვეს და დაანგრიეს 150 ქალაქი (Str. VII, 7, 35).

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აქ ჩამოთვლილი სიმდიდრე არ შედიოდა სარდლის სატრიუმფო ნადავლში. ხოლო ლუციუს ემილიუს პავლეს ტრიუმფი, როგორც დასკვნა და ფინალი ახალი აღმოსავლური ძარცვა-გლეჯისა და ძებევა-ტყვევნისა, ასეთი იყო:

„პავლე პერსეოსზე და მაკედონელებზე გამარჯვებას ზეიმობდა სამი დღის განმავლობაში... ეს ტრიუმფი, — რომელიც ყურადღებას იპყრობდა დამარცხებული მეფის სიდიადით, სხვადასხვანაირი გამოხატულებებით, თუ ფულის სიმრავლით, — იყო უაღრესად ბრწყინვალე და შორს იტოვებდა მანამდე გამართულ ტრიუმფებს. თეთრ ტოგებში გამოწყობილი ხალხი საცქერლად გამოსულიყო ტრიუმფზე და ქალაქის სხვა ადგილებზე, იმ ადგილებში, სადაც უნდა გაეელო საზეიმო პროცესიას, ხალხისათვის ამფითეატრის სახით მოწყობილი იყო სკამები. გაღებული იყო ყველა ტაძარი, შემკულნი ყვავილთა გვირგვინებით და ავსებულნი საკმეველით... როგორც ვთქვით, სამ დღეზე იყო განაწილებული ეს საზეიმო სანახაობა: პირველი დღე ძღივს ეყო მტერთაგან წართმეული ქანდაკებებისა და სურათების გასატარებლად; ესესი ავსებდნენ 250 საზიდარს. მეორე დღეს მოჰქონდათ მრავალრიცხოვან საბარგულზე დაწყობილი ყველაფერი საუკეთესო, როგორც სილამაზით, ასევე მდიდრული ნაკეთობით, მაკედონური საჭურველი, რომელიც, ცოტა ხნის წინ გაფერილი ბრწყინავდა რკინისა და სპილენძის ბრწყინვალებით... მახვილები ელაგა ფარებთან, თორნი საბარკულებთან, კრეტული პელტები, თრაკიული ცეტრები და კაპარჭები, არეულნი ცხენის მოკაზმულობასთან, გაშიშვლებული მახვილები — აქა-იქ მიყრილ-მოყრილი, და გრძელი შუბები — გვერდებიდან გრძლად გამოზიდულნი... შემდეგ 3 000 კაცს მოჰქონდა 750 ჭურჭელი გავსებული დაბეჭდილი ვერცხლით; თითოეულში სამი ტალანტი იყო და ოთხ კაცს მოჰქონდა. სხვებს მოჰქონდათ ვერცხლის სხვადასხვანაირი თასები, რომლებიც გაწყობილნი იყვნენ ოსტატურად და ყურადღებას იქცევდნენ, როგორც სიდიდით, ასევე სიმძიმით, დახვეწილი დამუშავებით და ნაკვეთი მოხატულობით. მესამე დღეს, აღრე დილიდანვე, დაიძრა ჯარი, რომელსაც წინ მოუძღოდნენ მესაყვირენი არაჩვეულებრივი საზეიმო და საოქარი სიმღერების დაკვრით. შემდეგ მოჰყავდათ 120 მსუქანი ხარი, მოოქროვილი რქებით, ბაფთებითა და გვირგვინებით შემკულნი; ისინი მოჰყავდათ ყმაწვილებს, შესანიშნავი ნაქარგი ქამრებით წელშეკრულთ. მათ მოაცილებდნენ ბიჭები, რომელთაც მოჰქონდათ ვერცხლისა და ოქროს პატერები (სამსხვერპლო ჭურჭლები). შემდეგ მოჰყვებოდნენ ისინი, რომელთაც მოჰქონდათ დაბეჭდილი ოქრო 707 ჭურჭელში, ყოველ მათგანში — სამი ტალანტი. შემდეგ გამოჩნდა საღვთო თასი, წონით ათი ტალანტი, შემკობილი ძვირფასი ქვებით...

და სხვა ოქროს ნივთები, რომლებითაც მორთული ყოფილა პერსეოსის საცხოვრებელი. მოდიოდა პერსეოსის ეტლი, დატვირთული მისი საჭურველით და დიადემებით. მას მოჰყვებოდა ბრბო ტყვეებისა: ბიტისი, ძეფე კოტისის ძე, მამისაგან მაკედონიაში მძევლად გაგზავნილი და შემდეგ პერსეოსის შვილებთან ერთად რომაელთაგან დატყვევებული: შემდეგ, თვითონ პერსეოსის შვილები, აღმზრდელთა და მასწავლებელთა ბრბოს თანხლებით... შვილებს კვალდაკვალ მოჰყვებოდა პერსეოსი ცოლით... მას მოჰყვებოდა მეგობართა და ახლობელთა ბრბო... შემდეგ მოჰქონდათ 400 ოქროს გვირგვინი, პავლესადმი გამოგზავნილნი საბერძნეთისა და აზიის ქალაქებისაგან...“[1]

ტრიუმფზე გამოტარებული, მარტო მონეტად მოტანილი ოქრო-ვერცხლი წყაროების მიხედვით შეფასებულია სულ მცირე 200.000.000 სესტერციუმად. ამ ფულით რომს საშუალება მიეცა 168 წლიდან 43 წლამდე (ჰირციუსისა და პანსას კონსულობამდე), ე. ი. 125 წლის მანძილზე, მოქალაქენი გაეთავისუფლებინა პირდაპირი გადასახადისაგან (tributum).

მაგრამ ეს მარტო ფულადი ნაძარცვი იყო. ახლა, ბერძნულ-აღმოსავლური კულტურის უძვირფასესი ძეგლები, ქანდაკებანი, სამკაულები, საოჯახო ნივთები, საომარი საჭურველი, წიგნთსაცავები და სხვ., რასაც წყაროები საერთოდ ანგარიშში არ აგდებენ! კიდევ რამდენი რამ, რაც მეომრებმა დაინაწილეს, „ოფიციალურად“ მიიღეს, ან თავის ნებით დაიტაცეს!

ბოლოს, ყველაფერ ამას ემატება კვლავ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი ნაძარცვი: ილირიის განადგურებისა და გაძარცვის შემდეგ რომში დაბრუნდა პრეტორი ლუციუს ანიციუსი, რომელმაც დატყვევებული ილირიელი მეფის, გენციუსისა და მისი ოჯახის გარდა, ტრიუმფში გამოატარა მრავალი სამხედრო ნიშანი, სხვადასხვანაირი ნადავლი და სამეფო ქონება: ოქრო 27 გირვანქა, ვერცხლი 19 გირვანქა, 30.000 დენარიუსი და 120.000 ილირიული ვერცხლი (მონეტა)... მეთაურმა ნადავლიდან ყოველ მეომარს მისცა 45 დენარიუსი, ცენტურიონს ორმაგად, მხედარს სამმაგად, ხოლო ლათინური წარმოშობის მოკავშირეებს იმდენი, რამდენიც მოქალაქეებს, ხოლო მეზღვაურებს მისცა მეომართა თანასწორად...

---

[1] Liv, XLV, 39; Plut. Aem. Paul. 32—34.

თავი მეექვსე

რომის პროვინციალური სისტემის დასაწყისი აღმოსავლეთში

1. მაკედონიის სრული დამორჩილება

მაკედონია აღმოსავლეთში პირველი ქვეყანა იყო, რომელსაც რომმა სავსებით წაართვა დამოუკიდებლობა. იგი ჯერ კიდევ არ იყო პროვინცია, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიური დამონების თვალსაზრისით მისი მდგომარეობა თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა პროვინციული მმართველობის უღლის სიმძიმისაგან.

როგორც ითქვა, რომაელებმა მაკედონია ოთხ ნაწილად გაყვეს, ისე რომ მათ შორის აკრძალული იყო არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, არამედ მოყვრულ-ნათესაური კავშირიც კი.

რომაული გზით მოვლენილი პოლიტიკური უუფლებობისა და ეკონომიური სიდუხჭირის პირობებში მწიფდებოდა ნიადაგი ანტირომაული მოძრაობის დაწყებისათვის მაკედონიაში. ამას ზედ ერთვოდა შინაგანი სოციალური წინააღმდეგობანი მაკედონურ ზედა ფენასა და სახალხო მასებს შორის. რომაელების მიერ გათიშული ერთეულების სათავეში მდგარი მაკედონური არისტოკრატია რომაული პოლიტიკის დაცვას ცდილობდა; ეს კი დაბალ ფენათა საბრძოლო განწყობილებას კიდევ უფრო ზრდიდა. ასე რომ, მაკედონური მოსახლეობის საბრძოლო ინტერესები ერთდროულად ორ ძალას უპირისპირდებოდა: უცხო-რომაულს და მაკედონურ-არისტოკრატულს.

ანტი-რომაული მოძრაობის გაჩაღებას ბალკანეთის ჩრდილოეთ ნაწილში ხელს უწყობდა, აგრეთვე, თრაკიელი ტომების მტრული განწყობილება რომის წინააღმდეგ.

პიდნას ბრძოლიდან ოცი წლის შემდეგ რომაულ ლეგიონებს კვლავ მოუხდათ აღმოსავლეთში სალაშქროდ წასვლა. მაკედონიაში იფეთქა აჯანყებამ, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა ანდრისკეს, ანუ ფსევდოფილიპეს აჯანყების სახელწოდებით (149—148).

აზიელმა მდაბიო სელოსანმა ანდრისკემ თავი გამოაცხადა მაკედონიის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ. ე. ი. მანაც დაიწყო ისე, როგორც ყოველთვის იქცეოდნენ მდაბიოთა და მონათა აჯანყებების ბელადები, ღიდ სპარტაკამდე. ისინი რომაულ-ბატონობლური უღ-

ლის გადასაგდებად აჯანყებას სათავეში უდგებიან „ცარისტული“ ეროშით. ანდრისკე ითვისებს პერსეოსის გარდაცვლილი შვილის ფილიპეს სახელს და რომაული უღლის ქვეშ წელგაწყვეტილ მაკედონიას ჰპირდება „მშობლიური“ სამეფო ტახტის აღდგენას.

ანდრისკეს, ჯერ სურს სირიის მეფე დემეტრიოს სოტერი დაითანხმოს, — სცნოს მაკედონიის ტახტზე მისი კანონიერი მემკვიდრეობა. ეს რასაკვირველია, დემეტრიოსის მხრივ დიდ გაბედულებას მოითხოვდა. მაკედონიის ტახტის აღდგენის მხარის დაჭერა რომთან ომის დაწყებას ნიშნავდა, ხოლო სირიის მეფეს საამისოდ არც სურვილი ჰქონდა და არც შესაძლებლობა. ისედაც სელევკიდებს არასდროს არ სურდათ მაკედონიის გაძლიერება და ამ მხრივ არც დემეტრიოსი იყო გამონაკლისი. ამიტომ მან სენატის სიამოვნებისათვის ანდრისკე შეიპყრო და რომაელებს გადასცა. მალე ანდრისკე იტალიის ტყვეობას გამოექცა და ისევ აზიაში, მილეტს შეაფარა თავი. აქ ის ისევ შეიპყრეს და რომს გადასცეს. რომაელებმა ის, თავის მხრივ, გაათავისუფლეს, რაკი მასში რაიმე სერიოზულ საფრთხეს ვერ ჰხედავდნენ.

ფსევდო-ფილიპეს გამოჩენა და მოწოდება რომის წინააღმდეგ საომრად, საკმარისი საბაბი შეიქნა ძლიერი ანტი-რომაული აჯანყების დაწყებისა ჩრდილოეთ ბალკანეთზე. ანდრისკე მიზნად ისახავდა, რომთან ბრძოლაში ჩაეთრია არამარტო მაკედონია, არამედ საბერძნეთი, თრაკია, ბიზანტიონი და პონტოს სანაპირო ბერძნული ქალაქები. იგი მოხერხებულად იყენებდა თვით მაკედონელთა შორის არსებულ სოციალურ წინააღმდეგობებს; გამოდიოდა მდიდართა წინააღმდეგ, ავიწროებდა და ხშირ შემთხვევაში სიკვდილითაც სჯიდა მათ. ამის გამო, ანდრისკეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, უღარიბესი ფენები, უჭერდნენ მხარს.

მაკედონელ მდაბიოთა გარდა, ანდრისკეს საომარ ძალებში დიდი წილი ედოთ თრაკიელ ტომებს. თვითმარქვია თვითონ ჩავიდა თრაკიაში, სადაც მას დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. აქვე მას ჩაბარეს არმიის მთავარსარდლობა და თავზე დაადგეს მაკედონიის ტახტის მემკვიდრის სამეფო დიადემა.

149 წლის გაზაფხულზე ანდრისკე თრაკიელთა მხარდაჭერით მივიდა მაკედონიის სასაზღვრო ხაზს მდინარე სტრიმონთან. აქ მან ორჯერ დაამარცხა პრორომაული პოლიტიკის დამცველთა ძალები და შეავიდა მაკედონიაში. მალე მის ხელში აღმოჩნდა მთელი მაკედონია.

მაკედონიიდან ანდრისკე დაიძრა საბერძნეთისაკენ, სადაც ამ დროს უკვე იწყებოდა ბერძნული მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობა რომაელთა წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ეტყობა, ანდრისკემ ვერ დაამყარა კავშირი მაშინდელი საბერძნეთის ყველაზე აქტიურ

ძალასთან, — აქეის კავშირთან. პირიქით, ბერძნული ოლქების ნაწილი, განსაკუთრებით ჩრდილოეთი რაიონები, — რომელთაც ჯერ კიდევ არ დავიწყნოდათ მაკედონური უღლის სიმძიმე, — მტრულად შეხვდნენ მაკედონური ტახტის უზურპატორს. მაგალითად, თესალია იმასაც კი შეეცადა, რომ აქეელებიც ჩაეთრიათ ფსევდო-ფილიპეს წინააღმდეგ ომში.

აჯანყებულ მაკედონელთა წინააღმდეგ პირველი გამოვიდა ბალკანეთში მყოფი პრეტორი, პაულუს სციპიონ ნაზიკა. მის ხელთ იყო აქეელთა და აზიიდან სპეციალურად ჩამოყვანილ პერგამოსელთა ლაშქარი. ნაზიკა შეტევაზე გადასვლას ერიდებოდა და ცდილობდა რომიდან ძირითად ძალთა გადმოსვლამდე შეეჩერებინა აჯანყებულთა შემდგომი წინსვლა სამხრეთისაკენ.

რომის სელისუფლებამ ბალკანეთზე ერთი ლეგიონით გაგზავნა პრეტორი პუბლიუს იუვენციუს ფლაკუსი.

მაკედონიისა და თესალიის საზღვართან გაიმართა ბრძოლა, რომელშიც რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. რომაული ლეგიონიდან ცოცხალი თითქმის არავინ გადარჩენილა. თვითონ ფლაკუსმა გაქცევით უშველა თავს.

ანდრისკემ ამ გამარჯვების შედეგად ხელთ იგდო მთელი თესალია და უშუალოდ მიადგა შუა საბერძნეთის საზღვრებს. მალე გავარდა სმა, რომ მაკედონელთა ახალმა მეუფემ ურთიერთობა გააბა კართაგენთან, რომელსაც ამ დროს ომი ჰქონდა რომთან (მესამე პუნიკური ომი).

ახალ საომარ სამზადისთან ერთად, ანდრისკეს ბრძანებით გაუქმებული იქნა ყოველგვარი „რომაული წესრიგი". პირველ რიგში გაუქმდა მაკედონიის დანაწევრება, და იგი კვლავ ერთიან სახელმწიფოდ გამოცხადდა. ამაზე მეტყველებს ამ დროს გამოშვებული ერთიანი მაკედონური ფულადი ერთეული, ვერცხლის ტეტრადრაქმა ანდრისკეს სამეფო სახელის წარწერით.

რომი შეაშფოთა რომაული ლაშქრის განადგურებამ და მაკედონიაში ერთბაშად გართულებულმა მდგომარეობამ. მიუხედავად იმისა, რომ რომაელებს მესამე პუნიკური ომი და ესპანელთა აჯანყება ხელს ძალიან უშლიდათ, მაინც შესძლეს ბალკანეთზე ახალი ძლიერი არმიის გადასროლა. ამ ახალ აღმოსავლურ ლაშქრობას სათავეში ჩაუყენეს ენერგიული ქვინტუს ცეცილიუს მეტელუსი.

ცეცილიუსმა შეიერთა პერგამოსელთა ფლოტიც და ხმელეთიდან და ზღვიდან ერთდროულად მიადგა მაკედონიას. პირველი შეტაკება, რომელიც პიდნასთან მოხდა, მოწინააღმდეგეთა საკავალერიო ნაწილებს შორის, კვლავ რომაელთა მარცხით დამთავრდა.

გამარჯვებებით გათამამებულმა ანდრისკემ არმია ორ ნაწილად გა-

ჰყო; ერთი ნაწილი მაკედონიის დასაცავად განალაგა, მეორეთი თესალიისაკენ დაიძრა. ეს უკვე შეცდომა იყო. ცეცილიუსს შეეძლო ესარგებლა მოწინააღმდეგის ძალთა დაქსაქსვით. ამას დაერთო გახსეთქილება მაკედონელთა სარდლობაში. რომაელმა სარდალმა მოახერხა მოესყიდა მაკედონური კავალერიის უფროსი ტესტი, რომელიც მთელი მხედრობით რომაელთა ბანაკში გადავიდა. ამის შემდეგ გენერალური ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო. ანდრისკე დამარცხდა. მისი 25.000-ანი არმია განადგურდა და გაიფანტა.

თვითმარქვიამ თრაკიაში კიდევ ორჯერ შეკრიბა ჯარები, მაგრამ ორჯერვე გაანადგურა იგი ცეცილიუსმა. ბოლოს, თრაკიელმა მეფემ ბიზიოსმა უღალატა მას — შეიპყრო და გადასცა რომაელ სარდალს.

მაკედონელთა და თრაკიელთა აჯანყება ლიკვიდირებულ იქნა. მისი ბელადი, როგორც ძვირფასი ტყვე, ბორკილდადებული გაივლიდა რომის ქუჩებს ძლევამოსილი ცეცილიუს მეტელუსის ტრიუმფში.

ცეცილიუსმა რომიდან მიიღო ბრძანება, რომლის საფუძველზეც მას ხელახლად დაპყრობილი მაკედონია უნდა გამოეცხადებინა პროვინციად. სენატის ბრძანება შესრულებული იქნა (148 წ.). გამოცხადდა „პროვინცია მაკედონია", რომელშიც ტერიტორიულად შევიდა თვით მაკედონია, ეპირი, სამხრეთ ილირია და ქალაქები — აპოლონია და ეპიდამნი.

ასე გაჩნდა პირველი აღმოსავლური პროვინცია რომის იმპერიაში. რომის ხელისუფლებამ უკანასკნელი ნაბიჯი გადადგა დაპყრობილ ქვეყნებთან „ლიბერალური" დამოკიდებულების მოსპობაში. აქამდე რომაული „ლიბერალიზმი" განსაკუთრებით აღმოსავლური ქვეყნების მიმართ ხორციელდებოდა. მთელი 150-წლიანი რომაულ-აღმოსავლური სისხლიანი ურთიერთობის ისტორია პოლიტიკურ წაჯექ-უკუჯექობანას თამაშს ჰგავდა. მისი შინაარსი იყო აღმოსავლეთის მორჩილებაში მოყვანა „მოკავშირე-მეგობრული", „პატრონ-კლიენტური", „მფარველ-პროტექტორული" დიპლომატიური ფორმულების ქვეშ.

ამ პოლიტიკის შეცვლის პირველი ტენდენცია რომმა აჩვენა პიდნას ბრძოლის მეორე დღეს, ხოლო ახლა, პიდნას ბრძოლიდან ორი ათეული წლის შემდეგ, რომმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ ამიერიდან იგი საბოლოოდ იღებს ხელს დაპყრობილ ქვეყანათა მიმართ ლიბერალურ დამოკიდებულებაზე. ამიერიდან რომისათვის ყოველი დაპყრობილი ქვეყანა არის მხოლოდ და მხოლოდ დაპყრობილი ქვეყანა! მისი სახელწოდებაა „provincia"; მისი შინაარსია დაპყრობა ყოველმხრივი: პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, სულიერი.

რომის აქტიური საგარეო პოლიტიკის ახალი ეტაპის ყველაზე კატეგორიული, ლაკონიური და ყოვლისმომცველად გამომხატველი ფორმულა იყო მარკუს პორციუს კატონის სახელოვანი სიტყვა: „ceterum censeo, Carthaginem esse delendam!“ („სხვა, მე ვფიქრობ, კართაგენი უნდა დაინგრეს!“). ეს მოწოდება მარტო კართაგენს რიდი ესხმოდა თავს. მან მთელს მაშინდელ მსოფლიოს დასცა თავზარი, — განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც „esse delendam“ პირველად აფრიკაში კი არა, აღმოსავლეთში განხორციელდა. მისი პირველი მსხვერპლი შეიქნა დიდი აღმოსავლური სახელმწიფო — მაკედონია. აქამდე პროვინციალურ დაპყრობათა მსხვერპლნი ხდებოდნენ მცირე ან მუდამ პოლიტიკურ და ეკონომიურ მთლიანობას მოკლებული ქვეყნები (სიცილია, სარდინია, კორსიკა, ესპანეთი). ხოლო ახლა, მაკედონიის მაგალითზე, პირველი შემთხვევა იყო, როცა რომაელებმა „პროვინციად“ აქციეს მუდამ ძლიერი, დიდი პოლიტიკური და ბორალური წონადობის მქონე სახელმწიფო მთელს მსოფლიოში. ეს იმას ნიშნავდა, რომ უაღრესად აგრესიული პრინციპის — esse delendam — წინაშე ყველა ერთნაირ carcer-ში მოხვდებოდა: დიდიც და მცირეც, ძლიერიც და სუსტიც.

ამიერიდან რომაელებს აშკარად აღარ სურთ, რომის გარდა „კიდევ სადმე არსებობდეს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება“[1].

რომ ეს ასე იყო, იმავე წლებში დადასტურდა კიდეც ორი დიდი სახელმწიფოს საბოლოო განადგურებით და „პროვინციად“ გამოცხადებით — ერთი კვლავ აღმოსავლეთში (საბერძნეთში) და მეორეც — აფრიკაში (კართაგენი)...

2. საბერძნეთის სრული დამორჩილება

სად არის შენი წინანდელი მშვენიერება,
კორინთოვ, ერთდროს დორიელთა დიდო ქალაქო.
რამ დაგილეწა ქონგურები მაღალ კოშკების,
რამ აგიოხრა ტაძრები და სრა-სასახლენი.
სად გაქრნენ შენი ვაჟკაცები და ასულები —
ნეტარ ღმერთების და სისიფეს შთამომავალნი,
სვე-უბედურო, როგორ გაქრი ასე უკვალოდ.
ომმა შემუსრა და ჩაყლაპა შენი დიდება;
მხოლოდ უკვდავნი ზღვის ასულნი, ნერეიდები,
როგორც ტალღებზე მონავარდე ალკიონები,
ნწარედ დავსტირით შენს მზე-ჩამქრალ დიდებულ
წარსულს.

ანტიპატრე სიდონელი.

რომს მაკედონიასთან ანგარიში ჯერ კიდევ სავსებით არ გაესწორებია, რომ დაიწყო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბერძნეთში.

[1] Cic. De lege agr., lib. II, XXXII, 87.

რომისადმი შეურიგებლობისა და მძულვარების პირველი სიმპტომი, რაც ბერძნებმა იმდროინდელი კრიზისის დროს აჩვენეს, მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი რომის ნამდვილ მოკავშირეებს მტრული თვალით უცქერდნენ, ხოლო მოწინააღმდეგეებს მეგობრულად ექცეოდნენ.

რომმაც გადაწყვიტა, საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში საბერძნეთისათვის, რომლის ‚უპირატესობის (როგორც საბერძნეთის!) გაქარწყლებას ის ყოველთვის ცდილობდა დანარჩენ „მოკავშირეთა“ შორის[1].

„ბერძნული ომის“ დაწყების საბაბი დაკავშირებულია აქეის კავშირისა და სპარტის კონფლიქტთან. 149 წელს აქეის ლიგის კრებაზე არქონტმა დიეოსმა აღძრა საკითხი სპარტისადმი რომაელთაგან მინიჭებული განსაკუთრებული „პრივილეგიების“ შეკვეცის შესახებ. კრებამ მხარი დაუჭირა დიეოსს და გადაწყვიტა რამდენიმე სპარტელის მძევლად აყვანა. სპარტამ სასწრაფოდ აფრინა ელჩები რომში. რომმაც აღუთქვა, რომ კომისიას გაგზავნიდა საბერძნეთში. მაგრამ რომაული კომისიის ჩამოსვლამდე აქეელები, დამოკრიტეს სარდლობით, შეიჭრნენ ლაკონიაში (148 წ.) და იქვე გამართულ ბრძოლაში ათასამდე სპარტელი სიცოცხლეს გამოასალმეს. აქეელებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ დროს მაკედონიაში მყოფი ცეციილიუს მეტელუსის გაფრთხილებას და ახლა დიეოსის სტრატეგოსობით ანახლებენ სპარტაზე იერიშებს.

ბოლოს, როგორც იქნა, პელოპონესში ჩამოვიდა რომაული კომისია ავრელიუს ორესტეს მეთაურობით. მან კორინთოში მოიწვია აქეელთა ყრილობა, სადაც გამოაცხადა რომის სენატის ბრძანება: გადმოყოფილი იქნეს აქეის კავშირიდან სპარტა, კორინთო, ორქომენი, არგოსი, პლევრონი და ეტოსი; მაშასადამე, აქეის კავშირს უნდა ჩამოერთვას ყველა ქალაქი და ოლქი, რაც მან რომაელთაგან მიიღო მეორე მაკედონური ომის შედეგად და დაკმაყოფილდეს იმ ტერიტორიით, რაც მას ჰქონდა მეორე პუნიკური ომის ბოლოსათვის.

სენატის ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი მღელვარება გამოიწვია აქეელთა შორის. იქვე მოითხოვეს ყველა სპარტელის დაპატიმრება. შეუდგნენ კიდეც ამ მოთხოვნის სისრულეში მოყვანას. იპერდნენ ყველა სპარტელს და სპარტელზე მიმსგავსებულთაც კი. ხალხი არ მოერიდა რომაელ ელჩებსაც — ლანძღავდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მათ. რომში დაბრუნებულმა კომისიამ ყველაფერი შეატყობინა სენატს, უფრო გადაჭარბებულ, მუქ ფერებში.

რომიდან ახალი კომისია გაგზავნეს სექსტუს იულიუს კეისარის მეთაურობით (147 წ.). ეგონში მოწვეულ აქეელ დეპუტატთა შეკრე-

[1] Frank T., Roman imperialism, 1914, 190.

ბაზე კეისარმა კვლავ ამცნო სენატის ურყევი გადაწყვეტილება. აქეელთა წარმომადგენლებმა, რომელთაც კრიტოლაოსი ხელმძღვანელობდა, მოითხოვეს საკითხის გადატანა საგანგებო ყრილობაზე. რომაელები დათანხმდნენ. ყრილობა დაინიშნა ტეგეაში. მაგრამ აქეელთაგან გამოცხადდა მარტო კრიტოლაოსი, რომელმაც რომაელებს ამცნო: ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია აქეის კავშირს მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ; მანამ კი რომაულ კომისიას ნება აქვს დაბრუნდეს რომში.

როგორც კი კეისარი და მისი მხლებლები ადრიატიკის ზღვაში შევიდნენ, აქეელები საომარ სამზადისს შეუდგნენ. კრიტოლაოსი ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ვალების გაუქმებას, რათა ხალხს ამით ომში გასვლის მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა. ამის შედეგად კრიტოლაოსმა დაბალი ფენების სიყვარული და მხარდაჭერა ჰპოვა, ხოლო აქეელი არისტოკრატია მტრად გადაიკიდა. ბუნებრივია, ეს სოციალური დაპირისპირება თავისებურ დაღს დაასვამდა მოვლენათა მომავალ მსვლელობას.

ბოლოს, აქეის სახელდახელოდ შეკრებილმა ყრილობამ ომი გამოუცხადა სპარტას. ცეცილიუს მეტელუსმა კიდევ გაგზავნა ელჩები კორინთოში, სადაც შეკრებილიყვნენ აქეელები.

იმდღევანდელი კრების პროცესი ნათელი სურათი იყო მაშინდელი სოციალური დაპირისპირებისა რომთან ურთიერთობის საკითხში. როცა კრიტოლაოსი გამოვიდა და განაცხადა, რომ საბერძნეთს რომისაგან კავშირი სჭირდება და არა მბრძანებლობაო — ხალხი ამას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, ხოლო ოლიგარქია მზად იყო იქვე ფიზიკურად გაენადგურება „დემაგოგი". მაგრამ ხალხი გარს შემოერტყა თავის რჩეულს, რათა ვერავის გაებედნა, თუნდაც „მისი წამოსასხამისთვის თითი დაეკარებინა".

ცეცილიუსის ელჩები ამაოდ ცდილობდნენ აქეელთა „გონზე მოყვანას". ყრილობამ ბოლოს დაუჭირა კრიტოლაოსის მოწოდებას და გამოცხადდა ომი, რომელიც „სიტყვით მიმართული იყო ლაკედემონელთა წინააღმდეგ, ხოლო საქმით — რომაელთა წინააღმდეგ"[1].

სანამ რომი რაიმე გადამჭრელ ღონისძიებას მიიღებდა, აჯანყებულ აქეელებს შეუერთდნენ ბეოტიელები, თებელები და ქალკიდელები.

აჯანყებულებმა შეტევა დაიწყეს აქეის ლიგიდან გასული ქალაქების შემოერთებით. პირველად მიადგნენ ჰერაკლეას, მაგრამ მაკედონიიდან ჩამოსულმა მეტელუსმა თესალიიდან უკუაქცია და ლოკრიდაში კიდევაც დაამარცხა ისინი. ბრძოლაში დაიღუპა კრიტოლაოსი.

ამასობაში ბალკანეთზე ჩამოვიდა რომაული არმია კონსულ ლუციუს მუმიუსის სარდლობით (146 წ.). იგი მივიდა პელოპონესში, სა-

[1] Polyb, XXXVIII, 12.

დაც გადაინაცვლეს აჯანყებულებმა ცეცილიუსისაგან მიღებული მარცხის შემდეგ. დიეოსმა, რომელმაც შესცვალა კრიტოლაოსი, აჯანყებულთა არმიის გასაძლიერებლად, თავისუფლება მიანიჭა 12.000 ახალგაზრდა მონას. იგი ითვალისწინებდა მონის საეჭვო ერთგულებას მონათმფლობელისადმი. ამიტომ გაათავისუფლა მხოლოდ ისეთი მონები, რომლებიც მონებად იყვნენ დაბადებულნი (vernae) თვით საბერძნეთში. როგორც წესი, ასეთი მონები უფრო „თვინიერ და ერთგულ იარაღად" ითვლებოდნენ, ვიდრე დატყვევების გზით მონადქცეული მოქალაქენი. პოლიბიოსი გადმოგვცემს, რომ გათავისუფლებული მონები გათამამდნენ, ჭირვეულობდნენ, მუშაობას გაურბოდნენ და, რაც მთავარია, დანარჩენი მონებიც, „თავისუფლების მოლოდინში თავს მაღლა წევდნენ".

დიეოსის მოწოდებით, ყველა ბერძენს, კაცსა თუ ქალს, ვისაც რა შეეძლო ის შეჰქონდა საერთო საომარ ფონდში.

ერთი სიტყვით, იარაღასხმულმა საბერძნეთმა, საუკუნეების მანძილზე დამონებულმა და დაკნინებულმა, ურიცხვ ლაშქრობათა შედეგად სისხლდაცლილმა და გაპარტახებულმა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა თავისუფლების დასაბრუნებლად.

კორინთოს ყელზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა (146 წ.). რომაელ სარდალს ჰყავდა 23.000 ქვეითი და 3.500 მხედარი, ხოლო ბერძნები ძლივს მოითვლიდნენ 14.000 ქვეითსა და 600 მხედარს. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველი შეტაკებისთანავე ბერძნები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. დიეოსი გაიქცა თავის სამშობლო მეგალოპოლში; საკუთარ სახლშიც მიასწრო, ცოლი საკუთარიეე ხელით მოჰკლა და თვითონაც საწამლავით მოიკლა თავი.

მალე მუმიუსთან გაჩნდა სენატის კომისია, კვლავ დამარცხებული და მიწაზე გართხმული ქვეყნის ბედის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

ხანმოკლე ბჭობის შემდეგ გადაწყდა:

აქეის, ბეოტიის, ევბეის, ფოკეის და ლოკრიდის კავშირები გაუქმდა (გადარჩა მხოლოდ ეტოლიის კავშირი, რომელსაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია) და აჯანყებულ ქალაქებთან ერთად, მძიმედ დახარკულნი შეუერთდნენ მაკედონიის პროვინციას.

ასე, რომ საბერძნეთის სახელი პროვინციალური მმართველობის სისტემაში რომაელებს ცალკე, „დამოუკიდებლად", აღარც კი შეუტანიათ. ასე გაგრძელდა ავგუსტუსის ეპოქამდე, როცა რომმა „მოწყალება მოიღო" და საბერძნეთი „აქაიის" სახელით ცალკე პროვინციად აქცია. ასეთი სტატუსის გამოცხადების შემდეგ, რომაელებმა ხელი მიჰყვეს ჩვეულებრივ ძარცვა-რბევასა და ნგრევა-ტყვევნას. პირველ ყოვლისა, საძირკვლამდე დაანგრიეს და მოშალეს აჯანყების ბაყრდენი ციხე-ქალაქები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი: თებე, ქალკიდა და კორინთო. თებესა და კორინთოს კედლებისა და ზღუდე-

ების დანგრევის შემდეგ მოსახლეობა განაიარაღეს და გაძარცვეს. ამდენი ძარცვის შემდეგ თუ კიდევ რაიმეს გატანა შეიძლებოდა საბერძნეთიდან, — ეს იყო უბრწყინვალესი ელინური სახვითი ხელოვნების ძეგლები, რაც კვლავ უხვად გაიტანეს დამპყრობლებმა დამონებული ქვეყნიდან. რომაელები არნახული და არგაგონილი სისასტიკით მოექცნენ კორინთოს. იგი ჯერ ძალებამდე გააშიშვლეს, შემდეგ ისე დაანგრიეს და იავარჰყვეს, რომ ქვა ქვაზე არ დატოვეს: მოსახლეობა დედაბუდიანად აჰყარეს და მონებად გაყიდეს; ბოლოს, კორინთოს ნაფუძვარი დასწყევლეს და მასზე კაცთაგან ცეცხლის დანთება ისევე აკრძალეს, როგორც იმ წელს ძირ-ფესვიანად ამოგდებული კართაგენის მიწაზე. ასე, „კორინთოსგან დარჩა მხოლოდ ნაკვალევი (Corinthi vestigium vix relictum est)“[1].

„ასე დაიშრიტა „ელადის თვალისჩინი“ — უკანასკნელი ძვირფასი სამკაული ოდესღაც ქალაქებით მდიდარი საბერძნეთის მიწისა“[2].

თავი მეშვიდე

„პროლეგომენა“

ძველი წელთაღრიცხვის მე-2 საუკუნის ბოლოსათვის რომის სახელმწიფოში მოხდა დიდი სოციალურ-ეკონომიური ძვრები, რამაც განაპირობა საყოველთაო რომაულ-რესპუბლიკური სისტემის კრიზისი. ეს ძვრები და ცვლილებები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

ჯერ — ცვლილებები ეკონომიკაში: მონობის, როგორც სამეურნეო სისტემის სრული განვითარება; მსხვილი მიწათმფლობელობის ზრდა და წვრილ მიწათსაკუთრების დაცემა; ფულად-მევახშური და სავაჭრო კაპიტალის გრანდიოზული განვითარება. შემდეგ — ამ ეკონომიურ ცვლილებათა შესატყვისი გარდატეხანი სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში: მონათა რიცხვის გრანდიოზული ზრდა და მათი მდგომარეობის გაუარესება; გლეხობის პაუპერიზაცია და პროლეტარიზაცია; ქალაქის ლუმპენ-პროლეტარიატის ჩამოყალიბება, მხედრობის ზრდა და ახალი დემოკრატიის შექმნა.

მონური შრომის წესზე დამყარებული მეურნეობა ძირითადად დამოკიდებულია საომარ პოლიტიკაზე. ამიტომ მონათმფლობელური სისტემისათვის აუცილებელი ატრიბუტი არის ომი. ძველად ომს სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ სახეობად სთვლიდნენ. ამიტომ

[1] Cic. De lege agr. lib. II, XXXII, 87.

[2] Моммзен Т., История Рима, т. II, М., 1937, 51.

ძველ სამყაროში ესა თუ ის მონათმფლობელური სახელმწიფო თავისი ეკონომიკითა და პოლიტიკური თავისთავადობით მანამ ახერხებდა არსებობის შენარჩუნებას, სანამ მას ომის წარმოების უნარი შესწევდა. ყველაზე სრულყოფილად განვითარებული ეკონომიკაც (მონის შრომაზე დამყარებული ეკონომიკა) იმ ქვეყანას ჰქონდა, ვისაც ხელთ ძლიერი საომარი მახვილი ეპყრა.

აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია: რომის მონათმფლობელურმა სისტემამ (მონური შრომით შექმნილ ეკონომიკაზე დაფუძნებულმა) თავისი განვითარების ყველაზე სრულყოფილ, კლასიკურ საფეხურს მიაღწია. ხოლო, ასეთი სიძლიერისა და სრულყოფილობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო რომაელი ლეგიონერის უდრეკ მახვილზე დაფუძნებული ფართო საომარი პოლიტიკის წარმოება.

რომის უაღრესად აქტიურმა და შედეგიანმა საომარმა აგრესიამ აპენინის ნახევარკუნძულზე თავი მოუყარა მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან მორეკილ, მონადქცეულ ადამიანთა კონტიგენტებს. წყაროების პირდაპირი მითითებით ვიცით, რომ პუნიკური ომების ეპოქაში (264—146), ე. ი. 120 წლის მანძილზე რომაელებმა აფრიკიდან, სარდინიიდან და ტარენტუმიდან 180.000 მონადქცეული ტყვე ჩამოიყვანეს იტალიაში. რასაკვირველია, რაკი წყაროები უფრო ხშირად არ უთითებენ ყველა ბრძოლისა და ომის შედეგად წამოყვანილ ტყვეთა რიცხვს, მონათა რაოდენობა გაცილებით მეტია სავარაუდებელი.

მაგრამ, დასავლეთში წარმოებული ომების შედეგად, რომმა მაინც ვერ შესძლო იმდენ მონათა დაგროვება, რამდენიც მან აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გაიყვანა. დასავლეთურ ომებში ის ხშირად თვითონ მეტს ჰკარგავდა, ვიდრე მოიპოვებდა. მარტო „ჰანიბალის ომში", როცა დიდი კართაგენელი თექვსმეტი წლის მანძილზე იტალიას მახვილით ფლეთდა, იტალიის მეურნეობამ მასზე დასახლებული „მშობლიური" მიწათმოქმედი მეტი დაჰკარგა, ვიდრე უცხოელი მონა მიიღო. მეორე პუნიკურმა ომმა მოქალაქეთა ნახევარი შეიწირა.

ამ მხრივ, აღმოსავლეთი სულ სხვა როლს ასრულებს რომის ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში. მაშინ როცა რომს დასავლეთში ხშირად ერთი მონის მოპოვება ერთი იტალიელის სიცოცხლის ფასადაც უჯდებოდა, აღმოსავლეთიდან მას შეეძლო ურიცხვ ტყვეთა კონტიგენტები საკუთარი სისხლის ნაკლები ნთხევით გაერეკა იტალიისაკენ. ამ „სიადვილის" მიზეზები ჩვენ თავშივე დავინახეთ: აღმოსავლეთის ქვეყნები თვითონ ასუსტებენ და სპობენ ერთმანეთს, რითაც დასავლეთიდან მოსულ მძლავრ დამპყრობელს მათ შთანთქმას უადვილებენ. აღმოსავლეთში რომს არ ხვდებიან არც ჰანიბალები,

და აღარც ალექსანდრე მაკედონელები. ჯერ არც ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე და მოთავე არ გამოსჩენია აღმოსავლეთს, რომ სათავეში ჩასდგომოდა ამ უმდიდრესი მხარის საომარ ძალთა თავმოყრისა და დასავლეთიდან მომდგარი მტრის წინააღმდეგ მისი წარმართვის საქმეს. სანამ ასეთი ვინმე არ გამოჩენილა — სანამ თუნდაც „გენიალური მითრიდატე პონტოელი" არ წამომართულა — რომს შეუძლია ის ურიცხვი აღმოსავლური რესურსები და მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი — მონათა კონტიგენტები — თავისი კეთილდღეობისათვის მოიხმაროს.

წყაროთა ზედმიწევნითი უსრულობის პირობებშიაც რომ შევაჯამოთ, გამოდის, რაღაც ორმოცდაათი წლის მანძილზე რომაელებმა ბილიონამდე ტყვე მაინც გაიყვანეს აღმოსავლეთიდან. ხუთმეტი დიდი სამხედრო კამპანიიდან, რომლებიც რომაელებმა 200 წლიდან 146 წლამდე აღმოსავლეთში მოაწყვეს, მხოლოდ რვაჯერ აღნიშნავენ წყაროები ტყვეთა რიცხვს — აღნიშნავენ ისე, ვითომც და არაფერი! ისინი მონათა კონტიგენტების გარეკვაზე უფრო ხაზგასმით სხვა ნადარცვსა და ნაალაფარს მოიხსენიებენ. მაგრამ იმ რვა შემთხვევიდან გამოდის, რომ რაღაც ორმოცდაათი წლის მანძილზე რომმა აღმოსავლეთიდან 220.000 მონა მიიღო. ამას გარდა, წყაროები ამა თუ იმ ქალაქის აღებისას მრავლად იხსენიებენ ზოგადად, ad infinitum, მოსახლეობის აყრას და მონად ქცევას. ამიტომ, მართლაც, რომ „ჩვენ შეგვეძლოს მათი საერთო რიცხვის განსაზღვრა, იგი განიზომებოდა მილიონობით"[1].

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთიდან გარეკილ მონათა კონტიგენტებით გაივსო რომაულ-იტალიური მეურნეობა. რომის ისტორიაში ეს არის ხანა, როდესაც იტალიის მეურნეობას საშუალება აქვს თავის ყოველ დარგში იაფფასიანი მონის შრომა დაამკვიდროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რომაული მონათმფლობელობა, მანამდე შედარებით პრიმიტიული და პატრიარქალური, სწრაფი ტემპით შედის თავისი განვითარების მაღალ ფაზაში, კლასიკური მონათმფლობელობის სისტემაში. ამ საქმეში წამყვან როლს ასრულებს ხელხვავიანი აღმოსავლური ლაშქრობები.

შემდეგ — მონათა მოზღვავებამ, და სამეურნეო ცხოვრების ყველა პუნქტში მონური შრომის გაბატონებამ, გამოიწვია მსხვილი მონათმფლობელობის, ლატიფუნდიების ზრდა და წერილი მიწათმეურნეობის დაცემა-გაკოტრება. ამ ეკონომიური მოვლენის სოციალური შედეგი იყო ერთი მუჭა ნობილთა გამდიდრება და მთელი დანარჩენი მოსახლეობის პაუპერიზაცია. მდიდრები ითვისებენ არა მარტო სახელმწიფო მიწას (ager publicus), არამედ მეზობელ წერილ-მეურნე-

[1] Ковалев С. И., История Рима, 1948, 318.

თა მიწებსაც — შესყიდვის ან ძალადობის გზით. მდიდრის ხელში კონცენტრირებული მსხვილი ლატიფუნდია აღარ საჭიროებს თავისუფალი მიწათმოქმედის შრომას, რადგან სამეურნეო ცხოვრებაში უკვე სავსებით შემოიჭრა იაფფასიანი მონის ხელი. მუქთმა მონის შრომამ სამეურნეო ცხოვრებიდან გააძევა თავისუფალი მიწათმოქმედი.

ამ პროცესს ნათლად აგვიწერს აპიანე, ძირითადი და ძვირფასი წყარო სამოქალაქო ომებისა. იგი წერს:

„მდიდრებმა, დაიკავეს რა განუყოფელი მიწის უდიდესი ნაწილი... დაიწყეს თავის სამფლობელოებზე მეზობელ ღარიბთა მიწების შეერთება, ნაწილობრივ ფულადი შესყიდვით, ნაწილობრივ ძალით წართმევით; ასე, რომ ბოლოს და ბოლოს, მათ ხელში პატარა მამულების ნაცვლად აღმოჩნდა ლატიფუნდიები. მათ ყანების დასამუშავებლად და ჯოგთა სამწყემსავად დაიწყეს მონათა ყიდვა, იმიტომ, რომ თავისუფალი მოქალაქენი მიწის სამუშაოებით არ მოეწყვიტათ სამხედრო სამსახურისაგან. ამასთან, მონათა ყოლა დიდ სარგებელს აძლევდა მდიდრებს, რადგან სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალ მონებს დაუბრკოლებლად უმრავლდებოდათ შთამომავლობა. ამნაირად, შემძლე ადამიანები განსაკუთრებულად მდიდრდებოდნენ, ხოლო ქვეყანა მონებით ივსებოდა. საწინააღმდეგოდ, იტალიელთა რიცხვი მცირდებოდა, რადგან მათ ასუსტებდა სიღარიბე, გადასახადები და სამხედრო სამსახური. მაშინაც კი, როცა ეს სიმძიმე რამდენიმედ შემსუბუქდებოდა, იტალიელები მაინც უმუშევრად რჩებოდნენ, რადგან მიწა ეკუთვნოდა მდიდრებს, რომლებიც მას ამუშავებდნენ მონებით, თავისუფალთა (მუშა-ხელის) ნაცვლად“[1].

ასევე პლუტარქე:

„...მდიდრებმა სხვისი სახელით საჯაროდ გასაცემი მიწების დაპატრონება დაიწყეს და, ბოლოს, უკვე აშკარად დაიმკვიდრეს თავისთვის ასეთი მიწების უდიდესი ნაწილი. მიწის ნაკვეთებიდან გამოძევებული ღარიბები აღარც სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ ხალისიანად და აღარც შვილების აღზრდაზე ზრუნავდნენ. ამის გამო მთელ იტალიაში სულ მალე საგრძნობი გახდა, ერთი მხრივ, თავისუფალ მოქალაქეთა რიცხვის შემცირება, მეორე მხრივ კი — ბარბაროს მონათა რაოდენობის უსაზღვროდ ზრდა. ამ მონათა შემწეობით მდიდრები ამუშავებდნენ იმ მიწებს, საიდანაც მათ რომაელი მოქალაქენი განდევნეს“[2].

აღნიშნულ წყაროებს იტალიაში შექმნილი მდგომარეობა სავსებით ნათლად აქვთ შეგნებული. ლატიფუნდიებმა გაანადგურა წვრილი მიწათმეურნეობა; ლატიფუნდიალური მეურნეობა მთლიანად მო-

---

[1] App. Bel. civ. I, 7.

[2] Plut. Ti. Gr. 8.

ნური შრომის წესს ემყარება. თავისუფალი მუშა-ხელი უმაქნისი გახდა. იგი საჭიროა მხოლოდ ომში. მონურმა შრომამ „შეეპარა“ თავისუფალი მიწათმოქმედის შრომა.

რასაკვირველია, მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობის ისტორია რომის აღმოსავლურ პოლიტიკამდეც იწყება, — როცა აპენინზე დაპყრობილი ტერიტორიები რომაელმა ნობილებმა ager publicus-ად აქციეს და დაიტაცეს, მაგრამ ლატიფუნდიების მაქსიმალური ზრდა და იტალიის მოსახლეობის უმრავლესობის სამეურნეო და საზოგადოებრივი პირობების მაქსიმალური გაკოტრეაა. [illegible] ყოვლისა, ძაინც მონათა რიცხვის გრანდიოზულ ზრდასთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დაკავშირებულია რომის უაღრესად აქტიურ და შედეგიან აღმოსავლეთ პოლიტიკასთან. ნახევარსაუკუნოვანმა აღმოსავლურმა ლაშქრობებმა რომის ლატიფუნდიალური მეურნეობა სტაბილურად აქცია თავისუფალი მიწათმეურნეობის შემცველელი მონათა კონტიგენტების მორეკვით.

რა თქმა უნდა, თავისუფალი რომაულ-იტალიური მოსახლეობის პაუპერიზაცია და სამეურნეო ცხოვრებიდან მისი განდევნა მარტო მონური შრომის კონკურენციას არ გამოუწვევია, მაგრამ იაფფასიან მონათა კონტიგენტების მოპოვება, სხვა სიმდიდრეთა დაპყრობის ლტოლვასთან ერთად, მოითხოვდა საომარი პოლიტიკის თითქმის პერმანენტული ფორმით წარმოებას, ხოლო მეომარი კვლავ ივიეე თავისუფალი მიწათმოქმედი იყო. იტალიელი გლეხები წლობით იყვნენ დაკავებულნი საომარ ველზე, ხოლო მათი წვრილი მეურნეობანი ამ ხნის მანძილზე ნადგურდებოდა და პარტახდებოდა. ასე. რომ ხანგრძლივმა ომებმა, მათ შორის, აღმოსავლურმა ლაშქრობებმა, საკუთრივ დასცა წვრილი აგრიკოლების სამეურეიო ცხოვრება.

ამრიგად, მონური შრომის კონკურენცია და საომარი პოლიტიკა ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენდნენ, რომლებიც ურთიერთკავშირში და ერთმანეთიდან გამომდინარენი, ერთობლივად აძლიერებდნენ მსხვილ ლატიფუნდიალურ მეურნეობას და მის ხარჯზე სპობდნენ საშუალო და წვრილ მიწათმფლობელურ სისტემას.

იგივე პროცესს — მონური შრომის გაბატონებასა და მეურნეობიდან თავისუფალი აგრიკოლის განდევნას — ხელს უწყობდა, აგრეთვე, უცხოეთიდან, დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოზიდული პური, რომელიც თავისი იაფფასიანობით გამანადგურებელ კონკურენციას უწევდა აღგილობრივ რომაულ-იტალიურ პურს. ომით ძოტ.ხილი უცხოური პურის კონკურენციის გამო, ადგილობრივი იტალიური ხორბალწარმოება კატასტროფიული შემცირების გზაზე დადგა, ამ პროცესის მეორე მხარე კვლავ იტალიელ აგრიკოლათა გაღატაკება შეიქნა.

მონობის სამეურნეო სისტემად ქცევამ და მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობის გაბატონებამ, გამოიწვია ახალი სოციალური კატეგორიის გაჩენა რომში. ეს არის ლუმპენ-პროლეტარიატი.

გაღატაკებული და სოფლად ხელმოცარული გლეხობა სამუშაოს საძებნელად ქალაქს მიაწყდა. მათი უდიდესი ნაწილი ქალაქშიც უმუშევარი რჩებოდა. მაგრამ არაფრისმქონე გლეხისათვის რომისკენ ლტოლვა ჭაინც აბსოლუტურ ხასიათს ატარებს. ამის მიზეზი არის გარანტია, რომლის ძალით სახელმწიფო ვალდებულია, მისცეს თავის ყველა სრულუფლებიან მოქალაქეს „panem et circenses" („პური და სანახაობა"). იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრება უზრუნველყოფს გაპროლეტარებული გლეხის „უზრუნველ" არსებობას. რაკი მას აქვს ხმის მიცემის უფლება, — რაკი მას რესპუბლიკური კონსტიტუციის ძალით ხელთ აქვს საარჩევნო ფირფიტა, — ეს „მდუმარე დამცველი თავისუფლებისა (vindex tacitae libertatis)"[1], შეუძლია მისი გაყიდვით ლუკმაც იშოვოს და ცირკშიც „დატკბეს". იგი „არაფერს არ ერიდებოდა და არც თაკილობდა: თანამდებობის პირთა არჩევნებში ის ხმებით ვაჭრობდა, სასამართლოში ცრუ მოწმედ გამოდიოდა, ქურდობდა და ქვენა გრძნობების დასაკმაყოფილებლად შაბეზღარობდა"[2]. ასეთი სახით წარმოგვიდგება ლუმპენ-პროლეტარიატი, დეკლასირებული, პარაზიტული სოციალური ფენა, რომელსაც, — როგორც დიდი სოციალური კრიზისის პირმშოს — თავისი პოლიტიკური და მორალური მერყეობის პირობებში, შეუძლია დიდი როლი შეასრულოს რომის მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი იქნება ყველაზე დაავადებული ნაწილი საერთოდ რომაული დემოკრატიისა...

შემდეგ, — აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვის აუზის დაპყრობით რომი შეიქნა არა მარტო მაშინდელი მოწინავე მსოფლიოს პოლიტიკური მბრძანებელი, არამედ ეკონომიური ხელისუფალიც. ისევდაც, სამხედრო-პოლიტიკური მბრძანებლობა ხომ მთლიანად მსოფლიო ეკონომიურ ურთიერთობაზე მბრძანებლობის მოპოვებას ემსახურებოდა. და ეს მიზანიც განახორციელა რომმა.

მსოფლიოს ეკონომიური ურთიერთობის ძირითად შინაარსში იგულისხმებოდა: დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიური ექსპლოატაცია და საგაჭრო ფინანსიური ურთიერთობა სამ დიდ კონტინენტს შორის. ერთიც და მეორეც უკვე რომაელთა ხელში იყო.

ძვ. წ. II საუკუნის პირველი ნახევარი, რომელიც თითქმის მთლიანად რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას მოიცავს, ხასიათდება აურაცხელი უცხოური სიმდიდრის მოზღვავებით რომში — „მსოფლიოს

---

[1] Cic. De agr. lib. II. II, 4.

[2] ალ. წერეთელი, ძველი რომი, 1957, 204.

ცენტრში". ამ სიმდიდრის უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთიდან იყო. ჯერჯერობით, აღმოსავლეთიდან რომმა მიიღო 27.000 ტალანტი (=64.800.000 შან. ოქრ.): 288.556 მაკედონური ოქროს მონეტა. 2.315.700 ბერძნული ვერცხლის მონეტა, 800 ოქროს გვირგვინი, ოქრო წონით 7.840 გირვანქა, ვერცხლი წონით 487.120 გირვანქა; ამას გარდა, აურაცხელი ოქროს, ვერცხლის, მარმარილოს, ბრინჯაოს ნაკეთობანი — თასები, სამკაულები, ბურუსლეული, შეიარაღებანი (ნაგ., ოქროს ფარები და სხვ.), ქანდაკებანი, სურათები, სპილოს ეშვები (სირიიდან 1.231 ცალი ჩამოიტანეს). ქალაქთა გამოსახულებანი, სამხედრო ნიშნები, მეომართა გასამრჯელონი (დაახლ. 115.000.000 დენარიუსი). ამ მიახლოებით ციფრებში არ შედის აურაცხელი ნაძარცვი, რომლებიც წყაროებს ზოგადად აქვთ მიჩხეულებული. მაგალითად, აღმოსავლური ომის დროს წყაროები ციფრობრივი მინიშნების გარეშე აღნიშნავენ ქალაქთა და სხვა დასახლებულ პუნქტთა ვაძარცვის დაახლოებით სამოცდაათამდე შემთხვევას.

რომის ეკონომიურ მიმოქცევაში ასეთ სიმდიდრეთა გაშვებამ ძლიერი ბიძგი და ფარფო გასაქანი მისცა ფულად-მევახშურ და საეაჭრო კაპიტალის განვითარებას. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა რომის სახელმწიფოში.

მანამდე რომის რესპუბლიკური, პოლისური (ქალაქ-სახელმწიფოებრივი) სისტემა აკმაყოფილებდა ვიწრო საქალაქო თემის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს, მაგრამ ახლა, როცა ამ ერთი ქალაქის ხელქვეით უზარმაზარი მსოფლიო სახელმწიფო შეიქმნა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური მმართველობისათვის საჭირო გახდა სახელმწიფო-სამმართველო ინსტიტუტთა შეცვლა, გარდაქმნა, ან ახალ ინსტიტუტთა დაწესება. პირველ რიგში საჭირო იყო, დაპყრობილი ქვეყნებიდან მთელი ეკონომიური სიკეთის ამოსაღებად და ამოსაწურავად, რაიმე ახალი სახელმწიფო ინსტიტუტის დაწესება. ეს საჭიროება გაჩნდა ჯერ კიდევ ადრე, როცა რომმა აპენინის მიწები დაიპყრო. იმავე ხანებში გამოგონილი იქნა შესყიდვის ფორმა, რაც გულისხმობდა შემდეგს: ხელისუფლება იჯარით გასცემდა ამა თუ იმ ტერიტორიიდან ვალის, გადასახადის, თუ ხარკის ამოღების საქმეს; შემსყიდველები წინასწარ გადაიხდიდნენ აღნიშნულ გადასახადს და შემდეგ დაპყრობილ ქვეყანას, „პროვინციას", ეკონომიური ექსპლოატაციისა და ძარცვა-გლეჯის მთელი სისასტიკით ყველეფდნენ. ასეთ ფინანსურ, საგადასახადო, საეაჭრო და საერთოდ ფულად მეურნეობას რომში ეწოდნენ მხედრები

შემსყიდველობითი სისტემის მნიშვნელობა და ძალა გაიზარდა მას შემდეგ, რაც რომმა დაიწყო იტალიის გარეთ დაპყრობილ ქვეყა-

ნათა პროვინციებად გადაქცევა. პროვინციალური მმართველობის უპირველესი დანიშნულება იყო დაპყრობილი ქვეყნიდან ყოველგვარი მატერიალური დოვლათის მაქსიმალური ამოწურვა. ამიტომ შემსყიდველობითი სისტემა და პროვინციალური მმართველობა ერთ მთლიან სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა.

პროვინციის უფრო სრულყოფილი ექსპლოატაციისათვის იქმნებოდა მხედარ-ფინანსისტთა შემსყიდველი გაერთიანებანი, რომელთაც პუბლიკანები (societas publicanorum) ეწოდებოდათ, მათ ხელში იყო პროვინციათა ეკონომიური ცხოვრების ყოველი წერტილი — ხარკის გადახდა, მთელი ფულადი მეურნეობა, კრედიტი, ვახში, ვალები, ვალებში მონად გაყიდვა და სხვ.

პროვინციული მმართველობის ასეთმა ფორმამ საფუძველი დაუდო ახალი ძლიერი სოციალური კატეგორიის, მხედართა წოდების (ordo equester) უაღრესად გამდიდრებას და გაძლიერებას. ეს არის გამდიდრება ეკონომიური და გაძლიერება პოლიტიკური.

ამგვარად, რომის მმართველ ნობილიტეტში მხედართა წოდების სახით გაჩნდა ძლიერი სოციალური კატეგორია, რომლის ეკონომიკა ემყარება მთელი სახელმწიფოს ფინანსურ მეურნეობას. მაგრამ მისი პოლიტიკური უფლებები ჯერ კიდევ ვერ უტოლდებიან სენატოროლიგარქთა მმართველურ პოზიციებს.

მხედართა წოდების პოლიტიკური პრეტენციოზულობა, რომელიც დიდად განვითარებული ფულადი მეურნეობიდან აღმოცენდა, დაკავშირებულია ძვ. წ. მე-2 საუკუნის პირველ ნახევართან, როცა რომის ისტორიის კარდინალური მოვლენა აღმოსავლური პოლიტიკის წარმოება იყო.

რომაული საზოგადოება შედის თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში. მონური შრომის აბსოლუტურ სამეურნეო პრაქტიკას და სავაჭრო-ფინანსური ურთიერთობის გრანდიოზულ განვითარებას რომი გადაჰყავს კლასიკურ მონათმფლობელურ სისტემაში.

ღრმა ეკონომიური და სოციალური ცვლილებები მოითხოვდნენ პოლიტიკური ზედნაშენის შეცვლას. რომის პოლისური სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა დრომოჭმული ხდება. ეს, როგორც ითქვა, უპირველეს ყოვლისა, გამომჟღავნდა დაპყრობილ ქვეყანათა (პირდაპირ — აღმოსავლეთის ქვეყანათა) მმართველობის პრაქტიკაში. ქალაქის თარგზე მოჭრილ, უაღრესად შეზღუდულ და პრიმიტიულ ოლიგარქიულ კონსტიტუციას არ შეეძლო შეესრულებინა მსოფლიო იმპერიის მართვა-გამგეობრივი ფუნქციები.

ამრიგად, სამოქალაქო ომების მომზადების ყველა ძირითად ელემენტში ყოველთვის ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს „აღმოსავლეთის საკითხი". იგი არის ერთ-ერთი ძირითადი წყა-

რო რომის სახელმწიფოს ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებებისა, რაც სულ მალე გამოხატულებას პოულობს რომის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენაში — „სამოქალაქო ომებში".

ამის შემდეგ თვალი მივადევნოთ, თუ რა როლი შეასრულა „აღმოსავლეთის საკითხმა" სამოქალაქო ომების დროის ცალკეულ კონკრეტულ მომენტში.

თავი მეოთხე

„აღმოსავლური ელემენტი" რომის კლასობრივ ბრძოლაში

1. სიცილიის მონათა პირველი აჯანყება

სამოქალაქო ომების ისტორია რომის სახელმწიფოში კლასობრივი ბრძოლის სახით იწყება. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. ამჟამად საჭირო არ არის დაწვრილებით მსჯელობა მონათა უმძიმეს პირობებზე, რამაც საფუძველი დაუდო მონათა დიდი აჯანყებების დაწყებას. ჩვენ მხოლოდ მოკლედ მოვხაზავთ მათ შინაარსს, რომლის ფონზეც გავაშუქებთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

პირველი დიდი კლასობრივი ბრძოლის სურათი კუნძულ სიცილიაზე დატრიალდა. პროვინციადქცეულ სიცილიაში რომაელებმა თავი მოუყარეს აურაცხელ მონათა კონტიგენტებს, რაც საჭირო იყო კუნძულზე არსებული მსხვილი ლატიფუნდიების, ბუნებრივი სიმდიდრეების, მარმარილოსა და საშენი ქვის დასამუშავებლად. სიცილიელი მონათმფლობელები თავიდანვე მრავლად ყიდულობდნენ იაფფასიან „მოლაპარაკე იარაღს". უკანასკნელი ომების შედეგად სიცილიაში მონათა რიცხვი არნახულად გაიზარდა. დიოდორეს თქმით, სიცილია იმდენი მონებით დაიფარა, რომ ვისაც ესმოდა, არავის არ სჯეროდა მათი ასეთი სიმრავლეო. ბუნებრივია, მონათა სიმრავლე და სიიაფე ხელს უწყობდა მათსავე მდგომარეობისა და საარსებო პირობების გაუარესებას. მონათმფლობელი დაუზოგავად ეპყრობოდა მის ხელში მყოფ ჭარბ სამუშაო ძალას, ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება, მეტი მოგება ამოეწურა მისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობიდან.

მონათა კლასიკურ მჩაგვრელებად წარმოდგენილი არიან მსხვილი, ს ცილელი ლატიფუნდიარი — მონათმფლობელი დამოფილე და მი- ს ცოლი მეგალიდა. ისინი განუზომელი სისასტიკითა და „დახვეწ- ლობით" სტანჯავდნენ თავიანთ მონებს. და აი, დამოფილეს 400-მა მო- ნამ მოაწყო შეთქმულება თავისი ბატონისა და მისი სახლობის გასა- ნადგურებლად. ისინი, ვიდრე მახვილებს აქმოქმედებდნენ, თავიანთ გ-ნწირახვას უმეღავნებდნენ ქალაქ ჰენაში მცხოვრებ ვინმე ევნუსს, მონას, წარმოშობით სირიელს.

ევნუსი მთელს სიცილიაში ცნობილი იყო როგორც მისანი, წინას- წარმეტყველი, „ღმერთებთან მოსაუბრე", პირიდან ცეცხლის მფრქვე- ველი და სხვ. იგი ამტკიცებდა, რომ სირიელი ქალღმერთი მე გამეფებას მპირდება და ეს დაპირება და წინასწარმეტყველება კიდე-

აც აღსრულდებაო.

ამ კაცს მიმართეს შეთქმულებმა. ევნუსმა მათი განზრახვა მო- იწონა და შეთქმულთა თხოვნით, თვითონ გახდა მათი ბელადი.

ევნუსის მეთაურობით შეთქმულები შეიჭრნენ დამოფილეს სახლ- კარში და დამოფილეც და მისი ცოლიც დახოცეს.

აქ, შეთქმულთა შორის, გაჩნდა კიდევ ორი სახელდებითი გმირი, რომლებმაც საკუთარი ხელით მოჰკლეს დამოფილე. ესენი არი- ან ჰერმიოსი და ზეგესისი.

შემდეგ დახოცეს ევნუსის უშუალო მბრძანებლები.

ყველაფერი ეს ელვის სისწრაფით მოედო მთელ სიცილიას. შეთ- ქმულება აჯანყებად იქცა. აუარებელი მონა მიაწყდა აჯანყების ბირთვს: ყველა მზად იყო რომაელ მონათმფლობელთა გასანადგურებლად.

აჯანყებულებმა რომაელ მონათმფლობელთა ბატონობა სიცილი- აში დამხობილად გამოაცხადეს და მის ნაცვლად ქვეყანას ამცნეს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსება, რომელსაც უწოდეს „ახალი სირიის სამეფო". მეფედ გამოცხა- დებულ იქნა აჯანყების ბელადი სირიელი ევნუსი, რომელმაც დაირქვა სირიაში გავრცელებული სამეფო სახელი ანტიოქე. ახ- ლად მოვლენილმა მეფემ ცოლად და დედოფლად დაისვა სირიელი ბონა-ქალი.

ანტიოქეს სამეფო სახლი ზუსტად ისე მოეწყო, როგორც ეს მი- ღებული იყო სირიაში — სასახლე აღმოსავლური სიმდიდ- რით მორთული, მეფე-დედოფალიც აღმოსავლურად მოკაზმული.

სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ევნუს-ანტიოქემ აზიურის გარდა სხვა ელემენტიც შეიტანა, მაგრამ მაინც აღმოსავლური — რაღაც მაკედონურ „ჰეტერთა" საბჭოს მსგავსი. მეფე ყველა მნიშვნელოვან საკითხს ამ საბჭოსთან შეთანხმებით წყვეტდა. აქ კი-

დევ ერთი სახელდებითი გმირი გამოჩნდა. ეს არის ბ ე რ ძ ე ნ ი ბონა აქეიოსი, რომელიც „ჰეტერთა“ საბჭოს ყველაზე აქტიური წევრია. იგი განაგებს სამხედრო შეიარაღებისა და წვრთნის საქმეებს.

აჯანყებულთა რიცხვი კვლავ განუწყვეტლივ მატულობს. კუნძულის სხვადასხვა კუთხეში აჯანყების ახალ-ახალი კერები ჩნდება. „ახალი სირიის სამეფო“ იზრდება და ფართოვდება.

რომის ხელისუფლებამ აჯანყებულთა განადგურება სცადა. მაგრამ მონათა ლაშქარმა ორჯერ დაამარცხა რომაელთა ჯარები, რომელთაც, ცალ-ცალკე, სარდლობდნენ პრეტორები პოპილიუს ლენუსი და ლუციუს ჰიპსიუსი.

ამასობაში სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ ქალაქში, აგრიგენტუმში, დაიწყო მონათა მეორე დიდი აჯანყება, რომელსაც სათავეში უდგას აგრეთვე ა ზ ი ე ლ ი მონა კლეონი. იგი 70.000 მეომრით შეუერთდა ევნუს-ანტიოქეს. ამრიგად, „ახალი სირიის სამეფო“ კიდევ უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა. ახლა მის ფარგლებში შედის თითქმის მთელი სიცილია. ბელადთა ფუნქციები სრული შეთანხმებულობის პრინციპზეა განაწილებული: ევნუსი მეფეა, ხოლო კლეონი და აქეიოსი არმიის სარდლობას ინაწილებენ. აჯანყებულ მონათა არმიის რიცხვი კი უკვე 200.000 მეომარს მოითვლის.

რომის ხელისუფლება შეშფოთებულია. იგი იძულებულია, უფრო გადამჭრელი ზომები მიიღოს „საძულველი მონების“ დასასჯელად. ჯერ გაგზავნილი იქნა არმია კონსულ ფულვიუს ფლაკუსის სარდლობით, მაგრამ ფლაკუსი შერცხვენილი დაბრუნდა რომში შემდეგ გაიგზავნა მეორე კონსული ლუციუს კალპურნიუს პიზონი, რომელმაც ჯერ აიღო ქალაქი მესანა, გაწყვიტა იქ 8.000 მონა, ბევრი ჯვარზეც გააკრა და მერე მიადგა „ახალი სირიის“ სატახტო ქალაქს ჰენას. ჰენას ალყა უშედეგოდ დამთავრდა და კონსული პიზონიც უსახელოდ დაბრუნდა რომში.

ბოლოს, სიცილიაში დიდი არმიით ჩავიდა კონსული პუბლიუს რუპილიუსი. სასტიკი ბრძოლების შემდეგ რომაელებმა დაამარცხეს აჯანყებულები. რუპილიუსმა მონათა ერთ-ერთი თავმესაფარი, ტავრომენიუმი, აიღო ღალატით. მოღალატე იყო ვინმე სერაპიონი.

რომაელების მიმართ მონათა თავგანწირული ბრძოლის პირობებში გამოჩნდა კიდევ ერთი გმირი, სახელად კომანი. რომელმაც ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყო, სუნთქვის შეგუბებით შოიკლა თავი.

ბოლოს რომაელებმა აგრეთვე ღალატით აიღეს ქალაქი ჰენა. ბრძოლაში გმირის სიკვდილით დაილუპნენ აჯანყებულთა სარდლები, კლეონი და აქეიოსი. აჯანყება ჩაქრობილ იქნა. მეფე ევნუს-ანტიოქე შეპყრობილ იქნა და ტყვეობაში მოკვდა.

ასეთია სიცილიის მონათა პირველი აჯანყების ძოკლე მონახაზი. აქედან საინტერესოა შემდეგი გარემოება:

სიცილიის მონათა აჯანყება, თითქმის მ თ ლ ი ა ნ ა დ ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ გარეკილი მონების აჯანყებაა. ამის აშკარა დამამტკიცებელია:

1. აჯანყების უ კ ლ ე ბ ლ ი ვ ყ ვ ე ლ ა მ თ ა ვ ა რ ი გ მ ი რ ი, რიცხვით რეა, წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ ა რ ი ა ნ. ამათგან ევნუსი, აქეიოსი, კლეონი და გადედოფლებული მონა-ქალი პირდაპირ მითითებული არიან, როგორც „ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე ლ ნ ი". კერძოდ, ევნუსი და მისი მეუღლე, მონადყოფილი ქალი, ს ი რ ი ე ლ ე ბ ი არიან. კლეონი — კ ი ლ ი კ ი ე ლ ი (ტ ა ვ რ ი ს ო ლ ქ ი დ ა ნ) და აქეიოსი — ბ ე რ ძ ე ნ ი, ე. ი. სამი აზიელი და ერთი ბერძენი. ამას გარდა, ყველა დანარჩენი ოთხი გმირის სახელები — ჰერმიოსი, ზევკსისი, კომანი და სერაპიონი — „ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი" (ბერძნული) წარმოშობისა არიან.

2. წყაროებში ზოგიერთ ადგილზე აჯანყებული მონები მოხსენიებული არიან, როგორც ს ა ე რ თ ო დ ს ი რ ი ე ლ ე ბ ი.

3. სირიელი ევნუსის პ ო პ უ ლ ა რ ო ბ ა სიცილიელ მონათა შორის და აჯანყების დაწყებისთანავე მისდამი ს წ რ ა ფ ი მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა მეტყველებს აჯანყებულთა „აღმოსავლურ", კერძოდ, აზიურ წარმოშობაზე.

4. ასევე, აჯანყებულთა სხვა ბელადების, ბერძენი აქეიოსისა და კილიკიელი კლეონის ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი და მონათა მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ა მიუთითებს, აგრეთვე, ამ უკანასკნელთა ბერძნულ და აზიურ წარმოშობაზე.

5. ევნუსისაგან აზიელი ღმერთების „აზრთა" ავტორიტეტად მოყვანა მონათა სააგიტაციოდ, აგრეთვე, მიუთითებს მათ „აღმოსავლურ", განსაკუთრებით აზიურ წარმოშობაზე.

6. ბოლოს, ევნუსის გამეფება უაღრესად პოპულარული აზიური სამეფო სახელით (ანტიოქე) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მონათა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს აღმოსავლური, აზიურ-ბერძნული (ე ლ ი ნ ი ს ტ უ რ ი) პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი თ ორგანიზება, რომელიც აჯანყებულთათვის იმ დროს ყველაზე მისაღები, „მშობლიური" სახელმწიფო ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო — ყველაზე მტკიცედ მიუთითებს სიცილიის ინსურიგენტთა აღმოსავლურ წარმოშობაზე.

ამრიგად:

სიცილიელ მონათა პირველი აჯანყება, რომელიც თითქმის ცხრა წელი გაგრძელდა, არის ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ლ ხ თ ა ბ რ ძ ო ლ ი ს ი ს ტ ო რ ი ა რომის მონათმფლობელობის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთიდან გარეკილი მონადაქცეული თავისუფალი მოსახლეობა რომაულ მონათმფლობელურ სისტემაში წარმოადგენს უაღრესად „რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ" ელემენტს.

აღმოსავლეთიდან გარეკილმა მონათა კონტიგენტებმა დაიჩქარეს რომის მონათმფლობელური სისტემის შექმნა, და, იმავე დროს, თვითონვე შეიქნენ მასში დიდი კლასობრივი ბრძოლის პირველი მებაირახტრენი; აღმოსავლეთიდან გარეკილმა მაღალი კულტურის მქონე, თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა, რომლებიც რომაელმა მონათმფლობელებმა მონობის სტიგმებით დადაღეს, თავგანწირული ბრძოლით თავისუფლება დაიბრუნეს და თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაცია შექმნეს. „ახალი სირიის სამეფო" ცხრა წელი ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რომის მსოფლიო სახელმწიფოებრივ სისტემაში. მაშასადამე, ამიერიდან მიზანშეწონილი უნდა იყოს „ახალი სირიის სამეფოს", როგორც აღმოსავლურ-ელინისტური სახელმწიფოს შესწავლა — როგორც თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლის უბრწყინვალესი შედეგი, როგორც დიდებული ძეგლი კლასობრივი ბრძოლის ისტორიისა[1].

სიცილიის მონათა აჯანყება უზარმაზარ კოცონს ჰგავდა, რომლის ნაპერწკლებმა რომის სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში მონათა მოძრაობის ახალი საბრძოლო კერები წარმოშვა. მინტურნში გამოამჟღავნეს conjuratio (შეთქმულება). რისთვისაც 450 მონა გააკრეს ჯვარზე. სინუესში დაიწყო ჯანყი, რომელშიც 4.000 მონა ღებულობდა მონაწილეობას. რომაელებმა ეს აჯანყებაც ჩაახშეს. იმავე ხანებში თვით რომში აღმოჩნდა 150 მონის შეთქმულება, რომელიც დასაწყისშივე გაანადგურეს.

სიცილიური „ხანძრის ნაპერწკლები" უფრო ქმედითი აღმოჩნდა რომის აღმოსავლურ სამფლობელოებში.

პირველნი აჯანყდნენ დელოსელი მონები. კუნძული დელოსი მონათვაჭრობის ცენტრი იყო აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, აქ ყოველდღე 10.000-მდე მონა იყიდებოდა. დელოსზე მონათა მოძრაობა ჩაახშეს.

უფრო ბევეთრად მოჩანს მონათა აჯანყება ატიკაში, ლავრიონის

---

[1] დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისთვის ერთადერთია დე მარტინო, რომელმაც პირველმა დააყენა საკითხი აჯანყებულ მონათა „სახელმწიფოებრივი ჩანასახის" შექმნისა და ამ აჯანყების პერსპექტივებისა და მამოძრავებელ ძალთა „აღმოსავლურობის" შესახებ. ამას გვიწყვეტს დე მარტინოს ერთელი ნაშრომის ერთ-ერთი ადგილი: „რომ რომს არ მოუხერხებია., იარაღის ძალით გაენადგურებინა ეს ჩასახული სახელმწიფო, მაშინ ეს მასში გაკეთებოდა ძალადობა მონათა რესპუბლიკისა, რომელიც თავის წყურვილია აცხადებდა თავისუფლებას და ნაციონალურ დამოუკიდებლობას, რამდენადაც ყველა მონა წარმოშობით აზიიდან და სირიიდან იყო." (F. De Martino, della constituzione romana, II, 398).

ვეოცხლის ძალაროებში. აქ აჯანყება იწყება 1.000 მონის მონაწილეობით. მაგრამ სტრატეგოს პერაკლიტეს შეთაურობით ეს გამოსვლაც ჩაახშვეს.

ატიკელ მონა-მაღაროელთა ბრძოლამ გამოძახილი ჰპოვა მაკედონიაში, სადაც დაიწყო, აგრეთვე, მაღაროში მომუშავე მონების მოძრაობა, რომელიც სხვა წვრილ აჯანყებათა მსგავსად, მონათმფლობელთა უმკაცრესი ტერორის მსხვერპლი გახდა.

2. აჯანყება მცირე აზიაში

კლასობრივი ბრძოლის მეორე დიდი ეტაპი, რომელიც ქრონოლოგიურად ერწყმის სიცილიის მონათა პირველ მოძრაობას, არის აჯანყება მცირე აზიაში, ანუ უფრო გავრცელებული სახელწოდებით — არისტონიკეს აჯანყება (133—129 წწ).

ამ აჯანყების მამოძრავებელი ძალები იყვნენ მონები და მცირე აზიის — ყოფილი პერგამოსის სამეფოს — უღარიბესი მოსახლეობა. საერთოდ, თავისუფალი მოსახლეობის უღარიბესი ფენები ყოველთვის, მონათა ყველა სერიოზული გამოსვლის დროს, „რევოლუციური ელემენტის“ როლს ასრულებდნენ. მაგრამ ამჯერად, არისტონიკეს აჯანყებაში, ისინი განსაკუთრებული აქტიურობით და მასშტაბური სიფართოვით გამოდიან აჯანყებული მონების მხარდამხარ. ეს იმიტომ, რომ მცირე აზიის ლატაკნი მონებთან კავშირში ეძიებდნენ ხსნას ორმაგი ჩაგვრისაგან, ადგილობრივი არისტოკრატიის შევიწროებისა და უცხოურ-რომაული მბრძანებლობისაგან. მაშასადამე, არისტონიკეს აჯანყება, ერთსა და იმავე დროს, ატარებდა კლასობრივ, შიდაკლასობრივ და ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ბრძოლათა ხასიათს.

აჯანყება მცირე აზიაში დაიწყო მაშინ, როცა სიცილიის მონათა მოძრაობა თავისი აღმავლობის ზენიტში იმყოფებოდა. წყაროები არას ამბობენ სიცილიელ და მცირე აზიელ მონათა კავშირ-ურთიერთობის შესახებ. მათ შორის რაიმე მტკიცე კავშირი, ალბათ, არც არსებულა, მაგრამ ეეჭველია, რომ სიცილიის მონათა აჯანყება მაინც ხელს შეუწყობდა მცირეაზიელთა გამოსვლის დაჩქარებას, რასაც განსაკუთრებული casus belli ჰქონდა, რაც შემდეგში მდგომარეობდა:

133 წელს სავსებით მოულოდნელად, ბნელით მოცულ უცნაურ პირობებში გარდაიცვალა პერგამოსის ახალგაზრდა მეფე ატალ მესა-

მე, ევმენ მეორის ძე. კიდევ უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა უეცრად დაღუპული მეფის ანდერძი, რომლითაც იგი თავის სამეფოს მთლიანად გადასცემდა რომს. შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ პერგამოსის სახელმწიფოს სალიკვიდაციო ანდერძს ორი ხელი წერდა — რომის დიპლომატიისა და მისი ყურმოჭრილი ყმის, ატალ მესამისა.

პერგამოსის უკანასკნელ მეფეს სხვა მიზეზებიც უბიძგებდნენ თავისი ხალხისა და ქვეყნის საზიანო სულმდაბლური აქტის შედგენაში. ნას, რომელთა უსუსურ პოლიტიკურ კრეატურას, აღარ შეეძლო თავი გაერთმია იმ ღრმა სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისისათვის, რომელიც ერთბაშად დაატყდა თავს პერგამოსის საშეფოს და საერთოდ მცირე აზიას. უკვე გამოჩნდა კაცი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა, ქვეყანა ეხსნა ასეთი მძიმე მდგომარეობიდან. ეს იყო არისტონიკე, ატალ მესამის ნახევარ-ძმა, რომელიც ევმენ მეორეს მონა ქალისაგან შეძენია. არისტონიკეს მოძებნილი ჰქონდა სოციალური საყრდენი, რომლის მეოხებითაც ის პერგამოსის საშეფო ტახტზე ასვლას ფიქრობდა. ეს სოციალური ძალა იყო მონათა და ღარიბ-ღატაკთა ფენები, რომელთა მღელვარება პერგამოსში უკვე დაწყებული იყო. რასაკვირველია, ატალს არ სურდა, ტახტ-გვირგვინი საძულველი „უკანონო ძმისათვის" დაეთმო. ამდენად, ძმათაშორის მტრობაც ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო რომისათვის ხელსაყრელი ახალი „აღმოსავლური აქტის" შედგენაში.

აგრეთვე, სარწმუნოდ საფიქრებელია, რომ ატალ მესამეს არასასურველ ანდერძზე ხელი მოაწერინა ეკონომიურმა ფაქტორმაც. მართლაც შესაძლოა, რომმა აიძულა რომაელ ფინანსისტთაგან ყველაზე დაკაბალებული მეფე-თოჯინა. „თავის ვალში მიეცა მთელი თავისი ქვეყანა"[1].

133 წელს გარდაიცვალა ატალ მესამე და გამოჩნდა მისი ანდერძი, რომის განკარგულებაში პერგამოსის სახელმწიფოს გადაცემის შესახებ. ეს საკვლევი საკმარისი იყო იმისათვის, რომ აშკარა ფორმით დაწყებულიყო მონათა და ღარიბთა აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა არისტონიკე. აჯანყებას მიემხრნენ, აგრეთვე, დაქირავებული მეომრები.

არისტონიკესა და მის მიმდევართა გარეგანი მიზნობრივი ფორმა იყო პერგამოსის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა და რომის მბრძანებლობის დამხობა აზიაში. ამას გარდა, რაც განსაკუთრებით საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ, ისინი მიზნად ისახავდნენ რაღაც დიდ სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ რეორგანიზაციას რო-

[1] Виннер Р., Очерки истории Римской империи, М., 1908, 38.

ბაელთაგან გაწმენდილ სახელმწიფოში. ამაზე მეტყველებს ერთადერთი მოკლე წინადადება სტრაბონის „გეოგრაფიაში“:

„თავის მომხრეებს არისტონიკე ჰელიოპოლიტებს უწოდებდა“[1].

ამ წინადადების გაანალიზებასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა (მომზენი, ტარნი, პიოლმანი, კერი, კავალეკი, მაშკინი, ლურიე, იულკინა და სხვ.), მაგრამ მეცნიერებაში დღემდე ძალას ინარჩუნებს ერთი დომინანტური აზრი: არისტონიკეს მოძრაობის იდეოლოგიური პროგრამა სოციალური თანასწორობის უტოპიურ იდეას ემყარებოდა. „ჰელიოპოლიტები“ ანუ „მზის ქალაქის მოქალაქენი“ ერთიანობისა და თანასწორობის დროშით ებრძოდნენ ადგილობრივ და რომაულ მონათმფლობელობას. „მზის სახელმწიფოში“ არ უნდა ყოფილიყო არც მდიდრები, არც ღარიბები, არც მონები, არც ბატონები. ამ მხრივ ძალიან ბევრზე მიუთითებს არისტონიკეს აჯანყებაში ფილოსოფოს-სტოიკოსისა და ძველი სამყაროს „უტოპიური სოციალიზმის“ წარმომადგენლის, ბლოსიოსის მონაწილეობა, როცა იგი ტიბერიუს გრაკხუსის განადგურების შემდეგ, რომიდან აზიაში ჩამოვიდა და აქაურ აჯანყებულებს არისტონიკესთან ერთად, სათავეში ჩაუდგა, როგორც თავისებური „იდეოლოგიური ხელმძღვანელი“.

ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ქვემოთ, სადაც განხილული უნდა იქნეს რომისა და „აღმოსავლური საკითხის“ შეხების წერტილები გრაკხუსების მოძრაობასთან დაკავშირებით. ახლა კი თვალი მივადევნოთ არისტონიკეს აჯანყების მსვლელობას.

აჯანყების ცენტრი ყოფილა ქალაქი ლევკი. აქედანვე იწყება „ჰელიოპოლიტთა“ გამოსვლა. სულ მოკლე ხანში, ლევკის გარდა, მათ მხარეზე გადავიდნენ დიდი ქალაქები — კოლოფონი და მინდოსი. ამის შემდეგ, აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდნენ პერგამოსის სხვა დიდი და მცირე ქალაქები და დასახლებული პუნქტები. რაკი მიზნები და ამოცანები მოსახლეობისათვის ნათელი და მრავლისაღმთქმელი იყო, აჯანყება დიდის სისწრაფით მოედო მთელს პერგამოსს. რომაელებთან ბრძოლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენარჩუნების იდეამ მასვილი ააღებინა პერგამოსის არისტოკრატიასაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა მალე დაინახა, რომ „თანასწორ ჰელიოპოლიტთა“ მოძრაობა მარტო რომის ძალადობის წინააღმდეგ როდი იყო მიმართული, იგი ადგილობრივი არისტოკრატიის განადგურებასაც ისახავდა მიზნად.

ამიტომ რომი და აზიური არისტოკრატია სასწრაფოდ გაერთიანდნენ აჯანყების ჩასახშობად. არისტონიკეს მოძრაობის მტერთა საყრდენი პუნქტი შეიქნა ეფესო, მდიდარი სავაჭრო-არისტოკრატული ქალა-

[1] Str. XIV, 38, 1.

ქი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ზედა ფენების ბატონობის ცენტრს მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში.

ეფესელმა მონათმფლობელებმა და რომაულმა გარნიზონებმა კომასთან გამართულ ბრძოლაში დაამარცხეს არისტონიკე, რის შემდეგ იგი წავიდა „ქვეყნის შიგნითა ოლქებში და იქ შეკრიბა მრავალი უქონელი ხალხი და მონები, რომელთაც თავისუფლებისაკენ მოუწოდებდა... ჯერ იგი შეიჭრა ფიატირში, შემდეგ აიღო აპოლონიდა და სასწრაფოდ შეუდგა დანარჩენ გამაგრებულ პუნქტთა აღებას"[1].

რომის ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა პერგამოსის გართულებულმა მდგომარეობამ. იგი ხელიდან ჰკარგავდა არა მარტო პერგამოსის ტერიტორიებს, რომლებიც მან ასე უსისხლო ექსპანსიის გზით მოიპოვა, არამედ, საერთოდ, საყრდენს აზიის კონტინენტზე შემდგომი ფართო აგრესიის საწარმოებლად. ამიტომ 131 წელს სენატმა არისტონიკეს წინააღმდეგ „ბრწყინვალედ გაწერთნილი ჯარით"[2] გაგზავნა კონსული და უმაღლესი ქურუმი (pontifex maximus) პუბლიუს ლიცინიუს კრასუსი.

ჰელიოპოლიტთა მოძრაობის ფართო განვრცობას მარტო რომისა და პერგამოსის ადგილობრივი არისტოკრატიის შეშფოთება არ გამოუწვევია, ატალიდების სახელმწიფოს სახალხო მასებისა და მონების აჯანყებამ შიშის ზარი დასცა მთელი მცირე აზიის მონათმფლობელურ ქვეყანათა მთავრობებს. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ ძლავრი სახალხო გამოსვლა პერგამოსიდან მათ სახელმწიფოებშიც შეიჭრებოდა და საყოველთაო სოციალურ-კლასობრივ მოძრაობად გადაიქცეოდა მთელი მცირე აზიის ელინისტურ-მონათმფლობელურ სისტემაში.

ამიტომ მცირეაზიელი დინასტები მაშინვე შეუკავშირდნენ რომს ჰელიოპოლიტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. კრასუსის ლეგიონებთან შესაერთებლად თავიანთი საომარი ძალები გაგზავნეს ნიკომედე ბითინელმა, არიარათე კაპადოკიელმა, პილემენე პაფლაგონიელმა და მითრიდატე მეხუთე-პონტოელმა. ოროზიუსის სიტყვით, ისინი რომაელებს მიეშველნენ „დიდი ჯარებით"[3]. ასევე წერს ევტროპიუსი: „პუბლიუს ლიცინიუს კრასუსმა (აზიელი) მეფეებისაგან უზარმაზარი დახმარება მიიღო"[4].

რომისა და აზიელი დინასტების ეს კავშირი გაცილებით უფრო ბუნებრივად გამოჩანს. ვიდრე რომაული divide et impera-ს პრინციპით მიღწეული შეთანხმებანი რომის აღმოსავლური პოლიტიკის

[1] Str. XIV, 38, 1.
[2] Oros. V, 10, 1.
[3] Oros. V, 10, 11.
[4] Eutr. IV, 20.

წინარე პერიოდებში, როცა რომის აგრესიის აღსაკვეთად აღმოსავლეთში ვერასდროს ვერ მოხერხდა „ერთი ჯიშის მქონე“ მონათმფლობელურ მთავრობათა გაერთიანებაც კი, მით უფრო ახლა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო იგივე აზიელ დინასტთა კავშირი მონათა და ღარიბ-ღატაკთა ბელადთან, რომელიც ხალხს სოციალური უთანასწორობის მოსპობას ჰპირდებოდა.

ამიტომ მოხდა ის, რაც ასეთ პირობებში ყოველთვის შემხდარა: შინა სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობანი გარე-პოლიტიკურ კონფლიქტებზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ. აღმოსავლური პოლიტიკის საკითხებში მოცილე რომის სენატი და აზიელი მეფეები ერთ ბანაკში გაერთიანდნენ მათი საერთო მტრის, თავისუფლებისა და თანასწორობის მაძიებელი ჰელიოპოლიტების წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ სმირნას მახლობლად. სასტიკი, სისხლისმღვრელი ბრძოლა აჯანყებულთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. რომაელები და მათი მოკავშირეები განადგურებულ იქნენ. ბრძოლაში დაიღუპა თვითონ კონსული და მთავარსარდალი პუბლიუს ლიციინიუს კრასუსი.

აჯანყებულთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალები ხელახლა გაერთიანდნენ. მომდევნო 130 წელს აზიაში დიდი არმიით ჩამოვიდა კონსული მარკუს პერპერნა. უკანასკნელ გენერალურ ბრძოლაში არისტონიკე დამარცხებული იქნა. მან გადარჩენილ თანამებრძოლებთან ერთად თავი შეაფარა ქალაქ სტრატონიკეას, ლიკიაში. ხანგრძლივი ალყის შემდეგ ინსურიგენტები დანებდნენ. არისტონიკე ბორკილდადებული გაგზავნეს რომში, როგორც დიდებული სამკაული პერპერნას ტრიუმფისა. მაგრამ ეს უკანასკნელიც ვერ მოესწრო საზეიმო სელის ჰელიოპოლიტებზე გამარჯვებისათვის: პერპერნა პერგამოსში გარდაიცვალა. ხოლო ჰელიოპოლიტთა ბელადი, სენატის განკარგულებით, საკანში დაახრჩვეს.

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ბლოსიოსმა — „ძმობა-ერთობა-თანასწორობის იდეურმა ხელმძღვანელმა“.

აჯანყების კერები მთლიანად მაინც არ ჩამქრალა. ამიტომ ამათი საბოლოოდ ჩაქრობისათვის პერგამოსში ახალი არმიით გაიგზავნა კონსული მანიუს აქვილიუსი (129 წ.), რომელმაც თავისი მისია სრულყოფილად შეასრულა.

ჰელიოპოლიტთა განადგურება დამთავრდა. პერგამოსის ყოფილი სამეფო რომაელებს ჩაბარდა de facto და de jure.

რომიდან ჩამოვიდა მორიგი კომისია, რომელსაც აქვილიუსთან ერთად უნდა გამოეცხადებინა „აზიის საქმეთა“ ახალი სტატუსი. პერგამოსის სამეფო გამოცხადებულ იქნა რომის პროვინციად. ამიერი-

-დან მას ეწოდებოდა „provincia Asia". მასში შევიდა მიზია, ლიდია, ფრიგია, თრაკიის ხერსონესი და კარია[1].

ამრიგად, რომის მსოფლიო სახელმწიფოს სისტემაში მოექცა პირველი აზიური პროვინცია, რომელსაც ამიერიდან დიდი როლი უნდა შეესრულებია რომის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, პოლიტიკურში — როგორც ძირითადი პლაცდარმი აზიის კონტინენტზე შემდგომში ექსპანსიის გასაფართოებლად, ხოლო ეკონომიკაში — როგორც ძირითადი არტერია რომის მატერიალური და ფინანსური ცხოვრების ბრუნვაში

ამრიგად, „რომაელი მონათმფლობელები და მიწათმფლობელი მაგნატები ზეიმობდნენ. პერგამოსი დაპყრობილი იყო. დაიძრნენ მცირე აზიისაკენ სპეკულანტები, მოხელეები და შემსყიდველები, როგორც გუნდი პარაზიტებისა, რათა ამოეწოვათ წვენები ახლად დაპყრობილი ნადავლიდან"[2].

3. სიცილიის მონათა მეორე აჯანყება

მესამე დიდი ეტაპი რომის სახელმწიფოში წარმოებული კლასობრივი ბრძოლისა, არის სიცილიის მონათა მეორე აჯანყება, რომლის დაწყება დაუკავშირდა რომის საშინაო და საგარეო საკითხთა უმძიმეს პირობებს. რომის შინასახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეს არის ხანა აგრარულ-რეფორმატული მოძრაობისა, აპულეუს სატურნინუსისა და სერვილიუს გლავციას მეთაურობით. სწორედ ამ მოძრაობის პარალელურად იწყება სიცილიის მონათა ახალი დიდი გამოსვლა, რომელიც ისევე როგორც სიცილიის მონათა პირველი აჯანყება, უფროსი გრახკუსის რეფორმატულ მოღვაწეობას უკავშირდება.

რომს ახალი დამთავრებული ჰქონდა მისი სამხედრო და მორალური ისტორიისათვის სამარცხვინო „იუგურთას ომი" და დიდი შიშინობის პირობებში ემზადებოდა ჩრდილოეთიდან დაძრული გერმანელი ტომების — კიმბრებისა და ტევტონების მოსაგერიებლად. 105 წელს 80.000-იანი რომაული არმია, რომელსაც სათავეში კონსული ცეპიონი ედგა, მთლიანად განადგურდა კიმბრ-ტევტონებთან ბრძოლაში. ასე დადგა „შავი პარასკევი" რომის სამხედრო ისტორიაში. რომს

[1] Piganiol A., La conquête romaine, Paris, 1921, 242.

[2] **Мишулин А. В., Восстания рабов и аграрное движение Гракхов. Сулланская реакция, М., 1940, 20.**

სარევანშო ბრძოლისათვის დიდი სამზადისი ჰქონდა. ამ სამზადისს სათავეში უდგა იმპერიის იმდღევანდელი გმირი გაიუს მარიუსი.

დიდი ომებითა და მძაფრი ეკონომიური და სოციალური კრიზისით გაჩანაგებულ იტალიელ გლეხობას ძალიან უკირდა შეევსო რომის სამოქალაქო ლაშქარი და ამიტომ მარიუსმა კიმბრ-ტევტონებთან საომარი ახალი არმიის დაკომპლექტება რომის სამფლობელო პერიფერიებიდან, მათ შორის აღმოსავლეთ „მოკავშირე ქვეყნებიდან" სცადა. ასე-მან 104 წელს დამხმარე ჯარები სთხოვა ბითინიის მეფე ნიკომედეს.

მეტად საინტერესოა ბითინიელის პასუხი მარიუსის მოთხოვნაზე. იგი რომაელ კონსულს ატყობინებს, რომ მთელი ბითინია ჩავარდნილია რომაელი პუბლიკანების, შემსყიდველებისა და მევახშე-ფინანსისტების ვალში: დაკაბალების ნიადაგზე, ბითინიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონად არის გაყიდული. ამიტომ მარიუსის თხოვნის (თუ მოთხოვნის) შესრულება მას არ შეუძლია.

რომის ხელისუფლება შეაშფოთა შექმნილმა მდგომარეობამ — მაგრამ, რასაკვირველია, არა იმან, რომ დაპყრობილი ქვეყნები რომაელ მონათმფლობელებს ასეთ დღეში ჰყავდათ (ეს მათ ყოველთვის კარგად იცოდნენ), არამედ მას აფიქრებდა მხოლოდ ის, რომ ახალი ძლიერი გარეშე მტრის გასანადგურებლად ახალი არმიის დაკომპლექტება ძნელდებოდა.

ამიტომ სენატმა მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება: მან განკარგულება გასცა, გათავისუფლებულიყო ყველა „თავისუფლად დაბადებული მოკავშირე". ეს ბრძანება დაეგზავნათ პრეტორებს პროვინციებში.

სიცილიის პრეტორი — ლიციანიუს ნერვა შეუდგა მონათა განთავისუფლებას. მონის ბორკილი მოიხსნა უკვე რვაასზე მეტმა ადამიანმა. მაგრამ სენატის „უცნაური" განკარგულებით შეშფოთებულმა მსხვილმა მონათმფლობელებმა ნერვა მოისყიდეს, თუ შეაშინეს, და იმანაც მონების განთავისუფლება შეწყვიტა.

ეს სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ მონათა ბორკილებით დამძიმებული კუნძული ერთბაშად აფეთქებულიყო.

დაიწყო იმით, რომ სირაკუზის მახლობლად თავი მოიყარა ორასამდე მონამ, რომლებიც შეუდგნენ თავიანთ ბატონთა ხოცვას. მათ შორის ნერვამ აღმოაჩინა მოღალატე, რომლის შემწეობით აჯანყებულები ერთბაშად გაჟლიტა. მაგრამ პრეტორს თავისი სისხლიანი საქმე ხეირიანად არც კი დაემთავრებინა, რომ კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ჰერაკლეას რაიონში, იფეთქა ახალმა აჯანყებამ. აქ მონებმა მოჰკლეს რომაელი მხედარი-ფინანსისტი პუბლიუს კლონიუსი.

სანამ ნერვა ახალ დამსჯელ რაზმებს ამზადებდა, აჯანყებულები უკვე 2.000 კაცს მოითვლიდნენ.

ნერვამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნა ჰენას გარნიზონი, მარკუს ტიციენიუსის მეთაურობით. მონებმა ტიციენიუსის რაზმები სასტიკად დაამარცხეს. გადარჩენილებმა იარაღი დაჰყარეს და გაქცევით უშველეს თავს; ამ გამარჯვებისთანავე აჯანყებულთა რიცხვი გაიზარდა 6.000-მდე.

აჯანყებულებმა კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზაცია შექმნეს, მეფედ გამოაცხადეს ისევ ს ი რ ი ე ლ ი მონა სალვიუსი, რომელმაც სამეფო სახელად ტრიფონი დაირქვა.

სალვიუს-ტრიფონმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი მონათა ა ხ ა ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ორგანიზაციის საქმეს. პირველ რიგში მან ყველაზე დიდ საზრუნავ საქმედ გაიხადა არმიის რეორგანიზაციის საკითხები. 20.000 აჯანყებულისაგან ტრიფონმა შექმნა ქვეითი არმია, რომელიც დაყოფილი იქნა სამ ნაწილად. მათ სათავეში ჩაუყენა გამოცდილი მეთაურები. ორგანიზებული იქნა კავალერია 2.000 მხედრის შემადგენლობით. მეფის ბრძანებით შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა არმიის მომარაგების, ფურაჟირებისა და ადგილმდებარეობათა რეკოგნოსცირების საქმეებს.

ტრიფონმა სასტიკი იერიშები მიიტანა ქალაქ მორგანტინაზე. აქ მან დაამარცხა პრეტორის არმია, ხელთ იგდო 4.500 იტალიელი და მასთან დიდძალი რომაული შეიარაღება. ამ გამარჯვებამ აჯანყება კიდევ უფრო გააძლიერა და განავითარა; მონათა და ღატაკ მიწათმოქმედთა ლტოლვა აჯანყებულებთან შესაერთებლად არ წყდებოდა. ტრიფონის საბრძოლო დროშის ქვეშ უკვე 44.000 მეომარი იდგა.

მორგანტინაზე იერიშები გრძელდებოდა. ქალაქს იცავდნენ მონები, რომელთაც ტრიფონი აჯანყებისაკენ მოუწოდებდა. თავის მხრივ, მორგანტინელი მონათმფლობელები თავისუფლებას აღუთქვამდნენ მონებს, თუ ეს უკანასკნელნი ერთგულად იბრძოლებდნენ ქალაქის დასაცავად. მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ მონათმფლობელის აღთქმა მონისათვის ყოველთვის უსაგნო დაპირებაა და სხვა არაფერი. მონათმფლობელებმა პირობა არ შეასრულეს. მაშინ მონებმა ქალაქი მიატოვეს და აჯანყებულებს შეუერთდნენ. ტრიფონის რაზმები ლეონტინის ველ-მინდვრებს შეესივნენ და იქაურ მონათმფლობელთა მეურნეობანი თავიანთ სახელმწიფო ტერიტორიებს შეუერთეს.

წარმატებები კიდევ უფრო ზრდიდა და აფართოებდა აჯანყების მასშტაბს, სიცილიის დასავლეთ ნაწილში, სეგესტისა და ლილიბუემის ოლქში, გაჩნდა მონათა აჯანყების ახალი დიდი კერა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მამაცი და ენერგიული მონა ათენიონი, წარმოშობით კ ი ლ ი კ ი ე ლ ი.

ათენიონი ლილიბეუმის იერიშების შემდეგ 10.000 მონა-მეომრით გაემგზავრა სალვიუს-ტრიფონისაკენ. მონათა წორის ბანხეთქილების ვარაუდი არც ახლა გაუმართლდათ მონათმფლობელებს. სალვიუსი და ათენიონი შეერთდნენ. პირველი კვლავ მეფედ დარჩა, ხოლო მეორე გაერთიანებულ მონათა ჯარების მთავარსარდლად გამოცხადდა.

აჯანყებულებმა აიღეს ქალაქი ტრიოკალა და გადააქციეს იგი თავიანთ სახელმწიფოს მთავარ ცენტრად და ციხე-სიმაგრედ. მათი არჩევანი საგანგებოდ გამართლებული იყო, რადგან ტრიოკალა მდებარეობდა კლდიანად მაღლობზე: მასში უხვად იყო გემრიელი წყაროს წყლები; გარშემო ჰქონდა ნოყიერი ველ-მინდვრები, პურის ყანებით, ცენახებით და ზეთისხილის ბაღებით.

ტრიოკალაში მეფე ტრიფონმა ააგო სამეფო სასახლე. აქვე თავის გარშემო შემოიკრიბა „ჰეტერ"-მეგობართა და უახლოეს პირთა საბჭო. ცალკე მოაწყო დიდი ბოედანი სახალხო კრებისათვის.

ამრიგად, აჯანყების პირველ წელს (104) მონებმა ხელთ იგდეს ყუნძულის დიდი ნაწილი და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი სამმართველო აპარატით.

მომდევნო წლიდან (103) იწყება მონათა სიცილიური სახელმწიფოს დიდი ბრძოლები რომაულ არმიებთან.

მიუხედავად იმისა, რომ რომს ძლიერ უჭირდა კიმბრ-ტევტონებთან ომის პირობებში, მაინც სენატი იძულებული შეიქნა სიცილიაში გადაესროლა დიდი არმია (17.000 მეომრით) პრეტორ ლუციუს ლიციანიუს ლუკულუსის სარდლობით.

ბრძოლა მოხდა სკირტეას მახლობლად. ორივე მხარე დიდის თავგანწირვით იბრძოდა. გამარჯვების სასწორი ქანაობდა. ბოლოს ბრძოლაში დაიჭრა ათენიონი, რომელიც საოცარი სიმამაცით ამხნევებდა ბავისიანებს. ბრძოლიდან მისი გასვლით და აჯანყებულთა მხნეობის დაკარგვით ისარგებლეს რომაელებმა და უპირატესობასაც მიაღწიეს. 20.000 მონა-მეომარი ემსხვერპლა ამ დღეს. დანარჩენებმა უკან დაიხიეს და თავდაცვით პოზიციებზე დადგნენ. ლუკულუსმა ვეღარ შეძლო პირველი წარმატების გამოყენება. სიცილია კვლავ მონებს რჩებოდათ. ხელმოცარული სარდალი რომში გაიწვიეს, სამართალში მისცეს და სამშობლოდან გაძევება მიუსაჯეს.

102 წელს სიცილიაში ახალი რომაული არმია გაჩნდა პრეტორ გაიუს სერვილიუსის სარდლობით. მაგრამ სერვილიუსი სავსებით უსახელოდ გაბრუნდა რომში, სადაც იგი ლუკულუსის მსგავსად იქნა დასჯილი. ამავე წელს გარდაიცვალა მეფე ტრიფონი. მისი ადგილი ათენიონმა დაიკავა. მთელი წლის განმავლობაში ათენიონს წარმატებით მიჰქონდა იერიშები ჯერ კიდევ მონათა სახელმწიფოს გარეშე დარჩენილ ქალაქებზე და სხვა დასახლებულ პუნქტებზე.

ამასობაში გაიუს მარიუსმა დაამთავრა კიმბრ-ტევტონური საფრთხის ლიკვიდაცია და რომს ახლა ორიეე ხელი ეხსნებოდა აჯანყებულ მონებთან ანგარიშის გასასწორებლად. 101 წელს სიცილიისაკენ დიდძალი არმიით გაეშურა კონსული გაიუს ატილიუსი.

ჭ. მესანის მახლობლად გაიმართა გენერალური ბრძოლა. არმიათა შეტაკების წინ მოხდა ორთაბრძოლა ათენიონსა და ატილიუსს შორის. ათენიონი მოკლულ იქნა, ხოლო კონსული მძიმედ დაიჭრა. ბრძოლაც რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა.

მაგრამ აჯანყების მთლიანად ჩაქრობა მაინც არ მოხერხდა. მონები ცალკეულ რაზმებად, პარტიზანულად, კვლავ განაგრძობდნენ თავგანწირულ ბრძოლას. მათ შორის განსაკუთრებული სიმამაცითა და ენერგიულობით გამოირჩეოდა 1.000 მონისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც მეთაურობდა ვინმე სატირი. ბოლოს, სატირი თავისი რაზმით, და დანარჩენ აჯანყებულთა ჯგუფებიც, ხელთ იგდეს რომაელებმა.

ხუთწლიანი (104—99) ხოცვა-ჟლეტა და სიცილიის მონათა მეორე აჯანყება დამთავრდა.

ამგვარად, ისე, როგორც სიცილიის მონათა პირველი აჯანყება, ასევე მეორეც, აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლის ისტორიას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებენ თითქმის ისეთივე არგუმენტები, რომლებითაც მტკიცდება „აღმოსავლური ხასიათი" სიცილიის მონათა პირველი აჯანყებისა. სახელდობრ:

1. აჯანყების მთავარი გმირები (წყაროებში სახელებით მოხსენიებულნი) აღმოსავლეთიდან არიან: სალვიუსი სირიელია, ათენიონი — კილიკიელი; სატირიც, როგორც მისი სახელის ბერძნული წარმოშობა გვიჩვენებს, აგრეთვე აღმოსავლეთის რომელიღაც ქვეყნიდანაა (შესაძლოა საბერძნეთიდან).

2. სალვიუსისა და ათენიონის პოპულარობა და მათ მიმართ მონათა სწრაფი და უერთგულესი მხარდაჭერა მეტყველებს აჯანყებულთა „აღმოსავლურ". კერძოდ, აზიურ წარმოშობაზე.

3. სალვიუსის მეფედ გამოცხადება და სახელმწიფოს შექმნა აღმოსავლური პრინციპებით;

4. ბოლოს, აზიური ქვეყნის, ბითინიის მოსახლეთა მონადქცევა და სენატის მითითების თანასმად მათი განთავისუფლების დაწყება სიცილიაში, რაც აჯანყების საბაბი გახდა. ერთხელ კიდევ მიუთითებს აღმოსავლელი — აზიელი მონების აბსოლუტურ სიმრავლეზე სიცილიაში. ამრიგად:

სიცილიელი მონების მეორე აჯანყებაც, რომელიც თითქმის ხუთი წლის მანძილზე გაგრძელდა, არის აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლის ისტორია რომაულ მონათმფლობელურ სისტემაში.

მონადქცეულ აღმოსავლეთის ხალხთა ამ აჯანყებამაც დაამტკიცა,

რომ ისინი რომაულ მონათმფლობელურ სისტემაში წარმოადგენენ უაღრესად „რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ“ ელემენტს.

სიცილიის მეორე აჯანყების მონაწილენი არიან ღირსეული გამგრძელებელნი კლასობრივი ბრძოლის ბრწყინვალე ტრადიციისა, რომელსაც საფუძველი დაუდეს სიცილიის პირველი აჯანყების გმირებმა და სახელოვნად განაგრძეს „წმინდა“-აზიელმა“ ჰელიოპოლიტებმა.

აღმოსავლეთიდან გარეკილმა მაღალკულტურულმა, თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა, რომლებიც რომაელებმა მონობის ხუნდებით დაბორკეს, ამჯერადაც თავგანწირული ბრძოლით თავისუფლება დაიბრუნეს და კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნეს. იგი ხუთი წელი ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რომის მსოფლიო სახელმწიფოებრივ სისტემაში.

მაშასადამე, ისე როგორც „ახალი სირიის სამეფო“ და „ჰელიოპოლიტების“ დამოუკიდებელი სახელმწიფო გაერთიანება, სიცილიის მეორე აჯანყების მამოძრავებელთა მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთობაც ამიერიდან გ ა ნ ხ ი ლ ულ უ ნ დ ა ი ქ ნ ე ს რ ო გ ო რ ც ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ-ე ლ ი ნ ი ს ტ უ რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო, როგორც თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლის უბრწყინვალესი შედეგი, როგორც დიდებული ძეგლი კლასობრივი ბრძოლის ისტორიისა...

ამჯერად ჩვენი განხილვის გარეთ რჩება მონათმფლობელური სისტემის „აღმოსავლურ უბანში“ მომხდარი კლასობრივი ბრძოლის ისეთი ნათელი მაგალითი, როგორიცაა ბოსფორის მონათა აჯანყება სავმაკის მეთაურობით, რადგან იგი არ უკავშირდება რესპუბლიკური რომის კრიზისულ საკითხებს. მაგრამ რამდენადაც იგი საერთოდ მონათმფლობელური სისტემისათვის დამახასიათებელ კლასობრივ ბრძოლათა სერიას განეკუთვნება, მისი „აღმოსავლურობა“ ძალიან ბევრს მეტყველებს აღმოსავლეთის ხალხთა „რევოლუციური“ განწყობილების სასარგებლოდ, საერთოდ რომაული მონათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ განვიხილავთ, აგრეთვე, მონათა აჯანყების უბრწყინვალეს ფურცელს, სპარტაკის აჯანყებას, რადგან მისი ნაციონალური შედგენილობის დადგენა, ამ საკითხისადმი წყაროთა „გულგრილი“ დამოკიდებულების გამო, შეუძლებელი ხდება. ამიტომ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სპარტაკის აჯანყების მამოძრავებელ ძალებშიც „აღმოსავლური ელემენტი“ დომინანტობდა, თუმცა ამის სასარგებლოდ ბევრს მე-

ტყველებს თვითონ სპარტაკის „აღმოსავლური“ (თრაკიული) ბელადის გრანდიოზული ავტორიტეტი და მის თანამებრძოლთა შორის მისდამი ფანატიკური თაყვანისცემა, თუნდაც აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ მონათა შორის სპარტაკის შემდეგ ყველაზე პოპულარული ბელადი ენომაი წარმოშობით, აგრეთვე „აღმოსავლეთიდან“ (საბერძნეთიდან) იყო.

ერთი სიტყვით, მონათა „რევოლუციური“ ჯაჭვის ხუთი დიდი რგოლიდან ოთხის (სიცილიის მონათა პირველი, ჰელიოპოლიტთა, სიცილიის მონათა მეორე და სავმაკისა) მამოძრავებელი ძალები ძირითადად წმინდა „ა ღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი“ წარმოშობისა იყო. ავრეთვე, მეხუთეშიც, სპარტაკის აჯანყებაში, უეჭველად, ერთ-ერთ წამყვან როლს აღმოსავლეთიდან გარეკილი მონები ასრულებენ.

ამგვარად, სამოქალაქო ომების ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხში — მონათმფლობელური რესპუბლიკის წიაღში ამტყდარი კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში — წ ა მ ყ ვ ა ნ რ ო ლ ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ხ ა ლ ხ ე ბ ი ა ს რ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ. ისინი, რომაელთაგან მონადქცეულნი, ყ ვ ე ლ ა ზ ე ა ქ ტ ი უ რ „რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ“ ძ ა ლ ა ს წარმოადგენდნენ რომის საზოგადოებრივი კ რ ი ზ ი ს ი ს ისეთ თვალსაჩინო უბანზე, როგორიცაა მონათა აჯანყებანი. ხოლო კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე, როგორც „სამოქალაქო ომების“ ყველაზე სახიფათო უბანი, რომს უბიძგებდა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ი ს შ ე ც ვ ლ ი ს ა კ ე ნ. ე. წ. რესპუბლიკური კონსტიტუციით შეუძლებელი ხდებოდა სამოქალაქო ომების ყველაზე „რევოლუციური“ ძალის, მონათა გამოსვლების შეკავება. დრო მოითხოვდა უფრო ცენტრალიზებული, ყოვლისმომცველი იმპერიუმის (imperium summum) თავმოყრას, კონსოლიდაციას. თუ რომს სურდა ის დარჩენილიყო მსოფლიოს მბრძანებელი და მასთან შეენარჩუნებინა სისტემა მონათმფლობელობისა, მას ხელი უნდა აეღო პოლისურ კონსტიტუციაზე და შეეცვალა იგი ახალი, ცენტრალიზებული, საიმპერატორო ხელისუფლებით.

რაკი ასეთი აუცილებლობის წინაშე რომი პირველ რიგში მ ო ნ ა თ ა აჯანყებებმა დ ა ა ყ ე ნ ა, მაშასადამე, ამ აუცილებლობის წარმოშობაში ერთ-ერთი მ თ ა ვ ა რ ი როლის შემსრულებელნი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმოსავლეთის ხალხები ყოფილან.

ახლა განვიხილოთ სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც მონათა გამოსვლების გვერდით, დიდი როლი შეასრულეს რომის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური სისტემის შეცვლაში.

„ალმოსავლეთის საკითხის" აღგილი რომის შიდაკლასობრივ ბრძოლაში

1. ტიბერიუს გრაკხუსის მოღვაწეობა

რომის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ყველა ელემენტი მტკიცე კავშირშია ერთიმეორესთან. ისინი, ურთიერთისაგან გამომდინარენი და ერთმანეთის წარმომშობნი, ჰქმნიან ერთ მთლიან გორდიოსის კვანძს. რესპუბლიკური რომის ყოველმხრივ კრიზისს.

რომაული სისტემის დამჩიხველ ელემენტთაგან ყველაზე უფრო მტკიცე კავშირ-ურთიერთობაში იმყოფებიან მონობისა და თავისუფალი გლეხობის საკითხები, ანუ მონური შრომისა და გლეხური მიწათმეურნეობის საკითხები, ხოლო აქედან გამომდინარე — მონათა აჯანყებანი და საგლეხო-რეფორმატორული მოძრაობანი.

პირველი უკვე განვიხილეთ: ახლა მივმართოთ მეორეს:

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინა მონური შრომის აბსოლუტურმა გავრცელებამ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობაზე. მონათმფლობელობის კლასიკურ სისტემად გადაქცევამ, რაც სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგში მონური შრომის დამკვიდრებას გულისხმობდა — რომის ეკონომიური ცხოვრების ძირითად საძირკველს — მიწათმოქმედებას — მოსწყვიტა თავისუფალი გლეხი-მოქალაქე და იგი უმიწაწყლო, დეკლასირებულ, პარაზიტ ლუმპენპროლეტარად აქცია.

' იმავე დროს, იმავე პროცესმა თავისუფალი აგრიკოლას ეკონომიური განადგურების შედეგად, რომს საგრძნობლად შეუმცირა მეომარმოლაშქრეთა კონტიგენტები. კატონი ამბობს: „მიწათმოქმედთაგან გამოდიან ყველაზე ერთგული ადამიანები და უაღრესად მედგარი ჯარისკაცები"[1]. ხოლო რომმა მონათა „შემოსევების" წყალობით ერთდროულად დაჰკარგა აგრიკოლა და ლეგიონერი, — სახელმწიფოს ეს „საუკეთესო ზნეობის მქონე ადამიანთა მოდგმა (genus hominum optime moratum)"[2].

გარკვეული დროის მანძილზე, სანამ მონური შრომა რენტაბელობას შეინარჩუნებდა, შესაძლებელი იყო მონას გლეხი შეეცვალა, რო-

---

[1] Cato, De agri cultura. 3.

[2] Cic. De lege agr. lib., II, XXXI, 85.

გორც მეურნე, მაგრამ სავსებით შეუძლებელი იყო, რომ მონას იგი (გაპროლეტარებული აგრიკოლა) შეეცვალა, აგრეთვე, როგორც მეომარი. რომის მონათმფლობელთათვის არმიების მონებით დაკომპლექტება თვითმკვლელობას უდრიდა. ბრნის, როგორც მეომრის გაწოყვანა მხოლოდ ცალკეულ, მცირე მასშტაბის, ლოკალური ხასიათის ბრძოლაში თუ შეიძლებოდა — როგორც მცირე მოვალეობის მქონე მეომარი-„პაიკი“ გაბატონებული სოციალური წრის ან ცალკე პიროვნების ხელში. ხოლო, წარმოუდგენელია, რომში ვინმეს აზრად მოსვლოდა, მონათა იმ აურაცხელი კონტიგენტებისათვის, რომლებმაც რომის მთელი სამეურნეო ცხოვრება „დაიპყრეს“, ბორკილები აეყარათ და ხელში მახვილი მიეცათ.

მაშასადამე, მთავარი საჭირბოროტო საკითხი, რომელიც, როგორც „სნეულება № 1“ ღრღნიდა რომაული სისტემის გულს, — ეს იყო, მონათმფლობელობის აბსოლუტური დამკვიდრებიდან გამომდინარე, თავისუფალი გლეხისა და მეომრის დაკნინება: „აღარ არიან მეომარნი შვილნი გლეხთანი“[1].

მაშ, საკითხი ასე იდგა: **როგორ უშველოს** რომმა გლეხს? როგორ დაუბრუნოს იგი სამეურნეო ცხოვრებას? როგორ აღადგინოს იგი როგორც მსოფლიოს ზარდამცემი ლეგიონერი, ურომლისოდაც შეუძლებელია დაპყრობილ ქვეყანათა შენარჩუნება, ახალ აგრესიათა წარმოება, მონათა ახალი რეზერვების მორეკვა და მათი რევოლუციურობის გაუვნებელყოფა?

სწორედ ამ საკითხების გადაჭრაზე ბევრს ფიქრობდა იმჟამინდელ რომში ყველაზე მოწინავე „ინტელიგენტური“ მიმდინარეობა, ე. წ. „სციპიონის წრე“. მაგრამ მისმა უფროსმა წარმომადგენლებმა ვერ გაბედეს რაიმე ძირფესვიანი რეფორმის გატარება.

ბოლოს, დიდი რეფორმატორული გეგმებით გამოდის სახელოვანი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი. 133 წელს ის გავიდა სახალხო ტრიბუნად და სახალხო კრებას წარუდგინა კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა წვრილი და საშუალო მიწათმეურნეობის აღდგენას მსხვილი ლატიფუნდიალური მეურნეობის შემცირების ხარჯზე. კონკრეტულად, გრაკხუსის კანონ-პროექტის მიხედვით, წესდებოდა სახელმწიფო მიწის (ager publicus) მფლობელობის მაქსიმუმი, — ერთ ოჯახზე 1.000 იუგერი (500 იუგერი ოჯახის უფროსს და 250—250 იუგერი ორ უფროს ვაჟს). გადარჩენილი მიწის ფონდი 30—30 იუგერის რაოდენობით უნდა ვადასცემოდა გაღატაკებულ მოქალაქეებს სამუდამო სამკვიდრებლად, გაყიდვის უფლების აკრძალვით, რამეთუ ამ გზით აღკვეთილიყო წვრილ მიწათმეურნეობათა შემდგომი პაუპერიზაცია.

---

[1] Horat., Carm. III, 6.

ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლად სახალხო კრებას განსაკუთრებული რწმუნებებით უნდა აერჩია კომისია სამი კაცის შემადგენლობით (triumviri agris iudicandis assignandis).

ამგვარად, ტიბერიუს გრაკხუსის აგრარული კანონით შესაძლებელი ხდებოდა მონურ შრომაზე დამყარებული მსხვილი მიწათმეურნეობის შემცირება და წვრილი და საშუალო გლეხობის აღდგენა. ხოლო ამის საფუძველზე, ერთსა და იმავე დროს ორი დიდი საკითხიც გადაიჭრებოდა: რომის სამხედრო ძლიერების აღდგენა და მონათა აჯანყებების საფრთხის აღკვეთა.

წყაროებში აშკარად ჩანს, რომ ტიბერიუსი თავისი რადიკალური გამოსვლის უშუალო მიზეზებად სწორედ ამ უკანასკნელ საკითხთა (სამხედრო და მონათა) გადაჭრას გულისხმობდა. იგი კარგად ხედავდა, რომ ხალხი შეშფოთებული იყო მონათა სიმრავლით, მათგან თავისუფალ მიწათმოქმედთა გაძევებით და ამის ნიადაგზე, მეომარ-„მოკავშირეთა" საომარი წყობილებიდან გამოყვანით. „ყველაფერ ამას ხალხი უკმაყოფილოდ უცქერდა, იგი შიშობდა, რომ იტალია მას უკვე ვეღარ მისცემს საკმარისად დიდ მოკავშირეთა რიცხვს; ისედაც მდგომარეობა სახიფათო ხდებოდა მონათა ასეთი სიმრავლის გამო"[1].

მეორეგან აპიანე წერს, რომ „გრაკხუსის მიზანი იყო არა ღარიბთა კეთილდღეობის შექმნა, არამედ ის, რომ მათი სახით სახელმწიფოს მიეღო ბრძოლისუნარიანი ძალა". ე. ი. წვრილი და საშუალო მიწათმოქმედების დაბრუნება სამეურნეო ცხოვრებაში უპირველეს მიზნად ისახავს მის დაბრუნებას საომარ ლაშქარში. ამ მიზნის განხორციელებას კი ხელს უშლის უაღრესად გამსხვილებული ლატიფუნდიები, სადაც თავს იყრიან აურაცხელი უცხოელები — მონები. „განა, მონა ხალხთაგან ადამიანია, როგორც მოქალაქე? განა მეომარი უფრო სასარგებლო არ არის, ვიდრე კაცი, რომელიც არ იბრძვის"[2]? ამბობდა ტრიბუნი.

პლუტარქე კი გაიუს გრაკხუსის ჩანაწერს იმოწმებს და ამტკიცებს, რომ ტიბერიუსმა სწორედ მაშინ გადაწყვიტა თავისი რეფორმის შედგენა, როცა იტალიაში თავისუფალ მიწათმოქმედთა ნაცვლად სხვადასხვა ქვეყნიდან მორეკილი, აურაცხელი მონადექცეული უცხოელი ნახა. „ტიბერიუსის ძმა გაიუსი, თავის მხრივ, ერთ-ერთ ჩანაწერში ამბობს: — როცა ნუმანციაში მიმავალმა ტიბერიუსმა ეტრურიაზე გადაიარა, აქ მან უდაბნოდქცეული ეხარე იხილა და ღაინახა, რომ ისინი, ვინც მიწას ხნავდნენ და საქონელს აძოვებდნენ, სულ უცხოელები და ბარბაროსები იყვნენ. აი, მაშინ მოუვიდა პირველად გონებაში მას ის პო-

[1] App. Bel. civ., I, 8.
[2] ibid. 11.

ლიტიკური განზრახვა, რამაც მასაც და მეც ათასი უბედურება დაგვატეხა თავს"[1].

ტიბერიუსი თავის სიტყვაში კომიციების წინაშე ხაზს უსვამს მონათა სიმრავლესაც, მათ საბრძოლო უვარგისობასაც და მათ მტრულ ბუნებასაც. „გრაკხუსი გულისწყრომით ლაპარაკობდა" მონის ყველა ამ სახიფათო თვისებებზე.

ტრიბუნი განსაკუთრებული სიმახვილით მიუთითებდა მონათა ვაჟქიურებაზე, რის მაგალითიც თვალწინ ჰქონდა სიცილიის მონათა (აღმოსავლეთის ხალხთა) აჯანყების სახით. „ის მოაგონებდა (რომაელებს) თუ რა ზიანი განიცადეს მონათმფლობელებმა ამ ცოტა ხნის წინათ მონებისაგან სიცილიაში, რომელთა რიცხვი ძალიან გაიზარდა სამიწათმოქმედო სამუშაოებზე მონათა ხელის საჭიროების გამო; რა ძნელად და დიდხანს მოუხდათ ბრძოლა რომაელებს ამ მონებთან; როგორ გაჭიანურდა ეს ბრძოლა და რამდენი სხვადასხვანაირი და სახიფათო მხარეები ჰქონდა მას"[2].

უფროსი გრაკხუსის გამოსვლას, დიდი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობის მიზნებთან ერთად, საფუძვლად ედო დიდი პოლიტიკური მისწრაფებანიც, რაც ხასიათდება მანამდე გაუგონარი ნოვატორობით. ამაზე მეტყველებს მოელენათა მსვლელობა ნოვატორი-ტრიბუნის რეფორმის მიღება-განხორციელებასთან დაკავშირებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტიბერიუსის კანონ-პროექტს ხალხი შეხვდა უდიდესი აღფრთოვანებით, ხოლო სენატორები და ნობილები უაღრესი მტრობითა და გააფთრებით.

როცა სენატმა ტრიბუნის togatio-ს უარი უთხრა, ტიბერიუსმა გადაწყვიტა, კანონ-პროექტი სენატის განხილვისა და მოწონების (auctoritas senatus) გარეშე გაეტანა სახალხო კრებაზე. მაშინ სენატორებმა, თავის მხრივ, გრაკხუსის ამ „თვითნებობას" დაუპირისპირეს მისი ერთ-ერთი კოლეგა-ტრიბუნი, ოქტავიუსი, რომელსაც, როგორც მსხვილ ლატიფუნდიარს, არ მოსწონდა ტიბერიუსის ღონისძიები. იგი წაქეზეს, ტრიბუნის „veto" დაედო და ამგვარად გაეუქმებინა კანონ-პროექტი. ოქტავიუსმაც გამოიყენა veto-ის ჩარევის (intercessio) უფლება და ტიბერიუსის კანონ-პროექტი შეაჩერა. ამგვარად დაირღვა ტრიბუნატისთვის აუცილებელი ერთმხრივობის პრინციპი (de omnium sententia) ამით თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო.

მაგრამ როცა ტიბერიუსი ვერც სვეწნა-მუდარით, ვერც მუქარით ოქტავიუსთან ვერაფერს გახდა, იგი ახალი, უფრო გადამჭრელი ბრძოლის გზაზე დადგა. მან მიმართა ბრძოლის ისეთ ხერხს, რომლის გამო-

[1] Plut. Ti. Gr., 8.

[2] App. Bel. Civ., I, 9.

ყენებაც საკმაოდ უხერხულ და შეუფერებელ დროს სცადა პრეტორმა იუვენციუს თალნამ. სახელდობრ, გრაკხუსმა სახალხო კრების წინაშე დააყენა საკითხი სახალხო ტრიბუნის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. გრაკხუსის მიერ უმაღლესი მაგისტრატის — ისიც სახალხო ტრიბუნის თანამდებობიდან გადაყენება, „რესპუბლიკის დამცველთა" მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც სავსებით ახალი, უპრეცედენტო ბოროტმოქმედება. გრაკხუსმა კი თავისი გაიტანა: სენატის ანგარიშგაუწევლად, სახალხო კრებაზე კენჭისყრისა და ტრიბების ერთხმივი მხარდაჭერის შედეგად, ოქტავიუსი თანამდებობიდან გადააყენა, მის ნაცვლად, ტრიბუნად თავისი კლიენტი, მუციუსი გაიყვანა. ამრიგად, ტიბერიუს გრაკხუსის კანონი (lex Sempronia) ძალაში შევიდა. მისი პრაქტიკული განხორციელება დაეკისრა აგრეთვე სახალხო კრებისაგან არჩეულ სამკაციან კომისიას, რომელშიც შედიოდნენ თვით ტიბერიუსი, მისი ძმა გაიუსი და სიმამრი აპიუს კლავდიუსი.

სენატორები, რა თქმა უნდა, იარაღს არ დაჭყრიდნენ. ისინი უბრალოდ, შავადმოსილი და მგლოვიარე პროტესტანტობით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ შორის ყველაზე აქტიური, უმაღლესი ქურუმის, სციპიონ ნაზიკას წინადადებით, სენატმა სამიწათმოქმედო კომისიას უარი უთხრა საჭირო ფინანსებზე.

მაშინ ტიბერიუს გრაკხუსმა, რეფორმის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის, მიმართა სახსრებს, რომლებიც სწორედ დროზე მოვიდა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს გზით. რომის ფორუმზე გამოჩნდა ატალ მესამე პერგამოსელის ელჩი ევდემე, ცნობილი ანდერძით ხელში. ტიბერიუსმა, კვლავ სენატის auctoritas-ს გარეშე, პერგამოსის მეფეთა მთელი მემკვიდრეობა, სახალხო კრებაზე გატარებული სპეციალური კანონის ძალით, ხალხის საკუთრებად გამოაცხადა: უპირველესად ყოვლისა, პერგამოსის ხაზინა უნდა მოხმარებოდა მიწების ხელახალი გადანაწილებისა და ახლადფეხამდგარ აგრიკოლების მიწათმეურნეობის მოწყობის საქმეს.

ტიბერიუსმა „მაშინვე წამოაყენა კანონი, რომ პერგამოსის სამეფოს ხაზინა გადასცემოდა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ხელახლა განაწილებული მიწები მიიღეს, რათა ამ ხაზინის ფულები მათ მიწათმეურნეობის გამართვაში შეშველებოდა. რაც შეეხება ატალის სამეფოში შემავალ ქალაქებს, ამ საკითხზე ტიბერიუსმა განაცხადა, რომ ამ ქალაქების ირგვლივ მსჯელობა სენატს სრულებითაც არ ეხება და მათი ბედის გადაწყვეტა მთლიანად ხალხს უნდა მივანდოთ"[1].

ამრიგად, სენატს, რესპუბლიკის ტვინსა და გულს, ხელი უნდა აეღო ათეული წლების ნაოცნებარზე, რომელიც ხანგრძლივ სამხედრო

[1] Plut. Ti. Gr., 14.

და დიპლომატიურ ღონისძიებათა ხარჯვის შემდეგ, ხელთ უვარდებოდა მოპირდაპირე ბანაკს — ხალხს, „დემოსს“.

ტიბერიუსის ეს ახალი კანონი ახალი ლახვარი იყო სენატისა და ნობილიტეტისათვის, ეკონომიურად, პოლიტიკურად და მორალურად. იგი უფრო ძლიერი და მომაკვდინებელი იყო, ვიდრე სახალხო ტრიბუნის — საერთოდ სენატისათვის საძულველი მაგისტრატის — თანამდებობიდან მოხსნა.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. მოწვეული იქნა სენატის საიდუმლო, კარჩაკეტილი სხდომა (senatus consultum tacitum), სადაც დაიწყო ტიბერიუსის წინააღმდეგ პროვოკაციული გამოსვლები. ახლაც სენატორები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან, რომ ტიბერიუს გრაკხუსს რესპუბლიკის დამხობა და ტირანიის დამყარება სურსო. მაგალითად, ერთმა ცენზორმა, ქვინტუს პომპეუსმა, სენატის სხდომაზე იყვირა: „მე ტიბერიუსის მეზობლად ვცხოვრობ და ამიტომ ძალიან კარგად ვიცი, რომ ევდემემ მას პერგამოსის მეფის დიადემა და პორფირი გადასცა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს რომში უნდა გამეფდესო“.

გრაკხუსი არც ასეთ სახიფათო პროვოკაციებს შეუშინებია. იგი არამც თუ უკან არ იხევს, არამედ ახალ-ახალი კანონების გატარებით ამწვავებს სენატთან ურთიერთობას. მან, კვლავ სენატის დაუკითხავად, სახალხო კრებაზე გაატარა: კანონი სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების შესახებ, კანონი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კასაციის შესახებ სახალხო კრებაზე, კანონი სასამართლოში სენატორთა თანაბრად მხედრების არჩევის შესახებ, და სხვ. „ერთი სიტყვით, ტიბერიუსი ყოველგვარი ხერხებით ცდილობდა დაეკნინებია სენატის ძლიერება“[1].

ბოლოს, ტიბერიუსმა, როცა იგი დარწმუნდა, რომ რეფორმის საბოლოოდ განსახორციელებლად ერთი წელი არ კმაროდა, გადაწყვიტა მომდევნო წელსაც (132) გასულიყო ტრიბუნად.

არჩევნების დღეც მოახლოვდა. მოწინააღმდეგენი ყოველგვარი საშუალებებით ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ტიბერიუსის მტრებისათვის ხელსაყრელი მომენტი იღგა, რადგან ამ დროს (შუა ზაფხულში) ტიბერიუსის მომხრეების უმრავლესობა, კერძოდ, ბეურნე-მოქალაქენი, სამუშაოზე იყვნენ დაკავებულნი. არჩევნების დღეს გრაკხუსმა იგრძნო, რომ საკმარის ხმებს ვერ შეაგროვებდა და კრება ომდევნო დღისათვის გადაიტანა. მაგრამ მოწინააღმდეგე მხარე მეორე დღეს უფრო ორგანიზებული და საბრძოლოდ განწყობილი მოვიდა. კომიციათა პარალელურად მიმდინარეობდა სენატის საგანგებო სხდომა. ამავე დროს, სენატორებს სახალხო კრებაზე წინასწარ

[1] Plut. Ti. Gr., 14.

ჰყავდათ გამზადებული თავიანთი მომხრენი, რომელთაც ტიბერიუსის გამოსვლისათვის ობსტრუქცია უნდა მოეწყოთ და საჭირო შემთხვევაში ბუშტითა და კეტით ჩარეულიყვნენ.

კომიციათა სხდომა დაიწყო საშინელი არეულობით. ტიბერიუსის ხმა გამაყრუებელ ხმაურში მის მომხრეებს არ ესმოდათ, ამ დროს მოიჭრა სენატორი ფულვიუს ფლაკუსი, ტიბერიუსის მეგობარი, და მას ეძცნო: „სენატის სხდომაზე, ბიდიერებმა, როცა კონსული ვერ დაიყოლიეს, გადაწყვიტეს, რომ თვითონვე მოგკლან; ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ მზად ჰყავთ მრავალი შეიარაღებული მონა და მეგობარი“[1].

როგორც კი ტიბერიუსმა ეს ამბავი თავისიანებს გააგებინა, ისინი საომრად მოემზადნენ; ყველაფრით იარაღდებოდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ. მაგრამ უკანა რიგებში მდგომ ტიბერიუსის მომხრეებს არ ესმოდათ, რა ხდებოდა წინ, რისთვის იარაღდებოდნენ ისინი. მაშინ ტიბერიუსმა, რაკი ხმა ვერ მიაწვდინა, „ხელი თავზე მიიდო და ხალხს ანიშნა: განსაცდელი მელისო“[2]. აი, ეს სავსებით საკმარისი შეიქნა იმის საბაბად, რომ გრაკხუსის მტრებს წარმატებით დავსრულებინათ მათ მიერ წამოწყებული პროვოკაცია: რაკი ტიბერიუსი თავზე ხელს იდებს, ცხადია, სამეფო გვირგვინის დადგმას მოითხოვსო. სენატორთა იმდღევანდელმა ბელადმა — სციპიონ ნაზიკამ — როცა კონსული საომრად ვერ დაიყოლია, ფეხზე წამოიჭრა და შეჰყვირა: „რაკი კონსული რესპუბლიკას ღალატობს, წინადადებას გაძლევთ ყველას, ვისაც ჩვენი კანონების გადარჩენა გინდათ, მე გამომყევითო“[3].

სენატორები გამოიჭრნენ კურიიდან, გზადაგზა აიყოლიეს თავიანთი მომხრეები, კლიენტები, მონები. შეიარაღდნენ კეტებით, ხელკოტებით, დალეწილი სკამებისა და ტრიბუნების ნამსხვრევებით და შეიჭრნენ სახალხო კრებაში. საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში საწასამდე კაცი დაიღუპა. მათ შორის დაიღუპა სახალხო ტრიბუნი ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი.

ასე დასრულდა ტიბერიუსის გამოსვლა, რომელმაც თავისი სისხლით კარი გაუღო რომაელ მოქალაქეთა შორის ასწლიან ომს.

როგორც ვხედავთ, ტიბერიუს გრაკხუსის მოღვაწეობა მთლიანად ახალი მოვლენა, როგორც სოციალ-ეკონომიურ, ასევე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში.

ზემოთ ითქვა, თუ რას წარმოადგენდა ტიბერიუს გრაკხუსის რეფორმა სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, — რომ გრაკხუსის მოძრაობა თავისი ფესვებით ამოზრდილია მონათმეურნეობის

[1] Plut. Ti. Gr., 18.

[2] ibid. 19.

[3] ibid. ასევე, App. Bel. civ. I, 16.

კლასიკურ სისტემად გადაქცევასთან, მის ნიადაგზე თავისუფალი მიწათმეურნეობის გაკოტრებასთან, სამხედრო სიძლიერის დაცემასთან და, ბოლოს, მონათა რევოლუციურ გააქტიურებასთან ერთად.

მთელ ამ პროცედურაში ერთ-ერთი წამყვანი როლი შეასრულა აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობამ, მათი სიმდიდრის რომისაკენ დენამ და, რაც მთავარია, მონათა ურიცხვი კონტიგენტების გარკვევამ, რასაც შედეგად მოჰყვა მონათმეურნეობის კლასიკურ სისტემად გადაქცევა და მასთან დაკავშირებული სოციალური და კლასობრივი კრიზისი.

ახლა ვნახოთ, რა როლს ასრულებს აღმოსავლეთი გრაკხუსის მოძრაობის სოციალურ-პოლიტიკურ უბანზე. ჯერ ერთი, ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ აზიური ქვეყნის, პერგამოსის, საკითხი შეიქნა ერთ-ერთი საფუძველი ტიბერიუს გრაკხუსის მიერ სენატის წინააღმდეგ გამართული პოლიტიკური ბრძოლის უაღრესად აქტიური ფორმისა. კერძოდ, სენატს, რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო და საკონტროლო ორგანოს, რომელსაც აქამდე ფაქტიურად ხელთ ეპყრა ქვეყნის მართვა-გამგეობის მთელი მონოპოლია, ტიბერიუსი ნებას არ აძლევს ისეთი პირველხარისხოვანი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის, თუნდაც, მარტო განხილვისას, როგორიცაა მთელი სახელმწიფოს შემოერთება; მერე, ისიც ისეთი ქვეყნის შემოერთება, რომლის დაპყრობაზე ათეული წლების მანძილზე ოცნებობდა რომის ნობილიტეტი. ტიბერიუსმა ისე, თითქოს, სენატი არც არსებულიყოს, აიღო და აზიის უმდიდრესი ქვეყანა მიუძღვნა ხალხს: უფრო მეტიც „ეს არ იყო მხოლოდ მომენტალური ჩარევა პოპულარული ტრიბუნისა აქამდე სენატის უდავო ხელმძღვანელობის სფეროში. გრაკხუსს აშკარად ჰქონდა განზრახული რეფორმა ფინანსური ხელმძღვანელობისა ცენტრში და ადგილებზე"[1]. ტიბერიუსი ხომ მარტო პერგამოსის სამეფო ხაზინას არ აძლევდა ხალხს, იგი მთელი ქვეყნის, ქალაქებისა და ყველა დასახლებულ პუნქტთა გამგებლობის ორგანიზაციასაც ამიერიდან სახალხო კომიციის ფუნქციებად აცხადებდა. პოლიტიკური ბრძოლა სენატსა და ტიბერიუსს შორის სწორედ ამან უფრო გაამწვავა. ვიდრე ოქტავიუსის — როგორც ტრიბუნის — გადაყენებამ. თუ ტრიბუნი ტრიბუნს გადააგდებდა, ამით მარტო ტრიბუნატის ავტორიტეტი ილახებოდა, იმ ტრიბუნატისა, რომელსაც სენატორები თავიდანვე ტირანის წარმოშობის ბუდედ თვლიდნენ. ეს იყო მხოლოდ, რომ მაშინ ოქტავიუსის გადაყენებით სენატორებმა, გარდა ამისა, ეათი ინტერესების დამცველი დაკარგეს, იგი ტიბერიუსთან ბრძოლის საბაბად გამოიყენეს და სხვა არაფერი.

იგივე „აღმოსავლურ-აზიური საკითხი" შეიქნა მიზეზიც და საბა-

---

[1] Виппер Р., Очерки истории Римской империи. 1923, 49.

ბიც სენატორთა გააფთრებული ბრძოლისა გრაკხუსის წინააღმდეგ. მათი პროვოკაციული გამოსვლის დედააზრი ის იყო, რომ ტიბერიუსი „აღმოსავლეთის გზით“ მოსული ტირანიის დამყარებას აპირებს. თითქოს, „აღმოსავლელნი“ მასში ჰხედავდნენ აღმოსავლეთისათვის ჩვეულებრივ მეფეს, და ტიბერიუსიც აშკარად მოითხოვს, თავზე დაადგან აზიიდან ჩამოტანილი სამეფო დიადემა. მაგრამ ეს ამბავი ტიბერიუსის მოძრაობაში „აღმოსავლეთის საკითხთა“ მხოლოდ ერთ მხარეს წარმოადგენდა.

ტიბერიუს გრაკხუსის მოძრაობა არა მარტო სოციალურ-ეკონომიურად, არამედ სოციალურ-პოლიტიკურადაც, თავიდან ბოლომდე. საკუთრებით ახალი და რომაული კონსერვატიზმისათვის „უცნაური“ მოვლენა იყო. რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს არის პირველი შემთხვევა, როცა სახალხო ბელადმა სცადა ხალხი დაერაზმა კონსერვატიულ-ოლიგარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ. და ეს ბრძოლა მან წარმართა ისე, რომ არც ერთი შემარიგებლური მომენტი არ დაუშვა ძველ სამმართველო სისტემასთან.

მისი პოლიტიკური შეხედულება არის საკუთრებით რადიკალური. არსად არავითარი შემარიგებლობა, უკანდახევა, რაიმე ტენდენცია კომპრომისისაკენ. წყაროებში ნათლად ჩანს, რომ ტიბერიუს გრაკხუსის (და შემდგომ გაიუს გრაკხუსის) ასეთი შემტევი ტაქტიკა, სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის „რევოლუციური“ ფორმები, საბერძნეთის დემოკრატიული მოძრაობის გამოცდილებიდან მოდიოდა.

მართლაც, გრაკხუსების ბრძოლის ფორმები თითქოს დეტალებშიც კი მოგვაგონებენ საბერძნეთის ტრადიციულ-დემოკრატიული ბრძოლის სურათებს, განსაკუთრებით, ათენის დემოსის ბრძოლას ევპატრიდულ-ოლიგარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ.

რასაკვირველია, რომის დემოკრატიული ძალები არ იყო ისე ორგანიზებული და ბრძოლისუნარიანი, როგორც, ვთქვათ, კლასიკური ხანის ათენური დემოსი (სწორედ რომაული დემოკრატიის ნაკლებორგანიზებულობას ემსხვერპლნენ კიდეც ძმები გრაკხუსები), მაგრამ ანალოგიისათვის მაინც ნათლად ვხედავთ ასეთ პარალელებს: არეოპაგი და სენატი, დემოსი და „ვულგუსი“ (ბრბო-ხალხი), ათენურ არეოპაგს ისეთივე გენეტიკური ფესვები და ფუნქციები ჰქონდა, როგორც რომაულ სენატს. ერთიც და მეორეც გვაროვნული წყობილებიდან მოდიოდნენ, როგორც გვაროვნული არისტოკრატიის მბრძანებლობის საყრდენი ინსტიტუტები და კლასობრივ საზოგადოებებში ერთიც და მეორეც გაბატონებული სოციალური ფენის (კლასობრივი არისტოკრატიის) დასაყრდენ ინსტიტუტებად დარჩნენ. ერთიც და მეორეც წარმოადგენდნენ სახელმწიფო მმართველობის უზენაეს, შეუზ-

ღუდველ ორგანოებს. ისინი იყვნენ კანონმდებლებიც და კანონების პრაქტიკული განსორციელების მეთვალყურე-მეკონტროლენიც.

ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე ბრძოლმა დემოსმა ვერ შეძლო არეოპაგის გაუქმება, ან უმჯობეს ფორმაში შეზღუდვა მაინც. არეოპაგის ხელისხლება ვერ გაბედა ვერც სოლონმა, ვერც პისისტრატემ და ვერც კლისთენემ. ბოლოს, დიდმა ათენელმა დემოკრატმა ეფიალტემ ჩასცა სასიკვდილო ლახვარი არეოპაგს (462 ძვ. წ.). მან ყველაფერი, ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფუნქცია წაართვა არეოპაგს; მხოლოდ და მხოლოდ ცეცხლის გაჩენის საქმეები დაუტოვა მას განსახილველად (!). როგორც კი ეს უაღრესად რევოლუციური კანონპროექტი ათენის სახალხო კრებაზე გატარდა, ეფიალტემ შესძახა, თურმე: მე ერთის დაკვრით მოვსპე არეოპაგიო. და იმ ღამით არისტოკრატებმა ზურგიდან, ხანჯლის ერთი დარტყმით მოჰკლეს ეფიალტეს

მით უფრო ტრაგიკული ბოლო ელოდა ტიბერიუს გრაკხუსს, რომელსაც სენატის წინააღმდეგ ბრძოლაში არავითარი ტრადიცია არ უძღოდა წინ, არც დემოს-ვულგუსის ორგანიზაციის სახით, არც სოლონისა და კლისთენეს მსგავს წინამორბედთა სახით. ასედაც მოხდა: „რომაელი ეფიალტე" დაეცა როგორც პირველი მედროშე „რომაული არეოპაგის" წინააღმდეგ მისგანვე დაწყებულ ბრძოლაში.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ გრაკხუსები და, საერთოდ, ცნობილი „სციპიონური წრე" კარგად იცნობდნენ ბერძნული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს, მის წარსულ ტრადიციასაც და აწმყოსაც. ელინური სამყაროს ისტორიის ცოდნა ნებით თუ უნებლიედ ყველას ისეთი ბუმბერაზი საწყისიდან უნდა დაეწყო, როგორიც გენიალური ჰომეროსი იყო. ჰომეროსიდან დაწყებული, ვიდრე საბერძნეთის რომაელთაგან დამონებამდე, რომში ყველა მოწინავე ადამიანი ბერძნული კულტურის ცოდნითა და მასზე აღზრდით იყო „დაავადებული". ამ ბრიგ გრაკხუსები სციპიონებს და ფლამინინუსებს არასგზით არ ჩამორჩებოდნენ.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბერძნეთი რომაული მფლობელობის ორბიტში მოექცა, რომში მრავლად გაჩნდნენ ბერძენი სწავლულნი, ფილოსოფოსნი, რიტორნი, სახელმწიფო სამართლის სპეციალისტები, სხვადასხვანაირი „პოლიტეიის" შემოქმედნი და სხვა მისთანანი. „რომს მიაწყდა ფილოსოფოსებისა და ორატორების ნიაღვარი"[1].

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ძმები გრაკხუსები კარგად იცნობდნენ ლაკედემონელი რეფორმატორის, ნაბისის მოღვაწეობას. ზემოთ, შესაბამის ადგილზე, უკვე აღვნიშნეთ, რა უთხრა ნაბისმა ტიტე ფლამინინუსს: თქვენ, რომაელებს, გინდათ, რომ ყველგან, როგორც რომ-

---

[1] Жан-Жак Руссо, Избр. соч. т. I, 1961, 51.

ში ასევე მთელს ქვეყანაზე, ძალაუფლება ეკუთვნოდეს მცირერიცხოვან ჯგუფს, თქვენებურად სენატს, ხოლო ხალხი, ოლიგარქიის მორჩილი, მოკლებული იყოს ყოველგვარ პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს; მე კი მონებს ვათავისუფლებ და ღარიბ მოსახლეობასთან ერთად მიწებს ვურიგებო; ამით მე აღვადგენ მიწათმეურნეობასაც და სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებასაც.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაბისი გრაკხუსების წინამორბედია. რომაელი ტრიბუნებიც იმას აკეთებდნენ რომში, რასაც „აღმოსავლელი ტირანი" სპარტაში. ერთადერთი, რაშიც გრაკხუსები ნაბისს არ მისდევდნენ, ეს იყო მონათა გათავისუფლების საკითხი. რომაელ ტრიბუნებს არც უფიქრიათ, რომ მონათა გათავისუფლებისა და მათზე მიწების განაწილების საფუძველზე აღედგინათ რომის დაცემული მიწათმეურნეობა. პირიქით, მათი ღონისძიებანი მონათა მიმართ უფრო მკაცრ დამოკიდებულებასაც ითვალისწინებდა. ხოლო გაღატაკებული თავისუფალი მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებისა და აგრიკოლამეომრის რესტავრირება, მის საფუძველზე სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების აღდგენა და პოლიტიკური წყობილების სრული დემოკრატიზაცია (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მონათმფლობელობის პირობებში), გრაკხუსებს, როგორც ეტყობა, ნაბისის მოღვაწეობის ანალოგიით ჰქონდათ დაგეგმილი.

აშკარად ჩანს, რომ ზემოხსენებული ბრძოლის მომზადებაში და განხორციელებაში ტიბერიუს გრაკხუსს „აღმოსავლელი" მასწავლებლები და თანამებრძოლები ჰყოლია. ამის შესახებ წყაროები გადმოგვცემენ:

„მრავალი ამბობს, რომ ამისთვის (რეფორმისათვის, ლ. ს.) ტიბერიუსი რიტორმა დიოფანემ და ფილოსოფოსმა ბლოსიოსმა წააქეზესო. დიოფანე მიტილენელი ლტოლვილი იყო, ბლოსიოსი კი იტალიის კიმადან იყო წარმოშობით. ეს ბლოსიოსი რომში დაუახლოვდა ანტიპატრე ტარსელს, რომელმაც მას პატივი სცა და ზოგიერთი თავისი ფილოსოფიური თხზულება მიუძღვნა"[1].

მაშასადამე, როგორც კი რომში დემოკრატიული მოძრაობის „პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პროგრამა" მომზადდა, მისი თ ე ო რ ი უ ლ ი მომზადების ინიციატორები გახდნენ ბერძენი (მიტილენელი) რიტორი დიოფანე და, აგრეთვე, ბერძენი ბლოსიოსი, რომელსაც, თავის მხრივ, ბევრი რამ უსწავლია სახელგანთქმული ა ზ ი ე ლ ი (ყილიკიის ტარსიდან) ფილოსოფოსის — ანტიპატრესაგან. ტიბერიუსის მასწავლებლები ჩანან უაღრესად განათლებულ, ფართო მეცნიერული ცოდნით აღჭურ-

[1] Plut. Ti. Gr., 8.

ვილ და მტკიცე, გაუტეხელი სულის მქონე ადამიანებად. ამ მხრივ, ერთ მათგანზე, ბლოსიოსზე, საინტერესო ცნობებს გვაძლევს პლუტარქე.

ჯერ ერთი, იმ საბედისწერო დღეს, როცა ტიბერიუსს სიკვდილი ელოდა, სასახლიდან გამოსვლისას მისმა მომხრეებმა, „მეცნიერმა" მისნებმა ქათმებისა და ყვავების „საქციელი" ცუდ მინიშნებად მიიჩნიეს და ტიბერიუსს უკან დაბრუნება ურჩიეს. ბლოსიოსმა, რომელსაც გრაკხუსისადმი სიყვარულსა და ერთგულებაში ვერც ვერავინ შეედრებოდა, საცინლად აიგდო მართლაც საცინლად ასაგდები რომაული „მეცნიერება" და მკაცრად განაცხადა: „დიდი სირცხვილი და თავსლაფის დასხმა იქნება, თუ ტიბერიუსს, გრაკხუსის ძეს, სციპიონ აფრიკელის შვილისშვილსა და რომაელი ხალხის წინამძღოლს ყვავის შეეშინდება და თანამოქალაქეთა მოწოდებას არ გამოეხმაურება..."[1]

მერე, როცა ტიბერიუსი და მისი მომხრეები დაიღუპნენ, ბევრი მისი მიმდევარი სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის მოაკვდინეს ტიბერიუსის ერთგული მეგობარი და მასწავლებელი დიოფანე მიტილენელიც. ბლოსიოსი შეიპყრეს და, სციპიონ ნაზიკას მეთაურობით, მისი დაკითხვა ისე წარმართეს, რომ, ეტყობოდა, ტიბერიუსისა და მისი მომხრეებისათვის კაპიტოლიუმის დაწვის განზრახვაც უნდა დაებრალებინათ. მაგრამ ამ დაკითხვის მოკლე ჩანაწერიც კარგად გვამცნობს, თუ სულიერად რამდენად მაღლა მდგარა ტიბერიუსის მოძღვარი ტიბერიუსის მკვლელებზე:

„ბლოსიოსი კონსულებთან მიიყვანეს და აქ მომხდარი ამბების გარშემო დაკითხვა დაიწყეს. ბლოსიოსმა აღიარა: ყველაფერს ტიბერიუსის ბრძანების თანახმად ვაკეთებდიო. ნაზიკამ მას ჰკითხა:

— რა იზამდი, რომ ტიბერიუსს შენთვის კაპიტოლიუმის გადაწვა ებრძანებინა?

— ასეთ ბრძანებას, — მიუგო ბლოსიოსმა, — ტიბერიუსი არასოდეს არ მომცემდა. მრავალმა სენატორმა დაჟინებით მოითხოვა ბლოსიოსისაგან ნაზიკას კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა. მაშინ ბლოსიოსმა განაცხადა: „თუკი ტიბერიუსი ამას მიბრძანებდა, მე ხალისით დავემორჩილებოდი მას და შევასრულებდი დავალებას, ვინაიდან ტიბერიუსი ისეთ ბრძანებას არ მომცემდა, ხალხისათვის სასარგებლო რომ არ ყოფილიყო"[2].

მკვლელებმა ვეღარ გაბედეს ბლოსიოსის ხელყოფა. იგი რომიდან წავიდა იქ, სადაც თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა გრძელდებოდა, — მცირე აზიაში, არისტონიკესთან. ეტყობა, ბლოსიოსი ჰელიოპოლიტთა აჯანყების სულიერი მოძღვარიც ყოფილა. ეს

[1] Plul. Ti. Gr., 17.

[2] იქვე, 20.

ჩანს თუნდაც იმ ფაქტით, რომ, როცა მცირე აზიელთა ბრძოლა მარცხით დამთავრდა, ბლოსიოსმა თავის იდეათა ხორცშესხმის იმედიც დაჰკარგა და თავი მოიკლა.

2. გაიუს გრაკხუსის მოღვაწეობა

დემოკრატიული მოძრაობა რომში უმაღლეს ფაზაში შედის ტიბერიუსის უმცროსი ძმის, გაიუს გრაკხუსის, „ხალხის ყველა მომხრეთაგან ყველაზე ერთგულის"[1], მოღვაწეობის დროს. გაიუსი, რომელმაც ადრევე გაითქვა სახელი მრავალმხრივი საზოგადოებრივი, საამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობით და ორატორული ხელოვნებით, სახალხო ტრიბუნად გავიდა ტიბერიუსის დაღუპვიდან ათი წლის შემდეგ (123 წ.). მასში ხალხი ხედავდა ტიბერიუსის ღირსეულ შემცვლელს, რომელიც უფრო მეტი ენერგიითა და აქტიურობით იბრძოლებდა ოლიგარქიული სენატის წინააღმდეგ. რომაული არისტოკრატიაც გაიუს გრაკხუსში კარგად ხედავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ყველაზე სახიფათო ძალას და, თავის მხრივაც, ენერგიულად ემზადებოდა საომრად.

გაიუსისადმი ხალხისა და სენატის ასეთი საპირისპირო დამოკიდებულება აშკარა გახდა ტრიბუნად მისი არჩევის დღიდანვე. როგორც კიბან თავი სახალხო ტრიბუნის კანდიდატად წარმოადგინა, „მთელი წარჩინებულობა, როგორც ერთი კაცი, ამის წინააღმდეგ დაირაზმა; მაგრამ სამაგიეროდ, არჩევნებში გაიუსის დასახმარებლად იმდენი ხალხი მოაწყდა რომს იტალიიდან, რომ ძალიან ბევრმა თავშესაფარი ვერც იშოვა ქალაქში. არჩევნებში მონაწილეთა ასეთი სიმრავლე ფორუმმა ვერ დაიტია. ამიტომ ხმის მიცემა სახლის სახურავებიდან და ბანებიდანაც კი ხდებოდა"[2]. ამრიგად, „ბრწყინვალედ არჩეული გრაკხუსი მაშინვე დაუპირისპირდა სენატს"[3].

გაიუსს, როგორც ბელადს, გაცილებით უფრო ფართო სოციალური ფენები უჭერდნენ მხარს, ვიდრე ტიბერიუსს.

სწორედ ამ დროს, დემოკრატიული ბრძოლის აღმავლობის პერიოდში, უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობა — ოპტიმატებისა და პოპულარებისა. პირველს სათავეში უდგა სენატი, მეორეს — გაიუს გრაკხუსი.

---

[1] Cic. Pro domo sua, IX, 24.
[2] Plut. G. Gr., 3.
[3] App. Bel. civ., I, 21.

გაიუსმა აღადგინა და გააფართოვა ტიბერიუსის აგრარული რეფორმის მოქმედება. სპეციალური კანონით ანგარიში გაუსწორა ყველას, ვისაც ბრალი მიუძღოდა ტიბერიუსის მკვლელობაში და მისი რეფორმის ხელის შეშლაში.

ცალკე გაატარა ე. წ. „პურის კანონი" (lex frumentaria), რომლის მიხედვითაც იაფფასიანი პური ურიგდებოდა ქალაქის ღარიბ და პროლეტარიზებულ მოსახლეობას. ამ კანონმა ისე აღამაღლა გაიუსის ავტორიტეტი, რომ იგი მომავალ 122 წელს ხალხმა ხელმეორედ აირჩია თავის ტრიბუნად.

ტრიბუნობის მეორე წელს გაიუსმა სახალხო კრებაზე გაატარა მთელი რიგი ახალი კანონებისა: მოქალაქეთა აპელაციის უფლება (ius provocationis), სახალხო კომიციების წინაშე, რიგითი მეომრების აპელაციის უფლება სამხედრო მეთაურთა თვითნებობის წინააღმდეგ, სამხედრო სამსახურში გაწვევის ჩვიდმეტწლიანი ასაკის დაწესება, ჯარისკაცის ხელფასიდან შეიარაღების საფასურის გამოქვითვის აკრძალვა, გზების გაყვანა, კოლონიების დაარსება, იტალიკებისათვის რომის მოქალაქეობის უფლების მიცემა და სხვ.

ხაზგასმა აღარ სჭირდება იმას, რომ სენატი ყოველ ღონეს იხმარდა, გაენადგურებინა ტრიბუნი, რომელიც ფაქტიურად უკვე სრულუფლებიან „დემოკრატიულ დიქტატორად" იყო ქცეული. გაიუსის წინააღმდეგ ბრძოლაში ოპტიმატები აღიჭურვენ ყველა საშუალებებითა და ხერხებით — უპატიოსნო ხრიკებითა და ვერაგობით, ორპირობით, დემაგოგიით, ცბიერებით, ცილისწამებით, მზაკვრობით, იდუმალი coniuratio-ებით და ბოლოს, ორგანიზებული შეიარაღებული თავდასხმით, რომელსაც წინ უძღოდა ამიერიდან ცნობილი „ოპტიმატური" ძახილი: Videat consul, ne quid respublica detrimenti capiat! („შეხედე კონსულო, რამეთუ რესპუბლიკამ ზიანი არ განიცადოს!").

გრაკხუსის მოსისხლე მტერი, კონსული ოპიმიუსი ამ ფორმულით აღჭურვა სენატმა დიქტატორად, ოპიმიუსი პირველი აკაციიყო, რომელმაც კონსულობაში დიქტატორის უფლებები მიიღო. მაშასადამე, როცა დასჭირდა, სენატმა თვითონ დაარღვია მისივე „რესპუბლიკური კონსტიტუციაა".

121 წელს დაიღუპა რომაელი ტრიბუნი, რომელსაც ხალხი „ზეცამდე ადიდებდა"[1]. მისი თავმოკვეთილი სხეული სამოცთასი თანამებრძოლის გვამთან ერთად გაჰყვა წინამორბედი ძმის, ტიბერიუსის სისხლით შეღებილ **ტიბროსის ტალღებს.**

გაიუს გრაკხუსის ბოღვაწეობა გაცილებით უფრო დამოუკიდებელი და ავტოკრატული იყო სენატისაგან, ვიდრე ტიბერიუს გრაკხუსისა. მისი მოღვაწეობაც ისეთსავე „აღმოსავლურ" ხასიათს ატარებდა, რო-

[1] Plut., G. Gr. 8.

გორც უფროსი გრაკხუსისა. გაიუსის გამოსვლა თავისი რადიკალური ხასიათით კიდევ უფრო ახლო იდგა ელინურ-დემოკრატიულ რევოლუციონიზმთან. თავისი მრავალმხრივობითა და სახალხო კრების უფლებათა უაღრესი გაფართოებით (რამდენადაც ეს მონათესფლობელობის პირობებში შეიძლებოდა) გაიუს გრაკხუსი სწორედ პერიკლეს მოგვაგონებს. ტიბერიუსმა — როგორც ეფიალტემ — პირველი მახვილი დასცა არისტოკრატიის მმართველ ბირთვს, სოლო გაიუსმა — როგორც პერიკლემ — კიდევ უფრო გაწალდა და გაფართოვა წინამორბედისაგან დაწყებული დემოკრატიული მოძრაობის ასპარეზი. ტიბერიუსზე გაცილებით უფრო მკვეთრად და ფართოდ, გაიუსის მოღვაწეობაში გამოხატულება ჰპოვა ბერძნული თეორიული ნოძღვრებისა და რომაული პრაქტიკული ცხოვრების შერწყმამ. გაიუს გრაკხუსმა გაატარა კანონები „მოსამართლეთა შესახებ" (lex Sempronia iudiciaria) და „პროვინცია აზიის შესახებ" (lex de provincia Asia). ორივე ეს კანონი განუყრელად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი და მიზანიც საერთო ჰქონდათ. გაიუსმა გაითვალისწინა ტიბერიუსის მარცხის ყველა მიზეზი და მათ შორის უმთავრესად მიიჩნია მსედარ-ფინანსისტთა ნეგატიური განწყობილება დემოკრატიული მოძრაობისადმი. ამიტომ მან გადაწყვიტა, სენატორთა დასუსტებისა და პოპულართა ბანაკის გაძლიერების მიზნით, დემოკრატიულ ძალთა მხარეზე მკვიდრად გამოეყვანა გავლენიანი მხედრობა. აღნიშნული ორი კანონიც გაიუსმა სწორედ მხედრების ინტერესების კვალობაზე გაატარა. საამისოდ მან ხელთ იგდო მეტად ხელსაყრელი საბაბი.

სწორედ იმ წელს, როცა გაიუსი ტრიბუნად განმეორებით აირჩიეს (122 წ.), აზიიდან რომში საჩივრით ჩამოვიდნენ ადგილობრივი პროვინციალები. ისინი ყოველ გამვლელ-გამომვლელს ხმამაღლა შესჩიოდნენ იმ აღვირახსნილი ექსპლოატაციისა და შევიწროებათა შესახებ, რომელსაც ყოფილ პერგამოსის სამეფოში — ახლანდელ პროვინცია აზიაში — სჩადიოდნენ მის სამმართველოდ ზედიზედ წარგზავნილი პრეტორები: ავრელიუს კოტა, ლივიუს სალინატორი და მანიუს ატილიუსი. ეს საქმე აზიელ პროვინციელებს ადრეც აღუძრავთ სენატის წინაშე. მაგრამ სასამართლომ, რომელიც რომში ტრადიციულად ყოველთვის ისევ სენატორებისაგან შედგებოდა, სავსებით გაამართლა თავისი წრიდან გამოსული მძარცველი მაგისტრატები. მაშასადამე, სენატმა უმართებულო განაჩენით ხალხის თვალში თავი შეირცხვინა. ეს ფაქტი დაემატა იმ, უკვე ფართოდ გავრცელებულ, ამბებს, რომლის მიხედვით, სენატორთაგან შემდგარი მოსამართლეთა კოლეგია კარგა ხანია, რაც მექრთამეობას ეწეოდა. ასე, რომ სენატმა, აგრეთვე როგორც უმაღლესმა სასამართლო ორგანომ, ავტორიტეტი დაჰკარგა.

გაიუს გრაკხუსმა შესანიშნავად გამოიყენა ეს ამბავი: მან სახალხო

კრებაზე გაატარა კანონი, რომლის მიხედვით, „სასამართლოები — რომელთაც მექრთამეობის გამო პრესტიჟი დაჰკარგეს — სენატორებს წაართვა და მხედრებს გადასცა"[1].

ეს კანონი მომაკვდინებელი ლახვარი იყო სენატისათვის. იურიდიული მმართველობის მონოპოლიის მოპოვება მხედრებისათვის ნიშნავდა იმ უმნიშვნელოვანეს სამმართველო ფუნქციათა დაპატრონებას, რასაც მანამდე ეყრდნობოდა სენატის ძლიერება. ამიერიდან მათ გამგებლობაში იყო, ჯერ ერთი, პროვინციების ყველა საქმეები, იქ სამმართველოდ გაგზავნილ პრეტორთა თვალყურის დევნება და, საშინრო შემთხვევაში, მათი გასამართლება, პროვინციებიდან შემოსული ბეგარა, ფინანსური და ნატურალური ეკონომიკის გამგებლობა. მაგრამ კანონი სამოსამართლო მონოპოლიას გულისხმობდა არა მარტო პროვინციათა საქმეებზე. ამამედ საერთოდ ყველგან, ყველა რომაელ და იტალიელ მოქალაქეთა იურიდიულ კუნსტიტუციაზე. მხედრებს უფლება ჰქონდათ, შესაბამისად დაესაჯათ ყველა, ყოველი ზომის სასჯელით — ფულადი ჯარიმით, სამოქალაქო უფლებათა ჩამორთმევით, განდევნით.

ამიერიდან მხედართა წოდებას შეეძლო სენატზე უფრო მაღლა, ან უარეს შემთხვევაში, მის ტოლად მაინც ეგრძნო თავი.

მაგრამ ტრიბუნი აქ როდი შეჩერდა; ეს დიდი წყალობა როდი აკმარა მხედართა წოდებას. მან გაითვალისწინა მხედართა უმრავლესობის, შემსყიდველ-მოიჯარადრე კომპანიონთა, პუბლიკანთა ინტერესები და მათ სასარგებლოდ გაატარა მეორე კანონიც პროვინცია აზიის შესახებ.

იგი ითვალისწინებდა აზიის ეკონომიური ექსპლოატაციის მონოპოლიას რომაელი შემსყიდველების სასარგებლოდ. „სესხის უზრუნველსაყოფად მხედრები პროვინცია აზიიდან იღებდნენ შემოსავლის აკრეფის უფლებას. აზიაში მხედართა ამხანაგობებს ეძლეოდათ შესასყიდად ყველა პროდუქტზე მეათედის აკრეფის უფლება (decima), საზოგადოებრივ მიწაზე საიჯარო ფასის აკრეფა (scriptura), საბაჟო გამოსავლების აკრეფა (portoria) და სახელმწიფო შემოსავლის სხვა წყაროები. აუქციონები კი, სადაც წარმოებდა შესასყიდ წყაროთა გაცემა, თვითონ რომშივე ხდებოდა; ამის წყალობით გამორიცხული იყო ადგილობრივი ფინანსისტების მეტოქეობა და უზრუნველყოფილი რიგებოდა რომის მხედართა წოდების მონოპოლია"[2].

ამგვარად, გაიუს გრაკხუსმა შექმნა მუდმივად ორგანიზებული შტატი აზიის გაყვლეფისათვის. აქედან, რომაელ მონათმფლობელებს საშუალება ეძლეოდათ დაეკმაყოფილებინათ მონური შრომის წესზე

---

[1] App. Bel. civ. I, 22.

[2] სერგეევი ვ. ძველი რომის ისტორიის ნარკვევები. ნაწ. I, 1940, 232.

დამყარებული მეურნეობის ძირითადი მოთხოვნილებანი; რაც შეიძლება მონათა მეტი კონტიგენტები გადაეყვანათ აზიიდან იტალიაში; რაც შეიძლება მეტი მატერიალური ფასეულობა და ეკონომიური დოვლათი გადაეტანათ „მსოფლიოს ცენტრში". ხოლო, მდიდარი აზიური პროვინციის ძარცვა-გლეჯის მონოპოლისტი, გრაკხუსის მეშვეობით, მხედართა წოდება შეიქნა.

ამგვარად, გაიუს გრაკხუსის მთელს მოღვაწეობაში, რომელიც „აღმოსავლური" იდეოლოგიისა და რომაული პრაქტიკული ცხოვრების შერწყმის საფუძველზე წარიმართა, ყველაზე უფრო მკვეთრად მოჩანს უმნიშვნელოვანესი ორი პუნქტი, ერთი მეორესთან მჭიდრო კავშირში მყოფი და ერთმანეთისაგან გამომდინარენი, რომლებიც წმინდა „აღმოსავლურ" (ბერძნულ და აზიურ) ხასიათს ატარებდნენ.

თავი მეათე

„ბიძგის მიმცემი" აღმოსავლეთიდან

ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის 90-იან წლებში რომის სახელმწიფო, უკვე „შინაგანად დიდი ხხის დაავადებული"[1], სოციალური ტკივილებისა და სულთა ბრძოლის ახალ ფაზაში შედის. გრაკხუსების მოძრაობამ და მონათა დიდმა აჯანყებებმა პანროშაული კრიზისი კიდევ უფრო რთული, მრავალფეროვანი კვანძებით დახლართა.

91 წელს დემოკრატიულ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა სახალხო ტრიბუნი ლივიუს დრუზუს უმცროსი, რომელმაც განაახლა გრაკხუსების აგრალური კანონმდებლობა. მაგრამ დრუზუსმა სახე შეუცვალა გაიუს გრაკხუსის სამოსამართლო კანონს. მან, უეჭველად, გაითვალისწინა, რომ მხედრებმა, მიუხედავად დემოკრატთა ბელადისაგან იმოდენა უფლებების გადაცემისა, პოპულარებს ხამდვილი მოკავშირეობა მაინც ვერ გაუწიეს და ამიტომ გრაკხუსების მიმდევარმა ახალი სამოსამართლო კანონით მხედართა უმაღლესი იურიდიული უფლებები 50 %-ით შეამცირა: ამიერიდან უმაღლეს სასამართლოში სამასი სენატორი და სამასი მხედარი შედიოდა.

ამას გარდა, ლივიუს დრუზუსმა განაახლა გაიუს გრაკხუსის კანონპროექტი „მოკავშირე"-იტალიელებისათვის რომის სამოქალაქო უფლებების მინიჭების შესახებ.

---

[1] Plut. Mar. 35.

იტალიელი ტომები დიდხანს იტანდნენ რომაელთა ქედმაღლობას, დაჩაგვრა-შევიწროებასა და ძალმომრეობას. იტალიკთა ემანსიპაციის ან რომანიზაციის საკითხი ხშირად უკარგავდა მოსვენებას მსოფლიო მბრძანებლობის პრეტენდენტებს. რომაულ ოლიგარქიას არ სურდა გაეყო თავისი პრივილეგიები თუნდაც უახლოესი მეზობლებისათვის. დრუზუსის გამოსვლამ გააერთიანა ერთიმეორისადმი მუდამ სამტროდ შემართული სენატორები და მხედრები.

და ნობილებისაგან მიგზავნილმა მკვლელმა ხარაზული დანით მოჰკლა იტალიკების მოსარჩლე დრუზუსი.

დრუზუსის მკვლელობა გახდა საბაბი იტალიის მოსახლეობის შეიარაღებული აჯანყების დაწყებისა რომაული კირთების დასამხობად. სამი წელი (91—88) მძვინვარებდა ე. წ. „მოკავშირეთა ომი".

მაშასადამე, მსოფლიოს მპყრობელებს აუფეთქდათ ის უმთავრესი საომარი ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც ისინი მსოფლიო მბრძანებლობის ასპარეზზე გამოვიდნენ.

რომი იძულებული შეიქნა მთელი საომარი რესურსები გამოეყენებინა ამ უაღრესად სახიფათო აფეთქების უვნებელსაყოფად. მას ძალაც შესწევდა, რომ ეს საშიში მოძრაობაც დროზე ჩაეხშო. მაგრამ გამოჩნდა სრულიად ახალი მძლავრი ფაქტორი, რომელმაც ხელისუფლება საომარი ქარ-ცეცხლის უმძიმეს პირობებში აიძულა დათმობაზე წასულიყო და, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, მკაცრად მონოპოლიზირებული რომაული მოქალაქეობის უფლება იტალიელებისათვის გაენაწილებინა.

ასეთი მაიძულებელი ძალა აღმოსავლეთიდან მოდიოდა; ამან თავისი მნიშვნელობით და საფრთხის სიდიდით გაუსწრო შინაურ, „იტალიურ ხიფათს". ამიტომ შეიქნა რომი იძულებული, დაეკმაყოფილებინა იტალიელთა მოთხოვნა, „მოკავშირეთა ომი" დაესრულებინა და იტალიის უშრეტი საომარი რესურსები კვლავ იმ „აღმოსავლური საფრთხის" სალიკვიდაციოდ წარემართა.

იგივე „აღმოსავლური საკითხი" შეიქნა impulsor (ბიძგის მიმცემი) უფრო დიდი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა, რომელიც რომის სამოქალაქო ომების ისტორიაში ცნობილი გახდა მარიუსელების და სულანელების ბრძოლის სახელით.

განვიხილოთ, რას წარმოადგენდა ეს დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც სახელმწიფოს შინაგანი კრიზისი ახალ მძაფრ ეტაპზე შეაგდო? რას წარმოადგენდა ეს „impulsor ex Oriente"? (ბიძგის მიმცემი აღმოსავლეთიდან).

მისი სახელია პონტოს სახელმწიფო. მასზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ, რადგანაც იგი მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე წამყვან პრობლემად იქცა რომის საგარეო და საშინაო ცხოვრებაში.

1. „მითრიდატული მოძრაობის“ პროლოგი

მცირე ხანით უკან დავიხიოთ. რომაელებმა, მაგნეზიასთან ანტიოქეს დამარცხების (190 წ.) შემდეგ ხელი მიჰყვეს აზიაში „ახალი წესრიგის“ დამყარებას. მათთან თავიანთი დამხმარე ძალებით გაეშურნენ მცირე აზიის დინასტები მორჩილების გამოსაცხადებლად და „წყალობის“ მისაღებად.

ერთადერთი სახელმწიფო აზიაში, რომელიც მაშინ რომაელთა გამოჩენას ბტრულად შეხვდა, იყო პონტოს ახალგაზრდა სამეფო. პონტოელ მეფეს არც დამხმარე ძალები გაუგზავნია რომაელებისათვის და არც სხვა რაიმე ურთიერთობა გაუბამს მათთან.

პონტოში მაშინ იეფობდა ფარნაკე. ძლიერი და ენერგიული სელმწიფე, რომელიც თავისი სამფლობელოების გაფართოებაზე ფიქრობდა. მან უეჭველად იცოდა, რომ მისი დაპყრობითი გეგმები მცირე აზიაში დაბრკოლებას წააწყდებოდა პერგამოსის მხრივ და, რაც მთავარია, სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდებოდა ატალიდების „მფარველის“ — რომის მხრივ. მაგრამ ფარნაკეს ერთი წუთითაც არ უფიქრია, ხელი აეღო თავისი გეგმების განხორციელებაზე. ის ძლიერად შეიარაღდა და ომიც დაიწყო.

ოთხწლიანი ომი (182—179), რომელსაც ფარნაკე მცირე აზიის სხვა დინასტების წინააღმდეგ აწარმოებდა, წარმოადგენს შემდგომში მითრიდატე ევპატორსა და რომაელებს შორის ამტყდარი სისხლისმღვრელი ომების პროლოგს, შესავალს.

უპირველესად ფარნაკე თავს დაესხა ქალაქ სინოპს, „ევქსინის ვაჭრობის დედოფალს“. სინოპელები თავდასხმას მოუმზადებელი დახვდნენ და იძულებული გახდნენ დანებებულიყვნენ.

სინოპის დაპყრობას პონტოსათვის, სტრატეგიულ-პოლიტიკურის გარდა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ქალაქი განთქმული იყო ვაჭრობით, ხელოსნობით, ნაყოფიერი შემოგარენით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით — ვანსაკუთრებით, ზეითუნის ზეთით, მევენახეობა-მეღვინეობით, შესანიშნავი ხილის (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ბალი, ალუბალი, წაბლი, კაკალი) სიუხვით და მრავალსახოვანი მესაქონლეობით.

სინოპთან ერთად პონტოს მეფეს ჩაბარდნენ სინოპის კოლონიები— კოტიორა, კერასუნტი და ტრაპეზუნტი.

ქალაქების ამ ეკონომიურ და სტრატეგიულ კომპლექსს ფარნაკემ იმავე ხანებში შეუერთა მისგანვე დაარსებული ფარნაკეა. ზღვის სანაპირო ზოლის შემომტკიცების შემდეგ ფარნაკე დაიძრა მცირე აზიის დასავლეთისაკენ.

ეიმენ მეორე პერგამოსელმა სასწრაფოდ ჩაშოაყალიბა კოალიცია

ფარნაკეს ვეგმათა ჩასაშლელად. კოალიციაში შედიოდნენ: თვითონ ევმენი, კაპადოკიის მეფე არიარათე მე-3, პაფლაგონიელი მთავრები — მორზიოსი და გაიზატორიქსი და გალატიელი კარპიგნატოსი. ფარნაკეს მხარეს იდგა მცირე სომხეთის მმართველი მითრიდატე და გალატიელების ერთი ნაწილი.

ფარნაკეს სწრაფად დაეპყრო გალატია და პაფლაგონია. პარალელურად მას ულაშქრნია კაპადოკიაში. ამავე დროს, პონტოელი მეფე დაუფლებია მორზიოსის და არიარათეს საკუთრებებს. მაგრამ მოკავშირეებს ომის უკანასკნელ წელს ფარნაკე დაუმარცხებიათ (179 წ.) და იგი იძულებული გახდა ზავზე დათანხმებულიყო. ზავის პირობები ასეთი ყოფილა:

„იყოს სამუდამო ზავი ერთი მხრივ ევმენესა, პრუსიასა და არიარათესა, სოლო, მეორე მხრივ — ფარნაკესა და მითრიდატეს შორის. არავითარი მიზეზის ნიადაგზე არ გაილაშქროს ფარნაკემ გალატიაზე და ყველა მისი შეთანხმებანი გალატიელებთან გაუქმებული იქნას. ასევე უნდა გაწმინდოს მან პაფლაგონია, ხოლო მცხოვრებნი, რომლებიც იქედან გაასახლა, დააბრუნოს უკანვე, მათთან ერთად — შეიარაღება, სასროლი მოწყობილობანი და სხვა საომარი საკუთრები. სწორედ ასევე ის ვალდებულია დაუბრუნოს არაირათეს ყველა მისგან ჩამორთმეული ადგილები მათზე გამართული მოწყობილობით, აგრეთვე ძეკვლებიც. ასევე ტიეონი, ქალაქი პონტოსთან, რომელიც ცოტა ხნის წინათ ევმენმა დაუთმო პრუსიას, მისი თხოვნის საფუძველზე, და რის გამოც პრუსია მეტად კმაყოფილი იყო. დადგენილ იქნა აგრეთვე, ფარნაკეს დაებრუნებინა სამხედრო ტყვეები და მის მხარეზე გადასულები გამოსასყიდის გარეშე. ამას გარდა, ფულიდან და საგანძურიდან, — რომლებიც მის მიერ გატაცებულ იქნა მორზიოსისაგან და არიარათესაგან — ის კისრულობდა გადაეხადა აქ დასახელებული მეფეებისათვის 900 ტალანტი და კიდევ ევმენისათვის, სამხედრო ზარალის ასანაზღაურებლად, 300 ტალანტი. ამავე დროს, სომხეთის სატრაპ მითრიდატეს ევალებოდა გადაეხადა 300 ტალანტი არიარათესათვის იმის გამო, რომ ევმენთან კავშირის დარღვევით გაილაშქრა მის წინააღმდეგ"[1].

ასე დამთავრდა „ფარნაკეს ომი", რომელშიც რომი პონტოს დაპყრობითი გეგმების ჩასაშლელად ჯერ კიდევ იარაღით ხელში არ გამოსულა. მისმა გაქნილმა დიპლომატიამ ჯერჯერობით შესძლო, პონტოს მეფის წინააღმდეგ ადგილობრივი დინასტები აემხედრებინა, თავისი ერთგული „ყანდარმის" — პერგამოსის მეფის მეთაურობით.

თითქმის არაფერი ვიცით ფარნაკეს მომდევნო მეფის, მითრიდატე მე-4 ფილოპატორ-ფილადელფოსის მეფობის ხანაზე (170—150). ამის

[1] Polyb. XXV, 2

შემდეგ ტახტზე ადის მითრიდატე მე-5 ევერგეტი, რომლის მეფობის შესახებ წყაროებში რამდენიმე ცხობაა დაცული.

მითრიდატე ევერგეტი შედარებით ზომიერი პოლიტიკის გზას დასდგომია: პერგამოსის მიმართ ფარნაკეს მტრული პოლიტიკა მეგობრული ურთიერთობით შეცვლილა. მისი მეფობის დროს პრუსია მე-2 ბითინიელი თავს დასხმია პერგამოსს (156 წ.), დაუმარცხებია მაშინდელი მეფე ატალ მე-2 (157—138) და საშინლად აუოხრებია მისი სამფლობელოები. პერგამოსის დასაცავად და პრუსიას ასალაგმავად, როგორც გვახსოვს, თავი გამოიდო რომმა. ამავე დროს, პონტოს მეფემ, ისე როგორც არიარათე კაპადოკიელმა, დამხმარე ძალები გაუგზავნა ატალ მეორეს.

მითრიდატე ევერგეტი სცნობდა რომის სუვერენიტეტს. ამიტომ ის „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად" ითვლებოდა. მან საქმითაც რამდენჯერმე დაამტკიცა რომაელებისადმი ერთგულება. მაგ. რომაელთა დასახმარებლად, მცირე რაზმებით, რამდენიმე გემი გაუგზავნია მესამე პუნიკურ ომში. მეორედ ევერგეტმა სახმელეთო ჯარები მიაშველა რომაელებს არისტონიკეს წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ჩანს, არც მითრიდატე ევერგეტს ამოუღია თავის საგარეო პოლიტიკის პროგრამიდან კაპადოკიის დაპყრობის საკითხი, რის განხორციელებაც აგრე რიგად იტაცებდა პონტოელ მეფეებს. ევერგეტი შეიჭრა კაპადოკიაში და თანაც, თავისი ახლო მეგობარი და სარდალი დორილაოსი საბერძნეთში გაგზავნა დაქირავებულ მეომართა შესაგროვებლად, მაგრამ სულ მალე, კნოსოსში ყოფნისას, დორილაოსმა შეიტყო, რომ მითრიდატე მე-5 ევერგეტი სინოპში მოუკლავთ შეთქმულებს. ეს მოხდა 120 წელს.

2. პონტოს სამეფო II—I საუკუნეების მიჯნაზე

120 წელს პონტოს სამეფო ტახტზე ავიდა ევერგეტის უფროსი ვაჟი, რომელიც ისტორიაში ცნობილი გახდა მითრიდატე მეექვსე-ევპატორ-დიონისე დიდის სახელწოდებით. მითრიდატეს შესახებ მრავალი ლეგენდა და სინამდვილე ერთურთშია გადახლართული. თერთმეტი წლის ობოლი, პატივმოყვარე დედისა და სასახლის კამარილიისაგან დევნილი, ტყე-ღრეტ გაიქრა და ოც წლამდე ბუნების სტიქიონებთან და ნადირთა სამყაროსთან ბრძოლაში იზრდებოდა და იწრთობოდა; ფიზიკურად გოლიათი, საომარ ველზე უპირველესი მეომარი, შესანიშნავი სტრატეგოსი, მოქნილი დიპლომატი, დაკვირვებული პოლიტიკოსი, ბრწყინვალე ორატორი, მაღალგემოვნებიანი ხელოვნებათმცოდნე, გულმეცნიერი ბუნებისმეტყველი, საოცარი პოლიგლოტი (სავსებით ფლობდა 25 თუ 50 ენას — მათზე შეეძ-

ლო სიტყვის წარმოთქმა და სასამართლო წარმოება თარჯიმანთა დაუხმარებლად); შეეძლო დღეში ათი სტადიონის გარბენა ცხენებიც გამოცვლით; სახელდახელოდ გამართულ ასპარეზობებში ყოველთვის პირველობას ღებულობდა; საოცარი სიმარჯვით მართავდა თექვსმეტ-ცხენიან ეტლს; უყვარდა ელინური კულტურა და ხელოვნება, კრებდა კულტურის საუკეთესო კოლექციებს, მფარველობდა ყველა დარგის მეცნიერებს, აწარმოებდა ქიმიურ ცდებს. — გამოჰყავდა წამლები და საწამლავები, პირველი — საკუთარი ჯანმრთელობის შესანარჩუნებელად (აზავებდა საჭმელში, რადგან სშირად ცდილობდნენ მის მოწამვლას), მეორე — შეთქმულთა გასანადგურებლად.

პონტოს ახალმა მეფემ მთელს მსოფლიოს ამცნო აღმოსავლეთში ახალის ერის დასაწყისი. საამისოდ მან ახალი, ე. წ. პონტოური წელთ-სათვალავი შემოიღო, რომელიც ძვ. წ. 287 წელს იწყებოდა.

მითრიდატეს ტახტზე ასვლისას პონტოს სამეფოს საზღვრები აღ-მოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლხეთსა და მცირე სომ-ხეთამდე აღწევდა; საბრეთ-დასავლეთით — პონტოს საზღვრებში შედიოდა პაფლაგონიის ნაწილები, ხოლო სამხრეთით ისევ კაპადოკია ეკვროდა მითრიდატიდების საბფლობელოს.

მითრიდატემ სასწრაფოდ მოიწვია თავის მამის ერთგული მრჩევ-ლები და პოლიტიკოსები და ათთაა თანაპოზიციაში შეუდგა ახ-ალმწიფოს მართვა-გამგეობისა და ფართო საგარეო პოლიტიკის წარ-მოებას. უპირველესად ყოვლისა, მან შექმნა ძლიერი არმია, რომლის ბირთვს წარმოადგენდა 6.000 ჰოპლიტისაგან შემდგარი ფალანგა. პონ-ტოურმა ლაშქარმა პირველი საბრძოლო ნათლობა ყირიმის ნახევარ-კუნძულზე მიიღო.

ამ ლაშქრობას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: ამ დროს შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე ბერძნულ კოლონიებს ძლიერად უტევდნენ მეზობლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი და მამაცი პარ-ბაროსი ტომები. უკვე დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბერძნული ფაქტორიების ძლიერი კოალიცია, ათენის საზღვაო კავშირი დაეცა და ამ-ლა შავი ზღვის ჩრდილოელი ელინი კოლონისტები იძულებული გა-ხდნენ საშიში მეზობლისათვის — სკვითური ტომებისათვის, ხარკი ეძ-ლიათ და მუდმივი თავდასხმის შიშსაც ეცხოვრათ. ოლბიის, ხერსონე-სისა და ბოსფორის სამეფოს ქალაქთა დამოუკიდებლობა კიდევ უფ-რო დიდ საფრთხეში ჩავარდა, როცა დნეპრის ქვემო დინების მარცხენა სანაპიროზე და ყირიმის სანევარკუსიულის შიდა ნაწილში სკვითური სამეფო შეიქმნა. სკილუროსის მეთაურობით. ამ უკანასკნელმა თავი-სი ბატონობის გასაფართოებლად და გასამტკიცებლად ააგო ციხე-ქა-ლაქები: ხაბონი, პალაკიონი და ხეაპოლისი. სკილუროსის სიკვდილის შემდეგ, მისმა მრავალრიცხოვანმა შვილებმა უფროსი ძმის პალაკო-

ხელ უმაღლესი ძალაუფლება სცნეს. პალაკოსმა ტახტზე ასვლისთანავე ბერძნულ ქალაქებს დიდძალი ფულადი გადასახადი შეაწერა, რამაც ხერსონესისა და ბოსფორის მცხოვრებთა საყოველთაო აღშფოთება და აჯანყება გამოიწვია. ხერსონესისათვის მთავარი საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ სკვითებს მიემხრნენ „ხერსონესიდან გამოსულები“; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი უმრავლესობა შედგებოდა გაჭეელი მონებისაგან. ყირიმის ქალაქთა დამოუკიდებლობა ბეწვზე ეკიდა. აქიტომ დაისვა საკითხი — ვის უნდა ჩაებარებინა ის: შეზობელ ბარბაროსებს და მათ მხარეზე გადასულ მონებს, თუ პონტოს ხელმწიფეს. არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა.

ბერძნულ ქალაქთა არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. იგი გამომდინარეობდა მათი ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობიდან პონტოს სანაპიროზე მდებარე მდიდარ სავაჭრო ცენტრებთან. ალბათ, ბოსფორელები იმასაც კარგად ითვალისწინებდნენ, რომ პროპონტიდისა და ჰელესპონტის გასასვლელებში თავისუფალი წელსნობა, რაც მათი ეკონომიკის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა, ძირითადად პონტოს სახელმწიფოს სიძლიერესთან იყო დაკავშირებული.

ამგვარად, როცა ხერსონესისა და ბოსფორის სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია გარდუვალი გახდა და მისი გასხვისებისათვის ორი გზა გაჩნდა, ბერძნული ქალაქების პოლიტიკური დამოუკიდებლობაც იმ გზით წარიმართა, საითაც მათი ეკონომიური ცხოვრების ინტერესები მიდიოდნენ. ეს გზა პონტოსკენ მიემართებოდა.

და აი, ჯერ ხერსონესელებმა, ხოლო მალე ამის შემდეგ. პანტიკაპეის ტირანმა პერისადემ, პონტოს მეფეს ბარბაროსთაგან მფარველობა სთხოვეს და თანაც თავიანთი ქალაქების უმაღლესი პოლიტიკური ძალაუფლებაც შესთავაზეს.

მიტრიდატეს უნდა გამოეყენებინა ეს მეტად ხელსაყრელი მომენტი. მან ყური არ ათხოვა რომის სენატის ბრძანებას, რომ „აზიის მეფეებმა ლაშქარი აღარ შეიყვანონ ევროპაში“[1] და დაახლოებით, 110 წ. პონტოს არმია, დიოფანტეს სარდლობით, გაგზავნა ყირიმისაკენ სალაშქროდ. დიოფანტემ უპირველესად დაიპყრა ხერსონესის ჩრდილოეთით მდებარე კტენუნტი. აქედან დაწყებული ხერსონესამდე აღმართა სიმაგრეები და ამგვარად გზა გადაუკრა ქალაქს მოწოლილ სკვითებს. პალაკოსმა რამდენჯერმე სცადა იერიშის მიტანა, მაგრამ პონტოელებმა დასწვეს სკვითების საიერიშო მოწყობილობანი, რამდენჯერმე დაამარცხეს ისინი ხელჩართულ ბრძოლაში და აიძულეს უკან დაეხიათ ნახევარკუნძულის სიღრმეში.

დიოფანტემ მის მიერ გამაგრებული კტენუნტის კონცხი ქალაქად

[1] App. Mithr. 13, 58.

გადააქცია და თავისი მბრძანებლის სახელზე ევპატორიად მონათლა. აქედან იგი გაეშურა პანტიკაპეისაკენ, დაამარცხა ბოსფორის მეფესთან მებრძოლი სკვითები და პერისადეს სამეფო ტახტი პონტოს მეფის მბრძანებლობას დაუქვემდებარა. შემდეგ პონტოელი სარდალი ისევ ხერსონესში დაბრუნდა და ისევ დალაშქრა ნახევარკუნძულის სიღრმეში ჩასაფრებული სკვითები. მან დაიპყრო ხაბონი და ნეაპოლისი, სკვითების მთავარი დასაყრდენი პუნქტები ყირიმში. ამით დიოფანტემ თავისი ამოცანა ამოწურულად ჩასთვალა და პონტოში დაბრუნდა.

მაგრამ პალაკოსი არ სცხრებოდა. იგი შეუკავშირდა როქსოლანებს და ახალი ძალებით მიადგა ხერსონესს. მან ისევ პონტოელებს მოუხმო. დიოფანტეც 6.000 ჰოპლიტით კვლავ გაჩნდა ყირიმში. მცირედი წარუმატებლობის შემდეგ, როქსოლანებისა და სკვითების მრავალრიცხოვანი ლაშქარი სასტიკად დაამარცხა მცირერიცხოვანმა, მაგრამ შესანიშნავად გაწვრთნილმა და ორგანიზებულმა პონტოურმა ფალანგამ. ამის შემდეგ, დიოფანტე ისევ დაეუფლა ხაბონს, პალაკიონსა და ნეაპოლისს. მან ბევრი დაიმორჩილა სკილუროსის მრავალრიცხოვანი მემკვიდრეებისაგან.

რომის ხელისუფლებმაც ხმა აღიმაღლეს ყირიმის პონტოური დაპყრობების წინააღმდეგ და დააღგინეს, რომ მითრიდატეს სკვითთა მეფეებისათვის დაებრუნებია წინაპართა სამფლობელოები. პონტოელმა მეფემ რომის ამ პირველსავე მოთხოვნას ახალი, უფრო გადამჭრელი შეტევით უპასუხა.

107 წელს ბოსფორის სამეფოში იფეთქა ადგილობრივ ქვეშევრდომ ტომთა და მონათა ძლიერმა ამბოხებამ, რომელსაც სათავეში მონა სავმაკი უდგა. აჯანყებულებმა გადმოაგდეს და მოჰკლეს ბოსფორის მეფე პერისადე, ვინაც ადრე თავისი სამეფო მითრიდატეს უანდერძა — და მის ნაცვლად ტახტზე დასვეს თავისი ბელადი სავმაკი, რომელმაც მეფის ტიტული მიიღო და საკუთარი სახელობის მონეტაც მოჭრა.

აჯანყებული ბოსფორის ნაპირებს დიოფანტეს სარდლობით ძლიერი ფლოტი და მრავალრიცხოვანი არმია მიადგა. პონტოელებმა ჯერ აიღეს თეოდოსია, მერე მიადგნენ აჯანყების ცენტრს და მეფეთა რეზიდენციას — პანტიკაპეას. მონები დამარცხდნენ, სავმაკი ტყვედ ჩავარდა. დიოფანტემ იგი პონტოში გაგზავნა, მითრიდატესთან. სარდალმა თავისი მეფე კვლავ ბოსფორის მბრძანებლად გამოაცხადა.

ბოსფორის სამეფოს დაპყრობის შემდეგ პონტოელებმა დაიმორჩილეს მეოტიის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ოლქები. აქ მცხოვრები ტომები მითრიდატეს სარდალმა ფეოპტოლემეოსმა რამდენჯერმე დაამარცხა ზღვაზე და ხმელეთზე. მან ასევე დაიმორჩილა დარ-

დანები და სხვა ტომები მეოტიის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ამგვარად, პონტოს ახალგაზრდა მეფის ძალაუფლების ქვეშ მოექცა მთელი ყირიმის ნახევარკუნძული, მდინარე ყუბანის ქვემო დინება, ტამანის ნახევარკუნძული და აზოვის აუზი. მის ხელში იყო შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროთა სიმდიდრენი, ბეწვეული, თაფლი, ცვილი, თევზი, მარილი და საშენი ხე-ტყე; მის მბრძანებლობას ემორჩილებოდნენ ბრწყინვალე ბერძნული ქალაქები: ხერსონესი, თეოდოსია, პანტიკაპეა, ფანაგორია და სხვა მოხერხებული ნავთსაყუდებლები და პორტები. მითრიდატეს ყოველწლიურად ყირიმიდან უნდა მიეღო 18.000 მედიმნი ხოროალი და 200 ვერცხლის ტალანტი. აქედანვე მას შეეძლო ადგილობრივი მეომარი ტომების გაწვრთნილი ცხენოსნებითა და მარაგე ხოვაოსნებით შეევსო თავისი არმია და ფლოტი.

პონტოს სამეფოს დიდებით მოსავდა მანამდე უძლეველი სკვითების დამორჩილება — იმ სკვითებისა, რომლებმაც ადრე სამარცხვინო მარცხი აგემეს დარიოს პირველის უზარმაზარ სპარსულ არმიას და ალექსანდრე მაკედონელის სარდალს ზოფირიონს.

მითრიდატეს ლაშქარი აღმოსავლეთ ევროპის უფრო ღრმა ოლქებშიც შეეჭრილა და შებრძოლებია სარმატებს, ბასტარნებს, ბასილიებს და იაზიგებს. ძათი ისუბუქი კავალერია ძალიან ხშირად ჩანს პონტოელი მეფის მეომართა შორისაც.

ბოლოს, მითრიდატემ კარგად ისარგებლა იმით, რომ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს ბერძნული ქალაქები უმეტეს ნაწილად ანტირომაულ პოზიციებზე იდგნენ. მან ადვილად გაობა ურთიერთობა თრაკიელებთან. რომელთა საუკეთესო ცხენოსანთა რაზმები, როგორც დაქირავებული მეომრები ან მოკავშირეები, იბრძოდნენ პონტოს საბრძოლო დროშის ქვეშ. თრაკიაში ფეხის მოკიდებით მითრიდატეს სამფლობელოები ევროპაში რომაელთა პოლიტიკური გავლენის სფეროს (მაკედონია) მომიჯნავე გახდა.

90-იანი წლების ახლო ხანებში მითრიდატემ თავის სამფლობელოებს შემოუერთა შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, რომელიც მთლიანად კოლხეთს ეპირა. კოლხების — „ამ გიჟურად მეომარი ხალხის" („ethnos areimanes") დამორჩილებას ხელი შეუწყო იმან. რომ ამ დროს კოლხეთი დაქუცმაცებული იყო და მის ცალკეულ ნაწილთა დინასტებს იმდენი ძალა არ შესწევდათ, გაძლიერებულ პონტოს სამეფოს შემოტევას გამკლავებოდნენ.

მითრიდატე კოლხეთის საუფართველოდ გზავნიდა თავის დაახლოებულ პირთაგან რჩეულთ.

პონტოს მეფეს შეეძლო კოლხეთიდან სისტემატურად გაეტანა გემთსაშენი ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი და სხვ. შეეძლო თავისი არმი-

ისა და ფლოტის რიგებში ჩაერიცხა მამაცი კოლხი მეომრები და მეზღვაურები. დაახლოებით ამავე პერიოდში მითრიდატემ ძეგობრული კავშირ-ურთიერთობა გააბა იბერიელებთან, პართიელებთან, ატროპატენელ მიდიელებთან და დიდ სომხეთთან.

პონტოს პოლიტიკური გავლენის საზღვრებში მოექცა მცირე სომხეთი. მცირე სომხეთში მრავლად არსებული (75-მდე) მიუვალი ციხე-სიმაგრე მითრიდატე ევპატორის საგანძურთა შესანახსა და ღუზაჭირ დღეებში საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ.

ამგვარად, პონტოს მეფის ძალაუფლებას ეძორჩილებოდა მთელი შავი ზღვის აუზი და მისი შემოგარენი. „თავისი დროის მეფეთა შორის უდიადესის" საბრძანებლოებში შედიოდა ტაერის ბოსფორი — პურის ბეღელი, კოლხეთი — სურსათის უდიდესი არსენალი და მცირე სომხეთი — მიუვალი ციხე-სიმაგრე[1]. შავ ზღვას ყოველმხრივ გარს ერტყმოდნენ მითრიდატეს ქვეშევრდომები და მოკავშირენი. ქალაქი სინოპი — „ზღვის მეფის" რეზიდენცია — ევქსინის პონტოს ყველა სანაპიროდან მომავალი მეზღვაურ-მეომრებისა და სავაჭრო გემების „ფაროსად" გადაიქცა. ჰელესპონტ-პროპონტიდიდან ევქსინის პონტოში შემოსულ ყოველ ხომალდს თავისი თავი მითრიდატე ევპატორის საბრძანებლოში უნდა ეგრძნო.

შავი ზღვის სანაპიროთაგან მითრიდატეს ბატონობის გარეშე ჯერ-ჯერობით რჩებოდა ის ნაწილი, რომელიც ხელთ ეპყრა ბითინიას. ეს ნაწილი უაღრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო. აქ ბითინია უშუალოდ მბრძანებლობდა ბოსფორისა და ჰელესპონტის წყლის გზაკვანძზე. მითრიდატეს დაპყრობათა დღის წესრიგიდან არასოდეს არ მოშლილა ბითინიის ოკუპაციის საკითხი.

მითრიდატეს მოსვენებას არ აძლევდა კაპადოკიისა და გალატიის დაპყრობის საკითხი. ეს უფრო, როგორ რომაელებს უკვე მტკიცედ აქონდათ ფეხი მოკიდებული პერგამოსში და ფრიგიაში, რომელიც ადრე პონტოს მეფე მითრიდატე მეორემ ცოლის მზითვად მიიღო თავის სიმამრ სელევკოს კალინიკისაგან. მთელი მცირე აზია სულ მოკლე დროში რომაული „იმპერიალიზმის" ბრუყალებში უნდა მოქცეულიყო. მითრიდატე კარგად ხედავდა და გრძნობდა რომაელთა ხრასვებს და თავის მხრივაც ემზადებოდა ნახტომისათვის...

მითრიდატემ გადაწყვიტა წინასწარ შემოევლო და შეესწავლა საერთო მდგომარეობა აზიის მეზობელ სახელმწიფოებში, შეესწავლა ყოველი კუთხე, ქვეყანა და ქალაქ-სოფელი და ამის საფუძველზე შეედგინა საბრძოლო გეგმა მათი დაპყრობისათვის. ამ მიზნით ის ერთ დღეს საიდუმლოდ გაუჩინარდა თავისი უახლოესი მეგობრების თანხლებით. გზადაგზა მითრიდატე საკვირველი სიბეჯითითა და სისწრა-

[1] Reinach Th., Mithridates Eupator, König von Pontos. Leipzig, 1895, 71—72.

ფით სწავლობდა აზიის მრავალ ხალხთა ენებს, მათ ზნეჩვეულებებს, განწყობილებას რომაელთა და პონტოელთა მიმართ; სწავლობდა ყოველი ქვეყნის, ქალაქის, ციხე-სიმაგრის გეოგრაფიულ გარემოს და ეკონომიურ-სტრატეგიულ პროფილს. ასე შეძლიანარა ბეფემ კაპადოკია, ვალატია, პაფლაგონია, ფრიგია, ბითინია და სხვ.

მითრიდატე დაბრუნებისა და შეთქმულთა განადგურების შემდეგ, დაუყოვნებლივ შეუდგა მცირე აზიაში თავისი დაპყრობითი გეგმის განხორციელებას. 10 წელს იგი შეიჭრა პაფლაგონიაში და მისი ნახევარი თავის სამეფოს საზღვრებში მოაქცია, ხოლო ნაწილი, მოლაპარაკების თანახმად, ნიკომედე ბითინიელს დაუთმო.

რომიდან აზიაში სასწრაფოდ გაეშურა კომისია, რომელსაც მითრიდატემ ამაყად უპასუხა: პაფლაგონია მამაჩემის მემკვიდრეობაა და ძალიან მიკვირს, რატომ ხდიან სადავოდ ჩემს კანონიერ უფლებამოსილებას. ბითინიის მეფემ კი გამოაცხადა, რომ მისთვის განკუთვნილ პაფლაგონიის ნაწილს „კანონიერ მეფეს" უთმობს, ხოლო ასეთად მან თავისი უმცროსი შვილი სოკრატე გამოაცხადა, რომელიც პაფლაგონიაში პილამენეს სახელით იყო ცნობილი. ამგვარად, რომის მოთხოვნის პასუხად აზიელმა მეფეებმა პაფლაგონია მტკიცედ გაინაწილეს და დაისაკუთრეს.

მითრიდატე მარტო პაფლაგონიის აღმოსავლეთ ნახევრის შემოერთებით არ დაკმაყოფილდა და სასწრაფოდ იგდო ხელთ გალატია.

ახლა დაისვა კაპადოკიის დაპყრობის საკითხი. ამჯერად მითრიდატე და ნიკომედე ვერ მორიგდნენ. პონტოელი მეფე გადაჭრით ამბობს უარს კაპადოკიის რომელიმე ნაწილის დათმობაზე, ბითინიელი უძლური იყო, რაიმე წინააღმდეგობა გაეწია ძლიერი მეზობლისათვის. მისი ყოველი ცდა მარცხით მთავრდებოდა. მრავალი სამხედრო და დიპლომატიური მანევრირების შემდეგ მითრიდატე კაპადოკიის ერთპიროვნული მფლობელი გახდა. ნიკომედე რომთან კავშირის გზას დაადგა და სენატისკენ ელჩობაც აფრინა მითრიდატეზე საჩივრებით.

რომაელებმა, ამ ელჩობის საპასუხოდ, მითრიდატესაგან კატეგორიულად მოითხოვეს პაფლაგონიისა და კაპადოკიის გაწმენდა. მაგრამ რა თქმა უნდა, არც ნიკომედეს გაძლიერება სურდათ და მასაც უბრძანეს დაეტოვებია მის მიერ დაკავებული პაფლაგონიის ნაწილი და გაეყვანა იქიდან პილამენედ წოდებული თავისი მემკვიდრე.

მეფეებმა უარი ვერ შებედეს სენატის ბრძანებას. რომაელებმა კაპადოკიაში, სადაც უკვე არიარათიდთაგან ამ ქვეყნად აღარავინ იყო, ბეფედ დასვეს თავისი კაცი, სახელად არიობარზანი.

ამგვარად, პონტოელი მეფე შემდგომი პოლიტიკური წიაღსვლის გზაბოძალს მიადგა: ახ უნდა აეღო ხელი შემდგომ დაპყრობებზე და თავისი საკუთარი სამეფო რომაული ექსპანსიის საფრთხის ქვეშ და-

ეყენებინა, ანდა მიეღო მოსალოდნელი საშიში ომი რომთან. პირველ მიბანსწრაფვაზე ის უარს არასოდეს არ იტყოდა. მაგრამ უნდა ასოდ-ბოდა ისიც, რაც მას უთხრა 99 წელს გაიუს მარიუსმა: „მეფეო, ან შეეცადე, იყო რომაელებზე უფრო ძლიერი, ან უსიტყვოდ შეასრულე მათი ბრძანებანი".

პონტოელ მბრძანებელს, რასაკვირველია, არ სურდა უსიტყვოდ ვისმეს ბრძანების შესრულება, მაგრამ რომთან საომარ ასპარეზზე გასვლაც უაღრესად სახიფათო იყო. მით უფრო, რომ ახლა ბითინიის მეფემ, მის წინააღმდეგ საჩივრებით დატვირთულმა, რომაულ სამფლობელოებს შეუერთა თავისი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ევროპაზიის შემაერთებელ „ოქროს ხიდზე".

ამიტომ მითრიდატემ ამჯერად კაპადოკიის ხელში ჩაგდება შემოვლითი გზით სცადა. ამ დროს აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძლიერი მბრძანებელი გამოჩნდა, — სომხეთის მეფე ტიგრან მეორე, რომელიც თავისი სამეფოს გაფართოების ნიადაგზე, მიუახლოვდა კაპადოკიის საზღვარს.

მითრიდატემ გადაწყვიტა შეკავშირებოდა ტიგრანს და ეს კავშირი, პირველ რიგში, კაპადოკიის დაპყრობისათვის, გამოეყენებინა. მან სომხეთის მეფესთან გაგზავნა თავისი კარისკაცი, გორდიოსი, რომელმაც მოამზადა ნიადაგი მათ შორის კავშირის დასადებად. როგორც

ბეფე არშაკის ელჩი, ორობაზი, რომელმაც სულას გადასცა თავისი სიუზერენის სურვილი რომთან კავშირისა და მეგობრობის შესახებ. თვით სულას მიერ პართიელი სტუმრის აუდიენციის ფორმა მოწმობს, რა მაღლა დააყენა მან თავი თვისი და ქალაქი თვისი პართიელი დესპოტისა და მისი ქვეყნის ავტორიტეტთან შედარებით: მან ბრძანა დაედგათ საძი სავარძელი — ერთი არიობარზანისათვის, მეორე ორობაზისათვის და მესამე თავისთვის. ამასთანავე, აუდიენციის დროს დაიკირა შუა ადგილი. ამგვარად, სულამ, საკუთარი ამაღლების გვერდით, პართიელის უფლებები კაპადოკიის უსუსური მეფისა და რომის ყურმოკრილი მონის ადგომარეობას გაუთახაბრა. ამ დათმობის გამო ორობაზი პართიაში დაბრუნებისას მეფემ სიკვდილით დასაჯა. ამ აქტით, ჯერ კიდევ მაშინ, პართიამ ქვეყანას ამცნო, რომ მისი მახვილი არა ნაკლებ ძლიერია რომისაზე და შზად არის გაჰყვეს მას აზიის დაუფლებისათვის ბრძოლაში. მაგრამ დიდი ჭიდილი რომსა და პართიას შორის ჯერ დიდი ხნით უნდა გადადებულიყო. ჯერ რომაულ იარაღს მანამდე მრავალი სისხლიანი ომები ელოდა აღმოსავლეთის ბრძანებლობის სხვა ძლიერ პრეტენდენტებთან. ფაქტები მოწმობდნენ, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომების გამართვას რომის თავზარდამცემი ავტორიტეტის წინააღმდეგ ფიქრობდა ახალგაზრდა პონტოს სამეფო.

---

3. როგორ დაიწყო „მითრიდატეს პირველი ომი“

მომდევნო 91 წელს იტალია „მოკავშირეთა ომის“ ცეცხლში გაეხვია. მითრიდატე ევპატორმაც დრო იხელთა და კვლავ სცადა თავისი ფართო დაპყრობითი გეგმების განხორციელება აღმოსავლეთში. იგი ცდილობს გამოიყენოს ბითინიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და ამ ქვეყანასაც დაეუფლოს.

94 წელს გადაიცვალა ბითინიის მეფე ნიკომედე მეორე-ეპიფანე. სამეფო ტახტი დაიკირა მისმა უფროსმა შვილმა ნიკომედე მესამე-ფილოპატორმა. ბითინიის ძლიერება დაცემული იყო. ის სულ შალე უნდა გამხდარიყო ან პონტოს სამეფოს ვასალი, ან რომის ყურმოკრილი მონა. მისი არჩევანი რომზე შეჩერდა. მაგრამ ბითინიაში მეფის საგარეო პოლიტიკის საწინააღმდეგო აზრიც შეიქმნა, რომელმაც გეზი პონტოს სამეფოსაკენ აიღო. ამ ორიენტაციის მეთაური იყო ნიკომედე მესამის ნახევარ-ძმა სოკრატე „კეთილი“, რომელიც ადრე პილამენეს

სახელწოდებით პაფლაგონიის მეფედ ითვლებოდა. სოკრატემ ბითინიის სამეფო გვირგვინის საკითხის გადაპრა „კანონიერების გზით“ სცადა და თხოვნით მიმართა რომის სენატს, მაგრამ რომაელებმა მას უარი უთხრეს და მეფედ ნიკომედე დაამტკიცეს. მაშინ სოკრატემ ძალას მიმართა.

მითრიდატემ სოკრატეს ნება დართო, შეეგროვებინა ჯარი პონტოს ტერიტორიაზე. ამ ჯარით სოკრატემ ბითინიის სასახლის კარზე გადატრიალება მოახდინა და მეფობაც ხელთ იგდო (90 წ.). პარალელურად მითრიდატემ კაპადოკიაში ისევ დაამხო არიობარზანის ხელისუფლება, ეს ქვეყანა ტერიტორიალურად თვითონ დაისაკუთრა, მის ტახტზე ისევ თავისი შვილი დასვა, ხოლო კაპადოკიის მრავალი მოსახლე, შეთანხმების თანახმად, ტიგრან მეორეს გაატანა ტიგრანოკერტის დასასახლებლად.

ამგვარად, ბითინია და კაპადოკია რომის „მფარველობიდან“ ერთბაშად პონტოს პოლიტიკური მბრძანებლობის საზღვრებში აღმოჩნდა.

რომისკენ მიმავალი გზების კარგ მცოდნეს — არიობარზანს, „ერთბედქვეშმყოფი“ თანამგზავრნი გაუჩნდნენ. არიობარზანი ნიკომედესთან ერთად გამოჩნდა ფორუმ რომანიუმზე.

იტალიკების აჯანყების პირველი წლის საშინელი ხანძარი ნელ-ნელ ქრებოდა. რომს საშუალება მიეცა წელში გამართულიყო და აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება დაეჩქარებინა. მას ახლა მეტი ყურადღების მიქცევა შეეძლო აღმოსავლეთის გამწვავებული მდგომარეობისათვის. სენატმა შეისმინა აზიელი კრეატურების ხვეწნა-მუდარა და აღმოსავლეთის საქმეთა „მოსაწესრიგებლად“ გამოჰყო კომისია მანიუს აქვილიუსისა და მანლიუს მალტინუსის მეთაურობით. საგანგებო დადგენილებით, კილიკიის მაშინდელ პრეტორს, ლუციუს კასიუსს, ევალებოდა. საჭირო შემთხვევაში საჭიროდ დახმარება გაეწია კომისიისათვის.

აზიაში ჩამოსულმა დეცემვირებმა დაიწყეს აზიელ დინასტთა შორის შუღლის ჩამოგდებადა და „ხანვისი ხელით სარის გლეჯით“. მათ წააქეზეს ნიკომედე და არიობარზანი მითრიდატეს წინააღმდეგ, რათა ომში გამოეწვიათ იგი. ბითინიისა და კაპადოკიის მეფეები, მიუხედავად იმისა, რომ აქვილიუსი მათ რომის მხრივ დახმარებას აღუთქვამდათ, მაინც ვერ ბედავდნენ მითრიდატესთან ომის დაწყებას. გაასაკუთრებით აქვილიუსსა და მის დამქაშებს იერიში მიჰქონდათ ნიკომედეზე, რადგანაც ბითინიის მეფემ ელჩებსა და ჯარის უფროსებს დასმარებისათვის ფულის მიცემა აღუთქვა, ამას გარდა იგი დიდად დავალიანდა რომაელი ჯარების თანმხლებ მევახშეთაგან. ნიკომედე იძულებული იყო, თავისი მოვალე-„მფარველების“ ყოველი ბრძანება სიტყვაშეუბრუნებლად შეესრულებინა. იგი შეიპრა მითრიდატეს მიწა-წყალზე

და მოაოხრა მისი ქვეყანა ამასტრისამდე. ნიკომედე დიდი ნადავლით დაბრუნდა ბითინიაში და თანაც ჩაჰკეტა შავ ზღვაში გასასვლელი სრუტეები, რომ ამით გზა დაეხშო პონტოს სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის ეგეოს-ხმელთაშუა ზღვებისაკენ.

მითრიდატე ამაოდ შეეცადა რომთან დიპლომატიური მოლაპარაკებით აელაგმა ბითინიის მეფე. რომაელები გადაჭრით იდგნენ აზიაში ომის გაჩაღების პოზიციაზე.

რომაელები სასწრაფოდ შეუდგნენ ჯარების შეკრებას. მათი არმიის ძირითადი ბირთვი, „პროვინცია აზიის" მმართველის, ლუციუს კასიუსის არმიისაგან შედგებოდა. აგრეთვე მათ მობილიზაცია გამოაცხადეს ბითინიაში, კაპადოკიაში, პაფლაგონიაში, გალატიაში, ლიკიასა და კილიკიაში.

მასიეს აქვილიუსი გამაგრდა იქ, სადაც მითრიდატეს ადვილად შეეძლო გაჭრილიყო ბითინიისაკენ (სკორობის მთის მახლობლად); ლუციუს კასიუსი დაბანაკდა ბითინიისა და გალატიის საზღვარზე; ხოლო ქვინტუს ოპიუსმა თავისი არმია კაპადოკიის საზღვართან განალაგა. თვითეულ მათგანს 40.000 ქვეითი მეომარი და 4.000 ცხენოსანი ჰყავდა. ნიკომედე თავისი ბითინიური არმიით დაბანაკდა ამასტრისის მახლობლად.

ომი დაიწყო 88 წლის გაზაფხულზე.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ მითრიდატეს სარდლები და ნიკომედე ჰალისის შენაკადის, მდინარე ამნეიონის ფართო ველზე. აპიანე დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ბრძოლის მსვლელობის ამბავსა და მის შედეგებს:

„პირველად დაინახეს ერთმანეთი ნიკომედეს და მითრიდატეს სარდლებმა ფართო ველზე მდინარე ამნეიონთან და უმალ საბრძოლო წესზე დაეწყვნენ; ნიკომედემ მთელი თავისი ჯარი გამოიყვანა, ნეოპტოლემემ და არქელაოსმა მხოლოდ მსუბუქად შეიარაღებულნი და ის ცხენოსნები, რომლებიც არკათისა ჰყავდა თან, და რამდენიმე შეიარაღებული ეტლი, რადგან ფალანგა ჯერ მოსული არ იყო და მხოლოდ ახლა ახლოვდებოდა. რათა არ ყოფილიყვნენ ბითინიელთაგან გარშემორტყმულნი, რომელნიც რიცხობრივად ბევრად სჭარბობდნენ მათ ლაშქარს, მითრიდატეს სარდლებმა მცირე რაზმი გაგზავნეს მათ მიერ ადრევე დაკავებულ ველზე მდებარე კლდოვანსა და აღმართიან ბორცვზე, მაგრამ, როდესაც ნეოპტოლემემ დაინახა, რომ იქედან ისინი ჩამოყარეს, შეეშინდა რა გარშემორტყმისა, ელვასავით გაექანა მათ დასახმარებლად და იქეთკენვე მოუწოდა არკათისაც. შენიშნა რა ეს, ნიკომედე თავის მხრივ გაემართა მის წინააღმდეგ; აქ მოხდა ძლიერი შეტაკება და სისხლისღვრა. რადგან ნიკომედე, რომელსაც დიდი ძა-

ლები ჰყავდა, სძლევდა, ამიტომ მითრიდატეს ჯარმა უკან დახევა დაიწყო, ვიდრე არქელაოსმა მოწინააღმდეგეს მარჯვნიდან არ შემოუარა და არ დაესხა თავს. მაშინ მათაც მის წინააღმდეგ მიმართეს. მან კი ნელ-ნელა უკან დახევა იწყო, რათა ნეოპტოლემეს ჯარი გაჩერებულიყო და გაქცევის შემდეგ თავი მოეყარა. როდესაც არქელაოსმა შენიშნა, რომ მათ ძალა მოიკრიბეს, გადავიდა შეტევაზე და ძლიერი მიწოლით მიუსია რა ბითინიელებს ცელებით შეკურვილი ეტლები, შეუდგა მათ ჩეხვასა და კეთას, ფლეთდა რა მათ ორად და ზოგს ნაწილებადაც. ამ გარემოებამ შიშის ზარი დასცა ნიკომედეს ლაშქარს, როდესაც დაინახეს შუა-შუა დაჭრილი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ სუხთქავდნენ, ან ხაწილ-ნაწილ დაფლეთილნი და მათი სხეული ეტლებზე ჩამოკონწიალებულნი. უფრო ზიზღით აღვსილმა ასეთი საშინელი სანახაობით, ვიდრე ბრძოლაში დამარცხებულმა შეშინებულებმა დაშალეს თავისი რიგები. მათზე, არეულ-დარეულებზე, განაგრძობდა შეტევას არქელაოსი ფრონტიდან, ხოლო ნეოპტოლემე და არკათი, გაქცევიდან შემობრუნებულნი, თავს დაესხნენ მტერს ზურგიდან. ისინი დიდხანს იცავდნენ თავს, იბრძოდნენ რა ორივე მიმართულებით: ბაგრამ როდესაც მებრძოლთა უდიდესი ნაწილი გაწყდა, ნიკომედე გადარჩენილებთან ერთად პაფლაგონიაში გაიქცა. მითრიდატეს ფალანგას არც კი დასჭირვებია ბრძოლაში ჩაბმა. ნიკომედემ აქ დაჰკარგა მთელი თავისი ბანაკი უამრავი ფულითა და აუარებელი ტყვეებითურთ. ისინი ყველა შეიწყალა მითრიდატემ, მისცა გზის ფული და შინ გაგზავნა, შეიქმნა რა ამით მტრის ქვეყანაში ძოწყალის სახელი[1].

პონტოელთა ბრწყინვალე გამარჯვებამ შიშის ზარი დასცა რომაელებს. მითრიდატეს ავტორიტეტი და პოპულარობა კიდევ უფრო გაიზარდა იმით, რომ იგი სამხედრო ტყვეებს ათავისუფლებდა და დასაჩუქრებულთ ისტუმრებდა თავიანთ სამშობლოში.

მითრიდატე გამაგრდა სკორობის მთაზე, ბითინია-პონტოს საზღვარზე. ნიკომედემ ბრძოლაში გადარჩენილი მეომრებით დაიბანაკა მანიუს აქვილიუსის გვერდით, რათა საჭირო შემთხვევაში, გადარჩენილი ჯარის ნაშთებით მიშველებოდა მას. სანამ გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყებოდა, მითრიდატეს ლაშქრიდან ასამდე საერომატი მხედარი დაწინაურდა და სასტიკად დაამარცხა რვაასკაციანი ბითინიური რაზმი; ზოგი მათგანი ტყვედ მიჰგვარეს პონტოს მეფეს. ეს ტყვეებიც ევპატორმა გზის ფულით დაასაჩუქრა და გაათავისუფლა.

მითრიდატეს პიოდაპირ დაბახაკებულმა მანიუს აქვილიუსმა ველარ გაბედა გამარჯვებით გალაღებულ პონტოელებთან შებმა და, რადგან იქ დაყოენებაც სახიფათოდ ჩასთვალა, სწრაფად დაიწყო უკან დახევა და თითქმის გაქცევა პერგამოსისაკენ. ნიკომედეც თავი-

[1] App., Mithr. 18.

სი ჯარის ნარჩენებით მას შეუერთდა. მითრიდატემ ბრძანა სასწრაფოდ დადეენებოდნენ გაქცეულ მტერს. პაქიად წოდებულ ადგილზე ნეოპტოლემე და სომეხი ნემანი თავიანთი რაზმებით წამოეწივნენ აქვილიუსის ლაშქარს და აიძულეს ის ბრძოლაში ჩაბმულიყო. რომაელები საშინლად დამარცხდნენ. მათ ბრძოლის ველზე დატოვეს 10.000 კაცი, ხოლო 300 მეომარი მითრიდატეს სარდლებმა ტყვედ მიჰგვარეს თავის მბრძანებელს. მითრიდატემ ისინიც გაათავისუფლა და გაუშვა თავიანთ ქვეყნებში. მანიუს აქვილიუსის მთელი ბანაკი პონტოელთა ალაფად იქცა. თვითონ აქვილიუსი ვაიქცა და პერგამონში თავის შეფარება მოასწრო. აქვილიუსთან შეტაკების პარალელურად პონტოელთა არმიის მეორე ნაწილმა სასტიკად დაამარცხა ოპიუსისა და მალტინიუსის ჯარები კაპადოკიაში.

მითრიდატემ გადაწყვიტა აქ არ შეჩერებულიყო და განეგრძო შეტევა რომაელთა წინააღმდეგ.

მითრიდატეს ახალ სულისკვეთებას და განწყობილებას თანამედროვე მდგომარეობის მიმართ ნათლად გამოხატავს მისი სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს თავისი ძლევამოსილი ჯარების წინაშე:

„ჩემთვის ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ შემეძლოს თქმა - ომი სჯობს რომაელებთან, თუ მშვიდობა. ხოლო, რომ თავდამსხმელს წინააღმდეგობის გაწევა უნდა, ამაში ისინიც კი არ ყოყმანობენ, ვისაც გამარჯვების არავითარი იმედი არა აქვს. ავაზაკის მიმართ ყოველი მიმართავს იარაღს, თუნდაც არ ჰქონდეს შესაძლებლობა თავისი სიცოცხლის გადარჩენისა, უკიდურეს შემთხვევაში შურის საძიებლად მაინც“... მითრიდატე განსაკუთრებით უსვამდა ხაზს რომაელი დამპყრობლების მსუნაგ მადას და აღვირახსნილ ექსპლოატაციას დაპყრობილი ქვეყნების მიმართ: „როგორც თვითონ ამბობენ, მათი დამაარსებელნი მგლის ძუძუთი არიან გაზრდილნი, ასევე მთელ მათ ხალხს აქვს მგლის სული, გაუმაძღარი სისხლითა და დაპყრობებით, მსუნაგი სიმდიდრისადმი და შურიანი“. მეფე თავის ჯარებს მოუწოდებდა, რომ სასტიკი დამპყრობლებისათვის არ დაეთმინთ ნაყოფიერი და მშვენიერი აზიის მიწა-წყალი და უხატავდა მათ აზიისათვის ბრძოლის ოპტიმისტურ პერსპექტივებს: „ახლა მე ვიწყებ სულ სხვა სახის ომს. ვინაიდან არ არის სხვა ცა უფრო ზომიერი. არ არის სხვა მიწა უფრო ნაყოფიერი, არ არის სხვაგან სიმრავლე მშვენიერი ქალაქებისა, როგორც აზიაში; ხოლო ჩვენი დროის უმეტეს ნაწილს გავატარებთ არა როგორც ლაშქრობაში, არამედ როგორც დღესასწაულში და არ შეიძლება ითქვას, თუ რით იქნება ეს ომი უკეთესი, თავისი სიადვილითა, თუ სარფიანობით; განსაკუთრებით, როცა თქვენ გაიგებთ ატალის სამეფოს სიმდიდრის შესახებ, რომელიც შორს არ არის. ან ლიდიისა და იონიის უძველეს საუნჯეთა დასაუფლებლად. მთელი აზია

ისეთი მოუთმენლობით მიმელოდება, რომ სახალხო დღესასწაულები შეიქმნება. ყველგან ასეთი უდიდესი სიძულვილი გააღვივეს რომაელებისადმი პროკონსულების მძარცველობამ, ხარკის ამკრებთა ვხეცობამ და „დავის ატეხაში უსინდისო წაქეზებამ"[1]. ასეთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი სიტყვის წამძღვარების შემდეგ მითრიდატე ევპატორი განაგრძობს შეტევას.

აქვილიუსის სამარცხვინო მარცხის შემდეგ, ლუციუს კასიუსი და ნიკომედე ბითინიელი სასწრაფოდ გადავიღნენ ფრიგიაში და დაბასაკდნენ ძლიერად გამაგრებულ ლეონტოკეფალიაში. აქ მათ დაიწყეს ახალი ჯარების შეკრება ხელოსანთა, გლეხთა და სხვა კერძო პირთაგან და შეუდგნენ მათ სახელდახელოდ გაწვრთნას. მაგრამ მალე იმედი დაკარგეს, რომ ამ ახლადშეკრებილთა მეოხებით რაიმეს გახდებოდნენ. ამიტომ ეს ჯარი დაშალეს და საკუთარი ტყავის გადარჩენაზე დაიწყეს ზრუნვა. კასიუსმა თავი შეაფარა აპამეას, ნიკომედემ — პერგამონს, ხოლო მანიუს აქვილიუსი პერგამონიდან გაიქცა როდოსზე. მერე, კასიუსიც გაიქცა როდოსზე, ხოლო აქვილიუსი — ლესბოსზე.

როცა პროპონტიდაში გამაგრებულმა მეზღვაურებმა სახმელეთო არმიების ასეთი მარცხი და სარდლების სამარცხვინო გაქცევის ამბავი შეიტყვეს, ყოველგვარი წინააღმდეგობა უნაყოფოდ ჩასთვალეს და მთელი ფლოტი და პონტოს ზღვის გასაღებები ძლევამოსილ ევპატორს გადასცეს.

ამგვარად, ახლა მითრიდატეს ხელში იყო მთელი მცირე აზია, ბითინია, პროვინცია აზია, მიზია, ფრიგია, გალატია, კაპადოკია და უკვე მზად იყო ჯარები ეგეოსის არქიპელაგზე გადასხმისათვის.

მითრიდატე დაუყოვნებლივ შეუდგა ომებისაგან აფორიაქებული მცირე აზიის ოლქების საქმეთა მოწესრიგებას. მან შემოიერთა ლიკია და პამფილია და ყველა ადგილები იონიამდე. ჯერჯერობით წინააღმდეგობას ეწეოდა მდინარე ლიკოსზე მდებარე ლაოდიკეა, სადაც მცირერიცხოვანი მხედრობითა და დაქირავებული მეომრებით თავს აფარებდა ქვინტუს ოპიუსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ პონტოელებმა სასტიკად დაამარცხეს კაპადოკიაში. მითრიდატემ ლაოდიკეის მცხოვრებლებს მაცნეს პირით გამოუცხადა, რომ მათ ქალაქს არავითარ ვნებას არ მიაყენებს, თუ ისინი იქ თავშეფარებულ რომაელ სარდალს დაატყვევებენ და მას გადასცემენ. ქალაქის მცხოვრებლებმა გაათავისუფლეს ოპიუსის დაქირავებულნი, ხოლო თვითონ ოპიუსს დაცინვით წინ ლიქტორები გაუმძღვარეს და ასე დამცირებული მიჰგვარეს მეფეს. ამ ამაყ სარდალყოფილს მითრიდატე დიდხანს ბორკილდადებულს დაატარებდა და აჩვენებდა ყველას, ძლეულსა და პატივაყრილს. კიდევ უარესი ბედი ხვდა წილად მანიუს აქვილიუსს, რომე-

[1] Iust., XXXVIII, 4—7.

ლიც მითრიდატემ კუნძულ ლესბოსზე შეიპყრო. მეფის ბრძანებით მას სახელარზე შესმულს დაატარებდნენ. მეფე მნახველებს ხმამაღლა მოუთხრობდა, რომ ეს იყო მანიუს აქვილიუსი, რომაელი სარდალი, ომის მთავარი გამჩაღებელი. საშინელი იყო რომაელის აღსასრული. მითრიდატემ პერგამონში ყოფნისას ბრძანა მისთვის პირში გამდნარი ოქრო ჩაესხათ. ამით პონტოელებმა რომაელებს „თავსლაფი დაასხეს მექრთამეობისათვის“.

პერგამონში მითრიდატემ თავის ახალი, დიდი იმპერიის ეკონომიური სიმტკიცისათვის, ერთიანი ოქროს მოხეტების გამოშვება დაიწყო.

პერგამონიდან მითრიდატე ჩავიდა მაგნეზიაში, ეფესოში და შემდეგ ლესბოსზე — მიტილენაში. პონტოელს თითქმის ყველგან ფულთბილად ხვდებოდნენ და სიამოვნებით დგებოდნენ მისი საბრძოლო დროშის ქვეშ. ასე, ეფესოს მცხოვრებლებს მითრიდატეს სასიამოვნოდ და რომაელთადმი მძულვარების აღსანიშნავად, თავის ქალაქში რომაელთა ქანდაკებები დაუმსხვრევიათ. ზოგიერთი ქალაქი ჯერ ისევ რომაელთა მხარეზე იდგა, მაგრამ მალე მითრიდატემ მათი წინააღმდეგობა გასტეხა. ასე აიღო მან სტრატონიკეა, ჩააყენა გარნიზონი და წინააღმდეგობისათვის მის მცხოვრებლებს ფულადი ჯარიმა დააკისრა. სტრატონიკეაში მითრიდატეს ცოლად შეურთავს ბერძენი ფილოპემენის ასული, მონიმე...

სანამ რომში აღმოსავლეთის გართულებულ მდგომარეობაზე ფიქრით თავს იმტვრევდნენ, მითრიდატემ გადაწყვიტა აზიაში რომაელთა არსებობაც კი სავსებით აღეკვეთა. საამისოდ ის ითვალისწინებდა აზიის მოსახლეობაში რომაელთადმი განუზომელ სიძულვილს, გამოწვეულს იქაური ექსპლოატატორების თარეშისაგან.

მითრიდატე ეფესოში იყო. აქედან მან ერთ დღეს, ბითინიის, კაპადოკიისა და ფრიგიის მმართველებს და აზიის ქალაქთა უფროსებს ბრძანება გაუგზავნა, რომლის თანახმად, ამ ბრძანების მიღებიდან ოცდაათი დღის შემდეგ დაეწყოთ აზიაში მცხოვრები ყველა რომაელისა და იტალიელის, აგრეთვე, ეგვიპტელი და ებრაელი ვაჭრების ხოცვა-ჟლეტა. ბრძანება სასტიკად კრძალავდა ყოველგვარ შებრალებას; განურჩევლად უნდა დაეხოცათ მოხუცი, ბავშვი, ქალი თუ კაცი. აკრძალული იყო მოკლულთა დასაფლავება. სიკვდილი მოელოდა ყველას, ვინც შეეცდებოდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა სასიკვდილო მსჯავრდადებულთათვის. დამარხვისთვისაც სიკვდილით სჯიდა. მონები, რომლებიც თავიანთ ბატონებს დაბეზღებდნენ, თავისუფლებას ღებულობდნენ, ვალის ნახევრისაგან თავისუფლდებოდა ყველა, ვინც კი თავის რომაელ მევალეს სიკვდილს შეამთხვევდა. ბრძანების თანახ-

ად, ცხადდებოდა განწირულთა მთელი ქონების კონფისკაცია და ვაყოფა მეფესა და მკვლელთა შორის.

ასეთ ბრძანებას საზარელი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ზოგი წყაროების ცნობებით, ეფესოს ედიქტში აღნიშნულ დღეს აზიაში 80.000 უცხოელი (რომაელები, იტალიელები, ებრაელები) გაიჟლიტა.

აზიური ნემეზიდის მსხვერპლი პირველ რიგში რომაელები იყვნენ. არც ერთი რომაელი ცოცხალი არ გადარჩენილა აზიაში.

მითრიდატე გადავიდა კუნძულ კოსზე, სადაც მან მოახდინა კონფისკაციაქმნილი ქონების განაწილება. აქვე მან ხელთ იგდო ეგვიპტელი უფლისწულის საგანძური და სხვა ნადავლთან ერთად გაგზავნა პონტოს სამეფო ხაზინაში.

მითრიდატე არ კმაყოფილდებოდა აზიიდან რომაელების განდევნითა და განადგურებით. იგი შეუდგა თავისი საზღვაო ფლოტის გაძლიერებასა და ჯარების გადასხმას ეგეოსის არქიპელაგზე. სამეფო რეზიდენცია სინოპიდან პერგამონში გადმოიტანა და ამით უშუალოდ დაუახლოვდა საომარ ოპერაციათა ასპარეზს. აქედან ის ხშირად თვითონ უდგებოდა სათავეში ლაშქრობებს.

ეგეოსის უმრავლესი კუნძულები და ქალაქები ევპატორს უბრძოლველად ნებდებოდნენ. მრავალი მათგანი ზეიმითა და დღესასწაულებით უღებდა კარიბჭეებს. ჯერჯერობით მითრიდატეს უმკლავდებოდა მხოლოდ როდოსი, რომელიც აზიიდან გამოქცეული რომაელების თავშესაფარ ციტადელად ქცეულიყო. როგორც ითქვა, აქვე აფარებდა თავს აზიის პროკონსული ლუციუს კასიუსი.

პონტოს მეფემ აჯანყებული ლიკიელებისა და როდოსის წინააღმდეგ ბრძოლა პელოპიდეს დაავალა, ხოლო ძლიერი ფლოტისა და მრავალრიცხოვანი სახმელეთო არმიის თანხლებით არქელაოსი გაგზავნა ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ. თვითონ კი არმიის კონტიგენტების შესავსებად კრებდა და წვრთნიდა ახალ რეკრუტებს.

არქელაოსმა, სანამ ბალკანეთზე გადავიდოდა, შეუხვია კუნძულ დელოსზე, სადაც იტალიელები იყვნენ გამაგრებული. ეტყობა, ამ უკანასკნელთა წყალობით დელოსს უარი განუცხადებია ათენის სუვერენიტეტის ცნობაზე. არქელაოსმა აიღო კუნძული და იქ 20.000-მდე კაცი გაჟლიტა, რომელთაგან უმრავლესობა იტალიელები იყვნენ. ამით არქელაოსმა ეფესოს ედიქტის პროგრამაც განახორციელა და ათენის გულიც მოიგო, საითაც ის ახლა უნდა გამგზავრებულიყო. მან დელოსი ათენს უბოძა და ამით მისი მოკავშირეობა მოიპოვა. მაგრამ მითრიდატესთვის ეს არ კმარიყო; მას როგორმე უნდა მოეხერხებინა, თვით ათენში, შიგ საბერძნეთის გულში, თავისი გარნიზონი ჰყოლოდა. ამ საქმის შესასრულებლად უხეში მახვილის გამოყენებას სახიფათო პირი უჩანდა. მართალია, საბერძნეთიც მეტად უკმაყოფილოდ ეზიდებოდა

რომაული ჩაგვრის უღელს, მაგრამ უეცრად ატიკაში ჯარების შეყვანასას, შესაძლოა, მითრიდატესთვის არასასურველი შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომ არქელაოსმა ხერხს მიმართა: მასთან ამ დროს იმყოფებოდა ეპიკურული ფილოსოფიის მასწავლებელი, ათენელი არისტიონი, რომელიც მითრიდატეს მეგობრობით სარგებლობდა. მან ლესბოსში ნაალაფევი საღვთო ფულები გადასცა არისტიონს ათენის ხაზინაში შესატანად; ამასთანავე „ამ ფულის დასაცავად" გააყოლა თან ორიათას კაცამდე. ამ ორიათასი მეომრითა და ფულით არისტიონი გამოჩნდა ათენში, სადაც მან ფართო აგიტაცია გაიაღა მითრიდატეს სასარგებლოდ და რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბერძნები ჯერ ისედაც კარგად ჰხედავდნენ, რომ მითრიდატე ელინური კულტურის ღაცვისა და განთავისუფლების ლოზუნგით იბრძოდა. ქედმაღალი და უხეში რომაელების ძალმომრეობა მათში ზიზღს და სიძულვილს იწვევდა; და, აბრიგად, თუმცა ბერძენთა არისტოკრატია რომაელებს უჭერდა მხარს, არისტიონს ათენში პოლიტიკური გადატრიალებისათვის ნიადაგი გაფხვიერებული დახვდა. მან თავისი ძლიერი ამალის დახმარებით სწრაფად გაანადგურა რომაელთა სასარგებლოდ და პონტოელთა წინააღმდეგ განწყობილი არისტოკრატიული დაჯგუფება; მათგან ზოგი დახოცა, ხოლო სხვები მითრიდატეს გაუგზავნა. ათენში დამყარდა არისტიონის ტირანია, რომელიც პონტოს მეფის უმაღლეს ძალაუფლებას ემორჩილებოდა.

არქელაოსის გამოჩენისთანავე საბერძნეთის უმრავლესი პოლისები და ოლქები მითრიდატეს დაემორჩილნენ. მთელი პელოპონესი, მრისხანე ლაკედემონელებიც კი, მითრიდატეს მხარეზე დადგნენ. არქელაოსმა შეიერთა, აგრეთვე, მთელი ბეოტია, სადაც მხოლოდ თესპიამ დაიწყო გაძალიანება, რომელსაც არქელაოსმა ალყა შემოარტყა.

არქელაოსის ლაშქარს მითრიდატემ ძლიერი ფლოტი და ჯარი გააყოლა მიტროფანეს სარდლობით. მიტროფანე მიადგა კუნძულ ევბეას — დიდ ქალაქებს დემეტრიადას და მაგნეზიას, რომლებიც მითრიდატეს მორჩილებაზე უარს აცხადებდნენ, და შეუდგა მათ დარბევას. ბაგრამ მიტროფანეს წინსვლას გადაეღობა მაკედონიიდან სწრაფი ტემპით მომავალი მამაცი სარდალი ბრუტიუს სურა. მან შესძლო მიტროფანეს დამარცხება და მყისვე მიუბრუნდა ბეოტიას, სადაც ამ დროს არქელაოსი მბრძანებლობდა. ბრუტიუსმა დაუცადა მაკედონიიდან ათასი ცხენოსანისა და ქვეითის ბოსვლას და ქერონეასთან შეება არქელაოსისა და არისტიონის ჯარებს. ბრძოლა სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და არც ერთი მხარე არ ცნობდა თავს დამარცხებულად. ამ დროს, შეთანხმების საფუძველზე, პონტოელებს მოეშველნენ აქეელები და ლაკედემონელები. ბრუტიუსმა ვეღარ გაბედა ბრძოლის გაგრძელება და ჯაეშურა პირევსისაკენ, მაგრამ არქელაოსმა აქაც

დაასწრო და პირევსი თვითონ დაიკავა. ამასობაში მიტროფანემ დაიკავა ამასტრეა, ქალკიდა და მთელი ევბეა.

პარალელურად ამ ამბებისა, მითრიდატეს მემკვიდრე არიარათე თრაკიიდან შეიჭრა მაკედონიაში, დაიპყრო ის და დაანაწილა პონტოს ქვეშევრდომ სატრაპიებად.

ამგვარად, 87 წლის დასაწყისში პონტოს მეფის ძალაუფლებას ემორჩილებოდა ყველა რომაული სამფლობელო აღმოსავლეთში. მის ხელში იყო მთელი მცირე აზია, მაკედონიის უდიდესი ნაწილი და საბერძნეთი, ეპირის გამოკლებით. სიცილიიდან დაწყებული მცირე აზიის სანაპიროებამდე ხმელთაშუა ზღვის სრული ბატონ-პატრონი პონტოს ფლოტი იყო. ასე, ერთი ძლიერი დარტყმით ქრებოდა რომაული ბატონობის ვარსკვლავი აღმოსავლეთში. ახლა თვით იტალიის მახლობლად ჩამოწვა საშიში ქარიშხლის, საპასუხო „აღმოსავლური ექსპანსიის“ მომასწავებელი ღრუბელი.

ამგვარად, რომი ჰკარგავდა თავისი მსოფლიო საბრძანებლოს აღმოსავლეთ ნახევარს — ე. ი. იმ ნაწილს, რომლის დაპყრობის შემდეგ ეწოდა მას მსოფლიო სახელმწიფო, რომლის დაუფლებითაც შექმნა მან თავისი ყოვლისმომცველი სისტემა, სპეციფიურად დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებით.

ეჭვი არ არის, რომ ამ დიდ, მანამდე არნახულ, გრანდიოზულ, აღმოსავლურ-პონტოურ საფრთხეს რომში დიდი სოციალური და პოლიტიკური ძვრები უნდა გამოეწვია.

4. „ბიძგის მიმცემი“ მოძღვედებაში

ეს დიდი „აღმოსავლური (პონტოური) მოვლენა“ შეიქნა ბიძგის მიმცემი ახალი დიდი სოციალური ჭიდილისა რომში. რომაელთა სამოქალაქო ომის ამ ახალ ეტაპს ეწოდება ბრძოლები მარიუსელებსა და სულანელებს შორის. სოციალური ბრძოლის ამ საფეხურის ს ი ა ს ლ ე ძაში მდგომარეობს, რომ პ ი რ ვ ე ლ ა დ „ბელადები“ დიდი არმიებით უკვე ნამდვილი საომარი წესებით ებრძვიან ერთმანეთს და (ამ ბრძოლაში) სამშობლო თითქოს პრიზის („athlon“) როლს ასრულებდა“[1].

ნრაველისმეტყველია აპიანეს ეს პასაჟი. ჩვენ აქ ვხედავთ ახალ დიდ სოციალურ ძალებს — არმიებსა და სარდლებს — რომლებიც საკუთარ ინტერესთა საკურთხეველზე მსხვერპლად სწირავენ patria-ს ყოველგვარ იდეალს. ეს იყო პირველი დიდი სოციალური შედეგი მარიუსის სამხედრო რეფორმისა, რომელმაც რომაული სამოქალაქო ლაშქარი პროფესიონალური არმიით შესცვალა. რაკი საპლასტაციო მეურ-

[1] App. Bel. civ. I. 35.

ნეობამ აგრიკოლა-მეომართა რიცხვი შეამცირა, მარიუსმა არმიების დაკომპლექტება პროლეტარებითა და პროვინციალებით დაიწყო. ბუნებრივია, არმიას თითქმის აღარავითარი კავშირი აღარ უნდა ჰქონოდა „მშობიური რესპუბლიკის" ინტერესებთან, პირიქით, იგი თვითონ შეიქნა მთავარი იარაღი რესპუბლიკის დამხობისათვის. დგება დრო, საიდანაც არმიები იწყებენ რესპუბლიკის შეცვლას იმპერიით. სახელმწიფო ცხოვრების ცენტრი კურიიდან საძმედრო ბანაკში გადადის. ამიერიდან რესპუბლიკას აღარ ჰყავს ჯარისკაცები, რადგან ისინი უკვე ეკუთვნიან მხოლოდ მარიუსებს, სულებს, პომპეუსებს და კეისრებს. ამიერიდან ინდივიდუმ-იმპერატორებს შეუძლიათ, ომის ნაალაფევით გაერთგულებულ არმიაზე დაყრდნობით, სენატს ხელიდან გამოჰგლიჯონ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები. მათ შეუძლიათ რესპუბლიკური კონსტიტუციით ნაკურთხი ექვსთვიანი dictatura სამუდამო ერთპიროვნულ „ტირანიად" აქციონ.

იწყება ბრძოლა ინდივიდუუმ-„ტირანთა" შორის უბრწყინვალელესი „პრიზისათვის" — რომის უმაღლესი ხელისუფლების დაპატრონებისათვის. ამ უცნაური „საპრიზო ბრძოლის" მთავარი და უპირველესი გმირები შეიქნენ გაიუს მარიუსი და ლუციუს კორნელიუს სულა.

საიმპერატორო ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიის პირველი სისხლიანი ფურცელი, რომელიც მარიუსმა და სულამ მახვილთა ჯვარედინით გადაშალეს, სწორედ აღმოსავლეთის გამძაფრებულ სიტუაციას დაუკავშირდა.

ვინ იქნება ის, ვინც დაუბრუნებს „მსოფლიო ქალაქს" ასე ხელიერთპირად დაკარგულ აღმოსავლეთს? ვის ძალუძს კვლავ ჩართოს რომაული ეკონომიკის ბრუნვაში აწ მოკვეთილი, მუდამ სისხლჭარბი აღმოსავლური არტერიები? ვის შეუძლია კვლავ დაუბრუნოს დიდებამოსილება აზიელი მბრძანებლისაგან შერცხვენილ და გაწბილებულ რომაულ მახვილს?

რომში ბევრი პოლიტიკური მოღვაწე სურვილობდა, სათავეში მოქცეოდა ამ ურთულესი და იმავე დროს უაღრესად მომხიბველი მისიის განხორციელებას.

მოსალოდნელი იყო, ერთადერთი შესაფერისი კანდიდატურა მაინც გაიუს მარიუსი ყოფილიყო. მან ხომ მრავალგზის იხსნა ქვეყანა შერცხვენისა და აშკარა დამხობისგანაც კი. მაგალითად კმარა მისი ღვაწლი, განსახებული აფრიკასა და ჩრდილოეთ იტალიაში. პირველი, ეს იყო „იუგურთას ომი" — რომის სამხედრო-პოლიტიკური და მორალური დაცემულობის საშინელი დრო, როცა ნუმიდიელმა მეფუკამ ლომის მთელი რომი ოქროზე იყიდა. მხოლოდ მარიუსის ნიჭმა და პატიოსნებამ შესძლო ძალა წაერთმია იუგურთას მრავლისმაუწყებელი სარკაზმისა-

თვის: „ოო, გასაყიდო ქალაქო, შენ მაშინვე გაიყიდები, როგორც კი შესაფერი მყიდველი გამოგიჩნდება!“ მარიუსმა ხუმიდიელი ავანტურისტი გაანადგურა და სამხრეთის (აფრიკის) მიწაზე მორყეული სამანები ძლიერი მკლავით კვლავ გაამაგრა და განამტკიცა. შემდეგ ის იყო და ჩრდილოეთიდან რომს წალეკვით დაემუქრნენ კიმბრ-ტევტონთა ურდოები. „შავი ოქტომბერი“ სულშემხუთავად დააწვა რომს[1]. კვლავ ძარიუსი მოევლინა ქვეყანას მხსნელად. მისი სარდლობით რომაელებმა გაანადგურეს კიმბრები და ტევტონები. მარიუსი სახალხო გმირად იყო ქცეული. არპინუმელი homo novus[1] გაუთლელი და გაურანდავი „სოფლელი კაცი“ (rusticanus vir) ახლა უფრო დიდ სახელ-დიდებაზე ოცნებობდა. დრომაც არ დააყოვნა და მარიუსის ახალ აღზევებას თითქოს საიმედო პირით შესცინა: პონტოელებმა რომაელებს აღმოსავლეთი წარკვეთეს და ადრიატიკასაც მიადგეს. უკვე 60 წელს გადაცილებული მოხუცი, პატივისა და დიდებისმოყვარეობით ჭკუადაკარგული, ყოველნაირად ცდილობდა, მტერ-მოყვრისათვის ეჩვენებინა, რომ მის ბებერ ძარღვებში ახალგაზრდული სისხლი და ენერგია არ გამშრალა და არც მის სამხედრო გენიას შეჰპარვია ჩრჩილი კვდომისა.

თვითონ მარიუსი, დარწმუნებული ახალი აღმოსავლური ომის იოლობასა და შემოსავლიანობაში, იმავე დროს დაჯერებული იყო, რომ „მას აირჩევენ მთავარსარდლად და რომს აიესებს ახალი ტრიუმფებით, ხოლო თავის სახლს — პონტოური ნადავლითა და სამეფო სიმდიდრეებით“[2].

მაგრამ პონტოური სიმდიდრეებისა და აღმოსავლური სახელ-დიდების მოპოვებისათვის ბრძოლაში გაიუს მარიუსს დიდი მეტოქე გამოუჩნდა. მისი სახელი არის ლუციუს კორნელიუს სულა. ახალგაზრდა, ნიჭიერი, ცბიერი და მოხერხებული არისტოკრატი თავიდანვე გაანგარიშებულად, სიზუსტით შესდგომოდა არპინუმელი გლეხის დაჩრდილვას. იგი მისთვის ჩვეული გონებამახვილობითა. და ცინიზმით ამდაბლებდა მარიუსის ღვაწლმოსილებას. იუგურთაზე გამარჯვებას თვითონვე მიიწერდა და საბუთიც ჰქონდა, რაკი მან, მარიუსის ქვესტორმა, პირადად შეიპყრო ნუმიდიელი მეფე; კიმბრ-ტევტონებზე გამარჯვებას მეტელუსს აკუთვნებდა, და ა. შ. სულამ მარიუსი სავსებით დაჩრდილა „მოკავშირეთა ომში“, როცა მან მთელი იტალია ნასახლარებად და ნასანძრალებად გადააქცია.

რაც მთავარია, სულა კარგად იყენებდა მარიუსის პოლიტიკურ დაბნეულობას იმ დროის რთული სოციალური შეხლა-შემოხლის პირო-

---

[1] 105 წლის 6 ოქტომბერს არაუსიონთან ბრძოლაში კიმბრ-ტევტონებმა გაანადგურეს რომაელთა მეORIO-იანი არმია. ამიტომ ეს დღე რომში „შავ დღედ“ ითვლებოდა.

[2] App., Bel. civ. I. 55.

ბებში. მარიუსმა ხომ, როგორც პოპულართა ბელადმა, ვერ შესძლო ხალხის მასების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. ამიტომაც მისი ავტორიტეტი ხალხში ნელ-ნელა გაფერმკრთალდა. რასაკვირველია, მარიუსი კვლავ პოპულართა რჩეულ ბელადად რჩებოდა, მაგრამ საეჭვო იყო, რომ მისი საყრდენი სოციალური ძალა გადამწყვეტი ბრძოლის მომენტში საიმედო ძალად დარჩენილიყო.

სულა სენატისა და ოპტიმატების ბელადად აცხადებდა თავს. იგი არაფერს არ იშურებდა, გაემწვავებინა სენატის ისედაც ძტრული განწყობილება მარიუსისადმი, რომელიც კბილებით ჩაჰფრენოდა აღმოსავლეთის მთავარსარდლობას.

საერთოდ, სულასა და მარიუსის ბრძოლა აშკარა გამოხატულება იყო ორი დიდი სოციალური წრის ბრძოლისა — არისტოკრატებისა და დემოკრატებისა. არისტოკრატები და დემოკრატები, თავმოყრილნი სამხედრო დიდებით სახელგანთქმულ მარიუსსა და სულას გარშემო, ძალიან იყვნენ დაინტერესებულნი იმით, რომ მითრიდატესთან დაწყებულ ომში აღმოსავლეთის არმიის სარდლად მათი კაცი ყოფილიყო, რადგანაც ძლევამოსილი ომი განამტკიცებდა შესაბამისი პარტიის პოზიციებს რომში, მიიღებდა რა თავის განკარგულებაში ერთგულ არმიებსა და აზიურ სიმდიდრეებს.

სანამ მარიუსი ბაიას ცხელი აბაზანებით ბებერ, რევმატიზმებით ჯანგაცლილ სხეულს „იასალგაზრდავებდა“, მისმა მეტოქემ უკვე მიაღწია თავის საწადელს. 88 წელს კონსულებად გავიდნენ ლუციუს კორნელიუს სულა და კვინტუს პომპეიუს რუფუსი. სულა შეიქმნა მთავარსარდალი ახალი აღმოსავლური ლაშქრობისა. ნოლაში (კამპანია) მას ელოდებოდა ექვსი ლეგიონი მითრიდატეს წინააღმდეგ სალაშქროდ.

მაგრამ მარიუსმა არ დასთმო „აღმოსავლური“ ოქროს კვერთხი. იგი შეუთანხმდა სახალხო ტრიბუნ პუბლიუს სულპიციუს რუფუსს, რომელმაც შეადგინა კანონ-პროექტი რომაული მოქალაქეობით ახლად აღჭურვილი იტალიკების ქვირიტულ ტრიბებზე მიწერის შესახებ. ამით მარიუსს საშუალება ეძლეოდა გაეზარდა თავის მომხრეთა რიცხვი კომიციებში. ეს კი მას სჭირდებოდა ისევ აღმოსავლეთის მთავარსარდლობის მოსაპოვებლად. მთავარი სწორედ ეს იყო: სულპიციუსის კანონ-პროექტი ითვალისწინებდა სულას გადაყენებას და მარიუსის დანიშვნას მითრიდატეს წინააღმდეგ ომში.

სულას ამჯერად ნამდვილად შეეძლო „რესპუბლიკის სიწმინდის დაცვის დროშით“ გამოსულიყო მეტოქის წინააღმდეგ საბრძოლველად, სენატი და ოპტიმატები დაირაზმნენ სულპიციუსის კანონ-პროექტის სალიკვიდაციოდ. რელიგიური დღესასწაულების მომიზეზებით გამოცხადდა iustitium, რომლის მიხედვით, როგორც წესი, შეწყდა ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობა რომში. მაშინ სულპიციუსი სამ-

ზადისს შეუდგა შეიარაღებული გამოსვლისათვის (!). მან ფორუმზე გამოიყვანა 3.000 იარაღასხმული მომხრე. ამას გარდა, მან მანამდეც თავის გარშემო ორგანიზებულ ძალად (!) ჰყავდა 600 ახალგაზრდა მხედარი, რომელთაც ის ძალიან მრავლისმთქმელი სახელწოდებით მოიხსენიებდა — „ანტისენატი".

სენატი სისხლისღვრის განმეორებას შეუშინდა და iustitium გაუქმებული იქნა. სულპიციუსმა თავისი კანონი კომიციებზე დაუბრკოლებლად გაატარა.

სულამ დაინახა, მთავარსარდლობა ხელიდან ეცლებოდა. იგი სასწრაფოდ გაეშურა ნოლაში, სადაც ლეგიონები მოუთმენლად ელოდნენ აღმოსავლეთში გამგზავრებას. იქითკენვე გაეშურნენ სულპიციუსისაგან გაგზავნილი სამხედრო ტრიბუნები, რომელთაც ლეგიონები უნდა გადაეცათ ახლადდანიშნული მთავარსარდლისათვის — მარიუსისათვის.

სულამ სახელმწიფოს ბედი თავის სიცოცხლესთან ერთად შეაგდო ყოფნა-არყოფნის სასწორზე, ოღონდ კი მოპირდაპირისათვის არ დაეთმო „აღმოსავლეთის ტახტი". მან გადაწყვიტა იარაღის ძალით ვადაეჭრა საკითხი. ცბიერმა დიპლომატმა ყველაზე მგრძნობიარე ნერვი გაუღიზიანა მბარცველობისათვის წკიპზე შემდგარ ლეგიონერებს. მან არმიას გააცნო რომში დატრიალებული ამბები, რომ სულა გადააყენეს თავხედმა სულპიციუსმა და მარიუსმა, რომ მის მაგივრად მთავარსარდლად დანიშნულია მარიუსი, რომელიც აღმოსავლეთში სალაშქროდ, რასაკვირველია, სულ სხვა, თავისი ვეტერანებისაგან შედგენილ არმიას წაიყვანს.

ეს მოკლე განცხადება სავსებით საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ რომის პოლიტიკური და სოციალური ისტორია სავსებით ახალ, კვლავ უ პ რ ე ც ე დ ე ხ ტ ო გზას დასდგომოდა, არმია, რომელიც სულას დეკადოგიამდეც მოუთმენლად ჰიისწრაფოდა მითრიდატეს წინააღმდეგ სამრად, როგორც შემოსავალთა დიდი წყაროს დასაუფლებლად, დარწმუნებული იყო, რომ მარიუსი სხვა არმიას წაიყვანდა აღმოსავლეთში გასამდიდრებლად.

და აი, ერთბაშად გამჟღავნდა ის, რის პერსპექტივასაც თავისი რეფორმით საფუძველი დაუდო თვით მარიუსმა: არმიამ პ ი რ ვ ე ლ ა დ რომის სამხედრო და პოლიტიკურ ისტორიაში ხმა აღიმაღლა როგორც ყოველგვარი სახელმწიფოსაგან (მათ შორის მშობლიურისაგან) დამოუკიდებელმა დიდმა სოციალურმა ძალამ. სულამაც დაინახა ის, რის დანახვაც მას ასე სწყუროდა: ექვსი რომაული ლეგიონი სულერთიანად მისი ორეულისაგან შესდგებოდა, მას თვალში შესცქეროდა 35.000 პატარა სულა, მძარცველობისა და გამდიდრების დაუოკებელი წყურვილით სავსე ლამეგრეულნი, რომელნიც სიკვდილ-სიცოცხლის ფასადაც არავის დაუთმობენ მდიდარი აღმოსავლეთის საძარცვავ ასპარეზს.

ძათი სურვილია, დაუყოვნებლივ განადგურდეს ყველა და ყველაფერი; ვინც და რაც წინ ეღობება მათს აღმოსავლურ ლაშქრობას.

მაშ, პირველი საფრთხე ელის თვითონ მარიუსს, ვინაც მორჩილი აგრიკოლა-შოლაშქრე გულქვა და გულხარბი პროფესიონალი ლეგიონერით შესცვალა.

მაგრამ ჯარისკაცები მარიუსის დასჯის მოთხოვნით როდი იწყებენ. ისინი უფრო დიდი, მანამდე ხელშეუხებელი, გრანდიოზული კერპის ხელისხლებას მოითხოვენ. ეს კერპი არის თვითონ რომი, მშობლიური ქალაქი! და აი, ჯარისკაცებმა, რომელთაც კარგად ესმოდათ სარდლის ნაფიქრალი და თანაც ეშინოდათ „ლაშქრობა არ დაჰკარგვოდათ", სულას „მოსთხოვეს გაბედულად წაეყვანა ისინი რომზე"[1].

მაშასადამე, რომაელებმა იარაღი აღმართეს რომზე, რასაც ვერ ბედავდა რომის მტერთაგან უსაშინელესი ჰანიბალიც კი.

ამ საოცარი მოვლენის პრეცედენტად არც მარიუს კორიოლანუსის მაგალითი გამოდგება: კორიოლანუსმა ხომ უცხოელები და არა თანამემამულენი მიუსია მშობლიურ ქალაქს. გაიუს გრაკჰუსის მიმდევრებიც ხომ კრეტელი მეომრების ხელით დახოცეს ოპტიმატებმა.

სულას ჯარისკაცებმა დაიწყეს იმით, რომ იქვე, ნოლაში, დახოცეს მარიუსისა და სულპიციუსის მოციქული სამხედრო ტრიბუნები.

და სულამ დაუყოვნებლივ დასძრა ლეგიონები რომისაკენ.

ამგვარად, რომაული ლაშქარი „პირველად შევიდა მშობლიურ მიწაზე, როგორც მტრის მიწაზე"[2]. ამიერიდან რომი საომარ ასპარეზად აქციეს სარდლებმა და მათმა ერთგულმა არმიებმა, „სიტყვით მეამბოხეთა წინააღმდეგ, საქმით კი სამშობლოს წინააღმდეგ". ამიერიდან ერთპიროვნულ ძალაუფლების მაძიებელნი თავიანთი ლეგიონებით იჭრებოდნენ რომში, „როგორც მტრის ქვეყანაში; უწყალოდ ანადგურებდნენ ყველას, ვინც წინ დაუდგებოდნენ, ზოგს პროსკრიპციებით ამთხვევდხენ სიკვდილს, ან გახდევნიდნენ, ქონებას ართმევდხენ, სხვებს კიდევ საშინლად აწამებდნენ"[3].

ამგვარად, ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ მ ა რომის ისტორიაში სრულიად ა ხ ა ლ ი ფურცლები გადაშალა — ესაა ბრძოლა ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებისათვის რომში; ბრძოლა დრომოჭმულ-მონათმფლობელურ-რესპუბლიკურ ხელისუფლებასა და აუცილებლობით გამოწვეულ მონარქიულ-იმპერატორულ ტენდენციებს შორის.

მაშ, სულა რომში შევიდა „როგორც მტერი აზრითაც და საქმითაც". მარიუსისა და სულპიციუსის ძალები დამარცხდნენ. პოპულართა ბელადები გაიქცნენ. სულამ მარიუსის მიმდევრები სახელმწიფოს მტრე--

---

[1] App., Bel. civ I. 57.

[2] ibid. 57.

[3] ibid., I. 2.

ბად გამოაცხადა და მათ დევნას შეუდგა. სულპიციუსი შეიპყრეს, თავი მოჰკვეთეს და სულას მიუტანეს. სულამ ტრიბუნის თავი ფორუმზე გამოჰკიდა. სულანელები გაავებულნი ეძებდნენ მარიუსს. იტალიის ყოველ კუთხეში, კლდე-ღრეებში და ტყეებში, თუ ჭაობებსა და ლაქაშებში, აფარებდა თავს მარიუსი — ერთ დროს „რისხვა მტრებისა, იმედი და საყრდენი საშობლოისა", ახლა თანამემამულეთაგან დევნილი და მიუსაფარი. ბოლოს, დიდის ვაივაგლახითა და ჭირთა ძლევის შემდეგ, როგორც იქნა, აფრიკაში ჩაიტაცა გვემული სული და სხეული.

სულა კი რომს დასცხრომოდა თავისი ლეგიონებით. მან „დაამხო ტირახია", როგორც შეჰპირდა სენატს. მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ფაქტიურად მან მარიუსის „ტირანიის" ცდა საკუთარი, უფრო ავისმაუწყებელი ტირანიის დამყარებით განაგდო. სულა ფრთხილობდა, შორს იცქირებოდა. მთავარი საზრუნავი (აღმოსავლური ლაშქრობა), რისთვისაც მან ამდენი სისხლი ჰღვარა, ჯერ კიდევ წინ ედო. ამიტომ მან, თუმცა შერყეული და შეძრწუხებული, მაგრამ მაინც ფეხზე მდგარი სენატი გაამაგრა და გააძლიერა, მას დაუბრუნა auctoritas senatus, რაც გრაკხუსების დროიდან სენატს წართმეული ჰქონდა. ე. ი. ამიერიდან სენატის წინასწარი განხილვისა და მოწონების გარეშე ვერც სახალხო ტრიბუნი და ვერც სახალხო კრება ვერავითარ კანონსა და ღონისძიებას ველარ მიიღებდა. სულას ბრძანებით სენატში დამატებით იქნა შეყვანილი სამასი კაცი — ე. ი. სენატის წევრთა რიცხვი ექვსასამდე გაიზარდა. დაუყოვნებლივ გაუქმდა სულპიციუსის კანონდებლობაც, რომელსაც ისე თავგამოდებით ებრძოდნენ ოპტიმატები.

სულამ ჩაატარა კონსულთა არჩევნები მომავალი წლისათვის. მან კონსულად გაიყვანა თავისიანები, გნეუს ოქტავიუსი და ლუციუს კორნელიუს ცინა.

ამრიგად, სულამ რომში მდგომარეობა სტაბილურად მიიჩნია და 87 წლის ადრიან გაზაფხულზე აღმოსავლეთისკენ გაეშურა.

მაგრამ ის ბალკანეთზე ფეხშედგმულიც არ იქნებოდა და რომში ატყდა ბრძოლა კონსულებს შორის. ცინამ განაახლა კანონი, რომელიც წინა წელს წამოაყენა ტრიბუნმა სულპიციუსმა, ე. ი. მოითხოვდა თანასწორუფლებიანობას ძველ და ახალ (იტალიკები) მოქალაქეთა შორის (ისინი ერთნაირად უნდა განაწილებულიყვნენ ყველა ტრიბაზე). ამას გარდა, ამნისტია ეხებოდა ყველას, ვინც დევნა განიცადა სულას რეჟიმისაგან. ცინამ ეს კანონ-პროექტი შეიმუშავა სახალხო ტრიბუნებთან ერთად. ერთი სიტყვით, იგი შეიქმნა. პოპულარების აღიარებული ბელადი სულანური სენატისა და ოპტიმატების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი შემოიკრიბნენ მეორე კონსულის, ოქტავიუსის გარშემო.

კანონ-პროექტის კენჭისყრის დღეს ფორუმზე ახალი ხოცვა-ჟლეტა

გაჩაღდა. ორივე მხრიდან მოკლული იქნა 10.000 კაცი. პოპულარები დამარცხდნენ. ცინა რომიდან გაიქცა. სენატმა იგი გადაყენებულად და სახელმწიფოს მტრად გამოაცხადა. მის მაგივრად კონსულად არჩეული იქნა უმაღლესი ქურუმი ლუციუს მერულა.

მაგრამ პოპულარები ბრძოლას არ წყვეტენ. მათი ბელადები — ცინა, ქვინტუს სერტორიუსი და გნეუს პაპირიუსი — მთელი იტალიის მოსახლეობას მოუწოდებდნენ სულანელთა „ტირანიის" წინააღმდეგ სალაშქროდ. იტალიკებს სოციალური და პოლიტიკური სიახლოვე, რასაკვირველია, უფრო პოპულარებთან ჰქონდათ, ვიდრე ოპტიმატებთან. ამიტომ ცინამ და მისმა თანამებრძოლებმა მალე მოუყარეს თავი სარევანშო ბრძოლისათვის საჭირო ძალებს.

რაც მთავარია, ცინას კანონით გამოცემულმა ამნისტიამ იტალიაში დააბრუნა გაიუს მარიუსი. იგი თავისი თანალტოლვილებით ჩამოვიდა აფრიკიდან. ეტრურიაში მისვლისთანავე მან თავი მოუყარა ექვსიათასამდე მეომარს, იტალიკებსა და ლიბერტინებს.

მარიუსმა აიღო ოსტია და პურით მომარაგების გზები გადაუჭრა რომს. ქალაქში შიმშილობა დაიწყო. 87 წლის შუა ზაფხულში, ყოველის მხრიდან გარშემორტყმული, დამშეული რომაელები დანებდნენ რომაელებს!

რომში არნახული ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. ხუთი დღე-ღამის განმავლობაში მარიუსელები განუწყვეტლივ ეუფავდნენ სულანელებს. მარიუსი არ ინდობდა არავის, ვისაც კი ოდნავი ეჭვით სულას მომხრედ ან უბრალოდ მისდამი გასიმპათიურებულად მიიჩნევდა. შურით აღვსილი, გაბოროტებული მობუცი ახლა სწორედ ისე იქცეოდა, როგორც შემდგომში მისი დიდი მეტოქე — მოსისხლე, ლუციუს კორნელიუს სულა, — „ბოროტებით ბორტების მკურნალი". ახლა მარიუსმა გამოაცხადა სულა სახელმწიფოს მტრად. ყველა მისი ღონისძიება გააუქმა და, რასაკვირველია, მთავარსარდლობაც „ჩამოართვა". 86 წლისთვის მარიუსი მეშვიდედ იქნა კონსულად არჩეული, ცინა კი მეორედ. ბუნებრივია, არავის გაუხსენებია, — ან გახსენებას ვინ გაბედავდა — რომ ერთი და იგივე პირის კონსულად მეორედ არჩევისათვის ათწლიანი დისტანცია იყო საჭირო. მარიუსი ოცი წლის მანძილზე შვიდჯერ იყო კონსულად, ხოლო ცინა სამჯერ ზედიზედ.

მარიუსს ალბათ სურდა კიდეც წასულიყო აღმოსავლეთში „გადაყენებული" მეტოქის შესაცვლელად, მაგრამ სიკვდილმა უსწრო (86 წლის იანვარში) და მითრიდატეს წინააღმდეგ საომრად გაემგზავრა მარიუსის მონაცვლე ახალი კონსული ვალერიუს ფლაკუსი, ხოლო მარიუსის ერთპიროვნული დიქტატურა მთლიანად ხელთ იგდო ცინამ...

5. „დასავლელი დიქტატორი“ აღმოსავლეთში

სოლო ამ დროს სულა — „დასავლელი დიქტატორი“ — მძვინვარებას იწყებს აღმოსავლეთში. იგი ბალკანეთზე გადასვლისთანავე შეიჭრა ბეოტიაში. შიშით შეპყრობილი აქაური ქალაქების ნაწილი მაშინვე მის მხარეზე გადავიდა, მათ შორის ბეოტიის ცენტრალური ქალაქი თებე, რომელმაც ადრე მითრიდატეს გამოუცხადა მორჩილება. ბეოტიის ის ქალაქები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ პონტოელთა ღალატს, სულამ მოულოდნელი თავდასხმით ჩაიგდო ხელში.

შემდეგ სულა მიუახლოვდა ატიკას. აქ მან ჯარი გაჰყო ორ ნაწილად: ერთი გაგზავნა ათენის წინააღმდეგ, სადაც გამაგრებული იყო არისტიონი, ხოლო თვითონ, მეორე ნაწილით, გაეშურა პირეევსისაკენ, სადაც ძლიერი ლაშქრით მითრიდატეს ელოდებოდა სარდალი არქელაოსი. რომაელებმა იერიში მიიტანეს პერიკლეს დიად ქმნილებაზე. სულამ ბრძანა საიერიშო კიბეები მიედგათ ორმოცი წყრთის სიმაღლე ქვის კედლებისათვის, შესულიყვნენ და თავს დასტყდომოდნენ სიმაგრის შიგნით ჩარაზმულ მოწინააღმდეგეს. რომაელები ათიათასამდე წყვილ სასეიდარს ამუშავებდნენ ახალ-ახალი საიერიშო მოწყობილობებისა და ნიწაყრილების აღსამართავად. პირეევსში გამაგრებული პონტოელები მედგრად იცავდნენ თავს. ისინი უმალვე ანგრევდნენ და წვავდნენ ყოველ ახალ მოწყობილობას, როგორც კი რომაელები აღმართავდნენ მას კედლების გადასალახავად. სულა იძულებული შეიქნა იერიშებზე დროებით ხელი აეღო; ის დაბრუნდა ელევსინში და მეგარაში და შეუდგა შეტევისათვის ახალ სამზადისს.

უპირველესად საჭირო იყო ხე-ტყე ახალი კატაპულტების, საიერიშო მანქანებისა და კიბეების ასაგებად. საამისოდ სულამ არ დაზოგა ცივილიზებულ ადამიანთათვის სათაყვანო, უწმინდესი ადგილებიც კი. მისი ბრძანებით გაჩეხეს აკადემიისა და ლიკეიონის ბრწყინვალე ხეივნები. რომაელმა სარდალმა არანაკლები მკრეხელობა ჩაიდინა ფულის შესაგროვებლად. მან ბრძანება გასცა გაეძარცვათ ეპიდავრის ასკლეპიოსისა და ოლიმპოს მდიდარი ტაძრები. ამავე დროს მან ბრძანება გაუგზავნა დელფოს აპოლონის ტაძრის ამფიქტიონებს, რომ დაუყოვნებლივ გადაეგზავნათ მისთვის იქ არსებული მდიდარი განძეულობანი. ამგვარად, საბერძნეთის ბრწყინვალე ტაძრები, საუკუნეების მანძილზე უბრწყინვალესი შესაწირავებით აღვსილნი, კორნელიუს სულამ შეუბრალებლად გაძარცვა და გააპარტახა. რასაკვირველია, ბერძენთა პროტესტს ანგარიშს არ გაუწევდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც „საკუთარი სამშობლოც კი ყიდვა-გაყიდვის საგნად აქციეს“[1].

მიღებული ფულადი თანხები სულას პირველ რიგში უნდა გამოეყე-

[1] Plut., Sul. 12.

ნებინა ათენისა და პირევსის ალყის წარმატებით გასაგრძელებლად; შემდეგ, საშუალება ეძლეოდა ჯარისკაცებისთვისაც გაესწორებინა ანგარიში.

სულამ კვლავ გააჩაღა იერიშები ათენზე და პირევსზე. არქელაოსის ბანაკში მოღალატენი გაჩნდნენ. ორი ატიკელი მონა პონტოელთა ბანაკიდან რომაელებისაკენ შურდულით ტყორცნიდნენ ტყვიის ბურთულებს, რომლებზეც წარწერები სულას ატყობინებდნენ, თუ რა ღონისძიებებისა და გეგმების განხორციელებას აპირებდნენ პონტოელები. ასე, მათ სულას შეატყობინეს, რომ მომავალ დღეს არქელაოსის ქვეითი ჯარი პირდაპირი ფრონტით დაესხმოდა თავს პირევსის კედლებთან საალყო მანქანებზე და მიწაყრილებზე მომუშავე რომაელებს, ხოლო კავალერია ორივე ფალანგიდან შეუტევდა მათ. ე. ი. პონტოელ სარდალს მშვენივრად ჰქონდა საბრძოლო გეგმა მოფიქრებული. ნაგრამ სულამ მოღალატეთაგან მიღებული ცნობის საშუალებით ბრწყინვალედ მოიგერია არქელაოსის შემოტევა.

მაგრამ პირევსის ალყა მაინც ჭიანურდებოდა. მოწინააღმდეგენი გაიფთრებული სისხლთანთხევით ართმევდნენ ერთმანეთს ყოველ გოჯ მიწას. როცა სულამ მაღალი კედლის გადასალახავად მიწაყრილები აღმართა, მასზე აცოცებულ რომაელებს არქელაოსმა ახალი სიაგრეები და გოდოლები დაახვედრა. ამავე დროს, პონტოელმა სარდალმა პირევსის დამცველთა რაზმები თავისი ფლოტის მეზღვაურებით გააძლიერა. ღამით პონტოელები გადაცოცდნენ კედლებზე და დაანგრიეს და დასწვეს სულას ახლად აღმართული საიერიშო მოწყობილობანი. მაგრამ რომაელებმა ათი დღის განმავლობაში კვლავ განაახლეს ისინი; თავის მხრივ, პონტოელებმაც მათ წინააღმდეგ ისევ აღიართეს ციხეკოშკები.

ამასობაში არქელაოსმა მითრიდატესაგან მიიღო მაშველი ძალები დრომიქეტეს მეთაურობით და გადაწყვიტა მთელი ძალებით გამოსულიყო რომაელთა წინააღმდეგ.

პირევსის კედლებთან მაშხალების შუქზე საშინელი სისხლისღვრა გაიმართა. ბრძოლის სასწორი დიდხანს ქანაობდა. სარდლები ბრძოლისაკენ ძლივს აბრუნებდნენ ხოცვა-ჟლეტით შეძრწუნებულ მეომრებს. სულას არმია გაჭირვებისაგან იხსნა ხე-ტყის დამზადებიდან დაბრუნებულმა მეორე ლეგიონმა და სახელმწიფო დამნაშავეებმა, რომელთაც მისჯილი ჰქონდათ ბრძოლით გამოესყიდათ თავისი დანაშაული. ისინი განსაკუთრებული სიაფთრით შეებნენ პონტოელებს. ამ უკანასკნელთ იწყეს უკან დახევა. არქელაოსი ამაოდ ცდილობდა ბრძოლის ბედის შემობრუნებას. არც ამ შეტაკებას მოჰყოლია გადამწყვეტი შედეგი. პირევსი და ათენი კვლავ მედგრად იცავდნენ თავს. ზამთარი დგებოდა და საბრძოლო მოქმედებანიც უნდა შესუსტებულიყო, მაგ-

რამ მოწინააღმდეგენი მაინც არ ცხრებოდნენ. სულა კვლავ ელევსინში გამაგრდა და ზღვისაკენ დაიწყო ღრმა თხრილების გაყვანა, რათა ამ მხრიდან თავი დაეზღვია მოწინააღმდეგის კავალერიის შემოტევისაგან. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში არქელაოსს კედლებს გარეთ გამოეყავდა თავისი მეომრები და მოსვენებას არ აძლევდა რომაელებს. სულას კიდეე უფრო უჭირდა, რადგან ზღვაზე არც ერთი ხომალდი არ ჰყავდა და ამის გამო პონტოელებს საშუალება ეძლეოდათ ზღვიდანაც დასხმოდნენ მას თავს. რომაელმა სარდალმა დახმარება სთხოვა როდოსს, მაგრამ როდოსელებმა ვერ მოახერხეს მიშველებოდნენ მას, რადგან ზღვაზე მითრიდატეს ფლოტი მბრძანებლობდა.

მაშინ სულამ უბრძანა ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსს, საიდუმლოდ ჩასულიყო ალექსანდრიასა და სირიაში და ადგილობრივ ხელისუფალთათვის ეთხოვა დახმარება როდოსის ფლოტის გასატარებლად რომაელთა ბანაკისაკენ.

ომი ჭიანურდებოდა, ხოლო რომაელ სარდალს არსაიდან არ უნდა ჰქონოდა დამხმარე ძალების მიღების იმედი. რომიდან საშინელი ამბები მოდიოდა. პოპულარები — მარიუსელები, და ცინას მიმდევრები — დაჰპატრონებოდნენ რომს. უსუსურ სენატს არავითარი დახმარების გაწევა აღარ შეეძლო თავისი რჩეულისათვის. პირიქით, სულა სახელმწიფოს მტრად გამოცხადდა და მალე მის შესაცვლელად ახალი არმიით აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრა ახალი კონსული ვალერიუს ფლაკუსი.

სულას შთავარი იმედი მხოლოდ იმას ემყარებოდა, რომ მითრიდატეს მაშველი ძალები იგვიანებდნენ და მარტო არქელაოსისა და არისტიონის ჯარები მათზე გაპიროვნებულ საომარ ობიექტებს ვერ შეინარჩუნებდნენ. ამიტომ სულა ერთ წუთსაც არ ჰკარგავდა, რამეთუ მალე დაემთავრებინა პირეესისა და ათენის აღება, არ დაეშვა მოწინააღმდეგის არმიების გაერთიანება და ცალცალკე გაენადგურებინა ისინი.

სულა განსაკუთრებით აძლიერებდა ათენის ალყას სპეციალურად გამოყოფილი ჯარის ნაწილებით. ქალაქში შიმშილი მძვინვარებდა; „მშიერი ხალხი აკროპოლისზე ამოსული ბალახით იკვებებოდა...“[1] „მათ ამოხოცეს მთელი საქონელი... ისინი ხარშავდნენ ტყავებსა და ხარბად ეწაფებოდნენ ნახარშს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ლეშსაც კი სჭამდა...“[2].

არქელაოსმა პირეესის დაცვის პერიოდში რამდენჯერმე სცადა დამშეული ათენისათვის სურსათი მიეწოდებინა, მაგრამ ამ ცდებს ტყუილუბრალო სისხლისღვრის გარდა შედეგად არაფერი მოჰყოლია. როცა არქელაოსი ათენს სურსათ-სანოვაგის გაგზავნას აპირებდა, მისი ბანაკიდან მოღალატეებმა რომაელთა ბანაკში გადაისროლეს ტყვიის

[1] Plut., Sul. 13.
[2] App., Mithr. 38.

ფირფიტა წარწერით, რომელიც სულას აუწყებდა არქელაოსის განზრახვას ათენისადმი პურით დახმარების შესახებ. რომაელმა სარდალმა ნაშინვე მიიღო საჭირო ზომები და ხელთ იგდო ათენისაკენ მიმავალი სანოვაგე. ასე, გამცემლების წყალობით კიდევ რამდენჯერმე ჩაიშალა შიმშილის განდევნის ცდა ათენიდან. მერე, ღალატის არსებობაში დაეჭვებულმა პონტოელმა სარდალმა თაეისი მეომრები ალაყაფის კარებთან საომრად განალაგა, რომ ამით რომაელთა ყურადღება ჩამოეშორებინა ქალაქში გაგზავნილი აღალისაგან. მაგრამ სულამ ამჯერადაც ხელთ იგდო ათენელთათვის განკუთვნილი პური, თუმცა იმის საფასურად, რომ ამ ამბის პარალელურად პონტოელებმა პირევსთან დასწვეს რაშდენიმე რომაული საალყო მანქანა.

ამ დროს, ატიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ იმედად გამობრწყინდა მითრიდატეს ძის, არიარათეს შეკრა მაკედონიაში.

პონტოელმა უფლისწულმა სწრაფად დაიპყრო მთელი მაკედონია, ჩააბარა იგი საგანგებოდ დანიშნულ მმართველებს და უმალვე დაიძრა სულას წინააღმდეგ სალაშქროდ. მაგრამ რომაელ „ფელიქსს“ თითქქოს მართლაც ბედი წყალობდა: მითრიდატეს მამაცი მემკვიდრე გზაზე ავად გახდა და გარდაიცვალა. ამგვარად, ეს სწრაფი ლაშქრობა სულას წინააღმდეგ, სწრაფადვე შეწყდა.

ათენის დაცვას კიდევ მეტ განწირულებაში აგდებდა თვითონ არისტიონის დაუდევრობა და თავგასულობა. მაშინ, როდესაც ათენელი მოქალაქენი შიმშილით იხოცებოდნენ, არისტიონი ლხინობდა და განცხრომას ეძლეოდა; თანაც რომაელებს აბრაზებდა და საცინლად იგდებდა. ამით ის კიდევ უფრო ართულებდა და ამძიმებდა იმ საზარელ თავგადასავალს, რაც ელადის ცენტრს უნდა განეცადა სულ მოკლე დროში.

სულამ მთელი ყურადღება ათენზე გადაიტანა. მას უნდა მოესწრო დამშეული ქალაქის აღება. შიმშილისაგან დაოსებული ათენელი მოქალაქენი რომაელებთან ზავის დადებას მოითხოვდნენ. არისტიონი იძულებული გახდა დათანხმებულიყო და ელჩი გაეგზავნა სულასათვის. ათენელმა დესპანებმა რომაელ სარდალს თვალწინ გაუშალეს თავიანთი ქალაქის ლეგენდარული და გმირული წარსული, ბერძენ-სპარსელთა ომიანობაში ათენელთა გამარჯვებისა და სხვათა შესახებ. მაგრამ სულას სასაცილოდ აუგდია ათენის წარსული და ელჩებისათვის უთქვამს: „დაბრუნდით, ჩემო საყვარლებო, შინ და თან წაიღეთ ყველა ეგ იგავ-არაკები; მე რომაელთაგან ათენში გამოგზავნილი ვარ არა სასწავლებლად, არამედ აჯანყებულთა დასაწყნარებლად“.

სულამ ქალაქი საგანგებოდ ისეთ მარწუხებში მოაქცია, რომ იქე-

დან სათითაოდ ვერავის მოეხერხებინა გაქცევა და დამალვა. ამრიგად, მას სურდა ათენელები სულ დედა-ბუდიანად გაეეუეა.

სარდალმა იერიშისათვის მიზანში ამოიღო ქალაქის კედლების ყველაზე ცუდად დაცული ნაწილი, პირევსისა და საღვთო კარიბჭეთა შორის. მიზიდა იქ საიერიშო კიბეები და შეუდგა კედლების ძირის გამოთხრას. რომაელებმა აღნიშნული კედელი მიწაზე დასცეს და შუაღამისას (86 წლის 1 მარტს) შეიჭრნენ ქალაქში.

გამხეცებულმა დამპყრობლებმა საშინელ ხოცვა-ყლეტასა და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. აი, როგორ ასურათებენ ანტიკური ავტორები ათენში დატრიალებულ უბედურებას:

„დაანგრია რა საძირკველამდე მთლიანად კედლის ის ნაწილი, რომელიც გაჭიმული იყო პირევსის კარებიდან საღვთო კარებამდე და გაასწორა რა იგი მიწასთან, სულა შუაღამისას თვითონ შევიდა ქალაქში; სთესდა რა საშინელებას, ურიცხვი ბუკნაღარის ცემითა და მრისხანე ხმაურით, გამარჯვებული ჯარი, რომელიც სარგებლობდა სარდლისაგან მიცემული ძარცვისა და ხოცვა-ყლეტის ნებართვით, შიშველი მახვილებით მოედინებოდა ვიწრო ქუჩებში. რაკი მოკლულებს ანგარიში არ ჰქონდა, ამიტომ მათ დიდ სიმრავლეზე მსჯელობენ ფართობის იმ მოცულობით, სადაც მოედინებოდა სისხლი. რომ არ დავთვალოთ დაღუპულთა რიცხვი მთელს ქალაქში, მოკლულთა სისხლმა წალეკა ქალაქის მოედანთან მთელი კერამიკა დიპილონამდე, ბევრი ამბობს, რომ სისხლი კარებზე გადაიჭრა და ახლომახლო ადგილები წალეკა. მაგრამ ამ ამბავის დროს, თუკი ძალდატანებითი სიკვდილით ამდენი ხალხი დაიღუპა, არანაკლები იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თვითონ უღებდნენ ბოლოს თავის სიცოცხლეს, რადგანაც მათ გული უკვდებოდათ სამშობლოს საცოდაობითა და მასზე ნაღველით, თვლიდნენ რა მას სამუდამოდ დაღუპულად...“[1].

„...სულა შეიჭრა ქალაქში, და ათენში დაიწყო საშინელი და შეუბრალებელი ხოცვა-ყლეტა. არც გაქცევა შეეძლოთ მათ სისუსტისა გამო და არც ტრვინ ინდობდა არც ბავშვსა და არც ქალს. სულამ ბრძანება გასცა ამოეხოცათ ყველანი, ვისაც კი მოახელებდნენ. ბევრი ამ სიტყვების გამგონე თვითონ უვარდებოდა მკვლელებს ხელში, რათა მათ დროზე შეესრულებინათ თავიანთი საქმე...“[2].

სულამ მრავალი ათენელი მოქალაქე დეციმაციის წესით დასაჯა სიკვდილით.

ამასთანავე, რომაელებმა ქალაქის ქუჩებში ხანძრები გააჩაღეს და მალე ათენს სრული დაღუპვა მოელოდა, რომ სულას ანგარიში არ გაეწია რამდენიმე საპატიო სენატორის რეკომენდაციისათვის ბრწყინ-

[1] Plut., Sul., 14.
[2] App., Mithr., 38.

ვალე წარსულის მქონე ათენის შესაწყალებლად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მან შეწყვიტა ქალაქის ნგრევა-დარბევა იმ „მოტივით", რომ მკვდართა საპატივცემულოდ აპატიებს ცოცხლებს.

მაგრამ ათენი უკვე დანგრეული და გაჩანაგებული დარჩა. მოსახლეობის უმრავლესობა გაიყლიტა, ხოლო დანარჩენები მონებად გაიყიდა. დემოკრატიის მოძულე რომაელმა პატრიციუსმა ათენელებს, რომლებიც „სულ ცოტანიღა დარჩნენ", წაართვა და აუკრძალა მათთვის ყველაზე უფრო ძვირფასი დემოკრატიული წესები. თითქოს ის დასცინოდა მის მიერვე გაცემულ მოწყალებას, როცა იგი „ათენელებს აჩუქებს თავისუფლებას, მაგრამ სმის მიცემის უფლებას, კენჭებითა და ხელის აწევით, ართმევს".

რომაელმა სარდალმა კვლავ ხელი მიჰყო საბერძნეთის მდიდარი ტაძრების ძარცვას. მან მარტო ათენის აკროპოლისიდან გაიტანა 40 გირვანქა ოქრო და 800 გირვანქა ვერცხლი.

სულამ ათენში გარნიზონი ჩააყენა და თვითონ გამალებით შეუდგა ისევ პირევსის ალყას. მან აამუშავა კედელსანგრევი და ლოდსატყორცნი მანქანები. მაგრამ სანამ სულა ათენში იბრძოდა, პონტოელებს დღე და ღამის სწორებით მრავალი სიმაგრე აუგიათ. რომაელებმა მაინც შესძლეს დაენგრიათ მოწინააღმდეგის ნამგალა მთვარისებრი სიმაგრენი, რადგან ისინი ჯერ კიდევ სველი იყვნენ და ძლიერი ღარტყმებისაგან იქცეოდნენ, მაგრამ მის უკან პონტოელები კვლავ შეუჩერებლივ აგებდნენ ახალ და ახალ სიმაგრეებს და გზას უღობავდნენ მტერს. სულა გამუდმებით ცვლიდა დაქანცულ მეომრებს და წინანდებურად ამხნევებდა და აქეზებდა მათ. ის მეომრებს წამდაუწუმ მოაგონებდა, რომ მათ ენერგიაზეა დამოკიდებული დიდი ნადავლის შოვნა, ხოლო სიმდიდრისათვის გახელებული რომაელი სიცოცხლეს არ ზოგავდა.

და აი, არქელაოსმა ბრძანა მიეტოვებინათ პირევსის ყველა სიმაგრეები და დაეწყოთ უკანდახევა. პონტოელები გადავიდნენ მუნიხიაში. სადაც სულას, ფლოტის უქონლობის გამო, საშუალება არ ექნებოდა მათზე თავდასხმისა.

რომაელებმა ხელთ იგდეს უპატრონოდ მიტოვებული პირევსი და მისი უმეტესი ნაწილი მთლიანად ცეცხლს მისცეს. დაიწვა საუკეთესო ნაგებობანი და მათ შორის ფილონის მიერ აგებული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლი, არსენალი და გემთსაშენი. პერიკლეს ბრწყინვალე ქმნილებამ მეორედ განიცადა საშინელი ნგრევა: პირველად სპარტანელებმა, ლისანდრეს სარდლობით, მუსიკის გრიალში დაანგრიეს იგი, ახლა კი რომაელებმა კორნელიუს სულას მეთაურობით მოუღეს ბოლო. ამის შემდეგ პირევსი მთლიანად ჰკარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას.

ახლა, სულას წინ აღარ ეღობება არც პირევსისა და არც ათენის

მტკიცე კედლები. მას შეეძლო დაძრულიყო ნახევარკუნძულის აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, სადაც მას მტრის ახალი საბრძოლო ძალები ელოდებოდნენ.

სულამ შეიერთა ათენის აკროპოლისში მყოფი სკრიბონიუს კურიონის გარნიზონი, შემდეგ ლეგატ ჰორტენზიუსის 6.000 მეომარი (ამ შეერთებას აქტიურად უშლიდა ხელს ბითვრიდატეს სარდალი ტაქსილე, მაგრამ ქერონეელი მოღალატე მეგზურის ხელშეწყობით სულამ მოახერხა რომაელ რაზმთა შემოერთება) და თვითონაც ბეოტიას მიაშურა.

სულას გადამწყვეტი ბრძოლა ეჩქარებოდა, რადგან ბალკანეთზე უკვე გამოჩნდა მისი შემცვლელი ვალერიუს ფლაკუსი ახალი არმიით. ყოველწუთს მოსალოდნელი იყო თანამემამულეთა შეჯახება. მაგრამ პონტოს არმიის მეთაურნი თითქოს ხელს უწყობდნენ მტრის ხაფანგიდან გამოხსნას: რომ მათ გენერალური ბრძოლა არ დაეჩქარებინათ, ისინი სულას და ფლაკუსს შორის ატეხილი ბრძოლის მოწამენი გახლებოდნენ. ეტყობა, არქელაოსიც წინდახედულად ზომავდა მტრის მძიმე მდგომარეობას და ცდილობდა გენერალური ბრძოლა არ დაჩქარებულიყო. მაგრამ ბოლოს, დანარჩენ პონტოელ სარდალთა დაჟინებითი მოთხოვნით, ისიც თანახმა გახდა საბრძოლველად განლაგებინა არმია.

ბრძოლა მოხდა მდინარე კეფისოსის ველზე, ქალაქ ქერონეიის მახლობლად, 86 წლის მარტში. სულას 15.000 ლეგიონერი და 1.500 ცხენოსანი ჰყავდა, არქელაოსს — სულ დაახლოებით 50.000 მეომარი. მაგრამ პონტოელებმა ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა. მათი დიდი არმიის სურსათ-სანოვაგითა და საომარი საჭურველით მომარაგების საქმე კვლავ მოუგვარებელი იყო. ამის გამო მათ ახლო-მახლო პუნქტების ცარცვას მიჰყვეს ხელი, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მტრულ განწყობილებას იწვევდა: ეს კი, თავის მხრივ, ხვალინდელ ომში პონტოელებისათვის საზიანო და რომაელებისათვის სასარგებლო შედეგს მოიტანდა. ამასთანავე, არქელაოსს ვერ დაუმყარებია საჭირო დისციპლინა თავის მრავალრიცხოვან, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მეომართაგან შემდგარ ლაშქარში. სრულიად სხვა ატმოსფერო შექმნა რომაელმა სარდალმა თავის ბანაკში. ის ვერ დააბნია მტრის სიმრავლემ, მან გადაწყვიტა, ბრძოლის დაწყებამდე ჯარისკაცები მძიმე შრომით და მკაცრი მოპყრობით დაეტანჯა, რომ ამით მათში შექმნილიყო ბრძოლისადმი წყურვილი და მისწრაფება, რათა აუტანელი შრომის ნაცვლად ბრძოლაში ჩაბმა ერჩიათ. სულამ ბრძანა კალაპოტიდან გადაეგდოთ იქვე მომდინარე კეფისოსი, და ბანაკის ორივე ფლანგზე ფართო და ღრმა თხრილები გაეთხარათ. ის არაფის არ აძლევდა ოდნავი შესვენების საშუალებასაც და ჩამორჩენილებს სასტიკად სჯიდა. გაწამებული მეომრები მოითხოვდნენ ბრძოლად გასვლას, რადგან მათ ახლა ომი უფრო იოლ საქმეად მიაჩნდათ. ამის შემდეგ სულამ შესაძლებლად ჩასთვალა, დაეწყო შეტევა.

არქელაოსმა ვიწრო, ოღროჩოღრო, დაქანებულ ველზე განალაგა არმია. მან ვერ გაითვალისწინა, რომ ასეთ ადგილზე ძნელი იქნებოდა ბისი მრავალრიცხოვანი ლაშქრის მანევრირება. საჭიროების შემთხვევაში, უკანდახევაც შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ზურგში კეფისოსი ძოედინებოდა და იქვე მთებიც იყო აღმართული.

არქელაოსმა პირველ რიგში ცელებით შეჭურვილი ეტლები ჩაამწკრივა, მათ უკან 15.000 მონა დააყენა, რომელთაც გამარჯვების შემთხვევაში თავისუფლება ჰქონდათ აღთქმული. მონებს უკან იდგა პონტოელთა ფალანგა, ხოლო შემდეგ მოსდევდნენ დამხმარე ნაწილები და იტალიელი ემიგრანტები; სულ ბოლოს, ზურგში იდგნენ მსუბუქად შეიარაღებული მეომრები. პონტოელთა სარდალი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა მძლავრ კავალერიაზე; ამიტომ მან ცხენოსნები დააყენა ორივე ფლანგზე, საიდანაც იგი ვარაუდობდა მტრის გარშემორტყმას.

სულამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თავისი არმიის ფლანგების გამაგრებას, რათა თავი აერიდებინა მტრის გარშემორტყმისათვის. მან ფლანგებზე ფართო და ღრმა თხრილები გააჭრევინა და მიწაყრილები აღმართა; იმავე ადგილებზე, მოწინააღმდეგის კავალერიის პირისპირ, თავისი მხედრობა დააყენა. კავალერიის მარცხენა ფლანგი გადასცა ლუციუს მურენას, ხოლო მარჯვენას თვითონ ჩაუდგა სათავეში. სულამ ლეგიონები სამ რიგად განალაგა ისე, რომ მათ შორის, ფართო ინტერვალებზე, მოწინააღმდეგის ეტლების თავდასხმის უვნებელსაყოფად, ხშირი ღობურები ააგო. სულ ბოლოს, ღრმა ზურგში, დადგნენ სარეზერვო ნაწილები ჰორტენზიუსისა და გალბას მეთაურობით, რომელთაც აგრეთვე ევალებოდათ თავიდან აეშორებინათ მტრისგან მოსალოდნელი გარშემორტყმა.

ბრძოლა იმით დაიწყო, რომ ქერონელი ბერძნების დახმარებით რომაელთა სახელდახელოდ გამოყოფილმა რაზმმა შეტევა დაიწყო პონტოელთა უკიდურეს მარცხენა ფლანგზე, რომელიც განლაგებული იყო ე. წ. თურიონის ბორცვზე. აქედან, მოულოდნელი თავდასხმისაგან გაქცეული პონტოელები თავისიანთა რიგებს მიაწყდნენ და არევდარევა შეიტანეს მათში. სულა სწრაფი ტემპით გადავიდა შეტევაზე. არქელაოსმა მის შესაკავებლად ცხენოსანთა რაზმი აფრინა, მაგრამ იგი ძლიერი დარტყმით რომაელებმა უკუაქციეს ციცაბოებისაკენ. მაშინ არქელაოსმა კონტრშეტევა დაიწყო ცელებიანი ეტლებით. მაგრამ ეტლებმა ადგილის სივიწროვის გამო სწრაფი სიჩქარე ვერ აიღეს, ურომლისოდაც მათ დიდი ზიანის მოტანა არ შეეძლოთ. რომაელები ამოეფარნენ ღობურებს და გზა მისცეს პონტოელთა მოიერიშე ეტლებს, რომლებმაც მათ გვერდით უნაყოფოდ ჩაუქროლეს და მტრის ზურგში მოექცნენ. აქ მათ გაუძნელდათ შემობრუნება და განადგურებული იქნენ ზურგ-

ში მყოფი რომაელებისაგან. ახლა ბრძოლაში ჩაებნენ ცენტრალური ნაწილები. რომაელებს ძალიან გაუჭირდათ იმ მონათა წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც არქელაოსს დაყენებული ჰყავდა ქვეითი არმიის წინ. მონები საოცარი თავგანწირულებით უტევდნენ, მაგრამ წინა ხაზზე გასაჭირში ჩავარდნილ რომაელებს წამოეშველნენ უკანა რიგებში მდგომნი და ცეცხლწაკიდებული ისრების დაშენით გასტეხეს მონათა წინააღმდეგობა. მერე, რომაელები ეკვეთნენ პონტოელთა ფალანგებს და აქაც სრული უპირატესობა იგდეს ხელთ. ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. არქელაოსმა 2.000 მხედრით დაიწყო შეტევა მარჯვენა ფალანგიდან, მოწინააღმდეგის ალყაში მოსაქცევად. მის საპირისპიროდ სასწრაფოდ დაიძრნენ ჰორტენზიუსი და გალბა, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ და უკუიქცნენ. პონტოელმა მხედრებმა ქვეითი ლაშქარი მოსწყვიტეს რომაელთა დანარჩენ ნაწილებს და დაიწყეს მათი რკალში მომწყვდევა. სულამ მიატოვა თავისი უშუალო სარდლობის ქვეშ მყოფი მარჯვენა ფლანგი, რომელიც ჯერ კიდევ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, და გაეშურა ჰორტენზიუსისა და გალბას საშველად. არქელაოსმა თავი მიანება მტრის მარცხენა ფლანგს და უმეთაუროდ დარჩენილ რომაელთა მარჯვენა ფლანგს მიაშურა. იმავე დროს პონტოელთა კავალერიის მეორე ფლანგიც, ტაქსილეს სარდლობით, იწყებს შეტევას მის პირდაპირ მდგარი მურენას წინააღმდეგ. ამრიგად ბრძოლა ჩაღდება მთელი ძალებით, როგორც ცენტრში ისე ფლანგებზე. სულა ერთხანს დაიბნა კიდეც: აღარ იცოდა რომელ მხარეს მიშველებოდა. ბოლოს არჩია ისევ მარჯვენა ფლანგი, რომელსაც ახლა გაშმაგებით უტევდა არქელაოსი. მაგრამ მან იცოდა, ძალიან უკირდა მურენასაც. რომელსაც მედგრად აწვებოდნენ ტაქსილეს მხედრები. ამიტომ მან მურენას დასახმარებლად გაუგზავნა ჰორტენზიუსისა და გალბას საათადარიგო ნაწილები. თვითონ სულა ერთი საათადარიგო ნაწილით მიიჭრა თავის მარჯვენა ფლანგზე. არქელაოსი დამარცხდა და უკანდახევა დაიწყო. აქედან სულა შემობრუნდა და უკვე გასაქცევად გამზადებულ ნურენას მიეშველა. აქაც გამარჯვების სასწორი რომაელთა მხარეზე გადაიხარა და ტაქსილემაც ზურგი აქცია ბრძოლას. რაკი პონტოელთა არმიის ყველაზე ძლიერმა ნაწილებმა, კავალერიით გამაგრებულმა ფლანგებმა მარცხი განიცადეს, ვეღარც ცენტრალურმა ნაწილმა შეაკავა რომაელი ლეგიონების მძლავრი შემოტევა. ახლა არქელაოსის მთელი არმია დამარცხებული იყო. რომაელები პონტოელთა საბრძოლო ბანაკსაც დაეუფლნენ.

სულასათვის პრაქტიკულად ამ ბრძოლას დიდი არაფერი მოუტანია. მას არ გააჩნდა არც ერთი ხომალდი, ხოლო ზღვაზე კვლავ პონტოელთა ფლოტი ბატონობდა. მითრიდატეს ყოველ წუთში შეეძლო ახალ-ახალი ჯარები გაღაესხა ბალკანეთზე და აღედგინა იქ დაკარგუ-

ლი მდგომარეობა. სულას კვლავ აშფოთებდა საბერძნეთში პოპულართა არმიის ჩამოსვლა.

86 წლის დასაწყისში კონსულმა ვალერიუს ფლაკუსმა, ადრიატიკაზე მითრიდატეს მეზღვაურთაგან მიღებული ზარალის მიუხედავად, გადაიყვანა ორი ლეგიონი ეპირში, მერე აქედან გაეშურა სულას წინააღმდეგ ბეოტიაში.

სულამ როგორც კი ამის შესახებ შეიტყო, შემოაბრუნა არქელაოსზე დასადევნებლად გამზადებული არმია და გადავიდა თესალიაში, საითაც გეზი აეღო ფლაკუსს.

ვალერიუს ფლაკუსი, როგორც ბრძოლაში გამოუცდელი, სასტიკი და უძღები ანგარი, ვერ სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით თავის მეომართა შორის. ამიტომ მას ბევრმა მებრძოლმა უღალატა და სულას მხარეზე გადავიდა. მეომართა ვაქცევა და ღალატი ძლივს შეაკავა ფლაკუსის ლეგატმა ფიმბრიამ.

მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქ მელიტეასთან (თესალიაში). მებრძოლთა ღალატით შემკრთალმა ფლაკუსმა ვერ გაბედა შებრძოლებოდა მრისხანე სარდალს, რომელიც ახლახან ბრუნდებოდა ბრძოლის ველიდან გამარჯვების შარავანდედით მოსილი, ერთგული და ბრძოლაში ნაწრთობი არმიით. მან ზურვი აქცია სულანელებს და გაემართა ჩრდილო-აღმოსავლეთით, რათა მაკედონიისა და თრაკიის გავლით გადასულიყო აზიაში და იქ შებრძოლებოდა მითრიდატე პონტოელს. სულამაც თავი შეიკავა მეტოქის დევნისაგან.

ქერონეასთან მარცხმა მითრიდატეს იარაღი ვერ დააყრევინა. იგი დიდი სისწრაფით შეუდგა ახალი ჯარის შეკრებას მის ქვეშევრდომ ყველა ტომთაგან. მან 70.000 მეომრისაგან შემდგარი არმია ჩააბარა სარდალ დორილაოსსა და სარევანშო ბრძოლისათვის გაგზავნა საბერძნეთში. დორილაოსი ქალკიდაში მივიდა. აქ მას შეუერთდა არქელაოსი გადარჩენილი 10.000 მეომრით. ამგვარად, 30.000-ანი პონტოური არმია სელაალა შეიჭრა ბეოტიაში და დაიპყრო იგი.

როგორც ეტყობა პონტოელ სარდალთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. არქელაოსი, როგორც რომაელებთან შეტაკებაში არაერთგზის ნაცადი, უფრო ფრთხილობდა და მოითხოვდა, გენერალური რრძოლა არ დაეჩქარებინათ. დორილაოსი კი, წინააღმდეგ თავისი კოლეგისა და თანასარდლისა, მოითხოვდა დაუყოვნებლივ შებმოდნენ სულას.

მოწინააღმდეგენი ახალ გენერალურ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ისევ კეფისოსის ველზე, ორქომენის მახლობლად. ორქომენის ფართო ველმა, სადაც შეიძლებოდა პონტოელთა ძლიერ კავალერიას თავისუფალი მანევრირების საშუალება ჰქონოდა, არქელაოსიც წააქეზა დათანხმებოდა ბრძოლის დაწყებას.

სულა სასწრაფოდ შეუდგა ფლანგებიდან ღრმა თხრილების გაკრას, რათა მოწინააღმდეგის მხედრობისათვის გზები აღეკვეთა მანევრირებისათვის მოსახერხებელი ადგილებისაკენ და შეერეკა ისინი კეფისოსის გაუვალ ჭაობებში. როცა პონტოელმა სარდლებმა ეს შენიშნეს, შეტევის განკარგულება გასცეს. პონტოელთა კავალერია შეუკავებელი ნიაღვარივით ეკვეთა რომაელთა განლაგებას. რომაელებმა ვეღარ ვაუძლეს მტრის მხედრების ძლიერ შემოტევას და უწესრიგოდ დაიწყეს უკან გაქცევა. სულამ საქმის გამოსწორება ჩეული წაქეზებითა და გამხნევებით სცადა, მაგრამ ამაოდ. მაშინ იგი ჩამოხტა ცხენიდან, აღმართა არმიის საბრძოლო დროშა და თავისი მცველებით გარშემორტყმული შეიჭრა მტრის ლაშქარში. თანაც შეპყვირა შეშინებულ ბრძოლის ველიდან გამოქცეულთ: „მე აქ მოვკვდები მშვენიერი სიკვდილით, რომაელებო, ხოლო თქვენ, როცა გკითხავენ, სად უღალატეთ თქვენს სარდალ სულას, არ დაგავიწყდეთ უპასუხოთ: როდესაც ის ორჭომენთან იბრძოდათქო!“. მთავარსარდლის ასეთმა თავგანწირულებამ ბრძოლის ველისკენ შემოაბრუნა ჯერ ცალკეული რაზმების წინამძღოლნი, ხოლო შემდეგ დანარჩენი მეომრებიც. სულამ არაჩვეულებრივი სიმამაცისა, თავგანწირულებისა და ენერგიის წყალობით შესძლო კვლავ თავისკენ მოებრუნებინა ბრძოლის ჩარხი. პონტოელებმა ვერ გამოიყენეს პირველი წარმატება და ბრძოლის ველს ზურგი აქციეს. სულამ შესძლო მოპოვებული წარმატების შენარჩუნება და გამოყენება. მან შეამჭიდროვა თავისიანები და ხელახლა შეუდგა მტრის გარშემო თხრილების გაკრას. პონტოელებმა ამის საპასუხოდ ისევ დაიწყეს შეტევა. მაგრამ მათ ვეღარ შესძლეს დაკარგული უპირატესობის აღდგენა. განსაკუთრებული სიმამაცით იბრძოდა პონტოელთა არმიის მარჯვენა ფლანგი, რომელსაც არქელაოსის ვაჟი დიოგენე მეთაურობდა. პონტოელ მოისართ საჭირო მანძილის უქონლობის გამო ისრის სროლა არ შეეძლოთ და მტრებს ისრის კონებს მახვილივით აძგერებდნენ. დალამებისას მათ დაიხიეს თავისი ბანაკებისაკენ. მეორე დღეს რომაელები ისევ იწყებენ მტრის გარშემო თხრილების თხრას. პონტოელებმაც ახალი შეტევით სცადეს მათი გეგმის ჩაშლა. სულა კონტრშეტევაზე გადავიდა. ბრძოლის ამ უკანასკნელ დღეს ორივე მხარე განსაკუთრებული სიმამაცით და სიკისკასით იბრძოდა. ბოლოს რომაელებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის სიმაგრეთა განგრევა. მაშინ პონტოელები, მახვილებით ხელში, ერთიმეორესთან მიჯრით შეკრულნი, სიმაგრეებში გამაგრდნენ და იქედან იცავდნენ თავს, ვიდრე ერთერთმა ლეგიონის უფროსმა, ბასილიმ, თავისი პირადი მაგალითით წაქეზებული მეომრებით არ გაარღვია მათი რიგები და შეიჭრა ბანაკში. პონტოელებს უკვე აღარ შეეძლოთ შეეკავებინათ ბანაკში შემოჭრილი რომაელების მძვინვარება. ბევრი მათგანი მტრის მახვილს წაეოგო,

ბევრიც ჭაობებში ჩაიხრჩო. არქელაოსი ქალკიდაში გაიქცა და იქ შეუდგა გადარჩენილ მეომართა თავმოყრას. ბრძოლის ველზე დარჩა 15.000 პონტოელი მეომარი. რომაელთა ზარალის შესახებ კი ანტიკური ავტორები ჩვეულებრივად სდუმან.

მიუხედავად იმისა, რომ სულამ ორქომენის ბრძოლაც მოიგო და აზიაში მეფის წინააღმდეგ მღელვარებაც დაიწყო, მითრიდატეს ძლიერება მაინც ფეხზე იდგა. გენერალურ ბრძოლებს გენერალური შედეგები არ მოსდევდა. სულას კვლავ არც-ერთი ხომალდი არ გააჩნდა, რომ ფლოტის საშუალებით ზღვა გადაელახა და თავს დასხმოდა პერგამონში მყოფ „აღმოსავლეთის ჰანიბალს". დრო კი დაყოვნების საშუალებას არ იძლეოდა. რომიდან საშინელი ამბები ერთმანეთს მოსდევდნენ; მასთან მორბოდნენ მარიუსელთაგან დევნილები; ახლობლები უთვლიდნენ, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო და ეშველნა მათთვის; მისი ვილები და კარმიდამო ნაცრად იყო ქცეული. ამიტომ სულამ თავისი უმაღლესი იდეალის (ერთპიროვნული დიქტატურა!) განხორციელებისათვის საკმარისად მიიჩნია ის, რაც უკვე მოპოვებული ჰქონდა აღმოსავლეთში ამ პირველი შეტევების შედეგად. ე. ი. მას ამ მონაპოვრის შესანარჩუნებლად ზავი სწყუროდა. მან იცოდა, რომ აზიაში მითრიდატეს პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად იყო შერყეული და საზავო მოლაპარაკების დაწყების ინიციატივასაც მისგანვე მოელოდა. მითრიდატემაც იცოდა სულას მდგომარეობა და საზავო წამოწყებას მოპირდაპირისაგან ელოდა.

ასე უცდიდნენ ერთიმეორეს მეომარნი და ზავის მოსურნენი, ვიდრე ვალერიუს ფლაკუსის მოქმედებამ „წილი არ ჰყარა".

პოპულარების არმია თესალიიდან მაკედონიაში გადავიდა და ბიზანტიონთან ბოსფორის სრუტეს მიადგა. აქ ერთ ინციდენტს მსხვერპლად შეეწირა კონსული ვალერიუს ფლაკუსი. აპიანეს ცნობის მიხედვით. ნაძარცვის გაყოფაზე წაიჩხუბნენ გაიუს ფლავიუს ფიმბრია და ქვესტორი, ხოლო შუამავლად მოწვეულმა ფლაკუსმა ქვესტორის მხარე დაიჭირა. როცა ამის შემდეგ კონსულმა ბოსფორის სრუტე გადალახა და ქალკედონისაკენ გაეშურა, ფიმბრიამ ლიქტორის ფასცები ჩამოართვა ფლაკუსის ლეგატს. გაბრაზებულმა ფლაკუსმა ამ თავხედობისათვის ფიმბრიას დასჯა სცადა, მაგრამ ჯარისკაცები მთავარსარდალს წინაღუდგნენ და ფიმბრიას დაუჭირეს მხარი. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ფლაკუსი ქალკედონში გაიქცა, ხოლო აქედან ნიკომედიაში. აქ ჭაში დამალული ფლაკუსი ფიმბრიანელებმა ამოიყვანეს და მოჰკლეს, თავი მოჰკვეთეს და ზღვაში გადააგდეს, ხოლო ტანი დაუმარხავად დააგდეს.

ფიმბრიამ ხელთ იგდო მთავარსარდლობა და ლაშქრობა განაგრძო.

პონტოს მეფემ მის წინააღმდეგ გაგზავნა არმია თავისი შვილის, კოლხეთის მმართველის, მითრიდატეს სარდლობით. მითრიდატე უმ-

ცროსს ამ ლაშქრობაში თან ახლდნენ ცნობილი სარდლები — დიოფანტე, ტაქსილე და მენანდრე. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ ბილეტოპოლისთან, მდინარე რინდაკზე. პონტოელებმა ბრძოლა წააგეს.

მეფის ჯარების ამ ახალი დამარცხების შემდეგ ქალაქების უმრავლესობა რომაელების მხარეზე გადავიდა. ფიმბრიელებმა ხელი მიჰყვეს აზიური ქალაქებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ძარცვა-გლეჯასა და ხოცვა-ჟლეტას. ასე, ფიმბრიამ კიზიკოსის მდიდარ მოქალაქეთაგან რამდენიმე სამაგალითოდ ვააჯოხეინა და შემდეგ თავები დააყრევინა. შეშინებულმა სხვა მოქალაქეებმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად აღარაფერი დაზოგეს და დიდძალი გამოსასყიდი მიართვეს სარდლობის უზურპატორს. ამის შემდეგ ფიმბრიას ლეგიონები უეცრად ეაჩნდნენ პერგამონის კედლებთან, სადაც იმჟამად იმყოფებოდა თვითონ მითრიდატე ევპატორი. მეფემ სასწრაფოდ დატოვა ქალაქი და გაეშურა ასლო ნავსადგურ პიტანეში. აქ ჩაჯდა გემში და გაემზადა გასაქცევად. ფიმბრიას ფლოტი სჭირდებოდა, რომ მეფეს გამოსდევნებოდა და დაეტყვევებინა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა სულასგან ფლოტისათვის გაგზავნილი ლუკულუსი, რომელსაც მართლაც შეეგროვებინა ხომალდები და სასწრაფოდ მიეშურებოდა სულას მისაშველებლად. ფიმბრიამ თხოვნით მიმართა ლუკულუსს, მიეშველებინა ფლოტი მითრიდატეს შესაპყრობად. მაგრამ ლუკულუსმა ყური არ ათხოვა რომაელი „შანტაჟისტის" თხოვნას. მითრიდატემ დატოვა პიტანე და არხეინად ჩავიდა ლესბოსზე, მიტილენაში. იმედგაცრუებული ფიმბრია მიუბრუნდა აზიის ქალაქებს და ხელი მიჰყო მათ აოხრებას. იგი მიადგა სახელოვან ილიონს და ათი დღის ალყის შემდეგ შეიჭრა მასში. „ქალაქში შესვლისთანავე ყველანი დახოცა, ვინც კი შემოხვდა და ყველაფერი ცეცხლს მისცა... მან არ დაინდო არც სალოცავები, არც ისინი, ვინც ათენის ტაძარში შეიხიზნენ და დასწვა ისინი ტაძართან ერთად. მან დაანგრია ქალაქის კედლები და მეორე დღეს თვითონ შემოუარა ქალაქს, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისგან აღარაფერი იყო გადარჩენილი. ილიონი, რომელმაც უარესი განიცადა, ვიდრე ავამემნონის დროს, დაიღუპა „ნათესავის" ხელით; არ გადარჩა დაუნგრეველი არც-ერთი საკურთხეველი, არც-ერთი სამლოცველო, არც-ერთი ქანდაკება..."[1] ასე შეუბრალებლად დაინგრა სახელოვანი ილიონი, რომელსაც ამჯერად არ აღმოაჩნდა „ჰექტორი ქალაქის დამცველად".

ფიმბრიას წარმატებებმა გაზარდეს ზავისათვის მისწრაფება როგორც მითრიდატეს, ისე სულას მხრივ.

მცირე ხნის მანძილზე არქელაოსი შუამავლობდა მეფესა და რომაელ სარდალს შორის. ამასობაში სულამ ისარგებლა ამ შესვენებით და ძარცვით შემოიარა ენეტების, დარდანების, სინტების ტომთა ქვეყნე-

[1] App., Mithr., 53

ბი, რომლებიც მაკედონიას ემეზობლებოდნენ და მას მუდამ თავს ესხმოდნენ. ამით იგი თავის ჯარსაც ავარჯიშებდა და კიდევაც ამდიდრებდა, ერთსა და იმავე დროს.

ბოლოს, მითრიდატე და სულა ერთმანეთს შეხვდნენ დარდანში და ასეთი პირობით დაზავდნენ:

ტერიტორიალურად წესდებოდა status quo ante bellum. მითრიდატეს უნდა დაეთმო მის მიერ დაპყრობილი ოლქები მცირე აზიასა და ბალკანეთზე. უნდა დაებრუნებია: რომაელებისათვის პროვინცია აზია (ყოფილი პერგამოსის სამეფო), არიობარზანისათვის — კაპადოკია და ნიკომედესათვის — ბითინია; გაეთავისუფლებია პაფლაგონია და დასჯერებოდა მემკვიდრეობით მიღებულ სამეფოს;

მითრიდატეს სულასათვის უნდა გადაეცა 70 გემი მთლიანად შეჭურვილი და 500 მოისრის თანხლებით;

მითრიდატეს სულას სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 2.000 ტალანტი;

მითრიდატეს რომაელთა ბანაკში უნდა დაებრუნებია ტყვე ჯარის უფროსები (ლუციუს კასიუსი და ქვინტუს ოპიუსი), ტყვეები, ეროლატენი და გაქცეული მონები;

მითრიდატეს თავის სამშობლოში უნდა დაებრუნებია პონტოში ძალით გადასახლებული ქიოსელები და სხვა მოსახლენი;

რომაელები ვალდებულებას კისრულობენ, არავითარი ზიანი არ მიაყენონ იმ ქალაქებს, რომლებიც მითრიდატეს ემხრობოდნენ;

რომი სცნობდა მითრიდატეს ყველა დანარჩენ სამფლობელოებს, გარდა აღნიშნულისა, და აღიარებდა მას „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად".

ზავი წერილობით არ გაფორმებულა.

სულას იტალიაში დაბრუნება მანამ არ შეეძლო, სანამ ფიმბრია პოპულართა არმიით აზიაში დათარეშობდა. ამიტომ ის ზავის დადებისთანავე გაეშურა მეტოქისაკენ.

ფიმბრია პერგამონის მახლობლად იყო დაბანაკებული. სულა მიუახლოვდა და თვითონაც დაიწყო დაბანაკება. ფიმბრიას ჯარისკაცები უფრო სიმპათიურად სულას უცქერდნენ. ისინი მას სთვლიდნენ ნამდვილ სარდლად და ფიმბრიას აღარაფრად აგდებდნენ. ყოველ დილით ფიმბრიას ჯარისკაცები გამოდიოდნენ და ხმამაღლა ესალმებოდნენ სულას მეომრებს, ეხმარებოდნენ მათ თხრილების გაჭრაში და ბევრი მათგანი ფიმბრიასთან არც კი ბრუნდებოდა.

ბანაკის მოწყობის შემდეგ სულამ კაცი გაუგზავნა ფიმბრიას მო-

თხოვნით — გადმომეცი ჯარები, რომელთაც შენ უკანონოდ ფლობო. ფიმბრიამაც თავის მხრივ დაცინვით უპასუხა: მე თუ უკანონო სარდალი ვარ, არც შენ ხარ კანონიერი, რადგან რომაელთაგან შენ გადაყენებული ხარ მთავარსარდლობიდანო. გაცოფებული სულა შეუდგა მოპირდაპირის ბანაკის გარშემო თხრილის შემოვლებას. ფიმბრიანელებმა გაახშირეს სულას მხარეზე გადასვლა. მაშინ ფიმბრიამ შეკრიბა ლეგიონები და სიტყვით გამოვიდა მათ წინაშე — არცხვენდა იმათ, ვინც მიატოვა იგი და მოუწოდებდა ყველას, გამზადებულიყვნენ სულასთან საომრად. მაგრამ ჯარისკაცებმა ერთხმად დაიღრიალეს, რომ არ იომებენ თანამოძმეთა წინააღმდეგ. ისტერიით შეპყრობილმა ფიმბრიამ ტანსაცმელი შემოიხია და სახისა და გულმკერდის ხოკვით ფეხებში უვარდებოდა, შეჰღმუოდა და ცრემლების ღაპაღუპით ემუდარებოდა ყოველ მეომარს: ნუ დამღუპავთ, ნუ მიმატოვებთ, გამომყევით სულასთან საბრძოლველადო. არც ამან გამოიღო ნაყოფი. მაშინ ნამტირალევმა და ტანსაცმელშემოძარცვულმა მანიაკმა ჯარის უფროსები შეკრიბა და ყოველი მათგანისაგან ერთგულების ფიცი მოითხოვა. როცა ამათგანაც უარი მიიღო და მუქარითა და მუდარით არაფერი გამოვიდა, სულას მკვლელი გაუგზავნა. ესეც გამქღავნდა. მერე, სულასთან მოლაპარაკება გამართა, მაგრამ როცა შერიგებაზე უარი მიიღო, როგორც იქნა გაბედა და თავი მოიკლა.

სულამ შეიერთა ფიმბრიას ლეგიონები. მერე, უბრძანა კურიონს, აღედგინა ნიკომედე და არიობარზანი თავიანთ სამეფო ტახტებზე.

სულამ აზიის მცხოვრებლებს არ აკმარა ის ნგრევა და გაჩანაგება, რაც მათ ამ ომების შედეგად განიცადეს. მან თავისი მეომრები ეგზეკუციის წესით ჩაუყენა ყოველ ოჯახს, სადაც ისინი მეტისმეტი თავხედობითა და თვითნებობით იქცეოდნენ. თვით ტენდენციური პლუტარქეც კი თავის თხზულებაში თავს ვეღარ იჭერს რომაელთა აღვირახსნილობის გამო. სულამ ბრძანა, რომ ყოველი სახლის უფროსს, მის ოჯახში მდგომი რომაელი რიგითი მეომრისათვის ყოველდღიურად გადაეხადა ოთხი ტეტრადრაქმა, თანაც უნდა გამოეკვება ის უფასოდ და თუ მეომარი მოისურვებდა, პატივი ეცა მისი მეგობრებისთვისაც, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი რიცხვით; ხოლო ცენტურიონისათვის მოსახლეს ყოველდღიურად უნდა ეხადა 15 დრაქმა და წელიწადში ორი ხყვილი ტანსაცმელი — ერთი საშინაო და მეორეც საგარეო.

სულამ ანგარიში არ გაუწია მითრიდატესთან დადებული ზავის იმ პუნქტს, რომლის ძალითაც მას ვნება არ უნდა მიეყენებია პონტოს მეფის მომხრე ქალაქებისათვის". „მან მწარედ დასაჯა" პონტოური ორიენტაციის მომხრე ცალკეული პირები და მთელი ქალაქები, მათგან განსაკუთრებით, ეფესოს მცხოვრებლები".

აზიის მოსახლეობას ყველაზე მძიმე ტვირთად დააწვა ის კონტრი-

ბუცია, რომელიც მათ დააკისრა სულამ. მან მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაეხადათ მთელი სუთი წლის გადასახადი, რაც უდრიდა 20.000 ტალანტს. აი, როგორ ახასიათებს აპიანე ამ უზარმაზარი გადასახადის აკრების სცენებს: სულა „შეუდგა ხალხის გაგზავნას ფულის გადასახდევინებლად: რადგან ჯარისკაცები თავისი თავხედობით ძალიან ავიწროვებდნენ, ქალაქები, რომლებსაც არ ჰქონდათ გადახდის საშუალება, შევასშეებთან აგირავებდნენ ზოგი თეატრებს, ზოგი გიმნაზიებს, ზოგი თავიანთ სიმაგრეებსა და სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ ქონებას, იღებდნენ რა სესხს დიდი პროცენტით. ასე შეაგროვეს და მიუტანეს ფული სულას: და უსაზღვრო უბედურებით იყო აღვსილი აზია"[1].

მაგრამ რომაელი მძარცველები მაინც გულნაკლულად გრძნობდნენ თავს. სიმდიდრეზე და ძარცვა-გლეჯაზე შეყვარებულებმა შურით აღვსილი თვალი გააყოლეს მითრიდატეს. რომელიც მდიდარი ნადავლით დატვირთული გავიდა პერგამონიდან.

სულამ აზიაში დატოვა ლუციუს მურენა, რომელსაც დაუტოვა ფიმბრიასეული ორი ლეგიონი, ხოლო თვითონ რომისაკენ დაიძრა.

ამგვარად, რომისა და პონტოს პირველი შერკინება თითქმის უშედეგოდ დამთავრდა. სანამ მითრიდატე ცოცხალი იყო, რომაელ დამპყრობლებს აღმოსავლეთში მშვიდი ძილის საშუალება არ ექნებოდათ. პონტოს სამეფო აზიის ჩაგრული მასების მედროშე იყო რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახლაც მითრიდატე დაბრუნდა თავის სამეფოში, როგორც ბრძოლაში დაჭრილი ნადირი თავის ბუნაგში პრილობების მოსაშუშებლად. და ახალი უფრო მძლავრი სარევანშო ნახტომისათვის სამზადისს შეუდგა.

მაგრამ, რაც მთავარია, სულამ თავის უმაღლესი იდეალის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები უკვე მოიპოვა აღმოსავლეთში. იგი ახლა, როგორც „dictator orientalis" („აღმოსაელეთის დიქტატორი") მიეშურებოდა დასავლეთისაკენ...

---

6. „აღმოსავლელი დიქტატორი" დასავლეთში

მიუხედავად იმისა, რომ სულამ ვერ შესძლო პონტოს მეფის მთლიანად განადგურება, მისი წარმატებანი აღმოსავლეთში სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი რომში უაღრეს დიდ ძალად მიეჩნიათ — მტრებისათვის საშინელი შურისმგებელი ნემეზიდა, მომხრეებისათვის — უძლეველი, მხსნელი და ქომაგი.

---

[1] App., Mithr., 63.

ასეთად იქნა მიჩნეული კაცი, რომელსაც ოფიციალური ხელისუფლებისაგან ყოველგვარი თანამდებობრივი რწმუნებანი წართმეული ჰქონდა. იგი ოთხი წლის განმავლობაში (87—83), სავსებით კერძო კაცი, გადაყენებული და სიკვდილმისჯილი, წარმატებით ებრძოდა აღმოსავლეთის ყველაზე დიდ მბრძანებელს: სულა (და მასთან ყველა — მტერიც და მოყვარეც) გრძნობდა, რომ ეს მისი აგონია იყო სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. თუ აქ, აღმოსავლეთში დამარცხდებოდა, აქვე მისი კარიერაც და სიცოცხლეც გათავდებოდა; ხოლო თუ აქ გაიმარჯვებდა, რომშიც გამარჯვება ხელთ ჰქონდა.

სწორედ ყველაზე მძიმე აღმოსავლურ ლაშქრობაში გამარჯვებამ მისცა სულას ის ძალა, რომლის წინაშეც მტრები შიშით ცახცახებდნენ, ხოლო მოყვრები სიხარულით თრთოდნენ. ხოლო ეს, ასეროგად ანგარიშგასაწევი ძალა, რომელიც გადაყენებულ და სიკვდილმისჯილ კაცს აღმოსავლეთიდან მოჰყვებოდა, იყო მრისხანე არმია და აურაცხელი ნაძარცვი, ნატყვევნი, ნაალაფარი, ნახარკალი ოქრო და ვერცხლი.

მისი არმია დაახლოებით 40.000 მეომრისაგან შედგებოდა (ამათგან 6.000 ცხენოსანი), სულ რჩეული, ერთგული, დისციპლინირებული, მამაც პონტოელებთან და საერთოდ აღმოსავლეთის ხალხებთან ბრძოლით ნაწრთობი ჯარისკაცები. მისი საზღვაო ძალები მოითვლიდა 1.600 გემს.

ახლა, ფული და ნაძარცვი. სულამ აღმოსავლეთის ძარცვა-გლეჯის მასშტაბში ყველა წინამორბედს გადააჭარბა. ხომ დიდი თანხა იყო 64.800.000 მან. ოქრო, რომელიც წინა აღმოსავლურმა ლაშქრობებმა (ყველამ ერთად აღებულმა) მისცა რომის ხაზინას; მარტო ერთი სულას ანგარიშზე კი 52.800.000 მან.! თანამედროვეთა შორის სულას ტრიუმფი, მითრიდატეზე გამარჯვებისათვის, ყველაზე დიდად და უბრწყინვალესად ითვლებოდა ყველა მანამდელ ტრიუმფთა შორის.

ამრიგად, აღმოსავლეთში პოპოვებული და ორგანიზებული სამხედრო და ეკონომიური რესურსებით აღჭურვილი ლუციუს კორნელიუს სულა იტალიას მიადგა.

ამ დროს ცინა უკვე ცოცხალი აღარ იყო. 85/84 წ. ზამთარში იგი ჯარებს ამზადებდა სულას წინააღმდეგ სალაშქროდ, მაგრამ ჯარისკაცები აჯანყდნენ და პოპულართა ბელადი მათთან შეტაკებაში დაიღუპა. რაც მთავარია, ცოცხალთა შორის აღარ იყო გაიუს მარიუსი.

პირველნი, ვინც სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ სულას წინააღმდეგ ბრძოლას, იყვნენ ყოველად უნიჭო და უსუსური კონსულები გაიუს ნორბანუსი და ლუციუს კორნელიუს სციპიონი. თუმცა მათ 225.000-მდე მეომარი შეეყარეს, მაგრამ ამ უზარმაზარ 80 კოპორტიან არმიაში

სარდლებმა ვერ მოახერხეს დისციპლინისა და ორგანიზებულობის შეტანა. რომაელი და იტალიელი მეომრები მტრული თვალით უცქერდნენ ერთმანეთს. საერთოდ, დემოკრატ-ჯარისკაცებს არავითარი რწმენა და პატივისცემა არ ჰქონდათ მათი უნიკო მეთაურებისადმი. უთანხმოება, უნდობლობა და დაბნეულობა სუფევდა თვით მეთაურთა შემადგენლობაში. როგორც ითქვა, მათ შორის არ იყო არცერთი ღირსეული მეტოქე აღმოსავლეთიდან მოსული მრისხანე მხედართმთავრისა, რომლის ნიჭიერსა და ბოროტ სუბიექტში თავი მოეყარა ლომის სიმძლავრესა და მელას ცბიერებას. ყველა, ვინც კი რომში სარდლად ვარგოდა, თავიანთი ჯარებით მაშინვე სულას მხარეზე გადავიდნენ: მარკუს ლიკინიუს კრასუსი, გნეუს პომპეუსი, ქვინტუს მეტელუსი და სხვ. ერთადერთი, ვისთანაც სულას სერიოზული ბრძოლა ელოდა, იყო ცხრამეტი წლის გაიუს მარიუს უმცროსი, სახელოვანი მარიუსის მამაცი მემკვიდრე.

პირველი შეტაკებისთანავე კონსულები დამარცხდნენ, ხოლო მათი არმიები სულას მხარეზე გადავიდნენ.

82 წლისათვის კონსულებად გავიდნენ კარბონი და მარიუსი. მათ საშველად მოვიდნენ სამნიტები, რომლებიც პოპულართა გამარჯვებას უკავშირებდნენ თავიანთ ძომავალ ბედს იტალიაში.

საკრიპორტის მახლობლად გამართულ სისხლიან ბრძოლაში სულამ გაანადგურა მარიუსი. ამასობაში მეტელუსმა და პომპეუსმა ეტრურიაში დაამარცხეს კარბონი. ბოლოს, 87 წლის შემოდგომის მიწურულში, კოლინის კარებთან გაიმართა ფინალური ბრძოლა სულანელებსა და მარიუსელებს შორის. ამ უკანასკნელთა ძირითად ბირთვს შეადგენდნენ სამნიტები, რომელთაც მეთაურობდნენ მამაცი პონტიუს ტელეზინუსი და მარკუს ლამპონიუსი. ერთდღეღამიანი უწყვეტი სისხლისღვრა კვლავ „ფელიციტას“ კუმირის გამარჯვებით დამთავრდა.

იგი შეიქმნა ერთპიროვნული მბრძანებელი მთელი რომის სახელმწიფოსი. ამომწურავი გამარჯვების დღესვე მან ბელონის ტაძარში შეჰყარა სენატი, და იგი გახსნა სწორედ იმ წუთში, როცა მისი, პირადი (sic!) ბრძანებით მარსის მოედანზე 6.000 სამნიტს ყელები დასჭრეს. განწირულთა ბღავილით შეძრწუნებული სენატორები სულამ ფარიზის მაუწყებელი სიტყვებით „დაამშვიდა“: ჩემის ბრძანებით ჭკუის აწავლიან გარეწრებს. ამიერიდან ყველამ უნდა იცოდეს, რომ სულასეული „ჭკუის სწავლება“ ნიშნავს სიკვდილს, ხოლო „გარეწარი“ — სულას მოწინააღმდეგეს. „იქვე, ყველაზე მიუხვედრელი რომაელისთვისაც კი, ნათელი შეიქნა, რომ მოხდა მხოლოდ ტირანთა შეცვლა და არა ტირანიის დამხობა“[1].

მაგრამ ხალხიც და სენატიც უფრო ადრე მიხვდნენ, რომ სიტყვები

[1] Plut., Sul 30.

„სულა“ და „ტირანია“ სინონიმები იყვნენ. მაგალითად, ხალხმა წინასწარ იცოდა, სულას ხელისუფლება გაცილებით უფრო დიდი ბოროტება იქნებოდა, ვიდრე უნიკო კონსულების — ნორბანუსისა და სციპიონისა. ამიტომ რომაული საზოგადოების განწყობილება თავიდანვე მიმართული იყო „რესპუბლიკელ“ კონსულთა სასარგებლოდ და „ტირანი“ სულას საწინააღმდეგოდ. სენატიც 83 წელსვე მიხვდა, რომ აღმოსავლეთიდან სულას მოსვლასთან ერთად, მისი ფაქტიური ხელისუფლების აღსასრულიც მოდიოდა.

რა გზას უნდა დასდგომოდა სენატი? რა გზით უნდა ცდილიყო იგი თავისი უმაღლესი ხელისუფლების გადარჩენას ერთპიროვნული დიქტატურის ზედ ყელზე მომდგარი საშიშროებისაგან? ერთადერთი საშუალება მხოლოდ არმია იყო, მაგრამ სენატს, სახელმწიფოს მეთაურს, არმიები უკვე აღარ გააჩნდა. აღარ ჰყავდა მას სამოქალაქო ლაშქარი, რომელიც ბრძოლაში მიდიოდა სენატის ნების გამომხატველი დროშით: senatus populusque Romanus! არმიები ახლა სწორედ სენატის მოწინააღმდეგეებს ჰყავდათ — დიქტატურის მაძიებელ ინდივიდუუმებს; ხოლო ამ „ტირან-ინდივიდუუმთაგან“ ყველაზე ძლიერი იყო სულა, აღმოსავლეთის დაპყრობებით მოპოვებული საომარი რესურსებით ფესვგამაგრებული და გაღონიერებული.

ამრიგად, სენატი სავსებით უსუსური იყო თავისი უმაღლესი ხელისუფლების გადარჩენისათვის ბრძოლაში. მას ერთადერთ საფარველად შერჩენოდა უკვე გაცვეთილი და გახუნებული ფარატინა — „რესპუბლიკური კონსტიტუცია“. გაბედავს კი სულა, გამოაცხადოს გაუქმება რესპუბლიკისა?

არა, სულამ რესპუბლიკა გაუქმებულად ვერ გამოაცხადა, მაგრამ ფაქტიურად კი გააუქმა. მან სენატს დაუტოვა მისი ფარატინა კონსტიტუცია, ხოლო თავისთვის, იგივე ფარატინა კონსტიტუციით მონათლული, ნამდვილი ერთპიროვნული დიქტატურა შექმნა. მას სჭირდებოდა მხოლოდ მოჩვენებითი არჩევითობა, ვითომდა რესპუბლიკისაგან ნაბოძები; სენატმაც „უბოძა“ იგი. ეს პოლიტიკური ფარსი საუკეთესოდ აქვს წარმოდგენილი აპიანეს:

„იგი (სულა, ლ. ს.) საქმით ნამდვილად იყო მეფე ანუ ტირანი, არა არჩევით, არამედ ძალითა და ძალდატანებით. მას სჭირდებოდა მხოლოდ მოჩვენებითობა, რომ თითქოს არჩეულია“[1]. ეს „მოჩვენებითობაც“ განხორციელდა რესპუბლიკური პრინციპების მიხედვით: კონსტიტუცია კონსულების დაღუპვის შემთხვევაში ითვალისწინებდა თავისებური დროებითი მთავრობის — „მეფეთშორისის“ (interrex) არჩევას. რაკი ამჯერადაც ორივე კონსული (კარბონი და მარიუს უმცროსი)

[1] App. Bel. civ. I, 98.

სულასთან ბრძოლას ემსხვერპლნენ, სულამ უპირველესად ყოველისა წორედ ეს მოიმიზეზა და სენატს უბრძანა აერჩიათ ეგრეთწოდებული მეფეთშორისი. სენატმა interrex-ად აირჩია პირველი სენატორი ვალერიუს ფლაკუსი. სენატს ეგონა, როგორც წესი, ფლაკუსი კონსულთა არჩევნებს დანიშნავდა, მაგრამ „მეფეთშორისმა" სულასაგან ფიცხელი ბრძანება მიიღო, რომლის ძალითაც უნდა გამოცხადებულიყო შემდეგი:

ლუციუს კორნელიუს სულას რომისათვის სასარგებლოდ მიაჩნია დიქტატურული მმართველობის შექმნა; ის ვინც დიქტატორი იქნება, ქვეყანა უნდა მართოს არა ჩვეულებრივი (კონსტიტუციური) ექვსი თვით, არამედ გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ვადით.

მერე, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი, მანამდე უპრეცედენტო dictator perpetuus legibus scribundis et rei publicae constituendae? რასაკვირველია, თვითონ სულა.

იგი თვითონ მიუთითებდა, პირდაპირ, უბოდიშოდ, ჯიქურად, — მიუთითებდა თავის თავზე, როგორც dictatura perpetua-ს ერთადერთ კანდიდატურაზე.

ვინ გაბედავდა უარი ეთქვა თუნდაც ასეთი უბოდიშო მოთხოვნის ავტორისათვის, რომლის ვერცხლოვან არწივთა ქვეშ უკვე 120.000 მეომარი იდგა?

სენატი დათანხმდა. ყოველ შემთხვევაში, სენატისათვის და საერთოდ ნობილიტეტისათვის, ოლიგარქიული რესპუბლიკის გაუქმების აუცილებლობის პირობებში, სულას დიქტატურა უკეთესი ვარიანტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე, ვთქვათ, გრაკხუსების „ტირანია", რომელიც დემოკრატიულ ძალებს მოუძღოდა ხელისუფლებისაკენ. ოპტიმატთა ოლიგარქიისათვის სულას dictatura perpetua უფრო ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე gracchana seditio. ამიტომ სახალხო მასები ყველაზე უფრო განიცდიდნენ სულას მონარქიული ხელისუფლების სიმძიმეს. სულას ხელით სენატორულმა ოლიგარქიამ გაანადგურა დემოკრატია, მათ შორის მხედართა წოდებაც, მაგრამ სულ მალე სენატიც დარწმუნდა, რომ სულას ხელისუფლება ერთპიროვნული სამხედრო დიქტატურა იყო. სენატს სხვა არჩევანის საშუალებაც არა ჰქონდა: რაკი მას თავისი უმაღლესი ძალაუფლება აუცილებლად უნდა დაეკარგა, ერჩივნა, იგი თავისივე ნებით „მიებარებინა" ნათესავი დიქტატორისათვის", ვიდრე დაეთმო მოსისხლე პოპულარებისათვის.

ამგვარად, ლუციუს კორნელიუს სულა „არჩეული" იქნა დიქტატორად უვადოდ. „დადგენილ იქნა, რომ იგი არავითარ პასუხს არ აგებს ყველა იმისათვის, რაც უკვე მოხდა. ხოლო მომავლისათვის ღებულობს სრულ უფლებას დასაჯოს სიკვდილით, ჩამოართვას ქონება, დააარ-

ᲡᲝᲡ კოლონიები, ააშენოს და დაანგრიოს ქალაქები, წაართვას სამეფოები და გააჩუქოს ისინი მასზე, ვიზედაც მოისურვებს"[1].

დაიწყო საშინელი ანგარიშსწორება სულას პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან. მარიუსის რეჟიმი სულ გაფერმკრთალდა სულას ბესტიალურ სისასტიკესთან. იტალია სისხლის აბანოდ იქცა. სულანური მხეცობის, ადამიანებზე ნადირობის, უწყალო, განუკითხავი ხოცვა-ჟლეტის სისხლიან ოკეანეში იძირებოდა რომი და აპენინი. დიქტატურის მიერ შემოღებულ „პროსკრიპციებს" ათასობით რომაელი ეწირებოდა. პროსკრიბირებულთა ქონებით ივსებოდა დიქტატორისა და მის თანამოსაქმეთა სახლ-კარი. სულასაგან სპეციალურად ხოცვა-ჟლეტვისათვის განთავისუფლებული მონა-კორნელიები — ეს „გაბოროტებული პაიკები" — რაფინირებული სისასტიკით ასრულებდნენ გამძვინვარებული დიქტატორის სისხლიან საქმეებს.

განსაკუთრებით ზარალი ნახა დემოკრატიამ. სულამ გააუქმა უფასო პურის დარიგება; სახალხო ტრიბუნთა უფლებები ნულამდე დაიყვანა — წაართვა მათ კანონის გამოტანის, ან გაუქმების ინიციატივა და დაუმორჩილა ისინი სენატის „მოწონებას"; ტრიბუნატის გავლის შემდეგ კაცს უფლება აღარ ჰქონდა დაეკავებინა რომელიმე კურულური მაგისტრატურა და სხვ. ერთი სიტყვით, დემოკრატია განადგურებული იქნა „წყალობითა სიბრძნისა, იმპერიუმისა, ბედნიერისა ლუციუს სულასი"[2]. სულანური რეფორმის დედაარსი აბსოლუტური უარყოფა იყო გრაკხანულ-დემოკრატიული საბრძოლო დევიზისა: „მთელი ძალაუფლება სახალხო კრებას".

ამრიგად, სულას დიქტატურა მთელის სისავსით შევიდა ძალაში. ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მონარქია, ერთპიროვნული სამხედრო იმპერია დამკვიდრდა, ხოლო რესპუბლიკა... რესპუბლიკა მაინც დარჩა, მაგრამ დარჩა მხოლოდ და მხოლოდ „ლ ა მ ა ზ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ა თ ვ ი ს" („eis euprepeian tu rematos")[3].

---

[1] Plut. Sul. 33.
[2] Cic. Pro. Ros. Am., XLVII, 136.
[3] App. Bel. civ. I, 99.

რომის აღმოსავლური პოლიტიკა პირველი საუკუნის 60-70-იან წლებში

1. „მითრიდატეს მეორე ომი“

მითრიდატესთან წარმოებულ პირველ ომში მიღებული სამარცხვინო ლაქა, რომლის შესახებ ლოგიკური ხაზგასმით გაჰყვიროდა რომაელი ორატორი[1], რომაელთათვის ნამდვილად სამარცხვინო გახდა აზიის ახალი მმართველის წამოწყებათა შედეგად.

პროვინცია აზიის ახალმა პროპრეტორმა, პატივმოყვარე და ხარბმა ანგარმა ლუციუს ლიციინიუს მურენამ გაითვალისწინა ის პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც აზიასა და რომში შეიქმნა დარდანის სიტყვიერი ზავის შემდეგ და გადაწყვიტა განეგრძო სულასაგან დაწყებული საქმე პონტოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მას იმედი ჰქონდა, საბოლოოდ გაანადგურებდა მითრიდატეს, რომელმაც პირველ ომში ნახევარი მილიონი კაცი დაჰკარგა.

მურენას კიდევ მეტი ხელსაყრელი მომენტი გაუჩნდა მითრიდატეს წინააღმდეგ ომის გასაახლებლად. აპიანეს ცნობიდან ირკვევა,[2] რომ მითრიდატე პონტოში დაბრუნებისთანავე იძულებული ხდება მთავარი ყურადღება მიაქციოს მღელვარე კოლხეთს: კოლხებს, პონტოს ნეფისათვის თავიანთ მმართველად მოუთხოვიათ მისი მემკვიდრე მითრიდატე, რომელმაც თავი გამოიჩინა ფიმბრიას წინააღმდეგ ბრძოლაში. ევპატორმა დააკმაყოფილა კოლხების თხოვნა და მათი ზღაპრული ქვეყანა სამმართველოდ გადასცა თავის შვილს. მაგრამ სულ მალე, ღალატში დაეჭვებულმა მეფემ, რომ მისი მემკვიდრე ძველი სახელოვანი კოლხეთის სამეფოს აღდგენას აპირებდა, გაიწვია ის კოლხეთიდან და რამდენიმე ხანს ოქროს ბორკილებით ჰყავდა შეკრული, ხოლო ამის შემდეგ სიკვდილითაც დასჯა.

კოლხებთან ბრძოლის პარალელურად მითრიდატე პონტოელი ამზადებს ფლოტს ბოსფორთან საომრად, სადაც უკვე დაწყებულა რაღაც მღელვარება პონტოელთა ძალაუფლების წინააღმდეგ.

ერთადერთ წყაროში მოკლედ მოხსენებული პასაჟი საშუალებას არ გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ მეტად საინტერესო

[1] Cic. Lex Manil. IX.

[2] App., Milhr. 64.

მოვლენების — კოლხეთისა და ბოსფორის აჯანყებათა შესახებ. ის კი ცხადი უნდა იყოს, რომ მითრიდატეს პირველი ომის უკანასკნელ პერიოდში შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ პროვინციებში პონტოს მეფის ძალაუფლება საკმაოდ შერყეულა.

მურენამ უთუოდ ისარგებლა პონტოს მეფის ამ გართულებული მდგომარეობით და გადაწყვიტა მანამ დაეწყო, სანამ ევპატორი კოლხეთსა და ბოსფორში აწეწილ საქმეებს დაალაგებდა. იგი „მასხრად აგდებით ეძებდა ომის საბაბს"[1] და საბაბად სრულიად საკმარისი იყო ის, რომ მითრიდატე ჯერ კიდევ არ ფიქრობდა, დაეტოვებინა კაპადოკიის მნიშვნელოვანი ჩრდილოეთი ნაწილები. საბაბად შეიძლებოდა გამოეყენებინა, აგრეთვე, მითრიდატეს ახალი ძლიერი საომარი სამზადისი, რომელიც თითქოს მხოლოდ ბოსფორელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ დროს არქელაოსის თავზედაც მოიქუფრა მითრიდატეს ავისმაუწყებელი ეპვიანობის ღრუბელი: მეფის აზრით, მან „ელადაში მოლაპარაკების დროს სულას გაცილებით მეტი დაუთმო, ვიდრე საჭირო იყო"[2], არქელაოსი იძულებული იყო გაქცეულიყო მურენასთან. პონტოელი სარდალყოფილი რომაელს აქეზებდა, პირველი დასხმოდა თავს მითრიდატეს.

რომაელებმა 83 წელს პირველად შედგეს ფეხი საკუთრივ პონტოს ტერიტორიაზე. მურენამ გაიარა კაპადოკია, აქ ტახტზე განამტკიცა არიობარზანის შერყეული მდგომარეობა და გადალახა პონტოს საზღვარი. მურენამ დაარბია მითრიდატეს 400 სოფელი. მიადგა ქალაქ კომანას და გაფანტა იქ მდგარი მხედართა რაზმი. ამის შემდეგ იგი უამრავი ნადავლით ავსებული დაბრუნდა ფრიგიასა და გალატიაში.

მითრიდატემ აშკარად დაინახა, რომ ომს მარტო მურენა არ აწარმოებდა თავისი ინიციატივით, არამედ მას საამისოდ რომის სენატის სანქციაც ჰქონდა. მას ისღა დარჩენოდა, საომარი წინდი მიეღო.

ბრძოლა მოხდა მდინარე ჰალისის პირზე. რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. „გამარჯვებულმა მითრიდატემ გადალახა მდინარე, აღმოჩნდა რა სხვაშიც ყველაფერში მურენაზე ძლიერი. მურენა გაიქცა ძლიერ გამაგრებულ ბორცვზე, ხოლო მეფემ, როცა აქაც სცადა მასზე თავდასხმა, დიდი ზარალის შემდეგ მთებით გაიქცა ფრიგიაში, მიდიოდა რა გაუვალი გზებით, მტრის ისრების ქვეშ, დიდი გაჭირვებით"[3].

მითრიდატეს ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი სწრაფად გავრცელდა და ბევრი აზიური და აზიურ-ბერძნული ქალაქი კვლავ მისი საბრძოლო დროშის ქვეშ დადგა. პონტოელებმა კაბადოკიიდანაც განდევნეს რომაელთა გარნიზონები. ამას მოჰყვა სულას მტკიცე ბრძანება,

---

[1] App. Milhr. 64.

[2] ibid.

[3] ibid, 65.

დაუყოვნებლივ შეეწყვიტა მურენას მითრიდატესთან ომი, რომელსაც რომაელთათვის ასეთი სამარცხვინო შედეგი მოჰყვა. რომის ეს ახალი ბრძანება აზიაში ჩამოიტანა აელუს გაბინიუსმა, რომელსაც ევალებოდა შეერიგებინა რომაელი სარდალი და პონტოელი ხელმწიფე. ამ შერიგების პირობების მიხედვით, „მითრიდატემ თავისი ოთხი წლის ქალი დაწინდა არიობარზანთან და ამ საბაბით დათანხმდნენ, რომ მის გამგებლობაში დარჩებოდა კაპადოკიის ის ნაწილი, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა, და ამას გარდა ამ ქვეყნის სხვა ნაწილებიც მიითვისა"[1].

ამგვარად, მითრიდატემ შეინარჩუნა მასთვის სასურველი კაპადოკიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ამით პლაცდარმიც გაიმზადა შემდგომი შეტევისათვის სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. შესაძლოა, მითრიდატეს, ამ გამარჯვების საფუძველზე, უფრო მეტი პრეტენზიებიც განეცხადებია, მაგრამ ამაში მას ალბათ ხელს უშლიდა კოლხეთსა და ბოსფორში ჯერ ისევ მოუწესრიგებელი მდგომარეობა. ეს ჩანს იქიდან, რომ მურენასთან ომის შეწყვეტისთანავე მითრიდატე მიუბრუნდა „ქვეყნებს ფასისისა და კავკასიონის გარშემო"[2], „კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ აქეელებსა" და ხელი მიჰყო ბოსფორის ხელახალ დამორჩილებას.

2. როგორ დაიწყო „მითრიდატეს მესამე ომი"

რომსა და პონტოს შორის აღმოსავლეთში ბატონობისათვის გამართული მრისხანე დუელი დროებით შეწყდა. ბრძოლა ყაიმით დამთავრდა. მოწინააღმდეგენი ჯერჯერობით შინაური საქმეების მოწესრიგებასა და ომში მიღებული ჭრილობების მოშუშებას შეუდგნენ. თანაც ერთმანეთს ფხიზლად უთვალთვალებდნენ, რომ ომის განახლების ხელსაყრელი დრო მხედველობიდან არ გაეშვათ.

გადამწყვეტი ბრძოლის განახლებამდე შვიდი-რვა წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე რომშიც და პონტოშიც მრავალი საინტერესო მოვლენა გაჰყვა ყამთა სრბოლის ეტლს. ამ მოვლენებმა განაპირობეს ახალი ომის წამოწყება, მისი შინაარსი და ხანგრძლივობა.

უკვე ითქვა, მითრიდატეს მონარქიის ცენტრ-გამსწრაფ ძალთა გაბოჩენის შესახებ. მისი სიმპტომები ყველაზე მკვეთრად აღმოსავლეთ-

[1] App. Mithr., 66.
[2] Memn. 36.

და ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში გამოიხატა. ადვილად შესაძლებელია, რომ კოლხეთსა და ბოსფორში — ისე როგორც მცირე აზიაში — მითრიდატეს საწინააღმდეგო ოპოზიციის სულისჩამდგმელნი და მამოძრავებელნი მაღალი ფენები იყვნენ, რადგან ისინი საერთოდ ყველგან მტრულად ხვდებოდნენ რომაელთა წინააღმდეგ დაწყებულ მძლავრ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობას, რასაც პონტოელი მბრძანებელი ოსტატურად იყენებდა საკუთარი ბატონობის გასავრცელებლად და აზიიდან რომაელთა გასაძევებლად. უაღრესად აქტიურობდნენ მითრიდატეს ფიზიკურად გასანადგურებლად მის გვერდით მდგომი აზიელი წარჩინებულები და ამის გამო მუდამ ფხიზელთვალიანი მეფე უწყალოდ ხოცავდა მის სასახლეში სიკვდილის კოშმარის შემქმნელ შეთქმულებს. ასეთივე შეთქმულების სუნი ასდიოდა კოლხეთში პონტოელი უფლისწულის გამეფებას, რისთვისაც ამ უკანასკნელმა მამისგან ჯილდოდ ოქროს ბორკილი და სიკვდილი დაიმსახურა.

მურენასთან ომის გათავებისთანავე, მითრიდატე ხელახლა დაეუფლა ბოსფორს, დაუნიშნა ბოსფორელებს მეფედ ერთ-ერთი თავისი ვაჟი. სახელად მახარე, შემდეგ შემოიმტკიცა აქეელთა ქვეყანა ევქსინის პონტის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე.

ქვეყნის შიგნით პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გასამტკიცებლად მითრიდატეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროებოდა, ხოლო მურენას ავანტურამ და მასზე სენატის თანხმობამ ის დაარწმუნა, რომ რომაელთა მხრიდან დარდანის სიტყვიერი ზავის დარღვევა ყოველთვის მოსალოდნელი იყო. ამიტომ 79 წელს ევპატორმა ზავის წერილობით გასაფორმებლად ელჩები გაგზავნა რომში, სულასთან. მაგრამ, ამავე დროს, მრისხანე დიქტატორთან არიობარზანის ელჩებიც გამოცხადდნენ. სულამ უარი განაცხადა დარდანის ზავის რატიფიკაციაზე, იმ მიზეზით, რომ რომანოფილ არიობარზანს მითრიდატესაგან ჯერ კიდევ არ მიუღია კაპადოკიის ჩრდილოეთი ნაწილები: თან პონტოელ ელჩებს ბრძანება გამოატანა, დაუყოვნებლივ გაეწმინდა კაპადოკია მითრიდატეს. მეფემ ეს ბრძანებაც შეასრულა და ხელახლა გაგზავნა ელჩები დარდანის ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის. მაგრამ ელჩები რომში იმ დროს შევიდნენ (78 წ.), როცა სულა ცოცხალი აღარ იყო და „მსოფლიო კლოაკაში" ლეპიდეს მეთ-ურობით ახალი აჯანყება მძვინვარებდა, ხოლო ესპანეთიდან შეტევისათვის ემზადებოდა ბობოქარი სერტორიუსი. მითრიდატეს ელჩების მოსასმენად რომში ვერავინ მოიცალა.

ევპატორი დარწმუნდა, რომ ახალი ომი გარდუვალი ხდებოდა. საჭირო აღარ იყო ახალი დელეგაციის გაგზავნა და პასუხისათვის ლოდი-

ნი. აუცილებელი იყო მხოლოდ ომისათვის სამზადისი და მისი დაწყებისათვის ხელსაყრელი დროის შერჩევა.

აზიაში რომაელთა წინააღმდეგ ახალი აჯანყების დაწყებისათვის ნიადაგი მზად იყო. სულას ლაშქრობისა და მისგან აზიაში მოწყობილი რბევა-გაჩანაგების წყალობით მოსახლეობა საშინელ სიღატაკეში ჩავარდა. სულას ბრძანებამ, რომ მოსახლეობას დაუყოვნებლივ გადაეხადა 5 წლის ვალი, სამხედრო კონტრიბუციამ და ათიათასობით აზიელთა მონად გარეკვამ, საშინლად დასცა ხალხის ეკონომიური შესაძლებლობა და გააპარტახა მეურნეობა. როგორც ითქვა, რომში აღმოსავლური კულტურითა და ბრწყინვალეობით ცხოვრება მოდად იყო ქცეული და ასეთი ცხოვრების უზრუნველსაყოფად რომაელები აზიიდან მიერეკებოდნენ ყოველგვარი განათლებისა, პროფესიისა და შესაძლებლობის მქონე ხალხს — დაბელოვნებულ მიწათმოქმედთ, მოქანდაკეებს, პარფიუმერებს, მხატვრებს, მკედლებს, ზარაფებს, მუსიკოსებს, ინჟინრებს, ხუროთმოძღვრებს, მწიგნობრებს, გრამატიკოსებს, ექიმებს, მდივნებს და აქცევდნენ მათ მონებად; ამავე მონებისაგან სწავლობდნენ კარგ მიწათმოქმედებას, ყაირათიანობას, გრძნობების დახვეწას, მეცნიერებისა და ხელოვნების დაუფლებას.

ვერესის მსგავსი ტიპური რომაელი მძარცველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აზიური პროვინციების აბსოლუტური ექსპლოატაციის „მეთოდოლოგიის" სრულყოფაში. თვითონ ვერესმა, რომლის საოცრად „დახვეწილი" და „რაფინირებული" პროვინციალური ძარცვაყვლეფა მთელი მაშინდელი მსოფლიოსათვის თითით საჩვენებელი შეიქნა, აზიის სიმდიდრეთა დატაცებით დაიწყო თავისი მძარცველური კარიერა. იგი აზიისა და პამფილიის მმართველად ყოფილა დანიშნული. ციცერონი მას იხსენიებს როგორც „მტანჯველსა და მათრახს მთელი აზიისა და პამფილიისა".

აქვე ციცერონი ხაზს უსვამს საერთოდ აღმოსავლურ სიმდიდრეთა დაგროვებას რომაულ-ოლიგარქიული ნობილიტეტის ხელში:

„...ყველა ხალხთა ყველა ქონება რამდენიმე კაცის ხელში დაგროვდა. განა მოიძებნება ჩვენს ბრწყინვალედ და ფუფუნებით მორთულ-მოკაზმულ ქალაქში თუნდაც ერთი ქანდაკება, თუნდაც ერთი სურათი, რომელიც არ წაგვერთმიოს ჩვენგან დამარცხებულ მტერთათვის. არ გამოგვეტანოს მათი ქვეყნიდან? ხოლო, აი, ამ მომხვეჭელთა კარმიდამო მორთულია და გავსებული სიმრავლით მშვენიერი საგნებისა, რომლებიც მათ წაართვეს ჩვენს ერთგულ მოკავშირეებს. სად იმყოფება, თქვენი აზრით, სიმდიდრენი ყველა უცხო ხალხისა, ამჟამად სიღატაკეში ჩავარდნილებისა, როცა ჰხედავთ, რომ ათენი, პერგამოსი, კიზიკოსი, მილეტი, ქიოსი, სამოსი, ერთი სიტყვით, მთელი

აზია, აქეა, სპბერძნეთი. სიცილია ერთად არიან მოქცეულნი ამ რამ-
დენნაირ ალარიდამოში?"[1]

გამოცდილი არავინ იყო; აზია ხელთ ეპყრათ ისეთ მბრძანებლებს, რომელთა ქვეყანაში დიდიხანია დაივიწყეს „ბოროტმოქმედებათა გამოძიება".

რომაული ექსპლოატაციით დაუღლული აზიის მოსახლეობა მუდამ მზად იყო გაჰყოლოდა თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ყველას, ვინც ასეთი ლოზუნგით აღმართავდა საბრძოლო დროშას. ასეთ ბელადად კვლავ მითრიდატე ევპატორი რჩებოდა.

პონტოელი საომრად ემზადებოდა. მას რომაელებთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდა, საიდანაც დარწმუნდა, რომ ომების ბედს სწყვეტენ არა მრავალრიცხოვანი არმიები, არამედ დისციპლინირებული და საბრძოლო ორგანიზებულობით გაწვრთნილი ლაშქარი, თუნდაც იგი მცირერიცხოვანი ყოფილიყოს. მითრიდატე ჯარს რომაული ყაიდით წვრთნიდა და რაზმავდა, ამაში მას იტალიელი ემიგრანტები ეხმარებოდნენ. მეფის ბრძანებით, დღე და ღამე შეუსვენებლივ იჭედებოდა რომაული ყალიბის საომარი საჭურველი — მახვილები, შუბები, მტკიცე და მძიმე ფარები; მან აკრძალა ოქროთი და ძვირფასი ქვებით მოოქვილი იარაღის ტარება; ამის უფლება დაუტოვა მხოლოდ წარჩინებულებსა და თავდადებულ მეომრებს. ამით მეფე მებრძოლთა ყურადღებას ამახვილებდა არა გარეგნულ ბრწყინვალებაზე, რასაც ბრძოლაში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, გარდა მტრის გახელებისა (განსაკუთრებით ქონებაზე დახარბებულ რომაელებთან ბრძოლაში), არამედ სადა, მაგრამ ბრძოლაში საიმედო საჭურველით შეიარაღებაზე. მითრიდატე აგებდა ძლიერ ფლოტს. მან აკრძალა ხომალდებზე მოოქროვილი სადგომების, მხევალთა აბანოებისა და ქალთა მდიდრული კაიუტების გაკეთება. ამის ნაცვლად, ბრძანა, გამოყოფილი ფული გემების შეიარაღებაზე დახარჯულიყო. ბრძოლის წინ მითრიდატეს ოთხასამდე გემი (ტრირემა) ჰყავდა. მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სურსათ-სახოვაგით შომარაგებას, არმიის ფურაჟირებას. მას ორი მილიონი მედიმნი პური მოუმარაგებია.

მითრიდატეს ახსოვდა, მისი წინანდელი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი რომის ორივე პარტიასთან — ოპტიმატებთან და პოპულარებთან — ბრძოლა იყო. რომის ძლიერების აქილევსის ქუსლი სოციალურ წინააღმდეგობებში, პარტიათა და ცალკე პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის განუწყვეტელ ბრძოლებში მდგომარეობდა. ამიტომ მას შეეძლო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა რომში გამართული სოციალურ-პოლიტიკური ჰიდილი და ამით საშუალება ჰქონოდა ერთ-ერთი მათ-

[1] Cic., in Verrem act. XLVIII, 127.

განი, რომელსაც საჭიროდ სცნობდა, თავის მოკავშირედ გაეხადა.

ასეთ მოკავშირედ მითრიდატეს გამოუჩნდა ქვინტუს სერტორიუსი, რომელიც 82 წელს გაეშურა პროვინცია ესპანეთის სამმართველოდ და ამის შემდგომ რომში აღარ დაბრუნებულა. იგი ესპანეთში სათავეში ჩაუდგა სულას რეჟიმისაგან დევნილ ემიგრანტებს, მარიუსელებსა და საერთოდ პოპულართა წარმომადგენლებს. ვისაც რომში სიკვდილი ელოდა, ყველა ესპანეთში გარბოდა. სერტორიუსის ბანაკი თავშესაფარი იყო ყველასათვის, ვინც მზად იყო ებრძოლა სულასა და, საერთოდ, რომაული ოლიგარქიის წინააღმდეგ. სერტორიუსმა გააერთიანა რომაელთა ძალმომრეობით უკმაყოფილო მამაცი ესპანელი ტომები, შექმნა ძლიერი არმია და შეუდგა რომის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. 77—74 წლებში სერტორიუსი ძლიერების მწვერვალზე იყო. იგი რომისაგან დამოუკიდებლად მართავდა პირველს ესპანეთს და ზედიზედ ამარცხებდა ყველა რომაულ არმიას, რომელიც კი ალპებსა და პირენეებს გადაღმა გამოჩნდებოდა. მასთან ჭიდილში სრულიად უძლური ჩანდა ასლად დაწინაურებული ვერეუს პომპეუსიც, რომელიც 76 წელს ძლიერი არმიით გაეშურა სერტორიუსის წინააღმდეგ. სერტორიუსმა რამდენჯერმე კვლავ გაიმარჯვა და ბოლოს სუკრონთან კიღამ ტყვედ ჩაიგდო თვითონ ამპარტავანი „მაგნუსი". ვერც მეტელუსისა და პომპეუსის გაერთიანებულმა არმიებმა შეძლეს სერტორიუსის დამარცხება. ომი ჭიანურდებოდა და პომპეუსის ძლიერებაც დნებოდა: სურსათ-სანოვაგე და საჭურველი ილეოდა. პომპეუსი სენატს სწერდა: „თუ თქვენ არ მომეშველებით, მაშინ ჩემი ნებასურვილის წინააღმდეგ, მაგრამ ჩემგან გაფრთხილების შემდეგ, არმია და, მასთან ერთად, ესპანეთის მთელი ომი გადმოიტრება იტალიაშიო"[1].

მამაცი სერტორიუსის მჭუხარე სახელმა შორეული სინოპის სასახლის კარამდეც მიაღწია. მითრიდატეს ირგვლივ მყოფებმა კარგად იცოდნენ მისი სურვილი, ჰყოლოდა ძლიერი მოკავშირე სენატის წინააღმდეგ ბრძოლაში თვითონ რომაელთა შორის. ისინი მეფეს ეუბნებოდნენ, რომ სერტორიუსი ეს ჰანიბალია, ხოლო მითრიდატე — პიროსი, და თუ გენიალური სარდალი და მეფეთა შორის უძლიერესი მეფე გაერთიანდებიან, რომაელები იძულებული გახდებიან ბრძოლა აწარმოონ ორ ფრონტზე — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე, და რომის მბრძანებლობასაც სამუდამოდ მოეღება ბოლო. ამ დროს, მითრიდატეს სასახლის კარზე იმყოფებოდნენ ცნობილი რომაელი მოქალაქენი ლუციუს მაგიუსი და ლუციუს ფანიუსი, რომლებიც მეფეს ეხმარებოდნენ რომის წინააღმდეგ საომარ სამზადისში. ლუციუსები მითრიდატეს არწმუნებდნენ, შეეკრა კავშირი სერტორიუსთან.

[1] Sallust. Hist. fragm. II, 6, 98.

78 წ. მოკავშირეებმა ფიცი დადეს ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე: მითრიდატე სერტორიუსს ესპანეთში უგზავნის ფულს 3.000 ტალანტის რაოდენობით და ფლოტს 40 ხომალდის შეძადგენლობით; მითრიდატე დაეუფლება ბითინიასა და კაპადოკიას; სერტორიუსი მითრიდატეს უგზავნის ჯარს სარდლითურთ. ხელშეკრულება სულ მალე ქმედითი გახდა.

ასე ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძლიერმა მბრძანებლებმა და შეუდგნენ მზადებას რომის კონსერვატიული ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი შეტევისათვის.

არც რომაელები თვლიდნენ მითრიდატესთან ანგარიშსწორებას დამთავრებულად. მათ მუდამ ახსოვდათ, რომ სანამ პონტოს სამეფო ფეხზე იდგა, რომაულ ექსპანსიას აღმოსავლეთში გასაქანი არ ექნებოდა. ამიტომ რომიც, თავის მხრივ, ომის განახლების ხელსაყრელ დროს ეძებდა.

75 წლისათვის მითრიდატეს მესამე ომის პროლოგი — ექსპედიცია მეკობრეთა წინააღმდეგ — უკვე დამთავრებულიყო და ყოველ წუთს შეიძლებოდა მოწინააღმდეგეთა უშუალო შეტაკება. საკმარისი იყო მხოლოდ საბაბის გამონახვა. ესეც მალე გამოჩნდა.

74 წელს გარდაიცვალა ბითინიის სამეფო დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, პონტოს მეფის მოსისხლე მტერი და რომის ყურმოჭრილი ყმა, ნიკომედე მესამე-ფილოპატორი, და მაშინვე გამოჩნდა ანდერძი, რომლის მიხედვით, ბითინია რომს უნდა გადასცემოდა. ეს იყო უკანასკნელი ანდერძი აზიაში, როგორც რომაული „ბრძოლიანი" ექსპანსიის ფორმა. აქამდე ბითინია ფაქტიურად რომაელი ფინანსისტებისა და მევახშე-პუბლიკანების კოლონიურ სარბიელს წარმოადგენდა. რომაელი ბარკისმკრეფელები და შეძსყიდველები, როგორც საკმლის დამტაცებელი ჰარპიები, ისე ძარცვავდნენ ქვეყანას. თვითონ ნიკომედე მესამეც ისე მომკვდარა, რომაელ ფინანსისტთა ვალისაგან თავი ვერ დაუსსნია. საჭირო იყო მხოლოდ რომის სამფლობელოებში ბითინიის ჩარიცხვის ოფიციალური გაფორმება; საამისოდ სწორედ რომ მისწრება იყო ნიკომედეს ანდერძი.

როგორ უნდა შეხვედროდა ამ ამბავს მითრიდატე პონტოელი? ბითინია თავის ნოყიერი მიწებით, მდიდარი მთამადნეულით, თევზით მდიდარი ზღვის სანაპიროებითა და ტბებით, დიდებული ქალაქებითა და მოხერხებული ნავთსაყუდელებით, პონტოელთა მოსისხლეებს ჩაუგარდათ ხელთ. ბითინიის დაპყრობით რომის სახელმწიფო უშუალოდ პონტოს მოსაზღვრე გახდა. რომს ახლა ხელთ ეპყრა შავი და ხმელთაშუა ზღვების მაერთი მაგისტრალები, სრუტეები: ამით ის დაეუფლა პონტო-ბოსფორის მდიდარი ქალაქების ეკონომიკის სასიცოცხლო

არხებს; თუ მოისურვებდა, ისიც შეეძლო, შეექმნა მათთვის გამაკოტრებელი და დამღუპველი სავაჭრო კრიზისი.

მითრიდატეს კიდეც რომ შეეკავებინა თავი ბითინიასთან ომის დაწყებისაგან, რომს ეს ომი უკვე დაწყებული ჰქონდა.

აღმოსავლეთის ახალი ლაშქრობის ხელმძღვანელობა, კონსულობასთან ერთად, მოიპოვეს მარკუს ავრელიუს კოტამ და ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსმა. იმავე 74 წელს გარდაიცვალა კილიკიის მმართველი ოქტავიუსი და ლუკულუსმა უპატიური სრიკების მეოხებით ხელთ იგდო კილიკიისა და აზიის მმართველობა, მიატოვა რა მის გამგებლობაში მყოფი ცისალპიური გალია. ბითინია კი, ასეთივე პოლიტიკური თაღლითობის გზით, ჩაიბარა მეორე კონსულმა, მარკუს ავრელიუს კოტამ.

74 წლის ზაფხულში კონსულები გაეშურნენ აღმოსავლეთისაკენ.

---

3. ლუკულუსის ლაშქრობის პირველი წლები

ავრელიუს კოტა სახმელეთო ჯარების ერთი ნაწილითა და ძლიერი ფლოტით ბითინიაში ჩავიდა. მას ევალებოდა ახლად შემოერთებული ქვეყნის შემომტკიცება და სრუტეების ჩაკეტვა.

მითრიდატეს წინააღმდეგ გენერალური შეტევების წარმოება დავალებული ჰქონდა მეორე კონსულს. ლუკულუსმა რომიდან აზიაში ჩამოიყვანა ერთი ლეგიონი, შეიერთა აზიაში [illegible] ყოფი ოთხი ლეგიონი და ამრიგად თავისი სამარი დროშის ქვეშ თავი [illegible] მოუყარა 30 000 ქვეითი მეომარს და 2.500 ცხენოსანს. ლუკულუსის მთავარი შეტევა უნდა წარმართულიყო ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დიდი ფრიგიისა და კაპადოკიის გავლით, პონტოს წინააღმდეგ.

ქვეითი ჯარების სარდლებად ლუკულუსს ჰყავდა სულ ს ყოფილი ლეგატი ლუციუს მურენა, ვალერიუს ტრიარიუსი, ბოკონიუსი, ბარბა, სექსტილიუსი, ფაბიუსი, მარკუს პომპეუსი და სორნაციუსი; კავალერიას მეთაურობდნენ: პომპონიუსი, პუბლიუს კლოდიუსი და აპიუს კლავდიუსი. კონსულმა, უპირველესად ყოვლისა, ხელ მოჰკიდა არმიაში მკაცრი სამხედრო დისციპლინის დამყარებ ს. [illegible] [illegible]ული ყურადღება მიაქცია ფიმბრიასეულ ლეგიონებს. [illegible] [illegible] (აზიაში გადმოსვლის დღიდან). თვითნებობ[illegible] [illegible]ნენ. მათ თავიანთი ინიციატივით [illegible] [illegible] ცნობილი ტრადიცია ჰქონდათ და, რო ორც [illegible] [illegible] ხალი [illegible]

ლის წინაშე აპირებდნენ ქედის მოხრას. ლუკულუსმა უდისციპლინობისათვის მკაცრი სასჯელი დააწესა და მოკლე ხანში აგრძნობინა მათ, თავისი ენერგია და სიმკაცრე ყოველგვარი დარღვევისა და ანარქიის წინააღმდეგ.

ლუკულუსმა აზიაში გადმოსვლისთანავე ხელი მოჰკიდა მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, რამაც დიდი როლი შეასრულა ნის წარმატებათა საქმეში. კონსერვატორ სულას გაზრდილმა, ამპარტავანმა და ფულით დაწინაურებულმა პლუტოკრატიის მოძულე პატრიციუსმა კარგად აუღო ალღო რომაელების მიმართ აზიის მოსახლეობაში შექმნილ საერთო განწყობილებას. ლუკულუსმა იცოდა, როგორ უსინდისოდ ყვლეფდნენ აზიას მისი თანამემამულე მდიდარი ფინანსისტები; ლიცინიუსების წარჩინებული გვარის წარმომადგენელს, რომელიც, თავის მხრივ, გამდიდრებისა და ანგარებისადმი დიდ სიხარბეს იჩენდა, ზიზღს ჰგვრიდა პლებეების წრიდან კაპიტალებით დაწინაურებულ „უგვარო" მხედართა წოდების წარმომადგენლები, რომელთა ჯიბე პროვინციათა ძარცვა-გლეჯის ნიადაგზე სქელდებოდა. ლუკულუსი რომში ყოფნისას კარგად ხედავდა, როგორ იისიბოდა რომი აზიაში ნაძარცვით; შემდეგ კი, როცა ის სულასთან ერთად აზიაში ლაშქრობდა, თავის თვალით ნახა, რას სჩადიოდნენ იქ რომაელი „ჰარპიები". ლუკულუსმა იცოდა, ამის ნიადაგზე აზიელ მოსახლეობას რომაელები საშინლად სძულდა და ამ სიძულვილს ხშირად საშინელი შურისძიებაც მოსდევდა (მაგალითად, ეფესოს ედიქტი). და აი, ლუკულუსმა სცადა აელაგმა რომაელი ფინანსისტების თავგასულობა აზიაში და ამით გაშმაგებული ადგილობრივი მოსახლეობის გული დასავლეთიდან მოსული დამპყრობელისაკენ მოებრუნებია. ამით, ის, აგრეთვე, განხეთქილებას შეიტანდა იმ კავშირსა და ურთიერთგაგებაში, რაც პონტოელ ხელმწიფესა და აზიის მკვიდრთა შორის არსებობდა.

თუ როგორ წარიმართა ლუკულუსის აღნიშნული ღონისძიებანი და როგორი შედეგები მოჰყვა მას როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, ამას ნათლად დაგვანახებს გზადაგზა მოვლენათა მსვლელობა.

[illegible] ომია ორად გაჰყო; ერთი ნაწილი, გადასცა დიოფანტეს და გაგზა[illegible] დოკის დასაცავად და ლუკულუსის მოსალოდნელი შემოტ[illegible]ს [illegible]ებელსაყოფად. მეორე ნაწილით თვითონ დაიძრა დასავლეთ [illegible] ნან გაიარა პაფლაგონია, გალატია და მეცხრე დღეს შეეიდა [illegible] ამი. „ქალაქები მას სიხარულით ეგებებოდნენ", რადგან „არა მარ[illegible] [illegible]ია, [illegible]ამედ მთელს აზიას ჰქონდა მოდებული წამებისაგან გამოწვეული ძველი სენი და მზად იყო განდგომოდა რომს, ვინაიდან

რომაელი მევახშეები და გადასახადთა ამკრეფნი მეტისმეტად სტანჯავ-დნენ მას[1].

მითრიდატე სწრაფად უახლოვდებოდა ქალკედონს. სადაც მთელი თავისი ძალებით გამაგრებული იყო ავრელიუს კოტა. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, არ დაეცადა ლუკულუსის შეტევის დაწყებისათვის და ტრიუმფის სურვილით შეპყრობილმა საბრძოლველად გასალაგა სახმელეთო ჯარები, ხოლო ფლოტის უფროსს, პუბლიუს რუტილიუს ნუდას უბრძანა მოემზადებინა ხომალდები მიახლოებულ პონტოურ ფლოტთან საომრად.

ბრძოლები ხმელეთზე და ზღვაზე ერთსა და იმავე დროს მოხდა. კოტამ ვეღარ გაუძლო მითრიდატეს მედგარ შეტევებს და სწრაფად დაიწყო უკანდახევა. რუტილიუს ნუდამ სცადა თავისი მეზღვაურებით ვაემაგრებინა კონსულის ზურგი. მაგრამ მითრიდატემ უფრო ძლიერად შეუტია. თავგანწირვითა და სიმამაცით მიიწევდნენ პონტოელები, განსაკუთრებით ცხენოსანი ბასტარნები. რომაელები სასტიკად დამარცხდნენ. კოტამ ძლივს შეასწრო ქალკედონის კარებში. მისი ლეგიონერები და რუტილიუსის მეზღვაურებიც ქალკედონის კარიბჭეს მიაწყდნენ, პონტოელთაგან ნასროლი ისრები მიზანს არა სცდებოდა და რომაელთა სისხლი უხვად იღვრებოდა. მსხვერპლი კიდევ უფრო გადიდდა, როცა კარები შიგნიდან ჩაკეტეს და ბევრი რომაელი, კედლებს გარეთ დარჩენილი, მტრისაგან განადგურდა. ძლივს გადარჩნენ რუტილიუსი და ზოგი სხვა სამხედრო მეთაური, რომლებიც თოკებით გადაათრიეს ქალაქის შიგნით. იმავე დღეს პონტოელებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ზღვაზეც. მათ დაამსხვრიეს ნავსაყუდელის სპილენძის ჯაჭვებისაგან აგებული ჯებირი და დასწვეს რომაელთა ოთხი ხომალდი, ხოლო დანარჩენი სამოცი ხომალდი მთელი თავისი ეკიპაჟით ბუქსირზე გამოიბეს და წაიყვანეს. რასაკვირველია, დიდი იქნებოდა რომაელთა საერთო მსხვერპლი.

მითრიდატემ ქალკედონს ალყა შემოარტყა. ახლა კოტა ხსნას მხოლოდ ლუკულუსისაგან ელოდა.

ლუკულუსი მდინარე სანგარიასთან იდგა ფრიგიაში, როცა მან თავისი კოლეგის საშინელი მარცხის ამბავი შეიტყო. ლუკულუსის მეომარითა სულიერი განწყობილება საკმაოდ შეარყია თანამემამულეთა პირველმა მარცხმა. სარდალმა ძლივს გაამხნევა არმია.

მებრძოლები ურჩევდნენ მას, წაეყვანა ისინი პირდაპირ პონტოს სამეფოსაკენ, სადაც ამ დროს არ იდგა არც ერთი ძლიერი სამხედრო ნაწილი ქვეყნის დასაცავად. განსაკუთრებით არქელაოსი, მითრიდატეს ყოფილი სარდალი და ახლა რომაელთა მეგზური და მრჩეველი. ლუკულუსს აქეზებდა დაუყოვნებლივ დაძრულიყო პონტოში სალაშქროდ და არა კოტას მისაშველებლად. თუ პლუტარქეს დავუჯერებთ, რომაელ-

---

[2] Plut., Luc. 7; ასევე, App. Mithr. 71.

თა სარდალმა ეს რჩევა ასეთი სიტყვებით უარჰყო: „მე არ ვიქნები ჩვეულებრივ მონადირეებზე მშიშარა, რომ გვერდი ავუარო მხეცებს და შევიდე მათ ცარიელ ბუნაგში". მან დაუწყო დაშომშინება აღშფოთებულ მეომრებს და მათ თხოვნას, მდიდარი პონტოს გასაძარცვავად წასვლაზე. უპასუხა: „ის მირჩევნია, გამოვგლიჯო მტერს ერთი რიხელი, ვიდრე დავეუფლო მთელს მის საგანძურს".

ლუკულუსის შეჩერება სცადა სერტორიუსისაგან გამოგზავნილმა ჯარმა, რომელსაც მარკუს მარიუსი სარდლობდა. მაგრამ ამ ცდას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია მითრიდატესათვის. მარიუსმა უეცრად გადაიფიქრა ბრძოლად გასვლა და ლუკულუსთან მოლაპარაკებაზეც კი დაიწყო ზრუნვა.

ლუკულუსმა შეიტყო, რამდენი ჯარისკაცი ითვლებოდა მითრიდატეს ბანაკში და რამდენი ჰქონდათ სურსათ-სანოვაგის მარაგი. „შემდეგ შეადარა დამზადებული მარაგის რაოდენობა მეჯამელთა რიცხვთან და დასკვნა, რომ სამ-ოთხ დღეში მოწინააღმდეგეს მარაგი აღარ ექნებოდა. ამის გამო ის კიდევ უფრო მტკიცედ დააღგა აზრს, რომ გაეპიანურებინა ომი და დაეგროვა სურსათის მარაგი თავის ბანაკში, რათა ჰქონოდა ის ჭარბად, და არხეინად მოეცადა ხელსაყრელი შემთხვევისათვის, როცა მტერს სურსათი შემოელეოდა"[1]. ლუკულუსი სულას მოწაფე იყო და ისე, როგორც მასწავლებელმა, ადრე კარგად გამოიყენა პონტოელი სარდლების წინდაუხედაობა არმიის ფურაჟირების საქმეში, ახლა მოწაფემაც ყურადღება მიაქცია მტრის იმავე სუსტ მხარეს და ომის გაპიანურების ტაქტიკურ გზას დაადგა. ქალკედონის მოალყე მეფეს რომაელებმა აღმოსავლეთიდან გზა მოუჭრეს.

მაგრამ ლუკულუსს დაბანაკებაც ვერ მოესწრო, რომ მითრიდატემ ბნელ და წვიმიან ღამეში ბანაკი აჰყარა და გადაინაცვლა კიზიკოსისაკენ. მან არსია ათ ნაწილად გაყო და სხელეთიდანაც და ზღვიდანაც გარს შემოერტყა ქალაქს.

ლუკულუსი ფეხდაფეხ გამოედევნა მტერს. იგი დინდიმის მთიდან დაადგა პონტოელთა ბანაკს და ყველა სახმელეთო გზა გადაუჭრა კიზიკოსის მოალყეებს. მთელი ზამთრის განმავლობაში პონტოელები ებრძოდნენ კიზიკელებს, რომაელებს, შიმშილს, ეპიდემიას და ღალატს. მითრიდატეს ყოველი ცდა ქალაქის აღებისა და ალყის ვარდნევისა უნაყოფოდ დამთავრდა; ყველა მისი განზრახვა მოღალატეების წყალობით ლუკულუსმა ყოველთვის იცოდა და საჭირო კონტრლონისძიებებით შლიდა მტრის „სტრატეგემატებს". მეფემ გადაწყვიტა განეტვირთა ბანაკი უკვე ზედმეტი, გამოუსადეგარი და ხელისშემშლელი ნაწილებისაგან. მას, ქალაქის ალყისათვის, კავალერია აღარ სჭირდებოდა; ასევე „ზედმეტი" გახდა ბრძოლაში დაჭრილთა, დაავა-

[1] Plut. Luc. 2.

დებულთა და დასუსტებულთა ბრბოები. ამიტომ მეფემ დრო შეარჩია და ყველა ისინი ბანაკიდან პირდაპირ ბითინიისაკენ გაგზავნა. ლუკულუსს ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მან დილით ადრე ხუთი კოჰორტა და მთელი კავალერია გამოიყვანა და დაედევნა გაქცეულთ. როცა ინვალიდთა და დამშეულთა ბრბოებმა მდინარე რინდაკს მიაღწიეს, რომის „გაუთლელი ჯარისკაცები“ მათ წამოეწივნენ და უწყალოდ დაუწყეს ყლეტა. ლუკულუსმა ამ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად ხელთ იგდო 15.000 ტყვე, 6.000 ცხენი და მრავალი სატვირთო პირუტყვი. ამის შემდეგ რომაელი სარდალი კვლავ შებრუნდა კიზიკოსისაკენ.

73 წელი დადგა. მითრიდატეს „ჯარი მთლად მშიერი იყო, ბევრი იხოცებოდა, ზოგნი... ადამიანის შიგნეულს სჭამდნენ, სხვები კი ბალახით იკვებებოდნენ და ავად ხდებოდნენ. იქვე დაუსაფლავებლად გადაყრილმა მათმა გვამებმა, შიმშილის დამატებად, შავი ჭირი გააჩინა“[1]. მითრიდატემ მიწისქვეშა ხვრელით სცადა ქალაქში შეჭრა, მაგრამ ეს გეგმაც ჩაეშალა.

როცა ყოველი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა, მითრიდატემ კიზიკოსის ალყა მოხსნა, სახმელეთო არმია ჰერმეოსსა და მარიუსს გადასცა და ქალაქ ლამპსაკის დასაუფლებლად გაგზავნა, თვითონ ფლოტით ჰელესპონტისაკენ გაეშურა.

ლუკულუსი ლამპსაკისაკენ მიმავალ პონტოელთა არმიას წამოეწია და დაამარცხა. დამარცხებულებმა ლამპსაკს მიაღწიეს და თავი მის კედლებს შეაფარეს. რომაელებმა ლამპსაკს ალყა შემოარტყეს. მითრიდატემ ზღვიდან მოახერხა თავისი არმიის ნაშთებისა და ლამპსაკელი წარჩინებულების გადაყვანა.

მითრიდატე ხმელეთიდან განდევნილი იყო. მცირე აზიის დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი ზღვისპირეთი რომაელებს ეპყრათ და ბოსფორის ყელთანაც ლუკულუსის მეომრები დარაჯობდნენ, რათა პონტოს მეფისათვის სამშობლოსაკენ მიმავალი ეს ერთადერთი გზაც დაეკეტათ. მაგრამ მითრიდატე იარაღის დაყრას არ ფიქრობდა. მას დიდ იმედს აძლევდა ძლიერი ფლოტი, რომელიც პროპონტიდის ბატონ-პატრონი იყო, ხოლო რომაელებს, რომელთა ფლოტი ქალკედონთან განადგურდა, ჯერჯერობით არც ერთი ხომალდი აღარ ჰყავდათ, რომ როგორმე მითრიდატესთვის „ზღვის მეფობაც“ წაერთმიათ.

მითრიდატემ 50 გემზე 10.000 მძიმედ შეიარაღებული მეომარი დასვა და მარკუს მარიუსის, ალექსანდრე პაფლაგონელის და დიონისე ევნუხის მეთაურობით გაგზავნა ეგეოსის ზღვისაკენ. თვითონ მეფე ფლოტის უდიდესი ნაწილით გაეშურა ბოსფორის სრუტისაკენ.

ლუკულუსმა, რომელსაც საზღვაო ბრძოლების დიდი გამოცდი-

---

[1] App. Mithr. 76.

ლება ჰქონდა, კარგად იცოდა ფლოტის ფასი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მტრის უმთავრეს საყრდენად ზღვა იყო შემორჩენილი. მან ფლოტი ააგო და მისი ორგანიზების პროცესში რომიდან ახალი დამხმარე ძალებიც მიიღო ბარბას სარდლობით. საზღვაო ძალთა უფროსობა თვითონ ლუკულუსმა ჩაიბარა, ხოლო სახმელეთო არმიები დაუნაწილა ხელქვეით სარდლებს, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ შეტევები იმ ქალაქთა მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არ ღალატობდნენ პონტოელ მეფეს. ლუკულუსმა თავის ერთ სარდალს, ბოკონიუსს, ფლოტის ნაწილიც გადასცა და ნიკომედიისაკენ გაგზავნა მითრიდატეს შესაპყრობად.

რომაელი მთავარსარდალი ლამპსაკის აღების შემდეგ გამოედევნა ეგეოსის ზღვაში გასულ პონტოურ ხომალდებს და გაანადგურა ისინი ტენედოსთან და ლემნოსთან. ამ გამარჯვების შესახებ მან დაფნით შემკული ეპისტოლე გაუგზავნა სენატს; შემდეგ შემობრუნდა და ბითინიისაკენ გაეშურა, სადაც მისი სარდლები ბრძოლებს ეწეოდნენ ცალკეულ ქალაქებთან და დარაჯობდნენ პროპონტიდაში მომწყვდეულ მეფეს.

ვალერიუს ტრიარიუსმა აიღო აპემეა და საშინელი ხოცვა-ჟლეტა გააჩაღა. მცხოვრებლები ტაძრებში მირბოდნენ და იქ ცდილობდნენ თავის გადარჩენას, მაგრამ რომაული მახვილი იქაც შეუბრალებლად ჰღვრიდა მათ სისხლს. იტალიიდან ახლად ჩამოსულმა ბარბამ აიღო ქალაქი პრუსია, ხოლო ამის შემდეგ — ნიკეა. ამ დროს ლუკულუსიც მოვიდა ბითინიაში. მას იმედი ჰქონდა რომ მითრიდატეს შეპყრობილს დაახვედრებდნენ.

მითრიდატეს ზღვაზე ქარიშხალმა მოუსწრო და ხომალდთა უმრავლესობა სულ დაეღუპა. თვითონ დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს მიაღწია ნიკომედიას და იქ ჩაიკეტა.

როგორც კი ეს ამბავი ავრელიუს კოტამ შეიტყო, სასწრაფოდ გამოვიდა ქალკედონიდან და ნიკომედიას მიაშურა. მას უნდოდა ნიკომედიაში თავშეფარებული ფრთებდამსხვრეული პონტოელი არწივის შეპყრობით ჩამოერეცხა ქალკედონთან მიღებული სამარცხვინო ლაქა. კოტას კვალდაკვალ გაჰყვა ტრიარიუსი, რომელსაც სურდა წილი ღაედო ომის ფინალის დიდებულად ჩატარებაში. ორივე სარდალმა ნიკომედიასთან დაიბანაკა და ქალაქის გარემოცვას შეუდგნენ. სწორედ ამ დროს შეიტყო მითრიდატემ ეგეოსის ზღვაზე მისი ხომალდების დაღუპვის ამბავი და დარწმუნდა, რომ მისთვის იმჯერად დასავლეთის ყოველი პუნქტი დაკარგული იყო. იგი სასწრაფოდ გამოიჭრა ნიკომედიიდან, ფიცხლავ გასცურა ბოსფორის სრუტე და შავ ზღვაში გავიდა. ვერც კოტამ, ვერც ტრიარიუსმა და ვერც ბოკონიუსმა ვერ შესძლეს მისი შეჩერება.

მითრიდატე ჰერაკლეაში შევიდა და იქაური გავლენიანი მოქალაქის ლუამაქის ხელშეწყობით ქალაქი უბრძოლველად ჩაიგდო ხელში. ჰერაკლეაში მან დასტოვა გარნიზონი—4.000 მეომარი — კონაკორიქსის მეთაურობით. თვითონ მეფე გაეშურა სინოპში, შემდეგ კი გადავიდა ამისოსში.

ლუკულუსმა ნახა, რომ მის ხელქვეითებს და კოლეგებს თითქმის ძირს დაცემული მტერი ხელიდან გასხლტომოდათ. მართალია, ეს ჯერ კიდევ მძიმე დღეების მომასწავებელი იყო, მაგრამ რომაელთა გამარჯვების შედეგი მაინც დიდად მოჩანდა. რომაელთა ხელში იყო მთელი პროვინცია აზია და ბითინიის ყოფილი სამეფო. მითრიდატე კვლავ თავის სამემკვიდრეო საზღვრებში ჩაკეტილიყო. როგორ უნდა მოქცეულიყო ახლა ლუკულუსი?

ლუკულუსმა თავის სარდლებს ახალი შეტევების გეგმა გააცნო და თითოეულ მათგანს საბრძოლო ამოცანა მისცა. თვითონ მთავარსარდალი ძირითადი ძალებით ბითინიისა და გალატიის გაელით, შეიჭრებოდა პონტოს საზღვრებში; ავრელიუს კოტა უნდა დაძრულიყო ჰერაკლეის წინააღმდეგ; ტრიარიუსმა ჩაიბარა ფლოტი და დავალებად მიიღო სრუტეების ჩაკეტვა და ესპანეთიდან მომავალი პონტოური გემების ხელში ჩაგდება.

4. რომაელთა ლაშქრობა პონტოში

პონტოსაკენ მიმავალმა ლუკულუსმა გალატიაში სურსათ-სანოვაგე მოიმარაგა. მის არმიას 30.000 გალატიელი მისდევდა, ყოველ მათვანს თითო მედიმნი ხორბალი მიჰქონდა რომაელი ჯარისკაცისათვის.

73 წლის ზაფხულის მიწურულში ლუკულუსის არმიამ გადალახა პონტოს დასავლეთი საზღვარი და ჰალისის გადასვლის შემდეგ, შეიჭრა ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ნიკომედე ბითინიელმა და ლუციუს მურენამ ააოხრეს პონტოს სანაპირო რაიონები. ქვეყნის ცენტრალურმა ნაწილმა ხომ დიდი ხანი აღარ იცოდა უცხოელთა შემოსევა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მითრიდატე ევპატორი სხვათა მიწებს იპყრობდა და თავის ქვეყანას აყვავების გზით წარმართავდა. ახლა კი პონტოს ნაყოფიერი და მდიდარი მიწები რომაელთა ძარცვა-გლეჯის ასპარეზად იქცა. დამპყრობლებს შიში აღარ ჰქონდათ, რომ შორეულ ქვეყანაში შიმშილის მსხვერპლნი გახდებოდნენ. თითქმის უპატრონოდ მიტოვებულ ქვეყანას განუკითხავად ძარცვავდნენ და მონებად ჰყიდდნენ.

მიუხედავად ამისა, სიმდიდრისათვის ჭკუაგადასული რომაელი

მეომრები მაინც უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ, რომ ლუკულუსი ქალაქების აღებას ულტიმატუმების გზით ცდილობდა და ამით მეომრებს ნაკლებ საშუალებას აძლევდა ძარცვის უფრო ფართო მასშტაბით წარმოებისათვის.

ლუკულუსმა, როგორც კი პონტოს ცენტრალური რაიონების დაპყრობა დაასრულა, მხარმარცხნივ ჩამოიტოვა სინოპი და შეუდგა ამისოსის, ევპატორიისა და თემისკირას ალყას. პონტოს სოფლებსა და ველ-მინდვრებს რომაელები დაუბრკოლებლად აოხრებდნენ, ქალაქები კი მტერს თავგანწირულ ბრძოლას უმართავდნენ.

ლუკულუსის ძირითად მიზანს უპირველესად თვითონ მითრიდატეს შეპყრობა წარმოადგენდა. ამიტომ მიაშურა მან ისე სწრაფად ამისოსს, სადაც მას მეფე ეგულებოდა; მაგრამ მეფემ ამისოსი დატოვა და ქაბეირაში წავიდა. ლუკულუსმა სცადა ერთის დარტყმით აეღო პონტოს ზღვისპირა ქალაქები და მერე მიბრუნებოდა მითრიდატეს, მაგრამ ქალაქების თავგამოდებულმა წინააღმდეგობამ ის ძალე დაარწმუნა, რომ ასე ხმლის ერთი მოქნევით ომის დამთავრება შეუძლებელი იყო. საჭირო გახდა ქალაქთა ხანგრძლივი ალყის წარმოება, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ლუკულუსის მდგომარეობა მალე კრიტიკული გახდებოდა, თუკი მითრიდატეს ახალი ღონისძიებები და ცდები სასურველ შედეგს მოიტანდა; ქაბეირაში მითრიდატე კონტრშეტევისათვის ემზადებოდა.

ბრძოლის ველიდან თითქმის მარტოდმარტო დაბრუნებულ მეფეს თავისი ძლიერების აღორძინებისა და მოწინააღმდეგის პირისპირ ხელახალი გამოსვლის იმედი მაინც არ დაუკარგავს. მან დიდი აზიური კოალიციის შექმნას მოჰკიდა ხელი. იგი ფიქრობდა, რომ რომაელთა სწრაფი წინსვლა უპირველესად შეაშფოთებდა სომხეთის ხელმწიფეს და შემდეგ, არც პართიისათვის უნდა ყოფილიყო სასიამოვნო რომაული იარაღის ასეთი წარმატებანი აღმოსავლეთში. აღმოსავლეთის ყველა დესპოტის ძალაუფლებას ემუქრებოდა რომის სწრაფი წინსვლა აზიაში. მითრიდატემ ელჩი გაგზავნა ტიგრან მეორესთან და ფრაატ მესამესთან და სამხედრო დახმარება ითხოვა. იმავე დროს ევპატორმა კაცი გაგზავნა ბოსფორში, სადაც მისი შვილი მახარე მეფობდა, და მასაც სთხოვა დამხმარე ძალები. მეფემ ძღვენითა და ოქროთი დატვირთული კაცი, ვინმე დიოკლე, გაგზავნა სკვითებთან დამხმარე ჯარებისათვის. მითრიდატეს ამ კარგად მოფიქრებული ღონისძიებების უშედეგო პერსპექტივის პირველი სიმპტომი ის იყო, რომ დიოკლემ, სკვითებთან გატანებული ოქროვერცხლითა და საჩუქრებით დატვირთულმა, გზიდან გადაუხვია და ლუკულუსის ბანაკს ჩაბარდა. ქაბეირაში ჩაკეტილი მეფე მხნეობას არ ჰკარგავდა; ალყაშემორტყმულ ქალაქებს ბლომად იარაღს, სურსათსა და ჯარს უგზავნიდა

და თან მოუთმენლად ელოდა პასუხებს პართიიდან, სომხეთიდან, ბოსფორიდან. წოვიდა პასუხი მხოლოდ ტიგრანისაგან, რომელიც მას დახმარებას აღუთქვამდა. მაგრამ აღთქმა მხოლოდ აღთქმად დარჩა. ტიგრანს არ სურდა საშიში ომი დაეწყო რომთან, რადგან მის ყოველ უბრალო გასაჭირს გაფაციცებით უთვალთვალებდა მისადმი რევანშის წყურვილით შეპყრობილი პართია. პართიისაგანაც არ ჩანდა დახმარება, რადგან ფრაატს არ სურდა კავშირი მოსისხლე მტერთან, სომხეთის მეფესთან. რა იმედი უნდა ჰქონოდა მითრიდატეს პართიისა და სომხეთის მეფეთაგან, როცა მისი ღვიძლი შვილი, მახარე, მის წინააღმდეგ ღალატს აპზადებდა?

ასე, რომ რომაელთა წინააღმდეგ მითრიდატესეული კოალიციის შექმნის ცდა მარცხით დამთავრდა. პონტოელი ვერც ამან დააბნია და დაიწყო ჯარების შეგროვება ჯერ კიდევ მის ხელქვეით დარჩენილ ქვეყნებში. გაზაფხულისათვის მას ქაბეირასთან მზად ჰყავდა 40.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი მეომარი.

73—72 წლის სუსხიანმა ზამთარმა ლუკულუსის ლეგიონები ბანაკებში ჩაჰკეტა. რომაელები ჯერჯერობით მხოლოდ პონტოურ ქალაქთა ალყას განაგრძობდნენ. ლუკულუსი მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს, რათა განეგრძო ლაშქრობა უშუალოდ მითრიდატეს წინააღმდეგ. ჯარისკაცები დრტვინავდნენ და მოითხოვდნენ, მთავარსარდალს ხელი აეღო „ტიბარენებისა და ხალდების ველებში მითრიდატესთან საბრძოლველად“ წასვლაზე[1]. მაგრამ სარდალი ყურადღებას არ აქცევდა მათ ბუზღუნს და იმაზე ფიქრობდა, თუ როდის შესაძლებდა მის წინ თეთრად დაფენილი მთების გადალახვას.

გაზაფხულის დადგომისთანავე ლუკულუსმა ამისოსის ალყის გასაგრძელებლად დატოვა ლუციუს მურენა, ხოლო თვითონ ძირითადი ძალებით დაიძრა ქაბეირას მიმართულებით. მას თან ჰყავდა 40.000 ქვეითი მეომარი და 3.000 მხედარი.

მთების გადასასვლელებთან მითრიდატესგან ჩაყენებულმა ვინმე ფენიქსმა მეფეს უღალატა და მასზე გაპიროვნებული ჯარით ლუკულუსს ჩაბარდა. მითრიდატემ მთის ძირში მტერს კავალერია დაახვედრა. რომაელთა ავანგარდმა, რომელსაც პომპონიუსი სარდლობდა, პონტოელთა ელვისებურ შეტევას ვერ გაუძლო და სასტიკად დამარცხდა. ლუკულუსმა უკან დახევის ბრძანება გასცა. რომაელებმა ისევ მთებს შეაფარეს თავი. პირველ მსხვერპლთა შორის იყო ბრძოლაში დაჭრილი პომპონიუსი, რომელიც ცოცხლად მიჰგვარეს მითრიდატეს.

ამას მოჰყვა ორი მცირე მასშტაბის ბრძოლა, რომელთაგან ერთი რომაელთა სასარგებლოდ გათავდა, ხოლო მეორე — პონტოელთა გამარჯვებით. ბოლოს ქაბეირასთან, მითრიდატეს სარდალთა წინდაუხე-

[1] Plut. Luc. 14.

დავობისა და უნიჭობის წყალობით, პონტოელთა არმია განადგურდა. რომაელებმა აურაცხელი სიმდიდრე და დაცლა ჩაიგდეს ხელში. ეითრიდატე 2.000 მხედრის თანხლებით გაიქცა სომხეთში.

ლუკულუსი ახალი მონარქიის საზღვრებთან იდგა. იმ საზღვრებს იქით მიეფარა რომაელთა დაუძინებელი მტერი. მთავარსარდლის წინაშე ახალი ომის პერსპექტივა წამოიჭრა.

ლუკულუსმა ტიგრანთან გაგზავნა თავისი ცოლის ძმა და სარდალი აპიუს კლავდიუსი მოთხოვნით — დაუყოვნებლივ ჩაებარებინა მითრიდატე რომაელებისათვის. ამ დროს მითრიდატე სომხეთის ერთ-ერთ პროვინციაში იმყოფებოდა. ტიგრანმა ბრძანა, მისი დევნილი სიმამრისათვის მეფური პატივი ეცათ და მცველი ამალაც დაენიშნათ. მაგრამ მის პირად მიღებაზე უარი განაცხადა. ამით ტიგრანს სურდა ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა რომსა და პონტოს შორის.

როცა აპიუს კლავდიუსი სომხეთის სამფლობელოში შეეიდა, ამ დროს ტიგრანი ნაკლებად ფიქრობდა რომაელთა ზრახვებზე და ფინიკიის ქალაქთა დაპყრობით იყო გართული. მისი სიფხიზლის მოდუნება რომაელ ელჩს საშუალებას აძლევდა კარგად მიმოეხილა უცხო ქვეყნის ყოველი კუთხე, გეოგრაფიული ვარემო, გზები და ქალაქთა ადგილმდებარეობანი, რათა ამის საფუძველზე მომავალი ომისათვის საჭირო ცნობები ჩაეტანა თავისი ხელისუფალისათვის.

საინტერესოა ცნობა ლუკულუსის ელჩის აუდიენციის შესახებ სომხეთის სასახლის კარზე: „როგორც კი 'სიტყვა აპიუსს მიეცა, მან ტიგრანს პირდაპირ განუცხადა, რომ მისი მოსვლის მიზანია მითრიდატეს გაცემის მოთხოვნა, რომელიც საჭიროა ლუკულუსის ტრიუმფისათვის: ხოლო, უარის შემთხვევაში, მას რწმუნება აქვს, გამოუცხადოს ტიგრანს ომი"[1]. აპიუსი აუდიენციის დროს ყოველნაირად ცდილობდა ოავისი უტიფარი ქცევებით მოთმინებიდან გამოეყვანა ზვიადი მბრძანებელი. ეტყობა, აპიუსს ამ შემთხვევამიც ლუკულუსის სანქცია ჰქონდა, რაც იქედანაც დასტურდება, რომ თვითონ რომაელი მხედართმთავარიც პირად წერილში ცდილობს ლაამციროს ტიგრანი: მას იგი უბრალოდ უწოდებს „მეფეს" და არად აგდებს სომეხთა ხელმწიფის მქუხარე ტიტულს — „მეფეთა მეფე".

ერთი სიტყვით, რომაელი სარდალი ცდილობდა მოწინააღმდეგისათვის საომარი საბაბი გამოეტყუა.

ეს საბაბიც ხელთ ჰქონდათ რომაელებს: ტიგრანმა უარი განაცხადა მითრიდატეს გაცემაზე.

ამგვარად, 71 წლისათვის, პონტოს მეფის მარცხის მეორე დღეს, ალმოსავლეთში კიდევ ახალი ომის ალმდილი წამოიმართა. ლუკულუსმა ხელი ვერ მოავლო ნაბიჯ მიზანს: სისხლისგან დაცლილმა ევპა-

[1] Plut. Luc. 21.

ტორმა სომხეთის კალთას შეაფარა თავი. მაგრამ რომაელმა სარდალმა სომხეთთან ომის დაწყებისათვის ზოგიერთი პირობათაგანი მაინც მოაგვარა. ლიუსმა მთლიანად ვერა, მაგრამ სომხეთიდან ნაწილობრივი ცნობები მაინც წამოიღო ამ ქვეყნის შესახებ. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, — ლუკულუსმა ტიგრანის მონარქიაში მოკავშირეები გაიჩინა და წინასწარ გაიმაგრა ბაზა, რომელსაც ადგილზე უნდა დაყრდნობოდა, როცა იგი ტიგრანის სამფლობელოთა საზღვრებს გადალახავდა. უახლოესი ამოცანა ახლა იყო პონტოს ზღვის სანაპირო ქალაქების დამორჩილების დასრულება, რის შემდეგომ რომაელებს აღარაფერი აღარ დააბრკოლებდათ სომხეთისაკენ სალაშქრო გზაზე.

ლუკულუსი ჯერ მიადგა ამისოსს, სადაც წინ ციტრიდატეს ვამოდევნების წინ ორი ლეგიონით დატოვა ლუციუს მურენა. მთავარსარდალმა ნახა, რომ ქალაქის აღებისათვის მისი ლეგატის ყოველ ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია. ამისოსის სტრატეგოსი კალიმაქე, — რომელიც საომარ მანქანათა და საბრძოლო „სტრატეგემების" შესანიშნავ ოსტატად ითვლებოდა, ქალაქის დაცვას წარმატებით ხელმძღვანელობდა. მოსახლეობის თავგანწირულება ამისოსის კედლებს ძალას ჰმატებდა და მურენას ყველა შეტევას უვნებელს ხდიდა. ლუკულუსმა ქალაქის მოსახლეობას სიტყვით მიმართა, მაგრამ ვერც მისმა დემაგოგიამ გამოიღო ნაყოფი. მაშინ სარდალმა პროვოკაციულ მანევრს მიმართა: სინოპიდან ძირითადი ძალები მოხსნა და უეცრად თავს დაესხა ევპატორიას, მითრიდატეს საპატივცემულოდ და მის სარეზიდენციოდ აგებულ ქალაქს. ევპატორიამ მოიგერია რომაელთა პირველი იერიშები. ლუკულუსმა ისევ ცბიერებას მიმართა: თითქოს აღარ აინტერესებდა ქალაქის ალყა და უკანდახევა დაიწყო; ქალაქის დამცველებმა ყურადღება მოადუნეს და რომაელებმა მოულოდნელად დაიწყეს იერიშები. მათ ისარგებლეს გუშაგთა დაუდევრობით, კედლები გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. რომაელებმა ევპატორია გაძარცვეს და საძირკვლამდე დაანგრიეს.

ლუკულუსი ისევ ამისოსს მიუბრუნდა. თითქმის იმავე წესით (შეტევა მოაწყო იმ დროს, როცა ჩვეულებრივ უკან იხევდა და ამით მოადუნა ქალაქის დამცველთა ყურადღება) დაეუფლა ამისოსის კედლებს. კალიმაქემ ბრძოლა წაგებულად ჩასთვალა და ბრძანა ქალაქისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რათა ის მტერს ხელში დავლად არ ჩავარდნოდა. რომაელები ცდილობდნენ მოესწროთ ცეცხლმოდებული ქალაქის გაძარცვა. ლუკულუსმა კი ბრძანა ჯერ ძარცვისაგან თავი შეეკავებინათ და ხანძარი ჩაექროთ, მაგრამ ჯარისკაცები ღრიალითა და იარაღის ჟღარუნით მოითხოვენ ძარცვა-გლეჯის ნებართვას. ლუკულუსი დათანხმდა: დაიწყო ქალაქის ბარბაროსული რბევა და ნგრევა. გამხეცებული მეომრები არავის ინდობდნენ, შეუწყალებლად ხო-

ცავდნენ ყველას, იტაცებდნენ ყველაფერს; ცეცხლმოკიდებული ქალაქის კატასტროფას კიდევ უფრო აჩქარებდნენ იმით, რომ სახლებში ნივთების მოსაძებნად და დასატაცებლად ანთებული მაშხალები შეჰქონდათ, ანთებულსვე იქვე სტოვებდნენ და ამრიგად ხანძრებს ახალ-ახალი კოცონებით აძლიერებდნენ. ქალაქი თითქმის მთლიანად დაიფერფლა; მხოლოდ მისი მცირე ნაწილი გადაარჩინა ბედად მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ.

იმავე წელს რომაელებმა აიღეს ჰერაკლეა და სინოპი.

ჰერაკლეის დამორჩილება, როგორც ზემოთ ითქვა, დავალებული ჰქონდა ავრელიუს კოტას, რომელმაც აზიაში ერთი სამხედრო ოპერაციაც ვერ მოიგო და ახლა ყოველნაირად ცდილობდა უმოკლეს დროში ჰერაკლეის აღებით ჩამოერეცხა სამარცხვინო ლაქა, მაგრამ იგი ჰერაკლეის კედლებთან ძალიან დიდხანს დარჩა. იერიშით არაფერი გამოვიდა და ალყა დაიწყო. როგორც ვიცით, მითრიდატეს ქალაქში დაყენებული ჰყავდა 4.000 კაციანი გარნიზონი, რომელსაც უნდა დაეცვა ქალაქი რომაელთაგან. მაგრამ მითრიდატეს გარნიზონი მარტო არ იყო. ქალაქის მთელი მოსახლეობა მტკიცედ იდგა მშობლიური ქალაქის სადარაჯოზე. ამიტომ კოტას პირველივე იერიშები დიდ ზარალად დაუჯდა. ალყაც ეიანურდებოდა. ჰერაკლეელებმა მოახერხეს დელეგაცია გაეგზავნათ თავიანთ კოლონიებში — ხერსონესსა და თეოდოსიაში — სურსათ-სანოვაგისათვის. კოტა ხშირად გზავნიდა ქალაქის კედლებზე საიერიშოდ ბითინიელებს, ხოლო რომაელებს უფრთხილდებოდა. როცა ყველა მისი იერიში ჰარალიზებულ იქნა, გაცოფებული სარდალი ქალაქის გარეუბნებს შეესია და სულ ერთიანად იავარჰყო. განსაკუთრებით გააპარტახა პურით მდიდარი ლიკეიონის ველი, რათა ქალაქს გადამწვარი და აოხრებული გარეუბნისაგან ვერავითარი საარსებო წყარო ვერ მიეღო. გატიალებულ გარემოს ცენტრში მდგარი ქალაქი შიმშილის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ჰერაკლელებმა კვლავ გაგზავნეს ელჩები ხერსონესსა და თეოდოსიაში სურსათით დახმარების სათხოვნელად. მართლაც ჰერაკლეაში მალე შევიდნენ სანოვაგით დატვირთული გემები. მაგრამ დამშეული მოსახლეობის დასაპურებლად ეს მარაგი დიდხანს ვერ იკმარებდა. ამას ისიც დაერთო, რომ კონაკორიქსის ნებართვით მისი მეომრები ქალაქის მცხოვრებლებს სცემდნენ და ლუკმაპურს ართმევდნენ. რომაელთა ალყას შედეგი მაინც არ მოსდევდა, რადგან ქალაქს ზღვა გახსნილი ქონდა და რაკი პოსფორელები დასმარებასაც არ იშურებდნენ, იქიდან ყოველთვის შეიძლებოდა სურსათის მიღება. კოტამ კიდევ რამდენიმე უნაყოფო იერიშის შემდეგ ფლოტის უფროსს ტრიარიუსს სთხოვა ზღვიდან ჩაეკეტა ჰერაკლეა. მართლაც ტრიარიუსი ჰერაკლეას 43 გემით მიადგა ზღვიდან. იმავდროულად კოტაც დაიძრა სმე-

ლეთიდან საიერიშოდ. მტრის ფლოტის მოულოდნელმა გამოჩენამ და ზღვიდან საარსებო საშუალების მოსპობის საფრთხემ კიდევ უფრო გაამძაფრა ჰერაკლეელთა თავგანწირვა. მათ სასწრაფოდ გაამზადეს 30 გემი და გაგზავნეს მტრის ფლოტთან შესახვედრად; თანაც კედლებთან გამაგრდნენ კოტას სახმელეთო იერიშის მოსაგერიებლად. ტრიარიუსის ფლოტს გამოეყვნენ საზღვაო ბრძოლაში დახელოვნებული როდოსული ხომალდები და პირველნი ეკვეთნენ ჰერაკლეელთა გემებს. სამი როდოსული და ხუთი ჰერაკლეული ხომალდი ჩაიძირა; შემდეგ ბრძოლაში ჩაება 23 რომაული გემი და ამჯერად ჰერაკლელებმა დაჰკარგეს 14 ხომალდი: დანარჩენებმა პირი იბრუნეს ქალაქისაკენ. ჰერაკლეამ ზღვიდან პურის მიღების იმედი დაჰკარგა. მალე ქალაქში საშინელი შიმშილობა დაიწყო. ამას ზედ მოჰყვა ეპიდემია — ჭირი. ხალხი ბუზივით იხოცებოდა. მოკვდა ლამაქი, რომელმაც ადრე მითრიდატეს დახმარება გაუწია ჰერაკლეას დაუფლებაში. კონაკორიქსის გარნიზონიდან ათასმა მეომარმა განუტევა სული. რომაელებმა ყველაფერი ეს იცოდნენ. სულიერად დაცემულმა კონაკორიქსმა გადაწყვიტა ქალაქის ჩაბარება და, რადგან კოტას ვერაგ და დაუნდობელ ადამიანად სთვლიდა, მოლაპარაკება გამართა ტრიარიუსთან, რომელმაც ნება დართო პონტოურ გარნიზონს, უვნებლად გასულიყო ქალაქიდან. კონაკორიქსმა ღამით დასტოვა ქალაქი. რომაელები მიტოვებულ ჰერაკლეაში შეიჭრნენ.

რომაელთაგან ჰერაკლეის აწიოკების შესახებ მემნონის ცნობებში ვკითხულობთ: „მოქალაქეთაგან ერთნი ნებდებოდნენ, მეორენი იღუპებოდნენ. განძეულობა და ქონება იძარცვებოდა. მხეცური სისასტიკე დაატყდა თავს ხალხს, რადგან რომაელებს ახსოვდათ, თუ რამდენი რაი გადაიტანეს მათ საზღვაო ბრძოლის დროს და რა გაჭირვებანი ნახეს ალყის დროს. ისინი არ ინდობდნენ იმათაც, ვინც ტაძრებისაკენ ეარბოდნენ, არამედ ხოცავდნენ მათ საკურთხეველებთანაც და ქანდაკებებთანაც. ამიტომ გარდაუვალი სიკვდილის შიშით ბევრი გარბოდა ქალაქის კედლებს გარეთ და იფანტებოდნენ ყველგან, საითაც მოუხდებოდად. ზოგიერთები იძულებული იყვნენ კოტასთან გაქცეულიყვნენ“[1]. კოტამ ახლა შეიტყო, რომ აქაც წაერთვა საშუალება თავის გამოჩენისა. ამდენი ხნის ტანჯვა-წამების ნაყოფი სხვამ წაიღო და თვითონ ისევ შერცხვენილ, პატივდაკარგულ სარღლად რჩებოდა. ამიტომ „ის, შეიტყო რა მათგან (ტრიარიუსის მეომრთაგან, ლ. ს.) ამბავი ქალაქის აღებისა, ხალხის დაღუპვისა და სიმდიდრის დატაცების შესახებ, აღინთო რისხვით და სწრაფად დაიძრა ქალაქისაკენ მასთან ერთად, აღელვებული იყო ჯარიც, რადგან მას

[1] Memn. 51.

წართმეული ჰქონდა არა მარტო გამარჯვების დიდება, არამედ მათ იგივე ხალხისაგან წართმეული ჰქონდათ ყოველნაირი სასარგებლო დოვლათი". ცოტა კიდევ და კოტასა და ტრიარიუსის მეომრები ნაძარცვის დასაკუთრებისათვის ერთმანეთს დაერეოდნენ, მაგრამ ტრიარიუსმა დაამშვიდა აღელვებული კოტა და მისი ლეგიონები, და მტაცებლები შერიგდნენ ფეხქვეშ გართხმული ქალაქის ნაალაფევის გაყოფაზე. მაგრამ კოტა მაინც ვერ ინელებდა იმას, რომ ჰერაკლეის ძარცვაში მოცილე ჰყავდა. მალე მას საბედნიერო შემთხვევა მიეცა, მეტოქე თავიდან მოეშორებინა. მოვიდა ცნობა, რომ კონაკორიქსს ტიოსი და ამასტრისი დაუჭერია და იქ გამაგრებულა. კოტამ დრო ხელთა და ტრიარიუსი ამ ქალაქთა დასაპყრობად გაგზავნა. თვითონ კი ჰერაკლეის ძარცვის სრული მონოპოლისტი შეიქნა. „თვითონ ხელთ იგდებდა მათ, ვინც მიდიოდა მასთან, და ხალხს, ვინც ტყეში იყო ჩავარდნილი. სხვა მხრივ ის მბრძანებლობდა მეტისმეტი სისასტიკით. ფულის ძებნის დროს ის იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ წმინდა ტაძრებში არსებულს შეხებოდა. იტაცებდა მრავალ მშვენიერ ქანდაკებასა და საღვთო გამოსატულებას. მან აგორადან და პირამიდებიდან აიღო ჰერაკლეს ქანდაკება და შეიარაღება, რომელიც სიმდიდრით, სიდიადით, აღნაგობით, სიკოხტავითა და სინატიფით არ ჩამოუვარდებოდა არაფერს, რასაც კი საერთოდ ხოტბას ასხამენ. აქ იყო ლომის ტყავში ჩასმული ბაჯაღლო ოქროს კვერთხი და ასევე ბაჯაღლო ოქროს კაპარჭი მშვილდითა და ისრებით. გემებზე აიტანეს სხვა მრავალი ნაძარცვი და ტაძართა ბრწყინვალე შესაწირავნი. ბოლოს კოტამ ჯარისკაცებს უბრძანა ცეცხლი წაეკიდებინათ ქალაქისათვის"[1].

ასე ბარბაროსული და ველური ბესტიალური სიშმაგით იავარჰყვეს რომაელმა დამპყრობლებმა მდიდარი და მშვენიერი ქალაქი ჰერაკლეა.

კოტამ, რაკი უზარმაზარი სიმდიდრე იგდო ხელთ, თავისი ამოცანა ამოწურულად ჩასთვალა. მან თავისი ჯარებიდან ბითინიელები სახლებში დააბრუნა, ხოლო დანარჩენები, — რომაელი ლეგიონერები და ცხენოსნები გაუგზავნა ლუკულუსს, რომელიც ამ დროს, ამისისის აღების შემდეგ, სინოპისაკენ მიემართებოდა. თვითონ კი, ნაძარცვით მძიმედ დატვირთული გემებით იტალიისკენ გაეშურა. მაგრამ კოტას „აღმოსავლურ ბედუკულმართობას" ბოლო მაინც არ ეღებოდა: როგორც კი ჰერაკლეის ნაპირებს გაშორდა, მისი გემების ნაწილი ზედმეტი გადატვირთვისა გამო ჩაიძირა, ხოლო დანარჩენები ქარიშხალმა გაპფანტა და აზიაში აკრეხელობით მონაპოვრის დიდი ნაწილი ზღვის ტალღებმა შთანოქეს.

ამასობაში ტრიარიუსი მიადგა დიოსსა და ამასტრისს. კონაკო-

[1] Memn. 52.

რიქსმა რომაელის პირობა მიიღო: სიცოცხლის შენარჩუნების ფასად ორივე ქალაქი ბტერს გადასცა.

პონტოს ზღვის სანაპირო ქალაქებიდან ჯერ კიდევ მედგრად იცავდა თავს პონტოელი არწივის ბუდე — ამაყი სინოპი.

სინოპის დაცვა მითრიდატესაგან დავალებული ჰქონდათ მის სტრატეგოსებს — ლეონიპეს, კლეოხარეს და სელევკოსს. სინოპელები მამაცურად ებრძოდნენ ლუკულუსს, განსაკუთრებით ზღვაზე, მაგრამ როცა რომაელებმა ალყა ყოველის მხრიდან გააძლიერეს, ლეონიპემ მტერთან მოლაპარაკება გაბმართა ქალაქის ჩაბარების თაობაზე.

ეს ამბავი შეიტყვეს მისმა კოლეგებმა, კლეოხარემ და სელევკოსმა, და სასწრაფოდ მოწვეულ სახალხო კრებაზე ლეონიპეს დასჯა მოითხოვეს. როგორც ეტყობა, კრება არც მათ მიმართ ყოფილა ნდობით განწყობილი; ამიტომ ის არ ერწმუნა ლეონიპეს მიმართ წაყენებულ ბრალდებას. მაგრამ ღამით კლეოხარეს კაცები ლეონიპეს ჩაუსაფრდნენ და მოჰკლეს. ამის შემდეგ, კლეოხარე და სელევკოსი ხალხის ნებასურვილს ანგარიშს აღარ უწევდნენ და ქალაქს თვითნებურად განაგებდნენ. ამ დროს, სინოპთან გამოჩნდა რომაელთა 15 გემი ცენზორინის მეთაურობით, რომელსაც პური მიჰქონდა ქალაქის კედლებთან დაბანაკებული რომაელებისათვის. საზღვაო ბრძოლებში დაოსტატებულმა სელევკოსმა სასწრაფოდ გამოიყვანა სინოპის ფლოტი და რომაელებს შეება. მან მალე დაამარცხა ცენზორინის ფლოტი და მტრის ბანაკისათვის განკუთვნილი პროდუქტეულით დატვირთული გემები სინოპის პორტში მიაცურა. მერე, თვით სტრატეგოსთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა: სელევკოსი მოითხოვდა სინოპის მოსახლეობის გაჟლეტას და დიდი საფასურით ქალაქის მტერზე მიყიდვას, ხოლო კლეოხარე ბრძოლის გაგრძელების მომხრედ რჩებოდა. თანაც ორივე მათგანმა თავიანთი გემები ქონებით დატვირთეს და ბოსფორში, მახარესთან, საიდუმლოდ გაგზავნეს. ამ დროს სინოპის კედლებთან გამოჩნდა ლუკულუსი, რომელმაც ამდენი ხნის უშედეგო ალყით თავგაბეზრებულ და დაქანცულ რომაელებს ახალი ენთუზიაზმისა და ენერგიის სული შთაბერა, მან გააძლიერა ალყა და საიერიშო სამხედისს შეუდგა. მაგრამ სინოპს, მისი შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის შეეძლო საარსებო წყაროთა მიღება, ხმელეთს გარდა, ზღვიდანაც თუ კი არ იქნებოდა გარშემორტყმული. ლუკულუსს იმოდენა ფლოტიც არ ჰყავდა, ნასევარკუნძული მთლიან ბლოკადაში მოექცია. სინოპის მცხოვრებთა სურსათ-სანოვაგითა და სხვა საომარი საჭურველით მომარაგების მთავარი იმედი ყირიმის ბოსფორი იყო, და, სანამ ბოსფორის მმართველი მახარე თავის მამას ერთგულებას უწევდა, მანამ სინოპსაც შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ შიმშილის

მსხვერპლი არ გასდებოდა. მაგრამ როგორც კი მითრიდატეს ძლიერება უფსკრულისაკენ დაქანდა, მისმა მემკვიდრემ გადასწყვიტა მოსალოდნელი საფრთხე მამისადმი ღალატით აეშორებინა თავიდან. და იმ დროს, როცა ლუკულუსი საგონებელში იყო ჩავარდნილი, თუ რა გზით დაეჩოქებინა ამაყი სინოპი, მასთან ჩამოცხადნენ მისარეს ელჩები; მათ რომაელ სარდალს მითრიდატეს მემკვიდრისაგან ნაძღვნები ოქროს გვირგვინი მიართვეს და ითხოვეს, ეცნოთ იგი რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ. ამაზე უკეთესს რაღას ინატრებდა ლუკულუსი: ის, ვინც აქამდე ხელს უშლიდა სინოპის დამორჩილების საქმეში, ახლა მის წინაშე დაჩოქილიყო და მეგობრობა-მოკავშირეობას მათხოვრობდა. რომაელმა სარდალმა ელჩები ალერსიანად მიიღო, და მახარეს აცნობა: კავშირი მაშინ იქნება მტკიცე, თუ მახარე სინოპელებს სურსათ-სანოვაგეს არ გაუგზავნის. მაგრ ამის შემდეგ ყირიმული პროდუქტებით სინოპელთათვის დატვირთული გემები ლუკულუსთან გამოცხადდნენ და მას ჩაბარდნენ. ამრიგად, სინოპს სულ მალე შიმშილით დაღუპვა ელოდა. კლეოხარეს და მისმა ახლობლებმა წინააღმდეგობის გაგრძელება უაზროდ ჩასთვალეს: ღამით მრავალი ძვირფასეულობითა და ქონებით დატვირთეს ხომალდები; მერე, ქალაქში ხანძარი გააჩაღეს და ჯარისკაცებს ნება დართეს რომაელთა მოსვლამდე ეძარცვათ ქალაქი. ბოლოს, ის გემები, რომლებიც ქონების წასაღებად აღარ სჭირდებოდათ, დასწვეს, ხოლო თვითონ გაეშურნენ კოლხეთისაკენ. ლუკულუსმა, როგორც კი ხანძარი შენიშნა, იერიშის დაწყება ბრძანა. რომაელები შეიჭრნენ ქალაქში და შეუდგნენ ხალხის უწყალო ჟლეტას. პირველსავე წუთებში რვაასი სინოპელი გაძოვსალმა წუთისოფელს. სარდალმა ბრძანა, შეეჩერებინათ ხალხის ხოცვა. რომაელებმა სინოპიც ძვლებამდე გააშიშვლეს და გაძარცვეს. თვითონ ლუკულუსმა მიითვისა ცნობილი ავტოლიკეს ქანდაკება, რომელიც ქალაქის მცხოვრებლებს სათაყვანო კერპად ჰქონდათ.

უკანასკნელად პონტოს ქალაქთაგან ლუკულუსმა დაიპყრო ამასია, რომელმაც მარტოდმარტო ბრძოლა უაზროდ ჩათვალა და იარაღი მალე დაჰყარა.

ამგვარად, ლუკულუსმა დაიმორჩილა პონტოს ბრწყინვალე ქალაქები, რომლებიც მითრიდატე ევპატორის სამეფოს დამოუკიდებლობის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენდნენ. მცირე აზიაში აღარ არსებობდა არც ერთი უმნიშვნელო პუნქტიც კი, რომაელთა ბატონობის გარეშე. ამრიგად, პონტოს სრული დაპყრობით ლუკულუსმა დასრულა ომი მითრიდატესთან.

ლუკულუსმა, როგორც კი პონტოურ ქალაქთა დაპყრობა დაამთავრა, მაშინვე ხელი მოჰკიდა რომაელი ფინანსისტების უფლებათა შეზღუდვას და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სულას მიერ აზიის მოსახლეობაზე 20.000 ტალანტის რაოდენობით დადებული კონტრიბუცია რომაელი პუბლიკანებისა და მევახშეებისაგან, აბსოლუტური ექსპლოატაციის წყალობით, მეტისმეტად გაიზარდა; პროვინცია აზიაში მარტო ვახში 120.000 ტალანტს აღწევდა, ე. ი. აზიას ახლა 140.000 ტალანტი (336.000.000 მან. ოქრ.) უნდა გადაეხადა. ხალხი ყოველნაირ რეპრესიებს და ტანჯვა-წამებას განიცდიდა ამ გრანდიოზული თანხის გადახდის გამო. და აი, ლუკულუსმა ვახში მთლიანად გააუქმა; გაათავისუფლა ყადაღადადებული ქონება და დაუბრუნა ისინი წინანდელ პატრონებს, გადასახადი დააწესა ერთი მეოთხედი მიწის მოსავლიდან; გადასახადი დაწესდა მონებზე და სახლებზედაც; გადამყიდველს დღეიდან უნდა ესარგებლნა მოვალის შემოსავლის მხოლოდ ერთი მეოთხედიდან.

ლუკულუსის ამ ღონისძიებებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მისთვის ორი, ერთიმეორისადმი სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა. ერთი ის, რომ მის წინააღმდეგ ამხედრდნენ მდიდარი და გავლენიანი პლუტოკრატები; ისინი რომში ფულს აძლევდნენ ისედაც მათ კაბალაში ჩაცვენილ დემაგოგებს და მათი საშუალებით სენატში, თუ ფორუმზე უხვად აფრქვევდნენ ლუკულუსის საწინააღმდეგო ინვექტივებს. მის მიმართ ასეთი გამოსვლები ჯერჯერობით მხოლოდ იწყებოდა და დიდი გავლენა მაინცა და მაინც არ ჰქონია, რადგანაც მითრიდატეს ომში დიდი გამარჯვებები ჩრდილში აყენებდა მის წინააღმდეგ გამოხდომებს. რომი მოხიბლული იყო იმით, რომ ის, რასაც ვერ მიაღწია მძლავრმა „ფელიქსმა“ კორნელიუს სულამ, უკვე მოპოვებული იყო ლუკულუსისაგან. ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ეს ასე იყო.

მეორე მხრივ, ლუკულუსმა ნაწილობრივ მაინც მიაღწია იმას, რაც მას განსაკუთრებით აინტერესებდა. შესაძლოა, გადაჭარბებული იყოს პლუტარქეს ცნობა, რომ „ლუკულუსი არა მარტო მისგან გაღმერთებული ხალხისათვის იყო საყვარელი, არამედ სხვა პროვინციალებსაც სურდათ ჰყოლოდათ ის თავის უფროსად, სთვლიდნენ რა ბედნიერად მათ, ვისაც ბედმა აჩუქა ასეთი ხელმძღვანელი“, — მაგრამ ის კი ფაქტი უნდა იყოს, რომ მან თავისი ღონისძიებებით აზიის მოსახლეობაში გარკვეული პატივისცემა დაიმსახურა. ახლა რომაული ექსპლოატაციისაგან განაწამებ მცხოვრებლებს შეეძლოთ რაძდენიმედ მაინც დაენახათ ზღვარი რადიკალურ სიბოროტესა და ზომიერ სიკეთეს შორის. უეჭველია, ლუკულუსის ეკონომიური ღონისძიებები წმინდა დემაგოგიური ხასიათისა იყო, მაგრამ ამ დემაგოგიის წყალობით მან თავის მიზანს, აზიის მოსახლეობის გულის მოგებას, მაინც მიაღწია. ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ესეც ასე იყო.

ამგვარად, ლუკულუსს ყველა პირობა მზად ჰქონდა იმისათვის, რომ

თავისი განზრახვის განხორციელებას შესდგომოდა. იგი სომხებთან ომის დაწყებისათვის ნიადაგს საესებით მომზადებულად თვლიდა.

მაგრამ ლუკულუსი, მის წინააღმდეგ რომში დემაგოგების გამოსვლათა უგულებელყოფის გარდა, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას არ აქცევდა ყურადღებას, რაც შემდგომში მისი გრანდიოზული გეგმის კრახის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა. საქმე იმაშია. რომ მთავარსარდალი სრულებითაც არ ფიქრობდა მეომართა სულიერ განწყობილებაზე. მისი ლეგიონერები და განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე სულას, ფლაკუსისა და ფიმბრიას დროშების ქვეშ იბრძოდნენ, ამდენი გაუთავებელი მძიმე ბრძოლებით უაღრესად იყვნენ დაქანცულნი და დემორალიზებულნი. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ ლუკულუსი როგორც სასტიკი და გულზვიადი სარდალი თავის მებრძოლებს არ უყვარდათ. ჯარისკაცები დასვენებასა და ჭრილობების მოშუშებას მოითხოვდნენ. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ელაშქრნათ უცხო ქვეყანაში, მაგრამ ლუკულუსი ამაზე ფიქრით თავს არ იწუხებდა. 69 წლის გაზაფხულზე სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო.

5. რომაელთა პირველი ლაშქრობა სომხეთში

ლუკულუსმა პონტოში საგარნიზონო სამსახურისათვის დატოვა. 6.000 მეომარი სორნაციუსის სარდლობით, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პონტოს შენარჩუნება და საერთოდ ზურგის უშიშროება. თვითონ ლუკულუსი 18.000 ლეგიონერით, 3.000 მხედრით და 1000 მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცით, ე. ი. სულ 22.000 მეომრით, 69 წლის გაზაფხულზე ეფესოდან გაეშურა და შევიდა კაპადოკიაში, საიდანაც უნდა შეჭრილიყო სომხეთში.

ლუკულუსმა მოუხმო არიობარზანს და მისი მეოხებით კაპადოკიაში მოიმარაგა სალაშქრო ფურაჟი და აღალი. მისივე თანხლებით მან გადალახა მდინარე ევფრატი და შევიდა ტიგრანის პირველ სამფლობელოში — სოფენაში. აქ რომაელებმა აიღეს ქალაქი ტომისა, რომელიც ადრე კაპადოკიას ეკუთვნოდა და შემდეგ იგი ას ტალანტად შეუძენია სოფენის მმართველს. ტომისა ლუკულუსმა არიობარზანს გადასცა და ამით კაპადოკიის მუხლსუსტი გამგებელი კიდევ უფრო გაიერთგულა.

რომაელი სარდალი ფრთხილად მიიწევდა წინ; ადგილობრივი მოსახლეობის გადამტერებას უფრთხოდა და მეომრებს უბრალო ხალხის ხოცვა-ყლეტისა და რბევისაგან აკავებდა. გულხარბი ჯარისკაცები

დრტვინავდნენ, მაგრამ სარდალს მათი ჯერჯერობით არ ესმოდა. რომაელებმა გაიარეს სოფენა, გადალახეს ტიგრი და შევიდნენ საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზე. ტიგრანისათვის სავსებით მოულოდნელი იყო რომაელთა შემოვრა, ხოლო როცა დარწმუნდა, სასწრაფოდ გაგზავნა მათ შესახვედრად სარდალი მითრობარზანი 1600 ცხენოსნითა და ამღვნიეე მსუბუქად შეიარაღებული მეომრით. სომეხთა ეს რაზმი შეეჯახა რომაელთა ავანგარდს, რომელსაც სექსტილიუსი სარდლობდა. სომხები დამარცხდნენ; მითრობარზანი მოკლულ იქნა. რომაელებმა დაუყოვნებლივ მიაშურეს სომხეთის ახალ სატახტო ქალაქს ტიგრანოკერტს. ლუკულუსს იმედი ჰქონდა, რომ სომხეთის მეფე ტიგრანოკერტის საფრთხეში ჩაგდებას ვერ შეურიგდებოდა და მთელი ძალებით გამოვიდოდა მის გადასარჩენად. რომაელსაც ის უნდოდა, რომ ბარემ მოხდარიყო გენერალური ბრძოლა. შორეულ უცხო ქვეყანაში შეკრილ ლუკულუსს ომის გაჭიანურება აშინებდა.

ტიგრანმა ქალაქის დაცვა დაავალა თავის სარდალს მანკეიოსს, თვითონ ქალაქიდან მოსახლეობის ნაწილი გაიყვანა, საჭურველთა ერთი ნაწილიც გაიტანა და გაეშურა სომხეთის სიღრმეში, რათა დაუყოვნებლივ შეეკრიბა ჯარები და მიშველებოდა ტიგრანოკერტს. რომაელებმა ტიგრანოკერტს ალყა შემოარტყეს. მეფემ სახელდახელოდ გამოჰყო 6.000 მეომარი ტიგრანოკერტიდან განძისა და ჰარამხანის გამოსატაცებლად. სომხებმა მეფის ბრძანება შეასრულეს. მათმა ერთმა ნაწილმა ისრის სეტყვა დაუშინა რომაელთა ბანაკის ყველა კარს, ხოლო მეორე ნაწილი შეიჭრა ქალაქში, სადაც მანკეიოსის გარნიზონი იცავდა თავს, და შუაღამისას გამოიტაცეს იქედან განძი და მეფის ცოლები. როცა გათენდა და ღამეული თავდასხმისაგან დაბნეული რომაელები გონზე მოვიდნენ, მაშინვე მტერს გამოედევნენ, წამოეწივნენ და გაჰფანტეს, მაგრამ სომეხთა მოწინავე ნაწილმა, რომელსაც ტიგრანის განძეულობა და ქალები მიჰყავდა, უვნებლად მიაღწია მეფის ბანაკს.

ლუკულუსმა ქალაქის ალყა კიდევ უფრო გააძლიერა. ტიგრანოკერტის გარშემო ღრმა თხრილები ამოთხარეს, და კედლებთან საიერიშო მანქანები მიაგორეს. მანკეიოსის გარნიზონი მამაცურად უმკლავდებოდა მტერს. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვეს.

ამასობაში ტიგრანი გამალებით ამზადებდა არმიას. ამავე დროს იგი მიხვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, საჭირო იყო მითრიდატესთან შეხვედრა და გეგმის ერთობლივად შემუშავება.

მეფეების თათბირი სამ დღეს გაგრძელდა. პირველად სიძე-სიმამრმა ერთიმეორის წინაშე მოიბოდიშეს მათ შორის არსებული ეჭვიანობისა და ურთიერთუნდობლობისათვის, მერე ერთმანეთს აღუთქვეს მეგობრობა და შეთანხმდნენ რომაელთა წინააღმდეგ ერთობლივი

ბრძოლის შესახებ. მითრიდატემ ტიგრანისაგან მიიღო ათი ათასი მხედარი და გაეშურა პონტოსკენ. რომაელთა წინააღმდეგ სომარი გეგმა მეფეებს ასე ჰქონდათ მოფიქრებული: მითრიდატე უნდა წასულიყო პონტოში, გაენადგურებია იქ მდგარი სერნაციუსი, კვლავ ფეხზე დაეყენებია თავისი ქვეყანა და რომაელთაგან დამორჩილებული პროვინციები, მერე შემოუბრუნდებოდა სომხეთში შეჭრილ ლუკულუსს და ზურგიდან დაეცემოდა მას, სანამ თვითონ ტიგრანი მტერს გაუმკლავდებოდა თავის ქვეყანაში. გეგმა, როგორც ეტყობა, კარგად ყოფილა მოფიქრებული, თუ კი მის განხორციელებას სხვა არაფერი შეუშლიდა ხელს. ამგვარად, მითრიდატე ათი ათასი მხედრით გაეშურა თავის დაკარგულ ქვეყანაში, ხოლო ტიგრანს სამხედრო მრჩეველად დაუტოვა თავისი გამოცდილი სარდალი ტაქსილე.

ტიგრანმა მოუხმო თავის თანამეამულეებს, მოკავშირეებსა და ქვეშევრდომებს და ძლიერი არმიით დაიძრა რომაელებისაკენ. სომეხთა ბანაკში ტაქსილეს და სხვა ელჩების პირით მითრიდატე მოითხოვდა, რომ სომხეთის მეფეს ჯერჯერობით არ დაეჩქარებინა გენერალური შეტევა. მითრიდატეს და ტაქსილეს რომაელებთან ბრძოლაში სრულყოფილი წრთობა ჰქონდათ მიღებული და კარგად იცოდნენ, რაში მდგომარეობდა მათი სუსტი და ძლიერი მხარეები; როგორი იყო მათი საბრძოლო ტაქტიკა და რა იქნებოდა მათთვის ხელისშემშელელი, ამა თუ იმ დროსთან და პირობებთან დაკავშირებით. მითრიდატემ და ტაქსილემ იცოდნენ, რომ ლუკულუსს, შორეულ ქვეყნებში მოლაშქრეს, გაჭიანურებული ომის გაძლება გაუჭირდებოდა. ამიტომ ტაქსილე არწმუნებდა ტიგრანს, ჯერჯერობით გენერალურ ბრძოლას მორიდებოდა და ეწარმოებინა სათარეშო ხასიათის ბრძოლები — მოესპოთ მტრისათვის სურსათ-სანოვაგით მომარაგების ყოველგვარი საშუალება, შიმშილითა და ხშირი, მფრინავი თავდასხმებით დაეუძლურებინათ იგი და შემდეგ კი მთელის ძალებით დასხმოდნენ თავს.

მაგრამ ტიგრანი, რომელიც თავისი დიდი არმიის იმედით სრულიად დარწმუნებული იყო გამარჯვების მოპოვებაში, სიცილს აყრიდა პონტოელთა ასეთ ფრთხილ საომარ პოლიტიკას. მან უკუავდო მითრიდატესა და ტაქსილეს სამხედრო გეგმა და 69 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაიძრა ტიგრანოკერტისაკენ. ის შედგა მახლობელ მაღლობზე და გადახედა ქალაქს, რომელიც რომაელებს მტკიცე მარწუხებში ჰყავდათ მომწყვდეული.

აქ დაიბანაკა ტიგრანმა. მას თან ჰყავდა 70—80.000-იანი არმია, აქედან დაახლოებით 30.000 ცხენოსანი და 40.000 ქვეითი. მეფე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა მხედრებზე, რომელთაგან 17.000 მეომარი თავიანთი ცხენებითურთ მთლიანად ჯავშანში იყვნენ ჩამჯდარი.

როგორც კი ტიგრანის არმია ბორცვზე გამოჩნდა, ტიგრანოკერტში ჩაკეტილებმა სიხარულის ყიჟინა და ტაშის ცემა ასტეხეს. ისინი მტრებს მიუთითებდნენ სომეხთა არმიაზე და მუქარას უთვლიდნენ მათ.

რომაელთა მთავარსარდალმა სერიოზულად შეაფასა მოსალოდნელი საფრთხე და სასწრაფოდ მოიწვია სამხედრო საბჭო. სამხედრო თათბირზე ორი სხვადასხვა აზრი წარმოიშვა; ერთნი ლუკულუსს ურჩევდნენ, მოეხსნა ალყა ქალაქისათვის და მთელი ძალებით წასულიყო ტიგრანის წინააღმდეგ, ხოლო მეორენი ამტკიცებდნენ: არ შეიძლება ზურგში ჩამოვიტოვოთ ტიგრანოკერტი, რომელიც საუსეა მტრების მეომრებით. საჭიროა დაერჩეთ ქალაქთან და აქ დავუცადოთ სომეხთა არმიის შეტევაზე გადმოსვლასო. ლუკულუსმა ორივე ეს აზრი უარჰყო. მან ქალაქის ალყის გასაგრძელებლად 6.000 მეომარი ჩააბარა ლუციუს მურენას, ხოლო თვითონ დანარჩენი ჯარის ნაწილებით, 10.000 ქვეითი მეომრით, 3.000 ცხენოსნით და 1.000 მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცით გაემართა ტიგრანთან შესახვედრად.

ამრიგად, სომხებს გაცილებით ჭარბი ძალები ჰყავდათ, ვიდრე რომაელებს. ამან ტიგრანსა და მის ქვეშევრდომ სარდლებს საბაბი მისცა იმისა, რომ მტრის სიძლიერე ღირსეულად არ შეეფასებინათ და მისთვის სიცილიც კი დაეყარათ: „თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრია, ხოლო თუ მტრები არიან, — მეტისმეტად ცოტაა“, ხუმრობით თქვა ტიგრანმა, როცა მან ლუკულუსის მცირერიცხოვანი ჯარი დაინახა. ქვეშევრდომი სარდლები კი ტიგრანის წინაშე მლიქვნელობაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ და თვითეულად თხოვდნენ, რომ მხოლოდ მისთვის ებრძანებინა მეფეს თავხედი რომაელის გაცამტვერება.

ასე და ამნაირი მკვეხარობითა და მეტიჩრობით ირთობდნენ ისინი თავს მთელი დღის განმავლობაში 69 წლის 5 ოქტომბერს(ძვ. წ.), მაშინ, როდესაც ლუკულუსი მეორე დღის ბრძოლისათვის გულმოდგინედ იკრებდა ძალას, უთვალთვალებდა მტრის ბანაკის განლაგებას, სწავლობდა მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ადგენდა შეტევის გეგმას.

მოწინააღმდეგეებს მდინარე ბათმან-სუ ჰყოფდათ. ტიგრანს თავისი არმიის მარჯვენა ფლანგზე, მდინარესთან ახლოს დაყენებული ჰყავდა ჯავშნოსანი მხედრები, რომლებზედაც ის განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. ერთი შეხედვით მათი წყობა აუღებელი რკინის კედლის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ მათ სუსტ მხარეს ის წარმოადგენდა, რომ ნაკლებ მოძრავნი და ბრძოლაში სწრაფ მანევრირების უნარმოკლებულნი იყვნენ. ჯავშნოსანთა მარცხნივ იდგნენ ტიგრანის არმიის დანარჩენი ნაწილები. საკმაოდ განიერი ფრონტითა და სიღრმით. არმიის ზურგში იდგა მთელი აღალი, სატვირთო საქონლითა და მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალით, ხოლო ამ უკანასკნელთა უკან აღმართული იყო 180—200 მ სიმაღლის ბორცვი.

6 ოქტომბერს დილას ლუკულუსმა შეტევის ბრძანება გასცა. მას შემოეხვივნენ თანამემწე სარდლები და დაუწყეს ხვეწნა: დღეს ბრძოლის დაწყებას ნუ ინებებ, რადგან 6 ოქტომბერი რომაელთათვის შავი დღე არისო, იმიტომ, რომ სწორედ 6 ოქტომბერს (105 წ. ძვ. წ.) დაამარცხეს გერმანელმა ტომებმა, კიმბრებმა და ტევტონებმა არაუზიონთან რომაელი კონსული სერვილიუს ცეპიონი და მისი 80.000 მეომრის ლეშით მიწა გააპოხიერესო. მაგრამ ლუკულუსმა უარწყო მათი თხოვნა: მართალია, აქამდე 6 ოქტომბერი რომაელთათვის შავ დღედ ითვლებოდა, მაგრამ ამ დღეს ჩემი თანამემამულეებისათვის ბედნიერ დღედ ვაქცევო... გაისმა საბრძოლო ნაღარა.

ლუკულუსმა აპყარა თავისი ბანაკი და მდინარის გასწვრივ დაიძრა, რათა მტრის ადგილსამყოფელსა და ფონს გასწორებოდა. სომეხთა ბანაკში ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს, მტერმა პირი იბრუნა, რადგანაც ამ ადგილზე მდინარე დასავლეთისაკენ იხრება და მის გასწვრივ მიმავალი ლუკულუსიც დასავლეთისაკენ, კაპადოკიისაკენ უკუქცეულად მიიჩნიეს. ამიტომ ტიგრანმა და მისმა ქვეშევრდომებმა კვლავ სიცილი დააყარეს ლუკულუსს. მეფემ მოიხმო ტაქსილე და დასცინა მას, აჩვენა რა „გაქცეული" რომაელები, მაგრამ გამოცდილმა პონტოელმა სარდალმა კარგად იცოდა, საქმე ასე იოლად არ დამთავრდებოდა და თავისი რწმენა კვლავ გაუზიარა მეფეს.

მათ შორის კამათი ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, რომ მართლაც რომაელები უეცრად შემოტრიალდნენ და დაიწყეს მდინარის გადმოლახვა. ამ მოულოდნელობამ დაბნეულობა შეიტანა სომეხთა ბანაკში: „ისინი ნუთუ ჩვენზე მოდიანო?" — ორ-სამჯერ წამოიძახა დაბნეულმა მეფემ. მაგრამ მან კვლავ მოიკრიბა გონი და განკარგულება გასცა მომზადებულიყვნენ მტრის დასახვედრად.

როგორც კი რომაელებმა მდინარე გადალახეს, ლუკულუსის ბრძანებით მისი მსუბუქი კავალერია სწრაფად გვერდიდან დაესხა თავს სომეხ ჯავშნოსნებს. ამავე დროს ლუკულუსმა ორი კოჰორტით სწრაფად შემოუარა მოწინააღმდეგეს ზურგიდან, ავარდა ბორცვზე, რომელიც მტრის ზურგში იდგა, გაიძრო მახვილი და დაიქუხა: „გამარჯვება ჩვენია, ჩემო მამაცო მებრძოლებო!" და იგი თავისი კოჰორტებით საბრძოლო ყიჟინით გადაერია სომეხთა აღალსა და მსახურთა ჯგუფებს, რომლებმაც თავის შესაფარებლად მიაშურეს თავისიანების რეგულარულ რიგებს. ამავე დროს, რომაელთა დანარჩენი ლეგიონერები შეტევაზე გადავიდნენ მთელს ფრონტზე. ყველაფერი ეს — რომაელთა ძირითადი ძალების შეტევა ფრონტით, რომაელთა მსუბუქი კავალერიის თავდასხმა ჯავშნოსნებზე მარჯვენა ფლანგიდან და თვითონ ლუკულუსის თავდასხმა მტრის ზურგში — მოხდა ერთსა და იმავე დროს. ე. ი. ტიგრანის არმიას თავს ესხმოდნენ სამი მხრიდან. ლუ-

კულუსის მსუბუქმა კავალერიამ, როგორც კი ის გვერდიდან თავს დაესხა ჯავშნოსნებს, რაკი ამათი რიგების გარღვევა ძნელი იყო, ლუკულუსისაგან წინასწარ მიცემული მითითების თანახმად, უეცრად პირი იბრუნეს და გაიქცნენ; მაშინ ჯავშნოსნები შუბშემართულნი უკან გამოუდგნენ მათ და არივ-დარიეს თავისი რიგები. ამ დროს ლუკულუსი ორი კოჰორტით დაბნეულ აღალთან ერთად შეიჭრა მტრის ზურგში; მან ბრძანება გასცა, ბარძაყებში დაეჭრათ ლითონში ჩასმული „რაინდები". ამასობაში რომაელთა კავალერია კვლავ მოუბრუნდა უკვე არეულ-დარეულ სომეხთა მხედრობას, და ლუკულუსის ძირითადი ძალები, ფრონტით მომავალი ლეგიონერებიც ჩაებნენ ბრძოლაში. ტიგრანის კავალერია დამარცხდა; ახლა ისინი ცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ საით? ფრონტიდან რომაელთა ქვეითები გადმოდიოდნენ შეტევაზე, გვერდიდან მტრის კავალერია და მასთან მდინარეც, ხოლო ზურგიდან თვით რომაელი სარდალი. ამიტომ მათ პირი იბრუნეს ისევ თავისიანებისაკენ. ისინი შეიჭრნენ ტიგრანის ფეხოსანთა რაზმებში და არივ-დარიეს მათი რიგებიც.

ახლა კი სომეხთა მეფემ მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ შესძლო. მისი კავალერია დამარცხებული იყო და ქვეითი არმია პანიკით მოცული. ტიგრანის მხედრები და ქვეითი მებრძოლები, ერთიმეორეში არეულნი, ერთმანეთს ბრძოლაში ხელს უშლიდნენ და ერთიმეორეს ფეხით სთელავდნენ. ყველა გასაქცევ გზას ეძებდა; გაქცევა შეიძლებოდა მხოლოდ მარცხნივ, ვიწრო და ძნელადსავალი ერთადერთი გზით, საიდანაც ორი დღის წინათ ტიგრანმა ამ საბედისწერო ადგილზე ჩამოიყვანა თავისი არმია.

როცა ტიგრანმა შეამჩნია, ბრძოლა წაგებული იყო და საქმის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა, მოიგლიჯა სამეფო დიადემა და ცრემლმორეულმა გადასცა იგი თავის შვილს; თან უბრძანა მას, ეშველნა თავისათვის, რა გზითაც კი შესძლებდა; თვითონ კი თავისი ამალის თანხლებით გაიქცა ბრძოლის ველიდან.

უფლისწულმა ვერ გაბედა სომხეთის სამეფო დიადემის თავზე დახურვა და შესანახად გადასცა ის ერთ-ერთ თაეის მსახურს, და თვითონაც სასწრაფოდ დატოვა ბრძოლის ველი.

ტიგრანის მეომრები გარბოდნენ როგორც შეეძლოთ და საითაც შეუხდებოდათ. რომაელები სდევნიდნენ მათ. ბრძოლის ველზე მეფის მეომართაგან ბევრი დაიხოცა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. რომაელებს ხელში ჩაუვარდათ ისიც, ვისაც ტიგრანის სამეფო დიადემა ჰქონდა ჩაბარებული; ამრიგად, ლუკულუსს შეეძლო თავისი მომავალი ტრიუმფი ამ ძვირფასი ნივთითაც დაემშვენებია. სომეხთა მდიდარი ბანაკი რომაელთა ძარცვის კერძად გადაიქცა.

ასე დაიმსხვრა ამ ბრძოლაში ის იმედები, რომლებსაც ტიგრანი და მისი ქვეშეკრდომი სარდლები ამყარებდნენ თავიანთ არმიებზე.

სომეხთა მეფე მოტყუვდა, როცა თავისი სიძლიერე გადააფასა და მტრის ბრძოლისუნარიანობა სათანადოდ ვერ აწონ-დაწონა. ლუკულუსმა კი აღმოსავლურ ლაშქრობათა ამ ეტაპზე თავი აჩვენა როგორც შესანიშნავმა სარდალმა და პოლიტიკოსმა. ლუკულუსი კარგად უღებდა ალღოს ამა თუ იმ დროსა და ადგილზე შექმნილ საერთო და კონკრეტულ მდგომარეობას, — სწავლობდა მას, მოხერხებულად უფარდებდა თავის საბრძოლო ტაქტს და ამის მისედვით ახალისებდა თავის საომარ სტრატეგიას. თანამედროვე სამხედრო თეორეტიკოსები სწორედ იმიტომ აფასებდნენ ლუკულუსს, რომ მან ორი სრულიად სხვადასხვა სტრატეგიულ მოსაზრებათა ნიადაგზე დაამარცხა ჯერ მითრიდატე და მერე ტიგრანი. მან კიზიკოსთან მტერი ომის გაჭიანურებით დაამარცხა. ის მაშინ ფიქრობდა, რომ ომს წააგებდა, თუ გადამწყვეტ ბრძოლაში პონტოელთა მრავალრიცხოვან არმიას შეებმებოდა, ხოლო ითვლებდა, თუ შეეცდებოდა ომი გაეჭიანურებინა და მოწინააღმდეგისათვის არმიის მომარაგებისა და შენახვის საშუალება მოესპო. მაშინ ლუკულუსი მანამ იქერდა და იცავდა თავს, სანამ მტერი თვითონ არ მოემწყვდა ჩიხში და მაშინაც კი, მან დროის გაჭიანურებითა და შიმშილით გაანადგურა მოპირდაპირე მხარე. ახლა კი, როცა ის სომხეთში დიდ ომს იწყებდა, მდგომარეობაც შეცვლილი იყო და დროც. რომში დემაგოგები გაჰყვიროდნენ: ლუკულუსის ი მ პ ე რ ი უ მ ს ვ ა დ ა გ ა ე ვ ი დ ა დ ა უ ფ ლ ე ბ ა ა ღ ა რ ა ქ ვ ს კ ვ ლ ა ვ ს ა რ გ ებ ლ ობ დ ეს ამ მ ა ღ ა ლ ი უ ფ ლ ებ ა მ ო ს ი ლ ებ ი თ. ასე, რომ რომიდან რაიმე დახმარების მიღების იმედი მას ნაკლებად უნდა ჰქონოდა. სანამ დრო იყო და სანამ რომში მოწინააღმდეგე პარტია ლეელოს გაიტანდა, ლუკულუსს მანამ უნდა მოესწრო სომხეთის განადგურება. ახლა ლუკულუსისათვის საშიშროება დაყოვნებაში, გაჭიანურებაში მდგომარეობდა. „რომაელ ქსერქსეს“ როგორმე მოკლე დროში უნდა გაენადგურებინა სომხეთი. ამიტომ მან თავისი ადრინდელი საბრძოლო ტაქტიკა, რომელიც ძირითადად ომის გაჭიანურების გენერალურ ხაზს ეყრდნობოდა, ახალ ლაშქრობასთან დაკავშირებით შესცვალა ახალი საბრძოლო ტაქტიკით, რაც მტრის ელვისებურ განადგურებას ითვალისწინებდა.

ტიგრანი მარცხის შემდეგ მიხვდა თავის შეცდომას და მითრიდატეს მოსაზრების სიმართლეს. მან მითრიდატე სასწრაფოდ გამოიხმო პონტოდან. მეფეები ახალი ენერგიითა და ახალი საომარი ტაქტიკით შეუდგნენ საომარ საშზადისს.

ლუკულუსი მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შეუერთდა ტიგრანოკერტის მოალყეებს — მურენას კოჰორტებს და გაფთრებული იერი-

შები მიიტანა ქალაქის კედლებზე. ტიგრანოკერტის დამცველები, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთარი თვალით დაინახეს თავისიანთა მარცხი ბათმან-სუს მაღლობზე, მხნეობას მაინც არ ჰკარგავდნენ. ლუკულუსი კი ტიგრანოკერტთან ალბათ დიდხანს შეყოვნდებოდა. მაგრამ გარნიზონის არასომხურმა ნაწილმა, ბერძენმა დაქირავებულებმა, როცა დაინახეს რომაელთა უპირატესობა, გადაწყვიტეს სომხებისათვის ეღალატნათ და მტრისათვის ქალაქის კარი გაეღოთ. მალე სომხებსა და ბერძნებს შორის შეიარაღებული შეტაკებაც მოხდა. ბერძნებმა ქალაქის კედლის ერთი უბანი ხელთ იგდეს. ამ უბანზე რომაელებმა იერიშები გააძლიერეს და ქალაქის აჯანყებულ ბერძენთა დახმარებით ტიგრანოკერტში შეიჭრნენ.

რომაელმა სარდალმა თავის მეომრებს ნება დართო, გაეძარცვათ და გაენადგურებინათ ქალაქი. რომაელებმა ტიგრანოკერტში, რომლის აშენებისა და გამშვენიერებისათვის ამდენს ზრუნავდა სომხეთის მეფე, დიდძალი დაცვა დააგროვეს. თვით ლუკულუსი დაეპატრონა სახელმწიფო ხაზინის იმ ნაწილს, რომლის წაღებაც ტიგრანის მეომრებმა ვერ მოასწრეს. აქ ლუკულუსმა ხელთ იგდო 8.000 ტალანტი. ბარცვისაგან იმდენად დიდი სამხედრო დაცვა დაგროვდა, რომ ძუნწმა სარდალმაც კი თითოეულ ჯარისკაცს 8.000 დრაქმა დაურიგა. მან დარბეულ და დანგრეულ ქალაქში, გამარჯვების აღსანიშნავად იდღესასწაულა კიდეც იმ მსახიობებისა და ხელოვანთა მეშვეობით, რომლებიც ტიგრანს შეკრებილი ჰყოლია თავისი სატახტო ქალაქის კულტურული დონის ამაღლებისათვის. ლუკულუსმა ტიგრანოკერტში მცხოვრები ბერძნები სამგზავრო ფულით მოამარაგა და თავიანთ სამშობლოში გაისტუმრა. თვითონ ტიგრანოკერტი რომაელებმა სავსებით დაანგრიეს.

ტიგრანოკერტთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა ლუკულუსი ახალი სამხედრო დიდებით შემოსეს და, რაც მთავარია, ამის საფუძველზე მისმა მდგომარეობამ რომში დროებით სტაბილიზაციას მიაღწია. ხოლო ადგილზე ამ გამარჯვებათა შედეგი ის იყო, რომ სომხეთის მონარქიამ ნგრევა დაიწყო. ტიგრანს გადაუდგნენ ცალკეული დინასტები, რომლებიც აქამდე უთვალთვალებდნენ, ვის მხარეზე დაქანდებოდა ბრძოლის სასწორი. მათ მიიჩნიეს, რომ რომაელები საბოლოოდ დაეუფლნენ აზიაში ბატონობის კვერთხს და თვითონაც გამარჯვებულის ბანაკს მიაშურეს. ლუკულუსს მორჩილება გამოუცხადეს სოფენისა და გორდიენის მმართველებმა; შემდეგ, არაბთა მთავრებმა, ანტიოქე კომაგენელმა და სხვ.

უკვე ზამთარი დგებოდა და მომავალი 68 წლისათვის მოწინააღმდეგენი გამალებით ემზადებოდნენ. ლუკულუსი გამოსაზამთრებლად გორდიენაში დაბანაკდა.

6. ლუკულუსის ლაშქრობის ფინალი

მეფეები თავგამოდებით ემზადებოდნენ რევანშისათვის. ტიგრანმა მთელი სომარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ჩააბარა მითრიდატეს, რომელსაც რომაელებთან ხანგრძლივი ომებისა და გაჭირვებათა დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი.

ასეთ კრიტიკულ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პართიის პოზიციის საკითხს. თუ კი ტიგრანი და მითრიდატე პართიას ლუკულუსთან ბრძოლაში ვერ ჩააბამდნენ, მაშინ ამ ქვეყნისაგან მტკიცე ნეიტრალიტეტის გარანტია მაინც უნდა მოეპოვებინათ. ამ მიზნით მითრიდატემ ელჩები გაგზავნა ფრაატ III-სთან. მეფეები მეფეს დახმარებისა და კავშირის საკომპენსაციოდ სთავაზობდნენ ტიგრანისაგან ადრე დაპყრობილ ჩრდილოეთ მესოპოტამიას, ადიაბენას და დიდ ავლონს; თანაც მითრიდატე ფრაატს წერილობით არწმუნებდა რომაელთა გაუმაძღარი დამპყრობელური ბუნების შესახებ; რომ ისინი შურიანობით არიან გამსჭვალული ყოველი ძლიერი მეფის მიმართ და მუდამ მეფეთა ძალაუფლების დამხობისაკენ მიილტვიან; ასე გაანადგურეს მათ ფილიპე, ანტიოქე, ევმენი, არისტონიკე, თვითონ იგი (მითრიდატე) და ახლა ტიგრანსაც მიდგნენ. მითრიდატე პართიის მეფეს არწმუნებდა, რომ როგორც კი რომაელები ჩვენ, მე და ტიგრანს, ბოლოს მოგვიღებენ, მაშინვე შენ მოგადგებიან კარსო. მითრიდატემ იცოდა, მხოლოდ ამ გზით თუ შეიძლებოდა სომხეთის მოსისხლის გადმობირება რომაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ფრაატი უნდა მიმხედარიყო, რომ აზიის გამგებელთა შორის კინკლაობა მათი ქვეყნის დაღუპვის შემტანი იქნებოდა; აზიელ მონარქებს ახლა მაინც უნდა ეზრუნათ ერთი საერთო მტრის, რომის ასალაგმავად.

მაგრამ ლუკულუსმაც კარგად იცოდა, რა დამოკიდებულებაც არსებობდა ტრადიციულად სომხებსა და პართიას შორის. მას შეეძლო ჩვეულებრივი რომაული დიპლომატიური მანევრით გამოეყენებინა ამ ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება და პართიის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა. და, აი, პართიის სასახლის კარზე რომაელი დესპანებიც გამოჩდნენ, რომლებმაც ფრაატს წინადადება მისცეს: ან შეუკავშირდი ლუკულუსს, ან არ ჩაერიო სომხებსა და რომაელებს შორის ატეხილ ბრძოლაშიო. პართიელი მეფე არჩევანში ჩადგა. იგი აყოვნებდა პასუხის მიცემას, როგორც ერთ, ისე მეორე მხრისადმი. მას მითრიდატესაგან აღთქმული ქვეყნებიც ხიბლავდა, სომხეთისადმი მტრობაც და ამასთან ერთად რომაელების წინაშე შიშიც ხელ-ფეხს უკრავდა. ფრაატს უპირატესობა მაინც ბოლოს და ბოლოს, რომაელებისათვის მიუნიჭებია. ლუკულუსმა კავშირის საბოლოოდ გასაფორმებლად, ფრაატთან სექსტილიუსი გაგზავნა, მაგრამ როგორც

ეტყობა, ხელშეკრულების დადების პარალელურად სექსტილიუსი ლუკულუსისაგან ინსტრუქტირებული ყოფილა პართიისა და მისი სატახტო ქალაქის დაზვერვაში; ე. ი. მას უნდა შეესრულებინა ის მისია, რაც ადრე ლუკულუსისაგან დავალებული ჰქონდა აპიუს კლავდიუსს სომხეთში წარგზავნის დროს.

ამგვარად, გათვალისწინებული ყოფილა და წინასწარ მზადდებოდა ნიადაგი იმისათვის, რომ სომხეთის განადგურების (რაშიც ლუკულუსს ეშვიც არ ეპარებოდა) შემდეგ უნდა დასმულიყო აზიაში კიდევ ერთი პოლიტიკური შენაერთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ფრაატი მიხვდა საქმის გარემოებას და, თუმცა რომაელთა წინააღმდეგ აშკარა გამოსვლაზე არ უფიქრია, მათ დახმარებაზე მიცემული პირობა უკანვე წაიღო და გადაჭრით დადგა ნეიტრალურ პოზიციაზე.

ასე მოისსნა „პართიის საკითხი". მითრიდატე და ტიგრანი ნაწილობრივ კმაყოფილი მაინც უნდა დარჩენილიყვნენ, პართიის ნეიტრალიტეტი რომ მოიპოვეს. მეფეები საკუთარ ძალებს მიუბრუნდნენ. სომხეთში და მის ქვეშევრდომ ქვეყნებში მობილიზაცია გამოცხადდა და დიდძალი ლაშქარი შეიკრიბა. ქვეშევრდომთა გარდა მოკავშირეებიც გამოცხადნენ. ტიგრანის ახალ ჯარებში სომხებს გარდა მოხსენიებულნი არიან მოკავშირე იბერიელები, მარდები, ატროპატენელები და სხვ.

მითრიდატემ და ტიგრანმა იცოდნენ, რომ მთაგორიან სომხეთში ბრავალრიცხოვანი არმია მოუქნელი და ძნელადგამოსაყენებელი იქნებოდა; თან მისი მომარაგებაც მეტად გაჭირდებოდა. ამიტომ მათ ქვეითი არმია შეამცირეს, რომაული წესით რაზმეულებად და კოჰორტებად დაჰყვეს და გასაწვრთნელად გამოცდილ პონტოელ ვეტერანებს ჩაბარეს. იმავე დროს, ყველა ქალაქში საომარ საკურველს ამზადებდნენ და სურსათ-სანოვაგეს იმარაგებდნენ. ტიგრანიც, მითრიდატეს მსგავსად, დარწმუნდა, რომ ერთადერთი გზა რომაელთა განადგურებისა ომის გაჭიანურების „კუნქტატორული" გზა იყო. ამიერიდან რომაელთა წინააღმდეგ უნდა ეწარმოებინათ თარეშული ხასიათის ომები; კავალერიული ესკადრონებით ხშირ-ხშირად დასხმოდნენ თავს მტერს, არ მიეცათ მისთვის მოსვენება, მოესპოთ მათთვის აღალით საზრდოობის წყაროები და ა. შ.

ლუკულუსიც დიდის ამბით ემზადებოდა. მან ბრძანება გაუგზავნა პონტოში საგარნიზონო სამსახურისათვის დატოვებულ სორნაციუსს. სასწრაფოდ წამოეყვანა მისი განკარგულების ქვეშ მყოფი 6.000 მეომარი და სომხეთში შეერთებოდა მას.

მაგრამ ლუკულუსი სახტად დარჩა, როცა შეიტყო, რომ სორნაციუსის მეომრებმა უარი განაცხადეს ლუკულუსთან სომხეთში გამგზავრებაზე და თანაც თურმე იმუქრებოდნენ კიდეც, რომ მიატოვებდნენ

პონტოს და დაბრუნდებოდნენ იტალიაში. სორნაციუსმა და მისმა ხელქვეითმა ტრიბუნებმა ვეღარ შესძლეს მათი დამორჩილება და იძულებული შეიქნენ ლუკულუსის ბრძანებაზე უარყოფითად ეპასუხნათ. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა იმით, რომ პონტოში მყოფი ჯარისკაცების მოჯანყე განწყობილებამ და აშკარა ურჩობამ უეცრად ააფეთქეს თვით ლუკულუსის უშუალო სარდლობის ქვეშ მყოფი მეომრების აქამდე შეკავებული გულისწყრომის ცეცხლი. ისინი ქუბადიდებას ასხამდნენ პონტოში მომსახურე თანამებრძოლების გაბედულ გამოსვლას და ერთი მეორეს აქეზებდნენ, მიებაძნათ მათთვის, გაბედული ვაჟკაცებისათვის, რადგან მათი ამდენი ხნის საბრძოლო გზა და გამოვლილი გაჭირვებანი ბრძოლის შეწყვეტითა და დასვენებით უნდა შეიცვალოსო.

ამას გარდა, ლუკულუსს კიდევ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება აბრკოლებდა და ძირს უთხრიდა აღმოსავლეთში მოპოვებულის შენარჩუნებისა და შემდგომი წინსვლის გზაზე. ეს იყო მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების გააფთრებული გამოსვლები თვით რომში. ვნახეთ, რომ ლუკულუსის წინააღმდეგ ჯერ კიდევ სომხეთში ლაშქრობის დაწყებამდე რომში იწყება ლუკულუსის აზიური ეკონომიური ღონისძიებებით დაზარალებული პლუტოკრატების ინტრიგები. რომში მომხდარმა მძლავრმა სოციალურმა ძვრებმა კონსერვატიული პარტიისა და მისი ბირთვის — სენატის — მფარველობის კალთა ლუკულუსს ჩამოჰგლიჯეს და მისი სამხედრო და პოლიტიკური კარიერა დაღუპვის პირზე დააყენეს. გამძლავრებული პლუტოკრატია დასუსტებულ არისტოკრატიას ხელიდან ართმევს რომის ეკონომიური და პოლიტიკური მმართველობის სადავეებს და განადგურებით ემუქრება „მტკიცე ოპტიმატს" ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსს, რომელმაც მას აზიაში დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა. პოპულართა იერიშების წინაშე, სენატის ერთ დროს ძლიერი მახვილი ახლა დაჩლუნგებული იყო. ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული პარტია ვერ მოითმენდა, რომ აღმოსავლეთის მეტად საპასუხისმგებლო საამართველო პოსტები მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ოპტიმატური ოლიგარქიის შვილს სჭეროდა. ამ მდგომარეობით და განწყობილებით კარგად სარგებლობდნენ იმ დროის რომში ძლევამოსილი ავტორიტეტები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი თავი გაძლიერებული პოპულარების მსახურებად და ბელადებად გამოეცხადებინათ, რათა ამ გზით დაეპირათ ლუკულუსის მემკვიდრეობა და იქ. ში მიერ დათესილი მოსავალი თვითონვე მოემკოთ. ასეთ კანდიდატად, რომელსაც მაშინ მეტოქეობას იშვიათად თუ ვინმე გაუწევდა, იყო გნეუს პომპეუსი, რომელიც თავისი მოკრძალებული პოლიტიკით ყოველთვის ასერნებდა მძაფრ სოციალურ და პოლიტიკურ

ორომტრიალში გაძრომ-გამოძრომას და, სხვის გამარჯვებათა მითვისების წყალობით. მაღლა ამოტივტივებას. ახლა ის სულანური კონსტიტუციის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლითა და სახალხო პარტიის ინტერესების დაცვით ახერხებს დაწინაურებას. საერთოდ, მძიმე საშიშროების პირველ დღეთა წინაშე მხდალ პომპეუსს ახლა ეჩვენებოდა, რომ აღმოსავლეთში ყველაზე მძიმე ოპერაციები ჩატარებული იყო და საბოლოო გამარჯვების მიღწევამდე ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი. ლუკულუსს მხოლოდ ის აბრკოლებდა, რომ მისი დასაყრდენი სოციალური ბაზა სუსტდებოდა და ძალას ვეღარსაიდან ღებულობდა. აი, ახლა პომპეუსს შეეძლო თავისი მეტოქისათვის ძლევამოსილების კვერთხი ხელიდან გამოეგლიჯა და თავის მძლავრ ბაზაზე (პოპულარები) დაყრდნობით, საბოლოოდ მძლავრად მოექნია... პომპეუსი ლუკულუსის წინააღმდეგ საბრძოლველად კიდევ უფრო უსისინებდა პლუტოკრატთაგან ისედაც გახელებულ დემაგოგებს. შესაძლებელია, ის მხედრებსაც აღუთქვამდა, რომ გააუქმებდა ლუკულუსის მკაცრ ეკონომიურ ღონისძიებებს, რომლებმაც შეასუსტეს რომაელი ფინანსისტების ეკონომიური ბაზისი აღმოსავლეთში.

ორატორები ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ და ხალხს უსურათებდნენ აღმოსავლეთის მართალ ამბებს: აღმოსავლეთში ომი საშინლად გაჭიანურდა, ლუკულუსმა თავისი გამარჯვებები ვერ გამოიყენა რომის მოსისხლე მტერი მითრიდატე, რომელსაც ჩვენ ამდენხანს შეპყრობილს მოველოდით სომხეთის მეფესთან ერთად, ახალი ძლიერი შეტევისათვის ემზადება; მთავარსარდალი თავის რწმუნებებს უკანონოდ ახანგრძლივებს; ფულის, სიმდიდრისა და პატივმოყვარეობისათვის ომს აჭიანურებს, და სხვა ამგვარები, მათი პირიდან ლუკულუსის წინააღმდეგ რომის ფორუმზე ნიაღვარივით მოედინებოდა. ხალხი ხედავდა, ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა რამდენად იყო თვითონ ლუკულუსი დაინტერესებული აღმოსავლეთში ომის სწრაფად დამთავრებაში. რამდენს ცდილობდა ის უმოკლეს დროში გაენადგურებია ტიგრანი და მითრიდატე, მაგრამ მისი ძლიერება სისხლისაგან იცლებოდა; რომში ჰისი მფარველი კონსერვატიული პარტია თავის თავს ძლივს იცავდა და მისთვის ხომ აღარ ეცალა. საერთოდ, ახლა ლუკულუსის დახმარებაზე კი არ ფიქრობდა ვინმე, არამედ ისმებოდა საკითხი აღმოსავლეთში მისი განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვისა და, ბოლოს, გადაყენების შესახებაც კი.

ჯერ, ლუკულუსმა შეიტყო, რომ მას პროვინცია აზია ჩამოართვეს და საგანმგებლოდ გადასცეს ვიღაც პრეტორს. მთავარსარდალმა კვლავ ეარაფრად ჩაადო თანამემამულეთა ასეთი უმადურობა და ისევ განაგრძო 68 წლის გაზაფხულზე ახალი შეტევისათვის სამზადისი. მაგრამ

ამავე წელს მას პროვინცია კილიკიაც ჩამოართვეს და მის ნაცვლად იქ პროკონსულად დანიშნეს ქვინტუს მარციუს რექსი. ამგვარად მას ჯერჯერობით მარტო პონტო-ბითინიის გამგებლობა და უმაღლესი მთავარსარდლობა რჩებოდა. და ლუკულუსის ამ უკანასკნელ რწმუნებებსაც ყოველდღე გაცამტვერება მოელოდა...

რომში შექმნილ ასეთ მძაფრ სიტუაციას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა აღმოსავლეთში მყოფ არმიაზე. არმიები, როგორც ითქვა, იმ დროს ისეთ მძლავრ სოციალურ ძალებს წარმოადგენდნენ, რომელთაც შეეძლოთ ეპოქალური ცვლილებები შეეტანათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხოლო, ლუკულუსის სარდლობის ქვეშ მყოფი არმია იმ სოციალური ძალის პირმშო იყო, რომელიც მაშინდელი რომის სახელმწიფოს პოლიტიკური საკის ხელში ჩასაგდებად შეუჩერებელი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ეს ძლიერი სოციალური ძალა მრავალრიცხოვან პოპულართა პარტია იყო და რომაული ლეგიონერებიც ძირითადად მათ რიგებს ეკუთვნოდნენ.

ლუკულუსის ჯარისკაცების ყურამდე უკვე მიაღწია ხმებმა, რომ აღმოსავლეთში მალე ახალი მთავარსარდალი ჩამოვიდოდა, რომელიც შეცვლიდა ქედმაღალ და მიუკარებელ პატრიციუსს. ბრძოლისაგან და ამდენი ტანჯვა-წამებისაგან ქანცდალეული მეომრები ისედაც უკმაყოფილონი იყვნენ ლუკულუსის სისასტიკითა და შეუბრალებლობით. მართალია, ლუკულუსი ბრძოლის ველზე სიმამაცესა და ვაჟკაცობას მოკლებული არ ყოფილა, მაგრამ ის მაინც არ ჰგავდა მის წინაპარ სახელოვან სარდლებს — სციპიონებს, გაიუს მარიუსს, კორნელიუს სულას და სხვ., რომლებიც რიგით მებრძოლთა ჭირსა და ლხინს თანასწორად იზიარებდნენ, მათთან ერთად „ჭამდნენ უბრალო პურს, ეძინათ მწირ ლოგინზე, თხრიდნენ თხრილებსა და ოფლს ღვრიდნენ ბანაკის გამაგრებისათვის". ლუკულუსს კი, მებრძოლები, როგორც სარდალს, მხოლოდ ბრძოლის ველზე ხედავდნენ; დანარჩენ დროს კი იგი თავის კარავში იჯდა და მეომრებთან შეხვედრას მხოლოდ მათ დასასჯელად თუ მოისურვებდა. არმიაში, საერთოდ, პატიოსანებისა და სიყვარულის დამსახურების ნაცვლად ლუკულუსი ყოველნაირად ცდილობდა, თავისი არისტოკრატიული უკადრისობისა და უკიდურესი სისასტიკის მეოხებით, მიწასთან გაესწორებინა ამაყ რომაელ ჯარისკაცთა პირადობა და თავმოყვარეობა. ლუკულუსის მეხოტბე პლუტარქეც ასე ახასიათებს მის ქედმაღლურ და გულმანკიერ დამოკიდებულებას თავის ქვეშევრდომთა მიმართ: „იგი არ იყო თავისი ჯარისკაცებისადმი ალერსიანი და მოსიყვარულე. ის თვლიდა, რომ ყველაფერი, რაც გაკეთდება ქვეშევრდომთა სასარგებლოდ, არის ძალაუფლების დამცირება და უპატიოსნება. ამიტომ იყო, რომ ლუკულუსი მის ჯარისკაცებს არ უყვარდათ და სომხეთში სალაშქროდ

უხალისოდ მისდევდნენ. დრტვინვა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა რომიდან სოციალური ბრძოლების შორეული გრგვინვის ხმამ მოატანა და დემაგოგები ლუკულუსის ბანაკებშიც ამოქმედდნენ. პირველად ხმა აღიმაღლეს სორნაციუსის ლეგიონერებმა და მათ გაბედულ ნაბიჯს ქება-დიდებით შეხვდა ლუკულუსის ბანაკიც.

მაგრამ პატივმოყვარე და ამპარტავანმა პატრიციუსმა ძალღონე მოიკრიბა და უკანასკნელად გაიბრძოლა. მისი ხსნა ახლა მხოლოდ და მხოლოდ ახალ ძლევამოსილ ლაშქრობას შეეძლო. ის არ უწევდა ანგარიშს იმას, რომ ამიერკავკასიაში ამ ძლევამოსილი ლაშქრობისათვის კოლოსალური ძალები იყო საჭირო.

ლუკულუსს დიდი შრომა დასჭირდა, ახალ ლაშქრობაზე დაეთანხმებინა გაჯიუტებული მეომრები. ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ 62 წლის გაზაფხულიც მეტისმეტად სუსხიანი იყო და სურსათ-სანოვაგის საკითხიც საშიშროების წინაშე იდგა. ამიტომ „ელვისებური ომის" მოსურნე სარდალმა შუა ზაფხულში ძლივს შესძლო ლეგიონების საალაშქრო გზაზე გამოყვანა.

რომაელები ეორდიენადან დაიძრნენ ჩრდილოეთისაკენ — სომხეთის სიღრმისაკენ. ტავრზე შემდგარი ლუკულუსი განცვიფრდა, როცა დაინახა, სომხეთის ზეგნებზე პური ჯერ ისევ მწვანედ ბიბინებდა, ხოლო მის დამწიფებამდე და მოწევამდე სომხეთში დარჩენას არც თვითონ ფიქრობდა და არც მეფეები ვარაუდობდნენ მის დატოვებას.

ლუკულუსი მთიდან დაეშვა, რათა, რაც შეიძლება, მალე შეხვედროდა მტრის ძირითად ძალებს, მაგრამ მან ნახა, რომ მეფეები ერიდებოდნენ გენერალურ ბრძოლას და მტკიცედ იცავდნენ ევპატორის მიერ შემუშავებულ საომარ გეგმას.

სომეხთა არმია ორად იყო განაწილებული. ქვეითი ლაშქარი და კავალერიის ერთი ნაწილი ემორჩილებოდა მითრიდატეს, ხოლო დანარჩენი მხეღრობის სარდალი იყო ტიგრანი. მითრიდატე დაბანაკდა ერთ-ერთ მაღლობზე, საიდანაც მას ხელსაყრელ მომენტში შეეძლო დაშვებულიყო და თავს დასხმოდა მტერს. რომაელები შეიჭრნენ სომეხთა სოფლებში და დაიწყეს მათი აოხრება, ძარცვა და აწიოკება; ეპატრონებოდნენ სომეხთა არმიის სურსათ-სანოვაგის საწყობებს. მაგრამ ამასობაში ტიგრანი რამდენჯერმე დაესხა მათ თავს მსუბუქი კავალერიით. როგორც კი ლუკულუსი ტიგრანის წინააღმდეგ გაეშურებოდა, მაშინვე მითრიდატე დაეშვებოდა მაღლობიდან, მის ზურგზე დასაცემად. მცირედი შეტაკებანი და მეფეები კვლავ თავიანთ საფრებისკენ გაქუსლავდნენ. ლუკულუსი იძულებული იყო მოეთმინა ასეთი განუწყვეტელი და გულისგამწყალებელი თარეში.

ასე გაგრძელდა ორი თვე: მითრიდატე სალ კლდესავით იდგა, ტიგრანი უეცრად დაჰკრავდა და კვლავ გაუჩინარდებოდა; რომაელთა რი-

გები თანდათან თხელდებოდა; შემოდგომისპირზედვე ადრიანი სიცივეები დაიწყო; რომაულ ლეგიონებში მღელვარება ძლიერდებოდა.

ლუკულუსს გენერალური ბრძოლის წყურვილი ახრჩობდა; თუ ამას ვერ მიაღწევდა, ჩიხიდან ვერ გამოვიდოდა. მან თითქოს მიაგნო გზას.

ტიგრანოკერტის ამბებიდან ლუკულუსმა დაასკვნა, რომ ტიგრანი განსაკუთრებით უფრთხილდება სატახტო ქალაქებს, სადაც იმყოფება სამეფო სახლი, სახლობა და საგურეელე. ახლა ყველა ისინი სომხეთის ძველ დედაქალაქში არტაქსატაში იმყოფებოდა. ლუკულუსმა ივარაუდა, — თუ არტაქსატასაკენ გაემართებოდა, ტიგრანი მთელი ძალებით გამოვიდოდა სატახტოს გადასარჩენად. მართლაც, სომეხთა მეფე სწრაფი მარშით გაეშურა არტაქსატასაკენ დაძრულ რომაელთა თავდასაველელად.

ტიგრანი და ლუკულუსი ერთმანეთს შეხვდნენ მდინარე არსანიასთან. ცხარე, თავგანწირული შეტაკების შემდეგ, მეფე დამარცხდა და უკუიქცა. რომაელებს არტაქსატასაკენ გზა გაეხსნათ. მაგრამ გზაზე დამპყრობლებს სუსხიანმა ამინდებმა, თოვლმა და ყინვამ მოუსწრო. „ცის მოწმენდისას დგებოდა ყინვები და სიპები. ცხენები გაეჭირვებით სვამდნენ ყინულა წყალს: ძნელი ხდებოდა მდინარეების გადალასვა; ყინვა ტყდებოდა და ცხენებს ფეხებზე ძარღვებს აჭრიდა. ამ ქვეყნის დიდი ნაწილი დაფარულია ტყეებით და აქვს ცუდი გასასვლელები. მებრძოლები მუდამ წყლით იყვნენ დასველებული: მათ ათოვდათ (მთებზე) გადასვლების დროს: მეტად მოუსვენარ ღამეებს ატარებდნენ ისინი სველ ადგილებზე“[1]. ამას გარდა ლუკულუსის წინსვლას მეტისმეტად აფერხებდა დაჭრილ მეომართა სიმრავლე და სურსათის ნაკლებობა, ლუკულუსი კი მაინც მიიწევდა წინ, ანგარიშმიუცემლად, ფანატიკურად.

და აი, იგი წააწყდა კიდევ ერთ წინააღმდეგობას, დაუძლეველსა და დამღუპველ დაბრკოლებას. ეს იყო მისივე მეომრების ამბოხება.

მთავარსარდლის სოციალური საყრდენის ხელმოცარულობამ და რომში მის წინააღმდეგ პოპულარების მოქმედებამ, მისდამი მებრძოლთა სიძულვილმა და აპათიურმა განწყობილებამ, დაჭრილთა სიმრავლემ და სურსათ-სანოვაგის ნაკლებობამ, მითრიდატეს ბრწყინვალეზე მოფიქრებულმა საომარმა ტაქტიკამ და უცხო ქვეყნის მედგარმა წინააღმდეგობამ, უსასრულო ომებისაგან მიყენებულმა ტანჯვა-წამებამ და უცხო ქვეყნების მკაცრმა კლიმატმა, და ბოლოს, თვით არმიაში სარდლის წინააღმდეგ გამოსული დემაგოგების აგიტაციამ — საბოლოოდ

[1] Plut. Luc. 32.

აავსეს მეომართა მოთმინების ფიალა და ამდენი ხნის დაგუბებული რისხვა შეუკავებელ ნიაღვარად გადმოანთხიეს.

პლუტარქესთან აღწერილია ლუკულუსის მეომრებში მომხდარი ჯანყის ამბავი. ჯარისკაცები პირველად ვერ ბედავდნენ უშუალოდ მთავარსარდლისათვის გაემჟღავნებიათ თავიანთი უკმაყოფილება და მოთხოვნები და მოციქულად უგზავნიდნენ მას სამხედრო ტრიბუნებს, სოლო ღამით იკრიბებოდნენ კარვებში და განუწყვეტელი ღრიალით პროტესტსა და მუქარას უცხადებდნენ შეუბრალებელ სარდალს. ლუკულუსს უკვე აღარ შეეძლო თვალდახუჭული შეხვედროდა მეომართა გამოსვლას. იგი იძულებული გახდა ქედი დაედრიკა და მეომართათვის ხვეწნა-მუდარა დაეწყო. სარდალი ლეგიონებს მოუწოდებდა აღფურვილიყვნენ სიმტკიცითა და მოთმინებით მანამ, სანამ დაანგრევდნენ არტაქსატას — სომხეთის კართაგენს, მაგრამ ჯარისკაცები მტკიცედ იდგნენ თავიანთ გადაწყვეტილებაზე და დაჟინებით მოითხოვდნენ უკან დაბრუნებას.

და აი, ლუკულუსი, რომელმაც აღმოსავლეთში 7 წლის განმავლობაში თავისი საბრძოლო მახვილი ბევრი სახელოვანი გამარჯვებით შეამკო, აქ სომხეთის სატახტოდან ორიოდ დღის სავალზე, იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

რომაელები დაბრუნდნენ, უკანვე გადაიარეს სომხეთის ტაკრი, გორდიენა და გაჩნდნენ ტიგრის მარჯვენა მხარეზე. აქ, მესოპოტამიის ჩრდილოეთ რაიონში, რომაელები მიადგნენ ქალაქ ნისიბისს. სომხეთში სიცივისაგან და შიმშილისაგან განაწამები მებრძოლები ამ თბილ და ნაყოფიერ ოლქში რამდენიმედ გამოცოცხლდნენ. ამით ლუკულუსმა ისარგებლა და ნისიბისზე იერიში მიიტანა.

ეს ქალაქი ადრე ტიგრანმა პართიელებს წაართვა და ახლა ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ სომხეთის მეფის საომედო ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ქალაქის დაცვა და მმართველობა ჩაბარებული ჰქონდა მეფის ძმას გურასს, რომელსაც სამხედრო-ტექნიკურ მრჩევლად ჰყოლია ამისოსის ცნობილი დამცველი კალიმაქე. ქალაქს ორრიგად შემოვლებული ჰქონდა აგურის სქელი კედლები, ხოლო კედლებს შორის ღრმა, ფართო თხრილი იყო გავლებული.

ლუკულუსმა თავისი ურჩი და დამშეული მეომრების ყურადღება მიაქცია ნისიბისის სიმდიდრესა და სიუხვეზე და ამ გზით დაიყოლია ისინი ქალაქზე საიერიშოდ. პირველ შეტევებს შედეგი არ მოჰყვა და რომაელები ალყაზე გადავიდნენ. ქალაქის დამცველები პირველ ხანებში არაჩვეულებრივ სიმტკიცეს იჩენდნენ: მოალყეებს ისარს აყრიდნენ და იერიშზე წამოსვლის შემთხვევაში კედლებიდან ცეცხლმოკიდებულ კუპრს ასხამდნენ. მაგრამ როგორც კი დაზამთრდა და ცივი, ქარიშხლიანი ამინდები დაიპირა, გურასის მეომრებს იმედი მიეცათ,

რომ რომაელები ნისიბისთან ჩამომდგარ სუსხიან ზამთარს ვერ გაუძლებდნენ და ალყას მოხსნიდნენ. ამიტომ მათ ქალაქის დაცვა შეასუსტეს და უზრუნველობას მისცეს თავი. ლუკულუსმა ისარგებლა მათი უყურადღებობით და ერთ უკუნეთ, ქარიშხლიან ღამეს, — როცა ქალაქის დამცველები არავითარ თავდასხმაზე არ ფიქრობდნენ და საგუშაგო პოსტები მიტოვებული ჰქონდათ, შეუმჩნევლად გადაიყვანა თავისი მეომრები ქალაქის პირველ კედელზე და მიადგა თხრილს, რომელიც მას მეორე, შიდაკედლისაგან ჰყოფდა. რომაელებს ხიდები აყრილი დახვდათ; დაიწყეს თხრილების ამოხერგვა და ზედ გადასვლა. მეციხოვნეებმა გვიან გაიგეს და სცადეს შეცდომის გამოსწორება, მაგრამ გვიანღა იყო. რომაელებმა მეორე კედელიც გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. ნისიბისის მოსახლეობა, სიმდიდრე და საგანძური რომაელთა რბევა-ნგრევის მსხვერპლი შეიქნა.

ნისიბისის გამარჯვება ლუკულუსის სამხედრო წარმატებათა უკანასკნელი აკორდი იყო. ამ ბრძოლას მისი ძლიერების დაისი მოჰყვა და მალე მის ცაზე სრულიად ჩამობნელდა. ამის შემდეგ, თითქოს, მართლაც „მოშორდა კეთილსასიამოვნო სიო“, თუმცა „ყველაფერს აკეთებდა ძალდატანებით. ის ცდილობდა ეჩვენებინა სიმტკიცე და სიმამაცე, ღირსებანი დიდი სარდლისა, მაგრამ მის საქმეებს უკვე აღარ ჰქონდა არავითარი დიდება და აღმატება“[1]. მეომრები სრულებით აღარ სცნობდნენ ლუკულუსს როგორც სარდალს და უაღრესად თვითნებობდნენ. მათი დემორალიზაციის ბირთვად ისევ ფიმბრიანელი ჯარისკაცები რჩებოდნენ, რომელთაც სარდლების წინააღმდეგ ბრძოლის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ. ლუკულუსის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა არმიაში მოქმედება დემაგოგებისა, რომელთა რიცხვს მისი უახლოესი პირებიც ეკუთვნოდნენ. მაგალითად, პუბლიუს კლოდიუსი ცხოველი სიტყვებით, მართალი მდგომარეობის დასურათებით აჯანყებდა მეომრებს: „ნუთუ არასოდეს აღარ ექნება ბოლო ამდენ გაჭირვებასა და ბრძოლებს? ნუთუ მთელი ჩვენი სიცოცხლე უნდა გავატაროთ ყველა ხალხთან ბრძოლებში, მთელს ქვეყანაზე ხეტიალში. ამდენი შრომისა და საქმიანობის შემდეგ, ნუთუ არ უნდა მივიღოთ ღირსეული ჯილდო? თუ მხოლოდ უნდა ვაცილებდეთ ლუკულუსის აღალსა და ოქროებითა და ძვირფასი ქვებით შემკული საგნებით დატვირთულ აქლემებს, ხოლო პომპეუსის მებრძოლები, ქცეულნი მშვიდ მოქალაქეებად თავიანთი ცოლ-შვილით ესახლებოდნენ ბედნიერ მიწაზე და ქალაქებში ცხოვრობდნენ: ისინი არ სდევენ არც მითრიდატესა და არც ტიგრანს დაუსახლებელ ფართო უდაბურებში; არ ამხობენ აზიის სამეფოებს, არამედ მხოლოდ ეომებიან დევნილებს იბერიაში (ესპანეთში) და გაქცეულ მონებს იტალიაში. ამ-

[1] Plut. Luc. 33.

გვარად, თუ კი არასდროს არ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა, მაშინ ჩვენთვის განა უკეთესი არ იქნება შეეუნახოთ ჩვენი ხეული და სული ისეთ საქმეს, რომელიც თავის საუკეთესო მოოთულობად თვლის თავისი ჯარისკაცების გამდიდრებას?"[1]

ასე, ლუკულლუსის მეომრები დარჩნენ გორდიენაში და ელოდნენ პომპეუსს, ან სხვა მეთაურს, რომელიც დანიშნული იქნებოდა ლუკულლუსის მემკვიდრედ.

ეს ამბები მაშინ ხდებოდა, როცა მითრიდატემ და ტიგრანმა სწრაფი ტემპით დაიწყეს კონტრშეტევაზე გადასვლა და თავიანთი სამფლობელოების უდიდესი ნაწილი კვლავ დაიბრუნეს. მეფეებმა დაინახეს თავიანთი საბრძოლო გეგმების ბრწყინვალე ნაყოფი: ლუკულლუსი საესებით დაუძლურებული იყო. ამიტომ მათ ახლა საჭიროდ ჩასთვალეს „კუნქტატორული" საომარი გეგმა სწრაფი კონტრშეტევებით შეეცვალათ. მითრიდატე პონტოელი 8.000 მეომრით შეიჭრა მცირე სომხეთში და შეუდგა პონტოურ სამფლობელოთა განთავისუფლებას რომაული გარნიზონებისაგან. მის საბრძოლო მოწოდებას რომაული ციხეების ქვეშ მგმინავი ხალხი კვლავ აღფრთოვანებით შეხვდა და ოამპყრობელთა წინააღმდეგ ისევ საომრად შეიარაღდა. ევპატორის შეტევის პარალელურად ტიგრანიც თავისი ჯარებით დაიჭრა სამხრეთისაკენ, სომხეთის სამფლობელოების ძველი საზღვრების აღსადგენად. აქ ტიგრანი თავს დაესხა ლუკულლუსის ლეგატს ლუციუს ფანიუსს, რომელიც სერტორიუსის სიკვდილის შემდეგ ლუკულლუსთან ერთად ებრძოდა მეფეებს.

ამ დროს ქაბეირასთან მითრიდატესა და მარკუს ფაბიუს ადრიანეს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა. ადრიანე დამარცხდა და ბრძოლის ველზე 500 მეომარი დასტოვა. მაგრამ მან უკიდურესი გაჭირვების პირობებში მონებს თავისუფლება მიანიჭა და მათი საშუალებით ბრძოლა გააგრძელა. მონების გამოსვლამ ბრძოლა გაახანგრძლივა და გააცხარა. მითრიდატე მძიმედ დაიჭრა ფეხსა და თვალში. ფაბიუსმა დაჭრილთა და მოკლულთა სიმრავლის გამო ბრძოლა შეწყვიტა; პონტოელებიც შეტევას აჩერებენ მეფის მძიმე მდგომარეობის გამო. დაჭრილ მითრიდატეს სკვითი ექიმბაშები მკურნალობდნენ გველის შხამით. იგი მალე დადგა ფეხზე და ალყა შემოარტყა ქაბეირას, სადაც თავი შეაფარა ფაბიუსმა.

ფაბიუსის საშველად სასწრაფოდ გაეშურნენ ტრიარიუსი და სორნაციუსი მთელი თავისი ძალებით. ვალერიუს ტრიარიუსმა ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობა ჩაიბარა და საბრძოლველად მოემზადა ბრძოლა იყო უაღრესად სასტიკი და თავგანწირული. ბოლოს, მით-

[1] Plut. Luc. 34.

რიდატემ გატეხა მტრის წინააღმდეგობა და მათი ქვეითი ლაშქარი მდინარე ირისის ღრმა ჭაობებში შერეკა. მკერდამდე ჩაფლული რომაელები პონტოელთა ისრისაგან ოთხმის სრულიად გაიჟლიტნენ. ტრიარიუსის კავალერიამ ბრძოლის ველიდან მოჰკურცხლა. მითრიდატე მას თავისი მხედრობით გამოედევნა. ალბათ, ტრიარიუსის კავალერიაც დაღუპვას ვერ გადაურჩებოდა, რომ რომელიღაც ცენტურიონს, რომელსაც მეფის მცველებში შესვლა მოუხერხებია, გვერდში ჭრილობა არ მიეყენებია ამხედრებული მითრიდატესათვის. თავგანწირული რომაელი პონტოელებმა იქვე აჰკუწეს და დაჭრილი მეფე ბრძოლიდან გაიყვანეს. ამ შემთხვევამ მითრიდატეს სარდლები შეაძრწუნა. მათ მტერზე გამოდევნებული მხედრები უკანვე გაიწვიეს. მეფემ საყვედურებით აავსო ისინი და იმავე დღეს ფეხზე დამდგარმა კვლავ დასძრა ჯარი მტრის ბანაკისაკენ. განსაცდელს გადარჩენილმა, დაშინებულმა რომაელებმა გაქცევით უშველეს თავს. რომაელთა მსხვერპლი დიდი იყო. ტრიარიუსმა მოკლულთა სახით 7.000 მეტი მეომარი დაჰკარგა. დახოცილთა შორის აღმოჩნდა 24 ტრიბუნი და 150 ცენტურიონი. პონტოელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ალავა.

ვამარჯვებული პონტოელი, მცირე სომხეთიდან კაპადოკიაში გადავიდა და იქ, ტალავრის მთაზე გამაგრდა. გამოჩნდა ლუკულუსი, რომელმაც ერთხელ კიდევ ძლიეს დაიყოლია მეომრები ბრძოლად გასვლაზე. მითრიდატე არ ჩქარობდა, რადგან იგი ელოდა ტიგრანს, რომელიც ძლიერი ჯარით მოეშურებოდა მასთან შესაერთებლად. მართლაც მალე გამოჩნდა სომეხთა ავანგარდიც, რომელსაც მეთაურობდა ტიგრანის სიძე, ატროპატენის მეფე მითრიდატე. სომხები გზადაგზა სპობდნენ ნათესებს, რათა რომაელებს შიმშილი დადგომოდათ და ანადგურებდნენ ჩამორჩენილ რომაელ მეომრებს.

ლუკულუსმა არმია გამოაბრუნა და ტიგრანთან შესახვედრად გაეშურა. მაგრამ გზაზე ეკიბრიანელი ჯარისკაცები ისევ აჯანყდნენ და კატეგორიული უარი სთქვეს მორჩილებაზე და შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობაზე. ისინი აცხადებდნენ, რომ სახალხო კრების გადაწყვეტილების თანახმად პროვინციის მმართველად სხვა არის დანიშნული და თვითონაც განთავისუფლებული არიან ლუკულუსის სარდლობისაგან. დამცირებული და პატივაყრილი მთავარსარდალი ყოველნაირად ცდილობდა აჯანყებულთა დაყოლიებას. ის ცრემლმორეული დადიოდა კარავიდან კარავში და სათითაოდ ემუდარებოდა მათ, ხელით ეწეოდა და ეაჯებოდა ყველა ჯარისკაცს. ბევრმა გაჯიქებული მეომრები ინუნშიაც არ აგდებდნენ მის მუდარას; ისინი სარდალს ფეხებში ესროდნენ ცარიელ ქისებს და ეუბნებოდნენ: დაე, მან მარტო იბრძოლოს, რაკი მარტო მან ერთმა დაიპყრო გამდიდრება!

ლუკულუსი დარწმუნდა, რომ მებრძოლებმა სამუდამოდ აქციეს

ზურგი. ამიტომ მან ტიგრანისა და მითრიდატეს წინააღმდეგ საომრად ლეგიონები სთხოვა კილიკიის ახალ მმართველს, თავის ქვისლს, ქვინტუს მარციუს რექსს, რომელიც სამი ლეგიონით იყო ჩამოსული კილიკიაში. ლუკულუსი აქაც ხელცარიელი დარჩა: რექსმა დახმარებაზე უარი შეწოუთვალა იმის ძომიზეზებით, რომ ჩემი მეომრები უარს აცხადებენ ბრძოლაში გამოსვლაზეო...

თავი მეთორმეტე

იმპერიული პომპეუსისა

1. მანილიუსი და ციცერონი

ეს ის დრო იყო, როცა ხმელთაშუა ზღვაზე მოთარეშე მეკობრეთა კატარღებმა რომი აღმოსავლური სამყაროდან მთლიანად გამოთიშეს და თვით იტალია შიმშილით დაღუპვის საფრთხეში ჩააგდეს. სახალხო ტრიბუნმა ავლუს გაბინიუსმა კომიციებს წარუდგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც შეკობრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხს უნდა აერჩია დიქტატორი სამი წლის ვადით. ასეთი დიქტატორის განკარგულების ქვეშ უნდა ყოფილიყო დიდი არმია. 200 გემისაგან შემდგარი ფლოტი, 15 ლეგატი, 6000 ტალანტი. მას უნდა ჰქონოდა ჯარებისა და ფულის შეკრების უფლება ყველა პროვინციაში ზღვის სანაპიროდან ოთხასი სტადიუმის მანძილზე.

ამნაირი უჩვეულო, ყოველმხრივ უპრეცედენტო უფლებებით აღჭურვილი დიქტატორის კანდიდატურად გაბინიუსი ითვალისწინებდა თავის პატრონსა და მეუფეს, გნეუს პომპეუსს.

კონსერვატორები ცდილობდნენ არ დაეშვათ გაბინიუსის კანონ-პროექტი, რომელიც კიდევ უფრო აქვეითებდა ისედაც ფესვმორყეული სენატის ავტორიტეტს, მაგრამ პოპულართა ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ კანონ-პროექტი კანონად იქცა. პომპეუსი მასზე მინიჭებული უფლებებითაც არ დაკმაყოფილდა: მან შეკრიბა 120.000 ქვეითი მეომარი, 4000 ცხენოსანი, 270 ხომალდი (ნაცვლად 200-სა) და

25 ლეგატი (ნაცვლად 15-სა). პომპეუსმა ეს მანამდე არნახული და არგაგონილი ძალები გაუნაწილა თავის ლეგატებს და შეუდგა მეკობრეთაგან ხმელთაშუა ზღვეთის გაწმენდას.

სანამ პომპეუსის ლეგატები ზღვებში გაბნეულ მეკობრეთა ბუდეებს ანგრევდნენ, აზიიდან ზედიზედ მოდიოდა ახალ-ახალი ამბები მითრიდატესა და ტიგრანის ახალ-ახალი მიღწევებისა და რომაელთა დამარცხების შესახებ. იქმნებოდა საშიშროება, რომ დღე-დღეზე მეფეები ხმელთაშუა ზღვას მოადგებოდნენ და მხარს მისცემდნენ რომის წინააღმდეგ მებრძოლ ზღვის ყაჩაღებს. იმავე წელს გაბინიუსმა (66 წ.) ახალი კანონ-პროექტი გამოაქვეყნა, რომელიც ლუკულუსს ართმევდა აღმოსავლურ რწმუნებებს (ბითინია-პონტოს მმართველობა და მთავარსარდლობა) და გადასცემდა მათ კონსულ მარკუს აციდიუს გლაბრიონს. სენატის სუსტმა გაბრძოლებამ კანონ-პროექტის დამტკიცება ვერ შეაფერხა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ლუკულუსის პატაკი სენატის წინაშე — პონტოს დაპყრობასა და მითრიდატეს საბოლოოდ დამარცხების შესახებ — არ გამართლდა: ახლად შემოერთებული პროვინციების ჩასაბარებლად და მოსაწესრიგებლად რომიდან აზიაში ჩამოსულმა სპეციალურმა კომისიამ დაინახა, რომ ლუკულუსი არამც თუ პონტოს ვერ ფლობდა, არამედ მას სხვა რომაული ქვეშევრდომი ტერიტორიებიც დაუკარგავს.

ბითინიაში ჩამოსული კონსული გლაბრიონი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დაგზავნა ედიქტები, რომელთა მიხედვით ლუკულუსის სამსახურისაგან თავისუფლდებოდა ყველა მისი მეომარი, უპირველესად კი ისინი, ვისაც სამხედრო სამსახურის ვადა უკვე გასვლოდა (ასეთები კი ლუკულუსის არმიის უმრავლესობას შეადგენდნენ): წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადდებოდა ლუკულუსის სამსახურში დარჩენილ მეომართა ქონების კონფისკაცია. ეს მოწოდება საკმარისი გახდა იმისათვის, რომ არმიის უდიდეს ნაწილს ლუკულუსის ბანაკი მიეტოვებინა. ლუკულუსი მცირეთა თანხლებით უმწეოდ იდგა მოიერიშე მტრების (როგორც გარე ისე შინა მტრების) წინაშე.

მაგრამ როგორც ადრე კილიკიის მმართველმა რექსმა უარი თქვა მეფეთა წინააღმდეგ გამოსვლაზე, ასევე გლაბრიონმაც ვერ გაბედა შებმოდა იმ მძიმე უღელს, რომლის გაწევაც მასზე გაცილებით ქედღონიერ ლუკულუსს უჭირდა. გლაბრიონი მართლაც არ იყო მომზადებული ასეთი საშიში ომის ხელმძღვანელობისათვის, ხოლო აზიის მაშინდელი მდგომარეობა ოდნავ დაყოვნებასაც ვერ ითმენდა.

თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა აზიას რომისათვის და რა საფრთხეში იდგა მაშინ ის, ამის შესახებ ნათელ სურათს გვაძლევს მარ-

ᲙᲣᲡ ᲢᲣᲚᲘᲣᲡ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡ სიტყვა მანილიუსის კანონის შესახებ (Pro lege Manilia — De imperio Gnei Pompei):

1. განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს აზიას რომის ეკონომიური სიძლიერისათვის. ის რომის სახელმწიფო ხაზინის ძირითად სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენს. რომაელები საგადასახადო სისტემაში ხედავენ თავიანთი სახელმწიფოს ეკონომიური სიმძლავრის სასიცოცხლო არტერიებს და ამ არტერიების უხშირესი ქსელი სწორედ აზიიდან მოედინება. შემოსავალი სხვა პროვინციებიდან აზიასთან შედარებით იმდენად უმნიშვნელოა, რომ ძლივს ყოფნის იმავე პროვინციების სამმართველო გასავლებს. აზია, პირიქით, ქვეყანა მეტად მდიდარი და დოვლათიანი, შორს იტოვებს უკან სხვა მიწებს მინდვრების ნაყოფიერებით, ხილისა და ბოსტნეულის ნაირსახეობით, საძოვრების სიერცით და საექსპორტოდ ვარგისი პროდუქტების სიჭარბით. რომაული ფულის კურსი, რომაული ფულადი ოპერაციები, წარმოებულნი რომის ფორუმზე, არიან მტკიცე ორგანულ კავშირში აზიის ფულად ბრუნვასთან. ამ უკანასკნელის მოშლამ არ შეიძლება დაღუპვის მორევში არ ჩაითრიოს პირველი.

2. აზიაში რომაელი მდიდარი ფინანსისტ-მხედართა მრავლად დაბანდებული კაპიტალები იღუპებიან. აღმოსავლეთიდან განუწყვეტლივ მოედინება ეპისტოლეთა ნაკადი, რომელიც იტყობინება, რომ ორი უძლიერესი მეფე, მითრიდატე და ტიგრანი შეუჩერებლივ მოიწევენ წინ. ბითინიის აღმოსავლეთი ოლქები უკვე ბითრიდატეს ეკუთვნის: კაპადოკიაც მეფეებს უპირავთ და სადაცაა ხელთ იგდებენ პროვინცია აზიასა და მთელ ბითინიას, რომლებიც რომაელი ბანკირების ეკონომიური სიძლიერის ძირითად წყაროს წარმოადგენენ.

3. აზიის რომაული ექსპლოატაციის მესაქეები მდიდარი რომაელი მხედრები არიან. რომის სახელმწიფო ხაზინის (რომლის ძირითად წყაროს აზია წარმოადგენს) უპირველესი ხაზინადარები სწორედ მხედრობის წარმომადგენლები არიან. ამიტომ თუ კი აზიაში მათი ფინანსური ოპერაციები დაიღუპება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სახელმწიფოს მთელი ეკონომიკა გაკოტრდება. ფაქტი: რომაელებს უნდა ახსოვდეთ, როცა მითრიდატეს ომები დაიწყო და ამის შედეგად მრავალმა რომაელმა მოქალაქემ აზიაში დიდძალი კაპიტალი დაჰკარგა, რომში გადახდა შეწყდა და ფულის კურსი დაეცა.

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ მხედართა წოდების წარმომადგენელთა გარდა სხვა (ex ceteris) მოქალაქეებმაც გააბეს აზიასთან ურთიერთობა და იქ საკმაოდ დიდი ფულადი თანხები დააბანდეს. ახლა ამ მოქალაქეთა ეკონომიური სიძლიერეც

საფრთხის წინაშე დგას, რაც საერთოდ ქვეყნისათვის საზიანო სიტუაციას ქმნის.

5. უყურადღებობას ვერ ითმენს აგრეთვე ისიც, რომ საკითხი მარტო პროვინცია აზიის გადარჩენას კი არ ეხება, არამედ ადვილად მოსალოდნელია, რომ თვითონ ეს პროვინცია ჩვენს საწინააღმდეგო ბრძოლის კერად გადაიქცეს. მითრიდატეს წინააღმდეგ ადრეულ ომებიდან რომაელებს ახსოვთ, როგორ დგებოდა პროვინცია აზია რომთან თავგანწირული ბრძოლის დროშის ქვეშ. საკმარისია, მეფეთა ჯარი ახლოს იდგეს, და ხალხი არ დაუცდის მათ შემოჭრას; ისინი უმალვე მიატოვებენ რომაელთა სამსახურს და შეუერთდებიან მათ. ძალიან ძნელია აღწერა რომაელების მიმართ აზიელების სიძულვილისა, რაც გამოწვეულია მათი (რომაელების) თვითნებობითა და უსამართლობით. ამ მძულვარების საფუძველია, საერთოდ, რომაული ექსპლოატაცია აზიის ქვეყნებში. აზიურ პროვინციებში არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი, არც ერთი ტაძარი, არც ერთი სახლიც კი, რომ რომაელებს არ გაეძარცვათ. ისინი ამდენი ნაძარცვითაც არ კმაყოფილდებიან და ცდილობენ რაიმე საბაბით დაიწყონ ომი ახალი ქალაქების საძარცვ-საყვლეფად. ამიტომ „აზიური სიძულვილი" არ იძლევა იმის გარანტიას, რომ უმოკლეს დროში აზია თავისი სურვილით არ დადგება მტრების ბანაკში.

6. არანაკლებ მძიმეა რომაელთათვის ის სამარცხვინო ლაქა, რომელიც მათ მიიღეს მეფეებთან ამდენი ხნის წარმოებულ ომებში. რომაელთა პატივი და დიდება, მათი სახელოვანი იარაღის სიძლიერე ლაფში ისვრება აზიელებთან ბრძოლებში განცდილი ხშირი დამარცხებებისაგან (აქ ციცერონი ხშირად დუმილითა და მიფუჩეჩებით ცდილობს გვერდი აუაროს რომაელების სამარცხვინო დამარცხებებს აზიაში, მაგრამ მის მიერ აღნიშნულიდანაც კარგად ჩანს, სად ღალატობს იგი სინამდვილეს).

ასე წარმოგვიდგენს რომაელი ორატორი და პოლიტიკოსი თანამედროვე აზიის ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ მნიშვნელობას რომის სახელმწიფოსათვის. ასე გვიხატავს იგი მაშინდელ აღმოსავლეთში რომაელთათვის შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას.

თითქმის ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რომი და პონტო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს, მაგრამ შედეგი მაინც არ ჩანდა. რომის ისტორიას არ ახსოვდა ასეთი ხანგრძლივი, სასტიკი ომები, არც ერთ მანამდე სერიოზულ მოწინააღმდეგესთან. რამდენი მძიმე ბრძოლა ჩაატარეს რომაელებმა აზიელების წინააღმდეგ. რამდენი დიდი გამარჯვებით შეამკეს თავიანთი საბრძოლო დროშები. მაგრამ შედეგი მაინც არ სჩანდა და არა! ყველაფერი ყოველთვის

თავიდან დასაწყები ხდებოდა. ის კი არა და ახლა, თითქოს აღმოსავლეთში რომაელთა ბატონობის სრული აღსასრულიც ასლოვდებოდა...

ამჯერად, კიდევ უფრო აშკარა შეიქნა, რომ რომის პოლისის თარგზე მოკრილი პრიმიტიული არისტოკრატულ-მონათმფლობელური რესპუბლიკა თავს ვეღარ ართმევდა აღმოსავლეთის დამორჩილებისა და შემომტკიცების საქმეს. რომის კონსერვატული პარტია, ოპტიმატები, სენატი თავიანთი „რესპუბლიკური" შეზღუდულობით, პასიურობითა და სიზანტით ვერ ახერხებენ შორეული ქვეყნების მტკიცედ შემოერთებას. რაც უფრო შორს მიიწევდა რომაული ექსპანსიის საზღვრები, მით უფრო უსუსური ხდებოდა სენატი. მისი საგარეო პოლიტიკის ყველაზე სუსტი ადგილი შორეული პროვინციების მმართველობისა და შემომტკიცების საკითხები იყო. უფრო სუსტი იყო რომის რესპუბლიკის ბატონობა ესპანეთში, სადაც გერილიების მუდმივად ჩაუმქრალი ცეცხლი ენთო, ვიდრე აფრიკაში ანდა თვითონ იტალიაში. ფაქტები უჩვენებდნენ, რომ სენატი სრულიად უძლური ჩანდა აღმოსავლეთის დაპყრობის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები მთელ თავიანთ ძალღონეს ურთიერთქიშპსა და მტრობას ალევდნენ და ამის ნიადაგზე „მესამე გასარებული" რომი რჩებოდა, მაინც რომაელი კონსერვატორების ბირთვი, რომელიც ყოველთვის ახალსა და უცხოს უფრთხოდა, აღმოსავლეთის ქვეყნების საბოლოო დაპყრობისათვის არ იყო მოწოდებული. რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის ინსიგნიებით აღჭურვილ უბრალო მოკვდავ სარდლებსა და მათ არმიებს არ შეეძლოთ აღმოსავლეთის საბოლოო დამორჩილება. სენატს თავისი კარდარაზულობისა და კონსტიტუციური სივიწროვის გამო არ შეეძლო, მიეცა მისი „პრინცეპსებისათვის" ის კოლოსალური ძალები და უფლებები, რასაც აღმოსავლეთის უმძიმესი ლაშქრობები მოითხოვდნენ. ახლა კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ აღმოსავლეთის დასაპყრობად საჭირო იყო საგანგებოდ შექმნილი პირობები. აუცილებელი შეიქნა ექსტრა-ორდინალური უფლებებით აღჭურვილი მაგისტრატის დანიშვნა, რომლის იმპერიუმიც რომის რესპუბლიკის კონსტიტუციის არტახებში ვერ ჩაეტეოდა. რა თქმა უნდა, იგივე კონსტიტუციით გათვალისწინებული ექვსთვიანი დიქტატურა ასეთი სერიოზული საქმისათვის სავსებით არასაკმარისი იქნებოდა. ხშირად სარდლები თვითნებურად აგრძელებდნენ თავიანთ რწმუნებების ვადებს (სციპიონები, მარიუსი, სულა), რაშიც კონსერვატორები „ტირანიის" მუდმივ საფრთხეს ხედავდნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს ორ-სამ წელზე მეტ ხანს არ გაუგრძელებია თავისი „ტირანია", რადგან ეს დრო საკმარისი ყოფილა მტრის დასამარცხებ-

ლად და რომისთვის სასიკეთო მდგომარეობის აღსადგენად. მაგრამ აღმოსავლეთში ასეთი ხანმოკლე „ტირანია“ ლელოს ვერ გაიტანდა. ეს მშვენიერად დაადასტურა ლუკულუსის მაგალითმა. ენერგიულმა და ნიჭიერმა სარდალმა თავისი სიჯიუტითა და რომაული კონსტიტუციის მიმართ თვითნებობით ყველა სარდალს გადააჭარბა, მაგრამ გავიდა წლები — ერთი, ორი, სამი... და შვიდი — და მისი ძალით მიკუთვნებული იმპერიუმი უფსკრულში ჩაიღუპა: აზია კვლავ აზიელებს რჩებოდა. ახლა ყველამ იწამა ზოგისთვის სასურველი და ზოგისთვის არასასურველი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა: რომაული კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა უ ნ დ ა დ ა რ ღ ვ ე უ ლ ი ყ ო დ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ქ მ ე ე ბ ი ს მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ ა გ ა დ ა ს ცე მ ო დ ა ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ(!) ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი თ ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ მ ა გ ი ს ტ რ ა ტ ს. მაგრამ რაკი კონსერვატული კონსტიტუციის დარღვევას თვითონ კონსერვატორები არ მოისურვებდნენ, საჭირო იყო სახელმწიფოს უფრო ცენტრალიზებული სისტემისათვის და აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის მებრძოლი პოპულართა პარტიის დაწოლა. ეს კი ძნელად გასარღვევ ფრონტს უკვე აღარ წარმოადგენდა, რადგან რომაულ-რესპუბლიკური კონსტიტუცია დიდი ხანია, ძალიან ხშირად ირღვეოდა (უმეტეს წილად აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით) და სენატიც აღარ იყო ისეთი „მეფეთა საბჭო“, როგორადაც იგი ერთ დროს წარმოიდგინა პიროსის ელჩმა კინეასმა. ამ დროს ანტაგონიზმი populus-სა და senatus-ს შორის უმაღლეს საფეხურს აღწევდა და ამ წინააღმდეგობაში პოპულუსი აშკარად სჯაბნიდა თავის მოპირდაპირეს. პოპულართა ფენას შეუძლია სენატს უკარნახოს ის კანონები, რომლებიც კონსერვატულ კონსტიტუციას დაარღვევენ და ამით არისტოკრატიულ ოლიგარქიასაც დააზიანებენ.

რაკი ეს ინიციატივა პოპულარებს ეკუთვნოდა, ეს საგანგებო მაგისტრატიც მათი პროგრამისათვის მებრძოლი უნდა ყოფილიყო. უპირველესად სწორედ ეს იყო ლუკულუსის დაცემის მიზეზიც. რატომ არ შეიძლებოდა გათვალისწინებული summum imperium მინიჭებოდა ლუკულუსს? მას ხომ რომაელ სარდალთაგან ნიჭით, სიმამაცით, შორსმჭვრეტელობით და აზიელებთან ხანგრძლივი საბრძოლო წრთობით ტოლი არ ჰყავდა? მას, ასეთი უფლებებით აღჭურვილს, ხომ ყველაზე უკეთ შეეძლო აღმოსავლეთის საქმეთა დაგვირგვინება? მაგრამ საქმე ის იყო, რომ ლუკულუსი თავისი კონსერვატული ბუნებითა და ქმედებით პოპულარების პირდაპირ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ამიტომ ის სახალხო პარტიათა კანდიდატად არ გამოდგებოდა. ესვენებოდა სენატის მზე და მასთან ერთად ქრებოდა მისი ნაშიერის ვარსკვლავიც. ლუკულუსის სიძლიერეს მისი არისტოკრატული პრინციპულობა ღუპავდა. მას თავისი პარტიისათვის არასოდეს არ უღალატნია

და ახლაც, როცა სენატი იერიშზე გადმოსული პოპულარების დაწოლისაგან იწნიხებოდა, ისიც პოლიტიკურ სარბიელს უთმობდა მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერს. მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრივ ჩამორჩებოდა ლუკულუსი გნეუს პომპეუსს, რომელიც სხვა მხრივ ყველაფერში უინიციატივობასა და ინერტულობას იჩენდა. პომპეუსის უნარი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ რომში განუწყვეტელი სოციალური და პოლიტიკური შეხლა-შემოხლის ყოველი ნიუანსი იშვიათი ალღოთი დაეყნოსა და მასთან დაკავშირებით, პოლიტიკური მრწამსის მერყეობის საფუძველზე, იმ დაჯგუფების პოზიციაზე დამდგარიყო, რომლისკენაც გამარჯვების შეტი შანსები ჩანდა. როცა კორნელიუს სულას ძლიერება დაუძლეველი შეიქნა, ახალგაზრდა პომპეუსი, მასთან ერთად, პოპულართა დაუძინებელ მტრად იქცა, მაგრამ ახლა, როცა გამარჯვების პერსპექტივამ პოპულარებს გაუღიმა, მან უყოყმანოდ აქცია ზურგი ოპტიმატთა პარტიას და თავისი თავი სახალხო მასების ერთგულ მსახურად გამოაცხადა. მისთვის მთავარი იყო არა პოლიტიკური მრწამსი და პრინციპულობა, არამედ პატივმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა და ანგარება. ამათ სანაცვლოდ ის სიამოვნებით წირავდა ყველაფერს.

ამგვარად, აღმოსავლეთის საქმეთა მოსაწესრიგებელი საგანგებო მაგისტრატურისათვის ნიადაგი მომზადებული იყო. პომპეუსი ახლა სახალხო პარტიის ლიდერად ითვლებოდა და მხოლოდ მას შეეძლო ყოფილიყო ლუკულუსის შემცვლელი.

პომპეუსის ავტორიტეტი კიდევ მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც მეკობრეებმა იარაღი დაყარეს და რომს დანებდნენ. მეკობრეთა დაშარცხვამ, რაც საგანგებო მაგისტრატურის წყალობით ადვილად და სწრაფად მოხერხდა, კიდევ უფრო გაამხნევა და თავის ძალაში დაარწმუნა პოპულარების პარტია. სინამდვილე და ფაქტები ამართლებდნენ კონსერვატული კონსტიტუციის დრომოჭმულობას. მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება და უზარმაზარი, ძალით შეკოწიწებული სახელმწიფოს მართვა-გამგეობა შეიძლებოდა არა პოლისის ვიწრო რომაულ-ოლიგარქიული კონსტიტუციით, არამედ მტკიცედ ცენტრალიზებული პოლიტიკური ზედნაშენით.

პოპულარებმა ასეთი სიტუაციით ისარგებლეს და ახალი კანონ-პროექტით „რესპუბლიკურ კონსტიტუციას" ახალი მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს. 66 წლის დამდეგს სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა წამოაყენა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც რამდენიმე მაგისტრატს შორის განაწილებული აზიის საქმეები თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ერთი კაცის ხელში; უნდა ჩამორთმეოდათ: მარციუს რექსს კილიკია, გლაბრიონს ბითინიისა და პონტოს მმართველო-

ბა (თუმცა ფაქტიურად მას უკვე პონტო ჩამორთმეული ჰქონდა მითრიდატესაგან) და ლუკულუსს აღმოსავლეთის მთავარსარდლობა (თუმცა ოფიციალურად ლუკულუსს მთავარსარდლობა წართმეული ჰქონდა გაბინიუსის კანონით, მაგრამ გლაბრიონი მის ჩაბარებას ვერა ბედავდა). ყველა ეს უფლებანი უნდა გადასცემოდა პროკონსულს, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით განაგებდა ზღვებსა და მის სანაპიროებს. მას უფლება ენიჭებოდა დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ეწარმოებინა ომი და ჩამოეგდო ზავი; ს ე ნ ა ტ ი ს დ ა უ კ ი თ ხ ა ვ ა დ ეცნო რომის მეგობარ მოკავშირეებად ან მტრებად ისინი, ვისაც თ ვ ი თ ო ნ საჭიროდ ჩასთვლიდა და მოისურვებდა. თავის ნებაზე გამოეყენებინა ყ ვ ე ლ ა ა რ მ ი ა და ყოველგვარი საბრძოლო რესურსები, რომლებიც კი იმყოფებოდნენ იტალიის გარეთ.

ასეთი იყო მანილიუსის კანონი.

კონსერვატორები აშკარად ხედავდნენ კანონის „ტირანულ“ შინაარსს. ისედაც ყველამ იცოდა, საერთოდ დიქტატურა და საგანგებო პროკონსულატი წარმოადგენენ ხიდს მონარქიისაკენ, მაგრამ მანილიუსის კანონის დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ ორიოდე თანმიმდევარმა არისტოკრატმა სცადა ხმის ამოღება, მაგრამ არაფერი გამოვიდა—მანილიუსის კანონის დასაცავად გამოვიდა მარკუს ტულიუს ციცერონი. მან ნათლად დაუსურათა „ქვირიტებს“ აზიაში შექმნილი ძნიშნე მდგომარეობა და, სხვათა შორის, ლუკულუსის მარცხის მიზეზად ისიც მოიხსენია, რომ რომაელებმა შ ე ზ ღ უ დ ე ს მ ი ს ი უ ფ ლ ე ბ ე ბ ი, გ ა ა ფ ქ მ ე ს მ ი ს ი ი მ პ ე რ ი უ მ ი. ამით ციცერონი ასაბუთებდა აღმოსავლეთის საქმეთათვის ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ი მ პ ე რ ი უ მ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს, რასაც დასაბუთება უკვე ნაკლებად ესაჭიროებოდა.

რომის ისტორიამ ა ქ ა მ დ ე ა რ ი ც ო დ ა ერთი კაცის ასეთი უფლებებით აღჭურვის შემთხვევა. ერთი კაცი ცხადდებოდა მთელი რომაული სახელმწიფოს დამოუკიდებელ, სრულუფლებიან და ვადაგანუსაზღვრელ განმგებლად. მხოლოდ თვით რომი და იტალიის ცენტრალური ნაწილი რჩებოდნენ რომაული კონსტიტუციის მოქმედების არენად. ასე რომ პომპეუსის უზარმაზარი იმპერიუმის ცენტრში რომის „რესპუბლიკა“ მხოლოდ პატარა წერტილადღა ჩანდა და ეს წერტილიც მალე უნდა გამქრალიყო იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეში. ამ პროცესს ამიერიდან ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ სენატსა და პოპულარებს შორის ატეხილი სანგრძლივი, მძვინვარე ბრძოლა ძირითადად დამთავრდა. ამ ბრძოლის უკანასკნელი აკორდი მანილიუსის კანონი იყო, რასაც შედეგად პოპულართა სრული გამარჯვება მოჰყვა.

რესპუბლიკური კონსტიტუცია თითქმის სრულ დავიწყებას მიეცა. ამიერიდან რომის სახელმწიფოს განაგებდნენ ერთპიროვნული მაგი-

სტრატეგი: პრინცეპსები, დიქტატორები. იმპერატორები. მართალია, რესპუბლიკური ტრადიცია მათ ჯერ კიდევ გასაქანს არ აძლევთ. რომ რესპუბლიკა ხელოვნურად დამხობილად გამოაცხადონ, მაგრამ მათი უმაღლესი ძალაუფლების განუსაზღვრელობის პირობებში, რესპუბლიკა მხოლოდ არის და არ განაგებს; ფაქტიური გამგებელნი ექსტრაორდინალური რწმუნებებით შეიარაღებული მაგისტრატები არიან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მანილიუსის კანონი, რომელიც რომის მონათმფლობელური რესპუბლიკის დაცემისა და სიმპერატორო-ერთპიროვნული ძალაუფლების de facto და de jure-დ ალიარების საფუძვლად იქცა, შ ე დ ე გ ი ი ყ ო ა ზ ი ი ს მ უ დ მ ი ვ ა დ გ ა რ თ უ ლ ე ბ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა. თუ რომს სურდა აზიის დაპყრობილება, მას ხელი უნდა აეღო ოლიგარქიულ პოლიტეიაზე და მის ნაცვლად, ი მ პ ე რ ი უ მ ე ბ ი თ ა და დ ი ქ ტ ა ტ უ რ ე ბ ი თ მ თ ე ლ ი ძ ა ლ ე ბ ი ს მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ა მ ო ე ხ დ ი ნ ა ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ თ ა ნ ს ა ო მ რ ა დ.

ამიერიდან აღმოსავლეთში სერიოზული საქმეების მოსაგვარებლად აღარ გამოჩენილა არც ერთი კონსული, ან პრეტორი, ან „რესპუბლიკური" კონსტიტუციით უფლებამოსილი რომელიმე მაგისტრატი. მხოლოდ და მხოლოდ დიქტატორები და იმპერატორები გამოჩნდებოდნენ ხოლმე თავიანთი უზარმაზარი არმიებით აღმოსავლეთის ჰორიზონტზე. ამის შემდეგ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ „ი მ პ ე რ ი ა" უ ტ ე ვ ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს.

ეს პირველი, მანამდე უჩვეულო იმპერიუმი, რ ო მ ლ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ც ა ზ ი ი ს ს ა ქ მ ე ე ბ მ ა დ ა ა ჩ ქ ა რ ე ს, ხელში ჩაუვარდა მეშინდელ რომაელ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ყველაზე მხდალსა და მერყევ სუბიექტს. პომპეუსი უკვე ბრწყინავდა თავისი დაუმსახურებელი დიდებამოსილებით; მას თავი მოჰქონდა პოპულარებისადმი თავდადებულობით და მანილიუსის კანონმაც სწორედ მას დაადგა თავზე რომის სენატისაგან სრული დამოუკიდებლობის ბრწყინვალე გვირგვინი.

2. პომპეუსის ლაშქრობა პონტოში

„პომპეუსი კი ნამდვილი ნაგავია. მან დაუმსახურებლად გაითქვა სახელი იმის გამო, რომ მიითვისა ლუკულუსის წარმატებები..."
მ ა რ ქ ს ი

პომპეუსი კილიკიაში იმყოფებოდა, როცა შეიტყო თავისი ახალი დანიშვნის შესახებ. ის სასწრაფოდ შეუდგა მეფეებთან საომარ სამზადისს

უპირველესად მას აზიიდან უნდა მოეშორებინა ლუკულუსი, რომელიც სამხედრო ნიჭითა და მეომრული სიმამაცით გაცილებით მასზე მაღლა იდგა. სულას „ყმაწვილი კაცი“ ყოველი ხერხით ცდილობდა დაემცირებინა ლუკულუსის სამხედრო დამსახურებანი და მიღწევები აღმოსავლეთში, რათა ამით თავისი მომავალი გამარჯვება მისი ახალი განდიდების საფუძვლად გადაექცია. პომპეუსმა დაიწყო ედიქტების გამოცემა, რომლებითაც ის აუქმებდა ლუკულუსის ყველა ღონისძიებას აზიაში. თავის მხრივ, პატივაყრილი ლუკულუსიც ცდილობდა დაებრკოლებინა პომპეუსის სამზადისი.

ბოლოს, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ დანალეში, გალატიაში. ჯერ, სარდლებმა სცადეს ურთიერთსიძულვილი დაეფარათ და მეგობრული საუბარი გაებათ, მაგრამ მალე ლანძღვაზე გადავიდნენ და ერთიმეორეს პირში ახლიდნენ მათთვის დამახასიათებელ სიმდაბლეებს. ასე, პომპეუსი ლუკულუსს ბრალს სდებდა ანგარებისმოყვარეობაში, ხოლო ლუკულუსი თავის მხრივ მეტოქეს განუზომელ პატივმოყვარეობას აყვედრიდა. ორივენი მართალნი იყვნენ: მაშინდელ რომაელებში ფართოდ განვითარებული ჩვეულება განძის შეგროვებისა არც ლუკულუსისათვის ყოფილა უცხო. ხოლო პომპეუსი ხომ თავისი პატივმოყვარეობისათვის ყველაფერს სწირავდა. პომპეუსი აცხადებდა, რომ მას ახლა ბრძოლა მოუხდება უფრო ძლიერ, რომაელებთან ბრძოლებში ნაცად მტრებთან, ხოლო ლუკულუსი შედარებით სუსტ და გამოუცდელ მოწინააღმდეგეებს ებრძოდაო. ლუკულუსი უფრო მართალი იყო, როცა, თავის მხრივ, მიუგებდა: პომპეუსი, როგორც ზარმაცი ფრინველი, მიჩვეულია დააფრინდეს სხვისგან მოკლულის გვამს და ქენკოს ომის ნარჩენები: ასე მიითვისა მან გამარჯვებები სერტორიუსზე, ლეპიდეზე და სპარტაკზე, მაშინ როცა ამ გამარჯვებათა პატივი ეკუთვნოდა მეტელუსს, კატულუსსა და კრასუსს. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ პომპეუსმა აღმოსავლეთში ლუკულუსის გამარჯვებათა ნაყოფიც მიითვისოს. რა თქმა უნდა, ლუკულუსს არ შეეძლო თავისი თავი მითრიდატესა და ტიგრანზე გამარჯვების ავტორად გამოეცხადებინა, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ მისმა შვიდწლიანმა ომმა საკმაოდ დაასუსტა საერთო მტრის წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის ცალკე, შეუთანხმებლად მეომარი პონტო და სომხეთი. ახლა პომპეუსს, ახალი ძლიერი ძალებითა და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილს, მართლა შეეძლო ლუკულუსის მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე კარგი მოსავალი მოეწია.

ახალმა იმპერატორმა ლუკულუსს მხოლოდ 1.600 მეომარი დაუტოვა და ისიც ისეთები, რომლებიც ურჩობისა და ინდისციპლინობის გამო ბრძოლაში გამოუსადეგარი იყვნენ. ამ პატარა ამალით უნდა აღენიშნა თავისი ტრიუმფი პატივაყრილსა და შეურაცხყოფილ „რომაელ

ქსერქსეს". ლუკულუსს შეეძლო თავი იმით დაენუგეშებინა, რომ მან აღმოსავლეთიდან აურაცხელი ნაძარცვი წაიღო. ადვილი წარმოსადგენია რამდენი სიმდიდრე უნდა ყოფილიყო რომაელი ხარბი სარდლის მიერ წაღებული, როცა უბრწყინვალესი და უმდიდრესი პონტოური, სომხური და საერთოდ აზიური ქალაქების 30-მდე „რომაული გაძარცვის" (!) შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ არის პირდაპირ მითითებული, რომ მან მარტო ტიგრანოკერტიდან 8.000 ტალანტი (19.200.000 მანეთის ოქრო) წაიღო. ლუკულუსი თითით საჩვენებელი გახდა, როგორც აღმოსავლური სიმდიდრეებით ზღაპრულად მცხოვრები; მაგალითისათვის კმარა მარტო ყბადაღებული „ლუკულიები" — საოცარი ფუფუნებით გამართული ნადიმ-ღრეობანი. ამიერიდან ლუკულუსს უფრო მისი აღმოსავლეთში მონახვეჭ სიმდიდრეთა ფლანგვით იცნობდნენ, ვიდრე აღმოსავლური სამხედრო დიდებით...

პომპეუსმა მცირე აზიაში 50.000-ზე მეტი მეომარი გამოიყვანა. მას შეუერთა რექსის სამი ლეგიონი (16.000 ჯარისკაცი) და ადგილობრივ დინასტთა სხვა საბრძოლო ძალები. ამგვარად, თუ ადგილობრივ შეკრებილთა რიცხვს სულ მცირე 30.000 კაცით ვივარაუდებთ, პომპეუსის განკარგულებაში ყოფილა დაახლოებით 100.000 მებრძოლისაგან შემდგარი სახმელეთო არმია. ამას გარდა, პომპეუსმა იცოდა აღმოსავლეთში მანამდე მოლაშქრე რომაელთა სისუსტე, რაც ფლოტის უქონლობამ ან მის სიმცირეში მდგომარეობდა. ახლა კი ის უზარმაზარი ფლოტის ადმირალიც იყო. ამ ფლოტს პირატებთან ბრძოლაში საუკეთესო წრთობა ჰქონდა მიღებული. იგი სავსებით ბატონობდა „მსოფლიო ურთიერთობის დიდი წყლის გზაზე". ამასთანავე, როგორც ითქვა, პომპეუსს უფლება ჰქონდა, რომის ყველა პროვინციიდან ახალ-ახალი საომარი ძალები გადაესროლა აღმოსავლეთის ფრონტებზე.

ასეთი კოლოსალური ძალებით მანამდე არც ერთ რომაელ სარდალს არ ულაშქრნია აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

პომპეუსმა ფლოტი განალაგა ფინიკიიდან ბოსფორამდე, ზღვებზე სადარაჯოდ და ამით მოპირდაპირეს საშუალება მოუსპო ეგეოსის ზღვისკენ გაჭრისა. შემდეგ იგი დაიძრა აზიის სიღრმისაკენ. თან ელჩები აფრინა პართიაში და ფრაატ მესამეს საზავო პირობები გაუგზავნა. რომაელი სარდალი პართიის მეფეს იმავე ზავის პირობებს უთვლიდა, რასაც 68 წელს მითრიდატე და ტიგრანი სთავაზობდნენ პართიას, ესე იგი მესოპოტამიასა და სხვა ოლქებს, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდა ტიგრანს. სამაგიეროდ პომპეუსი მოითხოვდა, პართიელებს სომხეთის წინააღმდეგ შეტევა დაეწყოთ საშხრეთ-აღმოსავლეთიდან. ალბათ, ფრაატი ნაკლებად ფიქრობდა რომაელებსა და პართიელებს შორის იმ ბოლავალ გაუთავებელ ხოცვა-ჟლეტაზე, რაც შედეგად უნ-

და მოჰყოლოდა პომპეუსის კავშირზე მის დათანხმებას და, მასთან ერთად, ერთ ტაფაში მყოფი მეზობლების ამხედრებას. divide et impera კვლავ ზუსტად ხვდებოდა მიზანს.

აღარც მითრიდატესა და ტიგრანს შორის არსებობდა წინანდელი შეთანხმებულობა და ურთიერთნდობა. მეფეების ახალი გათიშვის ერთ-ერთი მიზეზი სომხეთის სასახლის კარზე მოწყობილი შეთქმულება ყოფილა. ტიგრანს სჯეროდა, რომ სომეხ დიდებულთა შეთქმულებაში კლეოპატრასთან შეძენილი უფლისწულების მონაწილეობა მისი სიმამრის შთაგონებით იყო გამოწვეული. ტიგრანმა უფროსი მემკვიდრეების ღალატი გამოამჟღავნა და ისინი სიკვდილით დასაჯა. მაგრამ მამის საწინააღმდეგო ახალი შეთქმულების მონაწილეთა შორის მესამე უფლისწული ტიგრან მცირეც აღმოჩნდა. მეფემ დაამარცხა აჯანყებული შვილი, რომელიც პართიაში გაიქცა. ფრაატმა სიამოვნებით მიიღო იგი და თავის ქალიშვილზედაც დააქორწინა. ფრაატს კარგად შეეძლო გამოეყენებინა სომხეთის სასახლის კაზე დატრიალებული ამპები. მაღე ფრაატმა და ტიგრან მცირემ მართლაც დაიწყეს ომი სომხეთის წინააღმდეგ. ტიგრანს ეშვი შეეჭონდა, რომ მემკვიდრის აჯანყების საქმეში ხელი ერია მითრიდატეს; თითქოს ის აქეზებდა თავის შვილიშვილს მამის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაძლოა ეს ეშვი საფუძველსმოკლებული არ იყოს, რადგან მითრიდატესთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა თვითნება და ჯიუტი ტიგრანის მაგივრად სომხეთის ტახტზე მჯდარიყო მისი შვილიშვილი, რომელსაც ის თავისი სურვილისამებრ მოიხმარდა. ასე, რომ ის ეფემერული კავშირიც, რომელმაც ამას წინათ ლუკულუსს თავბედი აწყევლინა, უკვე დაშლილი იყო.

მაშასადამე, 66 წლისათვის შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას პომპეუსისთვის ყოველმხრივ სასარგებლო პირი უჩანდა. მას შეეძლო თავისი მძლავრი ძალებით ცალ-ცალკე დაემარცხებინა გათიშული ეზიელი გვირგვინოსნები.

მარტოდ დარჩენილმა მითრიდატემ თავის ქვეყანაში. სადაც გუშინდელი ომების ნაპარძალები ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო, მხოლოდ 20.000 ქვეითისა და 2.300 მხედრის შეგროვება მოასერხა. ეზიელი დესპოტისათვის, რომელსაც ადრე უზარმაზარი არმიის გამოყვანა შეეძლო, ასეთი ჯარი მხოლოდ მცირერიცხოვან ამალას წარმოადგენდა. შეუძლებელი იყო ამ ძალებით პომპეუსის მრავალრიცხოვან და მშვენიერად გაწვრთნილ არმიებთან შებმაზე ფიქრიც კი. მითრიდატეს ერთი გენერალური ბრძოლის გამართვაც არ შეეძლო. განადგურებული და გადაბუგული ქვეყანა არც სურსათით მომარაგების იმედს იძლეოდა.

ამიტომ მეფემ მოისურვა მოლაპარაკების გამართვა მოწინააღმდე-

გესთან. მან გაგზავნა პომპეუსთან ელჩები, რათა გაეგო, თუ რა პირობებში შეიძლებოდა ომის დამთავრება. პომპეუსმა უპასუხა: თუ გადმოგვცემ მოღალატეებს და თვითონაც დაგვნებდებიო. ასეთ პასუხზე, სისხლისაგან დაცლილმა ევპატორმა, რომაელი ემიგრანტების დასტურით, გადასწყვიტა, არასოდეს შერიგებოდა რომაელებს და ეწარმოებინა მათთან ომი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

პომპეუსმა გალატიის გავლით გადალახა პონტოს საზღვრები. მითრიდატე მტრის ჯარბ ძალებს ჩვეული ტაქტიკით დახვდა და გადამწყვეტ შებრძოლებას განერიდა. უკან იხევდა თავის სამფლობელოთა აღმოსავლეთ პროვინციებისაკენ და გზადაგზა ანადგურებდა ისედაც აოხრებულ ქვეყანას, რათა იქნებ შიმშილი დასტყდომოდა მტერს. პომპეუსი დიდხანს ფეხდაფეხ მისდევდა მას. მაგრამ ბოლოს, უშედეგო დევნისაგან მოთმინებადაკარგულმა მთავარსარდალმა თავი მიანება მეფის დევნას და შეიჭრა მცირე სომხეთში. მითრიდატე შემოტრიალდა და გამოედევნა. იგი მიუახლოვდა რომაელებს აკილისენას ოლქში და ციხე-სიმაგრე დასტეირას მახლობლად ერთ-ერთ მაღლობზე გამაგრდა. აქედან მეფის კავალერია ხშირად თავს ესხმოდა პომპეუსის ბანაკს, შეჰქონდა მასში პანიკა და აბრკოლებდა მის მომარაგებას. რომაელმა სარდალმა მაღლობის აღებისათვის თავი უძლურად ჩასთვალა, მანამ, სანამ კილიკიაში დატოვებული რექსისეული სამი ლეგიონი არ გამოიწვია და მათი დახმარებით პონტოელთა ბანაკის ბლოკადა არ მოახდინა. რომაელებმა მთის გარშემო ღრმა თხრილები გაჭრეს. პონტოელები 50 დღის განმავლობაში ებრძოდნენ შიმშილსა და წყურვილს. ბოლოს შუაღამისას მითრიდატემ მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა.

რომაელები გამოედევნენ მეფეს. დღისით პონტოელები თავს აფარებდნენ მიუვალ ტყე-ღრეებს, ხოლო ღამით შეუსვენებლად გარბოდნენ. პომპეუსი ღამით ვერ ბედავდა ხელი შეეშალა მოწინააღმდეგის გაქცევისათვის. მესამე დღეს რომაელები მითრიდატეს წამოეწივნენ მდინარე ლიკოსის ერთ-ერთ ხეობაში.

ღამით, როცა რომაელებმა მითრიდატეს გასაქცევი გზები გადაუჭრეს, პომპეუსი მისმა ლეგატებმა მტრის მიმართ მოულოდნელ თავდასხმაზე დაითანხმეს. პონტოელები შეეჩვივნენ იმას, რომ რომაელები ღამით შებრძოლებას ვერ ბედავდნენ და მტერს მძინარენი დახვდნენ. მოულოდნელი თავდასხმით გამოწვეულმა პანიკამ პომპეუსს გამარჯვება არგუნა. მითრიდატემ ათი ათასი მეომარი და მთელი აღალი დაკარგა.

პონტოელმა სამი ათასი კაცის თანხლებით თავი შეაფარა სომხეთის საზღვართან მდებარე ციხე-სიმაგრე სინორიას. მან აქ შენახული ძვირფასი საჭურჭლეები თავის ერთგულ მხლებლებს დაურიგა. შემ-

დეგ მეფემ ელჩები გაუგზავნა ტიგრანს და თავშესაფარი ითხოვა.

მაგრამ, როგორც ითქვა, ტიგრანი უკვე მტრულად იყო განწყობილი თავისი სიმამრისადმი. მან არამც თუ უარი თქვა ლტოლვილი მეფის მიღებაზე, არამედ შეიპყრო და ბორკილები დაადო მის ელჩებს. ხოლო თვითონ მითრიდატეს მოკვლისათვის ჯილდოც კი გამოაცხადა, 100 ტალანტის რაოდენობით.

ამგვარად, მითრიდატე ევპატორი კიდევ მეტი საფრთხის წინაშე დადგა. მას აღარ გააჩნდა საკუთარი სამეფო და არც თავშესაფარი. ერთადერთი იმედი — ტიგრანი. — თვითონ ლესავდა მის სასიკვდილო მახვილს. პონტოში ახალი ჯარების შეკრებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მიუსაფარი მეფის ერთ-ერთი გზა ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა.

მითრიდატემ არ დაუცადა ტიგრანთან გაგზავნილი ელჩების დაბრუნებას. მან სინორიადან წაიღო 6.000 ტალანტი და პატარა ამალის თანხლებით გაქუსლა კოლხეთისაკენ. „მიემართებოდა რა დიდი სისწრაფით, მან უკვე მეოთხე დღეს გადალახა ევფრატი. შემდგომი სამი დღის განმავლობაში ის ადგილზე იყო გაჩერებული და გართული იყო იმათი შეიარაღებით, ვინც მას თან ახლდა მასთან. შემდეგ იგი შეეკრა ხოტენურ არმენიაში, გარეკა ხოტენელები და იბერები, რომლებსაც სწადდათ ხელი შეეშალათ მისთვის ისრებისა და შურდულის სროლით და გადალახა მდინარე აპსარი.. მითრიდატემ ზამთარი გაატარა დიოსკურიაში"[1].

დიოსკურიაში ლტოლვილმა და გაცამტვერებულმა მეფემ „განიზრახა შემოევლო ირგვლივ პონტოს და პროპონტიდის სკვითებისათვის და, მეოტიის ტბაზე გადასელით, თავს დასცემოდა ბოსფორს. ჰამიერთმძია ის ქვეყანა მისი მმართველი მახარესათვის, რომელიც მის მიმართ უმადური აღმოჩნდა, ამით იგი კვლავ რომაელთა პირისპირ დადგებოდა და იბრძოლებდა მათთან უკვე ევროპიდან, მაშინ, როცა ისინი აზიაში იქნებოდნენ... ფიქრობდა წასულიყო თრაკიითა და მაკედონიით, მაკედონიიდან პეონიით და შემდეგ ალპების გადალახვით შეჭრილიყო იტალიაში"[1], „მან განიზრახა კელტების ქვეყანაზე გავლით, რომლებთანაც ამ მიზნით დიდი ხანია დამყარებული ჰქონდა კავშირი და მეგობრობა, ერთად შეჭრილიყო იტალიაში. ამასთან იმედოვნებდა, რომ იტალიიდან მას ბევრი მიემხრობოდა რომაელთადმი სიძულვილის გამო..."[2].

მაშასადამე, მითრიდატე პონტოელმა დიოსკურიაში შეინუშავა რომის საწინააღმდეგო ახალი ომების გრანდიოზული გეგმა. ოდესღაც ბერძენი თემისტოკლე „ევროპაში აზიის დამარცხებას" ფიქრობდა,

---

[1] App. Mithr 102.
[2] ibid, 109.

ახლა კი სიკვდილთან წილნაყარი აზიელი გვირგვინოსანი აპირებდა „აზიაში ევროპის დამარცხებას“: მითრიდატე „ალპების გადალახვაზე — ჰანიბალობაზე ფიქრობდა. მას ოდნავადაც არ აფიქრებდა აღნიშნული გეგმის ფანტაზიურობა. როგორი კოლოსალური ძალები სჭირდებოდა ამ გეგმის განხორციელებას! ევპატორს მამაპაპეული სამეფოდან ერთი ჭეკაველა მიწაც აღარ ჰქონდა შერჩენილი და როგორც ერთ დროს სახელოვანი ჰანიბალი, ისე მითრიდატე საძულველი რომის დამსობას სხვა ქვეყნებისა და სხვა უცხო ტომების დახმარებით აპირებდა. რომაელთა წინააღმდეგ პონტოში ხანგრძლივად მოგიზგიზე ბრძოლის კერა ჩამქრალი იყო და სად უნდა გაეჩაღებინა მას ახალი ბრძოლის ცეცხლი? ამჟამად ის კოლხეთში იყო და იქვე ადგენდა ამ გრანდიოზულ გეგმას. მაგრამ კოლხეთი საამისოდ არ გამოდგებოდა. რადგან, როგორც აპიანეს მცირე ცნობიდანაც კარგად სჩანს, ეს ქვეყანა არც თუ ისე კეთილი გრძნობებით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული სასტიკი დესპოტისადმი. რჩებოდა ბოსფორის სამფლობელოები. მაგრამ არც იქიდან ისმოდა საიმედო ამბები: მითრიდატეს შვილი მახარე, რომელიც მამამ ადრევე ბოსფორის მმართველად გაგზავნა, მამისადმი მტრულად იყო განწყობილი და თავის თავს რომაელთა „ყურმოჭრილ კასალად თვლიდა.

მაგრამ მითრიდატემ მაინც ბოსფორიდან ამჯობინა ახალი საბრძოლო დროშის აღმართვა; იქ და მის მოსაზღვრე ოლქებში უნდა შეეკრიბა მას ძირითადი საომარი ძალები; იქ, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროებზე, შორს პომპეუსისაგან, შორს რომაელი მდევრებისაგან, „აღმოსავლეთის ჰანიბალი“ შედარებით ადვილ საქმედ სთვლიდა საომარ სამზადისს. მითრიდატეს კოლხეთში დიდხანს მაინც არ დაედგომებოდა. ზღვიდან ახლოვდებოდა რომაელთა ფლოტი, ხოლო სამხრეთიდანაც ყოველდღიურად მოსალოდნელი იყო პომპეუსის გამოჩენა. ის 65 წლის დამდეგს ხმელეთის გზით გაეშურა ყირიმისაკენ. გზადაგზა, თავის მხარეზე იმხრობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრებ ტომებს და ამნაირად, მეფე კარგად მოზრდილი ძალებით ჩავიდა ყირიმში. მითრიდატეს მოულოდნელმა გამოჩენამ თავზარი დასცა მის მტრებს და მათ შორის მოღალატე შვილსაც. მახარესა და მისი მიმდევრებით უკმაყოფილო ხალხი და მეზობელი სკვითები გულთბილად შეხვდნენ მოხუც მეფეს. ამის ნიადაგზე მან ადვილად დაამარცხა მოღალატე შვილი და, მის მომხრეებთან ერთად, სიკვდილით დასაჯა.

მითრიდატე ორი წლის განმავლობაში საკვირველი ენერგიითა და ენთუზიაზმით ემზადებოდა სარეკანშო ბრძოლებისათვის. თავისი ძალაუფლების ქვეშ იკრებდა შავი ზღვის სანაპიროებს, იერთებდა ზოგს ფარწმუნებით და ზოგსაც ძალით; უმოყვრდებოდა სკვითთა ბელადებს,

აგროვებდა ჯარებს „თავისუფალთაგან და მონათაგან"; აგებდა ფლოტს, ჭედდა საომარ საჭურველს, აწყობდა საბრძოლო-საფორტიფიკაციო მანქანებს და სხვ. მაგრამ რომთან ახალი ომის ფანტასმაგორიით შეპყრობილი მოხუცის გეგმა დასაღუპავად იყო განწირული. ჯერ ერთი, გადასახადები, რომლებიც მან ახალი ომის საჭიროებისათვის დააწესა, სულს ხდიდა მოსახლეობას და მღელვარებას იწვევდა მასში: „ყველას დაადვა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბსაც კი. გადასახადის შემკრები მოხელეები დიდად ავიწროებდნენ ხალხს"[1]. ასე, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელიც ახალი დიდი ომისათვის მითრიდატეს ძირითადი ბაზა და დასაყრდენი უნდა ყოფილიყო, მისი გეგმები არამც თუ პოპულარობით არ სარგებლობდა, არამედ უკმაყოფილებასაც იწვევდა და აჯანყების საშიშროებას ქმნიდა. მეორეც, ახალი ლაშქარი, რომელიც მეფემ შეკრიბა, ახალი წამოწყების მიმართ ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი. ბუნებრივია, ჯარების ცუდი განწყობის მთავარი მიზეზი მოსახლეობის მძიმე დაბეგვრით გამოწვეული საერთო უკმაყოფილება იქნებოდა, რასაც თვითონ მითრიდატეც გრძნობდა. როგორც ეტყობა, აღარც ძველი, ერთგული, რომაელებთან ბრძოლებში ნაწრთობი ვეტერანი სარდლები და თანაშემწეები ჰყოლია მითრიდატეს, ხოლო ახალი სარდლები ჯარისკაცებში პატივისცემითა და ნდობით ვერ სარგებლობდნენ.

ამრიგად, მითრიდატე ევპატორი, მისი ბედუკუღმართი ავანტურებისა და უკვე მიწურული ასაკის მიუხედავად, თითქმის სრულიად მარტოხელა და მარტოსულად დარჩენილი, საოცარი ენერგიითა და ფანატიზმით შეპყრობილი ცდილობდა განუხორციელებლის განხორციელებას.

მეფისა და მისი პოლიტიკისადმი ასეთი საერთო უკმაყოფილებით ისარგებლა მითრიდატეს ვაჟმა, ფარნაკემ, და სათავეში ჩაუდგა მამის წინააღმდეგ წამოწყებულ აჯანყებას. 63 წელს მითრიდატე პონტოელი ამ აჯანყების მსხვერპლი შეიქნა. აპიანეს დაწვრილებით აქვს გადმოცემული რომაელების წინააღმდეგ აღმოსავლეთის ხალხთა საბრძოლო ეპოპეის მთავარი პერსონაჟის დაღუპვის ამბავი:

„ფარნაკემ, რომელსაც მითრიდატე თავის ვაჟთაგან ყველაზე მეტად აფასებდა, და ფიქრობდა, რომ მისი ხელისუფლების მემკვიდრე იქნებოდა, მოაწყო შეთქმულება მამის წინააღმდეგ... მან იცოდა, ჯარი შეშინებული იყო მომავალი ლაშქრობით; ღამით მივიღა პირველად იმ რომაელ მოქალაქეებთან, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ მითრიდატესთან დაბანაკებულნი და გადაჭარბებით წარმოუდგინა ის საფრთხე, რომელიც მათ მოელის, თუ ისინი წავლენ იტალიაზე.

[1] App. Mithr. 107.

რომელსაც ისინი თვითონ კარგად იცნობდნენ, და აღუთქვა მათ ბევრი რამ, თუ კი ისინი მასთან დარჩებოდნენ, გადააწყვეტინა მათ გაჰყოლოდნენ მის მამას. მაინ გადაბირების შემდეგ, ფარნაკემ იმავე ღამეს გაგზავნა თავისი მომხრეები ახლო-მახლო საბანაკო სადგომებში. როდესაც იგი ამათაც მოელაპარაკა, გათენებისთანავე ჯერ რომაელმა მოღალატეებმა ღალატეს სამხედრო ყიჟინა და მათ ხმა მისცეს აგრეთვე იმ სადგომებმა, რომლებიც მახლობლად იდგნენ. ფლოტიდანაც ასეთივე ხმაურით უპასუხეს... ხმაურზე გამოღვიძებულმა მითრიდატემ გაგზავნა გამოსარკვევად. რა სურდათ მათ. მათ კი დაუფარავად განუცხადეს: „გესურს მეფედ იყოს მისი ვაჟი ახალგაზრდა, ნაცვლად მოხუცისა, რომელიც საშურისთა ნებასურვილებს მისდევს და, რომელმაც მრავლად დახოცა თავისი შვილები, წინააღმძღოლები და მეგობრები.

„ამის გამგონე მითრიდატე გამოვიდა მათთან მოსალაპარაკებლად. მისი პირადი გვარდიის დიდი ნაწილი რომაელ მოღალატეთა მხარეზე გადავიდა. ამათაც უარი უთხრეს მიღებაზე. ვიდრე ისინი (გვარდიელები) ერთგულების დასამტკიცებლად არ ჩაიდენდნენ რაიმე გამოსაწორებელს, მითრიდატეს წინააღმდეგ ასამხედრებელს. და აი, მათ მოასწრეს მითრიდატეს ცხენის მოკვლა, როცა იგი გაქცევას აპირებდა, და როცა თავს გამარჯვებულად თვლიდნენ, ფარნაკე მეფედ გამოაცხადეს. ვიღაცამ ტაძრიდან გამოიტანა ბრტყელი ღერო და გვირგვინის ნაცვლად ამით შეამკეს ფარნაკე. ყველაფერს ამას მითრიდატე ხედავდა მაღალი, ღია ადგილიდან და ერთი მეორეზე გზავნიდა კაცებს ფარნაკესთან და მოითხოვდა თავისუფლად და უვნებლად წასვლის უფლებას. რაკი გაგზავნილთაგან უკან აღარავინ ბრუნდებოდა, იგი შეშინდა, არ გადაეცათ რომაელთათვის და შეაგულიანა თავისი პირადი მცველები და მეგობრები, რომლებიც ჯერ კიდევ მასთან იყვნენ, გაუშვა ისინი ახალ მეფესთან: ზოგი მათგანი ჯარმა დახოცა გაუგებრობის ნიადაგზე. თვითონ მითრიდატემ გახსნა ის შხამი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა ხმალ-ქარქაშთან ერთად და დაუწყო განზავება. მაშინ მისმა ორმა ქალმა... მითრიდატისამ და ნისამ, — რომელთაგან ერთი ეგვიპტის მეფეზე და მეორე კვიპროსის მეფეზე იყვნენ დანიშნულნი, განაცხადეს, რომ ჯერ ისინი დალევდნენ შხამს, ამას ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ და მანამ უშლიდნენ ძამას შხამის დალევას, სანამ თვითონ არ დალიეს იგი. შხამმა დაუყოვნებლივ იმოქმედა მათზე, ხოლო მითრიდატეზე მიუხედავად იმისა, რომ იგი განგებ დადიოდა წინ და უკან — შხამი არ მოქმედებდა, რადგან მიჩვეული იყო შხამსაწინააღმდეგო წამლების სისტემატურ მიღებას. (ამ შხამს ახლაც „მითრიდატეს საშუალება“ ეწოდება). მითრიდატემ დაინახა ვინმე ბიტოიტი, გალების ჯარის უფროსი და უთხ-

რა მას: „დიდ დახმარებას მიწევდა შენი ხმალი ომში, მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება იქნება ჩემთვის, თუ ახლა შენ მე სიცოცხლეს მომისპობ; მე ხომ მელის საფრთხე იმისა, რომ ტრიუმფალურ სვლაში გამატარებენ, მე რომელიც ასე დიდხანს ვიყავი ამ ქვეყნის თვითმპყრობელი მეფე! მე ვერა მკლავს შხამი იმის გამო, რომ მე უგუნური. თავის დაზღვევისათვის, წინასწარ ვიღებდი თავის დაცვის საშუალებებს სხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის. შვილებისა და მეგობრების ღალატი მე ვერ გავითვალისწინე, მე, რომელმაც გავითვალისწინე ყოველგვარი შხამსაწამლავი საჭმლის მიღების დროს და მოვახერხე მათგან თავის დაცვა“. ბიტოიტს შეებრალა მეფე, რომელიც ასეთ შველას საჭიროებდა და შეასრულა „თხოვნა“[1].

ასე დაიღუპა მითრიდატე ევპატორი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო იერიშებზე მიჰყავდა თავისი პატარა სამეფო რომის იმპერიალისტური ვეშაპის წინააღმდეგ. „გმირების სიკვდილი მზის ჩასვლას ჰგავს, და არა ბაყაყის სიკვდილს, რომელიც გაჭინთვით გასკდა“[2]. „აღმოსავლეთის ჰანიბალმა“ თვითმკვლელობაც ჰანიბალსავით სცადა, მაგრამ ბრძოლებში გულადობით და სიკისკასით შეუდარებელი ტიტანი საკუთარი სიცოცხლის უკანასკნელი წუთების გასანადგურებლად იძულებული გახდა. გაიუს გრაკხუსის მსგავსად, გაბედულებას თავის ერთგულ მსახურს დასესხებოდა.

მოკვდა მითრიდატე მეექვსე და სამარეში თან ჩაიყოლა პონტოს ძლევამოსილების მშვენიერი ისტორია. მას შემდეგ რომის იმპერიის ძლიერი მახვილი შემხუთველად ებჯინება აღმოსავლეთს, რომელსაც უკვე აღარა ჰყავს თავგანწირული მოსარჩლე. უფრო გვიან, ნიკოპოლისთან დომიციუს კალვინიუსის სასტიკი მარცხი და ფარნაკე მითრიდატეს ძის ბრწყინვალე გამარჯვება რომაული იმპერიალიზმის წინააღმდეგ პონტოს უკანასკნელი გაბრძოლება — მისი გედის სიმღერა იყო. მოვიდა კეისარი და პონტოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც რომაული ექსპანსიის ბრჭყალებში სასიკვდილოდ გაირინდა...

3. პომპეუსის ლაშქრობა სომხეთში

იმ ორი წლის განმავლობაში, როცა მითრიდატე ევპატორი ახალი ლაშქრობების მზადებაში თავის აღსასრულს უახლოვდებოდა, სამხრეთში — ამიერკავკასიაში, რომაულ-აღმოსავლურ ურთიერთობის ისტორიაში ახალ-ახალი ფურცლები იშლებოდა.

[1] App. Mithr. 110—111.

[2] მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, 1937, 2.

პომპეუსმა სცადა განეგრძო დამარცხებული მითრიდატეს დევნა, მაგრამ როცა მეფემ კოლხეთისაკენ გადაუხვია, თავი მიანება და პონტოსთან ომიც დამთავრებულად ჩასთვალა. მან პონტოს სახელმწიფო მთლიანად ჩაიბარა და მასთან ბრძოლის დამთავრებისა და მითრიდატეზე საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად, უკანასკნელი ბრძოლის ადგილზე დააარსა ქალაქი ნიკოპოლისი. რომაელმა სარდალმა, პირველ ყოვლისა, იქ დაასახლა დაჭრილი და ხანდაზმული მეომრები; მათთან ერთად, ახლად დაარსებულ ქალაქში ბევრი ახლო-მახლო მცხოვრებლებიც დასახლდნენ.

ნიკოპოლისის დაარსება აღმოსავლეთში რომის გაბატონების თავისებურ ხერხთა ერთი კონკრეტული გამოვლენა იყო. ასეთი ქალაქები პროვინციებში რომაელთა ბატონობის დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან რომის ურთიერთობათა კომპლექსის ორი ძირითადი საკითხი — პართიასთან ურთიერთობა და პონტოს შემოერთება — რომაელებმა უკვე გადასჭრეს. დღის წესრიგში ხელახლა ედგა სომხეთის საკითხი.

სანამ პომპეუსი მითრიდატეს დასდევდა და პონტოს იპყრობდა, მანამ სომხებსა და პართიას შორის ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა. ბუნებრივია, ამის ხელშემწყობი მიზეზები რომაელ-პართიელთა შორის ახლახან დამყარებული კავშირი და ტიგრან მრწემის ღალატი იყო. ფრაატი და სომეხი უფლისწული სომხეთში შეიჭრნენ და არატაქსატას მიადგნენ. ტიგრანმა მიატოვა ქალაქი და მთებს მიაშურა. პართიელებმა ალყა შემოარტყეს სომეხთა სატახტოს, მაგრამ რაკი მისი აღება ხანგრძლივ ალყას მოითხოვდა, ფრაატმა არტაქსატას კედლებთან დატოვა ტიგრან მრწემი, ხოლო თვითონ ქტესიფონში დაბრუნდა. ამით ტიგრან მეორემ ისარგებლა და სწრაფად დაამარცხა თავისი ძე. დამარცხებულმა უფლისწულმა სიმამრთან დაბრუნება ვეღარ გაბედა და თავის ბაბუა მითრიდატეს მიაშურა. მაგრამ როცა შეიტყო, რომ დამარცხებული მითრიდატე თვითონ საჭიროებდა დახმარებას, იგი გაიქცა პომპეუსთან და ქორჩილება გამოუცხადა მას.

პომპეუსმა ამ ახალი ბედნიერი შემთხვევითაც კარგად ისარგებლა. — სომეხი უფლისწული მეგზურად აიყვანა და არტაქსატასაკენ დაიძრა (66 წელი).

ტიგრანმა დაინახა, რომ მისი ქვეყნის შიგნით შემოჭრილ და სატახტო ქალაქთან მოახლოებულ რომაულ ლეგიონთა წინააღმდეგ გამოსელა ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანდა. ყოველწუთს მოსალოდნელი იყო პართიელების შემოჭრაც. ტიგრანს უნდა ეფიქრნა, რომ პომპეუსი და ფრაატი ერთდროულად შეევიდოდნენ არტაქსატაში და, მო-

ღალატე შვილთან ერთად, გაიყოფდნენ მის სამფლობელოს, არტაქსატა მათი შესაკრები პუნქტი უნდა ყოფილიყო. ამიტომ მან სომხეთის სამეფო ტახტ-გვირგვინის შენარჩუნების მიზნით გადაწყვიტა თავი ეცნო რომის ვასალად. საინტერესო კიდევ ის არის, რომ ტიგრანს პომპეუსის წინაშე მორჩილებისაკენ უბიძგებდა ამ უკანასკნელის ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ებ რ ი ვ ი რ წ მ უ ნ ე ბ ა ნ ი, როგორიც არ ჰქონდა ლუკულუსს ან სხვა რომელიმე რომაელ სარდალს. როგორც მალე მათი შეხვედრიდან გამოირკვა, ამპარტავანი და ამაყი „მეფეთა მეფე“ სამარცხვინოდ არ თვლიდა დამორჩილებოდა ისეთ კაცს, რომლის „ბედმაც ყველა მოკვდავთ გადააჭარბა“. ე. ი. ტიგრანის დესპოტური თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა არ შეილახებოდა, თუ იგი დაემორჩილებოდა პომპეუსს, რომელიც თ ა ვ ი ს ი ა ხ ა ლ ი ს ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი თ ა ღ ჭ უ რ ვ ი ლ ი, ყველა მანამდე სახელოვან რომაელ სარდლებზე მ ა ღ ლ ა ი დ გ ა. მხოლოდ ასეთი იმპერატორი (დიახ, იმპერატორი, მხოლოდ იგი!) უნდა ყოფილიყო „მეფეთა მეფის“ ბადალი და ღირსეული მეტოქე. ასეთ მეტოქეობაში მარცხი ტიგრანისათვის უფრო ნაკლებ სათაკილო იყო, ვიდრე უფლებააყრილი ლუკულუსის წინაშე.

ტიგრანმა ელჩები გაგზავნა პომპეუსთან და მათ თან გააყოლა მითრიდატეს კაცები, რომლებიც შეპყრობილი ჰყავდა. ამით მან ნიადაგი მოამზადა პომპეუსთან უფრო ლოიალური ზავის მისაღწევად. როცა პომპეუსი არტაქსატას მიუახლოვდა, ტიგრანმა იქ რომაელთა გარნიზონი მიიღო. პომპეუსმა ბანაკი დასცა არტაქსატადან 16 მილის მანძილზე.

ტიგრანი რომაელი სარდლის წინაშე გამოცხადდა და მისი ტახტის წინ გვირგვინმოხდილი აღმოსავლური წესით დაემხო. პომპეუსმა იგი გულთბილად და დიდსულოვნებით მიიღო, კვლავ მორთო იგი სამეფო ინსიგნიებით და დასვა სავარძელზე თავის გვერდით.

ტიგრანმა აღიარა პომპეუსის უფლებები სომხეთის მიმართ და განაცხადა, რომ ის არ თაკილობს მორჩილებას ისეთი კაცის წინაშე, რომელსაც სიძლიერითა და ძალაუფლებით ტ ო ლ ი ა რ ა ჰ ყ ა ვ ს.

მწარედ გაუცრუვდა იმედი ტიგრან მრწემს, როცა პომპეუსმა მის მეფე-მშობელს უთხრა: შენ არამცთუ სომხეთის მეფობა არ დაგიკარგავს, არამედ რომაელთა მეგობრობაც კი მოიპოვეო.

ზავი ასეთი პირობებით გაფორმდა:

ტიგრანს სომხეთის სამეფო რჩებოდა იმ საზღვრებში, რომელშიც მან იგი ჩაიბარა ტახტზე ასვლისას; ე. ი. ერთმეოდა და რომაელებს გადაეცემოდა სირია, ფინიკია, კილიკიის ნაწილი, გალატია, კაპადოკია, ტიგრანს რომაელთა სასარგებლოდ უნდა გადაეხადა სამხედრო კონტრიბუცია 6.000 ვერცხლის ტალანტის რაოდენობით; საჩუქრების სა-

ხით უნდა დაერიგებინა ყოველი რომაელი ჯარისკაცისათვის 150 დრაქმა, ყოველი ცენტურიონისათვის 1000 დრაქმა და ყოველი საცხედრო ტრიბუნისათვის თითო ტალანტი. პომპეუსს არ შეეძლო დაევიწყებინა მის წინაშე ტიგრან მრწემის დამსახურებაც, აწიტომ მას სამმართველოდ გადასცა სოფენა და გორდიენა, აგრეთვე იგი რჩებოდა სომხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრედ მოხუცი ტიგრანის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ, ზავის პირობებით ყველაზე უფრო ნაწყენი ტიგრან მცირე რჩებოდა. ის ადრე, პომპეუსის ბანაკისაკენ მიმავალი, სრულიად დარწმუნებული იყო, მამისადმი ღალატისა და რომაელთადმი მიმხრობის წყალობით სომხეთის მბრძანებელი შეიქნებოდა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მისი იმედები გაცრუვდა. მართლაც და, რატომ უნდა მომხდარიყო ასე? თუ კი სომხეთში მეფობის გაუქმება აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მაშინ ვინ უნდა ყოფილიყო ვასალური სომხეთის მეფე, თუ არა ტიგრან მრწემი, რომელმაც საქმით დაამტკიცა რომაელთადმი ერთგულება? რატომ უნდა დარჩენილიყო მეფედ ტიგრან უფროსი, რომელმაც ამდენი ვნება მიაყენა აღმოსავლეთში რომაული იარაღის წარმატებას?

ჭაბუკი ტიგრანისადმი პომპეუსის უმადურობა, პირველყოვლისა, პართიასთან მისი ურთიერთობით უნდა აიხსნას. ახალგაზრდა უფლისწულის ძალაუფლებისმოყვარეობა, მისი მერყეევი ხასიათი და პართიის მეფესთან ნათესაურ-მოყვრული დამოკიდებულება არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მისი გამეფების შემთხვევაში, რომის აღმოსავლური მონაპოვრები საფრთხის წინაშე არ დადგებოდა. ყოველთვის მოსალოდნელი იქნებოდა, რომ სომხეთისა და პართიის მეფეები ერთმანეთს მხარს მისცემდნენ რომის წინააღმდეგ ომის წამოწყებაში. ამიტომ რომაელთათვის უფრო საიმედო ისევ ტიგრან უფროსი იყო. ტიგრანი არავისთან აღარ იმყოფებოდა კავშირში. ის მტრულად იყო განწყობილი მითრიდატესთან, ფრაატისა და საკუთარი შვილის მიმართაც კი. ასე რომ, ტიგრანი აღმოსავლეთში რომაელთა წინააღმდეგ რაიმე კოალიციის ხელისშემშლელი იქნებოდა და არა ხელისშემწყობი. ამ პერიოდში, როცა სომხეთი ძალზე დაუძლურდა და პართია გაძლიერდა, რომაული დიპლომატია ჩვეული ტაქტით ცვლის ამ ქვეყნებისადმი დამოკიდებულების კურსსაც. სანამ სომხეთი საშიში იყო, რომაელები მის წინააღმდეგ პართიას უკავშირდებოდნენ, ხოლო ახლა, როცა პართია გაძლიერდა, უფრო ხელსაყრელი ხდება კავშირი სომხებთან, პართიის წინააღმდეგ. სომეხ მოკავშირედ რომაელებს ახლა უფრო ტიგრან უფროსი გამოადგებოდათ, ვიდრე პართიის სასახლის კარზე გაშინაურებული სომეხი უფლისწული.

ტიგრან მრწემმა რომაულ-დიპლომატიურ ღონისძიებათა წინააღმდეგ გალაშქრება სცადა. მან უარი განაცხადა მამისათვის დაეთმო

სოფენაში შენახული განძეულობა, საიდანაც ტიგრან მეფეს კონტრიბუცია უნდა გადაეხადა პომპეუსისათვის. ამის გამო, რომაელი სარდლის ბრძანებით გაურჩებულ უფლისწულს განძი მთლიანად ჩამოერთვა, ხოლო თვითონ მას ბორკილები დაადვეს და შეუერთეს ძვირფას ტყვეთა რიცხვს. რომელსაც უნდა დაემშვენებია პომპეუსის ტრიუმფი რომში. მართალია, ფრაატმა სცადა გამოსარჩლებოდა თავის სიძეს, თანაც მოითხოვა რომსა და პართიას შორის საზღვრების გადასინჯვა, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. პომპეუსმა უპასუხა, რომ პართიასთან შეკავშირებაზე და უფლისწულზე უფლება აქვს მაშას და არა არამკითხე ფრაატს. ჩანდა, რომ პართიასთან შეკავშირებაზე და მშვიდობიან შეთანხმებაზე ლაპარაკი დამთავრებული იყო.

სომხეთის ნომინალურ-ფორმალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებას პომპეუსისათვის კიდევ სხვა მხრივაც ჰქონდა მნიშვნელობა. პომპეუსი ემზადებოდა ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილების დასალაშქრავად და მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა, ზურგში დამონებული და მტრულად განწყობილი ქვეყანა ჰყოლოდა. მან უთუოდ იცოდა, რომ ლუკულუსთან ბრძოლებში სომხების გვერდით მათი ჩრდილოელი მეზობლებიც იბრძოდნენ. მოსალოდნელი იყო, სამაგიეროდ სომხებსაც ძმური ხელი გაეწოდებინათ თავისი მეზობლებისათვის იმ დროს, როცა რომაელები სომხეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაიბრიბოდნენ. ამიტომ თუ პომპეუსს სურდა, ქართველთა მიწაწყალზე ლაშქრობისას სომხეთიდან ზურგში მახვილი არ დასცემოდა, არ უნდა დაეშვა კავკასიელი ხალხების — სომხების, ალბანელების, იბერიელებისა და კოლხების გაერთიანება. ამ მიზნის მიღწევა პომპეუსს კვლავ divide et impera-ს საშუალებით შეეძლო. ამიერკავკასიის ხალხების გასათიშავად პომპეუსმა ჩვეულებრივ რომაულ დემაგოგიას მიმართა: სომხეთი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ტიგრანი გრძნობდა ამ იძულებითი „მეგობრობის“ ნამდვილ შინაარსს, მაგრამ ქვეყნის დამოუკიდებლობის სრულ დაკარგვას ისევ ნაბრძანები „მოკავშირეობა და მეგობრობა“ სჯობდა. ამ გზით პომპეუსმა იბერია-კოლხეთში ლაშქრობისას სომხეთის მხრივ არამარტო ნეიტრალურ პოზიციას მიაღწია, არამედ ტიგრანისაგან საჭირო დახმარების აღთქმაც მიიღო. საომარი მარაგისა და ფულის სახით.

4. პომპეუსის ლაშქრობა იბერია-კოლხეთსა და ალბანეთში

როგორც ვნახეთ, პომპეუსმა მითრიდატესთან ომი დამთავრებულად ჩასთვალა. განადგურებული მეფე ისეთი საშიში აღარ სჩანდა,

რომ მისი დევნისათვის რომაელებს ძლიერი მეომარი ტომების წინააღმდეგ ბრძოლებში ახალი დიდი მსხვერპლი გაეღოთ. ევპატორს აღარც არმია ჰყავდა, აღარც მოკავშირეები და მეგობრები; მას ყველგან მტრულად ხვდებოდნენ; ბოსფორის სამეფოც მის მოღალატე შვილს ეპყრა და ზღვებზე გასაქცევი გზებიც რომაული ფლოტით იყო ჩაკეტილი. პომპეუსს ყოველგვარი გარანტია ჰქონდა იმისა, რომ მითრიდატემ სამუდამოდ დატოვა რომთან ხანგრძლივი ომების ასპარეზი.

მაგრამ პომპეუსს არ სურდა, მარტო პონტოს შემოერთებითა და სომხეთის დაყმევებით დაესვა ზღვარი აღმოსავლეთში რომაული ექსპანსიისათვის.

რომში საშინელი განგაში ატყდა, მაშინ როცა ლუკულუსი არ შეჩერდა და პონტოს აღმოსავლეთ საზღვართან ახალი ომი წამოიწყო სომხეთის წინააღმდეგ. ეს მოგანგაშენი მსხვილი ფინანსისტებისა და მექრთამე-მევახშეებისაგან მოსყიდული დემაგოგები იყვნენ. მაგრამ განა ეს „სასტიკი, ფულხარბი ვიგინდარები" სომხეთისა და საერთოდ ახალი ქვეყნების დაპყრობის წინააღმდეგნი იყვნენ? რა თქმა უნდა. არა. პირიქით, ისინი სწორედ იმიტომ ებრძოდნენ სენატს, რომ ის საგარეო პოლიტიკის გააქტიურებაში დიდ უნარს ვერ იჩენდა და ბორკავდა ახალი ბაზრებისა და ეკონომიური ძარცვა-გლეჯის ასპარეზთა გაფართოების საქმეს. სომხეთთან ომის დაწყების უარყოფითობის დასურათება მათ მხოლოდ არისტოკრატ ოპტიმატი ლუკულუსის დასამარცხებლად სჭირდებოდათ. ხოლო როცა მათმა კანდიდატმა „აღმოსავლეთში ლუკულუსის წარმატებანი მიითვისა" და სომხეთმაც თავი რომის ვასალად სცნო, დაისვა საკითხი: შეჩერდეს, თუ არა აქ პოპულარების სარდალი და მოახდინოს მხოლოდ მიღწეულის შემომტკიცება? დაპყრობილი იყო პონტო, დამორჩილებული იყო სომხეთი, მაგრამ ეს ქვეყნები დაუძლურებულნი იყვნენ ოპტიმატთა სარდლის მიერ ჩატარებული ხანგრძლივი ბრძოლებით. განა მარტო იმისთვის დაირღვა რესპუბლიკის კონსტიტუცია ასეთი უჩვეულო მაგისტრატურის შექმნით, რომ მხოლოდ გვირგვინი დაედგა მისი წინამორბედის მიღწევებისათვის? არა, საჭირო იყო ახალი ქვეყნების დაპყრობით ახალ მაგისტრატს ეჩვენებინა თავის რწმუნებათა შესაძლებლობანი და ყოვლისმძლეობანი. საჭირო იყო პომპეუსს სახელოვანი ლაშქრობებით გაეცამტვერებინა რომში მოარული აზრი იმის შესახებ, რომ ლუკულუსი მემკვიდრით შესცვალეს უფრო ტრიუმფისთვის ვიდრე ომისთვისო. პომპეუსს უნდა გაემართლებინა რომის ხელისუფლების სათავეში მოსული პოპულარების მიერ დაკისრებული ამოცანები, რომ ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, დაესაბუთებინათ ოლიგარქიული კონსტიტუციის სიდამპლე და საიმპერატორო, „ტირანული",

ცენტრალიზებული ძალაუფლების ყოვლისშემძლეობა. მაგრამ ეს საკითხის მორალურ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

პომპეუსის ახალ ლაშქრობას ძირითად მამოძრავებელ ძალად ეკონომიური მისწრაფებები ჰქონდა.

აღმოსავლეთში პომპეუსის ლაშქრობა უმთავრესად იმ სოციალური ფენების ეკონომიურ ინტერესებს ემსახურებოდა, რომლებმაც ის ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვეს. მცირე აზიისა და წინააზიის ბაზრები და სავაჭრო გზები უკვე რომაელთა ხელში იყო. პომპეუსის ფლოტმა სრუტეები და მთელი პონტოს ზღვა ხელში ჩაიგდო. ახლა რომაული ბატონობის ორბიტის გარეთ რჩებოდა ის საავაჭრო მაგისტრალი, რომლის ცენტრალური ნაწილიც საქართველო-ალბანეთის გავლით ინდოეთისაკენ მიემართებოდა. ამ გზას რომაელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც პართიის ძლიერმა სახელმწიფომ თავისი საზღვრები გადასჭიმა ინდოეთიდან ევფრატამდე და კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე და ჩაკეტა ინდოეთისაკენ მიმავალი სამხრეთული გზები. პომპეუსის ახალი ლაშქრობის ერთ-ერთ წინასწარ განზრახულ მიზანთან უნდა იყოს უთუოდ დაკავშირებული პლინიუსის წიგნიდან მოყვანილი ცნობა[1], „პომპეუსის ლაშქრობის დროს გამორკვეული იქნა, რომ ინდოეთიდან შვიდ დღეში შეიძლება ბაქტრიაში ჩასვლა მდინარე ბაქტრთან, რომელიც ოქსს ერთვის, და ამ მდინარიდან კასპიის ზღვით გადასვლა მდინარე მტკვრამდე და ინდოეთის საქონელი დიდი-დიდი ხუთი დღის განმავლობაში ხმელეთის გზით შეიძლება მიტანილი იქნას პონტოს ფასისთან“. არც ის ფაქტი უნდა აიხსნას პომპეუსის უბრალო ცნობისმოყვარეობით, რომ კოლხეთში ლაშქრობისას ის მეტისმეტი სიბეჯითითა და გულისყურით სწავლობდა იმ ქვეყანას, საითაც ოდესღაც გზა გაუკაფავს ლეგენდარულ არგონაველებს. პომპეუსს წინასწარ სცოდნია ყველაფერი დიოსკურების, ჰერაკლესა, არგონაველებისა და საყოველთაოდ ცნობილი ოქროს საწმისის შესახებ. ის უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევდა თავის თანამემამულე „იმპერიალისტებს“ თუ კი ამ ლეგენდარულ „ოქროს ქვეყანას“ მათი ეკონომიური დამონების ბრძოლებში მოაქცევდა. ამით ინდოეთიდან მომავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საავაჭრო მაგისტრალი შეუერთდებოდა მაშინდელ „მსოფლიო ურთიერთობის დიდი წყლის გზას“ (ხმელთაშუა ზღვა), რომელიც უკვე დიდი ხანია რომაელებს ეკუთვნოდა. ყოველგვარი სიმდიდრეები საუსე ქვეყნები, ძარცვისა და ხალხთა მონად წარტყვევნის ასპარეზად უნდა ქცეულიყვნენ.

ამრიგად, ამიერკავკასიის მხარეში პომპეუსის გალაშქრება რომის ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული სოციალური ფენების ეკო-

---

[1] Plin. Nat. Hist. VI, 52.

ნომიური გამდიდრების, ახალი ბაზრების, სავაჭრო გზების, ხალხთა დატყვევებისა და დამონების ენებააღძრულ მისწრაფებათა ნაყოფი იყო. მაშ, ლაშქრობის მიზეზები უმთავრესად ეკონომიური ხასიათისა იყო. მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა მითრიდატეს შეპყრობის იურიდიული საბუთი და თვითონ პომპეუსის პატივმოყვარეობა.

პომპეუსმა 66 წლის შემოდგომის მიწურულს, ლეგატ აფრანიუსის სარდლობით სომხეთში სამეთვალყურეოდ დასტოვა თავისი არმიის ერთი ნაწილი. თვითონ მთავარსარდალი დანარჩენი ძირითადი ძალებით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ. რომაელები გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ მტკვრის ზემო წელზე. აქ მათ თავს დაესხნენ ალბანელები მეფე ოროისეს მეთაურობით, მაგრამ დამარცხდნენ და დაზავება ითხოვეს. პომპეუსმა ალბანთა ქვეყანაში შეეჭრა ნაადრევად ჩასთვალა და სამშვიდობო წინადადებაზე დათანხმდა.

65 წლის გაზაფხულზე რომაელები მტკვრის ხეობით შევიდნენ იბერთა მიწა-წყალზე. ამ დროს იბერიაში მეფობდა არტაგი. იბერთა მეფემ დესპანები გაუგზავნა და მეგობრული ურთიერთობის დამყარება შესთავაზა პომპეუსს. მაგრამ, როგორც ეტყობა, არტაგს პომპეუსის მხრივ დაზავებაზე ნაკლები იმედი ჰქონდა და მოლაპარაკების პარალელურად ჯარების შეკრებასა და საომარ სამზადისს შესდგომია. ჩანს, პომპეუსი ამ დროს ალბანელებზე სარევანშოდ ემზადებოდა, მაგრამ, როცა შეიტყო არტაგის გამალებული სამზადისის შესახებ, ალბანელებზე გალაშქრება გადადო და გადაწყვიტა მოულოდნელად დასხმოდა თავს იბერიელებს.

რომაელები არტაგისათვის სრულიად მოულოდნელად მიადგნენ მტკვართან მდებარე სატახტო ქალაქს, რომლის მახლობლად იმყოფებოდა ბუნებრივი სიმაგრეებით კარგად დაცული აკროპოლისი გარმოზიკა (არმაზ-ციხე). არტაგმა ვერ მოასწრო ჯარების გამოყვანა, ქალაქი დამცველებს მიანდო, თვითონ მტკვარზე ეავიდა და ხიდი დასწვა, რომ ამით მდინარის მარცხენა მხარეზე რომაელთა გადასვლა შეფერხებულიყო. რომაელებმა იბერიის სატახტო ქალაქი და მისი აკროპოლისი ხელთ იგდეს. ამგვარად, პომპეუსი დაეუფლა ქალაქს, რომელიც ალბანეთისაკენ და სომხეთისაკენ გასასვლელი მოხერხებული გზების გასაღებად ითვლებოდა. აქ რომაელმა სარდალმა გარნიზონი ჩააყენა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროების დაპყრობას მიჰყო ხელი. როცა ეს საქმე მოათავა, დააპირა მტკვრის გადალახვა და იბერიის დანარჩენი ნაწილების დამორჩილება. არტაგი იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება განეახლებია. მეფე მეგობრობას თავაზობდა პომპეუსს; თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ხიდის აგებას პირდებოდა. მეფემ დანაპირები შეასრულა, მაგრამ პომპეუსი ქვეყნის სრულიად დასამორჩილებლად იყო მოსული და მაინც

გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. არტაგი გენერალურ ბრძოლას კვლავ განერიდა, მდინარე პელორზე გადავიდა და ხიდი აქაც დასწვა. რომაელები მდინარის გადალახვას შეუდგნენ; იბერიელები მტერს შედგრად შეებრძოლნენ, მაგრამ დიდი მსხვერპლის ფასად იძულებული გახდნენ უკან დახევა დაეწყოთ. ისინი ტყე-ღრეებში გამაგრდნენ და პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდნენ. იბერიელები მაღალ ხეებზე საფრდებოდნენ და მტერს მიზანაუცდენლად უშენდნენ ისარს; ხშირი ტყეებიდან მოულოდნელად გამოიკრებოდნენ, მტერს ბიესეოდნენ და კვლავ ელვისებურად გაუჩინარდებოდნენ. მაშინ რომაელებმა ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს. ასეთი „სტრატეგემის" მეოხებით მათ მოახერხეს თავგანწირული იბერი პარტიზანების განადგურება.

არტაგმა ისევ გაგზავნა დესპანები პომპეუსთან ზავის სათხოვნელად. გულხარბ რომაელს მიართვეს არტაგისაგან გამოგზავნილი უძვირფასესი ძღვენი — ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი და ოქროს მაგიდა. მაგრამ პომპეუსი იბერთა მეფის ერთგულებას სრულებით აღარ ენდობოდა და ამიტომ მძევლებად არტაგის შვილები მოითხოვა. მეფე პასუხს აგვიანებდა, მაგრამ როცა ზაფხულის სიცხიან დღეებში პელორის წყალმა დაიკლო და რომაელები მასზე გადასვლას შეუდგნენ. იგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველყო, პომპეუსმა არმია კოლხეთისაკენ დაძრა. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და დაეშვნენ მდინარე ფასისის ხეობაში. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგსაც იარაღის ძალით იმორჩილებდნენ. ასე მიაღწიეს ქალაქ ფასისს, სადაც პომპეუსს მიეგება მის მიერ ზღვების სადარაჯოდ გამოგზავნილი ნავარქი სერვილიუსი. მისგან პომპეუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე ამა წლის (65) გაზაფხულზე კოლხეთიდან ბოსფორში გაიქცა. საბაბი, რისთვისაც რომაელი დამპყრობელი თავის ლაშქრობას ამართლებდა, ადგილზე აღარ არსებობდა, მაგრამ მას ახლა აღარავითარი საბაბი აღარ სჭირდებოდა. ქვეყანა უკვე დალაშქრული და დამარცხებული იყო.

პომპეუსმა, — „ივარაუდა რა, რომ იგი ვერასოდეს ვერ შეძლებდა შემოეველო ირგვლივ პონტოსათვის ან მეოტიდისათვის, და ლტოლვილი მითრიდატეც ვეღარ გაბედავდა რომელიმე დიდი ოპერაციის დაწყებას", გადაწყვიტა ეს წელი მოენდომებინა ამ ლეგენდარული ქვეყნის სრული დამორჩილებისათვის. მან ფასისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ. პლუტოკრატიის სარდალს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ნაწილაკები და გრძელბეწვიანი ტყავებით ამ ოქროს შეგროვების წესი. მაგრამ რომაელები, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ. მით

უფრო მარცხდებოდნენ მამაც მთიელ ტომებთან ბრძოლებში. პომპეუსი იძულებული შეიქნა შემდგომ წინსვლაზე უარი ეთქვა. მან დაპყრობილი კოლხეთი სამმართველოდ გადასცა ვიღაც არისტარქეს. ზღვების მეთვალყურეობა ისევ სერვილიუსს დაავალა და თვითონ ალბანეთის წინააღმდეგ დაიძრა.

პომპეუსს უნდოდა ალბანეთსაც ისე მოულოდნელად დასხმოდა თავს, როგორც იბერიელებს. იგი გაემართა ალბანელებისაკენ არა უმოკლესი გზით, არამედ სომხეთის გავლით, რათა იქედან, სამხრეთიდან, მოულოდნელად შეეჭრილიყო ამ უცხო ქვეყანაში.

კოლხეთიდან სომხეთისაკენ მიმავალ გზაზე მესხეთის მთებზე ძცხოვრებმა ჰეპტაკომეტებმა (შკვითინები, მოსინიკები) პომპეუსს სამი რაზმი ამოუჟლიტეს. სტრაბონის ცნობით[1], მათ გზაზე გამოფინეს ოაფლი, რომლის მიღების შემდეგ რომაელები გაბრუვდნენ და ამიტომ მათი დამორჩილება ადვილი შეიქნა

სომხეთიდან პომპეუსი გაემართა ჩრდილოეთით და მიადგა მდინარე მტკვარს, დღევანდელი ყაზახისა და აღსტაფის მახლობლად. მდინარის მარცხენა ნაპირი მტერს გაემაგრებინა მაღალი ხის ღობურებით, რის გამოც რომაელებმა ძლივს მოახერხეს მეორე ნაპირზე გადასვლა. რომაელები რამდენიმე დღის განმავლობაში მიემართებოდნენ სიცხიან და უწყლო კამბისენეს ველზე. მერე, დიდი გაჭირვებით, მიადგნენ მდინარე კამბისეს (იორი); აქედან, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, გაეშურნენ აბანტისაკენ (ალაზანი). აქ პომპეუსმა მიიღო ცნობა, რომ ახლოვდება ალბანთა მეფე ოროისე, 60.000 ქვეითი მეომრითა და 12.000 ცხენოსნით.

ეტყობა პომპეუსს გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია ჰყოლია, ვიდრე მოწინააღმდეგეს. ამიტომ რომაელმა სარდალმა იმისათვის, რომ მტერს მისი რიცხობრივი უპირატესობა არ შეემჩნია და ბრძოლას არ მორიდებოდა, შემდეგნაირ ხერხს მიმართა: ფრონტის წინა ხაზზე განალაგა მთელი თავისი კავალერია და უბრძანა მას, როგორც უნდა ემოქმედნა ბრძოლის დაწყების დროს; მის უკან ფარებს ამოფარებული ქვეითი ჯარები დამალა დაჩოქილ მდგომარეობაში, რათა ისინი მტერს ვერ შეემჩნია. როგორც კი ალბანელებმა რომაელთა კავალერია შენიშნეს, მაშინვე ეკვეთნენ მას. ამ უკანასკნელებმა პომპეუსის მითითების თანახმად, უმალვე მტერს ზურგი აქციეს და მათ უკან ჩასაფრებულ ლეგიონებს გზა გაუხსნეს. მტრის „გაქცევით“ გულმოცემულსა და შეუკავებლად გამოქანებულ ალბანთა ლაშქარს უეცრად წინ აღემართა რომაელთა მრისხანე ლეგიონები. მრავალ ბრძოლაში ნაწრთობი და მშვენივრად შეიარაღებული რომაელები ად-

[1] Str. XII. 3, 16.

ვილად სძლევდნენ მხეცთა ქურქებში გახვეულსა და მყიფე შუბებისამარად მებრძოლ გულად ვაჟკაცებს. ასე ამაოდ ჩაუარა ალბანთა მეფის ძმას, კოსისს, პომპეუსის მტკიცე ფარფლებიან აბჯარზე შუბის ძგერებამ: იმპერატორის ბასრმა იარაღმა დასცა იგი ძირს. რომაელმა მხედრებმა ფალანგებიდან დაჰკრეს ოროისეს ლაშქარს. ალბანელები საბოლოოდ დამარცხდნენ.

პომპეუსს განზრახული ჰქონდა კასპიის ზღვამდე მისულიყო. სამი დღის განმავლობაში მიიწევდა წინ ამ მიმართულებით, მაგრამ სიცხეებისაგან, უწყლობისაგან და შხამიან ქვეწარმავალთა სიმრავლისაგან შეძრწუნებულმა მეომრებმა უარი განაცხადეს შემდგომ წინსვლაზე.

პომპეუსი იძულებული გახდა ზავი დაედო ალბანთა მეფესთან. ამავე დროს მან ხელშეკრულება დასდო კასპიის ზღვის სანაპიროებთან მცხოვრებ სხვა ტომებთანაც და ამის შემდეგ სავსებით აიღო ხელი ჰირკანიისაკენ წინსვლაზე.

პომპეუსი ალბანეთიდან ჯერ სომხეთში დაბრუნდა, ხოლო იქედან მცირე სომხეთის გავლით პონტოში გადავიდა.

5. იმპერატორის „ჯამი ყოველთა"

პომპეუსი პონტოს სამეფოს მდიდარ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებში წლობით დაგროვილი და მტკიცედ დაცული ძვირფასი საჭურჭლეების მფლობელი შეიქნა. რომაელებმა „ტალავრაში, სადაც მითრიდატეს თავის საჭურჭლეთა საგანძური ჰქონდა, იპოვნეს 2.000 ეგრეთწოდებული ონიქსის ფიალა, ოქროთი შემკული, მრავალი ჭიქა და მსხვილი ჭურჭელი და ყანწები, მოქარგული ტახტ-სავარძლები, ცხენის აღვირები, სამკერდულები და უნაგირები, ყველაფერი ეს შემკული იყო ძვირფასი ქვებითა და ოქროთი. იმდენი იყო, რომ მათ დათვლასა და ჩაბარებას 30 დღე დასჭირდა. ზოგიერთი ნივთი დარიოს ჰისტასპის დროისა იყო, ზოგი პტოლემეების სამეფოდან, რომლებიც კლეოპატრამ დაუტოვა ქიოსელებს, ხოლო ქიოსელებმა კი მითრიდატეს მიართვეს. ზოგი კი თვითონ მითრიდატეს მიერ იყო შეკვეთილი და აქ მოგროვილი, რადგან იგი სილამაზისა და ჭურჭლის მოყვარული იყო"[1].

მდიდარ ნადავლთა მეოხებით პომპეუსის ყოველმა ჯარისკაცმა საჩუქრად მიიღო 1.500 ატიკური დრაქმა, ხოლო ამის შესაბამისად, გა-

[1] App. Mithr. 115.

ცილებით მეტი საჯარისო ნაწილების უფროსებმა; სარდალს თავის თანამებრძოლთათვის სულ 16.000 ტალანტი დაურიგებია.

ე. წ. ახალციხეში პომპეუსმა ხელთ იგდო მითრიდატე პონტოელის მთელი არქივი, სადაც აღმოჩნდა მეფის საიდუმლო წერილები, მეგზურები, მეცნიერული ნარკვევები, წერილობითი განკარგულებანი და ღონისძიებანი. აქ ნაპოვნი დოკუმენტებიდან (რომელთაგან ჩვენამდე არაფერს მოუღწევია) ნათელი ეფინებოდა პონტოელი ხელმწიფის სამხედრო და პოლიტიკურ გეგმებს, მის ზრახვებს, ღონისძიებებს, ოჯახურ ამბებს, მეფის დარდიმანდულ-ბოჰემურ ავანტურებს, რომანტიულ-ინტიმურ იდილიებსა და საერთოდ მის პირად ხასიათს.

პომპეუსი რამდენიმე ხანს შეჩერდა ამისოსში და შეუდგა მისგან დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეყნების ადმინისტრირებას. მან პონტოს უმეტესი ნაწილი (დასავლეთი ნაწილი) და მთელი ბითინია რომის პროვინციებად გამოაცხადა. პონტოს სამეფოს აღმოსავლეთის რაიონები,—მცირე სომხეთი, ფარნაკეიისა და ტრაპეზუნტის ოლქები—გადასცა გალატიის მმართველს, დეიოტარს, იმ დამსახურებისათვის, რომელიც მან პომპეუსს გაუწია აღმოსავლეთის ომში. ასევე, ერთგულებისათვის კაპადოკიის მეფემ არიობარზანმა მიიღო სოფენა და კილიკიის მთიანი ნაწილი, რომლებიც ადრე ტიგრანს ეკუთვნოდა. კოლხეთი, როგორც ითქვა, ცალკე დინასტს, არისტარქეს ჩააბარა და უშუალოდ რომის ხელისუფლებას დაუმორჩილა. „რომაელი ხალხის მოკავშირეებად და მეგობრებად“ აღიარებული იქნენ სომხეთი, იბერია, ალბანეთი, ატროპატენა და ოსროენა. ბოსფორის სამეფო პომპეუსმა გადასცა ფარნაკეს და ისიც რომის „მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა.

პომპეუსის წინაშე კვლავ მწვავედ დაისვა პართიასთან ურთიერთობის საკითხი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ქვეყნებში იბრძოდა, პართიის მეფემ მომენტით ისარგებლა და შეიჭრა ტიგრანის სამფლობელო გორდიენაში. სომხეთში დატოვებულმა აფრანიუსმა პომპეუსის ბრძანებით გაილაშქრა პართიელთა წინააღმდეგ და განდევნა ისინი გორდიენადან და მისდია არბელიტიდამდე.

პართიის მეფემ მეორედაც (64 წ.) მოახდინა სომხეთზე თავდასხმა. პომპეუსმა ვერ გაბედა გამოეყენებია შემთხვევა და დაეწყო ახალი ომი პართიის წინააღმდეგ და, როცა მასთან საჩივლელად გამოცხადდნენ ტიგრანისა და ფრაატის ელჩები, იგი მათი საზღვრების მოსაწესრიგებლად მხოლოდ კომისიის გამოყოფით დაკმაყოფილდა. პართიასთან ომის დაწყებაში პომპეუსის შიში მარტო მისი პირადი მერყეობითა და სიმხდალით არ აიხსნება. საქართველოსა და ალბანეთში ლაშქრობებმა პომპეუსის ძლიერი არმია დაასუსტა და გააჩანაგა. მართალია, მამაც კავკასიელებთან ბრძოლაში რომაელთა ზარალის შესახებ წყარო-

ები დუმან, მაგრამ ცალკეულ ბრძოლათა და უცხო ქვეყნების კლიმატთან შეუგუებლობის აღწერიდანაც კარგად ჩანს, რომ რომაელთა მსხვერპლი დიდი უნდა ყოფილიყო. ახალი, „პართიული ომისაკენ" პომპეუსის შეკავებაში არანაკლები როლი უნდა შეესრულებია იმასაც, რომ სომხეთისა და სხვა ახლად დალაშქრული ქვეყნების პოზიცია პართია-რომის მოსალოდნელ ომში რომაელთათვის სასარგებლო არ უნდა ყოფილიყო. შემთხვევითი არ იყო, როცა პომპეუსის მიერ გაგზავნილმა მსაჯულებმა მთელი გორდიენა და ჩრდილოეთი მესოპოტამია ტიგრანს გადასცეს, ფრაატს ამის შესახებ საყვედურიც არ გამოუთქვამს, რადგან იმედი ჰქონდა შემდგომში სომხეთი გამოადგებოდა, როგორც მოკავშირე რომაელთა წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში. და, ბოლოს, პომპეუსს უთუოდ კარგად ახსოვდა ლუკულუსის ბედი, რაც შედეგად მოჰყვა სომხებთან თვითნებურად ომის დაწყებას. მართალია, პომპეუსი უფლებამოსილი იყო ომისა და ზავის თვითნებურად გამოცხადებაში და ახალი დიდი ომისათვის ჯარების შეკრების უფლებაც ჰქონდა, მაგრამ ისეთი კოლოსალური ძალების შეკრება, რასაც ძლიერი პართიის წინააღმდეგ ომები მოითხოვდა იმ პირობებში, შეუძლებელი იყო. ეს უფრო გვიანაც არ მოხერხდა, როცა ახალი, ძლიერი ძალებით პართიის საზღვრებთან გაჩნდა მარკუს კრასუსი. 53 წ. კარასთან საშინელმა მარცხმა რომაელებს აჩვენა, რამდენად ძლიერი მეტოქე გასჩენიათ მათ აღმოსავლეთში. ავგუსტუსისა და ტრაიანეს ეპოქებშიც ძნელი ხდებოდა პართიასთან ჭიდილი.

63 წელს პომპეუსმა შეიტყო მითრიდატე პონტოელის სიკვდილი. რომაელებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ეს ამბავი, „მიიჩნევდნენ რა, რომ მეტად საშიში მტრისაგან განთავისუფლდნენ". „ჯარისკაცთა სიხარული გამოიხატა, რა თქმა უნდა, მრავალ მსხვერპლშეწირულებასა და ნადიმებში, რადგანაც ერთი მითრიდატეს სახით მათ ათასი მტერი დაეღუპათ". ფარნაკემ მამის ცხედარი სხვა მძევლებთან ერთად პომპეუსს გაუგზავნა და სამაგიეროდ ითხოვა პონტოს ან ბოსფორის სამეფო. პომპეუსმა, როგორც ითქვა, ფარნაკეს სამმართველოდ ბოსფორი უწყალობა, ხოლო მითრიდატეს ცხედრის ბრწყინვალე დაკრძალვა მოაწყო. მან ბრძანა, „დაემარხათ იგი სამეფოს საკრძალავში, სინოპში, მეფეთა სამარხში, — ასე იყო აღტაცებული პომპეუსი მისი საგმირო საქმეებით და იგი მას თავისი დროის მეფეთა შორის ყველაზე უკეთესად მიაჩნდა".

64—65 წლებში პომპეუსის ლეგატებმა — გაბინიუსმა, სკაერუსმა და ათრანიუსმა — დაიპყრეს სირია და ფინიკია. თვითონ პომპეუსმაც მანამ, სანამ მითრიდატე პონტოელი ბოსფორში უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მოაწყო ლაშქრობა სირია-პალესტინის მიმართულებით. 63 წელს, ამიერკავკასიის დალაშქვრის შემდეგ, იგი მიეიდა და-

ბასკოში, აქედან კი — სელევკიაში. სელევკიას მან მისცა „თავისუფლება“ ტიგრან მეორის მტრობისათვის. პომპეუსმა დაიმორჩილა ფინიკიური ქალაქები, რომელთაგან განსაკუთრებით დახარკა ბიბლოსი.

კელესირიაში პომპეუსთან გამოცხადდნენ ელჩები საბოლოოდ ქედმოხრილი სირიისაგან, ეგვიპტისა და იუდეისაგან. ეგვიპტელებმა რომაელ სარდალს მიართვეს ძვირფასი გვირგვინი 4000 ოქროს მონეტის ღირებულებისა, ხოლო არისტობულე იუდეველმა ქორწილებისა და ერთგულების ნიშნად პომპეუსს უძღვნა ბრწყინვალე ხელოვნებით ნაძერწი, ექვსას ტალანტად ღირებული „ოქროს ვენახი“.

ებრაელთა წარმოგზავნილებმა პომპეუსს ამაოდ შესჩივლეს, რომ მის მოსვლამდე რომაელმა სარდლებმა, გაბინიუსმა და სკავრუსმა, ქრთამის სახით დიდძალი ფული წაართვეს იუდეველებს — პირველმა სამასი, ხოლო მეორემ ოთხასი ტალანტი.

62 წლის ადრიანაგაზაფხულზე პომპეუსმა არმია საზამთრო ბანაკებიდან გამოიყვანა და ხელახლა დალაშქრა და გაძარცვა სირია-პალესტინა. მან განსაკუთრებული „რომაული სისრულით“ გაძარცვა და დაანგრია აპამეა. რომაელმა დამპყრობელმა არ იკმარა ეგვიპტელთაგან ნაძღვნევი ძვირფასი გვირგვინი და ახალ სიმდიდრეთა მოხვეჭის მიზნით ხელი მიჰყო პტოლემაიოს მეგამეტის სამფლობელოთა აოხრებას. პტოლემაიოსმა ამჯერად 10.000 ტალანტი მიართვა პომპეუსს და ამით იხსნა ქვეყანა სავსებით გაპარტახებისაგან.

პომპეუსმა ისარგებლა იუდეაში ატეხილი სოციალური და რელიგიურ-დინასტიური შეხლა-შემოხლით, რასაც სათავეში ჰირკანოსი და არისტობულე უდგნენ. არისტობულე რომაელებთან გამოცხადდა და პომპეუსს „აღუთქვა დიდი ფული და იერუსალიმში შეშვება“, თან დაზავებაც ითხოვა. პომპეუსი დათანხმდა და გაბინიუსი რაზმით გაგზავნა იერუსალიმიდან ფულის გამოსატანად. მაგრამ არისტობულემ სიტყვა არ შეასრულა: გაბინიუსი არც ქალაქში შეუშვა და არც ფული გამოატანა.

განრისხებულმა პომპეუსმა დაუყოვნებლივ დაიწყო იერიშები იერუსალიმზე. სამი თვის ბრძოლის შემდეგ რომაელებმა იერუსალიმი აიღეს. ქალაქში პირველი შეიჭრა ფაუსტუს სულა, დიქტატორის ვაჟი. პომპეუსი „გამარჯვებულის უფლებამოსილებითა და ცნობისმოყვარეობით“ უცქერდა ბრწყინვალე აზიური კულტურის ერთ-ერთი დიდი ცენტრის დარბევას. 12.000 ებრაელი გაწყდა. ქვეყანა მძიმედ დაიხარკა. დამონებული იუდეიის ნომინალურ მმართველად პომპეუსმა ჰირკანოსი დასვა, ხოლო არისტობულე მომავალ ტრიუმფში გასატარებლად დაბორკა.

61 წელს ძლევამოსილი „მაგნუსი“ ეფესოდან იტალიისაკენ გაეშურა. აპენინს უახლოვდება იმპერატორი, რომლის საგანგებო იმპერიუმმა რომს დაუმორჩილა „ყველა ქვეყნები და ყველა საზღვრები, რომელთაც კი მზე მიმოასხივებს“[1]. არაჩვეულებრივად დიდი იყო რომში ის საყოველთაო აღტაცება, რაც შედეგად მოჰყვა მითრიდატესთან ხანგრძლივი ომების დამთავრებას და საერთოდ მუდამ მოუსვენარ „აღმოსავლურ საქმეთაგან მოსვენებას“. არაჩვეულებრივი მიღება, ტრიუმფალური შეხვედრა ელოდა იმპერატორს, რომელმაც სწორედ არაჩვეულებრივი იმპერიუმით აღჭურვილმა შეძლო ამაყი და მრისხანე აღმოსავლეთის დამორჩილება.

„როდესაც იგი რომს უახლოვდებოდა, მოსახლეობა მოდიოდა და მოდიოდა მის შესახვედრად, ყველაზე შორს კი გამოეგება ახალგაზრდობა და მათ შემდეგ სხვადასხვა ასაკის ხალხი, ვისაც როგორ შეეძლო, — ყველა, მათზე უწინარეს კი სენატი. ყველას უკვირდა მისი გმირობა: წინათ ხომ არასოდეს და არავის დაუმარცხებია ესოდენ ძლიერი მტერი, არ დაუპყრია ამდენი და ესოდენ დიდი ხალხები და არავის გაუტრაველებია რომაელთა ხელისუფლება ევფრატის საზღვრებამდე. დიდებითა და ბრწყინვალებით, — როგორც მანამდე არავინ, მან 36 წლის კაცმა, ორი დღის განმავლობაში იდღესასწაულა ტრიუმფი მრავალ ხალხზე: პონტოდან და არმენიიდან, კაპადოკიიდან და კილიკიიდან, მთელი სირიიდან; აქ იყვნენ ალბანები, ჰენიოხებიც, სკვითი ტომებიც და აღმოსავლეთ იბერიელებიც. მან მოიყვანა ნავსადგურებში 700 ვარგისი ხომალდი, ხოლო ტრიუმფის საზეიმო სვლაში მრავალი იყო ეტლები და ტახტრევანები, სულ ოქროთი შემკული, — და სხვა ნივთები, ნაირფერად შემკული, დარიოს ჰისტასპის საკუთრებანი და თვით მითრიდატე ევპატორის სამეფო ტახტი. მან უბრძანა გამოეტანათ აგრეთვე მისი კვერთხი და ოქროსაგან ჩამოსხმული გამოხატულება რვა წყრთის სიდიდისა; ვერცხლის მოქრილი ფული 75.100.000 დრაქმის რაოდენობით; აქვე იყო აგრეთვე უამრავი ურემსაზიდები იარაღითა და ხომალდების ცხვირებით დატვირთული და ტყვეთა და მეკობრეთა დიდი რაოდენობა: არც ერთ მათგანს ბორკილი არ ედო და ყველას თავისი ნაციონალური ტანსაცმელი ეცვა.

„თვითონ პომპეუსის ეტლის წინ მიდიოდნენ დამარცხებულ მეფეთა უმაღლესი მოხელენი, შვილები ან ჯარის უფროსნი; ზოგი მათგანი ტყვედ იყო წამოყვანილი, ზოგი მძევლად იყო მიცემული, — სულ 324 ადამიანი. აქ იყვნენ ტიგრანის ვაჟი ტიგრანი და მითრიდატეს ხუთი ვაჟი: არტაფერნი, კიროსი, ოქსათრი, დარიოსი და ქსერქსე. აგრეთვე მისი ქალები, ორსაბარისი და ევპატრა. მიდიოდა აგრეთვე კოლხთა ბატონი ოლთაკე, იუდეველთა მეფე არისტობულე,

[1] Cic. in Catilinam orat., IV, X, 21.

და კილიკიის მმართველნი, სკვითთა სეფექალები, სამი წინამძღოლი იბერიელებისა და ორი ალბანელებისა, აგრეთვე მითრიდატეს ცხენოსანი ჯარის ყოფილი სარდალი მენანდრე ლაოდიკელი. ვინც კი იქ არ იყვნენ — ტიგრანი და მითრიდატე — მათი გამოსახულებანი მოჰქონდათ: როგორ იბრძოდნენ ისინი, დამარცხდნენ და გაიქცნენ. გამოხატული იყო, როგორ ჰქონდა მითრიდატეს ალყა შემორტყმული და როგორ მოკვდა იგი. და გამოხატული იყვნენ მისი ქალები, რომლებმაც მასთან ერთად სიკვდილი ირჩიეს. იყვნენ გამოხატული აგრეთვე მისი ვაჟები და ქალები, რომლებიც მასზე ადრე გარდაიცვალნენ. იქვე გამოხატული იყვნენ ბარბაროსთა ღმერთები ადგილობრივ სამოსელში. მიჰქონდათ აგრეთვე დაფა, რომელზედაც ეწერა: „ხომალდები სპილენძის საბრძოლო ცხვირით დატყვევებულია 800: ქალაქები დაარსებულია: კაპადოკიაში 8, კილიკიასა და კელესირიაში 20, პალესტინაში — ამაჟამად სელევკიად წოდებული. დამარცხებული არიან მეფეები: სომხეთისა — ტიგრანი, არტაგ იბერიელი, ოროისე ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეის მეფე არეთა, ანტიოქე კომაგენელი“. აი, ეს ეწერა იქ. თვითონ პომპეუსი მიდიოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ეტლით, გამოწყობილი, როგორც ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელის ტანსაცმელში, — თუ კი ეს დასაჯერებელია. — მგონია, მან იგი იპოვნა მითრიდატეს საგანძურებში: ქიოსელებს იგი ჰქონდათ მიღებული კლეოპატრასაგან. მისი ეტლის უკან მიდიოდნენ მისი სარდლები, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ; ისინი ზოგი ცხენებით, ზოგი ფეხით მიდიოდნენ. იგი ავიდა კაპიტოლიუმზე. ტყვეთაგან არავინ დასაჯა სიკვდილით, — როგორც ეს სჩვეოდათ ტრიუმფატორებს, — არამედ სახელმწიფო ხარჯზე ისინი სამშობლოში გაისტუმრა, გარდა სამეფო შთამომავლობის პირებისა. და იმათგანაც ძხოლოდ არისტობულე იქნა სიკვდილით დასჯილი დაუყოვნებლივ, ხოლო შემდეგში ტიგრანიც. ასეთი იყო მისი ტრიუმფი“[1].

ასე დასრულდა დიდი აღმოსავლური კამპანია — მთელი დასავლეთი აზია რომს დაუმორჩილდა. 150 წლოვანი ჭიდილი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დასავლეთის გამარჯვებით დამთავრდა. პომპეუსის ტრიუმფი, რომს მოევლინა არა მარტო როგორც ბრწყინვალე გვირგვინი „აღმოსავლური ეპოპეის“ რომის სასარგებლოდ გადაწყვეტისა, არამედ როგორც კვლავინდებური, უფრო მტკიცე, დადასტურე-

[1] App. Mithr. 116—117.

ბა „იმპერიის გონივრულობისა“ და „ოპტიმატური რესპუბლიკის“ ეამგასულობისა.

მაშ, ისევ აღმოსავლურ ბაზისზე ფეხდამკვიდრებული მოვიდა რომში ახალი „იმპერიული ძალა“ — ახალი dictator orientalis, რომელმაც სატრიუმფო გვირგვინთა შორის რომის ფორუმზე გამოიტანა ყველაზე დიდი გვირგვინი — გვირგვინი იმპერიისა, დიქტატურისა, მონარქიისა. იგი ისევ აღმოსავლეთის გზით მოვიდა რომს. დიახ, პომპეუსის corona triumphalis იმავე დროს იყო corona orientalis.

ჯანდაცლილმა „რესპუბლიკამ“ უკანასკნელ ძალებს მოუხმო და ერთხელ კიდევ სცადა „იმპერიის“ მოგერიება: სენატმა უარი სთქვა პომპეუსის აღმოსავლურ ღონისძიებათა დამტკიცებაზე და მისი „უსამშობლო“ ვეტერანებისადმი მიწის დარიგებაზე. ახალი „აღმოსაველელი დიქტატორი“ არ იყო წინამორბედისებრ (სულა) შემტევი და შემმართებელი. ამიტომ ძალამ (პომპეუსი) არჩია კავშირი ნიუთან (კეისარი) და ფულთან (კრასუსი). 60 წელს ტრიუმვირატი შეუდგა მხრებით იმპერიის მძიმე და მომხიბლავ გვირგვინს. ეს უცნაური „ტრიარქია“ ეწინამძღვრა „მონარქიის“ მუდმივ აღიარებას რომის ფორუმზე. ჯერ-ჯერობით „სამთავიან ურჩხულში“ იქნა განსახებული ფაქტიური დამკვიდრება რომაული იმპერიისა...

ამგვარად, 200 წლიდან 60 წლამდე რომში არ წამოჭრილა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც რაიმე კუთხიდან არ დაკავშირებოდეს და მასში რაიმე ცვლილება არ შეეტანოს აღმოსავლეთის საკითხს“. თითქმის ყოველთვის რომის „რესპუბლიკა“, თავისი პრიმიტიულობისა და შეზღუდულობისა გამო, „აღმოსავლეთის საკითხის“ გადაჭრისას უძლურად გვეევლინება. ამიტომ იგი იძულებულია „აღმოსავლური გორდიოსის კვანძები“ „ექსტრაორდინალურად“ პირაწყობილი მახვილით განკვეთოს. აღმოსავლეთთან ურთიერთობის სისხლიანი ეპოპეის ყველა პუნქტში რომი უპირატესობის მიღწევას ოლიგარქიულ-რესპუბლიკური კონსტიტუციის რღვევითა და საგანგებოსაიმპერატორო ხელისუფლების შექმნით ახერხებდა. მერე, რომის „რესპუბლიკა“, აღმოსავლეთის დაპყრობის გარდუვალი აუცილებლობისა გამო, იძულებული შეიქმნა საბოლოოდ დაეთმო „იმპერიისათვის“. ამ „გარდუვალ დათმობათა“ ფინალური პუნქტები შეიქმნენ: ჯერ- „პომპეუსის იმპერიუმი“, მერე — „პირველი ტრიუმვირატი“.

ბოლოს და ბოლოს, „აღმოსავლეთის საკითხის“ ზეგავლენით, რომში ექსტრაორდინალური გახდა ორდინალური. ამიერიდან რომაული „რესპუბლიკა“ ფაქტიურად აღარასოდეს გაცოცხლებულა.

შინაარსი

ნაწილი პირველი

თავი I. რომი და აღმოსავლეთი ძვ. წ. III საუკუნის ბოლოს . 3
1. რომი . 3
2. აღმოსავლეთი . 7
ა) ელინისტური სახელმწიფოები . 8
ბ) ამიერკავკასიის ქვეყნები . 18
თავი II. რომის და ელინისტური სამყაროს რადიკალური ურთიერთობის დასაწყისი . 23
1. როგორ დაიწყო „მეორე მაკედონური ომი" . 23
2. მაკედონიის პირველი განადგურება . 28
3. მაკედონიის განადგურების შემდეგ. „ელევთერიის" რომაული ვარიანტი 33
თავი III. რომაელთა პირველი „აზიური „წიღსვლა" . 46
1. როგორ დაიწყო „სირიის ომი" . 46
2. ომის პირველი წლები . 56
3. პირველი აზიური სახელმწიფოს განადგურება . 58
თავი IV. რომაული „ტირანიის" დასაწყისი და აღმოსავლეთის საკითხი . 69

ნაწილი მეორე

თავი V. რომის აღმოსავლური პოლიტიკა ძვ. წ. II საუკუნის 70-იან წლებში 88
1. როგორ დაიწყო „მესამე მაკედონური ომი" . 88
2. ომის მსელელობა. პიდნას ბრძოლა . 90
3. მაკედონიის ხელახალი განადგურების შედეგები . 94
თავი VI. რომის პროვინციალური სისტემის დასაწყისი აღმოსავლეთში . 99
1. მაკედონიის სრული დამორჩილება . 99
2. საბერძნეთის სრული დამორჩილება . 103
თავი VII. „პროლეგომენა" . 107
თავი VIII. „აღმოსავლური ელემენტი" რომის კლასობრივ ბრძოლაში . 115
1. სიცილიის მონათა პირველი აჯანყება . 115
2. აჯანყება მეორე აზიაში . 120
3. სიცილიის მონათა მეორე აჯანყება . 125
თავი IX. „აღმოსავლეთის საკითხის" ადგილი რომის შიდაკლასობრივ ბრძოლაში . 132
1. ტიბერიუს გრაკხუსის მოღვაწეობა . 132
2. გაიუს გრაკხუსის მოღვაწეობა . 144
თავი X. „ბიძგის მიმცემი" აღმოსავლეთიდან . 148
1. „მითრიდატული მოძრაობის" პროლოგი . 150
2. პონტოს სამეფო II-I საუკუნეების მიჯნაზე . 152
3. როგორ დაიწყო „მითრიდატეს პირველი ომი" . 160
4. „ბიძგის მიმცემი" მოქმედებაში . 177
6. „აღმოსავლელი დიქტატორი" დასავლეთში . 192

თ ა ვ ი XI. რომის აღმოსავლური პოლიტიკა I საუკუნის 80-70-იან წლებში . 198
1. „მითრიდატეს მეორე ომი“ 198
2. როგორ დაიწყო „მითრიდატეს მესამე ომი“ 200
3. ლუკულუსის ლაშქრობის პირველი წლები 206
4. რომაელთა ლაშქრობა პონტოში 212
5. რომაელთა პირველი ლაშქრობა სომხეთში 223
6. ლუკულუსის ლაშქრობის ფინალი 231
თ ა ვ ი XII. იმპერიუმი პომპეუსისა 242
1. მანილიუსი და ციცერონი 242
2. პომპეუსის ლაშქრობა პონტოში 250
3. პომპეუსის ლაშქრობა სომხეთში 259
4. პომპეუსის ლაშქრობა იბერია-კოლხეთსა და ალბანეთში . . . 263
5. იმპერატორის „ჯამი ყოველთა“ 269

რედაქტორი: ნ ო დ ა რ ლ ო მ ო ე რ ი
გამომცემლობის რედაქტორი: ლ. თ ო დ უ ა
ბსატვრული რედაქტორი: თ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი: ლ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე
კორექტორი ლ. კ ო ბ ა ხ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-70 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 17,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,17.
უე 09323. ტირაჟი 2.000. შეკვ. 7494.

ფასი 56 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 18.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.
1970

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.